

K 189.826  
3



დავან სანიჰიძე


ანთა

ანთა



დავან სანიჰიძე

# რწმუნა რწმუნისა



„ორო, რწმუნავ, მოგვით მით რწმუნავი“

რ 0 ბ-3 0 ღ ა



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი — 1988

63.3(21)  
9(47.922)(0:8)  
ს 262

9(092.2)

- 1) ღვინის
- 2) ჯახეთი
- 3) ს. ქახიველის ისტორია

წიგნი „რწმენა რწმენისა“ ეძღვნება ისტორიული გარე-  
ჯის, გარე კახეთისა და დღევანდელი საგარეჯოს რაიონის ცხოვ-  
რებას. აქ ერთიან ნიადაგზე წარმოქმნილი ისტორია და დღე-  
ვანდობა ასევე ერთ მთლიან, უწყვეტ ნაკადად წარმოგვიდ-  
გება, ისე ვითარცა მოითხოვს საერთო საზოგადოებრივი კა-  
ნონომიერება — „აწმყო შობილი წარსულისაგან...“

წიგნი დაწერილია ე. წ. „დოკუმენტური პროზის“ ენ-  
რით, ისტორიულ და თანამედროვე მოვლენათა სინამდვილის  
სრული დაცვით.

რედაქტორი ბ. ნატროშვილი

**საგბ-2000**  
**შემოწმებულია**

189826  
3

10601—157  
C—M—601(08)—83

ბ. მ. № 629683

**ქ. შატავის სახ. საგმ-  
სსრ სახელმწიფო  
მეცნიერებათა აკადემია**

# ნაწილი პირველი

## კმანო კახელნო!

არა შევიწყალო თავი ჩემი და სისხლი ჩემი  
შსასურებისათვის შენისა.

ამირან დარეჯანიანი

### ბედი ქართლისა ბადაჭრუს კახთა

კახეთის გზაზე ვდგავარ და წინასწარ ეს კითხვა უნდა მოგაგო, ჩემო მკითხველო:

„თუ მოხდება, რომ ქართველი კაცის წუთისოფელში გამოჩნდეს დღე, ოდეს მისი სული ან სხეული, აზრი ან ფიქრი, ერთის წუთით მაინც კახეთს არ ერთვოდეს და უკავშირდებოდეს“?

„დღე უკახეთოდ“

თვინიერ მასზე ფიქრით, საქმით, ოცნებით, აზრით?

ასეთი დღე ჯერ არ შობილა,

მაგრამ თუ იშვა,

ამნაირი უამური დღე უსაშველოდ დაამოკლებდა ისედაც უასაკო და უხანო წუთისოფელს! — მესმის შენი წრფელი ბასუხი.

და მეც ასე დავძენ მაგ მშფოთვარე ნახმევ-ნაფიქრალს:

„უკახეთოდ“

ღმერთმა ასეთი უბედური დღისგან დაგვიხსნას!...“

ყოველთვის, როცა ჩემს სულს „კახეთი“ მოესიტყვება და მოესხეულება, წამსვე ცნობიერებაში ისევ და ისევ, გარდუვალად და განუშორებლად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცეცხლოვანი შექაზილი აბრიალდება:

„კმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო!“

ძნელი გახლავთ, წყნარი სულით და აუღელვებელი სტრიქონით განსაჯო და განიკითხო ეს საოცარი, ბიბლიური გზნებითა და ზარტყბილობით ნასროლ-ნაძგერალი სიტყვა.



მართლაც, რამდენი დიდი და მცირე სიტყვა დახარჯულა კახეთის სადიდებლად, მის მკვიდრ წუთისოფლელთა „შესიტყვებად“, „შესხმად“, თუ „შეძახილად“, მაგრამ იმ ბრძენი ჭაბუკის ნათელი გონების ნაშობს, ჩემის ფიქრით, მაინც ვერც ერთი ვერ შეუტოლდება.

„ნამდვილ ქართველნო!“

რა სიღრმეთა და განზომილებათა საფიქრალს აღძრავს და აშლის ეს ჭეშმარიტად მამულიშვილური გულიდან ნაშობი სიტყვა — ჯერ საკუთრივ კახეთისა და შემდეგ ყოველი საქართველოსთვის!

ვინ იყო იგი — „ნამდვილ ქართველი“ — გუშინ, წარსულში?

ვინ არის იგი, დღეს, აწმყოში?

ვინ უნდა იყოს ხვალ, მომავალში?

ან რად გამხდარა ქართველისათვის განმსაზღვრელ სახელნართაულად სიტყვა „ნამდვილი“? მაშ, ყოფილა „არანამდვილიც“, ვითარცა — ნეტარ ილიას მინიშნებით — „კაცური კაცი“ და „არაკაცური კაცია-ადამიანი“?!

ანდა, რა იყო ზენიშანი (ანუ ემბლემა) „ნამდვილისა“ და ქვენიშანი „არანამდვილისა“?

ან კიდევ — რად გაუმტერდა საქართველოს, ნაზამთრალი მგლის მძვინვარებით, ბედისწერა ისტორიისა, ნამდვილ ქართველს რომ ეამ-ეამად „ნამდვილობას“ დააგდებინებდა და „უფრო მომგებიანი გაუცხოების“ შმორიან გზას შეუყენებდა?

რა გაეწყობა, ჩემო მკითხველო, — ამ სისხლის გამაშრობელ კითხვებზე მანუგეშებელ პასუხად მაინც ის გვრჩება, რომ ისტორიამ — „უფალი ღმერთის ამ იღუმალმა სახელოსნომ“ (გოეთეს სიტყვებია) — ამ ცოდვა-მადლით დამძიმებულ დედამიწაზე არც ერთი ხალხი არ დატოვა „ნამდვილობა-არანამდვილობის“ რყევად სასწორზე მიუბმელად.

ასე იყო, ვინათგან „ნამდვილობა-არანამდვილობა“ ყოველთვის, განუშორებლად, „ყოფნა-არყოფნის“ ბებერ ქიაზე იყო მიბმული.

სწორედ ისტორიის მრისხანე სინამდვილე შეურყევლად და შეუეშვებლად გვიჩვენებს, რომ ვერც ერთმა ხალხმა დედამიწაზე, ვერცა „დიდმა“ და ვერცა „მცირემ“, მისი არსებობის ხანგრძლივ თუ ხანმოკლე გზაზე, ვერასგზით ვერ შეძლო

დასაბამიდან თავის ქამამდე განუხრელად დაეცვა ციცერონის ომანიანი შეგონება: „სჯობს არ ვიყოთ, ვიდრე სხვისი ნებით ვიყოთ!“

ყოველი ხალხი, ყოველთვის, საღლაც — დროისა და სივრცის საზღვრულ წრეწირში — ვინმე „სხვისი ნებით“ ცხოვრობდა. დიახ, ცხოვრობდა, შრომობდა, იღვწოდა, იწვოდა, იბრძოდა და, რაც მთავარია, არსებობას ინარჩუნებდა... არსებობას-მეთქი!

ქართველ ხალხსაც, მისი ხანგრძლივი და უმძიმესი თავდასაველის გასწვრივ, ბევრჯერ დასჭირდა „სხვისი ნებით“ ეცხოვრა და ეარსება ამ ტკბილ-მწარე დედამიწაზე. ვერც ქართლოსის ჭიშმა შეძლო, ქამთა სიავის ეგზომ დაუღვენელი მოქცევების დროს, „უცხო თესლისგან“ შეუმღვრეველი სახით დაეცვა და გადაერჩინა წმინდა სამება თავისი მარადიული არსებობისა — ჯვარი ნინო განმანათლებლისა, ხმალი დავით აღმაშენებლისა და ენა შოთა რუსთველისა.

გამორჩევით, ბოლო XV—XVIII საუკუნენი ჩაუდგნენ კრიქაში მრავალგვემულ და მრავალგნებულ საქართველოს: თუ სიცოცხლე და არსებობა გასურს, უნდა იარსებო მხოლოდ და მხოლოდ „სხვისი ნებით!“

ამ ბოროტ საუკუნეებში, ერთ დროს ერთსხეულოვანი და ერთაზროვანი მძლავრი საქართველოს ნანგრევებზე, დარჩენილიყვნენ განკერძოებული და განთვისებული „საქართველოები“ — ქართლი, კახეთი, სამცხე, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი.

და აი, ჯვარზე გალურსმულ, დაშლილ-დაკვეთილ საქართველოს სატანური დამორგუნველობით დასჩხავის თავზე ბედისწერა ისტორიისა: შენ იარსებებ მხოლოდ სხვისი ნებით, სხვისი, სხვისი!..

და იყო ორი ნადირი, რომელთაგან ორივეს ან ერთ-ერთს უნდა „მისხვისებოდა“ მათგანვე ჯვარცმული ქართველობა: ფოცხვერი — სპარსეთი და ბაბრი — თურქეთი.

„საქართველო ჩ ე მ ი უნდა იყოს!“ — ღმუოდა ფოცხვერი.

„საქართველო ჩ ე მ ი უნდა იყოს!“ — ყმუოდა ბაბრი.

აშკარა იყო, — უცხო სჯულის, მაჰმადიანური სპარსეთისა და თურქეთის „და ჩ ე მ ე ბ ა“ ქართული მოდგმის სრულ გაქრობას მოასწავებდა.

არ ჩანდა თუნდაც „გასხვისების მესამე გზა“, საიდანაც ვინმე იტყოდა, საქართველო „ჩემი“ კი არა, „ჩემთან“ იყოსო, და ამას იკმარებდა.

ასეთი „მესამე ძალა“ ქართველებისთვის (და სომხებისთვის) რომელიმე უფრო ძლიერი, ერთმორწმუნე, ერთრჯულიერი, ქრისტიანული ქვეყანა უნდა ყოფილიყო. მაგრამ აღარსად იყო ბიზანტია, ერთ დროს უმტკიცესი ბურჯი და უზენაესი ნიშანსვეტი მსოფლიო ქრისტიანიზმისა. მისი სატახტო, კონსტანტინოპოლი — „ოქროს კიბი დედამიწისა“ — თურქებმა მოიქციეს ლაჯებში, 1453 წლის 29 მაისს. ეს იყო მარად გაუსწორებელი მსოფლიო ტრაგედია ქრისტიანული სამყაროსა, გამოწვეული ევროპის ბედოვლათობითა და საქართველოს უკიდურესი შინაგანი უძლურებით.

ისევ ცხოველმყოფელი საჭიროებით ცოცხლდებოდა მეექვსე საუკუნის „საპროგრამო პოლიტიკური მანიფესტი“, კოლხმა ორატორმა — აიეტმა რომ წარმოთქვა გუბაზ მეფის მკვლელობის გამო აზობოქრებულ კოლხთა საკრებულოს წინაშე, ხობისწყლის პირას, 554 წელს:

„მე ვინატრიდი, ჩვენი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონოდეს მისი ძველთაძველი, სახელოვანი ძლიერება და უძლეველობა, რათა არასდროს დასჭირვებოდეს დახმარება უცხოთაგან და გარეშეთაგან, რათა ყოველ დროს, ომის დროსაც და მშვიდობის დროსაც, მხოლოდ საკუთარ თავს დაჰყრდნობოდეს, მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდეს! გარნა, რაკი ჟამთა ბრუნვითა და ბედისწერის უკუღმართობით, ანდა ორივე უბედურების შემწეობით, ისეთნაირ უძლურებაში ჩავვარდნილვართ, რომ სხვათა ქვეშე ქვეშევრდომობა აღარ აგვცდება, მაშინ ისა სჯობს იმათთან ვიყოთ, ვინც ჩვენს მიმართ უფრო კეთილსასურველად მოგვევლინება“.

მაგრამ თითქოს სამუდამოდ და საბედისწეროდ აღკვეთოდა საქართველოს ის ერთადერთი მხსნელი ძალა, რომელიც მას, „ყოფნა-არყოფნისა“ და „ნამდვილობა-არანამდვილობის“ სასწორზე შეგდებულს, „უფრო კეთილსასურველად“ მოევლინებოდა.

მაშ, იდგა შვიდ ლუკმად აქნილ საქართველოში „გარდუვალი გასხვისების“ ორი უბოროტესი გზა, ორივე მომასწავებელი ეროვნული გადაშენებისა და გაქრობისა, ორივე გზა

„სხვად“ ყოფნისა და არც ერთი—„სხვასთან“ ყოფნისა. იდგა ჟამი უქმური და უამური, ჟამი განწირულებისა, რასაც „შვიდივე საქართველოსთვის“ ერქვა „ჭირი ქართლისა“, გინა — უბედური „ბედი ქართლისა“.

და აი, „შვიდივე საქართველოს“ შვილთაგან, პირველად კახელებმა იგრძნეს და იაზრეს არსებობა „მესამე გზისა“ — გზისა „შვიდივე ქართლის“ გადარჩენისა, გზისა არა ეროვნული გაქრობა-გადაშენებისა, არა „სხვად“ გადაქცევისა, არამედ „სხვასთან“ ყოფნისა და „სხვასთან“ მარადიული „თანაარსებობისა“.

დიახ, ყოფილა ასეთი გზა, — გზა ჩრდილოეთისა, გინა — აღმოსავლეთ ევროპისა, სადაც ქართველთა სარწმუნოებრივად თანაზიარი („ქრისტესმიერი ძმანი“) რუსი ხალხი, მონღოლური უღლის დამხობის (1480 წ.) კვალობაზე, უკვე მკვირვად გაერთიანებულიყო მესამე დიდი, მსოფლიო ქალაქის, გინა „მესამე რომის“ — მოსკოვის გარშემო.

და, პირველად-მეთქი, კახელებმა „აღმოაჩინეს“ და „აიჩემეს“ ახალი რუსული სახელმწიფოს სადიადო მომავალი — გამძლავრებისა და ზღვარდაუდებელი წინსვლისა.

ერთიანი საქართველოს ნანგრევებზე „საქართველოების“ არსებობა თვითონ მეტყველებს მაშინდელ ქართველ მესვეურთა — მეფე-მთავართა სიმცირე-სიპატარავეზე (მხოლოდ „ეროვნული ოცნება“ თუ შეიძლებოდა ფარნაეზის, ვახტანგ გორგასალის, ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველის, გიორგი მესამის, თამარ მეფის, გიორგი ლაშასა და გიორგი ბრწყინვალის შესადარის ხელმწიფეებზე). მაგრამ იმ „ქართლის ჭირისა“ და „ქართლის ბედის“ მტვირთველ შვიდ მიკრო-მონარქთაგან კახეთის მეფე ალექსანდრე პირველი მაინც პირველი იყო, რომელმაც ელჩები გაგზავნა მოსკოვის დიდ მთავართან, ივანე მესამესთან. ელჩებს რუსთა მბრძანებელთან მიჰქონდათ ქართველი მეფის წერილი და „დამატებით“ ზეპირად დანაბარები.

რასაკვირველია, ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი „დიდი პოლიტიკური აქტი“, რომელიც საქართველოს მაშინვე არგუნებდა მოსეს კვერთხსაც და დავითის ქნარსაც, მაგრამ იყო პირველი მინიშნება, პირველი სანთელი, რომლის თუნდაც მკრთალად მოლიცლიცე სხივს დიდი სამომავლო, საიმედო

და სარწმუნო გასასვლელი უნდა მიესწავლებინა გაუმზერალ წყვილადში დაჩიხული ერისათვის.

ეს პირველი „კახურ-რუსული წიაღსვლა“ 1491 წელს მოხდა, და აქედან უკანასკნელ, გადამწყვეტ აქტამდე, რასაც ისტორიაში „რუსეთთან საქართველოს შეერთება“ დაერქვა, გავიდა 310 წელიწადი. ეს იყო უმძიმესი დიპლომატიური გოლგოთა, სადაც „ქართლის ღირსა“ და „ბედის“ უმეტესი და უმთავრესი ჯვარისმტვირთველები იყვნენ ისევ და ისევ შვილნი კახეთისანი.

მინც, — სანამ გარეჯის „ქუეყანას“ ჩავალწევ — ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენო ქართულ-რუსულ „მი-მო-სვლათა“ უმთავრესი რგოლნი.

მაშ, პირველმა, 1491 წელს, დაიწყო კახეთის მეფემ, ალექსანდრე პირველმა.

შემდეგ, 1561 წელს, კახეთის მეფემ ლეონ მეორემ, იაკობის მეთაურობით, ელჩობა გაგზავნა რუსეთის დიდ ხელმწიფესთან, ივანე IV მრისხანესთან, რომელსაც უკვე დაეპყრო სრულიად ვოლგისპირეთი, კასპიის ზღვის ჩრდილო განაკიდურნი და ჩრდილო-კავკასიაშიც შემოეყვანა რუსული დრუჟინები. ქართველი მეფე რუსთა ხელმწიფეს ჯარს სთხოვდა. ივანე მრისხანემ უყოყმანოდ აღასრულა ეს თხოვნა. 1564 წელს რუსთა საომარი ძალა პირველად შემოვიდა ქართულ მიწა-წყალზე. შვიდი წელიწადი ჰყავდა ლევან მეფეს კახეთში რუსის ჯარი. მერე თურქეთის სულტანმა სელიმმა და ყირიმის ხანმა მენგლი-გირეიმ აიძულეს რუსეთის მეფე, კახეთიც დაეცალა და ჩრდილო კავკასიაც რუსთა მხედრობისაგან.

მესამედ კახეთის მეფე ალექსანდრე მეორემ და რუსეთის ხელმწიფე თევდორე ივანეს ძემ გააჩაღეს ცხოველი სამოკავშირეო-სამეგობრო ურთიერთობანი. 1585 წელს ტოლმაჩი რუსინ-დანილოვი კახეთს ეწვია და კახთა მეფეს თავისი მეუფის წერილი გადასცა. ჩვენ მზადა ვართ დავიცვათ კახეთის მეფე და მისი ქვეყანა ურწმუნოთა ძალადობისგანო, — სწერდა დიდი მოსკოვის მესვეური კახეთის პატრონს. ალექსანდრემ თავისი ელჩები (იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტა ჩერქეზი) გაატანა რუსეთს გაბრუნებულ რუსინ-დანილოვს. მოსკოვიდან წამოსულ ქართველ ელჩებს კიდევ ახალი რუსული ელჩობა (ბირკინი, პიგოვი, პოლუხანოვი) ჩამოჰყვა კახეთ-

ში. 1587 წლის 29 აგვისტოს მეფე ალექსანდრე მეორემ, მისმა შვილებმა და უმაღლესმა კარისკაცებმა ხელი მოაწერეს რუსეთის მეფის ერთგულების ფიცს, რომელშიც ეწერა:

„ალექსანდრე კახთა მეფე შვილებით და უახლოესი დარბაისლებით აცხადებს: მან ელჩები გაუგზავნა რუსთ ხელმწიფე თევდორე ივანეს ძეს და სთხოვა: კახეთი თავის ხელქვეშ დაეჭირა, მასზე ხელი დაედვა და ალექსანდრე მეფისა და მისი ქვეყნის ყველა მტრისაგან დაცვა ებრძანებია. ხელმწიფე თევდორე ივანეს ძემ შეიწყალა კახთა მეფე, მფარველობის ხელი დასდო მას და მის ქვეყანას და მტრებისაგან მათი დაცვა უბრძანა თავის სარდლებს. ამიერიდან ალექსანდრე მეფე თავისი შვილებით და მთელი თავისი ქვეყნით მკვიდრად და წაუვალად იქნება თევდორე მეფისა და მისი შვილების ხელქვეშ. თვითონ ალექსანდრე მეფე თავისი შვილებითა და მთელი თავისი ქვეყნით რუსთ ხელმწიფისა და მისი შვილების ავსა და საზიანოს არაფერს ისურვებს და არც გონებაში გაივლებს. არავის რუსთ ხელმწიფის მტერს არ მიუდგება და არც თავის ხალხს არსად რუსთა ქვეყანაზე სალაშქროდ არავის მიაშველებს. ამიერიდან რუსეთის ხელმწიფის მეგობარს კახეთის მეფეც თავის მეგობრად მიიჩნევს, ხოლო რუსთ ხელმწიფის მტერს თავის მტრად დაიგულებს და ვითარცა მტერი, ისე აღსდგება მის წინააღმდეგ. ალექსანდრე მეფე გამოიძიებს, დასჯის და რუს სარდლებს გაუგზავნის ყველას, ვინც კი მისი ქვეშევრდომი რუსთ ხელმწიფისა და მისი კაცების მოლაღატე და ავის მოქმედი აღმოჩნდება თერგსა და ასტრახანს. ალექსანდრე მეფე შვილებითა და მთელი თავისი ქვეყნით რუსთ ხელმწიფის სამსახურს შეუდგება წაუვალად, გულმართლად და თავდადებულად. ალექსანდრე მეფე კისრულობს ყოველწლიური მოსაკითხი უგზავნოს რუსთ ხელმწიფეს...“.

ორი წლის შემდგომ საპასუხოდ კახთა მეფეს მოსკოვიდან მისმა ელჩმა, ყაფლან ვაჩნაძემ, ჩამოუტანა „წყალობის სიგელი“, „ოქროს ბეჭდით“ დამშვენებული.

ასეთი გახლდათ კახელთაგან ხელმოწერილი დიპლომატიურ-სახელმწიფოებრივი აქტი, წინამორბედი იმ სახელოვანი ტრაქტატისა, რომელსაც დაახლოებით 200 წლის შემდგომ ხელს მოაწერს ყველაზე დიდი კახელი ხელმწიფე...

მაგრამ მანამდე, 1588 წლის 25 აპრილს, თურქეთის სულ-

ტანის — მურად III-ის ჩაუში ალექსანდრე კახთა მეფეს, რუსეთთან კავშირისათვის ომით დაემუქრა. ალექსანდრემ არც აცივა, არც აცხელა და ეს მიახალა ოსმალს: „ნუ დაგავიწყდებათ, თერგი და ასტრახანი უფრო ახლო არის კახეთიდან, ვიდრე სტამბოლიო“. სულთანმა ქართველის კადნიერება დრომდე დაითმინა და ომის მუქარა რუსეთზე გადაიტანა. რუსეთ-თურქეთის რკენას კავკასიონზე ერთბაშად გამძლავრებულმა ირანმა მოუსწრო: ამხედრებულიყო საომარ ტაიჭზე ისლამის უდიდესი გმირი, შაჰ აბას პირველი — „ლომი ირანისა“, რომელსაც მხარში ედგნენ ქართველები — თვალშეწიერ ჯაყელი და ალავერდი-ხან უნდილაძე, და საერთოდ... „ირანის არმიის მთავარი ძარღვი იყო ქართველთა მხედრობა“ (პიეტრო დელა ვალე)... ხოლო, რუსეთში ახლოვდებოდა „სმუტნოე ვრემია“... უკუღმართი ეამი ცრუ-დომიტრებისა... პოლონელი ლიახებისა... გლეხთა მომავალი ბელადის, ივანე ბოლოტნიკოვის ახოვანი აჩრდილიც იმართებოდა თოვლიან სტეპზე...

ალექსანდრე კახთა მეფე კი მაინც არ ეშვებოდა „ჩრდილოურ საშველს“. მაინც ეგულებოდა და ერწმუნებოდა ყინვით გათოშილ ორიათას ვერსიანი გზის სათავეში „ქრისტესმიერი მხსნელი“ მისი ქვეყნისა, მხსნელი ყურის ძირში ჩამოწოლილი „თათრული საფრთხისაგან“.

1601 წელს ახალი ელჩობა (სოლომონი და ლევანი) გაგზავნა რუსეთს, მეფე ბორის გოდუნოვთან. მომდევნო წელს, ქართველ ელჩებს რუსი დესპანები (ნაშჩოკინი და ლეონტიევი) ჩამოჰყვენენ საქართველოში. ისევ გაიცვალა „წყალობის სიგელი“ რუსისა და „ფიცის წიგნი“ კახელისა.

1605 წლის 1 იანვარს გრემის სასახლეში რუსმა ელჩებმა, ტატიშჩევმა და ივანოვმა, ახალ „ფიცის წიგნზე“ მოაწერიან ხელი კახეთის ტახტის მემკვიდრეს, გიორგი ბატონიშვილს (ალექსანდრე მეფე მაშინ კახეთში არ იყო, — შაჰ აბასს ახლდა ერევნის ომში). იმავე წლის 12 მარტს დანიშნული იყო შეხვედრა კახეთს მობრუნებულ ალექსანდრე მეფესა და რუს ელჩებს შორის. მაგრამ სწორედ იმ დღეს რუსები უსაშინლესი მკვლელობის მოწმენი გახდნენ: „გასხვისებულმა“ და „გაუცხოებულმა“ შვილმა მოჰკლა მამა და ძმა თვისი.

მას შემდეგ ჩრდილოეთსა და სამხრეთში აგორებულმა სო-



ციალურ-პოლიტიკურმა და საომარმა ქართველებმა დიდი ხნით ჩააქცია სამიმოსვლო გზა რუსებსა და კახელებს შორის.

1636 წელს რუსეთის სამეფო კარზე პირველად აღმოჩნდნენ ერთად ელჩები „ორი საქართველოდან“ — კახეთიდან და სამეგრელოდან, ელჩი მეფე თეიმურაზ პირველისა და ელჩი ლევან II დადიანისა.

სპარსეთთან ომით განაწამები თეიმურაზ კახთა მეფე ჯარსა და ფულს სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს, მიხეილ რომანოვს. ჯარი ვერ მიიღო, მაგრამ საეკლესიო ნივთები, მხატვრები და კარ-ფანჯრის დურგლები კი ჩამოუყვანეს რუსმა ელჩებმა, ვოლკონსკიმ და ხვატოვმა, ჩრდილოეთისკენ ცქერით თვალებ-ამოღამებულ მეფეს და პოეტს.

1649 წელს კიდევ „ორი საქართველოს“ — ამჯერად, კახეთისა და იმერეთის — ელჩები ეწვივნენ მოსკოვს. თეიმურაზმა წააქეზა დადიანთან მტრობაში ჩაგარდნილი იმერეთის მეფე ალექსანდრე III — ერთად ეთხოვათ თავიანთი სათხოვარი რუსეთის მაშინდელი ხელმწიფის, ალექსი რომანოვისათვის.

იმერეთის მეფე რუსეთის „მფარველობაში აყვანას“ და ლევან დადიანის წინააღმდეგ კაზაკთა რაზმებს ითხოვდა, ხოლო თეიმურაზი — 20 000 რუს ჯარისკაცს.

ქართველ ელჩებს (ივანე გრიგოლაშვილი, პახომ არქიმანდრიტი, დავით მღვდელი და ვასილ ბერი) საქართველოში რუსი ელჩები (ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევილიევი) ჩამოჰყვნენ. ამ დიპლომატიურ „მი-მო-სვლას“ ის მოჰყვა, რომ — 1651 წლის 9 ოქტომბერს იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ და მისმა დარბაზმა ხელი მოაწერეს რუსეთის მეფის „ერთგულების ფიცს“, რუსული ჯარი კი ვერც ერთმა ვერ მიიღო — ვერც კახელმა სპარსთა წინააღმდეგ და ვერც იმერელმა მეგრელთა წინააღმდეგ(!).

მაგრამ ყველაზე საწადნიერო მაშინ ის მოხდა, რომ რუსეთის მეფე კახეთის მეფისაგან ერთ-ერთ უფლისწულს ითხოვდა მოსკოვის კარზე „აღსაზრდელად“!

იმედის სხივი გაუმძლავრდა მეფე-პოეტს. დიდი რუსეთის ხელმწიფე „შვილობილად“ სთხოვდა ერთ-ერთ უფლისწულს. მაგრამ, რაღა ერთ-ერთი, როცა „ერთ-ერთიც“ ის იყო და „ერთადერთიც“ — ერეკლე ანუ ნიკოლოზ ბატონიშვილი, ძე სპარსელებთან ომში დაღუპული დავით ბატონიშვილისა, შვი-

ლიშვილი თეიმურაზ მეფისა. ესღა დარჩენოდა უკანასკნელ ფესვად და ნერგად მრავალრიცხოვან ოჯახიან-შვილიან-შვილიშვილიანად ამოწყვეტილ მსცოვან ხელმწიფეს.

და გაეშურა ერეკლე — ნიკოლოზ ბატონიშვილი, 1652 წელს, მოსკოვს, დედის (ელენეს), მამამძუძისა (ლაზარე დავითაშვილის) და ასაკიანი კახური ამაღის თანხლებით. კახეთიდან წავიდა 10 წლისა და მოსკოვს მივიდა 12 წლისა.

და აი, ამ კახელმა ყმაწვილმა, პირველმა ქართველმა, საფუძველი ჩაუყარა შემდგომში სახელგანთქმულ „ქართველთა კოლონიას“ მოსკოვში.

დიდის ამბით მიიღო იგი, 1654 წლის 1 იანვარს, „წახნავოვან პალატაში“, მეფე ალექსი რომანოვმა. საზეიმო სუფრაზე გვერდით დაისვა. სრულიად მოსკოვი, „დიდი“ და „მცირე“, ქალი და კაცი, აღტაცებით ლაპარაკობდა ახოვან, მშვენიერ, ზრდილსა და ჰკვიან ქართველ უფლისწულზე. უცხოელი ელჩები და სტუმრები პირდაპირ წერდნენ: მოსკოვში მეფის შემდგომ მეორე კაცი ქართველი ბატონიშვილი არისო; მეფე რომ კარგით მიდის, მეორე კარგით ქართველი უფლისწული მიჰყვება, სხვას კი არა აქვს უფლება კარგით გაჰყვეს მეფესო. გარეგნულადაც ერთ რამედა ჰღირს ნიკოლოზ ბატონიშვილის, მისი დედისა და მათი მსლებელი ქართველების ხილვაო. „მათ, ქართველებს“, — წერს ელჩი რეიტენფელსი, — „აქეთ კუპრივით შავი თმა, დიდი, ჰკვიანი თვალები, არწივისებური ცხვირი, თოვლივით თეთრი კანი; საერთოდ, ისინი ძალიან ლამაზი ხალხია. მათი ქალები ბუნებით მეტისმეტად მიმზიდველნი არიან“.

ფეხს იდგამდა და მუხლს იმაგრებდა „ქართული კოლონია“ რუსეთის შუაგულში. ჭეშმარიტი სიყვარულით, მეგობრობით, ძმობით, თანაგრძნობითა და თანალმობით ეპყრობოდნენ რუსები ქართველებს. შეიყვარეს მოსკოვი და მოსკოველები ქართველებმა. სალოცავად ქართული სახელწოდების რუსულ ტაძარში დადიოდნენ — ვალდაის „ათონის ივერიის“ ტაძარში.

პატრიარქ ნიკონს ორჯერ გაეგზავნა მხატვრები საბერძნეთის, ათონის მთაზე, ქართველთა („ივერთა“) ლავრიდან სახელგანთქმული ღვთისმშობლის გადმოსახატავად და თვითონ ქართული ტაძრის სრული გეგმის გადმოსახაზავად. სწორედ

ამ გეგმით ააგო ნიკონმა ახალი „ივერიის მონასტერი ვალაიზე“.

და ერთად ისმენდნენ „ერთნაირ“ ქრისტიანულ წირვა-ლოცვას ქართველი და რუსი „ქართულ მონასტერში“, „ქართული ხატის“ წინაშე მუხლმოყრილნი და გულ-გულ შეყრილნი.

1658 წელს ქართველთა — ისევ კახელთა — ახალი ნაკადი შევიდა მოსკოვს. თვითონ მეფე თეიმურაზ პირველი მიბრძანდებოდა კახთა ბრწყინვალე ამალით. აუარებელი ხალხი, სახელმწიფო კარისკაცები და მოხელე გამოფენილიყო ქუჩებისა და გზების გასწვრივ, სადაც უნდა გაეგლო ქართველ მეფეს და მის ამალას.

ყველას ქართველების, ქართველი მეფისა და საქართველოს სახელი ეკერა პირზე. სრულიად მოსკოვი მოეცვა „ქართულ საფიქრალს“ — ქართველთა თავგადასავალს, მის გმირულ წარსულს, მის ქრისტიანულ სჯულიერებას, მის ზნეობას, მის „რუსულ სიყვარულს“ და „რუსთან ძმობის“ სურვილს, ოცნებას...

დიდი საქრისტიანო ქვეყანა ყოფილა საქართველო, გინა ივერია! აგერ, ათას ხუთასი წელიწადი გასულა მას შემდეგ, რაც ქართველები მართლმადიდებლური ქრისტიანობით მონათლულან. თურმე საქართველოს მთავარ ტაძარში, „სხეტაში“ (მცხეთაში) ინახება ქრისტეს კვართი და ლურსმებიც, რომლითაც ქრისტე გალურსმეს ჯვარზე! თვითონ საქართველოც ჯვარზე ყოფილა გაკრული ურჯულო მაჰმადიანთაგან. ახლა ქართველები რუსების დახმარებას ითხოვენ თურმე, რათა რუს და ქართველ ქრისტიან ძმათა ლაშქარმა იხსნას საქართველო ურწმუნოთა კირთებისაგან!...

„ერთმანეთს ტუჩები დაფუკოცნოთ, რამეთუ შენც ბრძანდები კეთილმსახური ქრისტეს სარწმუნოებისა“, — ამ სიტყვებით შეეგება და გადაეხვია ალექსი მეფე თეიმურაზ მეფეს. მერმე საზეიმო სუფრას მიუსხდნენ „ცარევიჩ ნიკოლაის“ რუსი მამობილი და ქართველი პაპა. სუფრა სუფრას გადაება. ბოლოს „საქმიანი მხარის“ განსჯას შეუდგნენ სტუმარ-მასპინძელნი. მე რუსული ჯარის წასაყვანად ჩამოვედიო, — პირდაპირ, „უდიპლომატიოდ“ დაარტყა სტუმარმა — სულ 30 000 ჯარისკაცი მეყოფა, რომ საქართველოც გავათავისუფლოო.

ახლა ჯარს ვერ მოგცემთო, — „დიპლომატიურად“ შეაგუბეს მასპინძლებმა — პოლონეთთან და შვეციასთან ომი გვაქვსო; ღვთის მადლით, მტერს დავძლევთ და ჯარს მერე მოვაშველებთო; მანამ საქართველოში გაბრუნდით და ექვსი ათასი მანეთი ფულად იახლეთ და ათასი მანეთის ღირებული სიასამურებიც მიირთვიეთო.

რა გაეწყობოდა, — ისევ უნდა ეთმინა ჭაში ჩავარდნილი კაცის მოთმინებით ამ ქართველ იობს. შვილიშვილი დაარბია, ნიკოლოზ ბატონიშვილი — აქაურ „ფიცხელ სასმელს“ ნუ მიეძალებიო, — გამოეთხოვა და წამოვიდა. საოცნებო რუსის ჯარი არ მოჰყავდა, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, ტანზე რომ რუსული სიასამური ემოსა და არა თათრული ხალათი.

1663 წელს, სპარსეთის ტყვეობაში, ასტრბადის ციხის ცრემლიან ჭურღმულში გაცივდა რუსეთზე მეოცნებე დიდი კახელი ბაგრატიონის გული. მაინც შვილიშვილი, ერეკლე — ნიკოლოზი, „რუსულ იმედად“ უნდა წაჰყოლოდა საიმპერატორად მხცოვან ხელმწიფეს.

მართლაც ერეკლეს უნდა აღესრულებინა მისი დიდი პაპის მარად აუსრულებელი ოცნებანი — ჯერ კახეთისა და ქართლის დაუფლება, ყიზილბაშთაგან გათავისუფლება და ბოლოს, „ყოველი საქართველოს“ გაერთიანება და გამძლავრება. დროც ხელსაყრელად მიაჩნდათ „მოსკოველ ქართველებს“. შაჰ აბას პირველის სიკვდილის შემდგომ, საქართველოს მოსისხლე სპარსეთი სწრაფად ეცემოდა და კნინდებოდა. რამდენიმე ათასეული რუსი ჯარისკაცი, თანამომე ქართულ ლაშქართან ერთად, ადვილად გაანადგურებდა სპარსეთს — ქრისტიანთა ამ მარადიულ სამტრო-საბუღარს.

დრო „ძალზე ხელსაყრელი“ იყო იმითაც, რომ „ცარევიჩ ნიკოლაი“ რუსთა ხელმწიფეს დიდ პატივისცემაში ჰყავდა.

მოსკოვის კარზე ძალიან ჩანდა ეს მომხიბლავი ქართველი ჭაბუკი — ახოვანი, კრაზანისწელა და ბრტყელბეჭიანი, ნებიანი სახის ნაკვთებითა და ძლიერი, შუქმოსილი თვალებით, ერთდროულად ფიცხელი და დარბაისელი, მამაცი მახვილოსანი და სწორუბოვარი მხედარი.

რუსულ „წრებში“ ყველამ იცოდა, რომ საქართველო ამ ახალგაზრდა ქართველ რაინდს „ეკუთვნოდა“.

რაც მთავარია — ეს იცოდა თვითონ რუსთ ხელმწიფემ.

აღექსი რომანოვს დიხაც „ესურვილებოდა“, რომ კავკასიის საქრისტიანო, ქრისტიანი შვილობილის საშუალებით, თავისი დიდი სახელმწიფოს საზღვრებში მოექცია. მაგრამ რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობანი ერთბაშად ისე აიწეწა, რომ „საქართველოს საქმეებისთვის“ ისევ ვეღარ მოიცალა მოსკოვის უმაღლესმა კარმა. ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვა: ნიკონის რეფორმა და სასულიერო „ბუნტები“, ომები პოლონეთთან და შვეციასთან, „სპილენძის აჯანყება“ მოსკოვში, დონელი კაზაკების გამოსვლა ვასილი უსის მეთაურობით, გლეხთა ომი სტენკა რაზინის წინამძღოლობით და ბოლოს — მეფე ალექსი რომანოვის მეუღლისა და დედოფლის, მარია ილინიჩნა მილოსლავსკაიას გარდაცვალება.

ძალიან ჩანდა მოსკოვის კარზე ქართველი უფლისწული, მაგრამ საქართველოსათვის ისევ არავის ეცალა.

თვითონ ალექსი რომანოვი, მამამისის, მიხეილის მსგავსად, ცინგითა და წყალმანკით იყო სნეული. ალექსის მილოსლავსკაიას ქალისაგან ცამეტი ავადმყოფი შვილი შეეძინა და ცამეტიდან სამი ძლივს შემორჩა და ისინიც, სამივე სნეულნი — ცინგიან-წყალმანკიანი თევდორე, ნევრასთენული სოფიო და ენაბლუ, ბეცი და გონებაჩლუნგი ივანე.

1671 წლის იანვარში ალექსი რომანოვმა ცოლად შეირთო ოცი წლის ნატალია კირილეს ასული ნარიშკინა — ქალი დიდად ლამაზი, ჭკვიანი, ნებიანი, ვნებიანი და თამამი. იგი ახლადშერთულ ხელმწიფეზე ოცდაორი წლით უმცროსი იყო.

მეფე-დედოფლის ქორწინების დღეებში განსაკუთრებულად გამოჩნდა უფლისწული ნიკოლოზი. იგი ქორწილის „ტისიაცკად“ დაენიშნათ. „ტისიაცკი“ მთელი საქორწინო განწესების, ხარჭების, მსვლელობისა და დაგვირგვინების მეთაური იყო.

ქორწინებიდან წლინახევრის შემდგომ — 1672 წლის მაისის ბოლოს — დაიბადა უფლისწული, ცხოველუნარიანი, ძლიერი სულით და სხეულით. ეს იყო პეტრე — მომავალში უდიდესი ხელმწიფე რუსეთისა.

30 მაისს, მიძინების ტაძარში, საგანგებო პარაკლისზე, მეფე ალექსის უფლისწულის დაბადება მიულოცეს რუსეთის სახელმწიფო კარის უახლოესმა ადამიანებმა. პარაკლისზე დიდი სიტყვა-მილოცვა წარმოთქვა ქართველმა უფლისწულმა. მეფე ძალიან მოიხიბლა. პეტრე ბატონიშვილის ნათლობის დღესაც

(1672 წლის 29 ივნისს), წახნაგოვან პალატაში გაშლილ უმდიდრეს სუფრაზე ისევ დიდ პატივში იმყოფებოდნენ ნიკოლოზ ბატონიშვილი და დედამისი ელენე.

მოსკოვის სასახლის კარზე რუსთა და ქართველთა სიყვარულსა და სიახლოვეს დიდი სამომავლო პირი უჩანდა. მოსვენება დაჰკარგვოდათ ირანისა და ოსმალეთის სატახტოებს. გამორჩევით, ირანის შაჰი ვერ შერიგებოდა რუსეთის კარზე ქართველი უფლისწულის დაწინაურებას და აღზევებას: ვაითუ ამიერიდან „გარუსებულმა ქართველებმა“ შესცვალონ „გათათრებული ქართველები“ საქართველოს სამეფო ტახტზეო!...

და, საქართველოს მოსისხლეთა საბედნიეროდ, მოულოდნელად დაეცა და დაკნინდა ქართველი ბატონიშვილის სახელი და დიდება მოსკოვის კარზე. რუსეთის მეფის დახმარებით საქართველოში გამეფების იმედი დაიკარგა. ირანის შაჰის წერილიც მოუვიდა: სპარსეთს მეწვიე და კახეთის მეფობას ისე ჩაგაბარებ, ქრისტიანობის გამოცვლასაც არ მოვთხოვო.

და, წამოვიდა...

ოცდაორი წელიწადი იცხოვრა მან რუსეთში, დიდ, გულკეთილ „ქრისტესმიერ მოყვასთა“ შორის. იქ ჰპოვა სამშობლოს სიღუბნით აფორიაქებულმა ყმაწვილმა ქეშმარიტი თანაგრძნობაც, თანაღმობაც და სიყვარულიც. წამოვიდა და სამუდამოდ უკან დარჩა დიდი სიყვარულიც, დიდი ეჭვიც...

მას შემდეგ ქართლებმა იტვირთეს კახელთა ხელით და მხრებით აღძრული უმძიმესი ჯვარი დიპლომატიური გოლგოთისა — ჯერ არჩილ მეორემ, შემდეგ ვახტანგ მეექვსემ. ორივემ ოჯახებიანად, ორივემ სრულ ქართულ ამალიან-ტაძრეულიან-დარბაზიანად. ეს მეფე-პოეტებიც, თავიანთი „პოეტური პოლიტიკით“, ისე წავიდნენ ამ „მრავალმღელვარე, დაუდგრომელი და ქვედამზიდავი საწუთოსაგან“, რომ ქართულ მიწაზე რუსული დრუჟინების შემოსვლას ვერ ეღირონენ.

ისევ კახელები შეუდგნენ მხრებით ჯვარსა ქვეყნის გარდამოხსნისასა, აღდგომისა და ამაღლებისასა.

1760 წელს მეფე თეიმურაზ მეორე ეწვია პეტერბურგს. მაშინდელ რუსთ ხელმწიფეს, ელისაბედ დედოფალს, რუსული ჯარი და რუსული ფული სთხოვა, საქართველოს „დასახსნელად“ და სპარსეთის „დასაბმელად“. მაგრამ ისევ არ ეცალა საქართველოსთვის რუსეთის საიმპერატორო კარს. ევროპაში



„შვიდწლიანი ომი“ სთესავდა და იმკიდა სიკვდილს. რუსეთის მესვეურებს პრუსიისა და ინგლისის ბოლშა აღრჩობლათ, ხოლო „სამხრეთის საქმეები“ ისევ დიპლომატიურ სკივრთა ობიან ფსკერზე დალექილიყვნენ.

თეიმურაზ მეორეც „რუსულ ოცნებას“ გადაჰყვა. ეს მეოთხე მეფე-პოეტიც რუსულ მიწაში ჩაესვენა.

ბოლოს, ყველაზე დიდმა კახმა — „პატარა კახმა“, მეფე ერეკლე მეორემ იტვირთა ჯვარი, — იტვირთა, იშრომა, იბრძოლა, იომა, იწამა და აღმართა ნიშანსეცი ჯვარცმული საქართველოს ჯვრიდან „გარდამოხსნისა“ — 1783 წლის გეორგიევსკის „მფარველობითი ტრაქტატი“.

აი ისიც — კახელთა სამასწლოვანი ნამოღვაწარი:

ქართლ-კახეთის მეფე უარს ამბობს ირანის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს ქვეშევრდომობაზე და სამუდამოდ შედის რუსეთის მფარველობაში; ამიერიდან სამეფო რეგალიებს (გვირგვინი, ხმალი, კვერთხი, მანტია, სიგელი და დროშა რუსული და ქართული გერბებით) ქართველი მეფე მიიღებს რუსეთის იმპერატორისაგან; თავის მხრივ ქართველი მეფე ერთგულების ფიცს აძლევს რუსეთის ხელმწიფეს; ქართლ-კახეთის მეფეს უფლება აღარ აქვს, რუსეთთან შეთანხმების გარეშე აწარმოოს რაიმე საგარეო პოლიტიკა; ქართლ-კახეთის მეფე ვალდებულია კისრულობს, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის სამსახურში გამოვიდეს მთელი თავისი საომარი ძალებით; რუსეთი კისრულობს ქართლ-კახეთის დაცვას; ზრუნვა დაცვისა გავრცელდება იმ ქვეყნებზეც, რომლებიც დროთა მანძილზე უნდა შემოუერთდეს საქართველოს; რუსეთი კისრულობს ქართველი მეფისა და მისი შთამომავლობის დაცვას ქართლ-კახეთის ტახტზე; შინაურ გამგებლობაში ქართველი მეფე დამოუკიდებელია; რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი ქართლ-კახეთის შინაურ საქმეებში ვერ ჩაერევიან; ერეკლე მეფე კისრულობს იმერეთის მეფე სოლომონთან თანხმობით ყოფნას, ხოლო რაიმე უთანხმოების შემთხვევაში შუამავლობა ეკუთვნის რუსეთის ხელმწიფეს; ქართველთა ჯარის სიმტკიცედ და საქართველოს დასაცავად მოსალოდნელი გარეშე შემოსევისაგან, რუსეთის ხელმწიფე საქართველოში მუდმივ სამყოფად აგზავნის ორ ბატალიონ ქვეით ჯარს; ომის შემთხვევაში, რუსეთის მენაპირე ჯარის სარდალი, რუსეთის ხე-

1891

ძ. შინაურის ხან. 17-ბმ.  
ხარ. სახელმწიფო  
კონსულატი

ლისუფლებების რწმუნებით, ქართლ-კახეთის მეფესთან ერთად გამოდის საერთო მტერთან საომრად; ქართველი თავადაზნაურობა უფლებრივად უსწორდება რუს თავადაზნაურობას; ასევე, ქართველი ვაჰრები რუსეთში ღებულობენ რუსი ვაჰრებისათვის დადგენილ შეღავათებს; რუსეთის ხელმწიფე კისრულობს, ომისა და ზავის პირობებში, ყოველნაირად იღონოს, დაუბრუნდეს ქართლ-კახეთს მტერთაგან მიტაცებული ქართული მიწები.

მომდევნო წლის იანვარში ტრაქტატს ხელს აწერენ რუსეთის ხელმწიფე ეკატერინე მეორე და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე.

მაშ, კახეთის შვილებმა სამასწლოვანი შრომის, გარჯისა და ბრძოლის შედეგად სრულიად ქართველ ხალხს არგუნეს დიდ ჩრდილოელ, ერთმორწმუნე და ერთმოაზრე ხალხთან მარადიული თანაცხოვრებისა და თანაარსებობის მაუწყებელი ქარტია.

რა კეთილხმოვნად ჟღერენ ეს მარად სახსოვარი და საოცნებო სიტყვები: „ხალხთა შორის მარადიული, თანასწორი თანაარსებობა“, „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, „ძმავ, ძმითა ხარ ძლიერი“, „ძმავ, რაი სჯობს ძმობასა“, „ხალხთა თანამეგობრობა, თანაძმობა, თანადგომა, თანალმობა“, და სხვ. და სხვ.!

მაგრამ კაცობრიობის სრული ისტორიის მანძილზე ყოველთვის ცალკე, „თავისთვის“ იყო მისწრაფებანი და ოცნებანი ხალხისანი და სავსებით ცალკე და განკერძოებით მისწრაფებანი მონარქებისა, დიქტატორებისა, იმპერატორებისა და ყოველი ყაიდისა და ყალიბის გვირგვინოსანთა, ჯილოსანთა და სკიპტროსანთა.

მთავარიც ის იყო, რომ რუსულ მონარქიას, იმპერიულ სისტემას, თავისი ბუნებით და პრაქტიკული ისტორიით, „მონარქიაში მონარქიის“ მოთმენა არ შეეძლო. ამის პრეცედენტი მას არ ჰქონია და ბოროტ რომანოვებს, მონარქ-აბსოლუტებს, საქართველო რა წითელ კოჭად უნდა მიეჩნიათ, რომ მისთვის ასეთი უპრეცედენტო გამოწაკლისი დაეშვათ?!

ასე, რომ — გეორგიევსკის ტრაქტატის სრული განხორციელება, საქმედ გადაქცევა უფრო მომავლის საქმე უნდა ყოფილიყო (და, აკი ასედაც მოხდა!), ხოლო იმჟამად, XVIII საუკუნე-

ნის 80-იან წლებში, ავბედითი სინამდვილე სულ სხვა ქართველებით იმუქრებოდა.

სადღესასწაულო ნადიმ-ღრეობანი, პარაკლისები და ზარბაზნათა საზეიმო ბაგაბუვი ჩათავდა. „ტრაქტატის თაფლობის თვე“ გასრულდა და მაშინვე გამოირკვა, რომ რუსეთის იმპერატორიცა არც ისე „გატაცებით“ და „თავდავიწყებით“ აპირებდა ხელშეკრულების იმ პირობის შესრულებას, რისთვისაც ქართველები სამასი წელიწადი იხვეწებოდნენ „მომძე რუსეთის მფარველობაში აყვანას“ — ეკატერინე მეორე საომარი ძალებით საქართველოს დაცვისათვის არა ზრუნავდა. არადა, რუსეთ-საქართველოს კავშირით გამძვინვარებული მაჰმადიანური სამყარო ისევ ყოველის მხრიდან აღიძრა ქართული მიწა-წყლის სარბევად, საოხრებლად და საწიოკებლად. ისევ ანგარიში აღარ ჰქონდა თურქების, ლეკების, ყიზილბაში „ხანების“, „ბეგების“ თუ „ბაშების“ თავდასხმებს.

და, ბოლოს, 1795 წლის შავი სექტემბერი, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა, კრწანისის ტრაგედია!..

ერეკლე მეორე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რასაც ხელი მოაწერა — ვერ შეისრულა.

ეკატერინე მეორე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რასაც ხელი მოაწერა — არ შეასრულა.

მერე მოვიდა იმპერატორი პავლე პირველი და, რაზედაც ხელი არ მოუწერია — არც შეასრულა.

მერე მოვიდა იმპერატორი ალექსანდრე პირველი და რაზედაც ხელი თვითონ მოაწერა — ის შეასრულა.

ეს იყო მანიფესტი 1801 წლისა, მანიფესტი რუსეთთან საქართველოს შეერთებისა. იმპერატორი იუწყებოდა:

„არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიის გაფართოებისათვის ვღებულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს, არამედ მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და აღამიანობა გვიკარნახებს ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყრათ ტანჯულთა ვედრებას და მათი გლოვის გასაქარვებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელსაც შეეძლება განამტკიცოს მართლმსაჯულება, უზრუნველჰყოს პირადი და ქონებრივი უშიშროება და პიროვნების კანონისმიერი დაცვა“.

სიტყვადი აღთქმა სწორედ რომ დიდებული იყო.

მაგრამ შეეძლო კი რუსეთის ახალ, ძველებურად ფარისეველ იმპერატორს, მართლა აღესრულებინა ქართველი ხალხისათვის ის სიკეთენი, რაიც მთელი ათასი წლის მანძილზე საკუთარი რუსი ხალხისთვისაც ვერ შეუსრულებიათ ვერც ერთ მის წინარე „იმპერატორებს“, „ცარებს“, თუ „კნიაზებს“?!

რუსეთთან შეერთებით ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩა. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ეს იყო პირველი დიდი სიკეთე, რომელიც ტრაქტატმა მოუტანა საქართველოს. ქართველი ხალხი არა მარტო გადაარჩა, მან დაიბრუნა ადრე მტრის მიერ მიტაცებული მიწებიც. მაგრამ ისიც ცხადია, რომ რუსეთის იმპერია „ხალხთა საპყრობილე“ იყო და რუსი მონარქი თავის დიდ, „ხალხთა საპყრობილეში“ მოქცეულ ხალხს სისხლის საქცევად აღარ დაანებებდა აღარც სპარსელს, აღარც ოსმალოს, აღარც ლეკს და არავის, ამ ცისქვეშეთში.

ამას გარდა, ტრაქტატის წყალობით, რუსი და ქართველი ხალხები დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ქართველმა თვალნათლივ დაინახა მეგობრობის განუზომელი სიკეთე და ხალხებმა დაიწყეს ერთობლივი ბრძოლა მონარქიული წყობილების დასამხობად. ამ დიდ ბრძოლაში მხარში ედგნენ ერთიმეორეს რუსი და ქართველი, უკრაინელი და სომეხი, ბელორუსი და აზერბაიჯანელი, საუკეთესო შვილები ყველა ხალხისა, რომლებიც ცხოვრობდნენ იმპერიის ტერიტორიაზე. ოქტომბრის რევოლუციამ გადაშალა პირველი ფურცელი კაცობრიობის ახალი ისტორიისა და ამიერიდან ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ხალხმა დაიშვილდა თავისუფალი ცხოვრება. ოქტომბრის რევოლუციამ ყველაფერი აღადგინა და აღორძინა, რაიც მანამდე გულბოროტმა რომანოვებმა დამარხეს, დააკუბოვეს და დააქვესცნელეს. რუსი და ქართველი ხალხების მარადიული თანაცხოვრებისა და თანაარსებობის მაუწყებელი „მფარველობითი ტრაქტატი“ ახალი სუნთქვით, ახალი ფერისცვალებით წარუდგა ახალ სამყაროს.

მაშ, კახელმა მამულიშვილებმა დაიწყეს და საფუძველი ჩაუდგეს უდიდეს ზოგად-ქართულ სამომავლო-სანიშანსვეტო „სვლას“, უმძიმეს და უნეტარეს გოლგოთას, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ქართველი ხალხისათვის მარადიული არსე-

ბობის სრული იმედი უნდა დაემკვიდრებინა. დიახ, კახეთის გმირმა და დიდსულოვანმა შეილებმა დაიწყეს და განასრულეს ჯერ სამასწლოვანი ჯვარისმტვირთველობა, შემდგომ — ჯვარცმული საქართველოს ჯვარიდან „გარდამოხსნა“, ხოლო „აღდგომა“ და „ამალღება“ შემდგომ საუკუნეებს გადმოულოცეს ეროვნულ ანდერძად.

ამ ფიქრებით დატვირთული შევედივარ „კახურ გარემოცვაში“, შევედივარ ხელახლა მის „აღმოსაჩენად“. აკი კახეთის გზის დასაწყისშივე „აღმოჩნდა“ რომ სამომავლო „ბედი“ სრულიად საქართველოსა სწორედ კახეთის შეილებმა გადაწყვიტეს. სწორედ კახელ მამულიშვილთა სადიდებელ რეკვიემად ჩაგვესმის დღეს ნეტარ აკაკის ეს სიტყვანი: ქართველებმა „წმინდა ჯვარი ქრისტესი შეუბღალავათ მოიტანეს მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე და სასოებით გადასცეს ერთ-მორწმუნე ერს“.

„ერთ-მორწმუნე“, „ერთ-არსი“, „ერთ-აზრი“, „ერთ-გზისი“, „ერთ-გვარი“, „ერთ-ნაირი“, „ერთ-სისხლი“, „ერთ-პირი“, „ერთ-გული“... ძვირად, ძალიან ძვირად უღირს ქართველ კაცს ეს სიტყვები, ხშირად უშურველად, უანგარიშოდ გამეტებულნი, სამაგიეროდ ხშირადვე უმადლოდ და უფასურად გაცუდებულნი. ალბათ, ამიტომ გამორჩეული გააზრებით ეცნობა ქართველი მკითხველი რუსი ისტორიკოსის, ვასილ პოტტოს აღსარებას: „ჩვენი სამშობლოს საზღვრებში მოქცეულ ყველა ხალხთაგან, არსად არ მოიძებნება რუსი ადამიანისადმი ისეთი წრფელი და ძმური მეგობრობა, როგორც ქართველის ვაჟკაცურ გულში...“

აჰა, იორი, გინა მცირე ალაზანი, მერე უფრო შორს, აღმოსავლეთით, გაიგულისხმე დიდი ალაზანი. — და ამ ორ, „ალაზნურ წყალძარღვებზე“ ასხმული კახეთი, სიკეთით სავსე, ნაყოფმრავალი და ნაყოფმშვენიერი მესოპოტამია საქართველოსი — მარანი ღვინისა, ბელელი პურისა, მოლხინე ლხინისა, მოდგინე გულისა, მოცრემლე ჭირისა, მომტკიცე სულისა, გამზრდელი გმირისა, დამცველი სჯულისა.

ვერავეითარმა ქამთა სიავემ ვერ გამოხრა და ვერ გამოაშრო მისი მძლავრი ტანის სიმრთელე.

ჭეშმარიტად, — მიწიერი სისხლის მაგივრად ღმერთთა სისხლი — იქორი დაედინება კახეთის ძარღვებში.

საოცარია, ხომ პატარაა საქართველო, დედის თავსაფრის ყურივით პატარა, მაგრამ მის ერთ მეხუთედ ნაწილზე, კახეთზე, მაინც ვერასგზით ვერ გაიზარებ სიპატარავეს. ის კი არა და, მუდამ გავიძახით გამორჩეულად: დიდი ხარ, შენ, კახეთო, ძალიან დიდი! „დიდო ალაზნის მხარეთ!“...

ნინოწმინდა გამოჩნდა: მძლავრად, ყოვლის მომცველად ეუფლება სულს კახეთის ისტორია. ისევ ნეტარი აკაკის საოცარმა სიტყვამ იელვა, თელავში რომ წარმოთქვა, დიდი ჭადრის ქვეშ, პატრიოტული აღტკინებით გულადულებულ კახელთა სუფრაზე.

„ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზე ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენი წინაპრების ძვლებით არ იყოს დაპოხიერებული და მათის სისხლით დამბალი, — ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიღებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს და წვეთ ღვინოს ვერ ჩაველაპავეთ ისე, რომ შიგ ჩვენი გმირების სისხლიც არ ერიოს“.

ჭეშმარიტად, ნეტარო სულო: ავიღებთ ქართული პურის ნატეხს და წამსვე დაგვეუფლება ძახილი ჩვენი წინაპრებისა — „ესე არს ზორცი ჩვენი, თქვენთვის გაცემული!“.. ბვიღებთ ღვინოს და ისევ ძახილი გარდასულ სულთა — „ესე არს სისხლი ჩვენი, თქვენთვის დათხეული!“...

## მეღვა

თერძული კეთილი ვთერძოთ და თესლი სიმართლისა ვთესოთ.

ძველი ქართული მანუსკრიპტი

ეს სახელი სამი ათას ხუთასი წლისაა.

და ეს უძველესი და უგანთქმულესი სახელი ერქვა ქართველ ქალს, — ისტორიით და მითოლოგიით ცნობილ „პირველ ქართველ ქალს“. მეღვა — ასული კოლხეთის მეფის აიეტისა, მზის შვილიშვილი, სიმშვენიერით მზის ანათალი, აქიმი ბრძენი და ხელოვანი.

კოლხი მეღვა — უფრო ძველი და მსოფლიოში უფრო სახელგანთქმული, ვიდრე სახელნი სემირამიდა ასურელისა, ელე-

ნე სპარტელისა, ივლით ებრაელისა, ლუკრეცია რომაელისა, კლეოპატრა ეგვიპტელისა, ზენობია პალმირელისა და თეოდორა ბიზანტიელისა.

ქველმა ბერძნებმა — უზემოესი გონებისა და აზრის მეუფეებმა — მოიხსენიეს და მოკაზმეს პირველად მისი სახელიც და მისი მწარე წუთისოფელიც.

გოგონებს მაშინ, ხშირად აკვირიდნენ ფეხის გადმოდგმისთანავე ათხოვებდნენ. მაშინ, კი არა, აგერ, მეთორმეტე საუკუნის დამდეგს, დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებაში ჩააწერინა: ქალი თორმეტ წლამდე არ გაათხოვოთო! მაშ, უფრო უასაკოსაც ათხოვებდნენ და იმიტომ დასჭირვებია საქართველოს დიდ საჭეთმპყრობელს ქალის საქორწინო ასაკის ამნაირი დაკანონება.

ამიტომაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ მედგა თორმეტ-ცამეტი წლისა თუ იქნებოდა, როცა ის უცხო ჭაბუკი — ბერძენი იასონი — იხილა და შეუყვარდა. თანაც აქ სიტყვა „სიყვარული“ ნელ-ნელა, მორცხვად „ჩამოპარებული“ როდი გახლავთ, გუგულის კვერცხივით, არამედ აქ იგულისხმება ისეთი სიყვარული, როგორც დანტე იტყოდა — „რაც აბრუნებს შხეს და ვარსკვლავებს“.

და ასეთი სიყვარულის ქვეშ მოქცეულმა გოგონამ უკვე თავის ერთადერთ საფიქრალს, მიჯნურს და საქმროს, მამახელმწიფის დავალებაც აღასრულებინა, ოქროს საწმისიც მოატაცებინა და თავისი თავიც გაატაცებინა.

რასაკვირველია, სიყვარულით „წყალწაღებულ“ თორმეტ-ცამეტი წლის გოგონას არ შეეძლო წარმოედგინა, რომ ცხვრის ტყავის მოტაცება და საყვარელ ვაჟთან გაქცევა სამი ათას ხუთასი წლის შემდგომ ვინმე „რიგორისიტი პატრიოტებისგან“, არც მეტი არც ნაკლები, „სამშობლოს ღალატად“ ჩაითვლებოდა.

ეს კი აშკარა იყო, რომ სამშობლოს დაკარგვა, — როგორც ყველა სამშობლო-დაკარგულისთვის — მისთვისაც უმძიმესი ბიროვნული ტრაგედიის მიზეზი გამოდგა. აკი ასე ხდება ყოველთვის: სამშობლოდან გადახვეწილ ადამიანს სამშობლოშიც იფიწყებენ და სამშობლონაცვალშიც უნდო და უმადური თვალთ უცქერენ. მედეასაც ასე დაემართა: სანამ ბერძნებს მისი სიბრძნე და ხელოვნება სჭირდებოდათ, სრულად მოიხმარეს,

დახარჯეს, გამოსწურეს და მერე, როგორც უქმი და უმაქნისი, სანაგვეზე გადაგდება დაუპირეს. ქმარმაც უღალატა — სხვა ქალის (კორინთოს მეფის ასულის) შერთვა მოინდომა. მედეამ საცოლედ მოუკლა მოღალატე ქმარს. სამაგიეროდ მოკლულის ნათესავეებმა (კორინთელებმა) მედეას შვილები დაუხოცეს.

ათასი წელიწადი ასე იარა ამ ამბავმა. მერე, ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში, ევრიპიდემ დაწერა ტრაგედია „მედეა“, რომელშიც კორინთელები კი არა, კოლხი ქალი შვილებს თვითონ ხოცავს საკუთარ ხელით...

გრძელი ამბავია; ჩვენ კი ეს ორიოდ სიტყვა ვიკმაროთ.

მაშ, სამიათასხუთასწლოვანი თავგადასავლით მოაღწია ჩვენამდე ამ „პირველი ქართველი ქალის“ სახელმა. მის შემდგომ იყო მრავალი მედეა, ბევრიც „იყო და არა იყო რა“. ჩვენს თანამედროვეობაშიც ბევრი ქალი ატარებს მედეას სახელს. ერს ჰყავს არაერთი „ძლიერი მედეაც“.

მედეა ჯაფარიძე — მსახიობი;

მედეა ჩახავა — მსახიობი;

მედეა ამირანაშვილი — მომღერალი;

მედეა კახიძე — პოეტი;

მედეა მეზვრიშვილი — რაიკომის პირველი მდივანი.

მისი სამოქმედო ასპარეზი არის დღევანდელი საგარეჯოს რაიონი, ისტორიული გარეკახეთი, გინა — კუხეთი, გინა — გარეჯის „ქუეყანა“.

ამ ქალის სახელი ერთბაშად გამობრწყინდა ჩვენი ხალხის კულტურულ აზრსაბრუნავში. მე აქ სიტყვა „კულტურულს“ საგანგებოდ მივანიშნებ, რადგან ძნელზე ძნელია მაღალკულტურულ, მაღალგანვითარებულ და მაღალგანსწავლულ საზოგადოებაში რომელიმე მისი წევრის „განსაკუთრებულობისა“ და „გამორჩეულობის“ აღიარება. სწორედ აღიარებას ვგულისხმობ, სინდისებრივ აღიარებას და არა კონიუნქტურულ გამოცხადებას. ასეა რადგან ერთია — ავტორიტეტის გამოცხადება, მეორე და სავსებით სხვა — იმ ავტორიტეტის აღიარება (სინდისებრივი და არა მოჩვენებითი, სინდისგარეშე იძულებითი აღიარება).

ძველი შეგონება: როცა ალექსანდრე მაკედონელი ღმერთად გამოაცხადეს (ქრ. წ. 332 წელს, ეგვიპტეში) და ამის შესახებ საბერძნეთს აცნობეს, მაღალკულტურული ბერძნები იცი-

ნოდენ. დაე, იყოს ალექსანდრე ღმერთი, რაკი მას ასე მოე-  
სურვა და მოეპრიანაო...

ძნელია, ძალზე ძნელი კულტურულ ერში ეროვნული „გმი-  
რის“, „გენიოსის“, „კორიფევის“, „მოძღვარის“, „წმინდა-  
ნის“ სინდისებრივი აღიარება.

და საქართველო ამ მხრივაც „კლასიკურ ქვეყნად“ მეჩვენ-  
ება. საბუთად (დასაბუთების უბადლო სიჭარბით) მარტო წი-  
წამურზე გავარდნილი შხამიანი ტყვიის გახსენებაც კმარა...  
„ვინ ესროლა?“, „ვის ესროლა?“, „ვინ ასროლინა?“, „რად  
ასროლინა?“ — აი, „საკითხავნი“, რომელნიც მარად ჩაუძქრა-  
ლად ბოლავენ ყოველი დროის, ყოველი განზომილებისა და  
ყოველი სინდისის ქართველის ტვინში...

ამიტომ ქართველი ხალხისაგან მისი ისტორიის წიაღში  
აღიარებული ეროვნული „გმირები“, „წმინდანები“, „მოძღვარ-  
ნი“, სახელმწიფოებრივი და კულტურული „კორიფევეები“  
გაცილებით უმეტეს სიდიდეებად უნდა წარმოვიდგინოთ, ვიდ-  
რე აქამდე ჩვენს სამეცნიერო და მხატვრულ სიტყვიერებას  
„დაუდგენია“...

სანამ მედეა მეზვრიშვილის შესახებ მე რაიმეს მოგახსენებ-  
დეთ, მანამ სხვებს, ჩვენს რჩეულ და ღირსეულ თანამემამუ-  
ლებს მოვუსმინოთ და ამის შემდგომ ცალკეულად, სახელდე-  
ბითი მიკვლევებით განვიხილოთ და განვსაჯოთ „ნივთნი საქ-  
მეთანი“ (ეფრემ მცირეს ფორმულაა), ანუ რეალური ღვაწლ-  
მოსილებანი ერთი ჩვენებური ქალისა.

**ქსენია ივანიაშვილი**, რუსთავის ცემენტის ქარხნის ლაბო-  
რატორიის ინჟინერ-ქიმიკოსი, მედეას სკოლის ამხანაგი: „თუკი  
მართლა არსებობენ ყოვლისშემძლე ადამიანები, ერთი პირ-  
ველთაგანი მათ შორის არის ჩვენი მედიკო. ბავშვობიდან, მო-  
წაფეობიდან ვგრძნობდით მის განსაკუთრებულობას. ყოველ-  
თვის იყო პირველი — სწავლაში, შრომაში, საზოგადოებრივ  
საქმიანობაში. ტოლი არ ჰყავდა ამხანაგისადმი სიყვარულსა  
და თავდადებაში, საერთოდ კაცთმოყვარეობასა და სათნოე-  
ბაში“.

ნელი გურგენიძე, თბილისის კომიტეტის მდივანი: „მე იმა-  
ზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, რასაც დიდ ერისკაცთა ბედნიერი  
ცრემლები მეტყველებენ, — როგორ სტიროდნენ მედიკოსაგან

დაარსებულ გარეჯობაზე ილია ვეკუა, ნიკო კეცხოველი, ავ-  
ლიბი ზურაბაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვახტანგ ბერიძე,  
არჩილ გელოვანი... თუმცა, გელოვანი ჭერ ცეკვავდა, მერე  
ტიროდა“...

**გიორგი ნატროშვილი**, მწერალი: „მეზვრიშვილობა საარა-  
კო მოვლენად იქცა. მეტი რალა უნდა „დაახასიათო“, — რაი-  
კომის მდივანი მისგანვე განახლებული და აღორძინებული  
გარეჯის ცაზე აფენს ღალადისს: „ღმერთო, სამშობლო მიცო-  
ცხლე!“..

**გუგული ქადეიშვილი**, ჩაის კრეფის დიდოსტატი, სოცია-  
ლისტური შრომის გმირი: „მედლა მეზვრიშვილის ნამოღვაწევი  
რომ ვიხილე, დიდხანს აღარც თვალს ვუჭერებდი და აღარც  
ყურს. ყველაზე უფრო ის მეამაყება, რომ ჩემმა ჭილაგმა —  
ქალმა შეძლო ამდენი საქმის გაკეთება. რა ვქნა, არ მინდოდა  
სამოცზე მეტი რაიკომის მდივნის „გადაკიდება“ (იქნებ, კიდე-  
ვაც მაპატიონ დიდსულოვნებით), მაგრამ მაინც უნდა ვთქვა:  
მედლა მეზვრიშვილი „ყველაზე პირველი“ რაიკომის მდივანია“.

**თინა დონუაშვილი**, ქართველ მწერალთა ოთარაანთ ქვრი-  
ვი: „მედლა მეზვრიშვილი დიდი მოვლენაა. ეს ქალი, — სიტყვა-  
ძუნწი, დინჯი, გარეგნულად აღუშფოთებელი, შინაგანად  
მშვილდღვით მოზიდული, ხალხის საკეთილდღეო სიახლის მა-  
ძიებელი, ხვალინდელისკენ შეუკავებლად წინმსწრაფი — პირ-  
დაპირ ეროვნულ სასწაულებს ახდენს“.

**გურამ მგელაძე**, სოციალისტური შრომის გმირი, აბაშის  
რაიკომის პირველი მდივანი: „საქართველოს ისტორიის კარიბ-  
ჭესთან იდგა კოლხი მედლა, ხოლო ჩვენი თანამედროვეობის  
მშვენება გახდა კახი მედლა. ეს არის ქალი, ჭეშმარიტი ქალის  
მგრძნობიარე გულით და ჭეშმარიტი ვაჟკაცისათვის შესაშური  
სიბრძნით, სიმტკიცით და სიმამაცით. ჩემი სიცოცხლის უბედ-  
ნიერეს წუთად მიმაჩნია წუთი, როდესაც, მოსკოვიდან სო-  
ციალისტური შრომის გმირის ტიტულით დაბრუნებული ჩვენმა  
ეროვნულმა გმირმა-ქალმა თავის მშობლიურ კახურ ნაბადში  
გამხვია“.

**ნატა უსტიაშვილი**, მასწავლებელი: „ოთხი წელი ვხელ-  
მძღვანელობდი იმ კლასს, რომელშიც სწავლობდა მედიკო  
მეზვრიშვილი. ამ ხნის მანძილზე იგი იყო ამ კლასის უცვლელი  
და უბადლო ორგანიზატორი, მაშინვე გასაოცარი იყო მისი

გონების გამჭრიახობა, ინიციატივისა და ნოვატორობის უნარი. ომის წლებში ლუკმას პირში არ ჩაიდებდა, თუ ლუკმის პირველ ნატეხს ამხანაგს არ მიაწოდებდა, ხილი რომ ხილია, მაჟალოს ერთი ვაშლიც რომ ჰქონოდა, ისიც ამხანაგისთვის უნდა გაენაწილებინა. ერთი უპატრონო ბავშვი მთელი ზამთარი ზურგით მოჰყავდა სკოლაში, — ფეხსაცმელები არ უვარგა და თოვლში როგორ უნდა იაროსო, ცოდოაო... მერე, დრომ გაირბინა და ახლა, მედეა, რაიკომის მდივანი, მანქანით მიდის, გზაზე ფეხით მიმავალ, მძიმედ დატვირთულ ქალს მანქანაში სვამს, სახლში მიჰყავს, ნახა, რომ ქალს უვარგისი ბინა ჰქონდა, რაიკომის მდივანმა ახალი ბინა გამოუნახა და შიგ შეასახლა. მე ვნახე ის ქალი, გაოგნებული მეუბნებოდა: ბავშვობაში გამიგია, ადამიანს სიცოცხლეში ერთხელ წამით ცა გაეხსნება და ნატერა თუ მოასწარი, უეჭველად ის ნატერა აგისრულდებაო, მეც ალბათ იმ დღეს გამეხსნა ცა, ნატერა ვერ მოვასწარი, მაგრამ ბედნიერებას კი მოვესწარიო, თვითონ მედიკოს ბედნიერება კი სწორედ ეს არის, როგორმე სხვას მინიჭოს სიხარული და ბედნიერება. ემრავლოთ ჩვენს მასწავლებლებს ასეთი მოსწავლეები, ჩვენს საზოგადოებას კი ასეთი პიროვნებები!“

**დავით ჭაბიძე**, საბჭოთა კავშირის გმირი: „ჩვენს ოჯახში მედიკოს სახელზე ისე ლოცულობენ, როგორც მთელს საქართველოში. მარტო საგარეჯოს რაიონში კი არა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც, რაიმე უსამართლობით გამწარებული კაცი იმას კი აღარ იძახის შევარდნაძესთან გიჩივლებ, არამედ — მეზვრიშვილთან გიჩივლებო. ანეკდოტიც რომ იყოს, მაინც ძალზე სიმბტომატიურია ამნაირი ნათქვამი“.

**რეზო მიქელაძე**, ფერეიდნელი ქართველი: „მე ვნატრობ, მეზვრიშვილობა ისწავლოს მთელმა საქართველომ. ვერც კი ვბედავ მედეას შექებას: მეშინია მტერმა არ შეიტყოს, რომ სალოცავ საქართველოს ამისთანა შვილი ჰყავს“.

**ვაჟა ოკუჩავა**, აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი: „ახლა ბიოლოგიურ მეცნიერებაში ბევრს მსჯელობენ ფერმენტზე, რომლის სახელია ლუციფერაზა, რომელიც წარმოდგენილი ყოფილა... ციცინათელაში! ამ აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ციცინათელასეული ლუციფერაზა გამოირჩევა დიდი აქტი-

ვობით და იგი ფართოდ უნდა დაინერგოს მთელ რიგ ბიოქიმიურ რეაქციათა წარმოების სფეროში. ალბათ, საინტერესოდ უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ლუციფერაზა განსაკუთრებით სუფთა და აქტიური აღმოჩნდა საქართველოს ციკინათელეებში. და, როცა მე გარეჯის უდაბნოებში მედღეა მეზვრიშვილის საოცრად ნაყოფიერი სამამულიშვილო ნამოღვაწარი მიმოვიხილე, ჩემთვის ვიხუმრე ხუმრობის გარეშე: ალბათ, აქაური, „გარეჯელი ციკინათელეები“ მსოფლიოში უაქტიურესი და უსპეტაკესი ლუციფერაზას მატარებელნი იქნებიან-მეთქი“...

ახლა რამდენიმე წერილსაც გავეცნოთ:

„ღრმად პატივცემულო და მუდამ ძვირფასო ქალბატონო მედიკო!

ნება მომეცით სულითა და გულით, კეთილი გრძნობებით გადმოგცეთ ჩემი აღტაცება, აღფრთოვანება და კმაყოფილება თქვენი ასეთი დიდი პატრიოტული, გულწრფელი, ეროვნული ქართული მოღვაწეობისათვის.

თქვენთან ყოფნისას, გარეჯობის დღეს მე გახლდით შებყრობილი ორი მოწინააღმდეგე, მოპირდაპირე სულიერი განცდებით, მხედველობაში მაქვს — ცრემლი და სიხარული. ცრემლი ეხებოდა ჩვენი ისტორიული წარსულის ტანჯვასა და უბედურებას, ხოლო სიხარული — ეს იყო ის დიდი საზეიმო ვითარება, რომელსაც განიცდიდა ჩვენი საზოგადოება: დიდბატარა.

ცხადია, ასეთი ისტორიული საქმის განხორციელების ავტორი და სულისჩამდგმელი ბრძანდება ღრმად პატივცემული ბატონი ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ აქვე უნდა დავსძინო, რომ დაუფასებელია თქვენი ესოდენ დიდი დამსახურება, — თქვენ გააცოცხლეთ დავით გარეჯის დიადი კომპლექსები.

მე მესამედ ვესწრები ამ დიდ სახალხო ზეიმს, რომელმაც მიიღო ბრწყინვალე და ფაქიზი ტრადიციის ხასიათი.

თქვენ, ქალბატონო მედიკო, გააცოცხლეთ ქართული სტუმართმოყვარეობა და ბევრი ძველი კარგი შრომითი მაგალითები აჩვენეთ ჩვენს ახალგაზრდობას.

ვიქნები გულახდილი, ჩემთვის ძლიერ სასიამოვნო იყო, რომ 53 წლის შემდგომ კევრზე ხელახლა შევედგი ფეხი: ეს იყო ჩემი სიხარულიც და სიხარულის გოდებაც.

მე მინდა თქვენს რაიონს, ჩემი მშობლიური შიბლიანის რაიონს, ე. ი. შილიანად საგარეჯოელებს თქვენი ხელმძღვანელობით ვუსურვო დიდი და დიდი გამარჯვებანი სინდისიერ გარჯაში და სინდისიერ ოფლში.

გთხოვთ გააგრძელოთ ეს მაღალი ტრადიციები, რაც იქნება მაგალითი აგრეთვე სხვა რაიონებისთვისაც.

სულ გაგიმარჯოთ, ხულ გაიხარეთ...

კიდევ და კიდევ თქვენი ავლიბი ზურაბაშვილი“.

. . . . .

„თქვენ, მედია მეზვრიშვილს, საზოგადო მოღვაწეს, სოფლის ცხოვრების გულს, მოგმართავთ შიშით და მორიდებით... კარგად ვიცი, ადამიანობა და ადამიანის ღვაწლი თანამდებობით არ განიზომება. თქვენი ცხოვრება სანთელია, რომელიც თვითონ იწვის და სხვას გზას უნათებს... მომილოცნია ახალი 1981 წელი. მესმის თქვენი სახელი და თითქოს ძალიან ახლობელი ადამიანი, თითქოს დიდი ხნის წინათ დაკარგული მშობელი ან დედამამიშვილი მიხსენეს. უდაბნოში ქართული კერის გამჩალებლო, მაცოცხლებელი წყალის მომყვანო, დაკარგული შვილების დამბრუნებლო, გზაარეული ადამიანების გზაზე დამყენებლო... შენი სურათი ამოვკერი გაზეთიდან და სასოებით ვინახავ, გხედავ ტელევიზიაში და ვლოცულობ შენს სახელზე. თქვენთან ერთად დაუსწრებლად ვმოგზაურობ თქვენგან აშენებულ ახალ სოფლებში. მიმოწერა მაქვს საზოგადოების გამოჩენილ ადამიანებთან, მწერლებთან, ერისკაცებთან. პირადი ნაცნობობა მაქვს ირაკლი აბაშიძესთან, ნოდარ ღუმბაძესთან. ბედნიერება მქონდა ჩემი ოჯახის სტუმარი ყოფილიყო იოსებ ნონეშვილი. მქონდა მიმოწერა ფორე მოსულიშვილის დედასთან. დაუსწრებლად ვმოგზაურობ ქართლ-კახეთის მიწაზე. სინამდვილეში საქართველო რომ შემოვიარო, მაშინ მართლა ნატვრამესრულებული ქალი ვიქნებოდი და მშვიდად მოვკვდებოდი, ჯავრი აღარ წამყვებოდა — მე ქართველმა საქართველო ვერ მოვიარე-მეთქი... ამ წერილს რომ გწერთ, ცოტა კიდევაც მეშინია, არავინ გაიგოს და არ გავილანძლო, — ვისთან გაბედვ წერილის მიწერაო, შენთვის ვის სცალიაო, — ან საქვეყნოდ არ გამომაცხადონ-მეთქი... ამ წერილს რომ მიიღებთ, ვერ დამინახავთ, მაგრამ ისე კი მიხვდებ-

ბით, ძალიან რომ მრცხვენია... გწერთ ნათელა ღუმბაძე“ (ხელ  
ვაჩაურის რაიონი, სოფელი ზედა თხილნარი).

„თელაველთა, საგარეჯოელთა, ყველა გაჭირვებულ ქართ-  
ველთა პატრონო და იმედო, ჩემო კარგო და საყვარელო მე-  
დიკო! გილოცავ გაზაფხულის მშვენიერ დღესასწაულს! უზო-  
მოდ ბედნიერი ვარ, როცა შენი ეროვნული გამარჯვების შე-  
სახებ მესმის. ყოველთვის მეცოცხლოს შენი ბედნიერებით.  
დიდხანს იცოცხლე ხალხის ამაგდარო, ერის დედა სვეტო!  
გკოცნი მარად ქამს, შენი თაყვანისმცემელი ფლორა თარხნი-  
შვილი“.

„დიდად პატივცემულო ქალბატონო მედიკო! ჩემთვის კარ-  
გა ხანია ცნობილია თქვენი თავდადებული ზრუნვა ქართველი  
ერის წარსულის ძეგლებისადმი (ნინოწმინდა, დავით გარეჯი,  
ჩაილურის ციხე, უფრო აღრე თეთრიწყლების სამაროვანი,  
საგარეჯო და სხვა). ყოველივე ამასთან დაკავშირებით არ შე-  
მიძლია არ გამოვთქვა ის დიდი აღტაცება, რომელიც მე და  
ეტყობა ყველა ერიშვილს ეუფლება თქვენი საქმიანობის გა-  
ცნობისას. მე მინდა ჩემ ერს ყოველ ახალ წელს ვუსურვო  
თქვენი მსგავსი შვილების მომრავლება. ვფიქრობ, ეს მისი  
ყველაზე დიდი დალოცვა იქნება. ცხადია თქვენც ყოვე-  
ლივე საუკეთესოს გისურვებთ, გისურვებთ ყველა თქვენი მიზ-  
ნის მიღწევას. მუდამ მიგულეთ თქვენ გვერდით მეგობრად  
და თანამზრახველად, ვინაიდან დარწმუნებული ვარ ყველა  
თქვენი ქმედება საერთო დიდ ეროვნულ მიზანს ემსახურება.  
უღრმესი პატივისცემით და მოწიწებით — კიაზო ფიცხელაუ-  
რი“ (პროფესორი, გარეჯის არქეოლოგიური ექსპედიციის მე-  
თაური).

„სალამი პატივცემულ მედიკოს, ქენიასაგანი ვიღებ ხელში  
კალამს და ბატარა საინგილოდან გიგზავნი გულთბილ სალამს.  
გისურვებ ყველა კარგს ყველა თქვენი კარგის მსურველებთან  
ერთად. პატივცემულო მედიკო, მე ძალიან გამიხარდა, რომ  
თქვენ დაგაწინავეს და პატივცემულ თანამდებობაზე მუშაობთ.  
ჩემმა ბიძაშვილმა მითხრა თქვენი ვინაობა... ჩემი ამბავს თუ  
მოიკითხავთ, მე საინგილოში გმუშაობ ექთანად. გავთხოვდი

და ხუთი შვილის დედა ვარ. თქვენ რომ ძალიან მიყვარდით, ჩემს ქალიშვილს შენი პატივცემული სახელი დაგარქვი და ყოველთვის ვიძახი ამ სახელს. თქვენი პატივისცემა არც მე მაგიწყდება და არც მთელ ქართველობას. ვეცდები მალე გინახულოთ. მეტი რაღა შეგაწუხოთ... მოკითხვას გითვლიან ჩემი მშობლები, დები და შვილები. მშვიდობით შორიდან ხელის ჩამორთმევით. გწერთ შენია ოთარაშვილი საინგილოდან“.

„პატივცემულო მედეა! მოხდა ისე, რომ გუშინწინ, 14-ში, მე და ჩემმა მეგობრებმა (თუმცა დიდი სურვილი გვქონდა), თქვენს წინაშე ვერ გამოვხატეთ ჩვენი დიდი აღტაცება ყოველივე იმით, რაც ვნახეთ, რაც განვიცადეთ. ეს იმან გამოიწვია, რომ ჩემი მეგობრების უმეტესობა პირველად იყო უდაბნოში, ყველაფრის ნახვა სურდათ, ყველაფერთან ხანგრძლივად უნდოდათ დარჩენა, მერე ნაადრევად დაგვაწყებინეს ამ ამბების დალოცვა, და ცოტა ზედმეტად აღგზნებულები მოვერიდეთ დიდ, დაწყობილ თავყრილობას. სამაგიეროდ დალოცვა გაგრძელდა თბილისშიც. ამ წერილსაც ერთობლივი მოთხოვნით გწერთ. იცოცხლეთ და იხარეთ! თქვენი დიდი გული, თქვენი დიდი ენერჯია კვლავაც მრავალჯერ ახარებდეს ჩვენს ხალხს. მე მინახავს იგი ბევრი რაიმით კმაყოფილი, მაგრამ არაფერს შევსწრებივარ მსგავსს, რაც გამოიწვია თუნდაც მარტო უზარმაზარ ნახნავზე გადაჭიმულმა წარწერამ, — „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“ ვუყურებდით და სიხარულის ცრემლებს ვერ ვიკავებდით ვერცერთი. ამ სიხარულით ვყიყინობდით მთელ დღეს, ამ სიხარულის ცრემლებით ვილოცებოდით გვიანლამემდე, ვლოცავდით ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, გლოცავდით თქვენ — ესოდენ ჰკვიანს და შემძლეს. გამარჯვებით გველოთ ყოველთვის და ყველგან, ჩვენო ძვირფასო დაო და დიდო მამულიშვილო! გფარავდეთ სამშობლოს მადლი! უღრმესი სიხარულით — რეზო ინანიშვილი“.

„ბედაგოგი ვარ პროფესიით... გავიდა წლები და აი, მოვიდა სიხარული! გარეჯი აღსდგა! განახლდა საქართველოს ერთი მთავარი, აქამდე დამიწებული საძირკველი!.. მაპატიეთ შინაურული წერილისათვის, მაგრამ ვერ მოვერიე თავს, ვერ

გაგაჩუმე დიდებული ზეიმის ნახვით გახარებული გულნი...  
იცოცხლეთ, იხარეთ, გაივსეთ ენერგიით, რომ კვლავაც ბევრი  
სასიკეთო გეკეთებინოთ თქვენი მშობლიური ქვეყნისთვის და  
ხალხისთვის. ამ ატომ-ნეიტრონობიას ერაში, თუ კაცობრიო-  
ბას კვლავ უწერია არსებობა, დიდი მოწიწებითა და მადლო-  
ბით მოგიხსენებთ მომავალი შთამომავლობა თქვენ, ჩვენო  
ეროვნულთ თავკაცო, ჩვენო ქალთა შორის რჩეულო, ქალ-  
ბატონო მედიკო!.. მარგარიტა გოგნიაშვილი. სოფელი ხაშში“.

„ჩვენო სასიქადულო ქართველო ქალო, ქალბატონო მე-  
დიკო! გამარჯობათ! გლოცავთ ბრწყინვალე მამულიშვილურ-  
სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის! შვილო ჩემო (არ გე-  
წყინოთ ეს მომართვა), ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მსურდა  
თქვენი შეწუხება ბარათით, მაგრამ ვერ ვებედავდი. მაგრამ,  
როცა შენგან სულჩადგმული „გარეჯობა“ ვიხილე, კალამს რაღა  
დამიყენებდა. ღმერთო ჩემო, რა სასწაულებს ახდენს ეს  
ქალი! დიდება თქვენს ხელმძღვანელობას და მოღვაწეობას!  
შაბაშ ქალსა, შაბაშ გარეჯს, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი ქეშ-  
მარიტად თქვენ შეგიძლიათ გაიმეოროთ ძველქართულად თქმუ-  
ლი: „მე ვცოცხლობ და ვცხოვრობ, არა მხოლოდ მობაყვად  
ვჯდე და ვსვა და ვჭამო, არამედ აღვასრულო ვალი და წადი-  
ლი მომავლინებლთა ჩემთა, რამეთუ განზრახვანი ჩემნი ილ-  
ტვიან მოყვასთათვის ჩემთა“. გარეჯის უდაბნო ილაღ-  
დებს ამას!.. ჩვენო მედეა, ჩვენო გმირო, იყავით გაუხუ-  
ნარი სიმტკიცით! ამინ!.. თქვენი დავით კირვალიძე“ (საქარ-  
თველოს დამსახურებული მასწავლებელი, თელავი).

„ჩემო მედიკო! უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა — ყველას  
მედიკო!.. ეს იმიტომ, რომ წლების მანძილზე დაუშურებლად  
არიგებ შენი გულის სითბოს, შენს დიდ ადამიანურ ყურადღე-  
ბას და სხივი არ გაკლდება, პირიქით, უფრო და უფრო სა-  
სურველი, უფრო და უფრო საყვარელი ხდები ყველასათ-  
ვის. რაღა შეგვიძლია, რაღა დაგვრჩენია გისურვოთ ამის შემ-  
დეგ, როცა თან გდევს ყველაზე სანუკვარი ადამიანური ჯილ-  
დო — საყოველთაო აღიარება და სიყვარული! მარტო ისღა,  
რომ მადლობა მოგიხადოთ, რომ ამ ქვეყნად მოხვედი, ილწვი-  
შრომობ, ცხოვრობ ქვეყნისთვის, ადამიანებისთვის, რომ შენ!

სიცოცხლეს უდიდეს ღირსებად თან სდევს სასიქადულო მამულიშვილობა და ოდითგანვე ნაჭები ქართველქალობა. ვენახი ხარ, კახური ზვარი, გკრეფავთ, გკრეფავთ და ვერ გამოგლიეთ!.. იმზეგრძელე, იხარე, ოღონდ გთხოვ, გემუდარები — სულ ცოტა მაინც გაიმეტო საკუთარი თავისთვის, სულ პატარა პირადი ადამიანური ბედნიერება მაინც... მაგრად გეხვევი და ფეხქვეშ გიფენ გაზაფხულის მინდვრის ათასგვარ ყვავილეს! პატივისცემით და სიყვარულით — ნუნუ მატარაძე“ (თელავის აღმასკომის მდივანი).

„პატივცემულო მედეა არჩილის ასულო! შორეულ ციმბირში, პატარა მდინარე ნიას სანაპიროზე საქართველოდან მოვიდა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. მასში ჩემი საყვარელი შწერალი ქალის, თინა დონეაშვილის, ნარკვევი იყო გამოქვეყნებული. დიდი ინტერესით დავიწყე მისი კითხვა. ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან ნარკვევი თქვენს შესახებ იყო დაწერილი, თქვენ კი ჩემთვის ძალიან საყვარელი ადამიანი ბრძანდებით. ამ ნარკვევის ყოველი სიტყვა ბაჯალლო ოქროდ ღირებული სიმართლე იყო... არაფერს ვინატრებდი ბევრს, ვინატრებ მხოლოდ თქვენისთანები არ მოუშალოს ღმერთმა ჩვენს სათაყვანო საქართველოს!.. შორეული ციმბირიდან გეხვევით და გკოცნით დედაშვილური სიყვარულით. თქვენი უღრმესი პატივისმცემელი ნანა შიოშვილი, ნია-გრუზინსკაია“.

„ქალბატონ მედიკო მეზვრიშვილს, დაკარგული ქალისგანს ძვირფასო ქალო, სამშობლოს შვილო, ნეტავი შენ რომ სამშობლოში ხარ, რომ დედულეთის მზეს შესცქერიხარ, რომ საქართველოს სურნელით სტკბები, რომ კახეთის ერთგული შვილი ხარ. ვინ ვარ და რა მინდა? რატომ გაწუხებ, რატომ შემოგნატრი, რატომ ესტირეივარ? სამშობლო ჩემი საქართველოა და მე უცხო მიწაზე უნდა მოგვედე, დედაჩემი მანდ არის და მე აქ ობოლი ვარ, აღარ მიტირებს დედის ცრემლები, ვეღარც მე ვიტირებ დედას. ქმარ-შვილის სიყვარულმა შემაცდინა, გადამრია, დამატოვებინა სამშობლო ჩემი და გადამკარგა უცხო მიწაზე, ცეცხლსა და ვარამში. ჩემი ბიოგრაფია და ამბავი ყოველმა ადამიანმა იცის თელავში. ძნელია ჩემი

სიცოცხლე, როცა სამშობლოდან შორს ვარ, გაწამებული, ვარამ-შეყრილი. ჩემი ქვეყანა განუმეორებელი აღმოჩნდა მთელს მსოფლიოში. დავკარგე მშვიდობა, წაეაწყდი ომს და ცეცხლს. დავკარგე სიცოცხლე, სიხალისე, ახალგაზრდობა, — ყველაფერი ეს სამშობლოში დამრჩა. არა, მე არ ვყოფილვარ სამშობლოს მოღალატე, მე მხოლოდ გზააბნეულმა ოჯახმა დამატოვებინა დედა და სამშობლო. მეუღლეც ახლა თვითონ სწუხს თავის შავ საქციელზე. ვიცი, მაინც დამნაშავე ვარ ყველა თქვენგანის წინაშე, დედისა და სამშობლოს წინაშე. ჩემი დანაშაული არასაპატიოა, განუმეორებელია, ყოვლად-დაუშვებელია. სამშობლოს დაშორებისთანავე მე მივხვდი ჩემს ქცევას, მაგრამ უკვე გვიან იყო. გვიან იყო მაშინაც, როცა ვენაში ცხარე ცრემლით ვიღვრებოდით მე და ჩემი მეუღლე, სხვა ათასეულ ხალხში, და მაშინ უკვე მივხვდით, რომ გაყიდულები ვიყავით, როგორც პირუტყვები. შეგვიტყუეს სიონისტებმა თავიანთ წრეში და როცა ხედავენ, რომ ჩვენ არ მოგვწონს მათი წყობა, ჩვენ ვერ ვეგუებით მათ, — ახლა ვძულვართ და დაგვცინიან მოტყუებულებს, მიწასთან გასწორებულებს. ჩემი სამშობლო საქართველოა, მე ქართული ვიცი და ჩემს შვილებსაც ქართული უნდა ვასწავლო, და თუ ველირსე საბჭოთა მიწაზე დავდგა ფეხი, მაშინ ვიტყვი, რომ ახლად დავიბადე, ახლად ავიდგი ფეხი და ახალფეხადგმულივით წავექცევი და ვაკოცებ მას, რომ უფრო კარგად გავიგო, შევიგრძნო სამშობლოს სურნელი, სიყვარული, სიფიანდაზე. ქალო ქართველო, ნუ გამიწყრები თუ ამდენიც შემოგბედე ესოდენ პატივცემულს, ხალხში დაფასებულს. მაგრამ ძნელია ასე მიჭირდეს და არ მივმართო ჩემს ახლობელს. აქ მე ახლობელი არავინ გამაჩნია და მოგმართავთ ჩემი მიწა-წყლის ხალხს, ჩემი დედუღეთის ადამიანებს, ჩემი სამშობლოს შვილებს. გთხოვთ ალძრათ შუამდგომლობა მოქმედ ორგანოებთან და დამაბრუნოთ ჩემს სამშობლოში, ჩემი უბედური, ყოვლად მოტყუებული მეუღლით და ჩემი, ჩემგან დაღუპული პატარა შვილებით. სამშობლოვ ჩემო! მაპატივე, დამნაშავე ვარ და ძალიანაც. შეიბრალე პატარები ჩემები. ნუ აჩვენებ ომის ქარცეცხლს, ნუ აჩვენებ გაჭირვებას, ნუ დაღუპავ, ნუ დასწვავ ომის ცეცხლში. ძვირფასო მედიკო, მაპატივე, გამიგე როგორც ქალმა ქალს, შვილმა დედისამ!.. ვამთავრებ ჩემს თხოვნის ბარათს

და კიდევ ბევრჯერ გემუდარებით მიშველოთ, დამიხსნათ ურჩხულის კლანჭებიდან! თქვენ ხომ ყველაფრის შემძლე ხართ!.. ცისანა ივანეს ასული ჯიოევა, ისრაელიდან“.

„მთელი დღეები სულ გადავებრუნე მთელი ჩემი „საუნჯე“, — თითქოს რაღაც მეგულეობდა, თითქოს ვიღაც მეგულეობდა, მაგრამ ამოოდ. დიახ, ამოოდ, არავინ, სრულებით არავინ არ ყოფილა. და ერთხელ კიდევ აღმოჩნდა, რომ თვისტომთა შორის უთვისტომოდ დავრჩენილვარ. მინდოდა ერთხელ კიდევ შევკითხვოდი საკუთარ თავს, — რატომ მოხდა ასე? რისთვის ხდება ასე? მაგრამ მეყოფა გულისტკენა და აღარ მინდა გადავიხედო წარსულში. ეს ხომ მძიმეა და გამაგიჟებელი. რა იყო, რა გიკვირთ, რა არის რომ გაოცდით. ეგების იტყვი, რა თავხედი ადამიანი ყოფილხართო. არა, ეს თქვენ არ უნდა თქვათ არასოდეს და არავითარ შემთხვევაში, თუნდაც იმიტომ, რომ ოქტომბერია, ის ოქტომბერი, რომელმაც ბევრს, ძალიან ბევრს, მოუტანა ბედნიერება და მათ შორის თქვენც. მაშ, აი ამ ბედნიერების რიდით და ჩემი უბედურების პატივით, ნუ შეეხებით ადამიანობას ჩემსას და ნუ გამოგებთ ცუდად. მითხარით, დამპირდით, რომ არ გამლანძღავთ, არ გამომთათხავთ... არ იფიქროთ, რომ მე ვიყო კოსმონავტი, ყამირის გმირი და ა. შ. პირიქით, უბედურება ის არის, რომ მე ტუსადი ვარ და მეტი არაფერი. მაგრამ მთელი ბედნიერება იმაშია, რომ ძალიან გამახარა და დამაინტერესა, იმან, რომ ხშირად გზვდებით ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ამდენი წარმატებებით, ამდენი ჯილდოებით და ჩემს თავს დავუსვი კითხვა, — რა არის წყარო ამ მიღწევებისა, სად არის მათი სათავეები, მაგრამ ამოოდ, — ვერ იქნა და ვერ ამოვხსენი. ეგების თქვენ დამეხმაროთ, ეგების მიპასუხოთ, რამდენი ნაბიჯია უბედურებიდან ბედნიერებამდის, ანდა პირიქით. ვინ იცის, იქნებ თქვენი სიტყვა სანთელ-საკმელად წაადგეს მომეაღალს ჩემსას, რომელიც სადღაც შორს, ძალზე შორს ბეუტავს და ქრება. ცუდი და ძნელია უიმედობა, ძალიან ძნელია; ეს თქვენ არსოდეს არ გამოგიცდიათ და ღმერთმა ნურც გამოგაციდევინოთ... აი, როგორც ხედავთ, არც ისე თავხედი ვყოფილვარ, არა, მაგრამ მითხარით — რა ვუთხრა ცხოვრებიდან მოკვეთილ და დაკარგულ წლებს? რატომ აეწყო ასე

ჩემი ცხოვრება? არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ თეთრდება ახალ  
გაზრდობა ჩემი... მბაბტიეთ, შემიხედეთ. გილოცავთ ოქტომ-  
ბერს და კიდევ აი რას გეტყვით:

ჩემგანაც მიიღეთ ქართული სალამი,  
გველოს და გეთელის გზა მძიმე სავალი,  
სიცოცხლის წყურვილით მთვრალია მრავალი,  
ვის ელის მერმისი და შთამომავალი.  
ეს ჩემი გულია, რომ გზვდება კეთილად,  
თუ სალამურია სათუთად გათლილი?  
ჩემთვისაც ღიმილით თენდება ეს დღია,  
შორს დასათვლელი და დღემდისაც დათვლილი.  
გზა გებედნიეროს ველიდან ველამდის,  
არ აკლდეს იმედი ნაბიჯსა, თუ ხმასა,  
გეთქვას და უქრობი ცეცხლივით ელავდეს  
სიცოცხლის დიდება და „მუმლი-მუნხასა“.  
მიიღე ჩემგანაც სალამი ქართული,  
გველოს და გეთელის გზა მძიმე სავალი,  
ყოველთვის გილოცავდეს ოცნებით გართული  
მამული, მერმისი და შთამომავალი

ტ. დ. 1966 წელი, ღამე“.

ბოლოს, ამონაწერი VIII კლასის მოსწავლის, ზურაბ ოდი-  
კაძის საკონტროლო შრომიდან — „არის სოფელში, ზრუნავს  
სოფლისთვის“: „...გონების თვალთ შევხარი ჩვენი დიდებული  
წინაპრების გასაოცარ უამრავ გმირობას და სამშობლოსათვის  
თავდადებას, მაგრამ ჩემი ცხოვრების იდეალი მაინც ჩვენს  
დღევანდელ ცხოვრებაში მეგულება. ეს არის ქართველი ქალი,  
ჩვენი რაიონის რაიკომის პირველი მდივანი, დიდი მოღვაწე და  
მამულიშვილი, პატივცემული მედეა მეზვრიშვილი... რაც ხსოვ-  
ნა მაქვს, ყველგან და ყველასაგან, შინ და გარეთ, მისი ქება-  
დიდება მესმის. მეც ხომ ჩემი თვალთ ვხედავ ამ ზღაპრული  
ადამიანის ყოველდღიურ დაუცხრომელ საქმიანობას“...

მდიდარ, დოვლათიან ქართულ ონომასტიკონში ხშირია  
ისეთი გვარები, რომელთა გახსენება სასიამოვნო გზნებით  
შეაქრობს ადამიანის სულს. სწორედ ამნაირ „საამურ გვარ-  
თა“ რიგს განეკუთვნება გვარი — „მეზვრიშვილი“, ვინაიდან  
მისი ძირი არის „ზვარი“ — ვენახი, ვაზი, „მეზვრე“ — მევე-

ნაზე, სათაყვანო და საარსებო ცნებანი ქართველი კაციშვილისა.

ვაზისა და ზვარ-ვენახის კულტურის მიგნებამდე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კაცობრიობა სრულიად უცემური, უქმური, უხალისო და „უქეიფო“ ცხოვრებით ცხოვრობდა. საკაცობრიო ფორმულა — „პური ჩვენი არსობისა“ — ადამიანის მართო სხეულებრივი არსებობის კვინტესენციას წარმოადგენს და იგი შეიძლება ასედაც „დაზუსტდეს“: „პური ჩვენი ს ხ ე უ ლ ი ს არსობისა“. ხოლო, რაც შეეხება ადამიანის ს უ ლ ს, ანუ „ნამდვილ ადამიანობას“, მისი ზეალსვლითი-ტრანსფორმაციის გზაზე, რადიკალურად პოზიტიური როლი შეასრულა საკაცობრიო-სამეურნეო ცხოვრებაში მევენახეობა-მეღვინეობის დაბადებამ. შეიძლება თამამად ითქვას: ვაზის წარმოშობამ ახალი, ამაღლებული კაცობრიობა წარმოშვა. ღვინომ, — ბოტანიკური ევგენიკის ყველაზე კეთილშობილი ნერგის ამ ბობოქარმა შვილმა — ახალი ძალისხმევით დაძვრა წინ კაცობრიობა (აქ ადგილი არ დაეთმობა რომელიმე მარტივი, ვულგარული გონების „ნაზრევს“, — თითქოს ამ სტრიქონთა ავტორი ერთმანეთს უპირისპირებდეს „ფხიზელ“ („ვაზამდელ“) და „მთვრალ“ („ვაზის შემდგომ“) კაცობრიობას; რადგან ჩვენ აქ „სულის სინათლეზე“ გვიჭირავს სიტყვა და არა ცხოველისეულ, გნებავთ, სტომაქისეულ „სიფხიზლე-სიმთვრალეზე“).

მაინც და მაინც, ქართველი კაცის ცხოვრებაში შეუსრულებია გამორჩეული, სწორედ სა არ ს ე ბ ო და ს ა ნ ი შ ა ნ ს ე ტ ო როლი ვაზის კულტურას.

ძველ და ახალ „აღთქმათა“ უმშვენიერესი პოეტური ძახილი — „შენ ხარ ვენახი“, ან „მე ვარ ვენახი“, ყველაზე სრულქმნილად მოირგო და მოისხეულა ქართულმა სულმა. მოისხეულა და „ნამდვილმა ქართულობამ“, ანუ „ნამდვილმა ქართველობამ“ იქედანვე დაიწყო თავისი ნამდვილი, „ეროვნული არსებობა“. მაშ, ქართული ცივილიზაცია, ანუ „ეროვნული ქართულობა“ და ვაზის კულტურა ასაკით თანაბარნი და არსებით განუყრელნი არიან.

არც ერთი კულტურული მონაპოვრის სამშობლოური დასაკუთრებისათვის არ ატეხილა მსოფლიოში იმდენი დავა და შიწვე-მოწვევა, რამდენიც ვაზის „პირველშობილობის“ გარშემო. არა მე დაერგე პირველად და მე დავთვერ პირველად, და

არა მეო, — გაიძახის ყოველი ქვეყანა, რომლის მიწაზეც გოდდეს ვაზს სული უდგას, მტევანი იწურება და ღვინო იმუქდება.

რა გაეწყობა, — რაკი ატლანტის ოკეანედან ყვითელ ზღვამდე ყველა ქვეყანა ვაზის მშობელობას ჩემულობს — ჩვენც ამის თქმა ვიკმართ: საქართველო, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი უძველესი სამშობლოა ვაზისა და ღვინისა. მაგრამ მაინც, ამ „მოკრძალებული განსაზღვრების“ ზემოთ, უნდა ითქვას კიდევ ერთი უაღრესად არსებითი ჭეშმარიტება, რომელიც თვითონ მას, მის კეთილშობილება ვაზს, ნებას აძლევს საქვეყნოდ გამოაცხადოს:

„ამინ, ამინ, გეტყვი თქვენ — ჩემი ჭეშმარიტი სამშობლო არის საქართველო! საქართველო-მეთქი, ვინათგან არცერთ სხვა მიწას ჩემთვის, ვაზისთვის, არ უბოძებია იმდენი მადლი, სიკეთე და ცხოველმყოფელობა, რამდენიც მარგუნა ბედნიერება ქართულმა მიწამ!“

ჭეშმარიტად: როცა ქართულ ღვინოს სვამ, ასე გგონია, ძარღვებში იქორი — ღმერთთა სისხლი ჩაედინება!..

ძალიან გაჭირდება, მსოფლიოს რომელიმე ენისა და ერის სამეტყველო-სააზროვნო ლექსიკაში მოიძებნოს ღვინის კულტურისა და მისი კულტურული მოხმარების გამომსახველი ფორმები, როგორც ქართულ სამეტყველო და სააზროვნო სალაროებს გააჩნია. „ქეიფიანად მეყოლეთო“, — უსურვებს ქართველი კაცი სასურველ კაცს. „უქეიფოდ გახლავართო“, — იტყვის შეუძლოდ მყოფი ქართველი კაცი, და, ქართულის გარდა, კიდევ რომელ ენაში შეიძლება ვიპოვნოთ სინონიმები — ქეიფი ჟანმრთელობას რომ უდრის და უქეიფობა ავადმყოფობას?!

ამ ნაწარმოების გმირი — მამით მეზვრიშვილი — დედით ღვინაშვილი გახლავთ!

პირველი აკვანი უიღბლო და საგლოველი გამოდგა არჩილ მეზვრიშვილისა და ელენე ღვინაშვილის ახალგაზრდა ოჯახში. მომდევნო სამი აკვანი კი ფეხბედნიერი დაირწა და სამივე დაურჩა საამქვეყნიო წუთისოფელს — მედეა, ომარი და ლამარა.

და მიჰყვა ასე:

ბაღდადის ქაშს „პირველი ადგილი“ მუდამ მას ეჭირა იმ კედლის ჩამოსწვრივ, სადაც ერთად ეკიდა ხმალი, ჭვარი და კაეშნით მოსილი დედის სურათი.

ვითარცა მეზვრე, — ბავშვობიდან იყო მუდამ „პირველი მეზვრე“, უფროსთა შემწე ვაზის გაწმენდაში, გაწბილებულ ყლორტთა მომჭვრევაში, გაფურჩქვნაში, აყელვაში, ცის გახსნაში.

ვითარცა მოსწავლე, — იყო მუდამ „პირველი მოწაფე“, გინა — „სკოლის თვალი“, გინა — „სკოლის სიამაყე“ (დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა).

ვითარცა სტუდენტი, — იყო მუდამ „პირველი სტუდენტი“, სტალინური სტიპენდიანტი, „ინსტიტუტის თვალი“ (დაამთავრა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი).

ვითარცა მოყვასი, — იყო მუდამ „შეწირული მოყვასისათვის“, გინა — „სიკეთის თვალი“, ამხანაგებისთვის „თავგადამკვდარი“. სადღესასწაულო კაბას არ ჩაიცვამდა, თუ ყველა მისი „დასელიც“ საზეიმოდ არ მოირთვებოდა. „ყველა ღირსეულად და ყველა თანასწორად“, — ამ რწმენით ცოცხლობდა „მედიკოს დასში“ მარადიული და საოცნებო საკაცობრიო დევიზი — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. ასეთი იყო ყოველთვის — ომის წლებშიც და მშვიდობის დროსაც: ჩვენს შორის ჯავრის კვამლით არაეინ უნდა იხრჩობოდესო; არც უგვანო და კაცობისა მარცხენალი გაივლისო ჩვენს შორის...

ვითარცა „საზოგადოებრივი მოღვაწე“, — აქაც იყო (და ეს არის სწორედ მთავარი) მუდამ „პირველი“, „მეწინავე“. „პირველი პიონერი“ (სკოლის პიონერთა საბჭოს თავმჯდომარე), სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, თელავის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი. თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საგარეჯოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი, — აი, მედგა მეზვრეშვილის „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის კიბე“, მისი ცხოვრების საშუალებოზე.

მისგან შესანიშნავი მეტნიერი-ისტორიკოსი დადგებოდა. მაგრამ სწორედ ეროვნული ისტორიისათვის გაცილებით მომ-

გებიანი აღმოჩნდა მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივ-ეროვნულ-კულტურული ღვაწლმოსილებანი.

უკანასკნელი ათწლეული „გარეჯის ქუეყნისა“ — მედია მეზერიშვილის წინამძღოლობით ამღლებული და აღზევებული — ცალკე, საგანგებო ადგილს დაიჭერს ამ წიგნში, ხოლო მანამდე, „გარეჯულ პერიოდამდე“, კიდევ რამდენიმე შტრიხი უნდა მივიანიშნოთ ამ ამბავთა მთავარი გვირის ცხოვრებიდან.

ხომ დიდებული, დიდაზროვანი სიტყვაა ბერძნული „ენტუზიაზმი“, „ენ თეოსისგან“ — აღამიანი, რომელშიც ღმერთი ჩასახლებულა! თუ რომელი პოეტის, პერსიუსის ნათქვამსაც დავემატებთ — „ნუ ეძებ შენს თავს შენს გარეთ“ — უკვე მინიშნებული იქნება მედია მეზერიშვილის „ხასიათის“ საყრდენები. მისი „შინაგანი ღმერთი“ და „შინაგანი მე“ მთლიანად, სრულქმნილი გააზრებით და „შინაგანი რწმენით“, ეძღვნება საზოგადოებას, ხალხს, ერს.

საზოგადოებისადმი ასეთი თვითშეწირვითი ბუნება არის რვალისებრ მტკიცე საფუძველი მისი გასაოცარი გაბედულებისა და შემმართებლობისა, რაიც ტრაფარეტულ-ობივატელურ წრეებში ჩვეულებრივ მონათლულია „რისკად“, ან „დონ-კიხოტობად“. ამასთან დაკავშირებით, ორი ეპიზოდი უნდა გავიხსენოთ მეზერიშვილის ცხოვრების „თელავური პერიოდიდან“.

ბოლო წლები ჩვენი საუკუნის მეექვსე ათწლეულისა. „ვოლუნტარიზმად“ და „სუბიექტივიზმად“ მონათლული უქმური ქამი... დრო სიყალბისა, მაამებლობისა, ფარისევლობისა ანუ — ყრუ ტერორის ქვეშ ყალბ ავტორიტეტთა ნაძალადევად აღიარებისა და გუნდრუკის კმევისა. დრო, როცა სიმართლის ხმა ისე ესმოდათ, როგორც კრამოლა, ან, უკეთეს შემთხვევაში — ავადმყოფის ოთახში დოლის ბრაგუნი. მრავალ უგუნურებათა შორის, იყო უგუნური გეოგრაფიული ექსპოზიცია გამოჩენილ ისტორიულ პირთა ძეგლებისა. სწორედ მაშინ, უადგილო ადგილას ძეგლის დადგმით, სავსებით „უხერხულ მდგომარეობაში“ ჩააგდეს თვითონ იმ ძეგლში ნაგულისხმევი ერთობ მნიშვნელოვანი ისტორიული პიროვნება.

და, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით, გაისმა ძახილი:

„ყველამ თავისი მკვდარი იტიროს!“

ითქვა 1958 წელს, საქართველოს კომკავშირის ყრილობაზე.

თქვა თელავის კომკავშირის რაიკომის მდივანმა, მედია მეზვრიშვილმა.

ისე „სლიერად თქვა“, რომ „ყველამ იტირა თავისი მკვდარი“. ის „უხერხულობაში ჩაეარდნილი“ ძეგლიც აიღეს, შესაფერის ადგილას დააბრუნეს, ხოლო ერეკლე მეფის ძეგლიც, — რომელიც მანამდე „მეფობის გამო“ არ იდგმებოდა — „მეზვრიშვილის აჯანყების“ შემდგომ, შესაფერის ადგილზე აღმართეს.

ახლა — თელავის „ციხის კაზუსის“ თაობაზე.

თვითმპყრობელური რეჟიმის მოხელეებს თელავში ერეკლე მეორის სასახლის გალავანში ციხე აუშენებიათ — ციხე-საპყრობილე სამამულიშვილო ციხე-სიმაგრეში (დიდებული „სიმბოლური მემორიალი“ კი დაუდგამთ რუსთხელმწიფის ბაშინბუხუეებს რუსეთ-საქართველოს ერთიანობისათვის!). ბევრი რუსი და ქართველი პატრიოტი იტანჯებოდა „ხალხთა საპყრობილის“ ამ ერთ, რიგით ბოროტ „ფილიალში“. მის ცრემლიან ჯურღმულებში დიდხანს ეწამებოდა დიდმოაზროვნე სოლომონ დოდაშვილი. ჩვენს დრომდე შემოჰყვა ქართული კულტურისა და ვაჟკაცობის მაუწყებელ თელავურ ციხე-ქალაქს ეს ანაქრონისტული ავთვისებიანი უცხო სხეული.

მედია მეზვრიშვილამდე კრინტის დაძვრაც ვერავის გაეზენდა საპატიმროს გაუქმებასა და მოშლაზე. იყო მხოლოდ საყოველთაო ნატვრა და ოცნება ავი ფიქრების ამშლელი ნაგებობის დანგრევისა და აღგვისა.

და, აი, როცა მეზვრიშვილის ქალმა თელავის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარის რწმუნებები მიიღო, იგი მაშინვე შეუდგა ბრძოლას, — როგორმე დაეხსნა ქართული ძეგლი სამარცხვინო ანტი-ძეგლისაგან. საბედნიეროდ, თელავის მაშინდელი რაიკომის მდივანი სრულ სოლიდარობას უცხადებდა „ბუნტარი“ აღმასკომის თავმჯდომარის ყოველ ნოვატორულ „გამოხდომას“. მე და ბატონი ალექსანდრე ყოველთვის დაძმასავით ვიყავითო, — იგონებს მედია.

მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი მაინც იმჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის წრფელი პატრიოტული განწყობილება აღმოჩნდა. მინისტრმა თელავის ციხე-საპატიმრო თელავის აღმასკომს გადასცა, ბალანსიდან ბალანსზე, და მედეას მრავალმნიშვნელოვნად უთხრა: აბა, ახლა შენ იცი, შენმა ციხემ, შენმა ქალობამ და შენმა ვაჟკაცობამო.

მედეასაც რაღა წაქეზება სჭირდებოდა. რაკომის მდივანად რომ შევებულებაში გავიდა, მაშინვე „იდროვა“. ალაზანმშენიდან ბულდოზერები და თვითმცლელი მანქანები გამოიძახა, ხალხიც შემოიყარა და იმ ციხეს მიუსია. ციხე მოთხარეს, ნავად აქციეს, სანაგვეზე გადაყარეს, მიწას ნაციხარი ჭრილობა მოუჩინეს, ზედ მდელო და ყვავილნარი გააშენეს და „ხსოვნა ციხისა“ ხსოვნიდან გადააშენეს.

მაგრამ მაინც ხომ ყოველ დროში იყვნენ და არიან ადამიანები, რომელთაც კეთილი ცხოვრების უნარი არ გააჩნიათ და ამიტომ ქვეყანაზე არც უცხოვრიათ, — აი, ისეთი ადამიანები, ზარათუშტრა რომ ცოცხალ კუბოებს უწოდებდა. სწორედ ეს „ცოცხალი კუბოები“ თავის არსებობას სხვისი სიკეთისა და სიქველის დაშხამვით ამყლავნებენ ხოლმე. რაკი არსებობს ქალღლი, კალამი, მელანი და ცოდნა წერა-კითხვისა, სწერენ ეს გულბოროტბ კაცუნები უსახელო წერილებს. და დაფრიალებენ ავი დასმენებით გაუბედურებული ქალღლები „ქვეყანასა ზედა“.

მაშინაც ასე მოხდა. როგორ თუ მედია მეზვრიშვილმა „ისტორიული ციხე“ (უნდა ეთქვათ — „ისტორიული სატანჯველი“) დაანგრიაო, და, — აჰკიდეს ეს ამბავი ფრთებზე ყვავსა და ყორანს. მეზვრიშვილმა პასუხი უნდა აგოსო, ციხის დამაქცევარი თვითონ საციხედ უნდა იქცესო...

მინისტრი კი იცინოდა ლაღად და ლაზათიანად: არ შეშინდე, მედიკო, თუ ღმერთი მართლა გაწყრა, ციხეში ლუქსიც მოგვეძვევაო...

ხოლო, თვითონ, „ციხის დამაქცევარს“, ჯერ კიდევ უკვირდა და ვერ ამოეხსნა აზრი „ცოცხალი კუბოების“ არსებობისა, სიკეთის წინააღმდეგ გველის ფხაში ძრომისა, აკვაცობის, შხამისა და ღვარძლის თესვისა...

დიღხანს იფიქრა და ბოლოს დარწმუნდა, რომ ვერც თვითონ ჩაწვდებოდა მარად ჩაუწვდომელ ფსკერსა უფსკრულისასა. ასე ყოფილა და ასე იქნებაო, ბოროტება — განუყრელი სიკეთისაგან, ისე ვითარცა სიკვდილი და სიცოცხლე მარადიულად ერთად არიან, — მაგრამ მაინც ბოროტ ადამიანს ცა არასოდეს გაეხსნებაო, — ასე თქვა, გულს დაიკრძალა და ამით გაათავა „ცოცხალ კუბოებზე“ ფიქრი. აღარ ეცალა მათთვის. წინ მრავალი სიკეთისა და სიქველის ასპარეზი მიიხმობდა საასპარეზოდ.

უბრალოდ ჩამოვთვალოთ ის საზოგადოებრივი და კულტურული ნამოღვაწიანი, რომლებიც მედია მეზვრიშვილის „თელავური პერიოდის“ მოღვაწეობის მაუწყებლად აღმართულან კახეთის დიდებულ დედაქალაქში: იყალთოს „ახალი აკადემია“, ტურისტთა ბაზა, სამედიცინო ქალაქი, ახალი პედაგოგიური ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, ახალი სტადიონი, თოთხმეტ-ქორედიანი ახალი სასტუმრო „ინტურისტი“, სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი, ძეგლი ერეკლე მეფისა — ჯვაროსანი ხმლით ხელშემართული, ახალი თეატრი, საცხოვრებელი სახლები, სოფლად — სკოლები, უნივერსალური მალაზიები, საბავშვო ბაღები, ბაგები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, საავადმყოფოები, ფერმები, გზები, ხიდები...

საქმე ლოდსა ჰგავს, — ადგილზე მდებარე დიახ მიძიეა, მაგრამ როგორც კი ადგილიდან დასძრავ, მყისვე გამსუბუქდების, — უყვარს მედია მეზვრიშვილს ეს შეგონება:

ჩვენ არწივთა ქვეყნის შვილები ვართ და ნება არა გვაქვს, არწივების ზეცას ქათმის თვალებით ვუცქიროთ.

ჩემი პირადი ნაცნობობა მედია მეზვრიშვილთან სამი წლის წინათ დაიწყო, ჩემთვის საკმაოდ „უსიამოვნო პოზიციაში“: გაზეთ „კომუნისტში“ რომ ძეგლთა დაცვის თაობაზე წერილები გამოვქვეყნე, იმ წერილებში მოხსენიებულ ძეგლებზე მზრუნველ ადამიანთა შორის თურმე ყველაზე თავგამოდებული, ჭეშმარიტი „სუპერ-ძეგლისტი“ ვერ შემიფასებია მისი ღირსებისა და დამსახურების შესაფერისად. ამის მიზეზი უკმარისი და უვარგისი ინფორმაცია იყო, მაგრამ თავისმართლებას მაინც ის ვამჯობინე, ერთხელაც არის, საგანგებოდ რაიმე დამეწერა დაღუპვის უფსკრულზე გადახობილ გარეჯის ძეგლთა დაუცხრომელი მხსნელის, გადამრჩენლისა და ჭირისუფლის აპოლოგიად...

ახლა ჩვენ ერთად ვართ, საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტში.

აი, ჩემი თანამებრძოლებიო, — მითხრა მან და გამაცნო: აღმასკომის თავმჯდომარე გურამ მჭედლიშვილი, რაიკომის მდივნები ნუგზარ გურჯიძე და თამაზ ქვეციშვილი, საორგანიზაციო განყოფილების გამგე ზაირა ივანიშვილი, განათლე-

ბის განყოფილების გამგე ნუგზარ ჭანტურია, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ალექსი არაბული და გაზეთ „ივრის განთიადის“ რედაქტორი ალექსანდრე ელერდაშვილი.

ახლა, რაკი გაცნობამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, შეფიც უნდა დაგინიშნოთო, — თქვა მისი გამორჩეული, „საკუთარი ღიმილით“, და თამაზ ქევხიშვილი მომაახლა, ქიმუნჯის მეგობრული წათავაზებით.

მე აღრეც ვიცნობდი ამ სასიამოვნო გარეგნობის, სრული აღზრდილობისა და განათლების მქონე ახალგაზრდა კაცს, და მადლობა მოვახსენე მედეას, ეგზომ მაღალი „საშეფო წყალობისათვის“.

აბა, შენ იცი და შენმა ბიჭობამო, — ისევ თამაზს ეუბნებოდა მედეა — იცოდე, არ ჩაიჭრა, თორემ ველარ გადამირჩები, ხომ იცი, რა ძვირად გვიღირს ხელი მწერლისაო...

მცირე ხანს იყუჩა, მერე სახეზე კეთილი ღიმილი ისევ დაიფინა და მტკიცედ სთქვა: დავიწყეთ იმით, რომ სტუმარმა ჯერ თავისი თვალთ იხილოს თვალი!

და ჩვენც წავედით „თვალთ თვალის სახილველად“.

ვიცოდი — „თვალი“ პირველი დასახლება იყო, საიდანაც შემდგომ, საუკუნეების გასწვრივ, გაიზარდა და გავრცელდა საგარეჯო.

ქალაქისა და მთის განსაღრეკელზე ფეხით მივედით.

## ნახოვლარი... ნაქართველარი...

წმინდა გიორგის გორაზე ავედით მიკეცილ-მოკეცილი გზებით. უფრო ზემოთ ცივკოდაა, სულ ზემოთ — ცის სილურჯეში აპრილი ცივის მთა.

მზისკენ შემოვბრუნდით და ჩვენ თვალწინ გადაიშალა ჯვარსახოვანად განფენილი ქართული ქალაქი.

ჯვარი გამოსახულა ცივ-გომბორის მთისა და ტყის საძირკველთაგან.

ჯვარის ტანი — მდინარე თვალთხევეზე ასხმული საკუთრივ საგარეჯო.

ჯვარის მარჯვენა მკლავი — სოფელი გიორგიწმინდა.

ჯვარის მარცხენა მკლავი — სოფელი ნინოწმინდა.

ნინოწმინდა მაინც — გარეჯული ჯვრის მარცხენა მკლავი — ისე მჭიდროდ შერწყმია და შენაწევრებია ქალაქს, როგორც ვადა ხმალსა და ერქვანი გუთანს (ვადაც იგივეა ხმლისა, რაიც ერქვანი გუთნისა).

ძალზე ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართველ კაცს ჯვარის ფრთა და გუთნის ერქვანი ერთნაირ, წყვილად ასოციაციაში მოუქცევია.

მახვილი სულისა, ცეცხლი სარწმუნოებისა და ერქვანი ჯვარისა — აი, უმშვენიერესი ტრიადა, ნაშობი დავით აღმაშენებლის ღვთაებრივი გონებისა („ყოველი ნივთი კერპ-ბორგნეულისა უღმრთოებისაი, მახვილისა სულისაითა მოკრეს, და ცეცხლითა სარწმუნოებისაითა მოწუეს, და ერქუანითა ჯუარისაითა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი“).

წავიდეთ და ახლა ერთი ნასოფლარი მოვიხილოთო, — უცებ, ანაზღაოთ თქვა მედიკომ.

„ნასოფლარიო“ — მძიმე კაეშანი ესვენა ამ სიტყვაში.

მაინც რა ჯიუტი, ცხოველუნარიანი მარადიულობით ჩამკვიდრდა ქართულ სიტყვიერებაში ბოროტ საუკუნეთაგან მოშველებული ეს ცრემლით, წუხილით და ბოღმით გატენილი სიტყვანი:

„ნასახლარი“,

„ნაფუძარი“,

„ნაქალაქარი“,

„ნადაბური“,

„ნასოფლარი“,

„ნაციხვარი“,

„ნამონასტრალი“,

„ნახანძრალი“,

„ნაცარგორა“,

„ნაყანები“,

„ნავენახარი“,

„ნაოხრები“,

„ნაპარტახალი“...“.

მაინც — რა მწარე სიტყვაა „ნასოფლარი“! იგი „ნატყვიარზე“ უარესი მატკინარობით გუბდება ქართველის გულში.

ასეა, — რადგან საქართველო მარადიულად იყო (და არის) უწინარეს ყოვლისა — სოფელი.

ქართული სოფელი და საქართველო იყო (და არის) მარადგანუყოფელი და განუჭრელი ერთარსი.

ყოველ არსს კი თავისი მპარსებელი და მაცოცხლებელი დვრიტა გააჩნია და საქართველოსაც, — როგორც ბრძანებს დიდი ილია — „მის ცხოვრებას, მოქალაქურს თუ ეკონომიურს, თავისი საკუთარი დვრიტა აქვს, თავისი საკუთარი დედა, რომელსაც შეუდედებია მისი აწმყო“.

ხოლო დვრიტა და დედა ესე, — რომელსაც წარსულშიც და აწმყოშიც საქართველო მუდამ უტყუვრად „შეუდედებია“ — არის სწორედ ქართული სოფელი, ქართული სოფელი-მეთქი!

ამიტომ უნდა ითქვას მკაცრად, რისხვეულად და ქართველისთვის მარად სახსოვრად:

ნასოფლარი იგივეა, რაც ნაქართველარი...  
ნაქართველარი-მეთქი!

ყოველი ნასოფლარი საქართველოს გულში გარტყმული ტყვიაა!

ნახე, მკითხველო, ახალციხის ისტორიულ მუზეუმში ნასოფლარების რუკა, — სამასი ნასოფლარი, ანუ სამასი ნაქართველარი მიწის წრეწირი რომ შემოგცქერის ჩაშრეტილ-ჩამიწებული თვალებით.

ეს მარტო ახალციხის რაიონში, ხოლო, საერთოდ სამცხე-ჯავახეთში?

ამ კუთხის დიდებულმა მკოდნემ და დარდიანმა მოზარემ, სულკურთხეული მიხეილ თამარაშვილის ღირსეულმა მემკვიდრემ — შოთა ლომსაძემ მითხრა: სრულიად სამცხე-ჯავახეთში ათასხუთასზე მეტი ნასოფლარი დაითვლებო... ღმერთო დიდებულო! ათასხუთასი ნაქართველარი, გინა — ათასხუთასი ჩამქრალი დვრიტა საქართველოსი!

ხოლო, დათვალა ვინმემ, რამდენი სოფელი, ანუ რამდენი „დვრიტა და დედა“ ჩამქრალა სრულიად საქართველოში?!

ჩამქრალაო? არ კმარა, მხოლოდ „ჩამქრალაო“, არამედ — დღესაც რომ ქრება... ქრება, იშლება, იქცევა, ინაცრება, კვდება...

მგელი ყმუის ძაღლის ნათევარზე.

ზარნაშო კივის მამლის ნაყივარზე.

ძეძვი მკვიდრდება ნავენახარზე.

სოფელი ნასოფლარად.

ქართველი ნაქართველარად.

განუწყვეტლივ, შეუჩერებლად, ჰემოფილური სისხლის დინებით...

ამიტომ უნდა ვიწამოთ იმ მოღვაწეთა ჰემმარიტი მამულიშვილობა, ვინც მარტო სიტყვით კი არა, საქმით რომ იბრძვის საქართველოს „ღვრიტისა და დედის“ კვდომის შესაჩერებლად, ქართულ დასახლებათა ეროზიის აღსაკვეთად, ქართული სოფლის განსამტკიცებლად, „დასამაგრებლად“, „შესადედებლად“, და ნასოფლარის აღსადგენად, ქართული სოფლის გასაცოცხლებლად, მაშასადამე — საქართველოს მაარსებელი და მაცოცხლებელი ღვრიტისა და დედის გასაცოცხლებლად.

საქმე დაგვანახებს, რომ ასეთი მოღვაწე მამულიშვილი ყოფილა სწორედ მედიკო მეზვრიშვილი...

ხოლო, მანამდე ერთხელ კიდევ გავიხსენოთ და გულზე დავიბეჭდოთ, რომ „ნასოფლარი“ იგივეა, რაც „ნაქართველარი“, ნაქართველარი-მეთქი!

ნასოფლარების პატრონსა და ნასოფლარების დამლუპველ მდინარეებში ჩამდგარ ქვეყანას წამიერი წათვლემის ნებაც არ გააჩნია.

„ნასოფლარის“ გაგონებამ ჰემმარიტ ქართველს ისე უნდა დაუწვას გული, როგორც შვილმკვდარ დედას დაეწვება ორივე ძუძუ.

## ქვრივი თოვნი

აქ თურმე სოფელი ყოფილა და ზემო ყანდაურა რქმევია.

ცხოვრობდა თურმე ოთხასამდე სრულფუძიანი კომლი — ჯავახიშვილები, ელიზბარაშვილები; მენთეშაშვილები, როსტომაშვილები, ნაცვლიშვილები, ჩალათაშვილები, ჩოკოშვილები, სეხნიაშვილები, ობოლაშვილები, ტაველიშვილები, ფხალაძეები, ბაჩოშვილები, აბესაძეები, დოდაშვილები...

ახლა აღარ არის სოფელი.

ახლა ნასოფლარია, ანუ ნაქართველარი.

პირველად რომ თქვა მედიკომ — ნასოფლარი უნდა გაჩვენოთო — მე მეგონა თემურლენგისაგან მოთხრილ სოფელს ვნახავდი. მაგრამ თურმე რას ერჩი თემურლენგს (ამჯერად რას ერჩი), როცა ეს სოფელი ჩვენს თანამედროვე და თანამორბედ ქართველ მესვეურებს მოუთხრიათ, აუყრიათ და გადაუყრიათ.

რატომ, რისთვის, რა დანაშაულისთვის უნდა დაექციათ და დაექვესკნელებიათ ეს დიდებული სოფელი, მშვენიერი ბუნებით, ჯანსაღი და ჯანსრული კლიმატით, მრავალნაყოფიერი მიწებით, ტყეებით, საძოვრებით, ყანით, ბალით თუ ვენახით?!

თურმე მხოლოდ იმიტომ, რომ გზა და ელექტროსინათლე ვერ მიუყვანიათ! გაგვიჭირდა გზისა და სინათლის მიყვანაო, — ამას არავინ ამბობს, რადგან საერთოდ არავის უცდია ეს, არავის გაუჭირებია თავისთვის, — არამედ უბრალოდ „მორჩენილან საქმეს“: აუყრიათ და გადაუყრიათ სოფელი!

და აჰ, ამ ერთ დროს ქართული ცხოვრებით გაბედნიერებულ მიწაზე, ახლა ერთად ჩაყრილა და ჩალეკილა ავი ფიქრების ამწლელი ყველა სიტყვა: ნასოფლარი, ნასახლარი, ნაფუძარი, ნაეზოვარი, ნაკალოვარი, ნავენახარი, ნაყანარი, ნაბოსტნარი, ნამარნევი და... ნათონარი.

• • • • •  
თონის სიცოცხლე მხურვალეა იყო. ალერსიც უყვარდა თონეს და მისი მაცოცხლებელი ალერსი ქალის ნაჯაფარი ხელებისა და აღმურავარდნილი შოთი პურების შეხება იყო.

ახლა აღარც მხურვალეა იყო, აღარც ალერსი, აღარც სურნელი.

აღარც ცეცხლი იყო, აღარც ქალი, აღარც პური.

თონე ქვრივი იყო — ცივი, სიყვარულწართმეული, ბედგამავეებული ქალივით უქმი. ბედისწერა პურის ნაცვლად ავი ბედის ნაღველს აცხოვდა მის კედლებზე. ფერდაკარგული ხავსი კაეშნიან ლეჩაქად ეგო მზისა და ქალის სხივთაგან სამუდამოდ დავიწყებულ მის ფსკერს.

მიტოვებული თონე ჩაწინლული და ჩახლეწილი ნასახლარის ნაეზოვარში იდგა.

იქვე გოგო იყო, პატარა გოგო, ღამისფერ თვალთა ბაიე-

ბით, ფერმკრთალი, წყობილი სახით და შემცვივებული ხელ-  
ბით.

„ვინ ხარ, გოგონა, შენ?“ — ვკითხე მე.

გოგომ თვალები აახამხამა, წინგოსფერი ტუჩები გახსნა  
და ნახატურივით ტანუძვრელად წარმოთქვა:

მე პატარა ქართველი ვარ,  
კავკასიის მთების შვილი,  
და განცხრომით სხვაგან ყოფნას  
მირჩევნია აქ სიკვდილი.  
ქართლ-კახეთი, იმერეთი,  
გურია და სამეგრელო, —  
ყველა ჩემი სამშობლოა —  
საყვარელი საქართველო!...

ახლა მე გავშტერდი ნახატურივით: რა ვკითხე და რა მი-  
პასუხა-მეთქი ამ გოგომ! მაშინვე კი მივხვდი, — ვინ ხარ კი  
არა, რა გქვია-მეთქი ეს უნდა მეკითხა. მაგრამ ნუთუ მხო-  
ლოდ „გრამატიკისადმი ღალატი“ იყო მიზეზი ასეთი მოულოდ-  
ნელი „პოეტური გამოხდომისა?“

„შეცდომა“ გავასწორე: რა გქვია-მეთქი, ვკითხე. მაია  
მქვია, გვარად ელიზბარაშვილიო, — მიპასუხა ბავშვმა.

აღარ მიკითხავს, რას გულისხმობდა პატარა გოგო ამ სტრი-  
ქონებში — „და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ  
სიკვდილიო“ — სრულიად საქართველოს, თუ მის ნასოფლარ  
სოფელს.

უამისოდაც ამეკვიატა ეს საოცარი ლექსი, რომელმაც მის  
კრძალულ ავტორს უკვდავება დაუმკვიდრა ეროვნულ პოე-  
ტურ სიტყვიერებაში.

დღუტუ მეგრელმა ამ ლექსით სანიშანსვეტო ზარი დაურისხა  
ყოველი კუთხის ქართველობას, რომლის სულში მეოცე საუ-  
კუნემდე, აქა-იქ დღემდე ხრჩოლავს ფეოდალური სეპარა-  
ტიზმის ხუთასწლოვანი შხამიანი ნისლის ნაშთები. გახსოვდეს  
და ერთხელ და სამუდამოდ ჩაისისხლხორცე, რომ ქართლ-  
კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო — ერთიანი და ერთ-  
ნაირი, ერთსისხლიანი, ერთხორციანი, ერთსულიანი და ერთ-  
სინდისიანი საქართველოა! გვახსენებს და გვაჯანჯლარებს ეს  
მცირე ლექსი, დირსეული გამოძახილი რაფიელ ერისთავის

„სამშობლო ხევსურისა“ და აკაკი წერეთლის „ნათელას სიმღერა“ რასი“.

ბატონმა აკაკი შანიძემ ამ ოცი წლის წინათ ბრძანა ქუთაისში, „ბაღის კიდეზე“ სეირნობის უამს: მგონია, ჩვენ მაშინაც ვაშავებთ, როცა იუმორის თემებად ქართულ კუთხურ ხასიათებს ვამუშავებთო; ვაშავებთ იმიტომ, რომ ყველას ისე როდი ესმის ამ ანეგდოტების მორალი, როგორც ჩვენ გვესმისო.

ვინ არ იცის, რომ ჭეშმარიტი იუმორი ჭეშმარიტი ნიჭისა და სალი ადამიანური სულის უტყუარი გამოვლინებაა, მაგრამ მართლაც, რომ ხშირად ჩვენს შორის მოულოდნელად ისეთებიც მქდავდებიან, რომელთაც კახელის, გურულის, სვანის თუ რაჭველის ანეგდოტისეული „სხვაობა“ და „დაპირისპირებულობა“ ნამდვილ სხვაობად და სხვადასხვანაირობად დაუჯერებია და უწამებია. მაღალგონივრულ ქართულ ანეგდოტში გონებაშეზღუდული და ვიწროშუბლიანი „მორალის ამოკითხველებს“ გულისხმობდა ჩვენი მეცნიერების პატრიარქი იმ სევდიანი შეგონების უამს.

მაშ, მაინც ბოლავს აქა-იქ, ზოგიერთის გაყინულ სულში, შმორიანი ნაშთები ფეოდალური განკერძოებულობისა და ვითომ უწყინარი „შინაგანსხვაებულობისა“.

და დღესაც რამდენად ფასეულია საოცარი, მსოფლიოში სწორედ უნიკალური „გმირული კაზუსი“ ცოტნე დადიანისა, რომელსაც, განა, შეიძლებოდა ჰქონოდა ამნაირი, ეროვნულად აქნილ-აჩეხილი სულის ნაფიქრი: „მე მეგრელი ვარ, ეგარსლან ბაკურციხელი — კახელი, სარგის თმოგველი — მესხი, ვარამ გაგელი — ქართლელი, კახა თორელი — ჯავახელი და კახაბერ კახაბერიძე — რაჭველიო“?!. მაშინ ხომ არავითარი „ცოტნეს გმირობა“ აღარ მოხდებოდა ისტორიაში! არ მოხდებოდა, ვინათგან ეროვნულად აქნილ-აჩეხილი სულის პატრონს ეროვნული გმირობის ჩადენა არასდიდებით არ შეუძლია. საქმეც სწორედ ის გახლავთ, რომ ცოტნე დადიანმა, ტომით მეგრელმა, არც კი იცოდა არა „მეგრელობა“, არა „კახელობა“, არა „აჭარლობა“, არა „გურულობა“, არა „სვანობა“, არა „რაჭველობა“ და მისთანანი შხამთაგანნი, მისთვის — მისი მთლიანი, ერთიანი, განუქრელი და განუყოფელი სულისათვის — იყო მხოლოდ „ქართველობა“ — ზოგადქართველობით, იმ

ქართველობით, რაითაც სუნთქავდა მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა ყოველი ქართველი „ნიკოფსიით დარუბანდამდის და სინობიდან არდაველამდის“.

ასე გვევლინება დღესაც, ჩვენ, დღევანდელ ქართველებს, ცოტნე დადიანი ქართველობის მასწავლებლად. ზოლო, ჩვენ... ვაი, თუ ჩვენ ზოგჯერ მაინც ვერ აღმოვჩნდეთ ისეთი ღირსეული მოსწავლეები, ეროვნულობის ეგზომ ღვთაებრივ მასწავლებელს რომ ეკადრება!..

### ქვრივი გუთანი

ქვრივი თონიდან შვიდ ნაბიჯზე გუთანი ეგდო.

გუთანი — სინდისი ჩვენებური კაცის შრომისა, გარჯისა და ოფლისა.

გუთანი — მაერთებელი სახსარი ორი „დედისა“ — გუთნის-დედისა და დედა-მიწისა.

ათასეული წლების მანძილზე ქართული დედამიწა ქართული გუთნის მადლიანი მეუღლე და მიჯნური იყო — ხვნით, კვეთებით, ოფლისა და მიწის ნაზავში ჩათესილ თესლით, განაყოფიერებითა და აღმოცენებით.

ახლა კი დაშრეტილიყო ხვნა-თესვისა და განაყოფიერება-აღმოცენების მისტიკურად უცნობელი, უნეტარესი ფანტასმაგორია.

გუთანი ქვრივი იყო — მაცოცხლებელი მიჯნურისაგან განკვეთილი და დაუქმებული.

ეგდო და ლებობდა, უქმი და უმაქნისი.

არა, — კი არ ეგდო, — ეყარა, ცალ-ცალკე, — ყელი, ერქვანი, რვილი, ფრთა, საკვეთელი, ღირღიტა კვალისა და ღირღიტა ველისა.

„ამ სოფელში, სანამ გუთანი გუთნობდა და გუთნისდედა გუთნისდედობდა, მიწა ყოველთვის უტყუვრად და უღალატოდ, დიდი მოსავლით პასუხობდა კაცის შრომას და გარჯას“, — თქვა გიორგი ელიზბარაშვილმა, მაიას პაპამ, რომელიც ბოლომდე გაჯიქებულა და „არ დატოკებულა“ აყრილი სოფლიდან.

— „გუთნისდედობის მოშლა ვაჟკაცობის მოშლაა“, — ისევ თქვა და გულის ბუხარიც ამოიყარა ბოლმით სახედამეწყრილმა კაცმა.

რეკვიემივით დარეკა ამ სიტყვამ.

ეს არ იყო ერთი კაცის ნათქვამი. მის უკან ათასეული წლები იდგა. დიდი, ჭეშმარიტად სრულქმნილი ვაჟკაცობა და კაცურკაცობა, გუთნისდედობის, მიწისმუშაკობის ასაკისა იყო. ახლა, პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, მამულიშვილობა? სწორედ გუთანთან შეზრდილნი, გუთნისგან გაზრდილნი, მიწისმუშაკნი — იყვნენ მუდამ ჭეშმარიტი, წრფელნი და ქველნი მამულიშვილნი.

ნამდვილი, სრულქმნილი პატრიოტიზმი სწორედ ყველაზე დიდსა და უკეთილშობილეს სამეურნეო დარგთან, მიწათმოქმედებასთან, ანუ გეოპონია-გეორგიასთან იყო ჭიბით მიბმული.

ორივე ცნება — „პატრიოტიზმიც“ და „გეორგიაც“ — ძველბერძენთა „უნივერსალურმა ნიჭიერებამ“ (ენგელსის ფორმულა) წარმოშვა. იგივე ბერძენებმა, მთელი მსოფლიოს „კოსმიურმა ნათლიებმა“, მაინც და მაინც საქართველოსთვის გაიმეტეს ყველაზე დიდი კულტურის, კეთილშობილების, ვაჟკაცობისა და მამულიშვილობის მომცველი სახელი — „გეორგია“ — „გეომორების“, „გეორგოსების“, მიწისმუშაკთა ქვეყანა, გნებავთ — „კლასიკური გუთნისდედების“ ქვეყანა.

„გაიმეტეს“ — მეთქი, როცა ვამბობ, მხედველობაში მაქვს კაცობრიული აზროვნების უზემოეს მეუფეთა ქედმაღლური დამოკიდებულება დანარჩენი, არაბერძნული, ანუ როგორც თვითონ ამბობდნენ, „ბარბაროსული ჯიშის“ ხალხებისადმი. მარტო ორი უზენაესი გონების — არისტოტელესა და ევრიპიდეს შეფასებანი გვეყოფა იმის ნათელსაყოფად, თუ რა თვალით უცქერდნენ მსოფლიო ცივილიზაციის მესაფუძველენი არაბერძენს, უცხოელს, ანუ „ბარბაროსს“.

არისტოტელე: ბარბაროსები ღმერთებმა იმიტომ შექმნეს, რომ მონებად ემსახურონ ადამიანთა უმაღლეს მოდგმას, ბერძენთა მოდგმას; იმიტომ ყოველი ბარბაროსი გამოირეკე ბორკილკრული ჩვენი საბერძნეთისკენ და თუ რომელიმე წინააღმდეგობა შემოგბედოს, თავის ქალა ჩაუღეწე შეუბრალებლად (ასე სწერდა იგი თავის გაზრდილს, ალექსანდრე მაკედონელს, როცა ალექსანდრე „ბარბაროსულ“ აზიას იპყრობდა ცეცხლითა და მახვილით... თითქოს ჰიტლერი ლაპარაკობდეს...).

ევრიპიდე: ბარბაროსის თავი შეუღწეველია ადამიანური

შეგონებისათვის; მას შეცნობის უნარი არ გააჩნია, ანუ — მხოლოდ ფიზიკური დარტყმის შეცნობის უნარი გააჩნია...

ფილოსოფიისა და მხატვრული აზროვნების გენიოსთა ასეთი მიზანთრობული შეფასებების შემდგომ ადვილი გასაგები უნდა იყოს, რასაც „გაიმეტებდა“ სრულიად მათი „ღვთაებრივი მოდგმა“, უცხო, „მონური“ და „პირუტყველი“ სულის მქონე „ბარბაროსებისათვის“.

მაგრამ სინამდვილე ჯიუტად გვიჩვენებს, რომ ბერძნები მაინც აღიარებდნენ ორი „ბარბაროსი“ ხალხის — ძველი ეგვიპტელებისა და ძველი ქართველების რალაცნაირ „უპირატესობას“, „გამორჩეულობას“, „განსაკუთრებულობას“.

ამას გვაუწყებს თვითონ ბერძნული საისტორიო და მითოლოგიური ტრადიცია. სამიათას ხუთასწლოვანი გახლავთ ბერძენთა ეს აღიარება: მსოფლიოს განაგებს ორი ღვთაებრივი ხელმწიფე, დასავლეთით — ზევსის ძე მინოსი და აღმოსავლეთით — ჰელიოსის ძე აიეტის; ბერძენი და ქართველი, თანასწორი ხელით რომ აწონასწორებენ მსოფლიო წონასწორობის სასწორს! ღირსეული პოლიტიკური პარტნიორობის გარდა, ისინი არიან მოყვარენი, სიძეცოლისძმა (მინოსს ცოლად ჰყავს აიეტის დაი — პასიფაე).

მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ, ისევე ბერძენთა შეფასებით — მეფე აიეტის ღვთაებრივი სიბრძნის, სიქველისა და უზემოესი მამულიშვილობის დ ვ რ ი ტ ა ი ყო გ უ თ ნ ი ს დ ე დ ო ბ ა.

აიეტის პირველი მსოფლიო, „კლასიკური“ გუთნისდედაა, „კლასიკური მიწათმოქმედი“, „გეომორი“, ანუ „გეორგოსი“ (რომაელებთან, ლათინურად — „აგრიკოლა“). მას შეუძლია უმძიმეს გუთანსა და უღელში შეაბას ცეცხლისმფრქვეველი ხარები და ოთხდღიური მიწა ნახევარ დღეში დახნას და დათესოს. ეს მისი ჩვეულებრივი, ყოველდღიური „ფიზკულტურული ულუფაა“, რაის შესრულებაც საკუთარი ძალ-ღონით არ შეუძლია ბერძენთა უპირველეს, „ღვთაებრივ გმირს“, ოქროს საწმისის სათხოვრად მოსულ იასონს (აქ აღარ ღირს ლაპარაკი, როგორ მიეშველა იასონს მედეა, როგორ მოიტაცეს ოქროს საწმისი... შეიძლება ღირდეს მხოლოდ იმის თქმა, რომ ამ ბერძნულ თქმულებაში, მის ყოველ პასაჟში, „ღმერთთა სწორი“ ბერძნები გაცილებით დამცირებულ მდგომარეობაში გამოიყურებიან, ვიდრე „ბარბაროსი“ კოლხები).

გუთანი ქართველ ტომებში ათასეული წლობით ჯვარზე უხნესი სალოცავი კერპი იყო. გუთნის შეგინება და შეზღავანება ისეთივე მიუტევებელი მკრეხელობა იყო, როგორც ყოველი სალოცავი ზენიშანისა, წმინდა სახელისა, ტაძრისა, ღვთის სახლისა.

გიორგი ნატროშვილის ნაამბობი გამახსენდა (იგივე მიამბო თამაზ ქევნიშვილმა): განთქმული ქიზიყელი ყაჩაღი მიხა ჭუჭულაშვილი სასიკვდილოდ გადაჰკიდებია ერთ ბობოლა გლეხს. ბოლოს ყანაში წასდგომია თავს. გლეხი გუთანს ეკიდა, მიწას ხნავდა. — გუთანს ხელი აუშვი, განზე გადექ და სიკვდილისათვის გაემზადეო, გუთანზე სისხლს ვერ დავაქცევო, — დაუღრიალა თურმე ყაჩაღმა და თოფი მოიძარჯვა. განწირულმაც აღარ გაუშვა ხელი ერქვანს. ბევრი ეჯაჯგურა ყაჩაღი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გააგდებინა გუთანი და ბოლოს ისღა „შეძლო“, რომ... ხელი აიღო მკვლელობაზე — გუთნისა და გუთნისდედობის მკვლელობაზე!

ამ ამბავმა, თავის მხრივ, ორი დიდი ცოდვა გამახსენა, ისევ ბერძენთა ცხოვრებიდან. ერთი ათენის ბრწყინვალე ისტორიას ეცხო მარადიულ სამარცხვინო ლაქად, ეგრეთ წოდებული „კილონის სისხლიანი ლაქა“ (კილონი და მისი თანამებრძოლები რომ დახოცეს ათენელებმა ათენას ტაძარში, პართენონში) და მეორე — კორინთოს უმძიმესი ცოდვა — ბავშვთა მკვლელობა (კოლხი მედეას შვილები რომ დახოცეს კორინთელებმა არტემიდეს ტაძარში)...

ყოველმა კულტურულმა ხალხმა ყოველ დროში იცოდა და არ ივიწყებდა, რომ ქვეყანა მანამ იყო სხეულით და სულით მძლავრი, უძლეველი და სვებედნიერი, სანამ ფეხზე იდგა სოფელი — გუთნისდედობაზე დაფუძნებული. ასე იყო, ვინათგან ქვეყნის სხეულს კვებავდა მიწათმოქმედი (გეორგოსი, აგრიკოლა) და თავის შშობელ ქვეყანასაც წრფელი მამულიშვილური გულით იცავდა იგივე მიწათმოქმედი.

ყოველგვარი დამლუპველი პანკრიზისი ყოველ სახელმწიფოსა და ყოველ ხალხში იწყება მაშინ, როცა გუთნისდედა გუთანს გაეყრება (ან გაპყრიან), როცა მიწათმოქმედი მიწას შეიძულებს (ან შეაძულებენ), როცა სოფელი სოფელს გაექცევა (ან გააქცევენ).

ვაი ჩვენ, განწირულთა, ვერარა გვიხსნის, რამეთუ ამ უზარ-

მაზარ სახელმწიფოში აღარ არიან გუთნის დაზრდილი მამულიშვილები, ქეშმარიტი აგრიკოლანი — გაჰკიოდა სახელოვან ციკერონი რომში, კაპიტოლიუმზე, 2045 წლის წინათ... და ბოლოს და ბოლოს, აკი გუთნისდებობის დავიწყებამ და სოფლიდან გაქცევამ დააქცია კიდევ დიადი რომის „მარადიული სახელმწიფო“!...

აქვე ჩვენი შესანიშნავი მეცნიერისა და მამულიშვილის, აკადემიკოს სერგი ღურმიშიძის მოგონება უნდა გავიხსენო. ეს მემუარი უკვე დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“, მაგრამ ხელახლა მისი გაზარება და გაცნობიერება მაინც ძალზე საჭიროდ მეჩვენება ქართული სოფლისა და სოფლელის „რეალურ პრიმატებზე“ მსჯელობის ქამს.

აი, მიაღვენე გონების თვალი ამ ამბავს, ჩემო მკითხველო: უცხოეთიდან საქართველოში ჩამოდის საქვეყნოდ სახელმძღვანელო ქართველი მეცნიერი. დიდი ხანია საქართველო აღარ ენახა. ახლა კი მოვიდა მშობლიურ ქვეყანაში დასასვენებლად, სამკურნალოდ, „სულის მოსაბრუნებლად“. რიონის სადგურში ჩამოხტა და კურორტ საირმისკენ გასწია. გზა დიდი იყო, მაგრამ მაინც ფეხით სიარული ისურვა. გაიარა წინა ველი და სარბევი, გადავლო ხიდი რიონისა და ყვირილას წყალსართავზე, მერე — ვარციხე, აჯამეთის ტყე, სოფელი დიმი, ბაღდადი და წყალთაშუამდე სამი კილომეტრის მანძილზე უეცრად საშინელი წვიმა და ღვარცოფი შემოაგება ხანისწყლის ხეობამ „უცხო სტუმარს“. ბატონო, აქეთ მობრძანდით, აგერ ერთად გადავიწვიმოთო, — მოესმა გალუმბულ მგზავრს. ისიც მიჰყვა ხმას. მალალ კლდეს გზის თავზე გვარიანი ეშვი გადმოეშვირა და ქვეშ ორი კაცი შეეფარებინა. ორს მესამეც მიემატა. ერთმანეთი გაიცვენეს. დამხვდურებიც საირმის მგზავრები ყოფილან; ერთი, ქალაქელი, დასასვენებლად მიდიოდა, მეორეს კი, სოფელელ გლეხს, ტიკით ღვინო ეტვირთა საირმეში გასაყიდად. და მოხდა ის, რაც ჩვეულებრივად ხდება ჩვენში: გლეხმა გლეხური არ დაიშალა და ის ტიკი იქვე გამოცალეს, კარგადაც შეღვინიანდნენ; მერე, კლდის ეშვზე რომ ბინდი ჩამოეშვა, სოფელელმა აიჩემა და სახლში წაიყვანა ორივე „ქართველი ქალაქელი“ — „ადგილობრივიც“ და „უცხოელიც“. გვიან, ღამის განზოგებამდე დიდებულად ილხინეს. მერე მოის-

გენეს, ძილის ღმერთსაც მისი წილი მიუზღეს და დილით რომ აღგნენ, ნაწვიმარი ტანსაცმელიც გაწმენდილი და გატკეცრილი დაუხვდათ. საუზმეც მიირთვეს — „ცოლის მზითევზე უკეთესი“. ბოლოს სტუმარ-მასპინძლის გაყრისა და გამომშვიდობების დროც დადგა. მასპინძელს სხვა საქმე გასჩენოდა და საირმეს წასვლა გადაედო, სტუმრები კი უნდა წასულიყვნენ... და სწორედ აქ მოხდა ის, რაისთვისაც საჭირო გახდა ამ „მოგონების მოგონება“: „თერგდალეულმა“, თუ „ოდერდალეულმა“ ქართველმა მეცნიერმა მასპინძელი გვერდზე გაიმართხელავა და, ალალი, მადლიერი ღიმილით, გასამრჯელოდ გულისჯიბეში ფული ჩაუტენა!

თითქოს გველი ჩაუგდეს უბეშიო, — ხელი ჩაიკრა და ამოიყარა ჯიბიდან გლებმა ადამიანური სინდისის დამცინავი საფულე მარკები, სტუმარს უკანვე ჩაუჭიბა და ცივი, დამზაფრავი ხმით ჰკითხა:

„რამდენი წელიწადია, რაც საქართველოდან წახვედი?“

„ოცი... ოცდახუთი“, — დაბნეულად ამოიგმინა სტუმარიმა.

„რა ცოდვის ოცი-ოცდახუთი იყო ამისთანა, ყველაფერი ქართული რომ დაგავიწყა, საგულეში ქართული გული გაგიქვავა, ქართული სული გაგიცივა და ძარღვში კიდევ ქართული სისხლი გაგიშრო?!“

ბასუხს აღარ დაუცადა, უცებ ჯიბიდან სათუთუნე ქისა ამოიძრო, გადმოაპირქვავა, თუთუნი გადმოყარა, გაფერთხა, სასწრაფოდ ჩაიმუხლა და მიწას დასწვდა. ფრთხილად, რუდუნებით, მოფერებით და მოალერსებით არჩევდა მიწას, მუჭით იღებდა და სათუთუნეში ყრიდა. კარგად გატენა სათუთუნე, გარედან გაასუფთავა, თავი მოუბეჭა, ემთხვია, სტუმარს გაუწოდა და უთხრა:

„აჰა, ჩემო ბატონო, შენ ახლა საქართველოში კი ბრძანდები, მაგრამ ქართულ მიწაზე მაინც ვერ ბრძანდები. ამიტომ იქონიე ჩვენი მიწის ეს მცირე ნაწილი და ატარე მანამ, სანამ დიდსა და წმინდა ქართულ მიწას მთლიანად, სისხლხორცეულად არ დაუბრუნდები!“.

ამ ამბის დანარჩენი ნაწილი აღარ უნდა იყოს საინტერესო. მგონი „შეგონებაც“ აღარ სჭირდება ამ „მოგონებას“.

.....  
როცა საქართველოს ცხოვრებაში სოფლის მნიშვნელობაზე

გსაუბრობთ, მისი „ყოვლისმომცველობის“ საბუთად ნურც იმას დავივიწყებთ, რომ, მთელი ისტორიის მანძილზე, ეროვნულ ინტელექტუალურ სიდიდეთა მშობელი და მეძუძური იყო ისევ და ისევ სოფელი. ქართული მწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება თითქმის მთლიანად სოფელს მიუძღვნია საქართველოსთვის. განა, საკმარისი არ არის იმის გახსენება, რომ „სოფლელები“ იყვნენ: შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი, დავით კლდიაშვილი, ორივე ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლადო ასათიანი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ილია ვეკუა, აკაკი ხორავა და ასე გრძელდება დღესაც „სოფლური მეწინავეობა“ საქართველოსი — ჩვენი მწერლების, მეცნიერების, ხელოვნების ოსტატთა აბსოლუტური უმრავლესობა (აღბათ, 99%), ყველა — „დიდნი“, „მცირენი“, „საშუალონი“, თუ „ქვესაშუალონი“ — არიან ისევ და ისევ „სოფლელები“ (გნებავთ — სოფლიდან „გაქცეული“ სოფლელები).

„აქ სოფელი ისევ აღსდგება!“ — თქვა მედიკომ.

„იქნება, უეჭველად იქნება, — განაგრძო მან — სრულ გარანტიად მაქვს სოფლის მშენებლობის მინისტრის, იოსებ ხარატიშვილის სიტყვა და საქმე. სულ მალე ამოვიყვანთ გზას, მაღალი ძაბვის ელექტრონაკადს, წყალსადენს; უკვე მზადა გვაქვს ორასი ჰექტარი სავენახე. კაცი გააქციეს ამ უბედური სოფლიდან, მაგრამ დარჩა ტყე, დარჩა საძოვარი, დარჩა სახნავ-სათესი, დარჩა ეს დიდებული კაკლის ხეები. ხალხიც მობრუნდება თავის კერაზე“, — და უცებ ხელჩანთიდან წერილი ამოიღო და გამომიწოდა.

მე ჩამოვართვი, წავიკითხე და გადავწყვიტე მკითხველს უცვლელად, ჩემი „ჩარევის“ გარეშე, გავაცნო ეს წერილი:

„ქ. საგარეჯო, მედიკო მეზერიშვილს. ამ წერილში ზემო ყანდაურის ბედზე არის საუბარი. აი, ყანდაურაში წასვლა ვის უნდა — ჯავახიშვილი ბიძინა, ნაცვლიშვილი ოთარა, ნაცვლიშვილი საბა, ობოლაშვილი ყარამანა, ტაველიშვილი რომანა, ჩოკოშვილი გულადა, ჩალათაშვილი ტარიელა, ჯავახიშვილი

ანზორა, ჯავახიშვილი გიორგი, ფხალაძე ამირანა, ბაჩოშვილი  
 ვანია, ხატიაშვილი ჯემალა, ფხალაძე ვანო, აბესაძე ლექსია,  
 ჩალათაშვილი ელიზბარა. აი, ამათ ყველას უნდათ. ზ. ყანდაუ-  
 რაში წასვლა კიდევ ბევრს უნდა, მაგრამ ვერავის გაუბედნია.  
 თვითელს მოგვხედე, ყველას ბატრონო, მოგვეხმარე. ზოგს  
 რემონტი უნდა სახლის, ზოგს ახლის აშენება და კიდევ რა.  
 ზ. ყანდაურის ბიბლიოთეკა ბაღიაურში ბოსელშია. რისთვის  
 დაგვინგრიეს სოფელი? ჩამორეკეს ძროხებივით ხალხი და და-  
 ყარეს 15 მეთაღში. რომელი ერთი უნდა მოიწიო ამ ადგილ-  
 ში, — ჩაუსკუბებიათ ერთი ათი ვაზი და იმას შაპყურებენ. ის  
 აცხოვრებთ? იმ 15 მეთაღში ვითომ სახლიცა, სათონეც და  
 რალა დარჩა! ძროხა ამათ არა ჰყავთ, ქათამი და ბოსტნეული, ხა-  
 ხვი, ნიორი, კარტოფილი. ერთი დღე რო შებამოწმო, 15-20 მაინ-  
 ცა დგა თბილისში, ე. ი. ნათლუხში, რომ იყიდონ ყველაფერი  
 საქმელ-სასმელი. სადამდინ ეყოფათ. და ისე სხვები. პატიო-  
 სანი სოფელი იყო, მსუქანი, ყველაფრით მდიდარი, კარგი  
 ხალხი, გულისხმიერი, ზრდილობიანი ხალხი. ჰოდა, რა ვქნათ,  
 ქვეყნის ბატრონო, მოგვხედე. უბედური უდაბნო სოფლად,  
 ქალაქად აქციე. ქენი სიკეთე, ჩვენც მოგვხედე, ბარემ ბოლომ-  
 დე გაითქვი ვაჟკაცური სახელი. გარეჯი აადგინე, უდაბნო  
 აადგინე. თქვენი ვაშკაცური სახელი და საქციელი მთელს სა-  
 ქართველოს გადასწვდა და იმის იქეთ გავარდა კიდევაც. და  
 იქნება ჩვენც გვიშველო რამე. თუ მოინდომებ, გააკეთებ კი-  
 დეც, რასაც ხელი მოჰკიდე, აკი ყველაფერი გააკეთე. ზოგს  
 გასაქანი არა აქვს, რით, აი რით, აილე ორი ვაზი, რა უნდა  
 მიიღო. ზოგი ისეთ გაჭირვებაშია, ბაღიაურში ცარიელი ბუ-  
 ხანკით დაწანწალებს კოლექტივში. დაგვეხმარეთ, მოგვხედეთ,  
 ღმერთი კიდევ თქვენ მოგვხედავთ. თითოს ვერ გაუბედნია წასვ-  
 ლა და თუ თქვენ იტყვი, ყველა გაბედამს. თქვენს ქალობას  
 მაღლიდან ღმერთი გადმოხედამს ჩვენი მოხედვისათვის. სწერს  
 ჯავახიშვილი პატივცემულს მედიას. ჰერეში სულ ტყეთ იყო  
 ნაქცევი და გააცოცხლეს და ზემო ყანდაურას რა ღმერთი  
 უწყურება. მაგრამ აღარ გაუწყურება თუ თქვენ გვიშველი. გვიშ-  
 ველე, მაღლა ღმერთი და დაბლა შენ. არა, არა, შენც მაღლა  
 ღმერთი ხარ, ღმერთი!“

„ისევ აღსდგებიან ეშაფოტზე აყვანილი ქართული სოფ-“



ლები, — ზემო ყანდაურა, ბურდიანი, თარაკი, — ამბობდა სალ-  
 მასური სიტყვით მედეა მეზერიშვილი — ისევ ჩაენთება ცე-  
 ცხლი თონეში და ჩაეკვრება დედას პურები ნაჯაფარი ქალის  
 ხელებით. გუთანიც ისევ აიწყობა, სახნის-საკვეთიც გაიფერება  
 წმინდა მიწაში. ყველაფერი იქნება, ყველაფერი, ოღონდ რწმე-  
 ნა არ მოგვეშალოს, რწმენა! და მაშინ აღარც სოფელი მოგვეშ-  
 ლება, აღარც საქართველო მოგვეშლება“...

. . . . .

კმანო კუსელნო!

მადლი არქეოლოგიისა

სანამ დღევანდელი საგარეჯოს რაიონის ცხოვრებას განვაგრძობდეთ, საჭიროდ მიმაჩნია ზოგი რამ ისტორიიდან გავიხსენოთ.

შიდა კახეთი, ანუ — „საკუთრივ“ კახეთი.

გარეკახეთი, ანუ — კუხეთი.

კაცობრიობის სრული ხსოვნა წევს ამ მიწაზე.

დედამიწის უმეტესი ნაწილი ჯერ ისევ იყო საკაცობრიო საცხოვრისად „უხილავ და განუმზადებელ“, ოდეს აქ უკვე დააბიჯებდა მაიმუნობის პერანგიდან სამუდამოდ თავდახსნილი „ახალი არსი“, რომელსაც ჯერ „მაიმუნ-ადამიანი“ უნდა რქმეოდა, შემდგომ კი „საკუთრივ ადამიანი“, გინა — „გონიერი ადამიანი“ (homo sapiens),

გარეჯის უდაბნოში იპოვნეს მისი ნაშთები. უდაბნოპითეკი („უდაბნოს მაიმუნი“) უწოდეს გაადამიანების გზაზე დამდგარ ამ „უკეთილშობილეს მაიმუნს“, ანთროპოგენეზის გარიყრაქზე ნაშობ სულიერს, რომელიც წინამორბედი უნდა გამხდარიყო შემდგომდროინდელი არქანთროპებისა — პითეკანთროპისა, სინანთროპისა, ატლანთროპისა, აფრიკანთროპისა, ოლდუვეელისა, ჰაიდელბერგელისა.

არქანთროპების ცხოვრება და თანაცხოვრება ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლებიან სოციალურ, საზოგადოებრივ ორგანიზმებად. მათი სახელი არის მხოლოდ — „ჯოგი პირველყოფილი ადამიანებისა“.

მკვეთრად საფიქრებელია, რომ გარეჯის უდაბნო, იორალაზნის აუზი და საერთოდ საქართველოს მიწა-წყალი უნდა ყოფილიყო მარად ცხოველმყოფელი უწყვეტი და უნელებელი ნაკადი მსოფლიო ანთროპოგენეზის რთულსა და აღ-

მავალ გზაზე — არქანთროპული „ჯოჯიდან“, პალეოანთროპულ (ნეანდერტალელი) „ნახევრადსაზოგადოების“ გავლით, ნეოანთროპულ (თანამედროვე) საზოგადოებამდე.

ყოველი ჯიშის (ქვის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის) იარაღთა ინდუსტრიულ ქმნადობაში უნდა გამჟღავნებულიყო ქ.რ.თველთა წინაპრების მარად ნოვატორული ჯიუტი და მშფოთვარე სული.

ძმომე პრეისტორიით ნაწრთობი სულით და განურღვეველი სხეულით მოილტვოდნენ ისინი ცივილიზაციის კარიბჭეებისაკენ. მოისწრაფოდნენ ვითარცა უებრო მონადირენი და მესაქონლენი, ხელუცთომელი მშვილდოსანნი, შუბოსანნი და მახვილოსანნი, მადლისმთესველი გუთნისდედები და კურთხეული მევენახენი, მძლავრკუნთოვანი ხუროები და მჭედლები, ხელოსანნი და ხელოვანნი, მშობელ ბუნების მალმერთებელნი და კოსმიური სიმშვენიერის მოტრფიალენი.

ამ ათი ათასი წლის წინათ, უეჭველად, ქართველთა წინაპრებიც („არქექართველები“?) იყვნენ ეგრეთ წოდებული „ნეოლითური რევოლუციის“ დამოუკიდებელი გმირები, რომელთაც საფუძველი დაუდეს უმაღლესი კულტურის საკუთარ სამეურნეო დარგებს — მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას, მუდამ სიახლის ძიებაში გახლებულ მგზნებარე სულსა და ხელოვან, „მარჯვე მარჯვენას“ ძალა შესწევდათ ველური მცენარისთვის და ნადირისთვის შთაებერათ „ისეთი სული“, რაიც ერთსაც და მეორესაც — მათი საჭიროების გაუთვალისწინებლად — სწორედ ადამიანის, ამ უცნაური, ღვთაებრივი თუ ეშმაკეული არსის სასარგებლოდ გადააქცევდა — ერთს მიწათმოქმედებად, მეორეს მესაქონლეობად.

ამ უკანასკნელ ორ ათწლეულში პირდაპირ ნივთიერ მიკვლევათა სასწაულები მოახდინეს ჩვენმა არქეოლოგებმა, მცხეთა-არმაზის დიდ არქეოლოგ-მამათა ღირსეულმა დიადოზოსებმა.

დიდო, მრავალმხრივი შედეგებით აღინიშნა კახეთის არქეოლოგიური ძიებანი, რომელსაც ეს ოცი წელიწადი სათავეში უდგას შესანიშნავი მეცნიერი-მამულიშვილი, პროფესორი კიაზო ფიცხელაური. არ დარჩენილა კაცობრიობის იარაღმკეთებლობის თითქმის არც ერთი პერიოდი, კახეთ-კუხეთის მიწაზე ფიცხელაურსა და მის ნიჭიერ თანამშრომლებს რომ არ გაეხ-

სნათ და გაემზეურებინათ. კახეთის არქეოლოგიურმა კოლონამ, უხვი და ძირმტკიცე ნივთიერი მიკვლევებით, აღადგინა და გაამთლიანა მანამდე „წყვეტილების ეჭვებში“ ჩაეარდნილი ერთიანი, სისტემური და ინტენსიური ხაზი „კახური ანთროპოგენეზის“ უღრმესი საუკუნეებიდან არქეოლოგიურად უკვე კარგად შესწავლილ ფეოდალიზმამდე.

ფიცხელაურმა და მისმა თანამშრომლებმა პირდაპირ „არქეოლოგიური აფეთქებანი“ მოახდინეს ივრის ხეობაში, განსაკუთრებით — გარეჯის უდაბნოში. თუნდაც, ნულარაფერს ვიტყვით აქ მიკვლეულ ყველა ლითოსისა და ენეოლითოსის კულტურულ წერტილებზე და ვიკმართ მხოლოდ გასულ წელს ნაპოვნი კოლოსალური მასშტაბის სამარხი. ეს არის სამიათას ხუთასწლოვანი ბრინჯაოს ხანის უმაღლესი ცივილიზაცია — აღმოსავლეთ კავკასიაში მანამდე სწორედ უნიკალური ხის ურმითა და მაღალი ხელოვნების „კანონთა“ მიხედვით დამუშავებული ინვენტარით, აღჭურვილობით, სამკაულებით, საგანგებო ყურადღებას იქცევს გარეჯულ-უდაბნოურ უძველეს ყორღანულ ნამოსახლართა მასშტაბები, თავდაცვით, საფორტიფიკაციო ნაგებობათა, „ციტადელთა“ და „აკროპოლისთა“, გნებავთ — „ქალაქ-პოლისთა“ რეალური ნაშთები, ასევე — სამარხ-სამაროვანთა ქონებრივი და სოციალური უსწორობანი, სიმდიდრისა და სიღარიბის დაპირისპირებულობანი.

და მართლაც, სრულ მხარდაჭერას იმსახურებს კიაზო ფიცხელაურის მტკიცება იმის შესახებ, რომ გარეჯის არქეოლოგიური ცივილიზაცია ახლებურად აყენებს საერთოდ საქართველოს ისტორიის ბევრ პრობლემურ, დღემდე ბოლომდე გადაუჭრელ საკითხს. ამათგან მთავარი მაინც ისაა, რომ გარეჯულ მიკვლევათა მიხედვით, საქართველოში ქონებრივი უთანასწორობის, კლასობრივი დაპირისპირებულობის, საქალაქო ცხოვრებისა და სახელმწიფოებრიობის გენეზისი გაცილებით ადრე (ხუთასი წლით ადრე მაინც) არის საგულისხმებელი, ვიდრე ეს დღემდე გვაქვს ნავარაუდები, თუ „დამტკიცებული“.

მეხუთე საუკუნეში გადმოვიცვლოთ.

ექვსი ქალაქი ბრწყინავდა მაშინ კუხეთ-კახეთში—უჯარმა, რუსთავი, ჭერემი, ჩელეთი, ნეკრესი და ხორნაბუჯი.

ექვსივე ქალაქში დიდ ვახტანგ გორგასალს ეპისკოპოსი ესვა.

მაინც მეწინავე ქალაქი იყო უჯარმა, რომელსაც ვახტანგ გორგასალამდე რვაასი წლის ისტორია ჰქონდა. იგი დაარსდა ქრისტეს წინარე მესამე საუკუნის დამდეგს, მეფე ასფარუგის დროს.

გორგასალმა უჯარმა ხელახლა „ლაშენა ნაშენებითა უზომოთა“ და აქვე დაიდო ბინა საზაფხულო საცხოვრისად. აქ, „მეორე მცხეთას“ ფიქრობდა, ზრუნავდა, განსჯიდა და განიკითხავდა „მგელთაჲ“ გოლიათი, საქართველოს მეორე გამაერთიანებელი, ყოველივე სახელმწიფო და საქვეყნო საქმეებს. აქ მოდიოდნენ ბჭობად და თათბირად „იალბუჯის გმირთან“, კავკასიის სახელმწიფოს პირველ დამაარსებელთან, მისი თანამებრძოლნი — სპასპეტნი და ერისთავნი, მათ შორის — დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა.

ნინოწმინდას, „უჯარმის კარსა“, ვახტანგმა აღაშენა წმინდა ტაძარი და დასვა ეპისკოპოსი — ნინოწმინდელი.

უკანასკნელი სამამულო ბრძოლაც აქ, კუხეთს, ივრის მიწა-წყალზე გადაიხადა და წუთისოფელსაც აქვე გაეყარა საქართველოს დიდი საქეთ-მპყრობელა.

502 წელს კავად შაჰი შემოესია საქართველოს უამრავი სპარსული მხედრობით.

ვახტანგმა მალემსრბოლნი აფრინა, ლაშქარი აწვია, ციხესიმაგრენი საომრად გაამზადა, სოფლებიდან და სუსტად გამაგრებულ ქალაქთაგან ხალხი კავკასიონის მიუვალ მთებში და კახეთის ტყე-მალნარებში გახიზნა.

დედოფალი ელენე უფლისწულებითა და სეფეწულებით უჯარმაში ჩადგა.

კალიასავით შემოესივნენ სპარსელნი ივრის ხეობას, რუსთავს და სამგორს.

ქართველთა ლაშქარიც მზად იყო საომრად, მტრის მხედრობაზე ხუთჯერ უმცირესი.

გამობრძანდა ვახტანგ მეფე. მაშინ იგი სამოცი წლისა იყო, პეტრე კათალიკოსი გამოჰყვა, ჯარი და მეფე დალოცა. მეფემ სალაშქრო სიტყვა ბრძანა.

ბრძოლად გაემართნენ ქართველნი. შემოეგებნენ სპარსელნი.

„შეიბნეს იორსა ზედა, და სამ დღე ყოველთა დღეთა ბრძოდეს, და დაეცემოდა ორთავე სპათაგან ურიცხვი“.

სამი დღე წონასწორად ქანაობდა უთანასწორო ბრძოლის სასწორი.

სამი დღე-ღამე გრიალებდა, გმინავდა და ოხრავდა ივრის ხეობა.

სამი დღე-ღამე ისმოდა სპარსელთა ანჩხლი ყვილი: „ღურ აზ გორგასარ! მოერიდეთ თავსა მგლისასა!“

მეოთხედ, გადამწყვეტი შეტევისათვის შეკრა და შეამჭიდროვა გორგასალმა ქართველთა შეთხელებული რიგები. ისევ დალოცა პეტრე კათალიკოსმა მეფე და ჯარი. საგანგებოდ გააფრთხილა მღვდელმთავარმა გვირგვინოსანი: თავს გაუფრთხილდი, თორემ არა მარტო ქართლი დაიღუპება, არამედ იერუსალიმიც ზედ მიჰყვება შენი იმედის დამკარგველიო.

სამ ნაწილად დაჰყო ვახტანგმა ლაშქარი. მარჯვენა კერძს ჯუანშერ სპასპეტი უსარღლა, მარცხენას — ადარნასე ერისთავი, თვითონ შუაგულს ჩაუდგა და საიერიშოდ კავად შაჰის კარავი მოინიშნა.

ჯერ ისევ ბნელოდა. ივრის ხეობა ნისლით ავსებულყო. ვახტანგმა ჯარის გაწყობა დაასრულა. სალაშქრო სიტყვა ბრძანა და რიჟრაჟიც ჩამოდგა. ნისლმაც კალთები აიკრიფა და ივრის ხეობაც გაშიშვლდა.

სპარსელები მედგრად დაუხვდნენ ქართველთა გავეშებულ შეტევას. იორზე ავარდნილ გამაყრუებელ ხმაურში მკვეთრად ისმოდა ძრწოლითა და ისტერიით აღსავსე სპარსული ყვილი:

„ღურ აზ გორგასარ!“

მიარღვევდა ქართველთა მეფე შაჰის „უკვდავთა ათასეულებს“ (ვითარცა ალექსანდრე მაკედონელი მიაპობდა „უკვდავთა ათასეულებს“ ისოსის ბრძოლაში, შუაგულისკენ, სადაც იდგა მეფეთა მეფე დარიოს მესამე).

აი, მიეჭრა კიდეც გორგასალი მტრის შუაგულს.

ბი, ისიც, შაჰინშაჰ კავად.

მკლავი გამართა, მაგრამ ვერ მოასწრო ქართველმა მეფემ. გრიგალივით მოვარდნილი მთაკაცის ხილვით შეძრწუნებულმა კავადმა წამსვე ცხენი შეატრიალა და ბრძოლის ველიდან გაქუსლა (ვითარცა მაშინ ისოსის ბრძოლაში დარიოსი გაქცა ზედ მივარდნილ ალექსანდრე მაკედონელს).

მაგრამ ერთბაშად კარვიდან გამოიჭრა და გორგასალის წინ აღიმართა მდიდრულად აღკაზმული სპარსელი უფლისწული თუ სეფეწული. წამით მეორე სახეც დალანდა ვახტანგმა კარვის კალთის მიღმა. ნაცნობი იყო ეს სახე, გველივით უძრავი თვალებით. ვახსენების დრო აღარ იყო. სპარსელმა უკვე მოიქნია მახვილი. მეფემ იფარა ვიგრის ტყავი, მარცხენა ზედაწილზე ასროლილი.

იღლია მოუშიშვლა და წამსვე ისარმა იწივლა.

იღლიაში გამჭოლავი ბრჭული შეიგრძნო მეფემ.

ტკივილისთვის აღარ ეცალა ვახტანგს, ხმალი მოიქნია და შუაგაპობილი დაეცა სპარსელი სეფეწული.

გველისთვალეებიანს მიუბრუნდა, მაგრამ ის აღარსად იყო.

ახლა გაახსენდა მეფეს: ამნაირი თვალეები ჰქონდა რომელიღაც მის მონა-მსახურს — შემზარავი, შეუძვრელი, გველისნაირად, მერე დაიკარგა ის მსახური, სადღაც გაუჩინარდა. ახლა მიხვდა: ქართველობისთვის უღალატნია, სპარსულობას შეჰკედლებია. ან იქნებ, სულაც ქართველი არა ყოფილა... ან მოღალატეს ვინ გამოლევს ამ ქვეყანაზე!.. მწერს შეუძლია ლომი დაშხამოს მომაკვდინებლად.

ხელი მოივლო იღლიაზე. დიდი ისარი ყოფილა — ქებიური. ამოგლეჯა სცადა, მაგრამ აუწერელმა ტკივილმა შეაშვებინა ხელი.

გარდიგარდმო, ფრთებამდე შეჭრილიყო ისარი მკერდში. სისხლი გარეთ არ იქცეოდა.

სისხლი შიგნით იქცეოდა.

მაინც იბრძოდა მეფე, იღლიაში ისარნაკრავი.

შუადღე გადავიდა.

გატყდნენ და გაიქცნენ სპარსელნი.

უამრავი დარჩა სასიკვდილოდ დაჭრილი.

ხუთჯერ ნაკლები იყო ქართველთა ზარალი მაგრამ იცოდა ხალხის მოქირნახულე გვირგვინოსანმა: მისი პატარა ერისათვის

ერთი კაცის დაკარგვა უფრო სამძიმო იყო, ვიდრე ხუთისა დიდ-  
ერანისათვის...

უჯარმამდე ცხენდაცხენ მივიდა მძიმედ დაჭრილი გორგა-  
სალი. ცხენიდან გარდახდა და სასახლეშიც ფეხდაფეხ შევიდა,  
ისევ მხლებელთაგან შეუშველვებლად.

შევიდა და დაეცა სარეცელზე. ძლივს ამოართვეს დასტაქ-  
რებმა ქეიბური ილლიდან.

ძალა მოიკრიბა მეფემ, წამოიწია და უკანასკნელად წელა-  
მართულმა ბრძანა უკანასკნელი საბრძანისი: მე ახლა წავალ  
წინაშე ღმრთისა ჩემისა, ხოლო თქვენ, ქართლოსის შთამომა-  
ვალთ, მოგიწოდებთ მტკიცედ იდგეთ ქრისტიანობაზე, ნუ შეუ-  
რაცხყოფთ სახელსა ჩვენსა და ნუ უღალატებთ ბერძნებთან  
კავშირს; სამეფო გვირგვინს ვუტოვებ და მეფედ ვლოცავ ჩემს  
პირმშოს, დაჩის...

სიკვდილი შემოჰყვა ღამეს უჯარმის სასახლეში.  
და საქართველოს მოუკვდა ვახტანგ გორგასალი.

თორმეტ გოლიათს ეტვირთა „თორმეტ ბრჭალიანი ახოვა-  
ნების“ მქონე დევგმირის კუბო.

უჯარმიდან მცხეთას მიასვენეს, მისგანვე აგებულ ახალ  
სვეტიცხოველში.

და ისმოდა სიტყვები კუბოს აღევნებულ, დაობლებულ  
ერსა და ბერში:

„მართლაც უძლეველი ყოფილა სიკვდილი, რამეთუ მან  
შეძლო ძლევა ვახტანგ გორგასალისა“.

„მეფე ჩვენი, რომელმან აღადგინა და აღზევა ქვეყანა  
ჩვენი“.

„ქვეყანა ქართლოსიანთა — ქართისა, კახისა, მესხისა, მეგ-  
რისა, სვანისა“.

„და ქართლოსის მოდგმას უძმო სომეხი, ალბანი, ლეკი,  
ღუნძი, დიდო, ღურძუკი, ოვსი-ალანი, აფსარ-აბაზა, ჭიქი-  
უბიხი“.

„აღმაშენებელი ახალი სატახტოისა — ტფილისისა“.

„უზღვავი იყო ძალა სხეულისა და სულისა მისისა“.

„გაფრენილ ირემს დაეწეოდა და შეიპყრობდა, ფეხდაფეხ,  
საომარი აღჭურვილობით მძიმედ ნაჭური“.

„შექურვილ ცხენს მხრებით აღიდებდა და არმაზ-ციხეზე  
აიტანდა“.

„მეფე ჩვენი, პატრონი ჩვენი, ღმერთი ჩვენი“.

„ლომი ლომთა და გოლიათი გოლიათთა“.

„ვისაც ზეციდან ღვთიური ზარის რეკა ესმოდა“.

„ვის ფერხთა ქვეშე იღრიკებოდა მთათა მეფე კავკასიონი.“

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა...“

„ციდან ჩამოესმა რეკა...“

„იალბუზზე ფეხი შესდგა...“

„დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

„მისი სახელი ქართულ დროშას დაეწერება — გორგასლიანი“.....

სწამდათ ვახტანგ გორგასალისა.

სწამდათ, ვინათგან ვახტანგს სწამდა საქართველო, ქართლოსის მოდგმა და ენა ქართული.

საქართველო იყო რწმენა ვახტანგისი.

ვახტანგი იყო რწმენა ქართველობისა.

და სწამდათ ვახტანგი ვითარცა რწმენა.

და ასე — ჰქონდათ რწმენა რწმენისა.

## „მწუხრის!“

იყვნენ ცამეტნი, „ცამეტი მამა“.

შესაძლოა, მეტიც იყვნენ, მაგრამ მაინც ეს რიცხვი ამჯობინა ქართულმა სასულიერო მატრიანემ, იმიტომაც რომ ლეგენდით ცამეტნი იყვნენ ქრისტე და მისი მოწაფენი.

იყვნენ „პირწავარდნილი ქართველები“ (კორნელი კეკელიძის გამოთქმამ).

იყვნენ სირიაში, იქაურ ქართულ სასულიერო კოლონიათა ლეიძლი შვილნი, მკაცრი საქრისტიანო მოღვაწენი და მოწესენი.

საქრისტიანო სამყარო კი ორ ბანაკად გათიშულიყო — მონოფიზიტებად („ერთბუნებოვანნი“) და დიოფიზიტებად („ორბუნებოვანნი“). პირველნი — ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას ამტკიცებდნენ, მეორენი — ღვთაებრივს და კაცობრივს ერთად.

და იყო დაუნდობელი ბრძოლა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის.

ჩვენი ქართველი „ცამეტი მამანი“ კი მონოფიზიტები იყვნენ და მათი სამოღვაწეო სიმწიფის ასაკი სწორედ იმ უამს დაემთხვა, როცა სირია-პალესტინაში დიოფიზიტებმა იმპლარეს და მონოფიზიტების უსასტიკესი დევნა გააჩაღეს.

შევიწროებულმა სირიელმა ქართველებმაც სირია მიატოვეს და საქართველოს მოაშურეს.

ასე მოვიდნენ და ქართლ-კახეთში სამოღვაწეოდ დამკვიდრდნენ „ცამეტი მამანი“:

იოანე ზედაზნელი,  
დავით გარეჯელი,  
წიო მღვიმელი,  
ანტონ მარტყოფელი,  
ისე წილკნელი,  
აბიბოს ნეკრესელი,  
იოსებ ალავერდელი,  
სტეფანე ხირსელი,  
ზენონ იყალთოელი,  
თადეოს სტეფანწმინდელი,  
ისიდორე სამთავნელი,  
პიროს ბრეთელი,  
მიქაელ ულუმბელი.

ამათგან შვიდნი — იოანე, დავით, ანტონ, აბიბოს, იოსებ, სტეფანე, ზენონ — იყვნენ მოღვაწენი კახეთისანი.

ყველაზე ადრე მოვიდა დავითი. მოწაფე ახლდა, ძმასავით ერთგული და შვილივით საყვარელი, სახელად ლუკიანე.

მოვიდნენ ტფილისს.

ერთ ხანს ქალაქში იარეს, ყოველი ქუჩა, კუთხე და შუკა გულდასმით მოიხილეს. უფრო ხალხის შესაყრელ ადგილებს ეტანებოდნენ — აბანოებს, სავაჭროებს, საასპარეზოებს, სალაყბოებს და სალოცავებს.

მაგრამ სალოცავები ისევ წარმართულნი სჭარბობდნენ ტფილისში.

ორასწლოვანი ქრისტიანიზმი დახვდა დავითს საქართველოს სატახტოში, მაგრამ ორასი წელიწადი თურმე საკმარისი არა ყოფილა ახალი მოძღვრების სრულქმნილი, სისხლხორცეული დანერგვისათვის.

არ კმაროდა, ვინათგან ორიათასწლოვანი წარმართობის ფესვები ჯერ კიდევ ცხოველმყოფელად ღვივოდნენ საქართველოს გრძნეულ სხეულში.

იყო მაგია.

იყო ითრუჯან.

იყო აპურამაზდა.

იყო ზარათუშტრა.

იყო მანი.

იყო მაზდაკი.

და ჯერ ისევ „პირში სული ედგა“ მცხეთის მთაზე დამსხვრეულ არმაზს.

კვლავ შიშის ზარს სცემდა ადამიანებს — ეშმა, არმან, დასახ, სატანა.

უმრავლესობა ზარათუშტრას აღმერთებდა, ცეცხლს ეთაყვანებოდა და მიცვალებულებს, სპარსთა წესით, ღია ცის ქვეშ ჰყრიდა მხეცთა და ფრინველთა კერძად.

მცირენი იყვნენ მორწმუნენი ქრისტეს სჯულისა.

(როგორც ყოველთვის, მაშინაც უჭირდა ახალგაზრდა „იზმს“ ძლევა და დამკვიდრება მრავალსახოვან და მრავალსაუკუნოვან „იზმებთან“ ჭიდილში).

ქალაქის ზღუდიდან დასავლეთით ათას ნაბიჯზე, განიერ მინდორზე, ყოველ კვირა დღეს შეიყრებოდნენ ტფილისელები, „დიდნი“ და „მცირენი“, „სახეპურონი“ და „მდაბიონი“, „აზნაურნი“ და „უაზნონი“.

შეიყრებოდნენ და დილიდან მიმწუხრამდე იყო შეხლავდნენ ყოველთა საკითხავთა ზედა — ბუნებისათა და კაცისათა, ყოფისათა და ყოფიერებისათა, არსობისათა და არსებობისათა, კეთილისათა და ბოროტებისათა, ჭემარიტებისათა და ცთომილებისათა, სიყვარულისათა და სიძულვილისათა, სჯულიერებისათა და უსჯულოებისათა.

ამა მინდვრიდან დავითმა თვალი დაადგა სამხრეთით ამართულ, ტყით შემოსილ მთას. ათასი ნაბიჯი აიარა და მიადგა გამოქვაბულს.

და დაემკვიდრა აქ საცხოვრისად, თავის მოწაფესთან ერთად.

ასე იწყებს შემოსვლას ქართულ მატთანურ ხსოვნაში მა-



მა-ღავითის გამოქვაბული, ანუ — წმიდა მთა მამა-ღავითისა, ანუ კიდეც — მთაწმინდა.

ყოველ კვირიაკეს დაეშვებოდა მთიდან ღავითი, ხალხში ჩაერეოდა, ცეცხლთაყვანისმცემელ მოგვებს სიტყვას ჩაუჭრიდა, ჩაუმწარებდა და „სულთა ქეშმარიტ სარგებელ“ ქრისტესმიერ ქადაგებას შეუდგებოდა.

ხუთასი წელიწადი არყევდა ქვეყანას ცხოვრება და სწავლანი იესო ქრისტესი, მაგრამ სულ სხვა ძალმოსილებისა იყო ღავითის პირით ნაქადაგევი.

მძლავრი იყო მისი გონება, წყარო მძლავრივე შეგონებისა. აზრის სიმრთელე მოსესი ჰქონდა, ენა — ოქროპირ აარონისა.

მაგრამ მაინც ძნელი იყო მორწმუნის სულიდან რწმენის, თუნდაც ცრურწმენის ამორთმევა.

მძლავრ გონებასაც უჭირს რწმენის დაძლევა.

ღავითსაც უეჭველად უნდა სცოდნოდა ნეტარი ავგუსტინეს მკაცრი სენტენცია:

„რწმენის წინაშე ჰქრება ყოველი მიღწევა გონებისა“.

გონება უძლურია რწმენის წინაშე განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ცდილობს ადამიანს წაართვას რწმენა (თუნდაც ცრურწმენა) და სამაგიერო რწმენის სიმბოლოდ არაბა მისცეს.

მაგრამ ღავითი აძლევდა ხალხს ახალ, დიდ რწმენას, უფრო ძლიერს, უფრო სარწმუნოს, ვიდრე ყოველი სხვა წარმართული, შინა-ქართული, თუ უცხოურ-სპარსული სარწმუნოებანი.

ისედაც, ახალი აღარ იყო ეს „ახალი სარწმუნოება“ საქართველოში. საქართველო მაშინ ორასი წლის ქრისტიანი ქვეყანა იყო და ქართველთა გრძნეულ სულს მტკიცე რწმენითაც აეთვისებინა ყოველივე, რასაც ახლა ახალი ძალისხმევით ქადაგებდა სირიიდან მოვლენილი მოძღვარი.

ამიტომ ჰქონია დიდი ზეგავლენა ღავითის ნათელ ნაზრევსა და მხურვალე სიტყვას.

მაგრამ მაინც თვალები იყო სასწაულად ცხოველმოქმედი, სირიელი ასკეტის კუნაპეტი დიდი თვალები, ლურჯ უბეებში უცნაური ზმორებით მოელვარენი.

ქადაგებდა ჯადოთვალისანი ასკეტი მარადიულ ნაქადაგევს და საქადაგებელს — სული სხეულზე უნდა მძლავრდებოდეს,

სული უმძიმეს არის სხეულზე და უმძიმესად სატარებელი, მხოლოდ სულის სრულქმნილად აყვავება და სხეულებრივ საწყისთა დათრგუნვა იხსნის ადამიანს ეშმაკეული ცდუნებისაგან, მარადიული ჯოჯოხეთისგან და აღამალლებს ზეციურ, ღვთაებრივ ნეტარებამდეო.

ქადაგებდა, მაგრამ ბოლომდე თვითონ მქადაგებელში ვერ დასძლია სულმა სხეული.

ლეგენდა ჰბადებს ასეთ ნააზრევს:

ერთხელ, მიმწუხრის ეამს, საპაექროდან დაბრუნებულსა და მთაწმინდისაკენ მიმავალ დავითს ზურგიდან მსუბუქი ნაბიჯისა და მღვლვარე სუნთქვის ხმა შემოესმა.

მოიხედა.

ქალი მოჰყვებოდა ბილიკს... დიახ, ქალი...

გაოცდა დავითი. ქალი აქ საიდან გაჩნდაო. აღბათ მალე გადაუხვევსო, და ისევ შეუდგა მღვიმევისაკენ მიმავალ გზაწვრილს. მაგრამ მოტყუვდა, ქალი ბოლომდე მიჰყვა.

დავითი გამოქვამულის კართან მოტრიალდა და ჰკითხა, ვინ ხარ და რა გსურსო.

„მწყურის!“ — სთქვა ქალმა მთრთოლვარე ხმით.

დავითმა წყაროსკენ გაიშვირა ხელი.

„არა, წყალი არა“.

„მაშ?“ — გაუკვირდა დავითს.

„მე შენთან მწყურის!“ — აღმოხდა ქალს.

„ვინ ხარ შენ, დედაკაცო?“ — ჰკითხა და ველარ იცნო დავითმა თავისი ხმა.

„მესამე მსგეფსი ვისმენ შენს ქადაგებას და მწყურის გამუდმებით ვისმენდე მაგ ხმას“.

„მერე... ახლა, რად მოხველ?“

ქალს სიტყვა დაეკარგა. არა და, გრძნობდა არ უნდა დამდგარიყო, რაღაც უნდა ეთქვა ნასწრაფევად, სანამ ასკეტი გონს მოეგებოდა.

„აი... მითხარი, რომელი იყო აღთქმა პირველი ღმერთსა და კაცს შორის?“ — უცებ ჰკითხა ქალმა.

„პირველი აღთქმა იალვესა და ნოეს შორის, და ნიშანი მისი — ცისარტყელა“, — უპასუხა დავითმა.

„მეორე აღთქმა?“

„მეორე აღთქმა იაღვესა და აბრაჰამს შორის, და ნიშანი მისი წინდაცვეთა“.

„აღთქმა მესამე?“

„მესამე აღთქმა იაღვესა და მოსეს შორის, და ნიშანი მისი — შაბათი“.

„სულ რამდენი იყო აღთქმა ღმერთისა და კაცის შორისო?“ — არ ეშვებოდა ქალი.

„სულ იყო აღთქმა ექვსას ცამეტი“ — მკაცრად მიუგდო სიტყვა დავითმა.

ქალს ისევ დაეკარგა სიტყვა.

დავითი მიხვდა, აღთქმათა სასწავლად რომ არ იყო მოსული დედაკაცი იგი.

„შემცივდა“, — უცებ სთქვა ქალმა და მღვმეში შევიდა გულდანდობილად.

დავითი შეჰყვა. სანთელი აანთო.

ქალი ძალიან ლამაზი იყო.

ასკეტის ჯადოქარმა თვალებმა არ ჰკითხეს არც გულსა და არცა გონებას, ისე გააშიშვლეს დედაკაცი იგი თავით ფერხამდე.

„ძუძუნი უმჯობეს ღვინისა, მუცელნი ვითარცა ხევი იფქლისა“ — გაუელვა დავითს და იგრძნო როგორ გამოჰვლიჯა მის სულს სატანამ მისი სხეული.

„მწყურის!“ — ისევ სთქვა ქალმა და სრულიად განიკვართა სამოსელი ათრთოლებული ხელებით.

მთელი ღამე ერთად იწვნენ.

წლის ოდენა შეიქმნა ღამე — სიშავე ბედისწერისა, დედა და მზრდელი ძმათა მარჩბიეთა, ძილისა და სიკვდილისა.

ვერ იქნა და დღის შემოსვლამდე ვერ განიკვეთა მამაკაცმა დედაკაცი.

არცა ჯოჯოხეთი, არცა მიწაი უწყლო, არცა გულისთქმა დედაკაცისა არა იტყვის — კმა არს! — ფიქრობდა დავითი.

როგორც იქნა წავიდა ქალი.

მერე გაახსენდა დავითს, ვაი თუ ქალი დაორსულდეს და ბავშვი ეყოლოსო, ბავშვი — ნაფოტი მამაკაცისა! ფიქრობდა შიშით დარეგვილი.

„გარდარეულთა ცოდვათა ჩემთაგან მიხსენ მე და ვედრებაი ჩემი შეიწირე, ქრისტე!“

უმძიმესი მარხვა დაიდგინა ცოდვილმა. უსასტიკესი მეტანიებით და სხეულის გვემით იმთელებდა გალახულ და გახლერილ სულს.

მაინც ქადაგება იყო მისი სულის ხსნა და ერთი მსგეფსის თავზე ისევ დაეშვა საკრებულოსკენ. დაეშვა და ისევ დაეცა რისხვად ცეცხლ-თაყვანისმცემელ მოგვებსა და მოწესებს.

ის ქალი კი აღარსად ჩანდა.

დავითის სული თითქოს სავსებით განიკურნა მშფოთვარებისგან.

გავიდა კიდეც ნახევარი წელიწადი.

დავითი ქადაგებდა. ქრისტიანენი მრავლდებოდნენ და მძლავრდებოდნენ, წარმართნი მცირდებოდნენ და კნინდებოდნენ.

მერე — ისევ იყო კვირა დღე და ისევ იდგა ქადაგად მამა დავითი. ისევ „აღმოსდიოდეს პირითა მისით სულისა მარგებელნი სწავლანი, მსგავსად წყაროთა დაუწყვეტელთა“.

და უცებ სპარსმა მოგვებმა წრეში ფეხმძიმე ქალი შემოიყვანეს.

სწორედ ის ქალი!

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ერთმა მოგვმა ქალს წინ წამოზიდულ მუცელზე არგანი მიადო და ხალხს დამცინავად სახელამეწყრილმა შესძახა: აი, წმინდა დავითის წმინდანობის ნაყოფიო. მეორე მოგვამაც წამოაშველა: ქრისტეს მცნებას რომ გვიქადაგებს, არ იმრუშოო, აი, თვითონ რა მრუში და გარყვნილი ყოფილაო!

ხალხი აიშალა, ახმაურდა და აყარყაშდა.

დავითს პასუხი უნდა გაეცა.

იგი ქალს დააშტერდა და ჰკითხა:

„რას იტყვი, დედაკაცო, ვისგან იღე მუცლად შენ?“

„შენგან“, — მშვიდად მიუგო ქალმა.

ქრისტიანებმა ამოიგმინეს.

წარმათები ახორბოცდნენ.

დავითმა ჭვაროსანი კვერთხი აღმართა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

დავითი ქალს მიუახლოვდა, კვერთხი მუცელზე მიაბჯინა და დაიქუხა:

„ქვა შვი, დედაკაცო, ქვაი, რამეთუ ცილი მწამე მე!“

სთქვა და ნასწრაფევად გაეცალა მოედანს.

მას აღარ დაუნახავს, როგორ დაეცა ქალი.

გვიან იტყვიან ამ ლეგენდას: დავითისაგან დაწყევლილმა ქალმა მართლაც ქვა შობა და იმ ადგილზედ, ამ სასწაულის კვალობაზე, ტაძარიც აღიმართა, სახელად — ქვაშვეთი.

ლეგენდა სინამდვილის პოეტური ტყუბისცალია. „თვითნაბადი ლეგენდა“ არ არსებობს. მას ყოველთვის რაღაც სინამდვილის მარცვალი აღვივებს და აღმოაცენებს. ამ შემთხვევაში კი სინამდვილე ის გახლავთ, რომ ადამიანს არასგზით არ შეუძლია სრულქმნილად, სრული სინდისიერებით განასრულოს ასკეტობა, განდევილობა, ანაქორეტობა. არ შეუძლია, ვინათგან იგი უწინარესად მიწის შვილია და მხოლოდ სწორედ „მიწიშვილობის“ შემდეგ იწყება მისი „ზეციშვილობა“. ადამიანის „მიწიშვილობა“ კი არ შეიძლება „ცოდვიშვილობაზე“ დავიყვანოთ. სხეული არ არის მხოლოდ და მხოლოდ „ქურპელი წყმედილი“, — ბრძანებს ილია ჭავჭავაძე, და წუთისოფელიც არ არის მხოლოდ „ცოდვის სადგური“ (ისევ ილია). ფრანცისკ ასიზელიც კი — ანაქორეტობის ეს „მსოფლიო კლასიკოსი“ — მარტო ღმერთს კი არა, „ღვთისგან შობილ“ ადამიანურ სხეულსაც უგალობდა. სრულიად მსოფლიო კაზმულსიტყვაობაშიც „ასკეზისის თემა“ ჯერ ისე არ დაწერილა (და არც დაიწერება), სადაც სხეულს სულთან ჭიდილში ოდესმე თეთრი ბაირალი გამოეკიდოს. მარტო ტოლსტოის „მამა სერგი“ და ილია ჭავჭავაძის „განდევილი“ ვიკმართ. გნებავთ, გოეთეს „საწყის-ქალური“, ანუ „ყოველქალური“ გავიხსენოთ და ერთხელ კიდევ ვირწმუნებთ, რომ ჩვენი გმირიც, „წმიდა დავითი“, — ვითარცა სრულქმნილი „მიწიშვილი“ — სწორედ ქალური სიმშვენიერის „ყოვლისმძლევლობისა“ და მისგან მომდინარე „ცოდვიშვილობის“ მსხვერპლი უნდა ყოფილიყო.

### რუმენა ღაშით ბარჯაქლისა

ძველი ქართული აგიოგრაფიული წყაროები ვრცლად მოგვითხრობენ გარეჯის უდაბნოს დაფუძნების ისტორიას, მოგვითხრობენ დავითისა და ლუკიანეს ღვაწლზე, დიდ განსაცდელზე,

რომელიც წილად ზვდათ ამ პირველ მეუდაბნოეთ... აქ ბევრია ლეგენდური, ზღაპრული და ბევრი სიმართლეც არის. ჩვენ მოკლედ გადმოგცემთ ძველ ავტორთა ნაამბობს.

ჯერ ისევ ბნელოდა და ეძინა ქალაქს, როცა დავითი და ლუკიანე ტფილისს გაშორდნენ.

ცისკრისვარსკვლავი დაილია და მზემ წვერი ჰკრა კეოცხლოვან ზეცას.

სწორედ მზისკენ მიიწევდნენ, აღმოსავლისკენ.

მზე კი ცის თხემისაკენ მიისწრაფოდა.

დედამიწაც მაღლდებოდა, თითქოს ისიც ზეცისკენ მიილტვოდა. მაგრამ კვლავ ეცემოდა და დაბლდებოდა დედამიწა. ისევ წამოიწევდა, ისევ ეცემოდა. იყო ბორცვები, იყო მთები, მთათაშორისი ხეენი, ველნი და ტაფობნი. ყოველივე იყო მწვანით მოსილი.

„მწყურის!“ — აღმოხდა ლუკიანეს.

ის ქალი გაახსენდა დავითს.

„შენ ხომ იცი, უფალო, წარმართთა მომიჩინეს დედაკაცი იგი, ჩემდა ცდუნებად“, — ეს მერამდენედ გაზმიანდა ეკვით დამძიმებული ცოდვილის სულში.

„მწყურის!“ — ისევ დაიკვნესა ლუკიანემ.

წყალი კი არსად ჩანდა.

მზე კი მძვინვარებდა საშუაღლეოზე დაყუდებული და დედამიწის სიმწვანით გახელებული.

„იყავ მოთმენით, ძმაო ჩემო!“ — უთხრა მწყურვალმა მწყურვალს და ნაბიჯს აუჩქარა დავითმა.

მძვინვარებდა სიცხე.

მაინც ვიღოდნენ შეუპოვრად.

ძებორციელი არ შეხვედრიათ.

კაცთაგან დავიწყებულ მიწაზე მიაბიჯებდნენ.

გველნი და გველხოკერანი დარისინებდნენ ბალახთა, ძეძთა და თუთუბოთა შორის.

ხვლიკნი, კუნი და ჯოჯონი გადმოსცქეროდნენ თვალგაშტერებით სიცხით აფორეჯებული კლდეებიდან და კბოდებებიდან.

კურდღელი, მელა და ქურციკი უჭრიდნენ გზას წამდაუწუმ.

შორს ირმის ჯოგმა გადაიქროლა რქების ღრუბელით.

ყვეთა და ყორანთა ვაება აჯანჯლარებდა განივთებული ტანით მწოლარე მყუდროებას.

ცხრაჯერ ცხრა მთა გადაიარეს და ხელმარცხნივ დიდი ტრიაშელი ველი გადაეშალათ თვალწინ.

დიდხანს უცქირეს ჯაღოქმნილთა და შეგრძნებულთა.

„ესე არს ქვეყანა უდაბნო“, — სთქვა ბოლოს მოძღვარმა.

„უდაბნო!“ — გაიმეორა მოწაფემ.

„ხოლო, ცხოვრება ჩემი, ამა მთათა და ამა უდაბნოთა შორის, განესრულება ვითარცა გარეჰსჯა“, — სთქვა და დაემხო დავითი, დაემხო და ცრემლთა თხევით დაალტო მიწა.

გარე ჰსჯა, სხეულის ჰსჯა — დათრგუნევა,

და ამაღლება სულისა!

ხელმარჯვნივ გაუყვნენ მხარიმხარ გაბმულ მთებს. ბოლოს მიადგნენ მაღალს და კლდოვანს, ნაპრალებით, მღვიმეებით, ღრანტეებითა და ლაკნებით დაღარულს.

ლაკნებში წყალი იდგა, ნაწვიმარ-ნამცვრევი.

მწყურვალნი დაეწაფნენ გახელებით.

ძლივს გაეყარნენ წყალს დარწყულებულნი.

კლდის ქვეშე ქვაბულს შეეფარნენ საჩრდილობლად და საგრილობლად.

და უთხრა მოძღვარმა მოწაფეს:

„მამო ლუკიანე, ვხედავ რამეთუ კეთილ არს ადგილი ესე და ადამიანთა შფოთთაგან თავისუფალი, და დავდგეთ აქა მარტოობით, ღვთისა მიმართ მლოცველნი და მავედრებელნი, მყუდროებით მარხულნი და მღვიძარენი, ხორციელ სატკივართა მხნედ მომთმენელნი და ცოდვათა მომნანიებელნი. რამეთუ აქა, მოწყალემან და ტკბილმან უფალმან, ჩვენი შრომისა და ხრწნადი სხეულის დათრგუნვის ნაცვლისგებად, მოგვცეს ძალი საღმრთოისა, შუებაი და დიდებაი სამარადისო“.

გული შეუშინდა მოწაფეს და ეს პასუხი შეჰბედა მოძღვარს:

„ღმერთშემოსილო მამაო, ჰეშმარიტად სიტყვისაებრ შენისა არს ყოველი, გარნა ვხედავ ფრიადსა იწროებასა და უღონოებასა ამა უდაბნოსასა, რომელიც დაკლებულია ყოველი საჭირო საზრდელისაგან და წყლისაგან, ხოლო ჩვენ კაცნი ვართ, ხორციელნი, ბუნებრივ უძლურებასა შინა მყოფნი და მეშინ

ნის, ვაი თუ წყურვილით შევიშვით, მზის მცხუნვარებით შევიწვეთ და ვერ შევძლოთ მოთმენა ჭირთა და იწროებათა ამა უდაბნოსა შინა“.

დავითმა თვალი დააშტერა დამფრთხალ ლუკიანეს და მკაცრად თქვა:

„უზენაესმა უდაბნოთა შინა უწვიმა ხალხს საზრდელად ციდან მანანა, სარწყულად ზრქელისა კლდიდან წყარო უწყაროა, ილიას ყორნის მართვენი მისცა საზრდელად, იოანე უდაბნოში კალით იკვებებოდა, და არცა ჩვენ დაგვივიწყებს უზენაესი და ჩვენცა მოგვცემს საზრდელს, ჩვენი უძლური სხეულის განსამტკიცებლად“.

კიდევ რაღაცის თქმა დააპირა ლუკიანემ, მაგრამ ისევ დაასწრო დავითმა:

„ესე არს უდაბნო საწრთენელად, განსამტკიცებლად და ასამაღლებლად სულისა ჩვენისა“.

სთქვა, დაბეჭდა და გაათავა.

„პატროსანო მამაო, ეგრეთ ვჰყოთ, ვითარცა გიბრძანები-ეს“ — მხნედ დაუდასტურა ლუკიანემ.

თავიდან მოწონებული გამოქვაბული აირჩიეს მუდმივ საცხოვრისად.

კლდეზე ნაღვარევი ღარებად აქციეს და ლაკნები განასრულეს წყლის საგროვებლად.

მწვანე ბალახს, მხალეულსა და ძირხვენებს ირეწდნენ, ზოგს ხარშავდნენ, ზოგსაც მწვანილად ჰამდნენ.

მათი საცხოვრისი ქვაბულის ქვემოთ, ჩრდილოს კერძო, კიდევ იყო ერთი გამოქვაბული, სადაც უზარმაზარი გველი ცხოვრობდა.

გველემაპია და თავზე რქა ადგასო, — არწმუნებდა ლუკიანე დავითს.

„შუა ზაფხული მოიწია.“

მზე უკიდურესად გახელდა და გაცოფდა.

ყოველი სიმწვანე ჩაჰკნა, ჩახმა და ჩაკვდა.

მხურვალეებით გაფატრული მზე მდულარე დორბლებს ასხამდა დაბრიყვებულ დედამიწას.

„მწყურისი“ — ბლაოდა უდაბნო.

რა წვიმა და წყალვარდნილი განაძლებს მცხინვარებისაგან

ეგზომ განაწამებ დედამიწასო, და ისევ ხმიანდებოდა ასკეტის სულში:

„არცა ჯოჯოხეთი, არცა მიწაი უწყლო, არცა ცეცხლი, არცა გულისთქმა დედაკაცისა არა იტყვიან „კმა არს!“

ოჰ, ისევ ის დედაკაცი!

„არა განძღების, არა განძღების!“ — იმეორებდა უდაბხო მშრალი ხავილით.

მზე არს ჩვენი მაცოცხლებელი და მაარსებელი, მაგრამ მხოლოდ წყალთან შეზღვილ-შეჭერებული. მზე უწყლოდ უსაზღვრო ბოროტებაა, ვითარცა წყალი უშეოდ ღეთის რისხვება ყოველი სულდგმულისთვის.

პლატონი გაახსენდა დავით გარეჯელს — მზის, წყლის, მიწისა და ჰაერის ჰარმონიაზე რომ განაფენს ლოგოსს.

სული ადამიანისა სისხლშია და სწორედ სისხლი მომიწამლა იმ დედაკაცმაო. სურდა დაცლილიყო მოწამლული სისხლისაგან და სულ სხვა სისხლისაგან ავსებულყო.

არა განძღების არცა მიწა გვაღვაცემული, არცა გულის-თქმა დედაკაცისა!

„არა განძღების! მწყურის, მწყურის!!!“ — ზმუოდა უდაბნო.

„ღმერთო, უფალო სახიერო, განმაშორე ყოვლისაგან ნივთისა ბოროტისასა, ვითარცა იობი!“

სულ სხვა ფიქრებს მოუხმო, მაცდუნებელ ფიქრთა დასათრგუნავად:

რაი არს ღრო?

რაი არს სივრცე?

რომელი უფრო ღიღია და უფრო ძლიერი?

რომელი უფრო ეთვისება, თუ ეკირთება ადამის მოდგმას?

„მწყურის, მწყურუურიის!!!“ — ჰკიოდა უდაბნო.

უდაბნო, თუ... ის დედაკაცი?!

„რაი არს, რომე ხორცი სულისა მონად ვერა დავიდგინე?“

გარნა სადღა იყო ხორცი, შიმშილისაგან განლეული და მხოლოდღა ძვალზე შემოტმასნილ ტყავად ქცეული?!

ვეღარ დაიჭირა კბილით სული ლუკიანემ და შეპლალადა მოძღვარს:

„აწ რაღა არს, წმიდა მამაო, ნუგეში ჩვენი, ოდეს სხეული ჩვენი სიყმილისაგან ეგზომ დაიშრიტა?“

„არა უწყია, ძმაო ჩემო, რამეთუ ყოველივე ნივთი ქვეყნი-  
სანი ცვალებადი და წარმავალნი არიან, ყოველივე ქამისაგან  
დაბადებული და აღორძინებული ქამისავე თანა განიხრწნები-  
ან? მხოლოდ სული არს მარად უკვდავი და კვალად იწინამ-  
ძღვრე ხმაი საუფლოი — მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ  
სული თქვენი!“

ეს სთქვა და ისევ განმარტოვდა დავითი ლოცვად და ლი-  
ტანიად. მთელი ღამე ევედრებოდა ღმერთს, მიეტევებინა შე-  
ცოდებანი და მიეცა ნიშანი მიტევებისა, ვითარცა ნიშანი აღ-  
თქმისა — ცისარტყელა — ებოძა ნოეს.

და მეორე დღეს მისცა ღმერთმა დავით გარეჯელს ნიშანი  
მიტევებისა და მარადიული წყალობისა: ირმები მოადგნენ ას-  
კეტთა გამოქვაბულს — სამი ფურ-ირემი, სამი ნუკრით.

მოვიდნენ და დადგნენ, თვინიერნი, ვითარცა ცხოვარნი.  
(უთუოდ დავითის ყოვლისმძლე თვალებმა დაითვინიერეს  
ნადირნი).

„აიღე, ძმაო, პინაკი და მოწველე ირემნი ესე, ღვთისა  
მიერ მოვლინებულნი“ — მშვიდად უბრძანა მოძღვარმა მო-  
წაფეს.

მოწველა გაშეთებულმა ლუკიანემ ირმები.

უკვე სამყოფად ჰქონდათ რძე და ყველი სხეულ-განრღვე-  
ულებს.

კვირაში ხუთი დღე — გარდა ოთხშაბათისა და პარასკევი-  
სა — მოდიოდნენ ირმები ადამიანთა „საზრდელად“.

ერთხელ შემფოთებულნი და შეძრწუნებულნი მოაწყდ-  
ნენ ირმები დავითის მღვიმეს.

ერთი ნუკრი აღარსად იყო.

„უეჭველად გველუშაბი ჩაჰყლაპავდა ნუკრს!“ — იყვირა  
ლუკიანემ.

წამოიჭრა დავითი გამწარებით, ჯვარსახოვანი კვერთხი  
აიტაცა და დაეშვა გველის სადგომისაკენ.

გამოხონდა გველი და ადამიანისკენ წამოემართა მძიმე  
ზმორებით, თვალთა უძვრელი განწონვით და ენის რისინით.

თვალი თვალში ჩაუწონა დავითმა.

იწივლა და თავი მიწაზე დაანარცხა მზერააშლილმა გვე-  
ლუშაბმა.

„ჰოი შენ, ბოროტო თავო, რად მავნებელ ექმენ ირემთა



ჩემთა და შეშუპამე ნუკრი მათი! განვედ ამა ადგილთაგან, გადა-  
იხვეწე, რამეთუ უდაბნო ესე იქმნეს ქალაქად ღვთისა მოღვა-  
წეთა! — დაარისხა დავითმა და სამხრეთისაკენ გამართა კვერ-  
თხი ჯვარსახოვანი.

დაიძრა გველი მძიმე შხორკალით. ყარაიამდე ძლივს ჩაი-  
ტანა უცნაური კაციშვილისგან ჯადოქმნილი და ჯანდაცლილი  
სხეული.

ცამ დაიჭექა ანაზღაითად.

ცეცხლოვანი სვეტი ელვად ჩამოიკლაკნა და დააცხრა  
მიწას.

გველეშაბი ცეცხლმა მოიცვა. ერთი შეწივლება და ლურ-  
ჯი ფერფლი შეერთო მიწას.

მთელი ღამე წვიმდა. მეხი გრგვინავდა. ცა იერად ჩამო-  
დიოდა.

უდაბნო დამარწყულებულ სიტკბოებას მოეცვა, მაგრამ  
ტფილელი დედაკაცის მთრთოლვარე ძახილი მაინც აფორია-  
ქებდა დავით გარეჯელის ძილში ჩაძირულ გრძნეულ გონებას.

„მწყურის, მწყურის!“

„არა არს კაცი, რომელმან არა გცოდოს შენ, ღმერთო!“  
ამოიგმინა ასკეტმა.

კვლავ შეიმუხრა რამდენიმე დღე და კახელი მონადირენი  
შემოვიდნენ სანადიროდ უდაბნოს ველებზე.

სამი ირემი და ორი ნუკრი დალანდეს, თვინიერად მომა-  
ვალნი. კვალდაკვალ მიჰყვნენ ნადირთა უშფოთველობით  
განცვიფრებულნი მონადირენი.

კლდეებში გაუჩინარდნენ ირმები. მონადირეებს ერთხანს  
მისადევნელი გზაწვრილი ჩაუწყდათ ხშირ ნაპრალებსა და  
ხლართოვან ბილიკებზე.

ბოლოს მიაგნეს, იხილეს და გაშეთდნენ.

მღვიმევის წინ, მცირე ეზოში, ახოვანი შავოსანი კაცი იდ-  
გა, ჯვარსახოვანი არგანით ხელში, ხშირი თმა-წვერით დატვირ-  
თული და გასაოცარი, შექმოსიერი თვალებით აკიანთე-  
ბული.

ორი ირემი ფეხებთან უწვა.

ორი ნუკრი ხელებს ულოკავდა.

მესამე ირემი განზე იდგა, ფეხებგანდგომით. ახალგაზრდა

ბერი მუხლმოკეცილი მისდგომოდა, პინაკი მიედგა და სწველიდა გულდანდობილად.

სანადირო მშვილდნი და ისარნი შორს მოისროლეს მონადირეებმა. მიეჭრნენ და მუხლებში ჩაუცვივდნენ დავით გარეჯელს.

„წმიდაო ღმერთო, რა არს უცხო ესე საკვირველი, რომელსაც ვხედავთ, ვითარ ირემნი ესე, ნადირნი ველისანი, ესრეთ სიმშვიდით მდგომარენი არიან, ვითარცა ეზოთა შინა სახლისათა ცხვარნი კაცთაგან აღზრდილნი? — იბლავლეს ერთხმად და ერთბაშად.

„რად გიკვირთ, ძმანო, ყოვლისშემძლეობა უზენაესისა, რომელმან ჩვენ უძლურთა საზრდელად გვიბოძა ნადირნი ესე? ხოლო, თქვენ, ძმანო ჩემნო, წადით და მიმართეთ სხვასა სანადიროსა“, — მშვიდად მიუგო დავითმა.

უფროსმა მონადირემ დაასწრო დანარჩენებს:

„ჰეშმარიტად, დიდ არს ძალა და დიდება ღვთისა, რომლისათვის შენ მოთმინებით გიტვირთავს შრომა და ღვაწლი ამა უღაბნოსა შინა! გარნა ჩვენცა ვართ ქრისტიანენი, და გვედრებით, ღმერთშემოსილო მამაო, გვაზიარე სიწმინდესა შენსა, რათა შენგან ვისწავლოთ სრული მეცნიერება ღვთისა; ნება მოგვეცი აღარ დაგტოვოთ და დავდგეთ აქა შენდა სამსახურად!“

„დავდგეთ აქა შენდა სამსახურად!“ — შეჰლაღადა დანარჩენმა ექვსმა მონადირემ.

„ნუ, შვილნო და ძმანო, ნუ იქმთ ამას, რამეთუ ადგილი ესე, ვითარ ჰხედავთ, ფრიად ფიცხელ არს კაცთა საცხოვრისად. ამიტომ უმჯობეს არს დაბრუნდეთ თქვენსავ დაბათა შინა და იქ ემსახურეთ ღმერთსა, ბოროტთაგან განყენებულნი, გლახაკთა და უღონოთა მწყალობელნი“, — მტკიცედ სთქვა დავითმა.

კვლავ სცადეს მონადირეებმა დაეყოლიებინათ წმინდანი და დარჩენილიყვნენ მასთან საცხოვრისად და სამოღვაწეოდ, მაგრამ დავითმა თავისი სიტყვა აღარ დასთმო არასდიდებით.

მონადირენი გაბრუნდნენ და მთელ კახეთ-კუხეთს მოსდეს ამბავი უღაბნოში ჩასახლებული კაცი-სასაწაულისა.

დაიძრა ხალხი უღაბნოსაკენ.

ყველას უნდოდა დავით გარეჯელის ხილვა და განცდა მისი სასწაულმოქმედებისა.

გაცოცხლდა, ახმაურდა და აზრიალდა საუკუნეთა სიგრძეზე კაცთაგან დავიწყებული და დამიწებული მიწა.

სთხოვდნენ, ევედრებოდნენ და ემუდარებოდნენ წმინდ მამას, ნება დაერთო მასთან დარჩენისა, მისი მწყემსობის ქვეშ ყოფნისა, მასთან ერთად „სულის მარგებელ“ შრომისა და ღვაწლმოსილებისა.

დავითი აფრთხილებდ — ყველას, ეს ადგილები ძალზე მძიმეა საცხოვრებლად, უსაშველო სიციხისა და უწყლოობის გამო, ამიტომ ნუ აჩქარდებით და უცებისად ნუ გადაწყვეტთ აქ დარჩენასო. მაგრამ ხალხი თავისას არ იშლიდა. დიდი იყო ძალა დავითის სულისა, მისი სიტყვისა და თვალებისა.

და შეუსია დავით გარეჯელმა გარეჯის კლდეებს მორწმუნენი. რკინის სათხარნი მოაღებინა და ასწავლა საცხოვრებელ და სალოცავ მღვიმეთა გამოკვეთა, წყალსაგროვებელ ლაკანთა გამოჭრა და განსრულება, წყალსადინარ ღართა ჩაჭრა და ჩასწორება.

და ასე — „დაემკვიდრნეს სიმრავლენი მამა კაცთანი, უდაბნოებითსა ცხოვრებასა შემტკობელნი“.

დავით-გარეჯა ქრისტიანული რწმენისა და აზროვნების უდიდეს კერად იქცა საქართველოში.

ნინოწმინდიდან გარეჯას მივიდა დოდო — „ღირსი და სათნოებით შემკული ბერი“.

ძალიან მოიწონა დავითმა „სიმტკიცე და სიმახვილე დოდოს გონებისა სამღრთოსა შინა“. შეითვისა და შეიტკობ ქრისტესმიერი ძმა ღვიძლი ძმასავით.

მორწმუნე მეუღაბნოენი, ასკეტნი და დაყუდებულნი მოდიოდნენ და მოდიოდნენ განუწყვეტლად და განუცალებლად, დავითის მთის მღვიმენი ველარ იტევდნენ მოწესეებს.

მაშინ უთხრა დავითმა დოდოს: რაკი ამდენმა ხალხმა ინება ამა უდაბნოში ცხოვრება, ხოლო ჩვენი სამლოცველონი და სადგომელნი ველარ იტევენ მორწმუნეებს, აღი იმ კლდის რქაზე, ჩვენს პირდაპირ გაღმა მთაზე რომ წამომართულა, წაიყვანე ძმანიცა სხვანი, აღაშენეთ იქ ეკლესია და სამკვიდრებელი დაბა უდაბნოსა შინა და ერქვას იმა ეკლესიას სახელი დვთის მტვირთველისა ქალწულისა მარიამისა.

აღასრულა დოდომ ბრძანება მამა დავითისა, წაიყვანა იმ კლდის რქაზე დიდი წილი მორწმუნეებისა, დასცეს სათხარი. გაჭრეს ბალავერი, გასკვნეს საძირკველი და აღმართეს ეკლესია ღვთისმშობელი მარიამისა, გამოჭრეს და გამოკვეთეს მღვიმენი საცხოვრისნი და ლაკანნი წყალსაკრებელნი.

ასე აღმოცენდა და აშენდა ახალი სავანე — დოდოს-რქა, ბირმშო დავით-გარეჯის სავანისა.

დრო კი მიდიოდა თავისი გზით, იცვლებოდა, იმსხვრეოდა, ინთქმებოდა და კვლავ აღორძინდებოდა კანგამოცელილი განუწყვეტლად.

ერთხელ დავითი, ჩვეულებრივ, გარეჯის მთის გადაღმა გადავიდა, ადრე ამოჩემებულ ადგილას სალოცავად, განრინებით და განმართობით. უცებ, სად იყო და სად არა, მუხლმოყრილსა და ხელაპყრობილ მლოცველს დამფრთხალი კაკაბე მიუფრთხილდა მუხლებთან. წამსვე ქორიც მოიჭრა კაკაბზე ადევნებული, ათ ნაბიჯზე დაფრინდა და ჩასისხლული თვალებით დაუწყო ზომვა ხან კაცს და ხან კაკაბს.

ცხენის ფეხის ხმაც გაისმა.

დავითი მაშინვე, მიხვდა, ქორი სანადიროდ იყო გაწვრთნილი და კაკაბს ადევნებული. მონადირეც ახლო უნდა ყოფილიყო და გამოჩნდა კიდეც.

ცხენი ზედ მიაგდო მხედარმა, შედგა და თვალი მოავლო საოცარ სურათს. მუხლმოყრილი კაცი, მუხლებთან უშფოთველი კაკაბი და მოშორებით მშფოთვარე ქორი.

„ვინ ხარ, კაცი, შენ?“ — უსიამო და უთმინარი ხმით შეჰყვირა მონადირემ.

დავითმა კაკაბი აიყვანა და ფეხზე წამოდგა.

„ჰე, შენ გეკითხები, ვინა ხარ-მეთქი!“ — ისევ იყვირა უსათნოო ხმით მოსულმა.

ვიღაც უცხო ბარბაროზია, გაუელვა დავითს და მშვიდად მიუგო გაფიცებულს:

„მე ვარ მონა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.

„და აქა ცხოვრობ?“

„აქა“.

„მერე, ვინ გაჰმევს, ვინ გასმევს და ვინ არის შენი ნუგეშინის მცემელი ამ ტიალ და უცხოვრის უდაბნოში?“

„უფალი ჩვენი იესო ქრისტე“, — ისევ მშვიდად სთქვა დავითმა.

კაკაბს დაადგა თვალი მონადირემ.

დაასწრო დავითმა:

„უფლისა ნებით ფრინველი ესე მოივლტო ჩემთან, რამეთუ ვიხსნა მე მისი სიცოცხლე, ხოლო შენ წარვედ სხვათა სანადიროთა მიმართ“.

„რაო?“ — დაიღრიალა მონადირემ — კაკაბი კი არა, შენე სიცოცხლის გადარჩენაზე იფიქრე, ბერო საწყალობელო!“

„რასად ამპარტავნობ, მიწავ და ნაცარო?“ — ძკაკოდ შეუბრუნა სიტყვა დავითმა.

„მე შენ დაგამიწებ და დაგანაცრებ!“ — მახვილი გაიძრო მონადირემ, აღმართა კიდეც და წამიერად ბერის თვალთაგან გამომკრთალმა ელვამ დაუწვა მთელი სხეული.

მახვილიანი მკლავი ჰაერშივე დარჩა განპყრობილი და გახევებული.

თითქოს დროც გახმა და გაშეშდა წამიერად.

„მაპატიე, შემინდე და ამიშვი, ამიშვი, ღვთაებრივო!“ — ცრემლი წასკდა მკლავგამხმარ კაცს.

მივიდა დავითი დინჯი ნაბიჯით, ხელი შეახო შეშადქცეულ ხელს მონადირისას, თვალეზი ზეცად აღაპყრო და შეჰლალადა:

„უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩვენო, სახიერო და კაცთმოყვარეო, შეიწყალე მავედრებელი შენი და განკურნე ხელი ამა ბარბაროზისა, რომელმან სილადით აღილო მარჯვენე თვისი ჩემზედა, უღირსისა მონისა შენისა, განკურნე რათა გულისხმა ჰყოს და გიცნას შენ ღმერთი ერთადერთი!“

დაასრულა და ისევ ჩაუწონა თვალი თვალში გაქვავებულ კაცს.

და ისევ ხალორძინა წმინდანის თვალთა საოცარმა შუქმოსიერებამ მზვობარი ურწმუნოს გაშეშებული ხელი და გაშეთებული სხეული.

დაემხო და დაირღვნა ცრემლად ცოდვილი.

დავითის წინაშე დამხობილმა დაგმო ცეცხლი და აღიარა სჯული ქრისტესი.

ყოფილა რუსთავიდან, რქმევია ბუბაქარი, სარწმუნოებით წარმართი, მდგომარეობით მდიდარი და გავლენიანი წარჩინებული. ჰყოლია ცოლი და სამი ძე, მათგან ერთი — დაბადებითვე ხეიბარი ხელით და ფეხით.

„გრწმენინ ქრისტე და იგი განკურნავს შენს შვილსაც, და

იქნება შვილი შენი ყოვლითურთ მრთელი და უნაკლ-  
ლოი“, — უთხრა დავითმა.

ისევ დაემხო და ატირდა ბუბაქარი. ისევ აღავლინა სამა-  
დლობელი ქრისტესა და დავითის მიმართ.

დამშვიდობნენ ერთმანეთს.

ერთი მსგეფსი კიდევ განესრულა და ბუბაქარი სამივე  
ძის თანხლებით ეახლა დავითს, პურით და სამარხვო საქმელე-  
ბით დატვირთულნი. წინ სავსებით განკურნებული შვილი  
აახლა და მადლი მიუგო ქრისტესმიერ სასწაულებრივი გან-  
კურნების გარდმოვლენისთვის. მერე ოთხივენი დაემხნენ წმინ-  
ჯანის წინაშე.

ბოლოს თაყვანით და ცრემლთა თხევით რომ გული მოი-  
ჯერეს, ბუბაქარმა უდაბნოელებს სუფრა გაუშალა. სერობა  
რომ დასრულდა, სტუმარმა ყველაზე დიდი სათხოვარი აღუვ-  
ლინა მასპინძელს: მე, ჩემი ცოლ-შვილი და მთელი ჩემი სახ-  
ლეული, წმინდა ნათლისღებით, ქრისტეს სჯულზე უნდა შე-  
გვაყენო.

დავითმა სტუმრები ლუკიანეს ჩააბარა, დოდოსთან გაგ-  
ზავნა, მონათლას შენ უწინამძღვრე და შენ მოუარეო.

დოდომ „მხიარულებით შეიტკბო ბუბაქარ და ძენი მისნი“  
და გაატანა რუსთავს მღვდელი, რომელმაც მონათლა ბუბაქარი,  
მისი ოჯახი, ახლობელნი და სახლეულნი სრულად.

მაინც არ დაისვენა ბუბაქარმა. ნათლისღებიდან კიდევ ერ-  
თი მსგეფსის თავზე დავითგარეჯას ჩამოიყვანა კალატოზნი და  
წმინდა მამის ქვაბის პირდაპირ კლდეში გამოჰკვეთა ეკლესია,  
ბირველსახე სახელოვანი დავითის ლავრისა.

სახელი მისი — ეკლესია ფერისცვალებისა.

დრო-ჟამი კი ვიდოდა გზითა მიუმცნობელითა.

ერთ დღეს დავითმა ლუკიანე იხმო და უთხრა: ძმაო ჩემო,  
დიდი ხანია, სურვილი მტანჯავს, ვეწვიო იერუსალიმს უფლი-  
სა ჩვენისა საფლავისა და სხვათა წმინდა ადგილთა სათაყვა-  
ნოდ და სალოცავადო; დადგა დღე იგი, როცა მე უნდა გავემ-  
გზავრო, ხოლო ჩემი წასვლის ჟამს შენ უნდა უწინამძღვრო  
და უპატრონო გარეჯის სამწყსოს, აქაურ ძმებსა და მოწე-  
სეებსო.

შეწუხდა ლუკიანე, მე არ შემიძლია შენგან განშორებაო.

სიკვდილამდე ვერ მიგატოვებო, მეც თან უნდა გეახლო იერუსალიმს მიმავალსო.

ნულარ შემომესიტყვებო, მკაცრად უთხრა დავითმა, ორივე რომ წავიდეთ, ჩვენი ამდენი ნაშრომ-ნაამაგარი ფუჭი და ამო გახდებო, ჩვენი უდაბნოელნი დაიბნევიან და დაიფანტებიანო; სავანენი ისევ დაიცლებიან და დაყრუვდებიანო.

ლუკიანემ სიტყვის შებრუნება ველარ შეუბედა და დარჩა. დავითი პალესტინის გზას დაადგა.

ერთი წლის თავზე დაბრუნდა — დაღლილი, ჯანდაცლილი, დაბერებული, იერუსალიმამდე მისულა, მაგრამ იერუსალიმში აღარ შესულა. მხოლოდ მადლის ქედზე ასულა და იქედან დაუხედავს წმიდა ქალაქისათვის. ისევ აღძვრია ეჭვი საკუთარი უცოდველობისა და ღირსად თვისად აღარ უცვნია ცოდვილი ფეხით შესულიყო იესო მაცხოვრის ნატერფალ და ნავანებ ადგილებში. მხურვალედ ელოცა და ეტირნა მადლის ქედზე, მერე ევლოგიად სამი მცირე ქვა აეღო და გამობრუნებულიყო. გზაზე დასწეოდნენ იერუსალიმელნი, ორი ქვა წაერთმიათ და ერთი დაენარჩუნებინათ — მეტი არ გეკუთვნის მონოფიზიტსო...

ლამე მიწურვაზე იყო, გარეჯის ცისგვამში რომ შემოაღწია დავითმა.

ისევ ლიცლიცებდნენ სანთლები ლავრისა და დოდოსრქის მღვიმეებში.

მაშ, ისევ დგას, ცოცხლობს და სუნთქავს უდაბნო სული უსაზღვრო სიხარულით აევსო დავითს.

„გიხაროდენ, უდაბნოელნო!“ — აღმოხდა და გულალმა დაეცა ცვარმოსილ მინდორზე.

დიდხანს უცქერდა გრძელ თვლებით უსაზღვრო აპერიონზე გარდათხმულ ზეცას.

სულ ახლოს ჩამოსულიყო ცისგვამი, ვარსკვლავებით ასტმული და დამძიმებული.

იმ ტფილელი დედაკაცის ძუძუებს ჰგავდა ბევრი ვარსკვლავი.

ბევრი ვარსკვლავი...

ბევრი ძუძუ...

ძუძუნი უმჯობეს ღვინისა...

არაფერი ისე არ აშშვენებს სამყაროს, როგორც ვარსკვლავი.

„ცაზე მოჩანს ყველა ვარსკვლავი“, — ჰომეროსის ლოგოსმა გაუელვა გონებაში და ისევ შეუძრწუნდა სული დავითს — ქრისტეს წინარე ცხრაასი წლით ადრინდელი წარმართი პიტიკოსი რად შემოიჭრა ფიქრთა წიაღში!

„მაინც იჩქურება რწმენა ადამიანისა!“ — სინანულით ჩაიჩურჩულა, წამოდგა და გაემართა თვისი სადგომისკენ.

მიდიოდა, სანთლებით თვალახელილ მღვიმეებს გასცქეროდა და უკვე ეჭვიანობდა, ვინ იცის, ქრისტეს მცნებათა გარდა, იქნებ სხვა რაიმე ერესი, მწვალებლობა იკითხება, იწერება და იაზრება ამ მღვიმეებში?!

ეჭვი და ერესი!

ეჭვი და ერესი იმდენი ხნისანი არიან, რამდენი ხნისაც არის რწმენა.

ოჰ, ეჭვი!

ოჰ, ერესი, გინა აზრი მწვალებლური!

მიდიოდა დავითი და ესმოდა ლაღადი მღვიმეებიდან:

„მიეციტ, ერნო, დიდებაი ღმერთსა...“

„რამეთუ ხორცი შეისხნა სიტყვამან და ყოველნი სოფელნი აცხოვნა...“

„და დაიბია მუცელმან მისმან დაუტეველნი საშინელი და დიდებული და დიდი საიდუმლოი...“

„ისწავლეთ სიმართლენი, რამეთუ დათრგუნოთ საცთური...“

„უკეთუ ვინმემ თქვას, ვითარმედ მიყვარს ღმერთი და ძმაი თვისი სძულდეს, მტყუარ არს...“.

„ეკრძალენით ცრუწინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდნიან თქვენდა სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“.

„ვიდრემდე ნათელი გაქვს, გრწმენინ ნათელი, რაითა ძე ნათლისა იყვნეთ“.

„გრწმენინ ნათელი, გრწმენინ, გრწმენინ!“ — გაიმეორა უხმო ფიქრით დავითმა.

კიდევ ერთი მღვიმე ბუტავდა ლავრამდე და იმ მღვიმეს რომ მიუახლოვდა, ახალგაზრდა ბერი შენიშნა, სანთლის მკრთალი შუქის ბაკით თავშემოსილი.



უცხო იყო ბერი იგი, აღრე არ ენახა დავითს. უეჭველად ჩემი აქ არყოფნის უამს მოსულაო, — და ყური მიუგლო მის ხმას.

კითხულობდა ბერი საამური ხმით:

„...ისედაც მაშინ ბევრი ქართლოსიანი ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში. ისინი აქ სწავლობდნენ, თვითონაც ასწავლიდნენ და მეცნიერულ თუ სახელმწიფოებრივ სამოღვაწეოზე მოღვაწეობდნენ. ამ დროს რომისა და კონსტანტინოპოლის სახელმწიფოში ძალზე განვრცობილი და განსმენილი იყო ფილოსოფია ნეოპლატონიზმისა, რომელიც გარდარეულად ებრძოდა ქრისტეს სჯულსა. თვითონ იულიანე იმპერატორი, რომელიც ქრისტიანობას მკვდრებისა და კუბოების რელიგიას უწოდებდა, გამოჩენილი ნეოპლატონიკოსი იყო. მაგრამ იულიანეს დროს ყველაზე დიდი ფილოსოფოსი-ნეოპლატონიკოსი, რიტორი და მოძღვარი იყო ლიბანიოსი. ლიბანიოსს მრავალი მიმდევარი და მოწაფე ჰყავდა, მათში თვითონ იმპერატორი იულიანე, მაგრამ მათგან ყველაზე ახლობელი, სათაყვანო და საყვარელი ყოფილა ბაკურ იბერიელი, თვითონ გამოჩენილი ფილოსოფოსი, დიდად დახვეწილი რიტორი და მამაცი სარდალი. ლიბანიოსის მრავალ თხზულებათაგან ბევრი სწორედ ბაკურ ქართველის ნიჭს, ზნეობას, სიმშვენიერესა და სიმამაცეს ეძღვნება. უამრავი მეხოტბე ჰყავსო ბაკურს: ზოგი მის სამართლიანობას აქებს, ზოგი ზომიერებასა და თავდაპერილობას. სხვები მისი სიბრძნით აღტაცებულან, სხვებიც კიდევ ბრძოლის ველზე შემმართველობით და საზრიანობით. მაგრამ მე თვითონ, ლიბანიოსს, ბაკურ იბერიელის უამრავ ღირსებათაგან ის მომწონსო, რომ იგი გასაოცარი სწორუპოვრობით ფლობს ლოგოსებს, ანუ რიტორიკულ ხელოვნებას. სწორედ ამისთვის ერთადერთს ბაკურ ქართველს შეუძლია, რა დროსაც სურს, შევიდეს ლიბანიოსთან, მოეხვიოს, ლოყები დაუკოცნოს, მთელი ღამეები მასთან გაატაროს და საყვარელ ლოგოსებზე ესაუბროს. შენ ყოველთვის სიბრძნის მდებლო ხარო, — ეუბნებოდა ლიბანიოსი ქართველ სწავლულს — ხოლო ჩვენ იმ მდებლოზე აღმოცენებულ სიბრძნის ყვავილებს ვკრეფდითო. გაოცებული ვართო მისი ნიჭით. უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებსო ქებანი შენი ნიჭისადმი. შენ არანაკლები ვაყვაცობით მბრძანებლობო საკუთარ ვნებებზე, ვიდრე



მბრძანებლობ შენს მეომრებზეო. საოცარია შენი სიბრძნე, არა მხოლოდ აქ, სასახლეში, არამედ იქაც, საომარ თალპიონზეო. შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში საფრთხის წინაშეო. ვერავინ შეედრება ბაკურ იბერიელის სულისა და სხეულის ღვთაებრივ ბრწყინვალებასო...“.

სული გაეწურა დავით გარეჯელს.

თვითონაც კარგად იცნობდა ბაკურ იბერიელის ფილოსოფიას, ამ ორასი წლის წინ რომ პირზე ეკერა ყოველ მოაზროვნეს რომიდან ბაბილონამდე. დავითი მხოლოდ ბაკურ იბერიელის ფილოსოფიას კი არა, ბაკურის თანამედროვე მამა-შვილის, ევგენიოსისა და თემისტოსის ნააზრევებსაც კარგად იცნობდა. იცოდა ისიც, რომ კოლხეთში, ფასისის მუზათა ტაძარში მიეღოთ მათ ცოდნა ლოგოსისა, რიტორიკისა და ფილოსოფიისა.

მაგრამ არის თუ არა ყოველივე ამის კითხვა და გააზრება ერესი აქ, უდაბნოში, ახლად ფეხადგმულ ქრისტიანულ სავანეში?..

დილით ეუწყათ უდაბნოელებს მამა დავითის დაბრუნება. გაცოცხლდნენ მღვიმენი და გამოქვაბულნი უდაბნოისა.

შეიყარნენ, ეახლნენ, ეთაყვანენ, ემთხვივნენ უწმინდესისა და უნეტარესის მუხლებს, ხელებსა და კვერთხსა ჯვარსახოვანსა.

დოდომ და ლუკიანემ პარაკლისი გადაიხადეს.

წვრილად აუწყა დავითმა მრევლს პალესტინაში მოგზაურობის ამბავი. ევლოგიად წამოღებული ქვაც ამოიღო უბიდან, მრგვალი, ბატის კვერცხის სიმსხო, ფერად ჯიგარი, და ლავრის ტრაპეზზე დაასვენა.

უდაბნოს ახალმოსახლენი ცალკე მოიკითხა დავითმა. გაეცნო, დალოცა, დამოძღვრა.

საგანგებოდ მოითვალისა ის უცხო ბერი, წუხელის რომ ბაკურ იბერიელს კითხულობდა ისე თავდავიწყებით.

ეგრისიდან მოსულა, სახელად ქუჯი.

მოსულა და მძიმე, საშფოთარი და საგლოველი ამბავიც მოუტანია. ბიზანტიელ სარდლებს დალატით მოუკლავთ ეგრისის დიდებული ხელმწიფე გუბაზ. ქრისტიანებს ქრისტიანი მოუკლავთ.



ეს არ გაჰკვირვებია დავით გარეჯელს. აქი ორასი წელიწადი ქრისტიანები გამუდმებით ხოცავენ ერთუროს. აქი მონოფიზიტიც, დიოფიზიტიც, არიოზელიც და ნესტორიანიც — ყველა ქრისტიანია და მაინც ხოცავენ ერთმანეთს. დავითს მხოლოდ ის გაუკვირდა, მოკავშირეებს რომ მოუკლავთ თავისი ყველაზე დიდი მოკავშირე. ბიზანტიელებს სპარსელებთან უთავჯამო სისხლიან ბრძოლებში გუბაზ მეფეზე ერთგული, მამაცი და ჭკვიანი თანამდგომი არა ჰყოლიათ და ისიც მოუკლავთ.

ვითომ მოსალაპარაკებლად მიუწვევიათ ბიზანტიელებს. გუბაზ მეფე ხობისწყლის პირას. მეფე უიარაღოდ მისულა. ზურგიდან მიჰპარვია ჩასაფრებული მკვლელი და ზურგიდან დაუკრავს...

გუბაზ მეფეზე აღრე კიდევ ფირან და ფაზა იბერიელები დაუხოციათ რომაელებს ზურგიდან მიპარვით.

ზურგიდან!

ზურგიდან ყველაზე ადვილად იჭრება სიკვდილი ადამიანში.

. . . . .

ერუსალიმიდან დავითის მოქცევის შემდგომ კვლავ უფრორე გამრავლდა და გამძლავრდა საძმო-საქრისტიანო გარეჯის მრავალმთისა.

და უბრძანა დავითმა ლუკიანეს, — აიყოლიე ყოველი ახალ-მოსული მეუდაბნოე, წარემართეთ ამა ფერისცვალების სავანიდან დასავლეთით ნახევარი დღის სავალზე, აღაშენეთ იქ ეკლესია ახალი და დაემკვიდრეთ ახალსაცხოვრისად და ახალსამოღვაწოდო.

აღასრულა ლუკიანემ ბრძანება საყვარელი მოძღვრისა და აღაშენა დასავლეთის მთაზე ახალი ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელობისა.

ასე დაემკვიდრა გარეჯის მრავალმთაზე დავითის საწუთი-სოფლოში წმინდა სამებასავეთ სამი მთავარი სავანე — ფერისცვალება, დოდოსრქა და ნათლისმცემელი.

ხოლო ჟამი ვიდოდა უსულთქმოდ და უწერტილოდ. ორი წელიწადი კიდევ მიიცვალა და დავით გარეჯელმაც იგერშა ჟამი გარდაცვალებისა.

შემოიყარა სამწყსონი სრულიად სამივე სავანისა და მი-  
მართა ხმითა ზენაართათა:

„ძმანო ჩემნო და შვილნო სულიერნო, დადგა ჟამი ოდეს  
გავეყარო მე ხორცთა ჩემთა და ხორცი მიწად მიიქცევიან.  
ხოლო თქვენ, შვილნო ჩემნო, ნუ შესძრწუნდებით და ნურცა  
შეშფოთდებით, არამედ უფროსლა განმტკიცდით და განძლი-  
ერდით, რამეთუ ყოველი წარმავალ არს.

„ცხოვრება ჩემი იყო ცოდვა, იყო ეჭვი, გარნა ევევი ვითარ-  
ცა სასინჯი და საცდელი ჭეშმარიტებისა, ამად რწმენა ჩემი  
იყო ჭეშმარიტი, რწმენა ჭეშმარიტებისა, რამეთუ უსაცუდ-  
როდ მწამდა ღმერთი, მწამდა ადამიანი, მწამდა ერი,

„ისწავლეთ, იშრომეთ და იღვაწეთ, თქვენ პირველნო უდა-  
ბნოელნო, მტკიცედ დასდევით ხელი ერქვანსა და სთესეთ  
თესლი კეთილი, თესლოვანებით ნაყოფიერი და ბედნიერი,  
ახარეთ ვაზი და ამრავლეთ არვე ცხოვართა, მროწლე ზროხა-  
თა და რემა ჯორთა და კიცვთა. ამრავლეთ და აღორძინეთ სიბრ-  
ძნე წიგნთა და წერილთა.

„და გარწმუნებთ დროსა აწმყოსა კაცთა აწმყოფთა: დიდ  
არს მომავალი გარეჯისა და უდაბნოთა გარეჯისათა! რამეთუ  
თქვენთა პირველთა უდაბნოელთა საქმეთა ზედა დადგება ჟამი,  
ოდეს სიყვარულით და სიტკბოებით შეიყრებიან ამა უდაბ-  
ნოთა შინა — წყალი, ხმელი, მზე და ჰაერი, და იქნება უმშვე-  
ნიერესი საცხოვრისი და საბრძენისი ქართლოსიანთა სისხ-  
ლისა, სხეულისა, გონებისა და სულისა.

„და იქმნეს ჟამნი, ოდეს სიმართლემან და მშვიდობამან  
პირსა იკოცნეს

„მაშ, პირველნო უდაბნოელნო! სულით განმტკიცეთ,  
ცრემლით სთესეთ და სიხარულით მოიმკეთ ნაყოფნი უდაბ-  
ნოსანი!

„გიყვარდეთ და აღიდეთ გარეჯა ესე, სავანე და საწრთვენ-  
ლი ადამიანის სულისა და ნებისა!

„გრწმენინ ადამიანი!

„გრწმენინ ერი!

„რამეთუ მათში არს ღმერთი!“

და განვიდა და განზავდა სული დავითისა უკიმირო და უმ-  
კვირვალეს ქართულ ზეცაში.

ხოლო სხეული, ერთ დროს სამკვიდრებელი დავით გარე-

ჯელის გრძნეული სულისა, ახლა სულისაგან მარტოშთენილი, დაკრძალეს იქვე გათხრილ სამარტვილეში, ფერისცვალების ეკლესიის საკურთხეველის წინ.

წმინდანის თავით დაასვენეს იერუსალიმიდან ევლოგიად წამოღებული ქვა, სააღდგომო ზენიშანივით მრგვალი და სისხლისფერი.

დროს ეშინია ეგვიპტის სფინქსისა.

დრო შიშმორეული წევს გარეჯის მრავალმთის ქვეშე.

### რუმენა ილარიონ ქართველისა

ღირსეულად განასრულებდნენ მამა დავითის გარეჯულ ღვაწლს დოდო და ლუკიანე — საყვარელი მოძღვრის სიცოცხლეში მასთან ერთად ერთგულად „მძოვარნი“, „ქართველთ მთიებნი“, „ულამონი ნათელნი“ და „გემოსი უგემონნი“.

მათი წუთისოფელიც მიიღია.

ახალი წუთისოფლები და წუთისოფლელები მოდიოდნენ.

დავით გარეჯელის სიკვდილიდან ასი წლის თავზე მსოფლიოს ახალი დამპყრობელნი, არაბ-სარკინოზნი შემოიჭრნენ საქართველოში. შემოიჭრნენ, დადგნენ, დამკვიდრდნენ და დაისაძოვრეს.

არაბულ-ქართული ხმალთაკვეთება გაგრძელდა ოთხასი წელიწადი.

კახელებმა მტერი კახეთში არ შემოუშვეს.

დავით-გარეჯი ისევ ცხოვრობდა საწუთისოფლო ცვალებადობით, ისევ გადადიოდა კანიდან კანში, სისხლიდან სისხლში.

კახეთის სამი დიდი საეპისკოპოსო ეცილებოდა ერთმანეთს დავით-გარეჯის სამწყსოთა მფლობელობაზე — რუსთავი, ნინოწმინდა და კაწრეთი.

კახეთის დიდმა შვილმა, მსოფლიოში განთქმულმა საეკლესიო მოღვაწემ, ილარიონ ქართველმა გარეჯში მიიღო სამოღვაწეო ნათლობა. თხუთმეტი წლისა მივიდა „ღვთისადმი აღთქმული“ ჭაბუკი უდაბნოს და მისვლისთანავე ყველა გააოცა ნიჭის სისრულით და სულის სისპეტაკით. ყველა მიელტვოდა მასთან სწავლას და ყოფნას, მაგრამ თვითონ აირჩია

„ათერთმეტი ძმანი, მოღვაწენი მშვიდნი და მდაბალნი... გითარცა ანგელოზნი“.

მაშინ გარეჯი რუსთავის ეპარქიაში შედიოდა და რუსთაველმა ეპისკოპოსმა ილარიონი მღვდლად აკურთხა. ათი წელიწადი დაჰყო ილარიონმა უდაბნოში. ათი წლის თავზე გარეჯის სამწყსო ერთ თავის თანამოწაფეს ჩააბარა და თვითონ იერუსალიმს გაეშურა. რვა წლის შემდგომ ისევ მობრუნდა გარეჯს და კიდევ ცხრა წელიწადი დარჩა აქ. იმ დროს მან ხელახლა აღაშენა და განასრულა დავითის ეკლესია ფერისცვალებისა, ხელახლა აკურთხა და დავითის ნეშთი ახალ, საგანგებოდ გაწყობილ ლუსკუმაში ჩაასვენა.

ახალმოღვაწეთა ნაკადი კვლავ იზრდებოდა და ილარიონმაც ახალი ქვაბები და სადგომები გამოაკვეთინა დავით-გარეჯის სამხრეთის კერძში.

ილარიონმა მოახატვინა სამივე მთავარი ეკლესია — დავითის ლავრა, დოდოსრქა და ნათლისმცემელი.

გარეჯიდან ისევ უცხოეთში გაემგზავრა ილარიონ ქართველი სამოღვაწეოდ. ბითვინის ულუმბოს მთაზე ქართულ მონასტერი ააშენა და იქვე დარჩა სიცოცხლის აღსასრულამდე.

ხოლო, აღესრულა 875 წელს, 53 წლისა, ქალაქ თესალონიკეში.

ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი პირველმა ილარიონსა და მის მოწაფეებს საგანგებო საქვალე აღუშენა კონსტანტინეპოლში — ჰრომანას მონასტერი — და აქ, 876 წელს გადმოასვენა იმპერატორმა ილარიონის ნეშთი.

ხოლო, უკანასკნელი სიტყვები ეს იყო უცხო მიწაზე აღსრულებული ქართველი კაცისა.

„გრწმენინ ქრისტე!

„გრწმენინ აღამიანი!

„გრწმენინ ერი და სამშობლო შენი, რამეთუ მათში არს ღმერთი!“

ამის შემდგომ სამასი წლის გასწვრივ კიდევ შენდებოდა გარეჯის მრავალმთის ტაძარნი, ეკლესიანი და სამლოცველონი.

და მეთორმეტე საუკუნის დამლევეს უკვე ერთ მთლიან კულტურულ საკრებულოდ აღმართულ არიან „გარეჯის მრავალმთის ათორმეტნი მონასტერნი“:

დავითის ლავრა,  
 აღდგომისა წამებული,  
 ბერთუბანი,  
 დოდოსრქა,  
 ნათლისმცემელი,  
 ჩიჩხიტური,  
 თეთრსენაკები,  
 მღვიმე,  
 ქოლაგირი,  
 მოხატული,  
 ვერანგარეჯა,  
 პირუკულმარი.  
 და კიდევ — „ათორმეტთა გარდამეტებით“;  
 დიდი ქვაბები,  
 პატარა ქვაბები,  
 წამებული,  
 უდაბნო.

### რწმენა ღვთის აღმშენებლისა

დამდეგი მრავლისაღმთქმელი XI საუკუნისა.

ახალი წელთაღრიცხვით 1001 წელი.

საქართველოს მესამე გაერთიანება.

ერთიანი „მესამე საქართველოს“ სატახტო ქალაქი — ქუთათისი.

ერთიანი „მესამე საქართველოს“ საჭეთმპყრობელი — მეფე ბაგრატ მესამე.

მას შემდეგ თანმიყოლებით, ხელმწიფობანი — გიორგი პირველისა, ბაგრატ მეოთხისა, გიორგი მეორისა.

გიორგი პირველის დროს კახეთი, „ლადრობითა აზნაურთათა“, განუდგა საქართველოს ერთიან ტახტს. გიორგი მეორემ სცადა კახეთის ხელახალი შემოერთება. იგი მამაცი რაინდი იყო, მაგრამ ბრძოლის ველზე მიღებულ გვირგვინებს მაინც სანადიმო ყანწი და სანადირო მშვილდ-ისარი ერჩივნა, კახეთს გაილაშქრა და ვეჯინის ციხეს შემოადგა ალყად. შემოდგომა მიიწურა, ზამთარი დადგა, თოვლი ჩამოჰყარა და მეფე გიორგი მეორემ მთელი თანამედროვე და მომავალი ის-

ტორია გააკვირვა მანამდე გაუგონარი ახირებულობით: ახლა იმერეთს, აჯამეთის ტყეში გარეულ ღორებზე ნადირობის ეამი დადგაო, რა დროს ომიო, მოხსნა ალყა ვეჯინის კიხეს და სანადიროდ გაქუსლა იმერეთს!

სრულიად საქართველოს კი — არაბობისაგან თავდახსნილს — „თურქ-სელჩუკობა“ შემოსეოდა ახალ უმძიმეს ჭირად და სნებად.

„დიდი თურქობანი“ — ასე დაარქვა ქართველმა ხალხმა თავისი სამშობლოსა და ოჯახის ახალ ბედის სიღამწერეს.

მანამდე ყველა „მსოფლიო უღელი“ დაეძლია ქართველ ერს — პართიულ-ირანული, რომაული, სპარსულ-ირანული, არაბულ-სარკინოზური და ბიზანტიური. საგანგებოდ მიინიშნე და დაიმახსოვრე, ჩემო მკითხველო: რომაული და ბიზანტიური, ანუ ორივე „რომაული“ („პირველი რომი“ საკუთრივ რომი იყო, ხოლო „მეორე რომი“ — კონსტანტინოპოლი, აღმოსავლეთ რომის იმპერიის ანუ ბიზანტიის სატახტო). საგანგებოდ-მეთქი იმისთვის, რომ — პართიელები, სპარსელები და არაბები გულწრფელი მტრები იყვნენ, პირდაპირი და დაუფარავი; ხოლო რომაელნი, ორივე რომი — „პირველიც“ და „მეორეც“ — საქართველოს მხოლოდ სიტყვით ეფიცებოდნენ ძმობას, მეგობრობას და თანასწორუფლებიან კავშირს, მაგრამ საქმით, ჩასაფრებით, მიპარვით, „ლადრობით“, ძირს უთხრიდნენ და საძმო ტრაპეზიდან საძმო საფლავისკენ მიიტყუებდნენ.

მაგრამ ქართველობა არ ტყუვდებოდა და ორივე ჯიშის მტერს — აშქარასაც და ფარულსაც, ნიღბიანსაც და უნიღბოსაც — მისთვის ჩვეული გზით ხვდებოდა — წრფელი პირდაპირობით, მტრობისათვის შეურიგებელი ხმალთაკვეთებით, „სანამ პირში სული ედგა“.

მაგრამ სულ სხვა „ჯიშისა“ აღმოჩნდა საქართველოს ეს ახალი „მსოფლიო მტერი“ — თურქობა. ეს იღარ ჰგავდა ჩვეულებრივ, „ტრაფარეტულ“ მტრობას, მტერთა საომარ კვეთებას, მხოლოდ მტრულად სისხლისღვრას, მხოლოდ ძარცვას და დახარკვას, ბომპეუსის, მურვან ყრუსა და ბულა თურქის შემოსევათა მსგავს „მოქცევასა“ და „უკუქცევას“.

არამედ — თურქები მოდიოდნენ დედა-ბუდიანად, დიდი-



ან-პატარიანად, ქალიან-კაციანად, ცხვარ-ძროხიანად, ცხენიან-აქლემიანად, ძაღლიან-კატიანად, ტილიან რწყილიანად...

მოდითდნენ და აღარ მიდიოდნენ.

მოდითდნენ მომთაბარენი და უსამშობლონი.

და სწორედ ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება ისედაც მანამდე უამრავ უბედურებათა მტვირთველი საქართველოსთვის.

უბედურების „სიახლე“ სწორედ მტრის მომთაბარეობა იყო.

ქართველი კაცის ცხოვრების ურყევე და უცვლელი საფუძველი ხომ მკვიდრი სამეურნეო დარგები იყო — მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, და ცალკე მესაქონლეობა, მისთვის განკუთვნილი საძოვრებით.

ხოლო, თურქი მხოლოდ მეჯოგე-მომთაბარე იყო და სხვა „კულტურული მეურნეობისა“ არც რამე გაეგებოდა და არც გაგება ესურვებოდა. მისი „სიმკვიდრე“, მისი „ფუძე“, მისი „სოფელი“ და „დაბა-ქალაქი“ თითო-ორიოლა დღე-ღამით აკინძული კარავი იყო, მისი „სამშობლო“ კი — იალ-კიალად, აღმა-დაღმა მოარული, მთა და ბარად მომთაბარე ყიშლალ-იალალი.

და მიუსია თურქმა-სელჩუქმა ცხვრის ფარა და საქონლის ნახირი ქართველის მადლით, ბარაქით და სინოყივრით გატენილ ყანას, სიტკბოებით ფეხმძიმე ვენახს, ბაღსა და ბოსტანს.

ასეთი ღვთაებრივი გემო და სინოყივრე მანამდე არ უგემნია უდაბნოური სიცხით, სიმწრითა და სიყმილით განაწამებ სამხრეთელ ჯოგსა და მეჯოგეს.

და ცოცხალის თავით რაღას მოშორდებოდა!

და მოდიოდა!

და აღარ მიდიოდა!

და მრავლდებოდა, ვითარცა ქინქლა!

მრავლდებოდა საქართველოს „მოსაჭმელად“ და „შესაჭმელად“.

ყიშლალ-იალალური მომთაბარობა სჭამდა და ინელებდა საქართველოს მკვიდრ, კულტურულ მეურნეობას. ეს კი ქართველობისა და ქართველობის მოშლასა და „შეჭმას“ ნიშნავდა.

ღიახ, — თუ მანამდელი ყოველი მტერი — ყოველი პომ-



პეუსი, მურვან-ყრუ, ბულა თურქი, თუ აბულ ყასიმი — „ჩვეულებრივ“, საქართველოს ებრძოდა, ხოლო, თურქობა მართლ საქართველოს კი არა, საზოგადოდ ქართულობას უქაღდა გადაშენებასა და გადაქარებას. ასე იყო, ვინათგან საკუთრივ ქართულობა არის იგივე (სრული იგივეობით), რაიც ქართული სამეურნეო და კულტურული ცხოვრების წესწყობილებრივი სისტემა.

ყურადღება მიაქციე, ჩემო მკითხველო: ყველა მანამდელი მტერი საქართველოს წასახდენად მოდიოდა მხოლოდ ხმლით, ხოლო თურქი მოდიოდა ხმლითა და ცხვრით, და ცხვარი ხმალზე უარესი იყო.

ღიახ, მშვიდი და უწყინარი ცხვარი აღწევდა იმას, რაიც ვერ მოეხერხებინა რომელი იმპერატორების, ერანელი შაჰინშაჰებისა და სარკინოზი ხალიფების მსოფლიო სისხლმაქცევარ მახვილებს.

ველურობამ მრავალი ცივილიზაცია გადასჩხნა დაღუპვისა და დაქვესკნელების უფსკრულში. აქამდე არასოდეს საქართველო და ქართველობა ასე ახლოს არა მდგარა სრული დაღუპვისა და გადაშენების უფსკრულთან (აქამდე-მეთქი!). იდგა აგონია საქართველოსი.

თურქი ხმლითა და ცხვრით.

ადგილობრივი ფეოდალი სეპარატისტული, განკერძობითი თავაწყვეტილი ბრძოლით, თანამომძმეთა სისხლის ქცევით და სისხლის ჩაქცევით.

მხოლოდ საოცნებო ზღაპრულ მზეჭაბუკს თუ შეეძლო საქართველოს დამღუპველი ურჩხულის ორივე თავის დაგდებინება — გარეულისაც და შინაურისაც.

და მართლა არ ყოფილა განწირული საქართველო და ქართველობა დასაღუპად და დასაქვესკნელებად, ვინათგან მას მოევლინა ასეთი მხსნელი და გადამრჩენელი ღვთაებრივი მზეჭაბუკი. სწორედ რომ დროზედ „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა“.

და ეს იყო დავით აღმაშენებელი!

მან მძლავრი ხელებით აიტაცა სიკვდილის სარეცელზე დარეცილი, სულით და ხორციით განწვალებული საქართველო და მომაკვდავს შთაბერა ღვთაებრივი სული.

ძლიერად, შეუვალად და შეუკამათებლად თქვა სტალინმა ჯულაშვილმა: „არც ერთ ქვეყანას მსოფლიოში არ შეუძლია იმედი იქონიოს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, სერიოზული სამეურნეო და კულტურული ზრდისა, თუ მან ვერ მოახერხა, ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და მთავრების უთანხმოებათაგან განთავისუფლება. მხოლოდ ერთიან ცენტრალურ სახელმწიფოდ გაერთიანებულ ქვეყანას ძალუძს იქონიოს სერიოზული კულტურულ-სამეურნეო ზრდის შესაძლებლობის, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესაძლებლობის იმედი“.

და ყველაზე სრულქმნილად ეს შეძლო დავით აღმაშენებელმა.

მისი საჭეთმპყრობელობა — ყველაზე ცხოველმყოფელი აღდგინება და გაერთიანება საქართველოსი — „მეოთხე გაერთიანება“.

და იგი იყო არა მხოლოდ „მეოთხე გამაერთიანებელი“ საქართველოსი, არამედ — შემოქმედი სრულიად კავკასიის ერთიანი სახელმწიფოსი!

დავით აღმაშენებლის ფენომენი კულმინაციური შეჯამება იყო ქართველი და კავკასიელი ხალხების ოფლითა და სისხლით გაქდენთილი მრავალ-საუკუნოვანი ისტორიისა.

ეს იყო შედეგი ქართველი ხელმწიფის დაუცხრომელი ღვაწლისა და საქმიანობისა, რომლის შედეგად დაუჩინო ამიერკავკასიის ცივილიზებულ ხალხთა გათურქება-ვაღაგვარებას საფრთხე. ქართველი ხალხის მძიმე სისხლის ფასად შექმნილ ერთიან, მძლავრ სახელმწიფოში, „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის და ოვსეთიდგან არეგაწამდის“, ყოველი „დიდი“ და „მცირე“ ხალხი იწყებდა ცხოვრებას სახვალიო და სამერმისო არსებობის ძლიერი რწმენით.

და გაისმოდა, უეჭველად, სადავითო სახელმწიფოში:

„ნეტავ იმ ერსა და ენას ქვეყანასა ზედა, რომელსაც არა ჰზარავს მარადიული საკითხავი: ვიქნები თუ არა მე ხვალ? იქნება თუ არა ენა ჩემი და ერი ჩემი და ბუნება ჩემი ხვალ, ზეგ, მერმისად, სამარადისოდ?“

„ვაი შენ, ერო დამცრობილო, რომელსაც მარადიულად გტანჯავს ეს საკითხავი: ვიარსებებ თუ არ ვიარსებებ?“

„დამანებებენ არსებობას, თუ არ დამანებებენ უფრორე მრავალხალხოვანი ერნი ამა ქვეყნისანი?“

„დიდი იმედი არის ქართველი ყოველი მცირე ერისათვის, ვინათგან ორმოცდათხუთმეტი ათასმა ქართველმა დიდგორის ომში დაამარცხა და დაამიწა ოთხასი ათასი თურქი-მუსლიმი“.

„დიდი იმედი არის ქართველი“.

„დიდი იმედი არის ქართველი ხელმწიფე, წმინდა, სათნო, სამართლიანი“.

„მზე ვარსკვლავთა შორის“.

„ელვა ღრუბელთა შორის“.

„სიყვარული სათნოებათა შორის“.

„ოქროი მიწათა შორის“.

„იაკინთი ქვათა შორის“.

„ფინიკი ნერგთა შორის“.

„ვარდი ყვავილთა შორის“.

„სამოთხე ქვეყანათა შორის“.

„ლომი მხეცთა შორის“.

„ანდამატი განუკვეთელთა შორის“.

„ნებროთ გმირთა შორის“.

„ისო ნავინ წინამბრძოლთა შორის“.

„სამსონ მხნეთა შორის“.

„აქილევს ჰელინთა შორის“.

„სოლომონ მეფეთა შორის“.

„დავით ცხებულთა შორის“.

„არის, ჭეშმარიტად არის იმედი მარადიული არსებობისა, ზამეთუ...“

საბოლოოდ დაიდრიკეს ქედი წინა აზიის მაჰმადიანმა მბრძანებლებმა ქართველი მეფის წინაშე. „არავინ წინააღუდგა მას, ზამეთუ თვით სულტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცალა თვით ძველად ქონებულთა ქალაქთა და ქვეყანათა ჰგონებდა თვისად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, აგრეცა ეოცებოდა (ეჩვენებოდა) მძინარესა შიში და მღვიძარესა სიკვდილი“. რაკი საქართველოს მოსისხლე მაჰმადიანი გვირგვინოსნები დავით აღმაშენებელთან იარაღით ვერაფერს გახდნენ, ისლა დარჩენოდათ, რომ ისინი „ზედასა ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღვენითა დამშვიდებად პირსა მისსა. ზამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი

მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი, და ეძიებდნენ მშვიდობასა და სიყვარულსა“ დავით აღმაშენებლისასა.

ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებელმა ოცწლიანი ომით და სამოცი დიდი და მცირე ბრძოლით, არამცთუ სამუდამოდ აღუკვეთა თურქ დამპყრობლებს კავკასიურ მიწაზე ფეხის დაბიჯების წყურვილი, არამედ სრულიად მაჰმადიანური სამყაროს უზენაესი მეუფე „სულტანი დასუა მოხარკედ თვისსა“.

ათეულობით „დიდი“ და „მცირე“ ენა ჰყვარდა დავით აღმაშენებლის სახელმწიფოში, მაგრამ არც ერთი ყვავილი არ დაუჭკნია და არ დაუჩაგრია მაღალკულტურულ და მაღალზნეობრივ ქართველ გვირგვინოსანს.

ათეულობით რელიგია, რელიგიური სექტა და თავისუფალი ერესი მიმოიქცეოდა დავითისეულ საქართველოს ქრისტიანულ სამყაროში, და ყველა, უკლებლივ და სწორპატიობით, შეწყნარებული და ნებადართული სუნთქავდა და სუფევდა, გულდანდობილი სუნთქვით და სუფევით.

ქრისტიანი ხელმწიფე მაჰმადიანებს ქართველთა და სომეხთა თანასწორ მოქალაქეებად აცხადებდა. იგი „გამათურქებელ თურქობას“ ებრძოდა დაუნდობლად და არა მაჰმადიანურ-რელიგიურ სინდისს. თვითონ დავით მეფე ყურანს და მაჰმადიანურ ლიტერატურას ისევე ზედმიწევნით იცნობდა და აფასებდა, როგორც ბიბლიას და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას.

საქართველოს სახელმწიფოში თავმოყრილი ეროვნული და რელიგიური სხვადასხვაობანი მაღალგანათლებული, ღრმად მოაზროვნე ხელმწიფისათვის ისეთივე თანასწორუფლებრივ და თანაბარფასეულ ფენომენებს წარმოადგენდნენ, როგორც მის მრავალენოვან პირად საწიგნობელში („ბიბლიოთეკაში“) თავმოყრილი მანუსკრიპტები, თხზულებანი. „გალობანი სინანულისანის“ ავტორის მრავალფეროვან ლიტერატურულ „ყვავილკრებულს“ („ანთოლოგიას“) სრულად მოერგებოდა მისივე პოლიტიკურ-ხელმწიფური ტიტულატურაც — „მეფე აფხაზთა, ქართველთა (იგულისხმე-ქართლელთა), რანთა, კახთა, სომეხთა, შარვან-შაჰ და შაჰინ-შაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მფლობელობით მპყრობელი“.

ამბობდა დავითი: „კაცთა მიმნიჭებელი პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს“. და მასვე შეეძლო სიწრფოე-

ბით ეთქვა: „კაცთა ზენაარი სიტკბოების მიმნიჭებელი კაცთა-შორისი („ინტერნაციონალური“) სიყვარული არს“.

ასეთი იყო დავით აღმაშენებლის სახელმწიფო, მრავალეროვნული, ყოველი ტომისთვის თანასწორუფლებრივი, ყოველი სარწმუნოებრივი სინდისისათვის თანაბარი და ტოლერანტული.

და ვაი იმ ქართველს, ვინც ამ მრავალფეროვანი „ეროვნულ-რელიგიური სიმფონიის“ დარღვევას შეეცდებოდა!

მაგრამ სახელმწიფო ესე — მაინც იყო საქართველო.

და ვაი იმასაც, ვინც საქართველოს შიგნით თუ საქართველოს გარეთ ქართველობის სამტროდ ხმალსა და ხმას დასძრავდა!

დავით აღმაშენებლის საქართველოში იმდენი ენა ჰყვავდა, რამდენიც ტომ-თესლი იყო. მაგრამ საერთო-სახელმწიფოებრივი ენა „ნიკოფსიით დარუბანდამდის“ — იყო ქართული ენა.

ქართული ენა საქართველოში უნდა სცოდნოდა ყველას — ქართველსაც და არაქართველსაც. ეს პატივიც იყო, საჭიროებაც, სინდისიც და მოვალეობაც.

დავით აღმაშენებლის დროს (და მის შემდგომ ასორმოცდაათი წლის მანძილზე) სრულიად კავკასიისათვის (და მნიშვნელოვანწილად წინა აზიისათვის) ქართული ენა ისეთივე დომინანტურ და კულტურულ ნიშანსვეტად იქცა, როგორც ბერძნულ-ელინური ენა ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ ევრ-აზიაში („ქართლიზმი“ — „ელინიზმი“!).

გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა.

მაგრამ ძვირისხლიანი იყო ყოველი ბრძოლა.

ერთგული, „საკუთარი“ ჯარი სჭირდებოდა მეფეს განუცადებლად — გარეშე და შინა მტერთა დასათრგუნავად, დაპყრობილ ციხეთა შესანარჩუნებლად, პირად „მონა-სპად“, მუდმივ, „ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომლად“ მოლაშქრედ.

ქართული ფეოდალურ-პატრონყმური ჯარი კი საკმარისი აღარ იყო „ყველაფრისათვის“.

და დავით აღმაშენებელმა ჩრდილო-კავკასიის კიდეც ჩრდილოეთით გადააღაჭა და ყივჩაყებს დაუშოყვრდა: ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარალანის ძის ასული, გურანდუხტი, ცო-

ლად შეერთო. და რაც მთავარია, — ანუ რისთვისაც ეს დამო-  
ყვრება შედგა — დავითმა საომარ სამსახურად ყივჩაყები გა-  
დმოასახლა საქართველოში.

ყივჩაყი იყო მამაცი.

ყივჩაყი იყო ერთგული.

ყივჩაყი იყო ხელისუფალის მონა-მორჩილი.

ყივჩაყი იყო ადვილად „შესანახავი“.

და გადმოასახლა დავით მეფემ ყივჩაყთა „სიმრავლე ფრი-  
ად დიდი“, 40 000 ოჯახი, ანუ 200 000 სული.

გადმოასახლა და ქართლ-კახეთში განასახლა.

დაურიგა მიწა.

ასწავლა ხვნა-თესვა — გუთნისდედობა.

ასწავლა ვენახის გაშენება — მეზვრე-მელვინეობა.

ასწავლა ბალ-ბოსტნის გაწყობა.

ასწავლა მესაქონლეობა, „ქართული გვარით“.

ასწავლა მიწის მოვლა-პატრონობა, მიწის „მზრდელობა“.

ასწავლა მთისა და ბარის სამეურნეო მონაცვლეობა.

და ყველაზე კარგად სწორედ დავით აღმაშენებელმა იცო-  
და, რომ საქართველოსა და ქართულობის „შემდეგბელი  
დვრიტა“ არის ქართული სოფელი.

და ქართულმა სოფელმა გასაოცარი სისწრაფით გააქართ-  
ველა ყივჩაყი.

უმოკლეს დროში: ყივჩაყისაგან — ნაყივჩაყარი, ნაყივჩა-  
ყარისაგან — ქართველი.

ყივჩაყის გაქართველება ქართული მიწის სიყვარულმა,  
მკვიდრი ცხოვრების სიყვარულმა, სოფლის სიყვარულმა აღ-  
მოაცენა.

ხოლო ორივე ერთად — ქართველიც და გაქართველებუ-  
ლიც, ვითარცა „ერთნაირი ქართველი“ — ქართული მიწის სი-  
ყვარულიდან მომდინარე ქართული პატრიოტიზმის ფენომენს  
ქმნიო.

დიდება შენ, ქართულო სოფელო, საქართველოს მაარსე-  
ბელო, მაცხოვრებელო და მაცხოვნებელო!

სამოცი დიდი და მცირე ბრძოლა გადაიხადა დავით აღმა-  
შენებელმა.

სამოცივედან სისხლით ავსებული უბე გამოიტანა.

ყველაზე ბევრი სისხლი კახეთ-ჰერეთის შემოერთების უამს, ერწუხის ბრძოლისას ჩაიქცია უბეში მეფემ. ბრძოლის შემდგომ, გამარჯვებული მეფე რომ ცხენიდან გარდახდა და სარტყელი შემოიხსნა, სისხლი ერთბაშად დაცურდა და თქრიალით დაეცა დედამიწას.

ზარდაცმულნი მიცვივდნენ მეფეს მისიანები. მძიმედ დატყრილი ეგონათ ამდენი სისხლის დამაქცევარი.

მერე მიხვდნენ, სხვისი სისხლი, მოსისხლე მტრის სისხლი რომ ეტვირთა მეფეს...

„რამდენი სიცოცხლე მოუჭამია ხმალსა ჩემსა სალმასურისასა, რამდენი წუთისოფლელის წუთისოფელი ჩაუჭრია და ჩაუშრეტია ჩემსა მარჯვენასა, რამდენი სისხლი დაუქცევია და დაუმიწებია სისხლსა ჩემსა მშფოთვარესა და დაუდგრომელსა?!“ — გმინავდა სული დავით მეფისა.

„გარნა, მხოლოდ შენი ერის მტერთა სიცოცხლენი მოუჭამია ხმალსა შენსა, მხოლოდ შენი თესლის მტერთა წუთისოფელი მოუშლია მარჯვენას შენსას, მხოლოდ შენი სისხლის მოსისხლეთა სისხლი შეუწირავს სისხლსა შენსა მღელვარესა და ცხოველმყოფელსა“, — წამსვე მიაგებებდა პასუხს ვილაც, თუ ვილაცის ხმა, უხმო და იღუმალი, თვითონ მასში შინაგან შობილი, თუ გარედან, მისი მიღმიერიდან შემოტყრილი, სულში ჩასახლებული და ჩახეულებული.

შეიძლება ეს ხმა მისი სინდისი იყო.

სინდისი, თუ გონება?

თუმცა, აკი ორივე ერთია და ერთაზროვანი — გონება და სინდისი.

და ჩასძახოდა ჩაციებით დავით მეფეს ხმა სინდის-გონებისა — მტერთა სისხლი არა შეინანო, არცა შეიცოდო, არცა დაერიდო დაქცევასა მისსა, ვინათგან იგი არს მტერი და ვითარცა მტერი მოილტვის შენი სისხლის დასაქცევად, შენი წუთისოფლის ჩასაჭრობად, შენი თესლის ამოსაგდებად.

მტერია, მტერი, გარნა მაინც არის ადამიანი.

არის ადამიანი, მასში არის სიცოცხლე და სიცოცხლე იგი არის ნატეხი ღმერთის სულისა.

და ჩვენ ადამიანები, ნატეხნი ღმერთის სულისა, ვზოცავთ ადამიანებს — ნატეხთა ღმერთის სულისა!

და ყოველი ბრძოლისა და სისხლიანი ხმალთაყვეთების



შემდგომ, სისხლით გულდამძიმებული დავით მეფე გარეჯის მთებსა და უდაბნოებს მიაშურებდა. ყოველ ეკლესიას, ყოველ სენაკსა და მღვიმეს მოიხილავდა, მოილოცავდა, გულს მოიოხებდა, სულს მოიმსუბუქებდა. ყოველ სენაკში ახალ ხელნაწერს მოიკითხავდა და წაიკითხავდა. მწერალსაც და გადამწერელსაც დაწერილსა ზედა განსჯაში შეიყოლიებდა, შეითამამებდა და შეიკამათებდა.

მისი გონების სიღრმე და სულის სიმძლავრე ანცვიფრებდა და აშეთებდა ყოველ „მწერალსა გარეჯისასა“ — ღვთისმეტყველსაც და სიბრძნისმეტყველსაც, ვარსკვლავთმრიცხველსაც და რიცხვთამკრებელსაც, მემატიანესაც და პიტიკოსსაც, ლექსის მოხზველსაც და სიტყვის მღეწველსაც.

მალული მღელვარებით და დინჯი, შთამაგონებელი განასაჯით განიხილავდა დავით მეფე გარეჯის სალოცავთა მოხატულობას.

გაუმჟღავნებელი სიხარულით ხარობდა, რომ არც ბიზანტიაში, არც პალესტინაში და არსად მთელს ქრისტიანულ სამყაროში, ჯერ არ დაუხატავთ სხეულმებრივად ისეთი სრულქმნილი პანთეონი და პანანთროპეონი, როგორც დავით-გარეჯის სალოცავებში.

(ჯერ კიდევ არ დამდგარა ევროპაში ის ნათელი დრო-ეპოქა, როცა იქ ამნაირ „მკრეხელურ“ მხატვრობას „რენესანს“ დაარქმევდნენ).

მაგრამ იქნებ მართლაც ცოდვას, მკრეხელობას, ერესი და მწვალებლობა აყვავებულ, ჯანსრულ სხეულთა გამოფენა საქრისტიანო სალოცავთა ცრემლიან კედლებზე?

თვითონ დავითს, საკუთარ სულში, ქრისტე სხეულმებრივად სრულქმნილ, ჯანღონით სავსე ღმერთ-კაცად წარმოედგინა და არა ბიზანტიელ მხატვართაგან წარმოსახულ სისხლდაშრეტილ და ხორცდამდნარ ლანდად.

და აქებდა და აქეზებდა დავით მეფე გარეჯელ მხატვრებს. გასაოცრად მომზიბლავი საუბარი იცოდა მეფემ.

„შენ თვითონ ხარ ღმერთი!“ — მხურვალედ შესძახა ერთმა გარეჯელმა ბერმა, როცა დავითმა ღვთაებისა და ღვთაებრივი სულის განივთებულ ემანაციაზე საუბარს მორჩა უდაბნოელთა სრული საკრებულოს წინაშე.

ღმერთიო?!

ეს მერამდენედ გააგონეს მეფეს ეს სიტყვა, ანუ მსგავსნი  
ამა სიტყვისა!

„შენ ხარ უშიშარი და უზარო, ვითარცა ალექსანდრე მაკედონელი“ — უთხრეს ერწუხის ბრძოლის შემდგომ.

„შენ ხარ მოსე, შემოქმედი შენი ერისა!“ — უთხრეს რუის-ურბინისის საეკლესიო კრების აღსრულებისა და „ავაზაკთა ქვაბის“ განწმენდის შემდგომ.

„შენ ხარ აქილლევე!“ — უთხრეს, როცა თრიალეთს 1500 ქართველით 100 000 თურქი-მაოხარი გაანადგურა.

„შენ ხარ უმეტეს კეისრისა!“ — უთხრეს, როცა კვლავ ურიცხვი თურქობა ჩახოცა, კარნიფორას და ბასიანს.

„ღმერთი ხარ, სწორედ ღმერთი!“ — უთხრეს დიდგორის ღვთითმოსილი ძლევამოსილების შემდგომ.

„უკვდავია შენი სულიც და შენი სხეულიც!“ — უთხრეს, როცა გელათის ტაძრის მშენებლობის ქამს მაშვრალმა მეფემ, გუმბათიდან გადმოვარდნილმა და მიწას დანარცხებულმა, მაინც განაგდო დამარცხებული და გაწბილებული სიკვდილი.

„შენ თვითონ ხარ იესო, მაცხოვარი, მხსნელი და პატრონი ჩვენი!“ — უთხრეს და საბოლოოდ დაბეჭდეს, ოდეს ტფილისი იხსნა და „სახლად თვისად“ და საქართველოს წმინდა სატახტოდ დაამკვიდრა სამარადჟამოდ.

ღმერთი!

დიდი ხანია ესმის.

აღარ უკვირდა.

შეაჩვიეს და შეეჩვია.

რა გაეწყობა, — ხალხს სურს ღმერთი, გინა სალოცავი, გინა კერპი.

ხალხი ღმერთს თვითონ ქმნის, თვითონ მიაგნებს, თვითონ გაიღმერთებს, ვინათგან ხალხს უამისოდ, უღმერთოდ არ შეუძლია გაისაძლისოს.

ღმერთი რწმენაა, ხალხის რწმენაა, ხალხის ოცნებათა და მისწრაფებათა თავის მოყრა, განსახიერება და განსხეულება.

და უკეთუ ხალხს ასეთი საჭეთმპყრობელი გამოუჩნდება — მისი ოცნებებისა და მისწრაფებების გამახორციებელი და განმასახიერებელი — იგი იქნება მისივე სალოცავი და სათაყვანო ღმერთი. მორჩა და გათავდა!

და დავით აღმაშენებელიც სწორედ ამნაირი ღმერთი და  
მაცხოვარი იყო მისი ხალხისა.

მაგრამ მაინც ცოდვილად მიაჩნდა თავი მეფეს, — „გაღ-  
მერთების“ გამო გრძნობდა თავს ცოდვილად.

რამსეს ეგვიპტელი, ნაბუქოდონოსორ ბაბილონელი, ალე-  
ქსანდრე მაკედონელი და იულიუს კეისარი თვითონ უჩიჩი-  
ნებდნენ თავისსავე ხალხს — დაიჯერეთ და იწამეთ (თუ თავი  
არ მოგძულებიათ), რომ ჩვენ ნაღდი ღმერთები ვართ,  
ღვთის ძენი, და პატივი გვეცით ვითარცა ღმერთებს, თორემ!..

დავით აღმაშენებელი კი...

იმ ღამით გველეშაპის ნაწოლ გამოქვამულში ჩაიხიქა და  
ღამის განლევამდე მუხლმოყრილი უღადადა უზენაესს — კაცი  
ვარ, ცოდვილი, უმწეო, სისხლდათხეული, მიწადმიქცევა-  
დი და შეშინდე, უკეთუ სიტყვა მკრეხელური სმენასა ჩემსა  
მოსწვდენიაო.

ღილით გამოვიდა გველეშაპის ნასუნთქი ქვაბულიდან, უძი-  
ლარი და ცრემლნათხევარი, მაგრამ მაინც სახეწყნარი და სა-  
ხეწყობილი.

ცხენზე შეჯდა და კარგა ხანს უცქირა გარს შემოჯარულ  
უღაბნოელებს.

უღაბნოური მწყურვალეებით უცქერდნენ.

„მწყურის!“ — ბლაოდა უღაბნო უღაბნოელთა თვალებში.

„უკეთუ ხმალი ქარქაშს მოიკითხავს, მოვა მტკვრის წყალი  
უღაბნოში“.

სთქვა და ქუსლი ჰკრა ცხენს დავითმა...

ჩრდილო მხრისაკენ მიაქროლებდა ცხენს ღმერთი მარტო-  
სული.

გადაიარა მამულნი საგარეჯონი.

სოფელ საგარეჯოს მიატანა, ძველად რომ თვალი ერქვა.

ცივის მთა ენატრებოდა და აუყვა აღმართებს.

ცივზე მწყემსები შემოეგებნენ.

ვინაობა ჰკითხეს.

ერთი უბრალო და უგვარო კაცი ვარ, საენებელს გულში  
არარას გავივლებ, ამის მეტს ნურას მკითხავთო, — სთქვა სა-  
თნო თხოვნით.

აღარ მიეძალნენ. ისიც კმარა, სტუმარი ხარო.

დიღხანს გასცქეროდა ცივი მთის სტუმარი სამხრეთს, ცი-

სა და მიწის შორეულ კვეთილამდე მუქ-ლურჯად მოვარვარე დედამიწას. თვალი ველარ სწვდებოდა, მაგრამ გუმანით გრძნობდა, რომ ამ უსაზღვრო მინდვრებისა და მთების გადაღმა იწვა უდაბნო და იდგა მრავალმთა დავითგარეჯისა.

იქ უდაბნოელნი დატოვა მისი სიტყვით გაოგნებულნი: ნუ-თუ, მართლა შეიძლება მტკვრის წყალი მოვიდეს უდაბნოს?! გარნა, რაკი ღმერთმა ინება და ღმერთმა ბრძანა, უეჭველად მოვა მტკვარი უდაბნოს!

გარნა, თუ მშვიდობა იქნა, თუ სამუდამოდ დაუბრუნდა ქარქაშს აქამდე ქარქაშდავიწყებული ქართული ხმალი...

ხოლო, უკეთუ ისევ ომის ღმერთმან იმძლავრა, წყალი კი არა, ისევ სისხლი დაარწყულებს წამებულ მიწას... სისხლი...

სისხლი, თუ წყალი?!

წყალი, თუ სისხლი?!

დაისი დადგა.

ცივის მთამ ცივი ოხშივარი გამოიყარა.

ცეცხლს დავანთებთო, უთხრეს მწყემსებმა სტუმარს.

დავანთოთ და რცხილისაგან დავანთოთ, სთქვა სტუმარმა.

აგრე იყოს, გარნა მაინც რცხილა რად ავიჩემებიაო?

რცხილამ ლურჯი ცეცხლი იცისო, ლურჯი ფერის ცეცხ-ლი კი ყოველ ლურჯ ფერზე უმშვენიერესი არისო.

აგრე იყოსო და დაანთეს მწყემსებმა ცეცხლი რცხილისა. სუფრა გაშალეს.

გვიან ღამემდე შეუყვნენ სმასა და ზმას.

უფროსმა მწყემსმა შავი რქა აიღო, კამეჩისა, გაავსო და შეუძახა:

„აბა, ახლა დრო დადგა და ჩვენი ღმერთი ვადღეგრძელოთ!“.

„ღმერთიო?!“ — უნებურ სიტყვა გაუვარდა სტუმარს.

„ჰოდე, სტუმარო, რად გაიკვირვე, განა ღმერთი არა გვყავს რო?“

„გვყავს, დიახაც, დიდ არს სახელი მისი!“ — სიტყვა გაი-სწორა, ზეცას აზხედა და ჯვარი ისახა სტუმარმა.

„მე ეგ არ მითქვამს, ჩვენი ღმერთი ზეცას კი არა, მიწაზე დადის!“ — ქინიანად სთქვა მწყემსმა.

„?!“

„ჩვენი ღმერთი დავით მეფეა, ღმერთო მისი თავი გვიცო-ცხლე!“

„ღმერთო ღმერთი გვიცოცხლო?“ — გაეცინა დავითს.

„დე აგრემც იყოს, — იმ ცისა ღმერთმა ჩვენი მიწის ღმერთი გვიცოცხლოს!“ — სთქვა და მიაწვა ყანწს პირით მწყემსი. უსულთქმოდ გამოსცალა, ხელახლა გაავსო და სტუმარს გადააწოლა.

„სახელი მაინც გვითხარი შენი!“

„დავითი“

„აჰა, ეგეც შენ, ჩვენი ღმერთის სახელისა ყოფილხარ, ავაშენოს, შესვი, გააშოს!“ —

ახორბოცდნენ მწყემსები.

დავითმა ყანწი ჩამოართვა.

„დე, იყოს ეგრე, დიდება ღმერთსა და დავით მეფესა!“ — სთქვა და თვითონაც სულმოუთქმელად დასცალა ყანწი.

ცივის მთაზე ღვინის ღმერთს გზა დაუცალა ყოველმა ღმერთმა და ყოველმა დემონმა.

მეორე მამლისყვილზე აიყარნენ. ნაბდებში გაეხვივნენ და ძილს მინებდნენ.

დავითს ძილი დაემალა.

ლურჯი ცეცხლის, ციურ ცვართა და მიწის ოხშივართა მათრობელ ნაერთს ერთვოდა მისი სულის გამონაშუქნი.

ცეცხლი ჩანავლდა.

დავითს ძილი შეუწვა ნაბადში.

„შენ ხარ ღმერთი!“ — ისევ ჩაესმა და გააღვიძა უცხო ძახილმა.

უსიამოდ აუტრქოლდა სხეული.

„შემინდე, ღმერთო სახიერო!“ — პირჯვარი გამოისახა და მკვრივად გაეხვია ნაბადში.

ისევ ჩაიხვია ძილმა სულშეძრული ადამიანი.

„ხარ უზარო და უშიში, ვითარცა უხორციო!“ — ახლა ამ ხმამ გამოაღვიძა.

ისევ გაჰყვა უქმურ სიზმარს ამ შეძახილის მაძახურიც. ძილმა კი საბოლოოდ მიატოვა მისი ცხელი საწოლი...

„უშიში ვითარცა უხორციო!“

გაელიმა მეფეს.

ეს შეძახილი არ ჩანდა ისე მკრეხელური და ცოდვიანი.

მხოლოდ ხორცის ტკივილი ჰბადებს შიშს ადამიანის სულში.

და ის ვინც დაძლევს ტკივილს ხორცისას, მხოლოდ მას ძალუძს დაძლიოს შიში სულისა.

და ასეთი იყო თვითონ დავით მეფე...

იწვა ღამე, სიშავე ბედისწერისა, დედა მშობელი და მზრდელი მარჩბივთა — ძილისა და სიკვდილისა.

ფიქრებს ჩაუყვა და ჩაულრმავდა ფიქრისა და ზრუნვის მეუფე.

ფიქრი მისი იყო აღსარება ზენაარი სულისა, ზენაარი ღმერთის წინაშე.

ბუნებისაგან მონიჭებული ძალები სჯულთაებრ ვერ გამოვიყენე და მრავალი ბოროტება დავჰბადეო; მრავალთ-მრავალი სისხლი დავაქციე, მრავალთ-მრავალი წუთისოფელი წუთზე უადრეს მოვშალე და დავამიწეო.

თვალხილულ ფერებს და გრძნობებს კარები ფართოდ გავუღეო, ვნებათა მონა შევიქენიო, ხორცთა შჯულს დავემონეო (უეჭველად საყვარელი ქალის ტრფიალებაც იმონებდა სხეულით სრულქმნილსა და უზადო ვაჟკაცს. ამავე „სისუსტეებს“ უჩიოდა ალექსანდრე მაკედონელი: ძილმა და ქალისადმი ღტოლვამ ყველაზე მეტად დამარწმუნა, რომ მეც აღამიანი ვარო).

ციურ ძალებს ვეთაყვანებოდიო, საღვთო საქმეებში ვიჩქურებოდიო, ვეჭვობდიო (მეცნიერებას „სწუხდა“ მეცნიერი ხელმწიფე).

საღვთო წიგნთა სჯულნი დავთრგუნე და მათ ნაცვლად „სჯული გონებისაი“ ვიწამეო (ისევ მეცნიერულ „ცოდვას“, აზრისმიერ ერესს მიანიშნებდა მეცნიერი გვირგვინოსანი).

„სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებდი დასაპყრობლად“ (ღიანაც, „ცოდვილი“ იყო მშობლიური ქვეყნის სამტრო ქვეყანათა დალაშქვრა-დაპყრობაში).

„მარტოი ვმკვიდრობდი ქვეყანასა ზედა“ (ღიანაც, მარტო იყო, ერთადერთი — დავით აღმაშენებელი).

„ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა“ (რა სიმძიმელია ამ ძუნწ სიტყვებში; არკი გაგვიმხილა რა „ხენეში“ სულთაძვრანი წაჰკიდებოდა მის ხელმწიფურ სარეცელს. ორცოლიანობა? ან რა იყო, რა ნებითა და უნებობით პირობაქმნილი მისი ორივე ქორწინება? ან იქნებ სხვა რამე „მძლავრობა“ მოეხდინოს წუთიერ გრძნობას აყოლილ მეფეს მისი საქორწინო სარეცლის მიღმა?!)...

იბადებოდა „გალობანი სინანულისანი“ — გასაოცარი და შემაზრზენი, ავტორის სასტიკი სულიერი თვითგვემის ნაწური...

მწყემსები მწყემსურად აღრე წამოიშალნენ, მაგრამ სტუმარი აღარსად ჩანდა.

„გაპარულა სეხნია ღვთისა“, — შესძახა მწყემსმა უმრწემესმა სიცილით.

„იქნება თვითონ ღმერთი იყო, აკი ღმერთებმა იციან ხოლმე მდაბიურად გამოცხადება, ხალხის სულის მოსაჩხრეკად და შესაცნობელად“, — სთქვა მეორემ.

„იქნებ მართლა ღმერთი იყო, ჩვენი ღმერთი, მეფე დავითი, გარეგნულსაც ასეთს ამბობენ — დიდტანოვანი, სახიერი და შუქმოსიერი“, — სთქვა უფროსმა მწყემსმა.

ცივიდან ცივკოდა და საგარეჯო ჩამოიარა დავით მეფემ. ნინოწმინდას მივიდა და ილოცა. მასუკან კაწარეთს ეახლა და ეთაყვანა. სადილად უჯარმას დადგა. გვიან ღამით დაბრუნდა ტფილისს.

დადგა 1125 წელი და სიკვდილს გაახსუნდა, რომ დავით აღმაშენებელიც მისი შვილი იყო.

და საქართველოს მოუკვდა დავით აღმაშენებელი.

ტფილისის სასახლეში „ჰრულითა რათამე შუენიერიითა დაიძინა“ მან. იწვა ვაჟკაცი თვალდაწუხვილი, რომელმაც მანამდე „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა“.

იწვა „სახლსა სადავითოსა“ დავით აღმაშენებელი.

ჯავარსრული ხელმწიფე-ერისიონი.

მესიის მახვილი.

უბრძენესი სჯულმდებელი და განმრიგებელი.

სწორუპოვარი მხედარი და მხედართმთავარი.

„მაშქერებელი და მამგრებელი ცხენთა და აბჯართა“.

ქართული ენისა და ქართული სულის განმამტკიცებელი და განმავრცობელი.

მეფე და პატრონი ყოველთა კავკასიელთა.

უგანათლებულესი მწიგნობარი, მეცნიერი და პიტიკოსი.

გამეფდა 16 წლისა, იმეფა 36 წელიწადი, აღესრულა 52 წლისა.

მისი სახელი დაებეჭდა მისგანვე აღზევებულ ქართულ სახელმწიფო დროშას — დავითიანი (ამიერიდან — გორგასლიან-დავითიანი).

ტფილისიდან გელათს წაასვენეს, მისგანვე აღმართულ სავანეში დასავენებლად.

### „შპ6 ხარ ვინახი“

წარმატებით უვლიდა და პატრონობდა დავით აღმაშენებლის დიდებულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას მისი ძე და მემკვიდრე, მეფე დემეტრე პირველი. იყო იგი მამაცი მხედარი და ნიჭიერი მხედართმთავარი და „მაშენებელი საყდართა და ეკლესიათა“. უყვარდა გარეჯის სავანეებში სიარული და მეუღაბნობთან საუბარი.

დემეტრეს ბრძანებით გარეჯში ნათლისმცემლის მონასტრის ჩრდილოეთ კედელზე დაიხატა დავით აღმაშენებლის ფრესკა.

1138 წელს დემეტრემ განჯაში ილაშქრა, ქალაქი აიღო, მისი ალყაფის კარები ბჭეთაგან ჩამოხსნა და გელათს ჩამოიტანა. იგი დღემდე ინახება დავით აღმაშენებლის საფლავზე აღმართული.

1150 წელს შეთქმულება მოეწყო დემეტრეს დასამხობად. შეთქმულებას მისი უფროსი შვილი მეთაურობდა, დავითი. მიზეზი ის ყოფილა, რომ მეფეს უმცროსი შვილი, გიორგი შეპყვარებია გამორჩეულად, ტახტის მემკვიდრედაც თურმე გიორგის ამზადებდა. მამამ შვილს აპატია, მაგრამ დანარჩენი შეთქმულნი ზოგი დახოცა, ზოგიც სამშობლოდან განდევნა.

ხუთი წლის შემდეგ დემეტრემ სრულიად მოულოდნელად საქართველოს ტახტ-გვირგვინი დავითს მიუგდო, თვითონ სამეფო სამოსი განიძარცვა და ბერის ჩოხითა და სქიმით შემოსილი დავით-გარეჯაში გაეშურა.

ექვსი თვე იყო ნამეფარი ბერი ბერულ ცხოვრებაში.

ლოცულობდა, ლიტანიობდა, გალობდა და სავალობელს თხზავდა.

მაშინ დაიბადა მისი უბრწყინვალესი სიმღერა-საგალობელი, განრინებული ხელმწიფისა და პოეტის იღუმალი სულის ნაყოფი:

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული,  
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,  
აღვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,  
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,  
და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინებული...

ექვსი თვის თავზე დავით მეხუთე გარდაიცვალა მოულოდნელად.

შვილის სიკვდილი რომ შეიტყო, დემეტრემ ისევ გაიძრო ბერის სამოსნი, კვლავ სამეფო ტახტს დაუბრუნდა და თანამოსაყდრედ დაისვა თავისი რჩეული შვილი, გიორგი. მაგრამ ამის შემდგომ თვითონაც დიდხანს აღარ უცოცხლია ნაბერალ ხელმწიფეს. გარდაიცვალა 1156 წელს.

## რუმენა ანტონ გლონისთავისძისა

მეფე გიორგი მესამე, ძე დემეტრესი და შვილიშვილი დიდი დავით აღმაშენებლისა, სრული მორქმულობით განაგებდა საქართველოს სახელმწიფოს. მკლავისა და გონების სიმძლავრენ მას „ლომთა უმხნესისა და არწივთა უმადლესის“ ტიტული არგუნა სახალხო სამკაულად.

იმკამად საქართველოს კათალიკოსად და მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელად გარეჯის მრავალმთაში გაზრდილი კაცი ბრძანდებოდა — ანტონი გლონისთავისძე.

კათალიკოსი ხომ სულიერი მამა იყო სრულიად საქართველოსი, ხოლო მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი, დავით აღმაშენებლის ბრძნული განწყევებით — პირველი ვაზირი (გინა — „პრემიერმინისტრი“), მეფის ყველაზე ახლობელი პირი, „ვითარცა მამა“. არა საქმე მის გარეშე სავაზიროში არ გადაწყდებოდა. იგი იყო აგრეთვე უზენაესი მოსამართლე, უმადლესი „მართლმსაჯული“. იგივე, ვითარცა ჰყონდიდის ეპისკოპოსი, მეუფე იყო რელიგიური საქმეებისა.

არა მანდატურთუხუცესს, არა ამირსპასალარს, არა მეჭურჭლეთუხუცესს, არა მსახურთუხუცესს, არა ამირახორს,

არა მეჯინიბეთუხუცესს და არა არცერთ საერო და სასულურ-  
რო მაგისტრატს ნება არ ჰქონდა მეფის კოცნისა.

ერთადერთი იყო მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი, რო-  
მელსაც მეფე გადაჰკოცნიდა. ტახტიდან სამ ნაბიჯზე გადაეხ-  
ვეოდნენ ერთმანეთს მეფე და მისი პირველი ვეზირი.

ასეთი იყო მაშინ გარეჯელი ანტონი გლონისთავისძე.

იყო იგი „ნანდვილვე ღირსი ქებისა, ჰეშმარიტი ქრისტიან-  
ე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველ-  
თა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა (მეფისა) ერთგული უზო-  
მოდ“ — ხატავს ანტონის თანამედროვე მემატიანე.

1184 წლის აღრიან გაზაფხულზე გიორგი მეფე და ანტონი  
გლონისთავისძე ერთად ეწვივნენ დავით-გარეჯას. ახალი  
ფრესკა მოიხილეს ნათლისმცემლის მონასტერში. დავით  
აღმაშენებლის გვერდით დემეტრე პირველი დაეხატა გაწა-  
ფულ მხატვარს.

27 მარტს, ვნების კვირის სამშაბათს, ისევ კახეთში იყვნენ,  
სტაგირს. და ამ დღეს სიკვდილი ეწვია გიორგი მეფეს.

განესრულა მისი ოცდარვაწლიანი ხელმწიფობა. მომკვდა-  
რიყო „მონადირე მთათა და ბართა, ბრძანებითა მპყრობელი  
აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოსა და სამხრისა“.

ანტონი გლონისთავისძის მოთავეობით წარიმართა გლოვა  
სრულიად საქართველოსი. კახეთიდან ტფილისს მოასვენეს,  
ტფილსიდან, „უამისა სიძნელისა გამო“, ჯერ მცხეთას დაკრ-  
ძალეს „ლომთა უმხნესი და არწიეთა უმაღლესი“, მასუკან,  
იმავე წელს გელათს გადაასვენეს, სამეფო საძვალეში.

წელიწადი სანიშანსვეტო — 1184, საქართველოს ტახტზე  
ადიოდა თვრამეტი წლის მხოლოდშობილი ასული გიორგი  
ქესამისა, ბადიშიშვილი დავით აღმაშენებლისა.

სახელი მისი — თამარ, „პირი იგი ეთეროვანი, უკიმირო  
ჰაერი, უმრუშო ნათელი, შვიდმნათობიერი, მეფეთა ელვა-  
ცისკროვნება, მეფეთა მზე და მზეთაცა მზე, სკიპტრის-მპყრო-  
ბელთა ყოველთა უბრწყინვალესი...“

წარწერა ხელმწიფურ ბეჭედზე — დედათა მარილი ვარ...

საყვარელი მეფის სიკვდილით გულშეძრული ანტონი  
გლონისთავისძე საერო ხელისუფლებას განერიდა, ბერული  
ჩოხით ისევ გარეჯის უდაბნოში დაემკვიდრა. ხუთი წელიწა-  
დი არ მოშორებია ნათლისმცემლის ტაძარს. მისივე მეთვალ-

ყურეობის ქვეშ ნათლისმცემლის ჩრდილო კედელზე შესამეფრესკა გამოიხატა — მეფე გიორგი მესამე.

მინც იძალა თამარმა და გამოიყვანა ანტონი ბერულიცხოვრებიდან, გამოიყვანა და ისევ დასვა საქართველოს „მეორე საქეთმპყრობელად“ — მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელად.

უზენაეს სათნოებასთან ერთად, ანტონი იყო უმამაცესი მხედარი და მხედართმთავარი.

შამქორის სახელოვანი ბრძოლა გავიხსენოთ, ჩემო მკითხველო.

ამირა აბუბაქარი შემოესია შირვანს ურიცხვი მხედრობით. შირვანშაჰ აღსართანი თამარ მეფის ნათესავი და ყმადნაფიცი იყო და სასწრაფოდ გაჩნდა ტფილისის სასახლეში „ქართული საშველის“ სათხოვრად.

საომარი წვევა ბრძანა თამარმა.

შეიყარა ქართველი მხედრობა, ამერ-იმერი, „ვითარცა გროი შევარდენთა“.

გამოვიდა თამარი და წყნარად მიმართა მისი ხილვით და კრძალვით განლიგებულ ჯარს:

„ძმანო ჩემნო, ვიცი, კვლავაც არ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მტრისათვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენთან არს. მაშ, შეისწრაფეთ ქვეყნად მათდა ძალითა ჯვარისათა, მკლავითა უმტკიცესითა და გულითა უმართლესითა!“

მერე, მოიღო დროშა გორგასლიან-დავითიანი და გადასცა დავით ხოსლანს, თანამეცხედრეს და მთავარსარდალს.

ხოლო, გვერდით მთავარსარდალს თამარმა დაუყენა ანტონი გლონისთავისძე.

საომრად გაუშვა თამარმა ლაშქარი და თვითონ, „წარიხადნა სამოსელნი ფერხთანი, და ფერხივ შიშვლითა ფერხითა“ მეტეხის ტაძარს მივიდა ლოცვად, — ლაშქრისა, ხალხისა და ქვეყნისათვის...

1195 წელი 16 ივნისი, დღე პარასკევი.

შამქორი.

დავით ხოსლანმა ჯარი სამ ნაწილად გაჰყო — ორი მოიერიშე ფრთა, მარჯვენა და მარცხენა, და ნიჯადი (თადარიგი, „რეზერვი“).

მარჯვენას სათავეში ჩაუყენა ანტონი გლონისთავისძე, მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი, „შესახედავათაცა ჭაბუკი“ მამა, რომელსაც ახლა ჯვარის ნაცვლად ხელთ ხმალი ეპყრა სალმასურისა.

მარცხენა ფრთას თვითონ უსარდლა დავით სოსლანმა.

ნიჯადს, თადარიგს, ძმები ზაქარია და ივანე მხარგრძელება უჩინა სარდლად.

„ღმერთი, თამარ და საქართველო!“ — დაიქუხა გლონისთავისძემ და ხმალშემართული გაუძღვა ჯარს.

მდინარე უნდა გადაევლოთ და ზედ ხიდზე შემოაგება აბუბაქარმა მუსლიმთა ლაშქარი მოიერიშე ქართველებს. „შეიქმნა ომი და კუეთება“. ვიწრო ხიდზე ჯერ მხოლოდ მეწინავენი აწყდებოდნენ ერთიმეორეს.

„ქრისტე, თამარ და საქართველო!“ — ისევ უყვილა ჯარს გარეჯელმა მამამ.

ქართველებმა სასტიკი ხმალთაკვეთებით ხიდი და მდინარე უკან მოიტოვეს და თვითონ შამქორის კარიბჭეებს მიეტანენ. მაგრამ აქ აბუბაქარმა სრული მხედრობა, „ვითარცა ქვიშა“, შემოაგება თავაწყვეტილი კონტრიერიშით.

მაშინ მხარგრძელებმა დასძრეს ნიჯადი მისაშველებლად, მაგრამ თავი ვერ ისახელეს: ამაოდ „წახეთქნეს ნახევარნი ლაშქართა და რაზმთანი“ ზაქარიამ და ივანემ.

და დავით სოსლანიც მოიჭრა მემარცხენე ჯარით, გადაწყვეტ ჟამს, გლონისთავისძის მისაშველებლად.

წინ გამოიჭრა შალვა ახალციხელი და ხალიფას დროშისკენ გაქანდა ხმალმართული. მეწინავე თურქი მედროშე გაპკვეთა მხარილლივ. დაფრთხნენ დანარჩენი მედროშენი. მარცხენა ხელით დაითრია შალვამ ხალიფას დროშა.

გატყდნენ ალაჰის მხედრები.

მთელის ძალებით მიესივნენ ქართველები, „ვითარ არწივნი და ვითარ ვეფხვნი“. ორად „განსქდა“ მუსლიმანთა ლაშქარი და ორგეზად გაქუსლა — განძისკენ და გელაქუნისკენ. პირველი გაექცა ბრძოლას თვითონ აბუბაქარი და „მიწვეწულმან ხნარცესა სადმე მცირესა მიწასა შინა დაფლა თავი თვისი“. ქართველები კი მისდევდნენ გაქცეულ მტრებს. სდიეს და „დაათვრნეს ისარნი სისხლითა და ხრმალნი ჭამდეს ხორცთა მტერთა მათთასა“.

მოგებული იყო დიდი ომი.

ხოლო, ომის უპირველესი გმირნი — ანტონი გლონისთავისძე, შალვა ახალციხელი, დავით სოსლანი.

ანტონი გლონისთავისძის ღვაწლი უნდა იყოს ბერთუბნის მონასტრის შესანიშნავი მხატვრობა. აქ დაიხატა თამარისა და მისი ძის, გიორგი ლაშას იშვიათი ფრესკები.

1202 წელს დაიწერა სიგელი თამარ მეფის ხელმოწერით. სიგელში წერია: ანტონი გლონისთავისძემ, მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელმა შიომღვიმის მონასტერს წყაროსწყალი გაუყვანა სოფელ სხალტბიდან.

როგორც ეტყობა, ანტონი გლონისთავისძეს ძლიერი მემკვიდრე დაეტოვებინა გარეჯის მრავალმთის მოძღვრად. 1216 წელს დვინში გამართულ დიდ საეკლესიო ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობდა „დიდი მამამთავარი გარესჯისა“.

### ყაენი კვლევა ღაშით-გარეჯას

დიდი თამარ შვიდმნათობიერის აღსრულების შემდგომ ათი წელიწადი კიდევ სუნთქავდა მსოფლიო ძალისხმევით ქართველთა სახელმწიფო აზიისა და ევროპის კავკასიურ შესაყარზე. მეფე გიორგი ლაშა, ღირსეული ძე ღმერთქალისა, სიკვდილამდე შეურცხვენლად ატარებდა დროშას — გორგასლიან-დავითიან-თამარიანს, და ხმალს — დავითფერულ-აღმაშენებლურს. ევროპას საქართველოს ჭაბუკი მეფე ახლადმოვლენილ ალექსანდრე მაკედონელად და მსოფლიო ქრისტიანიზმის ერთადერთ მხსნელად და მშველელად წარმოესახა. პალესტინის წმინდა ადგილთა დასახსნელად, მუსლიმანთა გასანადგურებლად და ყოველი წარმართული ბოროტების დამამხობელ „ჯვაროსნულ ომში“ იწვევდა აქამდე სწორედ „ჯვაროსნული ომებით“ თავშერცხვენილი ევროპა ქართველ ხელმწიფეს.

რომის პაპის ცრემლით დაღტობილი ეპისტოლე და... ახალ ომში წასასვლელად ემზადებოდნენ და იკაზმებოდნენ ქართველები.

კახელი ქალის რომანით აფორიაქებული რაინდი მეფე ჯვაროსნულ ხმალს ირტყავდა წელზე.

მაგრამ გამოიღვიძა ქართველთ მღევარმა ბოროტმა ბედის-  
წერამ.

აღმოსავლეთიდან ყოველი ქვეყნის დამანგრეველი და წამ-  
ლეკავი ტაიფუნი მოჰქროდა.

მონღოლები, გინა — თათრები!

მონღოლ-თათრული უღელი, უმძიმესი ყოველ „მსოფლიო  
უღელთა“!

250 წელიწადი მსოფლიოს კისრად, 100 წელიწადი საქარ-  
თველოს კისრად!

დანგრეულია საქართველოს სახელმწიფო, მოშლილია ქარ-  
თული სხეული „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“.

დაიქანცა მკლავი.

დაიმსხვრა ხმალი.

გატყდა გული.

გამწარდა სული.

მონღოლური ხარკი, მონღოლური საგადასახადო სისტემა  
საესებით გამორიცხავდა მწარმოებლის დაინტერესებულობას  
სამეურნეო ცხოვრებაში. დახარკული და დაბეგრილი იყო  
ყოველივე უძრავ-მოძრავი, „კაცთამდე და პირუტყვთამდე,  
ყანით ვენახთამდე და წალკოტით ბოსტნამდე“.

„წესადმცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“, — ასეთი  
იყო ქართველთა აჩემება მონღოლური საომარი დროშების  
ქვეშ და გაოცებული იყო ყველა — მონღოლიც, მონღოლის  
მტერიც და მოყვარეც — რა თავგანწირვით, რა შემართებით  
და საკუთარი სისხლის დაუნდობლობით იბრძოდნენ ქართვე-  
ლები, ველურ დამპყრობთა ასამაღლებლად და მათ ბოროტ  
ვნებათა დასამკვიდრებლად.

ქართველები ერანელი მონღოლი ყაენების — ჰულაგიდე-  
ბის ქვეშევრდომები იყვნენ. ჰულაგიდებს ჩრდილოელი ოქ-  
როს ურდოელი ყაენები მტრობდნენ.

და წამოვიდა 300 000 თათრით ოქროს ურდოს მბრძანებე-  
ლი, ბერქა ყაენი, გადმოთქერა დარუბანდი, გადმოლეკა შირ-  
ვანი და შეუკავებლად გამოქანდა მტკვრის ხეობისკენ.

შეეგებნენ ჩრდილოელ მტრებს ერანელი აბალა ყაენი და  
ქართველი მეფე დავით ულუ ლაშას ძე. პირველი ბრძოლა  
თეთრწყლებზე მოხდა. დავით ულუ იშვიათი მოისარი იყო და  
ზუსტი გასროლით ისარი თვალში განუწონა ბერქა ყაენის მე-

წინავე სარდალს. მაშინ სრულის მხედრობით წამოვიდა იერიშზე თვითონ ბერქა ყაენი. აბალამ და დავითმა თავდაცვა აირჩიეს, მტკვრის მარცხენა მხარეს გადმოვიდნენ და მტკვარ-არაქსის შესაყრიდან მცხეთამდე ჯარები განალაგეს და ხიღებიც აპყარეს.

ბერქამ თავისი ურდო საქართველოს შემოუსია და ააოხრა პერეთი, კახეთი, ალაზნისა და იორის ქვემო წელი, სავსებით იავარჰყო რუსთავი. თოთხმეტი დღე აწყდებოდნენ მტკვრის მარცხენა სანაპიროებს, ამოდ ეძებდნენ ხიდსა და ფონს მდინარის გადასალახავად. მასუკან ტფილისისაკენ აფრინა ლაშქარი ბერქა ყაენმა.

თვითონ დავით-გარეჯას იღვა ბანაკად ბერქა ყაენი.

სანამ მისი მხედრობა ტფილისისაკენ მიიწევდა და გზაზე ყოველ ნაშენ-ნაამაგარს ძირიან-ფუძიანად სპობდა, მანამ თვითონ ყაენი გარეჯის სავანეებს აოხრებდა, ბერ-მოდვანეებს წამებით ხოცავდა, ფრესკებს ფხეკდა, ხელნაწერებს ხევდა და წვადა.

მაშინ სიკვდილმა მოიკითხა სიკვდილის მთესველი კაცი-შვილი, მოიკითხა და მოჰკითხა ეგზომი ცოდვისა და ავკაცობისთვის. მუცლით საღმობა შეეყარა სისხლით დაურწყულე-ბელ ყაენს. ბედმა უკულმა დაგრიხა მისი კაცთმაწყინარი წუთისოფელი. საშინელი ტკავილებით იკლავებოდა და შხორკალობდა. განუცადებლად სდიოდა სისხლი და თხრამლი. ეხვეწებოდა სიკვდილს, ზავილით პირაშემული, დროზე მომკალ, რაკი მძლიე და დამაქციეო.

და, როგორც იქნა, მოკვდა, გარეჯის მარისხებელი და გარეჯისაგან შერისხული ბოროტმოქმედი.

ტფილისის კარიბჭეებთან წამოეწიათ ჩრდილო-ურდოელებს მათი მბრძანებლის სიკვდილის ამბავი, მაშინვე უკან გატრიალდნენ, გარეჯს მივიდნენ, მკვდარი ყაენი აიტაცეს და ისევ შირვან-დარუბანდის გზით ვოლგისკენ გაქუსლეს.

დარჩა გარეჯა აკლებული, აოხრებული.

მაგრამ მაინც დარჩა სულისძვრა მისი, რწმენა მისი — რწმენა ერისა, რწმენა რწმენისა.

მძიმედ ვიდოდა უმძიმესი ასწლეული საქართველოს ისტორიისა.

მაგრამ ამ უმძიმეს საუკუნეშიც იმედისა და რწმენის ნი-

შანსვეტებად შაინც ელავდნენ ქამქამად ნაპერწყალნი და ნა-  
 შიერნი დავით აღმაშენებლის სულისა, მსგავსნი — შალვა  
 ახალციხელისა, ცოტნე დადიანისა მეფე დემეტრე თავდადებ-  
 ბულისა.

მეფე დემეტრე მეორემ ახალი სული შთაბერა დავით-გარეჯის სარწმუნოებრივ, საეროვნებო და სამწიგნობრო ცხოვრებას. გარეჯის უდაბნოელებს ხარების ეკლესიაში დაუხატავთ მათი მზრუნველი მეფის პორტრეტი. დემეტრეს უახლოესი და უმდიდრესი კარისკაცი, საღუნ მანკაბერდელი, გარეჯის მრავალმთის ტაძარ-საეანეებს პირადი ხაზინიდან უხდიდა უმძიმეს მონღოლურ გადასახადებს — მალსა და ყალანს.

დემეტრეს მეფობის ქამს დიდად გაითქვა სახელი გარეჯელმა მამამ, პიმენ სალოსმა, წარმომავლობით კახელმა წარჩინებულმა. პიმენმა რამდენიმე წელს იმოღვაწა გარეჯის მეუდაბნოეთა დიდებულ სულიერ მამად. მასუკან ადგა დიდი მოძღვარი პროზელიტისტი და შეუდგა ქრისტეს მოძღვრების გავრცელებას და განმტკიცებას საქართველოსა და დაღესტნის მთიანეთში. ჯერ ფშავნი და თუშნი „განამტკიცნა სჯულითა ქრისტესისათა“, მერე დაღესტანი მოიარა „ქრისტიანობის თესვით“, ბოლოს ბელაქანს, ერთ გამოქვაბულში დაემკვიდრა და ისევ „ქრისტესმიერი სასწაულებით“ მოაქცევდა და ნათლავდა მანამდელ მაჰმადიან მორწმუნეებს.

მერე, დადგა ქამი დემეტრე მეფის საბედისწერო გაწვევისა მონღოლთა ურდოში. მეფემ სათათბიროდ მოუწოდა ყოველ საერო და სასულიერო საქვეყნო განმრიგეს და მათ შორის, საგანგებოდ — „მონასტერთა და უდაბნოთა გარეჯისა მღვდელ-მონაზონთა“... ურჩიეს მეფეს, არ წავიდეს ურდოს, სადაც მას ელოდება სიკვდილი გარდუვალი. მაგრამ მეფემ არ დაიშალა და წავიდა, და დასდვა სიცოცხლე თვისი ერისა და ქვეყნის გადასარჩენად...

დემეტრე თავდადებულის გმირობა, ცოტნე დადიანის „გმირული კახუსის“ შემდგომ, მეორე სანიშანსვეტო გაელვება იყო მონღოლური კაეშნით დაძმობებულ ქართულ ცისგვამში.

და იყო „მესამე გაელვებაც“, ჭეშმარიტად აღმაშენებლური გაელვება, რომელმაც ასწლოვანი კაეშანი მოხსნა და ერთ-



ჭერ კიდევ სრული სინათლე დაუბრუნა „ყოველ საქართველოს“.

ლოგოსი ეძღვნება მეფე გიორგი მეხუთე ბრწყინვალეს.

### ცივი მთის ცხელი სუფრაები

ამბობენ და ძალიან მართალსაც ამბობენ: არ არსებობს უსაგნო და უსაზმნო ქართული სუფრაო; ქართულ სუფრაზე, უძველესად, რაღაც მნიშვნელოვანი და ნიშნეული საქმე უნდა გადაიჭრას, ან სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ან საზოგადოებრივ-ზნეობრივი, ან ბიროვნულ-კერძობითი. შესაძლოა, ყოველი განსჯა ქართულ სუფრაზე, ისე ვითარცა სრულიად ცხოვრების გზაზე, არ აღმოჩნდეს ყოველთვის მართებული და ჭეშმარიტი, მაგრამ მაინც არ არსებობს ქართული სუფრა „დიდი“ თუ „მცირე“ აზრისა და განსჯის გარეშე (რასაკვირველია, თანამესუფრეებსაც გააჩნია).

ცივის მთაზე სუფრაა გაშლილი.

ჩრდილს გარეთ მზე იკოცნება, სხივალესილი.

ჩრდილს შიგნით ლურჯი ცეცხლი იცოხნება, რცხილის მუგუზლით.

მეშვიდე სადღეგრძელოა — სადღეგრძელო საქართველოსი.

„საკუთარ ლექსს საქართველოს უძღვნის ნუგზარ ჭანტურია“, — ღიმილით აცხადებს მედეა.

წამოდგა ნუგზარი და სთქვა ზახიანი ხმით:

შენს სიყვარულში ვინ შემეცილოს,  
ვის ძალს ეს გრძნობა შემიტორტმანოს?!  
დაგჭირდებოდა? — მზად ვარ რომ შეგეწირო,  
დაუფიქრებლად და უყოყმანოდ.

შენა ხარ ძარღვში სისხლის კივილი  
და სიყვარულში ჩაუტევიარი,  
ჩემი ოცნება, ჩემი ტკივილი,  
აღმართი ჩემი და აღზევანი!

შენზე ფიქრები ჩქერად გადამდის,  
შენს გზებზე რაღა არ მაქვს ნანახი,  
შენი კრწანისის, შენი მარაბდის  
მე სისხლიანი ვძოვე ბალახი

მესროლა შენმა ბერმა პაპამა,  
დაჭრილ ჭიხვივით კლდებზე ვქანაობ,  
ხიცოცხლის ნექტრად შემომაპარე  
შენი „ლილე“ და „იავნანაო“.

შენ ხეკორძულას წყალი მარწყულე,  
მერე მომსხიპე ოსტატს მარჯვენა,  
წამიყვანე და სისხლად ჩამწურე  
სურამის ციხის გადასარჩენად...

შენ ჩემო სახლო, ჩემო მამულო,  
გული საგულეს როგორ გაცივდეს;  
მზადა ვარ მე შენს საწინამუროდ,  
ოღონდ ყოველი ჭირი აგცილდეს...

„ღმერთო დიდებულო, ეს ვინ გყოლიათ, ძმანო გარეჯელ-  
ნო?! — აღმოხდა სტუმარს.

„დიახ, სხვას ვის ჰყოლია მსგავსი ნუგზარი, მსგავსი  
გამგე განათლებისა?“ — ამაყად შესძახა თამაზმა.

ჩამოინაცვლა და ჩამოიცილა ყანწი ირგვლივ სუფრისა.

„ახლა იმ კაცსაც გაუმარჯოს განუწყვეტლივ და განუცა-  
დებლად ჩვენს სამშობლოს ღამეს რომ უთევს!“ სტქვა მედი-  
კომ.

„გაუმარჯოს!“

„ეგ კაციც ჩვენი ათასწლოვანი წინაპრების ჯიშობრივი  
გაგრძელებაა“.

„მაშ, ჩვენი წინაპრებისა იყოს!“

„ამ მთაზე მეფე გიორგი ბრწყინვალეს საზაფხულო სასახ-  
ლე ედგა — დაიწყო სტუმარმა — იქნებ ჩვენი სუფრაც იმ სა-  
სახლის ნასახლარზე გაგვიფენია. გიორგი მეფეც სახელმწი-  
ფოს ბედიღბალს გაშლილ სუფრასთან წყვეტდა და წა-  
ფავდა...“

„რაკი დაიწყე, ბოლომდე ჩაჰყევ! მაშ, გიორგი ბრწყინვა-  
ლისა იყოს!“ — მიაძახა ნელიმ.

და სტუმარიც ჩაჰყვა ბოლომდე.

მეფე დემეტრე თავდადებულს მესამე ცოლისაგან, ბექა  
ჯაყელის ასულ ნათელასაგან, შეეძინა ვაჟი — გიორგი („მარ-  
ტო შვა დედამან, ვითარცა მარგალიტისათვის თქმულ არს  
მარტოება უმჯობესისათვის“). იგი ისტორიაში დაივანებს გი-  
ორგი მეხუთე ბრწყინვალის სახელით.

გიორგიმ შემკვიდრებოდ ქვედამზობილი და დაქცეულ საქართველო მიიღო. მონღოლურ-თათრულმა უღელმა, ურჯუკმა ბასაკობამ სავსებით გააპარტახა და ძირფესვიანად ამოაგდო სამეურნეო ცხოვრება. მიიმედ დახარკული ქართველი გლეხკაცი მის უმთავრეს და უსაყვარლეს კულტურულ საქმიანობას — მიწათმეურნეობას ტოვებდა, დედაბუდიანად იყრებოდა და მთაში იხიზნებოდა. გარბოდა ყველა, ვინც მონღოლთა გაუთავებელ ომებში სიკვდილს გადაურჩა. საქართველოს ბარი სოფლიან-დაბიანად ცარიელდებოდა და ვერანდებოდა.

მონღოლურმა სამხედრო მანქანამ შეარყია და შეცვალა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებაც. უთაყვამო ომებმა და უცხო დროშის ქვეშ „წესად მიღებულმა“ ქართველთა „წინათმბრძოლობამ“ სამხედრო სიქველე უმაღლესი საზოგადოებრივი მოწოდების და პრივილეგიის საგნად აქცია. ახალი სოციალური შრე — „სამხედრონი“ — წარმოადგენდა იმდროინდელი საზოგადოების „ელიტას“. ძველი აზნაურობიდან წინაურდებიან „დიდებულები“. მეფის მომდევნო უმაღლეს მაგისტრატურას იჭერენ „მთავრები“, ანუ „საქვეყნოდ გამრიგენი“, რომლებიც ისევ და ისევ ძლიერ მახვილზე დაყრდნობით ხელთ იგდებენ ცალკეულ ქართულ თემთა და კუთხეთა უზენაესს ხელისუფლებას.

ძირფესვიანად შერყეულიყო საუკუნეთა მანძილზე მკაცრად და მკვრივად ჩამოსხმული ქართული ზნეობრივი და სამართლებრივი სამყარო. იდგა „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთსა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წავურა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერი ულუსობანი“, არსად „სამართალი არად იყო-ლა“.

ქართულ მთას თათრული უღელი თითქოს სავსებით დავიწყნოდა და ერთმანეთს დანასისხლად გადაჰკიდებიან ქართული სოფლები, თემები, „ხევები“. ქსნის ხეობაში ერთმანეთს ექლიტებოდნენ ცხოტელნი და ქამურელნი. „წვრილ ერს“ ზომ არ ანგარიშობდნენ და, ერთ ასეთ „სამშო შეტაკებაში“ მარტო თვრამეტი ცხოტელი ხევისბერი დახოცილა. სისხლისღვრის „მიზანი“ ხშირად სამხედრო „ხელოვნებასა“ და ვაჟკაცურ სიქველეში თავის გამოჩენა იყო და სხვა არა-

ფერი. ამნაირი უგუნური თავმოყვარეობისა და უსაგნო მე-  
შურნეობის მიზეზით წლების განმავლობაში ერთმანეთს  
აწყდებოდნენ ქსნისა და არაგვის მთიელები. უსაზმნოდ გამ-  
ხეცებულ თანამოქმედებს ერთმანეთზე სასიკვდილო იერიშები  
მიჰქონდათ „დახვეწილი“ საომარი ხელოვნებით — დროშების  
ფრიალით, ომახიანი ხმიანით, თავზეხელართმეული ხმალთა-  
კვეთებით, მიჯრილ ფართა „სიპებით“, ქვათა გორებით და  
ისართა მერეხ-ბარანით.

ასე, ყოფნა-არყოფნის სასწორზე შეგდებულყო ეროვნუ-  
ლი და სისხლიერ-ნათესაობრივი თვითშეგნება ქართველთა  
შორის. სხვა რალა უნდოდა გარეშე მტრებს! მონღოლთა  
მსგავს „მსოფლიო დამპყრობელთ“ რომ თავი დაეანებოთ, ში-  
ნაური მტრობითა და მესისხლეობით დასუსტებული ქართ-  
ლი „მცირე მასშტაბის“ მომტერეთა საკბილოდაც გადაქცეუ-  
ლა. კავკასიონის გადაღმიდან მოშლიგინობდნენ მოთარეშენი.  
მოდოდნენ ყვიჩაყნი.

ასეთი იყო საქართველო XIV საუკუნის კვირაძალს —  
დაშლილ-დაწიწნილი პოლიტიკურად, ჯანდაშრეტილი ფიზი-  
კურად, დაკნინებული სულიერად, დამხობილი ზნეობრივად.

სწორედ აღარ ეგვიანებოდა, — ისეთ დროს მოევლინა თა-  
ვის ქვეყანას გიორგი მეხუთე ბრწყინვალე — ღირსი, იხსენი-  
ებოდეს გვერდით დიდთა ქართველთა საქეთმპყრობელთა:  
ფარნავაზისა, ვახტანგ გორგასალისა, ბაგრატ მესამისა, დავით  
აღმაშენებლისა, თამარ შვიდმნათობიერისა.

(ასე მოსდგამს საქართველოს — უმძიმესი კრიზისების ჟამს  
მოევლინებიან ხოლმე უდიდესი საქეთმპყრობელები ერსა და  
ქვეყანას).

ცივის მთაზე მეფე გიორგი ბრწყინვალეს საზაფხულო სა-  
სახლე ედგა.

ცივის მთიდან დანახული საქართველო გამორჩევით  
უყვარდა.

ცივის მთიდან გარეჯის მრავალმთაზე დაშვებული მრეში  
მიმწუხრის მზერა იტაცებდა.

ცივის მთაზე რცხილის ლურჯი ცეცხლის დანთება უხა-  
როდა.

ცივის მთაზე „სახელმწიფო სუფრების“ გაშლა წესად  
აეჩემებია.



ცივის მთის სუფრაზე ევლოგიად გარეჯის სავანეებში ნაკურთხი პურ-ღვინო მიუცილებლად უნდა ჰქონოდა.

ცივის მთის სუფრაზე გადაწყვეტილი საქმენი ფეხბედნიერად ჰქონდა დაცდილი.

ცივის მთის სუფრებზე მეფე გარეჯელ მამებსა და საერო საქვეყნო განმრიგებებს შემოიყრიდა.

**სუფრა პირველი.** „ქართულ მთაში შერყეული ქართული სული უნდა აღსდგეს, ულუსობანი უნდა აღიკვეთოს, ქართველისაგან ქართველის მტრობა და მესისხლეობა უნდა ამოიკვეთოს, ქართული ოჯახის სიმტკიცე კვლავ განემტკიცოს!“ — ბრძანა მეფემ და ასწია ღვინისფერი რქაი ხარისა.

„აღესრულოს!“ — დაიბუზუნეს ერისთავებმა და გარეჯელმა მამებმა.

(ქვემო ქართლის ერისთავები არსად ჩანდნენ. ცივის მთის წვევა უპასუხოდ დაეგდოთ მხარგრძელებს)...

გორში ჩაიჭრა გიორგი მეფე და სათარეშოდ ჩამოსული ჩრდილოელნი ჩრდილოეთს გადარეკა. არაგვის ხეობას აუყვა. ენვალის სასახლეში შედგა მცირე ხანს. იქიდან ხადა-ცხაოტს ივიდა. მასუკან ჯვართა ყელი გადავლო და დარიალამდე ჩავიდა. არაგვის კარიდან მობრუნებული ლომისას დადგა. იქიდან ცხრაძმის ხევი ჩამოიარა. გზადაგზა, ხალხთან და ხევისბერ-პეროვანებთან ბჭობით, მტკიცე ნებითა და ბრძნული სიტყვით, მთიელები სრულის რწმენით დაარწმუნა, რომ გიორგი მეფე სიცოცხლის ფასად აზღვევინებდა ყველას, განურჩევლად „დიდთა“ და „მცირეთა“, ვინც კი მომავალშიც გაბედავდა „უსამართლობასა და მძლავრებულობას“, ქართველთა შორის ურთიერთ მესისხლეობას, განუკითხავ მკვლელობას, ციხეთა დაქვევას, სხვისი ცოლის „წაგურას“, საკუთარის „დაგდებას“, მოყვასის „საფლავისა ხელყოფას“ და სხვათა მსგავსთა „ულუსობათა“. მოდიოდა და ყოველი თემიდან თან მოჰყავდა ხევისბერი და პეროვანი. მათი თანხლებით მუხრანი ჩამოვლო და ტფილისს მოვიდა.

სატახტო საგანგებო დარბაზობით ელოდა მეფეს. აქ ყველაფერი გაემზადებინა კათალიკოს ექვთიმეს (ისიც გიორგის დაენიშნა კათალიკოსად). შეკრებილიყვნენ „ვეზირნი და ებისკოპოზნი“. მთიდან ჩამოყვანილი ხევისთავებიც შეუერთდნენ და მეფემ გახსნა დარბაზი.

ღარბაზმა მიიღო მეფე გიორგის მიერ შედგენილი ახალი კანონმდებლობა საქართველოს მთიანეთისთვის.

სახელი მისი — „ქეგლის დაღება“.

საქართველოს მთა უბრუნდებოდა თავის ქველ, ტრადიციულ წესრიგსა და ზნეობრიობას. ფეოდალური განკერძოებულობა გზას უთმობდა მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების შეუვალ და განუყოფელ უზენაესობას. ბოროტი „ულუსობანი“, მძიმედ, მაგრამ მაინც გარდუვალი ეამგასულობით ივლტოდა ქართული ზნეობრივი სამყაროდან...

სუფრა მეორე. „საქართველოს თავისი სახელმწიფო კარის საგანგებო განწესრიგება უნდა აღუდგეს!“ — ბრძანა მეფემ ჯიხვის რქით ხელში.

„აღესრულოს!“ — შეუძახეს ერისთავებმა და გარეჯელებმა.

(ისევ „გამორჩენოდათ“ მხარგრძელებს ცივის მთის წვევა).

და მოადევნა გიორგი მეფემ „ქეგლის დაღებას“ ახალი კანონმდებლობა.

სახელი მისი — „ხელმწიფის კარის გარიგება“, ქართული სახელმწიფოს სამართლებრივი კულტურის უბრწყინვალესი გამოვლინება. ეს ნიშნავდა დავით აღმაშენებლისა და თამარ შვიდმნათობიერის სახელმწიფოებრივი სისტემის აღდგინებას...

სუფრა მესამე. „ქართველი გლეხი ქართულ მიწას უნდა დაუბრუნდეს!“ — ბრძანა მეფემ მოზერის რქით ხელში.

„აღესრულოს!“ — იგრიალეს ერისთავებმა და გარეჯელებმა.

(ისევ არ ჩანდნენ ქვემო ქართლის მესვეურები).

და შეუდგა გიორგი ბრწყინვალე საქართველოს დანგრეული სამიწათმოქმედო ცხოვრების აღდგენასა და ამაღლებას. მონღოლ ბასაკათა შიშით მთაში გახიზნულ ბარელებს ისევ თავის ნაფუძარზე აბრუნებდა, ამკვიდრებდა და ტრადიციული აგრეკოლური ცხოვრებისკენ მოუწოდებდა, ამხნეებდა აქეზებდა, ეხმარებოდა.

ქართული სოფელი სოფელს უბრუნდებოდა.

გიორგი ბრწყინვალემ ყველაზე კარგად იცოდა, რომ საქართველოს „შემდგებელი დვრიტა“ არის სწორედ ქართული სოფელი...



სუფრა მეოთხე. „საქართველოს თავისი საკუთარი და ერთიანი ფული უნდა ჰქონდეს!“ — ბრძანა მეფემ და თასი ასწია ვერცხლისა.

„ალესრულოს!“ — იქუხეს ერისთავებმა და გარეჯელმა მამებმა.

(არ ესწრებოდნენ მხარგრძელები, — გულმავიწყობა დასჩემებოდათ).

იმჟამად მონღოლურ სამფლობელოებში ბატონობდა ყაზან ყაენის სახელობაზე მოჭრილი ფული — „ყაზანური თეთრი“. გიორგიმ ფულად მიმოქცევაში გაუშვა თავის სახელზე მოჭრილი ახალი ვერცხლის მონეტა — „გიორგაული თეთრი“, რომელმაც ჯერ სრულად დაჩრდილა, ხოლო მალე სავსებით გააძევა ფულადი ბრუნვიდან უცხოური „ყაზანური“...

სუფრა მეხუთე. „კვლავ აღდგინდეს და აღეშენოს ციხენი, ტაძარნი და სავანენი საქართველოსი!“ — ბრძანა მეფემ ჯვართით და კელაბტრით ხელდატვირთულმა.

„ალესრულოს!“ — დაიძახეს ერისთავებმა და გარეჯელებმა.

(ისევ არ ჩანდნენ მესვეურნი ქვემო ქართლისა).

ფართოდ გაშალა გიორგი მეფემ კულტურული აღმშენებლობა. კვლავ აღადგენდა ასი წლის გასწვრივ ნანგრევ-ნაოხარ ქალაქებს, სოფლებს, სავანეებს, ტაძრებს, არხებს, გზებსა და ხიდებს. მან განაახლა დაქცეული და შერყვნილი ტაძრები — დადაბნისა, ფიტარეთისა, წულრულაშენისა, კაზრეთისა, ღმანისისა....

სუფრა მეექვსე. „კვლავ უნდა გაერთიანდეს ყოველი საქართველო!“ — იქუხა მეფემ და აღმართა სკიპტრა.

„გაერთიანდეს!“

„ნიკოფსიით დარუბანდამდე!“

„ამინს!“

1329 წელს ქუთაისში მოკვდა დასავლეთ საქართველოს მეფე, მიქელი. გიორგი ეზრაბა ქუთათისის სამეფოს მესვეურებს, იქაურ „საქვეყნო განმრიგეებს“. ამათაც „სათნო იჩინეს მეფობა მისი“ და მიიწვიეს. გიორგი მაშინვე დაიძრა მხედრობით ქუთათისისკენ. ლიხის მთის გადალახვისთანავე გიორგი მეფეს „იმერნი ყოველნი მოერთოდნენ სიხარულითა“. ქუთათისს მოვიდა გიორგი. ფრთემალედ მოეახლნენ, დიდი ძღვე-

ნი მოართვეს და მორჩილება გამოუცხადეს მეფეს: ოდიშის მთავარმა დადიანმა, გურიის მფლობელმა გურიელმა, სვანთა ერისთავმა და აფხაზეთის მთავარმა შარვაშიძემ. ქუთათისიდან გიორგი თვითონ გაეშურა ოდიშსა და აფხაზეთს, „განაგნა მუნებურნი და დაიპყრნა ციხენი თვისად“, რომელთაგან ცხო-მი (სოხუმი) სამფლობელოდ მიუყერძა ბედისის საერის-თაოს.

საქართველოს უკიდურესმა ჩრდილო-დასავლეთ სამანმა კვლავ მიატანა თავის ძველ საზღვარს — ნიკოფსიას (ტუაფსე).

მასუკან სამხრეთ-დასავლეთს მიმართა მეფე გიორგი ბრწყინვალემ.

ძველი პონტო, მარადეამს ქართველური ტომებით დასახ-ლებული ქვეყანა, ჭოროხიდან სინოპამდე „ტრაპიზონის იმპე-რიის“ სახელწოდებით, თამარ მეფის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო. მონღოლთა ბატონობის დამკვიდრებამ საქართველოს ეს ნათესავი ქვეყანაც დაუკარგა. ტრაპიზონის კარზე უმაღლესი ხელისუფლებისათვის ერთმანეთს ებრძოდა ორი პოლიტიკუ-რი დასი — ქართული და ბიზანტიური. იმდღავრა გიორგი მე-ფემ და მისმა ქართულმა ჯარმა ტრაპიზონში მკვიდრად გააბა-ტონა დასი ქართული ორიენტაციისა.

ასე განესრულა „მეხუთე გაერთიანება“ საქართველოსი...

სუფრა მეშვიდე. „დადგა დრო, როცა საქართველოში უნ-და დაემხოს თათართა უღელი!“ — იქეჭა და აღმართა ხმალი მეფემ.

სამარისებური სიჩუმე.

„თათრობა უნდა დაემხოს-მეთქი!“ — გაიმეორა საქართვე-ლოს „მეხუთე გამაერთიანებელმა“.

„დაე, დაემხოს!“ — დაიბუბუნეს გარეჯელმა მამებმა.

„დაემხოს!“ — ამოიხრიალეს ერისთავებმა.

(მხარგრძელები ისევ არ ჩანდნენ)...

დაიწყო იმით, რომ პირველად მონღოლთა ბატონობის მანძილზე ქართველთა მეფემ მონღოლთა ყაენს ხარკის ძლე-ვაზე უარი შეუთვალა!

მაშ, წილი ნაყარია!

რუბიკონი გადალახულია!

და ყაენმა ღუმლით უპასუხა!

მაგრამ ღუმილი მარცხთან შურისგებასაც ნიშნავს და

ავისმომასწავებელ შურისგებასაც. ხოლო, რომელი იგულისხმებოდა ყაენის დუმილში?

მაგრამ გიორგი ბრწყინვალეს ბაუზები არ უყვარდა და ხმლის ვადაზე ხელდადებული მიადგა ქართულ სამანებთან ჩარიგებულ მონღოლურ ბანაკებს.

მივიდა და მისვლისთანავე ჯიქურ უბრძანა:

„ან თქვენის ნებით უსისხლოდ დატოვეთ საქართველოს მიწაწყალი, ან ბრძოლა მიიღეთ!“

მონღოლთაგან ზოგი მოიქცა „გონიერებითა“ და საქართველო უომრად დატოვა. დანარჩენები მახვილებს მისწვდნენ.

ქართველებიც „მიეშვნენ“ ხმალამოწვდილნი.

ბრძოლა გაგრძელდა, მძიმედ, სისხლნაჯერად, რამდენიმე წელს.

ქართველებმა თავისი გაიტანეს. ომი მონღოლთა სრული მარცხით და განდევნით განესრულა.

ასე „განასხნა თათარნი საქართველოსაგან“ მეფე გიორგი ბრწყინვალემ.

ეს ამბავი საქართველოში მონღოლთა გაბატონებიდან სწორედ ასი წლის თავზე მოხდა — 1335 წელს.

ქართველთა მეფე ერთბაშად მსოფლიო გმირად იქცა, რადგან მონღოლთა მბრძანებლობაში მყოფთაგან იგი აღმოჩნდა პირველი, რომლის მითავეობით მისმა ხალხმა პირველმა დაამხო უბოროტესი „თათრული უღელი“.

ქვემო ქართლის მთავრები, მხარგრძელები, ამ ომში მონღოლების მხარეზე იყვნენ და შეფარვით გიორგი მეფეს მტრობდნენ...

სუფრა მერვე. ზეიმი აქვს მეფე გიორგი ბრწყინვალეს, ზეიმი მონღოლებზე გამარჯვებისათვის, ქვეყნის გათავისუფლებისათვის, ყოველი საქართველოს გაერთიანებისათვის.

ღარბაზობაზე მოწვეულია ქვეყნის ყოველი მთავარი და „საქვეყნო განმრიგე“.

ყველა ერთგული მოვიდა ცივის სასახლეში.

ორგულებიც მოვიდნენ, რადგან მოუსვლელობა უკვე ღალატის გამჟღავნებას ნიშნავდა, მით უფრო რომ მათი ქომაგნი, მონღოლ-თათარნი უკვე გადაქარებულნი იყვნენ საქართველოდან.

და მხარგრძელებიც მოსულიყვნენ, „საყვარელი მეფის“ საგანგებო წვევაზე.

სადარბაზო სუფრას მიუსხდნენ.

მიმწუხრამდე გაგრძელდა ღვინო.

ღვინო გამძლავრდა.

მეფემ წამოიწია და კამეჩის რქას გადასწვდა.

მერიქიფემ შეუვსო ღვინით.

„ახლა დადგა ქამი, მოლალატეებსაც მივხედოთ“, — წყნარად ბრძანა ხელმწიფემ.

სიკვდილმა უხმოდ გადიშხორკალა სუფრაზე.

სამი მხარგრძელი გაქვავებულიყო მხარმიჯრით.

მეფემ შავი რქიდან ღვინო მიწაზე დაათხია და შესძახა:

„ასე დაითხეს ბინძური სისხლი საქართველოს ყოველი მოლალატისა!“

ეს ნიშანი იყო.

ექვსი ვაჟკაცი შემოიჭრა, მხარგრძელები ცივცივ აიტაცეს. და სუფრიდან გაიტაცეს.

ოცდაათ ნაბიჯზე ტყეს შეეფარნენ, კიდეც ათ ნაბიჯზე კლდეს გადაადგნენ.

ერთგულებმა ორგულებს თავები დააყრვეინეს და განკვეთილნი უძირო უფსკრულში ჩაუშვეს.

სასტიკი იყო გიორგი ბრწყინვალე, სასტიკი და სამართლიანი.

სუფრა მეცხრე. ისევე ახმაურდა მსოფლიო ლეგენდარული დავით აღმაშენებლისა და თამარ შვიდმნათობიერის სახელმწიფოს ხელახალი აღორძინების თაობაზე. ევროპა დიდის ამბით იხსენიებს ქართველთა ქვეყანას, ქართველთა სატახტოს, ქართველთა მეფეს.

მაგრამ მონღოლების ავსა ქამსა ქართველებს სრულიად დაჰქარგვოდათ ქართული საგანეები პალესტინასა და სინას მთაზე. მუსლიმან ფანატიკოსებს, ეგვიპტის სულტანის წაქეზებით, იერუსალიმის ჯვარის ლავრა ქართველი ქრისტიანებისათვის წაურთმევეათ და ისლამიტურ მიზგითად გადაუკეთებიათ. ქართველებს ამიერიდან, სხვა ქვეყანათა ქრისტიანების მსგავსად უფლება წართმეოდათ ეროვნული დროშებით შესულიყვნენ იერუსალიმში. ამას გარდა, ქართველებსაც დაუბირებენ ისეთ დამცირებას, დანარჩენ ქრისტიანებს რომ უბე-

დავენ მუსლიმანები. ქრისტიანებს ნება ეძლევათ ცხენზე თუ სახედარზე მხოლოდ ცალგვერდზე ფეხებგადაწყობილი დასდნენ, ვითარცა დედაკაცები.

იერუსალიმის ყოველი „წმინდა ალაგიც“, მათ შორის ქრისტეს საფლავი, უკლებლივ მუსლიმანებს ჩაეგდოთ ხელში.

გიორგი ბრწყინვალემ ეგვიპტის სულტანს ელჩები გაუგზავნა და საგანგებო ეპისტოლეთი შეუთვალა: ჯვარის მონასტერში მიზგითი გააუქმე და ლავრაც პატრონს, ქართველებს დაუბრუნეო; ქართველებს ცხენზე ვაჟაკურ შეჯდომას ნუ აუკრძალავო; ჩემიანებს შენს სამფლობელოში ისეთივე უფლებები მიეცი, როგორსაც შენს ქვეშევრდომებს აძლევო; ქართველებს იერუსალიმში ქართული დროშებით გავლის ნება დაუბრუნეო და ქრისტეს საფლავის კლიტეებიც ჩვენ გადმოგვეციო.

ყველა ამ მოთხოვნათა შესრულება მუსლიმთა წესით შეუძლებლად მიიჩნეოდა, მაგრამ ეგვიპტის დიდმა სულტანმა მაინც უკლებლივ აღასრულა ქართველი მეფის ყველა მოთხოვნა...

წერილს კითხულობდა გიორგი მეფე ცივის მთაზე, ლურჯი ცეცხლის პირს, მწვანე სუფრასთან. ეგვიპტის სულტანი სწერდა ქართველთა მეფეს:

„ალაჰმა დღეგრძელჰყოს ბრწყინვალეობა მისი უდიდებულესობისა ხელმწიფისა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, ლომისა, ტახტ-გვირგვინისა მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ქრისტიან მეუფეთა შორის საუკეთესოსისა, ქართველთა სულტნისა, ზღვათა და სრუტეთა სამფლობელოების განძისა, რაინდთა მფარველისა, თავის წინაპართა ტახტ-სკიპტრის დამამკვიდრებელისა, რუმისა და ირანის ქვეყნების მფარველისა, იონთა მემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა მფარველისა, გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანობის განმადიდებლისა, იესოს სარწმუნოების საძირკვლისა, პალესტინის წმინდა ადგილთა განმადიდებლისა, ნათელღებულთა მისაყრდნობელისა, რომის პაპის მეშველისა, მუსლიმანთა მეგობრისა, დაახლოებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა...“

თვითონ განსაჯე, ჩემო მკითხველო, „მსოფლიოური სი-  
მალლე“ ქართველი გვირგვინოსნისა.

მეტი საშველი არა აქვთ, — თეთრი გულით თუ შავი გუ-  
ლით, საქართველოს საჭეთმპყრობელს ანგარიში უნდა გაუ-  
წიონ.

მაშ, გიორგი მეხუთემ თავისი სამეფო აღადგინა, აღაშენა  
და აღამალლა, საზოგადოდ — „ვითარცა კეთილმან ხუროთ-  
მოძღვარმან“ და კერძოდ — „ვითარცა დავით აღმაშენებელ-  
მან“.

ყოველივე ეს მან შესძლო 10 წელიწადში.

10 წელიწადში დაუბრუნა მან ქართველ კაცს რწმენა სა-  
კუთარი თავისა.

რწმენა საკუთარი ქვეყნისა.

რწმენა ზოგად — ადამიანისა.

და საერთოდ — რწმენა რწმენისა.

და აღესრულა 1346 წელს.

დაიკრძალა გელათს, დიდთა ხელმწიფეთა საძვალეში.

გარნა, ქართველნო! ძილი განიფრთხვეთ და მღვიძარე  
იყვენით, რამეთუ შუა აზიის მიყრუებულ სოფელში იზრდე-  
ბა ზღმურდლიანი ბიჭი, სახელად თემური, რომელიც ახლა,  
დიდი ქართველი ხელმწიფის სიკვდილის ქამს, არის სწორედ  
10 წლისა, გაივლის კიდევ 10 წელიწადი და იგი გახდება ბე-  
ლადი შარა გზის მღეწველ ყაჩაღებისა, კიდევ 6 წელიწადი  
და ერთ ამნაირ ავაზაკურ შეტაკებაში მას მარჯვენა ხელზე  
ორ თითს წარკვეთენ, მარჯვენა ფეხსაც მძიმედ დაჰკვეთენ და  
მარად ხეიბარს დაერქმევა „ლენგ“ — „კოჭლი“.

და თემურ-ლენგად წოდებული ზარისმტეხელი ურჩხუ-  
ლი-მიზანთრობი აღიძვრება ყოვლის დამანგრეველ ახალ  
აღმოსავლურ ტაიფუნად, ვითარცა მისი წინაპარი ჩინგის-ყაე-  
ნი საუკუნენახევრის წინათ.

40 წლის შემდგომ მოიჭრება ის ტაიფუნი საქართველოში.

40 წელიწადი?!

მერე, კმარა 40 წელიწადი სულის მოთქმისთვის, ასწლო-  
განი სულთუთქმელი წამების შემდგომ?

აღბათ, კმარა, — ისეთი ქვეყნისთვის კმარა, რომლის სხე-

ულს ჩასახლება მოწამებრივი იმუნიტეტი — ასწლოვანი, ორასწლოვანი, სამასწლოვანი... ოთხასწლოვანი!

მთავარი მაინც ისაა, რომ მან არ იცის რა მოხდება ორმოცწლიანი მოქცევის თავზე. ამიტომ ახლა, ამ „საამური არცოდნის“ გამო, უშფოთველი და უდრტეინველი სიმშვიდე სუფევს ქართულ ცისგვამში.

მშვიდად იცლება ქართული მიწა სისხლნაჯერი ოხშივარისაგან (ეს — ქართული სისხლი მიიმართება ზეცისკენ, მზისკენ):

მშვიდად ირხევა ლურჯი კვამლი ქართული კერიდან;

მშვიდი სახით მიჰყვება გუთანს გუთნისდედა;

მშვიდი სახით სჭედს მჭედელი სახნისს, თოხს, ნამგალს (იქით, კუთხეში სატევარი დაგდებულა ფერფლწაფენილი);

მშვიდი ძილით დასვენებულან უქარქაშო ქართული ხმლები;

სიმშვიდე სუფევს ქვეყანაზე, სიმშვიდე ქცეულა ყოვლის მომცველ აპეირონად.

სიმშვიდე, მშვიდობა, — რადგან აღამიანს, საუკუნოვან გვემით ნაწამებს, კვლავ უპოვნია რწმენა რწმენისა...

## ხიმშიას ხეობაშია

მას შემდეგ, რაც საქართველოს მოუკვდა გიორგი ბრწყინგალე, მაინც და მაინც სწრაფად განესრულა ორმოცწლიანა უომრობის დრო-ჟამი. აღმოსავლეთში უკვე აღმართულიყო ახალი, ყოვლის დამანგრეველი და წამლეკავი ტაიფუნი.

ეს იყო თემურლენგი, უმძლავრესი მესამე ტაიფუნი — ატილასა და ჩინგის ყაენის შემდგომ.

და ჩვიდმეტი უმძიმესი წელიწადი (1386—1403) საქართველოს ისტორიისა: რვა შემოსევა თემურლენგისა.

მეხუთე შემოსევა ჰერეთსა და კახეთს დაატყდა თავს 1399 წელს.

ჰერეთს მაშინ ერისთავი ხიმშია განაგებდა და თათართა ეს ლაშქრობა „ხიმშიას ხეობის“ ომის სახელით შევიდა ისტორიაში.

საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებზე მტერს ერთადერთ ბუნებრივ დაბრკოლებად ხშირი ტყე-მალნარი უნდა დახვედროდა. თემურლენგსაც წინასწარ გამოეგზავნა საგანგებო ტყისმკრელნი, ტყეთა გასაჩეხად და გზის გასაქაფად.

ოცი დღე სჩეხდნენ ტყეებს თემურისანნი.

ნაადრევად დაზამთრდა. დიდი თოვლი მოვიდა. კვლავ თოვდა ხევერიელად, გადაუღებლად, ოცი დღე-ღამის განმავლობაში „მთებსა და ველებს თეთრი ქაფური ეფრქვეოდა ღრუბლის საცრიდან“. მკერდამდე მიაჩრდივდნენ თათრები ციდან ჩამომდგარ „თეთრ დაბრკოლებას“.

„ხიმშიას ხეის“ ქართველობაც ხიმშიას სარდლობით დაუხვდა მძვინვარედ მომდინარე ურდოს. დადგა ბრძოლები სისხლისმნთხეველი და სიკვდილმთესველი. პირველშობილი სიქათქათე დაკარგა თოვლმა: ლალისა და ბროწეულის ფერა განეცრცო სრულიად ჰერეთის ველებზე. აღსუძღე მოატანეს თათრებმა. მაინც ვერ იქნა და ვერ გასტეხეს ჰერ-ქართველთა მხნეობა.

მერე კახეთი იწყებოდა...

თემური მიხვდა, რომ ნავარაუდევია ორი კვირა საკმარისი არ იქნებოდა გასამარჯვებლად. ზავი სწყუროდა, მაგრამ ზავს არავინ იხვეწებოდა. ვერც ხიმშია მოიხელთა, ვერც ხიმშიას რომელიმე ქვეშევრდომი.

კახეთს მოაწვა მძიმე ტბორებით თათართა ურდო. ივრის ხეობაშიც შემოიჭრა თემური, მაგრამ თურმე არც ეს ნიშნავდა გამარჯვებას.

მანამდე განუცადებელმა ბრაზმა აიტანა ბრაზთან ერთად დაბადებული, მსოფლიო მბრძანებლობის მანიით შეპყრობილი კოჭლი მიზანთრობი.

და ბრძანა ბოროტმან მანამდე ბოროტებით სწორუბოვარი საბრძანისი; ქართულ მიწაზე მოესპოთ და მოეთხარათ ყოველივე საარსებო, რის გარეშეც წარმოუდგენელი იყო არსებობა ქართველი კაცისა:

აეჩეხათ და ამოეძირკვათ ბალები, რათა ქართველ კაცს აღარასოდეს ეგემნოს უტკბილესი ქართული ხილი;

ამოეგდოთ და წარეხოცათ ბოსტნები, რათა ქართულ სუფრაზე აღარასოდეს ახასხასებულოყოს მისი მშვენება — საოცრად სურნელოვანი მწვანილ-ბოსტნეული;

აჩეხნთ და სამუდამოთ ფესვებიანად ამოეძირკვათ ქართული ვაზ-ვენახები, რათა ქართველ კაცს აღარასოდეს დაეგემოვნოს მისი ლაზათიანი სიცოცხლის მარადიული თანასისხლიერ-თანაზიარი ქართული ღვინო;

დაეძარცვათ, დაენგრიათ და დაეწვათ ყოველნაირი ნაშენ-ნაგებობანი: კერძო სახლებიც ყოველი შრამელით, სასახლე-ებიც, საყდრებიც და ეკლესია-მონასტრებიც.

და მისდგნენ თათრები ჰერეთ-კახეთის მადლიან ველებს, მრავალსაუკუნოვანი ოფლის წვიმით ფესვჩადგმულ ბაღებს, ზვარ-ვენახებს, ბოსტნებს, ბაღჩებს, სახლებს, შრამელებს. ყოველნაირ საერო და სასულიერო შენებულობას და:

აჩეხეს,

აკაფეს,

ამოთხარეს და ამოძირკვეს,

ქერქისაგან გაატყავეს,

ააოხრეს,

გაატიალეს,

გადალექეს,

გაძარცვეს,

ძვლებამდე გააშიშვლეს,

ქვა ქვაზე არ დატოვეს,

საძირკვლიანად ამოაგდეს,

ფერფლად და ავლად აქციეს და ქარს გაატანეს.

თვითონ თემურლენგის მაამებელი მეისტორიე გაიძახოდა გაოცებული: თემურს ინდოეთში ლაშქრობის დროსაც არ დაუნგრევია იმდენი შენობა, რამდენიც საქართველოში და-აქციაო...

მაგრამ ზავს მაინც არავინ იხვეწებოდა მსოფლიოს დამანგრეველის წინაშე ქედღადრეკილი და ქვედავრდომილი.

ავად სდუმდა ძეხორციელთაგან დაცარიელებული, მთად, ტყე-მადნარად და კლდე-ღრედ გახიზნული ქვეყანა.

ავი მდუმარებით კრიქაშეკრული ტოვებდა თემურლენგი მტრისათვის ეგზომ მწარე ქართულ მიწა-წყალს.

კიდევ სამი შემოსევა თემურლენგისა — რვა შესრულდა და...

დაშრეტილ-დამცრობილი მიგორავდა უკან ტაიფუნი,

დიდი ისკანდერი გაახსენდა თემურს (ვინ მოთვლის, ამ ქვეყანაზე რამდენ დიდსა და მცირე საჭეთმპყრობელს უყვარდა ალექსანდრე მაკედონელთან თავის გატოლება და თემურსაც უყვარდა):

„დიდი ისკანდერის ბედის რაშიც ათასჯერ მუხლებს დაიმსხვრევდა გურჯისტანის მიწაზე!“ გაიფიქრა თავსანუგეშოდ და მარცხენა ხელი ფეხი ავზნიანად აძგერა ფერდში ცხენს. მიდიოდა თემურლენგი საქართველოდან.

მიდიოდა — უკანასკნელად მოსული და სამუდამოდ ფეხამოკვეთილი.

მიდიოდა მძიმე საფიქრალითა და საჭმუნავით დარეგვილი: მართლა დაიპყრო ის, რაც „დაიპყრო“?!

17 წელიწადი ებრძვის იგი უზარმაზარი ურდოებით საქართველოს, 17 წელი სხვა რომელ დიდ ქვეყანასთან დასჭირვებია ამოდენა დროისა და საომარ ძალთა მსხვერპლად გაღება, ამ ერთმუჟა ხალხთან ხმალთაკვეთებას რომ შეაღია? ჩვიდმეტი წლის წინ მოვიდა აქ 50 წლის ვაჟკაცი; ახლა აქედან მიდიოდა 67 წლის ბებერი... მიდიოდა და არ იცოდა, ბოლოს და ბოლოს, მან — ოქროს ურდოს, მადეერანაპრის, ხვარაზმის, ხორასნის, ერანის, ინდოეთის, მესოპოტამიისა და თურქეთის დამპყრობელმა — დაიპყრო თუ არა ერთი ციკქნა მარცვალი დედამიწისა, საქართველოს რომ ეძახიან!...

დამცრობილ-დაშრეტილი მიგორავდა უკან ტაიფუნი.

თუმცა მაინც ჰქონდა ნუგეში:

„დიდი ისკანდერის ბედის რაშიც ათასჯერ მუხლებს დაიმსხვრევდა გურჯისტანის მიწაზე!“

ხოლო, საქართველო დარჩა დაღეწილი და ამოწყვეტილი. ნაყანარ-ნავენახარი მოეცვა ძეძვსა, ეკალსა, თუთუბოსა. მგელი ყმუოდა ძაღლის ნათევარზე.

ლამისმხმობარი ჰკიოდა მამლის ნაყივარზე.

უკანასკნელი კერეონი იღეოდა ნამლევი ნათლით დავით გარეჯელის საკურთხეველზე.

ერთ ხანს მეფე ალექსანდრე პირველმა დიდმა შესძლო მიწაზე გართხმული სამშობლოს ფეხზე წამოყენება. იგი წარმატებით „განასხმიდა თათართა“, ეძიებდა, ჰპოვებდა და მოიპო-



ებდა საქართველოს ძველთა სამანთა. 1431 წელს ქართველებმა თათრებს ხელიდან გამოჰკლიჯეს და შემოიმტკიცეს ლორე და მისი მიმოსახედნი. სამოცი ათასი კომლი შემოიმატა ამოწყვეტილმა საქართველომ.

საქართველოს ხელახალმა აღორძინებამ ისევ აღძრა მუსლიმანთაგან შევიწროებული სომეხი ხალხი ქართულ საზღვრებში თავშესაფარებლად. დედაწულიანად მოდიოდნენ და გულდანდობილად სახლდებოდნენ მოძმენი მოძმეთა მიწაზე.

იმდროინდელი შესიტყვება-გასაუბრებანი გაეაცოცხლოთ, ჩემო მკითხველო:

„მამა!“

„რა იყო, შვილო?“

„მეშინია თათრის!“

„ნუ გეშინია, თათარი ვეღარას დაგვაკლებს, შვილო“.

„მცივა, მამა!“

„მალე გაგვათბობენ, შვილო“.

„მშოია, მამა!“

„მალე დაგვაპურებენ, შვილო“.

„მწყურია, მამა!“

„მალე დაგვარწყულებენ, შვილო“.

„მამა, მოვსულვართ საქართველოში, მამა!“

„უკვე მოვედით საქართველოში, შვილო!“

„როგორ შეგვხვდებიან, მამა?“

„ქართველი ბიჭი მოვა შენთან, მოგეხვევა და შეგიყვანს სახლში, დაგისვამს გვერდით, კერასთან, სადაც ანთია ცეცხლი მარად ჩაუქრობელი“.

„ხოლო, მანამდე როგორ მოვიქცეთ, მამა?“

„მანამდე დავიჩოქოთ და ვემთხვიოთ ქართულ მიწას“.

„ვინ მოდის, მტერი თუ მოყვარე?“

„მოყვრები ვართ, მოყვრები, ძმები!“

„ძმები?!“

„ჰო, ძმები, ძმებო-ჯანი“

„მაშინ, სომეხები ყოფილხართ“.

„ჰო, სომეხები ვართ, სომეხები, ქართველებო!“

„მოდით, მობრძანდით, შემოდით, დაბრძანდით, დაწყნარდით, დასახლდით, დამკვიდრდით!“

და მოდიოდნენ და სახლდებოდნენ სამშვილდეში, ტფილისში, კრწანისში, გორში, უფლისციხეში, ვარდისუბანში, თმოგვში, ოთაში... ყველგან ქართლსა და კახეთში, ყველგან, სადაც მოისურვებდნენ და მოისადაგებდნენ მოძმენი მოძმეთა მიწაზე!..

თხუთმეტი წელიწადი დაუცხრომლად აღადგენდა ალექსანდრე მეფე თემურლენგის ბოროტი ხელით დანგრეულ ქართულ ტაძრებსა და სავანეებს. ხელახლა აღაშენა და განაშენა სვეტიცხოველი.

ალექსანდრემ დიდი ღვაწლი დასდო გარეჯის სავანეთა ხელახალ აღორძინებას და აღზევებას. მან თათართაგან იავარქმნილი გარეჯის მრავალმთა, უდაბნონი და ყოველი „ქუეყანა საგარეჯონი“ საუფლოდ და საპატრონოდ გადასცა საქართველოს სასულიერო მეწინამძღვრე საკეთმპყრობელს — მცხეთის საკათალიკოსოს. მეფის სავანგებო ბრძანებულებაში ეწერა:

„მე... მპყრობელმან მეფობისამან... ღეთისათა აბხაზთა, ქართველთა, რანთა და სომეხთა, შარვანე და შანშე და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა სამანთა და კედართა თვით-ფლობით ხელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთა დედოფალმან და პატრონმან თამარ... საპატრიარქოსა საყდრისა დედა-ქალაქის მცხეთისათვის და მას შინა ღვთივ აღმართებულისა სუეტისცხოვლისათვის ვიგულმოდგინეთ და შეესწირეთ და მოვახსენეთ საგარეჯო მთასაქათი და მთასიქითი სოფლები: ორკოშინი, ბერთუბანი, თუალნი, გიორგი-წმინდა, ტაზრები, არივლი, ვერენა, კებთა, თოლეჯი, ხუდაშენი, ვანთა, ვაკურა მისითა უდაბნოთა, კალაური, ნაპირა, ჯიმითი, ხუდაშენი და ვეძისხევი სრულად და უვნებლად მათითა მზღლურითა, მითითა, ბართა, სახმრითა, უხმრითა, საძებრითა და უქებრითა. ჩუენთა პაპათა და ნათესავთაგან გამართულნი უდაბნონი გარესჯისანი ჟამთა ვითარებითა აგარიანთ ხელისაგან მოშლილ იყო და ჩვენ ვითარ გუმართებდა ეგრეთ ჯერ ვიჩინეთ და სანაცვლო მამული დავიპირეთ და თქუენ საგარეჯო მოვახსენეთ და დავიმტკიცეთ...“

გარეჯსა და „საგარეჯოს ქუეყანაში“ ახალი კერეონები დაინთო, სრულიად საქართველოს სულიერი საქეთმპყრობელის, დავით კათალიკოსის ხელით დანთებულნი...

## რწმენა ონოზრა გარეჯელისა

1616 წელს სპარსეთის დიდი ხელმწიფე, შაჰ აბას პირველი, მესამედ შემოესია კახეთს.

სპარსელებმა აიღეს ხორნაბუჯი და ცეცხლითა და მახვილით შემოესივნენ ქიზიყს.

ისევ ძველი, „შაჰ-აბასური სისასტიკით“ ნადგურდებოდა ქვეყანა: სიკვდილი ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცისა, ტყვეობა და ქართული მიწა-წყლიდან სამუდამოდ გადასახლება ყველა ქართული ოჯახისა!

ქიზიყიდან გარეჯის „ქუეყნისაკენ“ დაიძრნენ მოხარნი.

დღისით ჩაუსაფრდნენ და დაღამებას დაელოდნენ.

იცოდნენ, როდის დაიწყებოდა სააღდგომო წირვა, — როცა ქრისტიანი მოწესენი თავს მოიყრიდნენ უღაბნოს „ათორმეტთა ტაძართა შინა“.

დაღამდა. სააღდგომო წირვა დადგა. გაჩირაღდებულ ტაძრებში სარიტუალო ექსტაზს მიეცნენ ქრისტიანენი.

მეპარნენ, შეიპარნენ და სიკვდილად შეიჭრნენ მაჰმადიანნი.

მდაბალსულიანებმა მთელი ღამე უწყალოდ სჩეხეს მაღალსულიანნი.

მარტო სამ სავანეში — დავითის ლავრაში, ჩიჩხატურში და ნათლისმცემელში — იმ სისხლიან ღამეს სამასი ბერი ჩაიხოცა.

ღრო ისევ შესდგა დავით-გარეჯის მრავალთმთის ქვეშე, საშინელი სახილველით ზარდაცემული.

1639 წელს კახეთის მეფემ, თეიმურაზ პირველმა კვლავ აღადგინა უცხო მოხართაგან დაქცეული დავით-გარეჯის მონასტერნი და სავანენი. თვითონვე წერს მეფე საგანგებო სიგელში:

„...ათორმეტ უღაბნოთა და წმინდანთა და სისხლისმსმე-



ლი და მტერი ქრისტიანეთა შაჰაბაზ და სხანი აგარიანთა კახეთსა ზედა და აღაოხრნეს მონასტერნი, უდაბნონი, სოფელნი და ქალაქნი და წარსტყვევნეს, რომელიმე ტყვე ყვეს და რომელიმე მახვილითა აღასრულეს და გასრულდა წამება და შეეძინეს ქრისტესა... და კუალად ხელვეყავით აღშენებად უდაბნოთა... განვაგეთ და დავაყენეთ წინამძღუარად კაცი ღირსი და ღუთისმომშიში, მარკოზ, ასრე რომ წინა უკანა საგარეჯოს გამოსაღები ნახევარი უდაბნოს მიიღებოდეს საზრდელად იქ მდგომთა მონაზონთათვის...“ გარეჯის მიწაწყალთა შემოსავლის მეორე ნახევარს, მე თვითონ ვიხარჯავ „საზრდელადო“, ვინათგან ჩემი ქვეყანა ძალიან აოხრებულა ურჯულოთაგანო, — ბოდიშობდა თეიმურაზი.

ხშირად დადიოდა გარეჯას თეიმურაზ მეფე, იქ ლოცულობდა, ლიტანიობდა და ავედრებდა მამაზეციერს თავის ტანჯულ სამშობლოს.

ბერთუბნის ტაძარში დგომა და თამარ მეფის სახის ცქერა უყვარდა, საათობით თვალმიშტერებულს. აქვე დაუწერია სახოტბო ლექსი ავი ბედისწერისგან დამცრობილ მეფე-პოეტს ბედის მბრძანებელი ქალი ხელმწიფისადმი:

მეფენი მოვლენ სურვილით, შენსა სახესა ჰმონებენ,  
 შეურაცხყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ,  
 სხივ-მოსიერად გიმზერენ, უკვდავ-მყოფელად გგონებენ,  
 იშვებენ, მათთა პატიეთა მათ ლბინთა შეუწონებენ.

1664 წელს მეფე ვახტანგ მეხუთემ კახეთის ტახტზე თავისი ვაჟი დასვა, არჩილი, სახელოვანი პოეტი და მოაზროვნე.

არჩილმა გარეჯის სამონასტრო და სააზროვნო ცხოვრების აღდგენა განიზრახა და კიდევაც შეუდგა სასიკეთო განაზრახის შესრულებას. ჩავიდა და ჩადგა გარეჯას. შეკრიბა და ჩააყენა ბერმონაზონნი. აღადგინა შენობანი. აღაშენა ახალი ეკლესია — მოწამეთა. ახალ მეუღაბნოელთა წინამძღვრად დანიშნა სახელმოხვეჭილი საეკლესიო მოღვაწე — პავლე. განსაკუთრებით გამრავლდა ნათლისმცემლის სამწყსო. პავლე წინამძღვარმა გარეჯისათვის ახალი მამულები შეიძინა ნინოწმინდაში.

მაგრამ არჩილს ბოლომდე საქმის მიყვანა არ დასცალებია. მას კახეთის ტახტის მოცილე გამოუჩნდა — ერეკლე ბატონი-



შვილი, თეიმურაზ პირველის შვილიშვილი, რუსეთზე უფლისწული. არჩილმა კახეთი მიატოვა და იმერეთის ტახტის საძებნელად წავიდა.

ამასობაში მეფე ვახტანგ მეხუთეც აღესრულა და ქართველთაათვის ბრძოლა შეექმნათ გიორგი მეთერთმეტესა და ერეკლე პირველს, რუსეთში აღზრდილსა და სპარსეთში გადახვეწილს. ერეკლეს სწორედ სპარსეთის შაჰი აგზავნიდა ქართველთა ხელმწიფედ. გიორგიმ დროებით თავი დამარცხებულად სცნო და იმერეთს გადავიდა.

ერეკლე პირველის სისხლნაკლული მეფობის ეამს (1688—1703) მნიშვნელოვანი იყო საეკლესიო კრება, რომელმაც საგანგებოდ იზრუნა გარეჯის საეპისკოპოსოსა და ამალღებისათვის. ეს არის 1690 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება. დავით-გარეჯის უდაბნოთა და ეკლესია-საეპისკოპოსოს წინამძღვრად ინიშნება ონოფრე მაჭუტაძე. დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს მღვდელმთავარი, მათ შორის უმთავრესნი საქეთმბყრობელნი — კათალიკოსი იოანე დიასამიძე, ნიკოლოზ ალავერდელი და „ათორმეტთა უდაბნოთა მაკურთხეველი არქიმანდრიტი ნინოწმინდელი არსენი“.

გარეჯის ახალი მოძღვარი წარმომავლობით გურიიდან იყო. მისი საერისკაცო სახელი გახლდათ — ოთარ მაჭუტაძე. ორი ძმა მაჭუტაძე, ოთარი და მაქსიმა, ამაღლად გადმოჰყვენ ქართლში თუთა გურიელის ასულს, რომელიც ცოლად შეირთო მეფე ვახტანგ მეხუთის ძემ, ლევან ბატონიშვილმა. კიდევაც სწერია ერთ სიგელში: ბატონიშვილი ლევანი სამწერისის მესთველობას აძლევს ოთარ მაჭუტაძესო. მალე ძმები ბერად აღიკვეცნენ. მაქსიმე ბოლნისის ტაძარში დამკვიდრდა. ოთარმა საერისკაცო სახელი დააგდო, ონოფრე დაირქვა და გარეჯის მეუდაბნოეობას შეუდგა.

დასაწყისშივე დიდი სამოღვაწეო ენერგია და ტემპერამენტი აღუჩენია ონოფრე ბერს, რისთვისაც ეგრე საგანგებო სიტყვამიგებით ბრძანებენ საქართველოს საეკლესიო მამანი: „ვიგულსმოღვინეთ, განვაწესეთ და განვარიგეთ და დავადგინეთ მამად და ვინც იქ მდევია მის უფროსად და წინამძღვრად მაჭუტაძე ონოფრე“.

და შეუდგა ონოფრე მოძღვარი დავით-გარეჯის ხელახალ აღორძინებას, შეუდგა დიდის თავგამოდებით და თავგანწირვით.

მაგრამ ისევ ვერ გადაურჩა დავით-გარეჯა უცხო მტრის ველურ შემოსევას. ეს უნდა მომხდარიყო ონოფრეს მოღვაწეობის დაწყებიდან ორი-სამი წლის თავზე. ლექთა აბრაგული რაზმები შემოიჭრნენ გარეჯს, ქურდული პარვით. ეს მაშინ მოხდა, როცა თვითონ ონოფრე „საქმისა რასათვისმე“ გარეჯიდან სადღაც წასულიყო და თავის მონაცვლედ, მობრუნებამდე, მამა შიო დაეტოვებინა. შიო სოფელ ვეძისიდან იყო, მდიდარი დედ-მამის შვილი. მშობლებს ჟამსა სიკვდილისასა ხუთი ძე და სამი ასული დარჩათ. შიო შუათანა იყო. უფროსი და უმრწემესი ძმები წაჩხუბებულან, უფროსმა უმრწემესი დანის დაკვრით მოჰკლა, „ვითარცა კენმან აბელი“, ამის მხილველი შიო სახლიდან გადაიხვეწა და დავით-გარეჯას ონოფრე მაჭუტაძის სამძოში აღიკვეცა ბერად. მალე გაითქვა სახელი სრულქმნილი ქრისტიანული მოწესეობით და შეიქნა უახლოესი თანაშემწე „მღვდელ-მშუენიერი იგი“ მოძღვრისა ონოფრესი. ახლა, როცა ონოფრე შინ არ იყო და დავით-გარეჯის ყოველი სავანენი და სამძონი საპატრონოდ შიოს ეტვირთა, სწორედ მაშინ უნდა აღსრულებულიყო გარეჯელ მეუღაბნოეთა კიდევ ერთი სისხლიანი ზორვა.

მწუხრის ლოცვა გადაიხადა შიომ დავითის ლავრაში, სამი ასკეტის — დავითის, გაბრიელისა და პავლეს თანადგომით. ლოცვის შემდგომ სამარხო საზრდელს შეეძქნენ მოწესენი და ის იყო „ენებათ განსუენება“, რომ უეცრად შემოიჭრნენ ლეკნი, ავი ქლავილით, თოფ-დამბაჩების ბათქაბუთქითა და ხმლების წკრიალით. ეს იყო უიარაღო, უმწეო ზვარაკთა ხოცვა-ქლექა. პირველ მისვლაზევე პირველშემხვედრი ხუთი ბერი აჰკუწეს, მასუკან შიო, პავლე და დავითი დააბეს ხმლებით. გაბრიელმა გაასწრო, მაგრამ ისიც „აღმოსავლით დელე-ში შეიპყრეს და მახვილითა აღსასრული მიუთვალეს“. ვისაც მოახელეს, ცოცხალი აღარ გაუშვეს და „აღივსო სისხლითა სახლნი და საყდარნი... დაძარცვეს წმინდანი მრავალნი გუმულნი გუამნი და ხატნი და წიგნნი და კანდელნი და სანთელნი და შესამოსელნი მღუდელთანი, რომელნიმე წარიხუნეს და რომელნიმე შთაყარეს ჰათა და ლაქუანთა და რომელნიმე დამუსრნეს უწყალოდ“. ერთი შესანიშნავი ხატი ქალწული მარიამისა „სამად განაბეს ცულითა“ და კიდევ, „სხუაიცა მრავალი“ დაიტაცეს, დაჩხენეს, წაბილწეს.

გათენებამდე ძარცვის, ჰხოცვის და გათენებისას გადა-  
იხვეწნენ ბოროტი მათხარნი.

უსაზღვრო იყო მწუხარება ონოფრე მოძღვრისა, როცა  
მობრუნდა და იხილა ტრაგედია მისი სამწყსოსი. მწარე იერე-  
მიადის შემდგომ, დაკრძალა დახოცილნი დავით გარეჯელის  
საფლავის სამხრეთით, „ასწორებით აღმოსავლის გზისკენ“.

მეფე ერეკლე პირველსა და იოანე კათალიკოსს წვრილად  
მოახსენა ონოფრემ ლეკებისგან დავით-გარეჯის აოხრების ამ-  
ბავი. ფრიად დაჰმუნდნენ ორივენი. მეფემ საგანგებო ბრძანე-  
ბულება გამოსცა დავით-გარეჯის დასახმარებლად, ნივთიერად  
გასაღონიერებლად, თავდაცვით ნაგებობათა ასაგებად, განუ-  
ახლა ძველი სიგელი თარხნობა-აზატობისა გარეჯის ყოველ  
საევანეს, ყოველ საეროსა და სასულიერო მსახურს, ყოველ  
სოფელსა და ყოველ კომლს, რომელიც კი გარეჯის სამფლო-  
ბელოში შედიოდა. „გაუახლეთ სიგელი ესე და დაუმტკიცეთ  
საფლავსა და მონასტერსა წმინდისა დავითისასა, როგორათა-  
ცა ძველად თარხანი და აზატი ყოფილიყვნენ მამულნი და  
ყმანი წმინდისა დავითისანი, არა საჩვენო გამოსაღები და ბე-  
გარი, არა საური, ლაშქარ-ნადირობა, არა სამოურავო და სა-  
მოხელო, არა ნივთისა სათხოვრისა და გამოსაღებისაგან წმინ-  
დის დავითის მამულის ყმასა არა ეთხოვებოდეს რა, თვინიერ  
თავის მონასტრის და წინამძღვრის სამსახურის მეტი, ხელი  
არავის ჰქონდეს“, — წერდა მეფე. შემდგომშიც არ ივიწყებ-  
და იგი დავით-გარეჯის საევანეებს, სახელმწიფო და სამხედრო  
ბეგარით აღარ აწუხებდა, ისედაც „დავითის საფლავს ხან  
ლეკი ანჯღრევს და ხან თათარიო“, და თვითონ სჭირდება თა-  
ვისი ყმანი თავისსავე დასაცავად და საპატრონოდო.

ისევ „თავიდან“ იწყებდა სიცოცხლეს დავით-გარეჯი —  
სრულიად საქართველოსავე იწყებდა თავიდან, „დასაბამი-  
დან“...

ორმოცდაორი წელიწადი წინამძღვრობდა ონოფრე მაჰუ-  
ტაძე გარეჯის სამონასტრო და სააზროვნო ცხოვრებას. ეს  
იყო ყველაზე დიდი „აღორძინება“, ანუ „რენესანსი“, გნე-  
ბავთ „ვერცხლის ხანა“ დავით გარეჯელის კულტურული მემ-  
კვიდრეობისა.

ხელახლა აღაშენა და „განაშენა“ დავითის ლავრა.

აღაშენა ეკლესია იოანე მახარებელისა, „და კვალად პალატები და სხვანი კვეთილნი კლდის სახლები“.

აღაშენა თავდაცვითი გალავანი და საომარი კოშკნი.

არ დარჩენილა არც ერთი ადრინდელი სალოცავი, საცხოვრისი და სადგომი, ხელახლა რომ არ გაეცოცხლებინოს და გაესულდგმულებინოს.

სოფელ თვალს, ანუ საგარეჯოს, აღაშენა ახალი ეკლესია, პეტრე-პავლეს სახელობისა.

იწვევდა, იკრებდა, იმრავლებდა ახალ-ახალ მეუღაბნოელთ. ისევ აივსო მთანი და უღაბნონი გარეჯისანი ქრისტიანი მოწესებით, მოაზროვნეებით, მშენებლებით, მხატვრებით, მწერლებით, გადამწერლებით.

შეიქმნა მდიდარი საწიგნობელნი („ბიბლიოთეკები“).

ისევ „რჩეულ სამებად“ წარმოსდგნენ დავითის ლავრა, დოდოსრქა და ნათლისმცემელი. თვითონ, ონოფრე მოძღვარი, ლავრაში იდგა, დოდოსრქაზე წინამძღვრად ზაქარია დანიშნა, ნათლისმცემელს — ხარიტონი.

დიდძალი შესაწირავი შემოდინდა. ადრე დატაცებული ყმა და მამული ისევ უბრუნდებოდა გარეჯს. ახალი მამული და მსახურეულიც მრავლად ემატებოდა — შესყიდვით, შეწირვით, შეძღვნიით.

ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის ქამს დავით გარეჯას სამფლობელო სოფლები, ცალკე მამულნი და გლეხი-კომლები განუფენილი არიან სრულიად ორივე კახეთში, თბილისში, ორივე ქართლში და თორ-ჯავახეთში.

გარეჯის სრულ მფლობელობაში შედიოდნენ: თვალ-საგარეჯო, გიორგიწმინდა, ჟატი, ვერანა, თოლენჯი, ვარცლა, მატანი, ხოდაშენი, იფნიანი, ვანთა, აკურა, ახალშენი, მაშნაარი, ბედიყარი, საბუე, თხინვალი, ჭვიროსი, სურამი, ოსიაური, ლუბრა, უზანარიანი, კარწახი, ხატისსოფელი.

### რწმენა საბა ორბელიან-გარეჯელისა

ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის ქამს დავით-გარეჯას მივიდა და დაემკვიდრა ყველაზე დიდი ქართველი კაცი იმა მწარე საუკუნისა, მეუფე ქართული გონებისა, ჭეშმარიტი მამა სამშობლოსა.

იყო 18 მარტი 1698 წლისა, ოდეს დავით-გარეჯას მივიდა იგი, ერისკაცობაში სულხანი, ამიერიდან სასულიერო სახელდებით — საბა, სამომავლოდ ქართველთაგან გაღმერთებულნი — სულხან-საბა ორბელიანი.

იყო იგი ორმოცი წლისა, რასაც ძველი ბერძენნი უწოდებენ „აკმეს“ — აღამიანის სულიერი და სხეულებრივი ძალმოსილების მწვერვალს.

„ოდესცა იხილნე სოფლისა ამის ღელვათა შფოთნი, შენცა მოისწრაფე ეკლესიად მალიად, ვითარცა ისწრაფა ნოე კიდობნად შესლვად და შვიდნი სახლეულნი თვისნი განარინა. შენცა ოდეს შეხვიდე ეკლესიად, თანა შეიხვენენ შენცა შვიდნი სახლეულნი გვამისა შენისანი: გულ-გონება, სიტყვა, თვალი, ყური, ენა, საყნოსელი და გვაი, და ამათითა შენცა განერე სოფლისა ამის ღელვათა დანთქმისაგან. და ვითარცა ნოესგან ივლტოდა ყორანი, შენგანცა განივლტოდეს მსგავსა ყორნისა ეშმაკნი, და მოგივიდეს სული წმინდა სახედ ტრედისა და მოგიტანოს რტო ზეთისხილისა — პოხიერება სულიერი“, — აი, მაშინდელი სულიერი მრწამსი საბა ორბელიანისა — განრიდება შფოთიანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებიდან და დაყუდება ასკეტად, საკუთარ სულში ჩასაღრმავებლად.

გარეჯის მთაზე დაემკვიდრა, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, სადაც იგი რიგითი ბერობიდან ამავე ეკლესიის მოძღვრად აღამაღლა მისი ნიჭიერებითა და გულმეცნიერებით აღფრთოვანებულმა ონოფრე მაჭუტაძემ.

თორმეტი წელიწადი დაჰყო საბამ დავით-გარეჯას. აქ, ნათლისმცემლის სამწყსოს წინაშე წარმოსთქვა ორმოცდაექვსი ჰომილია (ქადაგება), თავმოყრილნი წერილობით სიტყვიერებაში, სახელწოდებით — „სწავლანი“. გარეჯს მისვლამდე უკვე დაწერილი ჰქონდა საბას — „სიტყვის კონა“ — პოეტურად ხორცსხმული ლექსიკონი. მერე, გარეჯიდან წასვლის შემდგომ დაიწერება მშვენებანი ქართული პოეზიისა და პროზისა: „სიბრძნე-სიცრუისა“, „ქილილა და დამანა“, „მოგზაურობა ევროპაში“, ლექსები.

ხოლო, „სწავლანი“ — საბას გარეჯისეული სულიერი ძვრების ნაყოფი — არის საოცარი ჰარმონია და სიმფონია ღვთისმეტყველებისა, რიტორიკისა, პოეზიისა, პედაგოგიკისა, ისტორიისა, ფსიქოლოგიისა, ფოლკლორისტიკისა.

ცხოვრებისაგან განრინება და გაქცევა კი არა, სწორედ თანადროული ცხოვრების, საზოგადოებრივი ზნეობისა და ეროვნული კატაკლიზმების უაღრესად აქტიურ მესაყვირედ და განმსჯელად გვევლინება საბა ორბელიანი. მისი მამულიშვილური ბრძოლის სული კარგად გამოსჭვევის „სწავლანის“ ნაწილებში — „სწავლა გიორგობისა დღისა და ქართველთათათრობისათვის“ და „სწავლა მწყემსისათვის და სამწყსოისა დამწყსისათვის“.

„ვის დაუტეობთ და სადა წარხვალთ?—რისხვას აფრქვევს საბა ქრისტიანული სჯულისაგან გადამდგარ და მტრის სამსახურში შესულ რენეგატებს — განსუქდით და დაუტევეთ ღმერთი და ქვეყანა თქვენი!.. მოლაღატვე, რად არა შეინანი, არა იცემ მკერდთა ორითავე მჯილითა, არა განბან სარეცელთა, არა ოხრავ და სულთქვამ დღე და ღამე?.. რასა ეტყვი მიზეზსა, ოდეს ქრისტე მოვიდეს განსჯად ცხოველთა და მკვდართა?.. რა-მე სიტყვის მაგებელი გაქვს, ჰოი ორგულო? იხილე რა შენ მდიდრისა ვისიმე სამოსელი ბრწყინვალე, სტავრა ანუ ოქრო-ქსოვილი, შურისაგან მისისა აღივსი და იწყი პირველად ანგარება, ანუ პარვა, ანუ ტაცება და დაპრთი ცოდვა-ცოდვათა და უსჯულოება უსჯულოებათა და ნიჭისა რაისათვის მსოფლიოისა აგინე ქრისტეს სარწმუნოება და უგულუბელს ჰყავ სასუფეველისა დიდება წარუვალი. ვაი, უგუნურებასა თქვენსა! არა იციოთ, რამეთუ გვარი კაცისა უადვილეს არის შესამუსრველად, ვიდრეღა ჭიქა ღვინისა, და სიკვდილი უმახლობელეს არს, ვიდრეღა თვალთა დაწამწამება და სოფლისა ამის დიდება უადვილესად განხნევალი არის, ვიდრეღა ქარისა სისასტიკისაგან ბზე?.. ერთი ვინმე უარის-მყოფელთაგანი მეღიზღებოდა და მე ვარქუ: „განმეშორე, შვილო ჯოჯოხეთისაო-მეთქი“, ხოლო მან მომიგო და მრქვა: „არა, ნუ იყოფინ, მე შვილი ვარ სასუფეველისაო“. მე ვკითხე: „ვითარ?“ მან მომიგო: „ოდეს ქრისტე მოვალს მეორედ მოსლვას, უკეთუ იგი არს ძე ღმრთისა და მაცხოვარი სოფლისა, გაჩვენებ შუბლთა ჩემთა აღბეჭდილთა ბეჭდითა მით შირონისა მისისაითა და, უკეთუ მოჰამედი უდიდებულეს არს, ვაჩვენებ სერსა მისსა წინადაცვეთილებისასა და ანუ ერთი აღმიყვანს ზეცად ანუ მეორეო“, და იცინოდა ფრიად... ვაი,

უგუნურება ესეთი, კაცნო ცოდვითა აღსავსენო და უსჯულოებითა გარდამეტებულნო...“

დაწერა საბამ ეს „სულთა განმანათლებელი წიგნი“ და ისევ შეერთო საქართველოს შიგნით და გარეთ გამძაფრებულ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ორომტრიალს. მეფე არჩილ მეორე, მეფე გიორგი მეთერთმეტე და ლევან ბატონიშვილი მისი მამიდაშვილები იყვნენ, მათთანვე იზრდებოდა და სახელმწიფოს მართვის საქმეებშიც, ბრძნული განსჯებით, წილს იღებდა. საბას ფრიად აწუხებდა ერეკლე პირველისა და გიორგი მეთერთმეტის ბრძოლა და მტრობა ქართლ-კახეთში გაბატონებისათვის. ბოლოს ისე მოხდა, რომ ერანის შაჰმა ორივე მეფე ისტაჰანს გაიწვია და აღარცერთი აღარ გამოუშვა საქართველოში. თუმცა ქართლის მეფობა გიორგის მისცა და კახეთისა ერეკლეს, მაგრამ საქართველოს სამმართველოდ ორივე მეფეს შაჰმა „მოადგილე“ დაუნიშნა, გიორგის — მისი ძმისწული ვახტანგი, ერეკლეს — მისი ვაჟი დავითი. არც ერთ მეფეს საქართველოში დაბრუნება აღარ ღირსებია. გიორგი ავღანეთში მოჰკლეს ღალატით. ერეკლეც ისტაჰანს გარდაიცვალა 1709 წელს.

ერეკლე პირველი, სპარსთაგან „ნაზარ-ალი-ხანად“ წოდებული, ძე ბრწყინვალე მამულიშვილის, დათუნა ბატონიშვილისა, შვილიშვილი დიდი თეიმურაზ პირველისა, ძმობილი დიდი რუსეთის მეფე-დედოფლისა. ოცდაორი წელიწადი რუსეთში გაატარა, ოცი წელიწადი — სპარსეთში. ყველაზე უკეთესი ცხოვრებით მაინც რუსეთში იცხოვრა. სწორედ იქ პოგა სამშობლოს სიღუბნით აფორიაქებულმა ყმაწვილმა ჭეშმარიტი თანაგრძნობაც, თანალმობაც და სიყვარულიც, იქ — დიდ, გულკეთილ „ქრისტესმიერ მოყვასთა“ შორის. ერეკლე პირველს დარჩა სამი ძე — დავით („იმამ-ყული ხან“), კონსტანტინე („მაჰმად-ყული-ხან“) და თეიმურაზი (შემდგომში თეიმურაზ მეორე)...

საბა ორბელიანის „გარეჯელობის“ დროს, და საერთოდ XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, გარეჯის მრავალმთის სავანეებში იღვწოდნენ მწერალნი და მოაზროვნენი: ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი („მაღალ გონება“, „ღირსი მოძღვარი და მასწავლებელი“, დაწერა „წამებანი“ რაჟდენის, არჩი-

ლის, ლუარსაბის, ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარქსნის ერისთავთა და „დაძინება“ ისე წილკნელისა, აქვე მან დაწერა „გრდემლი“ კათოლიკური ქრისტიანობის განსაქიქებლად), ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (ნათლისმცემელში გაღუწვრია დავითნი და სახარება), იობ წინამძღვარი (დაწერა საბას ლავრის ტიბიკონი, და მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება), გაბრიელ საგინაშვილი (შეადგინა აგიოგრაფიული კრებული), ელისე საგინაშვილი, იოსებ არაგვის ერისთავიშვილი, ექვთიმე (ზაზა) ბარათაშვილი, კოზმა ხუცეს-მონაზონი, გრიგოლ ვახვახიშვილი (დაწერა ქეთევან დედოფალის წამება, შექება მისი გმირობისა).

1712 წელს ქართლის გამგებელი ვახტანგ ლევანის ძე სპარსეთს გაეშურა ქართლის „კანონიერი მეფობის“ დასამტკიცებლად.

ამალად სამასი კაცი მიჰყვებოდა.

მათ შორის — საბა ორბელიანი.

### ქორწინება მანაჰში

1703 წელს ირანის შაჰმა, ჰუსეინმა, კახეთის მმართველად დანიშნა დავით იმამ-ყული-ხანი. ამიერიდან ირანის ხელისუფლებამ ხელი აიღო კახეთის მმართველად ყიზილბაში ხანების დანიშვნაზე და ამ გზით კახთა „გაყიზილბაშების“ ცდაზე. ეს მისთვის დიდი იძულება იყო კახელთა თავგანწირული, მარად შეურიგებელი ბრძოლებით გამოწვეული. მარტო „ბახტრიონული ომი“ კმაროდა ყიზილბაშთა დასაშინებლად.

ქართლში მაშინ „ჯანიშინად“ იჯდა ვახტანგი, შემდგომში — მეფე ვახტანგ VI.

ქართლისა და კახეთის სასახლენი დამოყვრდნენ.

დავითის უმცროსმა ძმამ, თეიმურაზმა, ცოლად შეირთო ვახტანგ ჯანიშინის ასული — თამარ, ქალი „შვენიერი და ქება მიუწოთმელი“.

ამ ქორწინებისათვის, ეკლესიის დასტურით, დავითმა და ვახტანგმა თეიმურაზს „განატეგებინეს პირველი ცოლი — ასული ბაინდურ ერისთავისა“. ასე რომ, თამარი თეიმურაზის მეორე ცოლი იყო.

ქორწინება შესდგა მანავის სასახლეში.

(მას უნდა დაუბრუნდეს ძველი სახელი — „თეიმურაზის სასახლე“ და დავიწყებას მიეცეს ვინმე ჩარჩის, ფრიდონოვის სახელი — „ფრიდონოვის სახლი“ — ზოგზოგები რომ უწოდებენ დღეს).

ქორწინება ესე იყო სანიშანსვეტო — 1710 წელი; სანიშანსვეტო, ვინათგან ეს ქორწინება წარმოშობს უკანასკნელ დიდ ქართველ ხელმწიფეს.

დადგა 1720 წლის 7 ნოემბერი.

თელავის სასახლეში უფლისწული დაიბადა — ძე თეიმურაზისა და თამარისა, შვილიშვილი ვახტანგ მეექვსისა.

სახელად დაარქვეს — ერეკლე.

ხალხისაგან გაღმერთებული — პატარა კახი.

საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფე.

## გარეჯელნი — ინდოეთს მოლაშქრენი

ირანის ტახტზე ზის ნადირ შაჰი.

კახეთის ტახტზე — მეფე თეიმურაზ II.

1737 წელს ნადირ შაჰი ყანდაპარისკენ გაემართა, თავისი ერანელებით და „თავისი ქართველებით“.

ქართველებმა ერთხელ კიდევ შემუსრეს ყანდაპარის კარიბჭენი და ქალაქში („ნაცნობ ქალაქში“) შეიჭრნენ. ყიზილბაშებიც მიჰყვნენ უმოწყალო სიკვდილის თესვით. ავღანთა მთავარი ქალაქი გააცამტვერეს და მიწასთან გაასწორეს.

ნადირმა ყანდაპარის აღების შემდგომ ქართველი წარჩინებულნი დიდი ძღვენითა და მადლობით გამოისტუმრა საქართველოსკენ.

მაგრამ თეიმურაზ მეფე თავისთან დაიტოვა ყაენმა. ნადირმა ეს უთხრა შეუვალი სიტყვით: საქართველოში მხოლოდ მაშინ გაგიშვებ, თუ ჩემთან შენს შვილებს — ქეთევანსა და ერეკლეს გამომიძახებო.

რისთვის მთხოვ შვილებსო, — შიშრეულად იკითხა თეიმურაზმა.

შენი ასული რძლად მინდა, ჩემი ძმისწულის — ალი-ყუ-

ლი-ხანის მეუღლედ, ხოლო ერეკლე ინდოეთს სალაშქროდ უნდა ვიახლოო, — ბრძანა შაჰმა.

ალბათ, არ მენდობა და უფრო მძევლად უნდა ჩემი ირაკლი — იფიქრა ნაღვლით დარეგვილმა თეიმურაზმა, მაგრამ რას გააწყობდა, — რაკი „არა რაი იყო სხვა ღონე“, კახეთში კაცი გამოგზავნა და შვილს ასე მოსწერა:

„სასურველო ძეო ჩემო! სადაცა ბოროტი შეგემთხვევის, იქ სიკეთეცა მოგელის. მეცა იძულებითა მოგიწერ ესრეთ, რომე შაჰს ჰსურს განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან, გარნა მხოლოდ ითხოვს მოსვლასა შენსა და რათა თანა წამოიყვანო ასულიცა ჩემი და დაი შენი ქეთევან. მხოლოდ მოსვლაი შენი აქა, სპარსეთად, მომანიჭებს მე განთავისუფლებას ტყვეობისაგან. ესრეთია ნება შაჰისა“.

სადარბაზოდ შეყრილმა დიდებულებმა არ ურჩიეს ერეკლეს სპარსეთს გამგზავრება. მაგრამ თვითონ არ დაიშალა ბატონიშვილმა.

„მამა ჩემი იქ უნდა ჰყვანდესთ, ჩემის იქ მისვლით გამოუტყვევდნენ და მე არ წავიდე, ეგ როგორ იქნებისო“, — სთქვა და წავიდა ერეკლე სპარსეთში, წავიდა და თან წაიყვანა დაი ქეთევან.

ბატონიშვილებს მცირე ამაღად მისდევდა რამდენიმე კახელი თავადი და გარეკახელ ყმაგლეხთა რაზმი, მათ შორის თვალ-საგარეჯოელნი:

მეზერიშვილი,  
ნაცვლიშვილი,  
ქურხული,  
გაბროშვილი,  
ბუტულაშვილი,  
ენაგელი,  
მიქელაშვილი....

დიდის „სიყვარულით“ მიიღო შაჰ ნადირმა ქართველი ბატონიშვილები.

ქეთევანი მაშინვე შერთო ცოლად ძმისწულს, ალი-ყული-ხანს.

ქორწილი რომ განესრულა, შაჰ ნადირი ერეკლეს მიადგა და შეუღრინა, ქრისტიანობა უნდა განაგდო და მაჰმადის სჯულზე მოინათლოო.

მაგრამ პატარა კახმაც მაშინვე შეანარცხა სუსხიანი სიტყვა: „ჩემი მოკვლა შესაძლებელ არს, მაგრამ ჩემი სულის შეცვლა და შერყევა არას ძალით არ მოხერხდება; ამიტომ ტყუილად ნუ შეეცდები ჩემს გამაჰმადიანებასო“.

კარგა ხანს მდუმარედ უცქირა შაჰმა ქართველ ბატონიშვილს — „წლითა და დღითა ყრმასა და გონებით ბრძენსა“, და ბოლოს თქვა „თვინიერის“ ხმით:

„კარგი, იყოს ნება შენი! მე აღარ გაიძულებ... მხოლოდ ჩემთან დარჩი და ინდოეთს ერთად ვილაშქროთ!“

ერეკლე დარჩა.

თეიმურაზი საქართველოში გამოისტუმრა შაჰმა.

მიდიოდა და გული მოუტიროდა შვილებ-დაყრილ მეფეს:

თვით ყვენმან უსამართლო საქმე მიყო მეტად ძნელი:  
გამომართვა ქალი პირმზე, ვისგან ნათობს დამე ბნელი,  
ძმისწულს მისცა შესართავად, კვლავ ბოძებას აღარ ველი,  
და მე მისის მოშორებით დამიწყულულდა გული მთელი.  
იგი ძმისწული მაშათს ჰყვა, ქალი მას მისცა მთავარია,  
სახელად ერჭვა ქეთევან, არს მზისა შესადარია,  
გაესა ვუწოდდი ერეკლეს, არვინ მყავს მისი დარია,  
და იგ თვით იახლა, მე დავრჩი სიცოცხლე დასაზარია.

1738 წელი.

შაჰ ნადირი 180-ათასიანი ერანული მხედრობით ინდოეთისკენ მიეშურება.

სპარსეთის ხელმწიფეს გარეჯელთა რაზმით გვერდით მიჰყვება თვრამეტი წლის ერეკლე ბატონიშვილი.

ინდოეთში მაშინ თეიმურლენგის შთამომავალი „დიდი მოგოლების“ დინასტია მბრძანებლობდა. ნადირ შაჰიც მოგოლთა იმპერიის დასამხოზად და დასაპყრობად მიილტვოდა. მთავარ სამიზნედ მთავარი ქალაქი შახჯანაბადი, ანუ დელი დაეგულებინა ერანის გვირგვინოსანს.

მაგრამ სანამ შახჯანაბადს მიაღწევდა, მანამ გზაზე დიდძალი ხალხი გაუწყდა ნადირს — ზოგი მოთარეშე-მოსაფრე მტრებთან შეტაკებებში, ზოგი სნებისგან, ზოგიც შიმშილ-წყურვილისაგან.

როგორც იქნა, მიუახლოვდნენ შახჯანაბადს.

შაჰმა საომარი ძალები გადათვალა.

180 ათასიდან 90 ათასი მეომარი დარჩენილიყო.

ინდოელმა ხელმწიფემ სამას ორმოცი ათასი მეომარი, სამასი ზარბაზანი და ორი ათასი სპილო შემოაგება მტერს.

ნადირმა წინ მიიმედ შეჭურვილი ცხენოსნობა დააყენა, მათ უკან, მეორე წყობად — აქლემები, რომელთაც ზურგზე მანგლები ჰქონდათ გაწყობილი. მერე მოდიოდა ქვეითი ჯარები, რომელთა მარჯვენა განაკიდურს ქართველები იჭერდნენ, მარცხენას — ბახტიარები.

ბრძოლა დაიწყო.

შაჰ ნადირის ბრძანებით აქლემთა კუზებზე მანგლები აანთეს და ცეცხლისგან გახელებული ცხოველები შემაზრზენი ყროყინ-ბღაველით ინდოელთა სპილოებზე მიუშვეს.

სპილოები დაფრთხნენ, აირივნენ და თავისიანთა ლაშქარში შეტრიალდნენ გაცოფებულნი.

ინდოელთა წინა რიგები ჩაიშალა და ჩაითელა.

შაჰ ნადირმა მაშინვე მტრის შუაგულისკენ გააქანა ცხენოსანი ჯარები.

მარჯვენა განაკიდურზე ერეკლე ბატონიშვილმა და მისმა ქართულმა გუნდმა შეუტია გაალმასებით, მარცხენაზე — ბახტიართა ლაშქარმა.

ინდოელთა უმრავლესობა დაილეწა და დაირეცა.

გამარჯვებულებმა დიდძალი აღჭურვილობა და საომარ სპილოთა უმრავლესობა ჩაიგდეს ხელში.

ერეკლემ ერთი ინდოელი ტყვის გათავისუფლება სთხოვა შაჰ ნადირს.

„რისთვისო?! — იკითხა შაჰმა.

„საარაკო სიმამაცისთვის, რაიც ვიხილე ჩემის თვალით შერკინების ეამს“, — უპასუხა ერეკლემ.

კარგი ვაეკაცის ფასი ნადირ შაჰმაც იცოდა და უთხრა ქართველ ბატონიშვილს:

„იყოს ნება შენი, მიდი და თვითონ მოუარე შენგან არჩეულსო“.

გამოიყვანა ერეკლემ ტყვეთა რიგიდან მამაცი ინდოელი, თავისი ხელით აპყარა ბორკილები, ხმალი დაუბრუნა და ანიშნა, — საითაც გინდა, იქით წაბრძანდიო.

დიღხანს ვერ ჩაღვა გულისხმაში ინდოელი, ხოლო როცა

მიხვდა, მაშინვე ერეკლეს წინაშე დაემხო და მუხლებზე შე-  
მოექდო, მთრთოლვარე ხელებით.

ალარ დაანება ერეკლემ, ფეხზე წამოაყენა „სიმამაცით ნა-  
თესავი“ უცხო ვაჟაკი.

შაჰ ნადირი შახჯანაბადს მიადგა. ინდოეთის სატახტო უომ-  
რად დანებდა. ქალაქის ციხიონმა იარაღი აიყარა და მტერს  
მიართვა. ინდოეთის მბრძანებელი, დიდი მოგოლი, ნადირს  
ეახლა და მის წინაშე მუხლი მოიყარა. ნადირმა დიდსულოვ-  
ნება გაითამაშა: დიდი მოგოლი თავის ტახტზე დატოვა, ქა-  
ლაქი ჯარს არ დაარბევინა, მხოლოდ ხარკის აკრეფა აკმარა,  
სამაგიეროდ თავისი ვაჟისათვის — ნასრულა-მირზასთვის  
დიდ მოგოლს ასული სთხოვა საცოლოდ.

ძნელი მისახვედრი არ იყო: ნადირს სურდა, თავისი შვი-  
ლი ინდოეთის ტახტის მემკვიდრედ დაესვა.

ინდოელ დიდებულთა საკრებულომ უარი გაბედა ეგზომ  
„უსწორო ქორწინებაზე“: ნადირ შაჰი და მისი ძე მეფური  
წარმომავლობის არ არიანო!

მაშინ კი იფეთქა და იჭექა ნადირმა:

„ნასრულა-მირზა ჩემი მახვილის ძე გახლავთ და უფრო  
მაღალი კეთილშობილება მას არა სჭირდებაო!“

უმალვე სხვანაირად „ამღერდნენ“ დამფრთხალი არისტოკ-  
რატები. დიდმა მოგოლმა თავის ასული ცოლად მიართვა ნა-  
დირის ძეს.

თითქოს ყველაფერი ჩაცხრა და ყველა დამშვიდდა. მაგ-  
რამ ერთ დღეს სპარსელმა მსტოვრებმა შახჯანაბადში შეთქ-  
მულება გახსნეს: ინდოელ პატრიოტებს მათი დამპყრობელი  
ერანის შაჰის მოკვლა ჰქონიათ განზრახული.

გაცოფდა შაჰ ნადირი.

შეთქმულები ცეცხლზე დააწვევინა ცოცხლად.

ქალაქს ჯარები შეუსია — გააძარცვინა, ააოხრებინა, ააწიო-  
კებინა, გაათახსირებინა, გააუღეტინა.

შელეწა ინდოეთის სატურქლეთა კარიბჭენი და გამოიტანა  
უთვალავი თვალ-მარგალიტი, აღმასნი, იაგუნდები, ლალები,  
საფირონები, სარდიონები, ქრისოლითები, ოქრო და ვერცხ-  
ლი, სამკაულები, უძვირფასესი ქსოვილები; ოქროს სვეტები-  
ანი ტახტი, ფარშევანგის მსგავსი ბალდახინით, რომელიც კუ-  
ნაბეტ წყვდიადსაც მზის შუქმოსირებით ანათებდა.

გაძარცვული და გაუპატიურებელი შახჯანაბადიდან სინდეთისკენ დაეშენენ ერანელნი, სინდეთის რაჯა უნდა დაესაჯა შაჰ ნადირს, ხარკის გადაუხდელობისა და ურჩობისათვის.

მძიმე გზა ჰქონდათ, უზღვრო უდაბნო და უსაშველო პანაქება.

შუა უდაბნოში ქვის სვეტს გადააწყდნენ.

სვეტზე კერპი იყო აღმართული.

კერპზე ეწერა:

„შვილით და ძირით, სახლით და კარით, იყოს წყეული უკუნითი უკუნისამდე, ვინც ამა სვეტს წინ უსწრებს და გადააბიჯებს“.

ერთიანად გაქვავდა ყველა — შაჰიდან დაწყებული უკანასკნელ მევირემდე.

უკან დაბრუნებას მაინც სიკვდილი ერჩია ნადირს და უბრძანა ჯარებს განგრძობა გზისა.

მაგრამ ფეხიც არ მოიცვალეს ავი ბედისწერის შიშით დარეგვილმა ჯარებმა.

ვერაფერს გახდა ნადირ შაჰი, — ვერც მქვერმეტყველებით, ვერც აღთქმით, ვერც მუქარით, ვერც მუდარით.

იქნებ ისევ ქართველმა გვიხსნასო, — და მავედრებელი თვალთ მიაშტერდა ყენი ერეკლეს.

ერეკლე დაწინაურდა, ხელმწიფეს თავი დაუკრა და მოახსენა მტკიცე ხმით:

„აქ ბევრი საფიქრალი არა-რა გახლავთ, ხელმწიფეო, — დავშალოთ ეგ აბედითი სვეტი, სპილოებს ავკიდოთ, წინ გავიძლოლოთ თავის კერპიანად და წყევლა-კრულვიანად. ჩვენც უკან მივყვეთ და, რაკი აღარ გადავასწრებთ, აღარც რაიმეს გვავნებს ეგ წყევლაო“.

თვალეზი დააჭყიტა გაოცებულმა და აფოფინებულმა შაჰმა.

ბრძანა და დაშაღეს „მაწყევეარი სვეტი“. სპილოებზე აპკიდეს ნაწილ-ნაწილად და წინ გაირეკეს.

მიჰყვა ლაშქარი უკან, დამანძილებით.

„ისევ ქართველმა გვიხსნა!“

„ისევ ქართველის ჰკუთამ გასჭრა!“

„რატომ სხვამ ვერ მოისაზრა ამ მიღეთის ხალხში და მაინც და მაინც ქართველი მიხვდა ეგზომ „უბრალო“ მისახვედრელს!“

„ქართველს შეუძლია უეჭველად დაგიხსნას“,  
 „ძლიერია ქართველი, ძალიან ძლიერი...“  
 „და საბედნიეროდ, ცოტაა ქართველი...“  
 ყარყაშებდა ბედისწერას მიღვევებული ლაშქარი.  
 თახთახებდა სიცხით ატანილი უდაბნო.

სინდეთიც დაიპყრო „ბედისწერისგან თავდახსნილმა“ ნადირ შაჰმა.

სინდეთიდან ყანდაპარს მობრუნდა.

ერეკლე გამოიძახა, წინ დაისვა და უთხრა: უსაზღვროდ მადლიერი ვარ შენის ერთგულებით, სიმამაცით და გონგამჭრიახობითო; ვიცი, გული საქართველოსკენ მიგიწევს, ძალიანაც ეჭირვები შენს ქვეყანას და მეც აღარ დაგაბრკოლებ, — ნება მომიცია შენს ქვეყანაში წასვლისა და მარადის ჩვენის წყალობის მოიმედე იყავით.

მძლავრად უცემდა გული ქართული ცისა და მიწის მონატრულ ბატონიშვილს...

1739 წლის 13 დეკემბერი იყო, ნაშუაღამევის ოთხი საათი.

ერეკლე მოვიდა ალავერდს.

ცხენიდან გარდახდა, დაემხო და ეამბორა ქართულ მიწა-ღვთაებას.

### პეორბიეჰსკის წიგნები

1744 წელი — სანიშანსვეტო თარიღი საქართველოს ისტორიისა: გამოვლინება ქართველი ხალხის ასორმოცდაათწლიანი სამამულო ბრძოლებისა — ქართული სამეფოების სათავეში დგებიან „რჭულშეთცვლეელი“ ქრისტიანი მეფენი.

ქართლში — თეიმურაზ II.

კახეთში — ძე მისი, ერეკლე II.

გრძელდებოდა უთავჯამო ბრძოლები „ლეკიანობასთან“, „ყიზილბაშობასთან“, „თურქობასთან“.

დადგა შუა სამანი მეთვრამეტე საუკუნისა.

და ისევ პირველობდა კავკასიაში აღმოსავლეთ ქართველთა სახელმწიფოები.

ერეკლე მეფე ტფილის-საგარეჯოს გზას ადგა, ნაომარი,

ნალხინარი და ნაქეიფარი. ნინოწმინდას რომ გადაადგა, ცხენი დააყენა და თვალი გაუშტერდა. ნინოწმინდის ტაძარი ეუცხოვა, გუმბათი რაღაც თვალში ედიდა, ტანთან შეუდარი-სი და შეუსატყვისი. ცხენს ქუსლი ჰკრა, ტაძარს მიეახლა და ეპისკოპოსი გამოიძახა.

მოვარდა ნინოწმინდელი — საბა ტუსისშვილი — ბალღით სახეგაბრწყინებული. მეფეს გავასარებო, ტაძარი რომ ასე გავაშენე და გავამშვენეო.

ნინოწმინდის დიდებული ტაძარი, VI საუკუნეში რომ აშენდა და XI და XIV საუკუნეებში ხელახლა გარდაიქმნა, ახლა, XVIII საუკუნის შუა ხანს ახალი, „მეოთხე ფერისცვალებით“ იწყებდა ცხოვრებას.

კარგა ხანს უარა გარშემო ერეკლემ ტაძარს, უარა და ათვალიერა. საბა ნინოწმინდელი უკან დასდევდა ენაგადმოგდებული და „უხსნიდა“ მეფეს აბა, ეს როგორ ავაშენეო, როგორ გავაწყეო, როგორ გავამშვენეო...

უცებ მოუტრიალდა ერეკლე და ახალა ეპისკოპოსს მწარე სიცილით:

„ტაძარი მართლა გაგიმშვენებია, მაგრამ იქვე მოგიკლავს და ეგ არის!“

გაშეთდა ეპისკოპოსი.

„მერწმუნე, მღვდელმთავარო, შენ ეკლესია კი არ აგიშენებია, არამედ დაგინგრევია“, — ისევ გაუმეორა ერეკლემ.

„რანაირად, მეუფეო?“ — აღმოხდა საბას.

„რანაირად და, საპალნე დიდი და მძიმე დაგიდგამს; ფეხები კი გამოგიცლია“, — დაუსკვნა მეფემ და გამოტრიალდა.

ის ღამე მანავის სასახლეში გაათია ერეკლემ — მამისეულ, თეიმურაზის სასახლეში...

ხოლო, ნინოწმინდის გაახლებული ტაძრის მეფისეული შეფასება წინასწარმეტყველური გამოდგა: 1824 წელს, მიწისძვრის დროს, ტაძარმა მძიმე „საპალნე“ ველარ შეიმავრა და სულ ერთიანად ჩამოინგრა...

დრო კი მიდის უღმობლად და შეუჩერებლად.

ანგარიში არა აქვს მტრის შემოსევას.

ანგარიში არა აქვს ქართველთა გამარჯვებებს, პატარა კა-

ხის გმირობებს, მაგრამ სისხლისგან იცლება მაინც საქართველო.

„ხსნის გზა“ კი იყო ისევ ერთადერთი — გზა ჩრდილოური.

1760 წელს თეიმურაზ II თვითონ მიემგზავრება რუსეთს.

26 აპრილს კანცლერმა ვორონცოვმა იგი პეტერბურგში წარუდგინა რუსთა ხელმწიფეს, ელისაბედ დედოფალს.

ქართველი მეფე დიდი რუსეთის საჰეთმპყრობელს, სიტყვიერად და წერილობით, დახმარებას სთხოვდა. ახლა ყველაზე ხელსაყრელი დრო-ჟამი დამდგარა საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომისაო“. ერანში საშინელი არეულობა გახლავთ, ოსმალეთიც განზე დგას და ერანის საქმეებში ჩარევას ვერ ბედავს. ლეკიანობა გასაქანს არ აძლევს, თორემ საქართველო აქამდე თვითონ მოუვლიდა ერანს. ამისთვის სთხოვს ქართველი მეფე რუსთა ხელმწიფეს ჯარს. ხოლო, უკეთუ ჯარით დახმარება არ მოხერხდება, მაშინ იქნებ ფულადი სესხი გაიღოს რუსეთის ხაზინამ, რამდენიმე წლის ვადით. თუ რუსეთი საქართველოს ჯარით ან ფულით დაეხმარება, ქართველები ლეკებსაც ალაგმავენ, „გამორჩეულის დასით“ ერანშიც შევლენ, იქ „ჩინებულთა სპარსთა შეკრებასაც“ მოახდენენ და მათის „ერთხმობით“ ერანის ტახტზე რუსეთისა და საქართველოს „სასურველ შაჰს“ აიყვანენ.

არაფერი არ გამოვიდა. რუსეთის საიმპერატორო კარს ისევ არ ეცალა საქართველოსთვის. „შვიდწლიანი ომით“ იყო გართული მაშინდელი მსოფლიო და გამორჩევით თვითონ რუსეთი. პრუსიისა და ინგლისის განადგურება ჰქონდათ დღენიადაგ საზრუნავად რუსეთის მესვეურებს, ხოლო „სამხრეთულ საქმეთა“ გართულება არასგზით ხელს არ აძლევდა სანქტ-პეტერბურგის სასახლეებს.

1762 წლის 8 იანვარს თეიმურაზი უეცრად გარდაიცვალა პეტერბურგს.

მეფის დაკრძალვის ხარჯები რუსეთის საიმპერატორო კარმა იკისრა.

ელისაბედ დედოფლის სახელით, ერეკლეს სამძიმარი და მდიდარი საჩუქრები გამოუგზავნეს.

თეიმურაზი ასტრახანს მიასვენეს და მიძინების ტაძარში დაკრძალეს, მისი სიმამრის, ვახტანგ მეექვსის გვერდით.

აღსრულებულიყო მეფე თეიმურაზ მეორე, ღირსეულნი ქართველი საჭეთმბყრობელი, ნიჭიერი პოეტი, მამაცი მხედარი და მხედართმთავარი.

გამეფდა 44 წლისა, იმეფა 18 წელიწადი, აღესრულა შობითგან 62 წლის (ვახტანგის კბილა, ვახტანგის გვერდით ჩაწვა ასტრახანის მლაშე მიწაში).

თეიმურაზ პირველის, არჩილ მეორისა და ვახტანგ მეექვსის მსგავსად, არც ამ მეოთხე მეფე-პოეტს ელირსა მშობლიურ მიწაზე სულის დაღევა.

მეფე ერეკლე ქართლ-კახეთის ერთხელმწიფედ გამოცხადდა.

რუსეთმა თბილად მიიღო ერეკლე მეორის ერთხელმწიფობა.

ერანში ქერიმ-ხან ზენდმა გაიმარჯვა — მაჰმად-ჰასან-ხანს თავი გააგდებინა, აზატ-ხანი ერეკლემ შეიპყრო და ქერიმს გაუგზავნა. ქერიმ-ხანმა ერეკლეს ეს სამსახური „დიდად დაუმადლა და მრავალი ფეშქაშები წარმოუვლინა“.

ერევანიც მაშინვე დაუმორჩილა ქერიმ-ხანმა ერეკლეს. „შენ რაიცა ხარკი სახელმწიფო გედვას, ყოველსავე მეფეს ირაკლის მისცემდეთ და ჰმორჩილებდეთ, ვითარცა არს წესი მორჩილებისაო“, — უბრძანებდა წერილობითი ბრძანებით ქერიმი ერევნის ხანს. ამიერიდან სამი ათას თუმანს უხდიდა ყოველწლიურად ერევანი ქართველ მეფეს. ერევნის გარდა, ქერიმ-ხანმა „მოსწერა სხვათაცა ხანთა აღრიბეყანისათა მორჩილება მეფის ირაკლისა“.

მაგრამ ქერიმ-ხან ზენდი რუსეთში თეიმურაზის წასვლას მაინც ერთობ შეუშფოთებია. შემოუთვალა კიდევ ერეკლეს: უნდა გამაგებინო, რისთვის გამგზავრა თეიმურაზ მეფე „ურუსთა ქვეყანაშიო“. არაფერიც არ ვიციო, — შეუტრიალა ერეკლემ — მამაჩემს რუსეთში წასვლის განზრახვა ჩემთვის არ გაუნდვია, თვითნებად წავიდა, თავისი წასვლით ასი ათასი მანეთის ზარალიც მოგვაყენაო და სამაგიერო საზღაურად არაფერიც არ მიგვიღიაო.

არ დაიჯერა მამა-შვილის წაჩხუბება ქერიმ-ხანმა. არ დაიჯერა და უფრო „მწვავე დიპლომატიით“ შეეცადა ბატარა კახის კბილის გასინჯვას: საქართველოში ელჩები იფრინა და

ერეკლეს შემოუთვალა — თუ მართლა ჩემი ერთგული ხარ, სასწრაფოდ თორმეტი წყვილი უმშვენიერესი ქართველი გოგო-ბიჭი ამირჩიე და გამომიგზავნეო.

ცეცხლი აკვესა ერეკლე მეფემ თვალებიდან.

მე თქვენი ქერიმ-ხანი რას მომატყუებს, როცა მე თვითონ ეშმაკზე ერთი დღით ადრე ვარ დაბადებულიო, — ბრაზიანი სიცილით შეაფრქვია სპარსელ დესპანებს და მაშინვე განუტევა ისინი სასახლიდან.

ცოფით ბალანი აეშალა ქერიმ-ხანს, ქართველი მეფის ამნაირი, „დამანგრეველი პასუხი“ რომ მოისმინა. კარგახანს იბორცა და ითავცემა, მაგრამ ბოლოს ისევ „დრომდე დათმობა“ ამჯობინა.

ამჯობინა, ვინათვან „ნადირ შაჰის გაზრდილი“ და თანაც „ეშმაკზე ერთი დღით ადრე დაბადებული“ ქართველი მეფე მაინც ძლიერად გამოიყურებოდა. ამისთვის ისევ „დოსტობა“ სჯობდა მასთან, ვიდრე აშკარა მტრობა.

მაშ, ერეკლე მეორის ერთხელმწიფობა ერანის ახალმა მბრძანებელმაც სცნო. მაგრამ ეს იყო „ცნობა“ არა მარტო ქართლ-კახეთის ერთმეფობისა, არამედ სრულიად აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ერთმფლობელობისა.

ქართველი მეფის უზენაესი ხელისუფლება კავკასიონიდან მდინარე არეზ-არაქსამდე ვრცელდებოდა.

მაინც უკუღმა ბრუნავდა ბედისწერის ჩარხი საქართველოსი.

კვლავ ანგარიში არ ჰქონდა ქართველთა „უიღბლო გმირობებს“. კვლავ დაუშრეტელ ღვარცოფად მოედინებოდა და მოედინებოდა ყოველის მხრიდან მუსლიმური მხედრობანი — ყიზილბაშური, თურქული, ლეკური.

და, აჰა, ოთხმოციანი წლები მეთვრამეტე ასწლეულისა.

და, აჰა, როგორც იქნა, რუსეთის საიმპერატორო კარს თვითონ დასჭირდა საქართველო.

არასოდეს ისე მძაფრად არ დახლართულა მსოფლიო საბოლიტიკო კვანძი, ამიერკავკასიის გზა კვანძზე, როგორც იმჟამად.

სამი მსოფლიო მონარქია — რუსეთი, ოსმალეთი და ერა-



ნი — არასოდეს ისე მძაფრად არ დასტაკებთან ერთმანეთს ამიერკავკასიისათვის, როგორც იმჟამად.

საქართველოს ისღა დარჩენოდა, არჩევანი გაეკეთებინა. ერანი მაშინ თვითონ იყო დაპყრობილი საშინელი შინააშლილობით, თვითდაკვლით, თვითდამარცხებით და თვითდანარცხებით, მაგრამ საქართველოზე ხელი მაინც არ აეღო;

ოსმალეთსაც აქეთკენ ეჭირა თვალი, თუმცა თვითონ ოსმალეთიც არასდროს ისე დაკნინებული და დამცირებული არა ყოფილა, როგორც იმჟამად რუსეთ-თურქეთის საბედისწერო ომების შემდგომ. ოსმალეთმა, არამც თუ ახლა, არამედ უზემოესი ამაღლებისა და საქართველოს უქვემოესი დაუსტების ხანაშიც — XV—XVII საუკუნეებშიც — ვერ მოახერხა ქართული მიწაწყლის მიტაცება.

ხოლო, რუსეთი?!

რუსეთს არ სჭირდებოდა საქართველოს დაპყრობა.

არ სჭირდებოდა, რადგან საქართველო თვითონ მივიდოდა რუსეთთან.

საკმარისი იყო მხოლოდ ხელის მეგობრული გაწვდენა და მივიდოდა, საკუთარი ფეხით მივიდოდა ერთმორწმუნე და ერთმოაზრე ქვეყანასთან.

. . . . .

რუსეთის იმპერიის „სამხრეთ“ საქმეებს განაგებდა ეკატერინე მეორის პირველი ფავორიტი, რუსეთ-თურქეთის ომის გმირი, მთავარსარდალი, ბრწყინვალე თავადი ფელდმარშალი გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინი. სწორედ მას დაევალა იმჟამად ამიერკავკასიის „ყველაზე მნიშვნელოვან საქმეთა“ გარიგება და გადაწყვეტა.

„ბრწყინვალე პოტიომკინს“ თანაშემწედ დაუნიშნეს ახლო ნათესავი, ჩრდილოეთ კავკასიის საომარი ძალების („კავკასიის ლინიის“) მთავარსარდალი, გენერალ-პორუჩიკი პავლე სერგის ძე პოტიომკინი. პავლე პოტიომკინის შტაბბინა ქალაქ გეორგიევსკში იყო...

აქედანვე შეუდგა იგი კავკასიის საქმეთაგან უმნიშვნელოვანესის — საქართველოს საკითხის შესწავლასა და „მოგვარებას“.

ბევრი რამ რუსეთის სომხური ეკლესიის მეთაურის, იოსებ

არღუთინიანისგან შეიტყო პავლე პოტიომკინმა ქართველებისა და მათი მეფის, ერეკლე მეორის შესახებ,

სიძლიერით, ნიჭით, სიმამაცით ვერც ერთი ერანელი მბრძანებელი ვერ შეედრება ერეკლე მეორესო, — მოახსენებდა სომეხი რუსს — მუსლიმანი ხანები, თავრიზიდან დარუბანდამდე ქართველ მეფეს მუდამ ძვირფას ძღვენს უგზავნიან, პატივისცემისა და მორჩილების ნიშნადაო; ერეკლე მეფეს სულ ცოტა ორმოცდაათიათასი მეომრის გამოყვანა შეუძლიაო; მისი მიმხრობით, რუსეთს მთელს აზერბაიჯანში და ამიერკავკასიაში მოწინააღმდეგე და მომტრე აღარ ეყოლებო.

გრიგოლ პოტიომკინმა ერეკლესთან ურთიერთობის გაბმა 1779 წელს სცადა პირველად. ამისთვის მან საქართველოში წარავლინა იაკობ რაინეგსი, უნგრეთში გაზრდილი გერმანელი ექიმი. რაინეგსი ორი წლის წინათ სტამბოლში შეპხვედროდა ერეკლეს ელჩს, გურგინა ენაკოლოფაშვილს, და ბევრი რამ მაშინ შეეტყო საქართველოსა და მისი მეფის შესახებ.

იაკობ რაინეგსი ქართველი მეფის კარის ექიმი შეიქნა, მაგრამ ერეკლემ უცხოელის ყოფა-ქცევა ჯამუშობად იაზრა და რაინეგსი 1781 წელს იძულებული გახდა რუსეთს დაბრუნებულიყო.

მომდევნო 1782 წელს ხელახლა წარმოგზავნა გრიგოლ პოტიომკინმა რაინეგსი საქართველოში. ამჯერად რაინეგსი, პოტიომკინის სახელით, ერეკლესთან თათბირობდა, დაიწყეთო მოლაპარაკება რუსეთთან, მისგან „მფარველობის ქვეშ“ შენი ქვეყნის მისაღებადო...

## გეორგიევსკი

1782 წლის 21 დეკემბერს მეფე ერეკლე მეორემ წერილობითი თხოვნა გაუგზავნა პეტერბურგის საიმპერატორო კარს — მიიღეთ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაშიო.

ქართველი მეფე იქვე აყენებდა „მფარველობის“ ზოგად ბირობებს:

რუსეთს საქართველო უნდა უვნებელყო ოსმალეთისა და  
ერანის მხრივ მოსალოდნელი მტრობისაგან;

ოსმალეთთან და ერანთან რუსეთის მოსალოდნელი ომის  
შემთხვევაში ერეკლე მეფე კისრულობდა რუსეთის მხარეზე  
შეიარაღებული ძალებით გამოსვლას;

რუსეთს უნდა ეზრუნა საქართველოსთვის დაებრუნებინა  
ოსმალებისა და ლეკებისაგან მიტაცებული ქართული მიწები;

რუსეთის „მფარველობაში“ შესული ქართლ-კახეთი სამე-  
ფო-სამემკვიდრეოდ უნდა დარჩენოდა ერეკლეს შვილებსა  
და შთამომავლობას;

საქართველოში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსული ჯა-  
რის ორი პოლკი.

სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო ხელისუფლებამ გულ-  
დასმით განიხილა ერეკლე მეფის წარდგინება. საგარეო  
კოლეგიის წევრმა, ა. ბ ე ზ ბ ო რ ო დ კ ო მ, ეკატერინე მე-  
ორეს საბოლოო ტექსტი შეუთანხმა და საქართველოში გა-  
მოგზავნა.

ერეკლემ რუსეთ-მოვლილი ტექსტი საგანგებოდ შეყრილ  
დარბაზს გააცნო და მიაღებინა კიდევ.

1783 წლის 24 ივლისი — დიდი საისტორიო სამანი სა-  
ქართველოს ისტორიაში.

ამ დღეს ქალაქ გეორგიევსკში „მეგობრობის პირობას“  
ხელს აწერენ რუსები და ქართველები.

რუსეთის მხრივ — გენერალი პ ა ვ ლ ე პ ო ტ ი ო მ კ ი ნ ი  
და პოდპოლკოვნიკი ტ ა მ ა რ ა.

საქართველოს მხრივ — მემარცხენე ჯარის სარდალი ი ო -  
ა ნ ე მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი და მანდატურთუხუცესი გ ა რ -  
ს ე ვ ა ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

ასე იწყებს არსებობას „გეორგიევსკის ტრაქტატი“, გინა  
„მეგობრობის პირობა“.

ხოლო შინაარსი მისი ასე არს:

ქართლ-კახეთის მეფე უარს ამბობს ერანის ან სხვა რომე-  
ლიმე სახელმწიფოს ქვეშევრდომობაზე და სამუდამოდ შედის  
რუსეთის მფარველობაში;

ამიერიდან სამეფო რეგალიებს (გვირგვინი, ხმალი, კვერ-  
თხი, მანტია, სიგელი და დროშა რუსული და ქართული გერ-  
ბებით) ქართველი მეფე მიიღებს რუსეთის იმპერატორისაგან;

თავის მხრივ ქართველი მეფე ერთგულების ფიცს აძლევს რუსეთის ხელმწიფეს;

ქართლ-კახეთის მეფეს უფლება აღარ აქვს, რუსეთთან შეთანხმების გარეშე აწარმოოს რაიმე საგარეო პოლიტიკა; ქართლ-კახეთის მეფე ვალდებულია კისრულობს, საქორების შემთხვევაში, რუსეთის სამსახურში გამოვიდეს მთელი თავისი საომარი ძალებით;

რუსეთი კისრულობს ქართლ-კახეთის დაცვას; ზრუნვა დაცვისა გავრცელდება იმ ქვეყნებზეც, რომლებიც დროთა მანძილზე შემოუერთდება ქართლსა და კახეთს;

რუსეთი კისრულობს ერეკლესა და მისი შთამომავლობის დაცვას ქართლ-კახეთის ტახტზე;

შინაურ გამგებლობაში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდებელია; რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი ქართლ-კახეთის შინაურ საქმეებში ვერ ჩაერევიან;

ერეკლე მეფე კისრულობს სოლომონ იმერეთის მეფესთან თანხმობით ყოფნას, ხოლო რაიმე უთანხმოების შემთხვევაში შუამავლობა ეკუთვნის რუსეთის ხელმწიფეს;

ქართველთა ჯარის სიმტკიცედ და საქართველოს დასაცავად მოსალოდნელი გარეშე შემოსევისგან, რუსეთის ხელმწიფე საქართველოში მუდმივ სამყოფად აგზავნის ორ ბატალიონ ქვეით ჯარს;

ომის შემთხვევაში, რუსეთის მენაპირე ჯარის სარდალი, რუსეთის ხელისუფლების რწმუნებით, ქართლ-კახეთის მეფესთან ერთად გამოდის საერთო მტრებთან საომრად;

ქართველი თავადაზნაურობა უფლებრივად უსწორდება რუს თავადაზნაურობას; ასევე, ქართველი ვაჭრები რუსეთში ღებულობენ რუსი ვაჭრებისათვის დადგენილ შეღავათებს;

რუსეთის ხელმწიფე კისრულობს, ომისა თუ ზავის პირობებში, ყოველნაირად იღონოს, დაუბრუნდეს ქართლ-კახეთს მტრებისგან მიტაცებული ქართული მიწები.

1784 წლის 22 იანვარს „ტრაქტატს“ ხელს აწერს რუსეთის ხელმწიფე ეკატერინე მეორე.

1784 წლის 24 იანვარს ხელს აწერს — „კეთილნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე-მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი,

მთავარი შამშადილისა, მთავარი კახისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

ერეკლე“.

### პეორბივესკის უაღღებ

ტფილისი ზეიმით შეხვდა რუსეთთან „მარადიული მეგობრობის“ გამოცხადებას.

„დიდმა მფარველმა“ დასაწყისშივე „დიდსულოვნური სიხარული“ არგუნა „შეფარვულს“. რუსეთის მთავრობამ უარი თქვა ერეკლესგან აღთქმული ყოველგვარი ხარკის აღებაზე და მძევლების აყვანაზე.

ერეკლემ პოტიომკინთან მდივანბეგი სულხან თუმანიშვილი გაგზავნა. ქართველმა რუსეთის უმაღლესი გვამი განაცვიფრა მაღალი ნიჭით, დაკვირვებულობით, განათლებით და სიღარბაისლით.

რუსეთის მთავრობამ უხვად დააჯილდოვა ქართველი მეფის წარგზავნილები.

(სპარსული საჩუქრების „ხანა“ დასრულდა ქართველთა ცხოვრებაში; რუსული საჩუქრების „ხანა“ იწყებოდა).

ერეკლემ ორი ძე აახლა რუსეთის საიმპერატორო კარს — თეიმურაზი (ანტონი) და მირიანი. ანტონი უმაღლესი სასულიერო საქეთმპყრობელობისათვის ემზადებოდა. ჩვიდმეტი წლის მირიან ბატონიშვილს პოლკის მეთაურობა უბოძეს.

პეტერბურგის სასახლის კარზე საქართველოს სრულუფლებიანი დესპანი, გინა რეზიდენტი, დასვეს — გარსევან ჭავჭავაძე.

ეკატერინემ ერეკლეს საჩუქრად ოცდაათხი ქვემეხი გამოუგზავნა (თუმცა ტფილისამდე მხოლოდ ათმა ჩამოაღწია). გაასწორეს და გაწმინდეს დარიალ-თერგის გზა.

დაიწყო ვლადიკავკაზის ციხესიმაგრის აღმშენებლობა.

ტფილისში მოვიდა ორი ბატალიონი რუსის ჯარი, პოლკოვნიკ ბურანშოვის სარდლობით.

სიონში დიდი სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს.

ანტონ კათალიკოსმა ხოტბა შეასხა ქართველ მეფეს და რუს იმპერატორს.

ნადიმი ნადიმს გადაება.

გრილებდა ქართული „მრავალყამიერი“ და რუსული ჰანგები.

გრილებდნენ ზარბაზნები.

მაშხალები ერეკებოდნენ ლამეულ წყვილადს ტფილისის ცისგვამიდან.

ტფილისს ეწვია თვითონ გენერალ-პორუჩიკი პავლე პოტიომკინი, „კავკასიის ლინიის“ მთავარსარდალი. ქართველები დიდის ამბით შეხვდნენ მათ უშუალო „მფარველს“ და „პატრონს“.

პოტიომკინმა დიდის გულისყურით დაათვალიერა საქართველოს სატახტო. ყველაზე და ყველაფერზე მეტად მაინც ერეკლე მეფე მოეწონა და დაწერა კიდევ: „მეფე ირაკლი შუა ტანისაა, ფიცხი ხასიათი აქვს. ლაპარაკის დროს ქვემოდან შუბლშეკმუხვნილი იცქირება, შესაძლოა, იმიტომ, რომ თანამოსაუბრის სახის მოძრაობა დაიჭიროს. მცირედად წელში მოდრეკილია, ვინაიდან უკვე სამოცდაორი წლისაა, მაგრამ ჭერ კიდევ მაინც მხნედ არის. ირაკლი მეფე ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც ისე შეუძლიათ პასუხის მოცემა, რომ ჰოც გამოდიოდეს და არაც. ეს არის არაჩვეულებრივი ჭკუის ადამიანი, იშვიათად მომთმენი და გასაოცრად მოქმედი. მთელი ლამეები ფხიზლობს, ვინაიდან თვითონ პირადად ხელმძღვანელობს თავის სახელმწიფოს საქმეებს; ძალიან ცოტა სძინავს. აზიურ პოლიტიკას კარგად იცნობს გამოცდილებით, ცდილობს თავისი ერი ევროპულად მოაწყოს, დიდად ღვთისმოსავი არის...“.

1784 წლის 22 იანვარს ტფილისს მოვიდა დიდძალი საჩუქრებით დატვირთული პოლკოვნიკი ტამარა, რომელსაც ერეკლე მეფესთან ერთად, ერთხელ კიდევ დაედასტურებია გეორგიევსკის ხელშეკრულების უფლებამოსილებანი.

ას ერთჯერ გავარდა იმ დღეს ზარბაზანი ტფილისში.

მეორე დღეს ტამარამ ერეკლე მეფეს, ეკატერინე ხელმწიფის სახელით, გადასცა სამეფო რეგალიები, მფარველობის სიგელი და საჩუქრები. იქვე რუსმა პოლკოვნიკმა დაასაჩუქრა მეფის ახლობელნი და დარბაზისერნი.

კვლავ ას ერთჯერ დაიგრიალეს ზარბაზნებმა.

საზეიმოდ გაჩახჩახებულ სიონის ტაძარში რუსმა პოლკოვ-

ნიკმა და ქართველმა მეფემ ორივე მხრიდან ხელმოწერილი ტრაქტატის ტექსტები გაცვალეს და მისი აღსრულების ფიციით დაიფიცეს.

საქართველოს სატახტო ქალაქში რუსთა შემოსვლამ, რუსული ზარბაზნების გრიალმა და რუსული მამუხალების ელვა-ქექამ თავზარი დასცა კავკასიისა და წინა აზიის ყოველ დიდსა და მცირე მაჰმადიან მბრძანებელს.

გამორჩევით ოსმალეთი შეეშფოთებინა კავკასიონზე რუსული ჩექმისა და ხიშტის გადმობიჯებას. ყველაფერი ქართველი მეფეების ბრალიაო, — გაიძახოდნენ სტამბოლში — ქართველები იმასაც ვერ ჰხვდებიან, რომ უწინარესად ყოველთა, თავისი თავი დაჰლუბესო; ქართველმა მეფეებმა გეორგიევსკის ხელშეკრულებით „საკუთარი ხელისუფლების საძირკველი დაანგრისო“. ამიტომ ვაფრთხილდითო, — აფრთხილებდნენ თურქები თავის თანამორწმუნეებს კავკასიაში — ქართველებით არ გაბრიყვდეთ და არასგზით რუსები არ შემოუშვათ აზერბაიჯანში, დაღესტანში და სომხეთშიო.

რუსეთის მთავრობა, ქართლ-კახეთის შემდგომ, იმერეთთანაც აპირებდა „მფარველობითი ტრაქტატის“ დადებას, მაგრამ ოსმალეთმა აგრძნობინა, რომ ასეთ ნაბიჯს უეჭველად იმით უპასუხებდა. რუსეთის მთავრობამ ხელი აიღო, ჯერჯერობით.

გათამამდა ოსმალეთი. აღმოსავლეთ საქართველოს წართმევაც დაუპირა რუსეთს. ამ განზრახვის აღსრულება ერეკლე მეფის დასჯითა და ქართლ-კახეთის სრული აოხრება-განადგურებით უნდა დაწყებულიყო. ისევ ყოველის მხრიდან, საიდანაც მოუხერხდებოდათ — განუწყვეტელ გამანადგურებელ ცეცხლში უნდა მოექციათ ქართლი და კახეთი. მთავარ სასიკვდილო კერებად ისევ ახალციხე და ქარ-ბელქანი გადაიქცნენ. ახალციხე ლეკებით აავსო სულეიმან ჯაყელმა. აავსო და გადმოანთხია ქართლის მიწებზე სიკვდილის ღვარცოფად. ქარ-ბელქანიც აქოთქოთდა, სრულიად დაღესტანიც. ქართველი მეფის ქვეშევრდომი და „მეგობარი“ ხანებიც დრტვინავდნენ. ყველა ამას იმიზეზებდა: „ჩვენმა დოსტმა და მფარველმა“ ერეკლე მეფემ როგორ გვიღალატა, რუსებში გავცვალა

და რუსული ჩექმა ყველას გასასრესად გადმოატარა კავკასიაში სიონზე.

ლექთა შემოსევებს აღარც თავი უჩანდა და აღარც ბოლო საქართველოში.

ერეკლეც იბრძოდა, რამეთუ იყო ერეკლე და ედგა ბირაში „ერეკლეს სული“.

რუსებიც იბრძოდნენ ქართველთა მხარდამხარ, მაგრამ ძალზე მცირე იყო და უკმარისი მხოლოდ ორი რუსული ბატალიონი...

1784 წელს ჭარ-ბელქანს შეუტეეს ქართველებმა და რუსებმა.

ბრძოლა მოხდა მულანლოსთან, გაგრძელდა ხუთი საათი და გათავდა რუს-ქართველთა გამარჯვებით. დამარცხებულებამა ხუთასი მკვდარი დატოვეს ბრძოლის ველზე, გამარჯვებულებმა — ორმოცი.

1785 წლის 23 მარტს, სოფელ ღურნუკს, ტფილისთან ახლოს, ახალციხიდან წამოსული ლექთა ჯარი შემოიჭრა, ოცი კაცი მოკლეს, ორასი ტყვედ წამოიყვანეს.

ამის შესახებ გარსევან ჭავჭავაძემ მისწერა გრიგოლ ბოტიომკინს: თურქეთის სამფლობელო-ახალციხიდან წამოსული ლეკები რომ ასე გვაოხრებენ, ერეკლე მეფე ხელს არ უბრუნებს, ვინათგან არ სურს ტრაქტატი დაარღვიოს და თურქეთ-რუსეთის მშვიდობიან ურთიერთობას რაიმე ზიანი მიაყენოსო.

ამ წერილს უნდა დაეფიქრებია საქართველოს „მფარველი ქვეყნის“ უპირველესი სახელმწიფო მოხელე და იქნებ რაიმე ელონა ქართული მიწების დასაცავად, მაგრამ ბოტიომკინმა ოდნავ ყურიც არ გაიხედნა ქართველთა უბედურების მოსმენით და შესმენით.

ხოლო, ღურნუკის აოხრებიდან ხუთი დღის თავზე, 28 მარტს, ტაბახმელას „მოუხდა ჯარი ლეკი და თათარი ცხენოსანი 1000“.

გაუხტა ერეკლე მეფე ქართველთა გუნდით.

სასტიკად დამარცხდნენ ლეკნი. სანახევროდ შეაწყდნენ ქართულ ხმლებს. დანარჩენები გაიქცნენ და გაიფანტნენ.

16 აპრილს ისევ გამოუშვა სულეიმან ფაშამ „ქართლის წასახდენად“ ათას ხუთასი ლეკი და ხუთასი ოსმალო. სოფელ საქაშეთამდე ამოვიდნენ ძარცვითა და ტყვევით. საქაშეთს

„ტყვე-ჰყვეს სახლეული დიასამიძისა“. უკან გაბრუნდნენ დიდი ნადავლით და ექვსასამდე დატყვევებული ქართველით. სურამიდან გავარდა ქართველთა და რუსთა მღვეარი. სოფელ ჭალასთან, მტკვრის ნაპირს შუაზე მოიქციეს მტერა. ერთი მხრიდან ერეკლე დაეძგერა თავისი გუნდით, მეორე მხრიდან რუსების ასეული, მაიორ სენბერგის წინამძღოლობით.

ბრძოლა ოთხ საათს გაგრძელდა და ისევ რუს-ქართველთა გამარჯვებით გათავდა. არც ერთი ლეკი და ოსმალო აღარ გასულა ცოცხალი ბრძოლის ველიდან. ზოგნი მიწას დააკლეს ქართველებმა და რუსებმა, დანარჩენები, შიშით შეპყრობილნი, მტკვარში გადაცვივდნენ და შიგ ჩაიხრჩენენ.

ერთმა რუსმა სერჟანტმა, სახელად დიმიტრიმ, თორმეტი ლეკი ააგო ხიშტზე.

ერთმა დატყვევებულმა ქართველმა ქალმა თვითონ დაიხსნა თავი, მისი დამტყვევებელი ლეკი თვითონ შეიპყრო, მხარმკლავი შეუკრა და ისე მიართვა ერეკლე მეფეს...

სულეიმან ახალციხელმა მაისში ახალი ჯარი წარმოგზავნა წინა მარცხის შურისსაგებლად. ფხვენისს მოვიდნენ ლეკ-ოსმალნი, მაგრამ „ვერა რა ჰყვეს“ და „უკუნ-იქცნენ“.

ისევ დაედევნენ ქართველები და რუსები. სოფელ მოხისთან წამოეწივნენ და „ძლევა-შეიმოსეს ფრიადი“. ლეკ-ოსმალთაგან ისევ ამოწყდა უმრავლესი, დანარჩენები კი „უკუნ-იქცნენ სირცხვილეულნი“.

1785 წლის დამდეგს ჩრდილოეთ კავკასიაში, საჩაჩნოში, ახალი „წინასწარმეტყველი“ გამოჩნდა, შეიხ მანსური, რომელმაც რუსეთის წინააღმდეგ „სალეთო ომში“ მოუწოდა კავკასიელ მაჰმადიანებს. ერთბაშად ოცდაათი ათასმა მეომარმა მოიყარა თავი შეიხ მანსურის საომარი დროშების ქვეშ. ჩერქეზებიც, „ნახევარზე მეტი“, რუსეთს გაუდგნენ და მის წინააღმდეგ საომრად აღიჭურვნენ.

შეიხ მანსურს მაშინვე დიდი მოკავშირე გამოუჩნდა, დალესტნის კიდევ ერთი „დიდი ბელადი“, ავარია-ხუნძახის ბატონი ომარ-ხანი, ძე ქართველებისთვის კარვად ნაცნობი და ბრძოლით ნაჭდევი ნურსალბეგისა.

ომარ-ხანი საქართველოს დასალაშქრავად ემზადებოდა და

კარგად იცოდა, რომ ქართველებთან ბრძოლა ბოლოს და ბოლოს მაინც რუსულ ხიშტს შეჰყრიდა საბედისწეროდ. იცოდა და არც ერიდებოდა ომარ-ხანი. მაჰმადიანთა „საღვთო ომი“ ხომ ერთნაირად სააშკარაო ომი იყო ყოველი ქრისტიანის წინააღმდეგ კავკასიაში — წინააღმდეგ რუსისა, ქართველისა და სომხისა.

შეიხ მანსურსა და ომარ-ხანს აშკარად ემხრობოდნენ ყაზი-ყუმუხები, ხოლო შეფარვით ხელს უწყობდნენ ამიერკავკასიელი ხანები.

ყველას უკან კი ოსმალეთი იდგა — ფულით, ხმლით, წაქეზებით, წასისიანებით, „საღვთო ქადაგებით“.

ერეკლეს ომარ-ხანის საომარი თქარათქური არ გამოჰპარვია და თვითონაც გაემზადა. ტფილისის ციხე-გალავნები ხელახლა გაამაგრა. ხალხი დახიზნა, სიძე-სარდალი დავით ორბელიანი და პოლკოვნიკი ბურნაშოვი ქართველთა და რუსთა ჯარებით სიღნაღს გაგზავნა. თვითონ ერთ ხანს თელავს დადგა კახელთა ჯარით.

ომარ-ხანს სულეიმან ფაშა ჯაყელისთვის მიეწერა: მე ქართლ-კახეთს ეს-ეს არის შემოვუტეე და შენც ახალციხიდან შემოესიეო.

სულეიმანს კი უარით ეპასუხნა: დავიწყოთ, დავიწყოთ, მაგრამ რომ წავაგოთ, ერეკლეს ვინღა გადაურჩებო.

ერეკლე მეფემ ამ მიწერ-მოწერისა არაფერი იცოდა და შემოსევას ისევ ორი მზრიდან ელოდებოდა.

იგი სიღნაღს მივიდა დავით ორბელიანთან და ბურნაშოვთან სათათბიროდ.

უცებ ომარ-ხანის ფაიქი მოიქრა წერილით: მე რომ ჯარებს ვაგროვებ, საქართველოს კი არ შემოვბედავ, არამედ მხოლოდ ფათალი-ხან დარუბანდელის დალაშქვრას ვაპირებო.

უცნაური კი განლდათ, მაგრამ ერეკლემ დაიჯერა ეს „ფიცი“.

(ხანდახან, თანაც საბედისწერო ეამს, გასაოცარ მალე-მრწმენობას იჩენდა მრავალი ლალატისა და ფიცისმტეხელობის მომსწრე პატარა კახი).

ომარ-ხანი საქართველოზე აღარ წამოვაო, ახალციხის ფაშა კი ისევ საშიშიაო, დაასკვნა მეფემ და მთავარი ძალები კახეთიდან ისევ დასავლეთით გადაიყვანა.

სამი ათასამდე რუსი და ქართველი დარჩა სიღნაღში.

ჩრდილოეთიდან რუსების გადმოსვლისაც აღარ ეშინოდა ომარ-ხანს. იქ შეიხ მანსურის მრავალრიცხოვან ჯარებს ჩაეჭირათ რუსთა სრულიად „კავკასიური ლინია“.

და უცებ, ერთბაშად ოცი ათასი მეომრით მოადგა ომარ-ხანი ალაზნის მარცხენა განაკიდურს.

ერეკლეს სასწრაფოდ მიიჭრა სიღნაღის ბანაკში ათასი მეომრით.

მაშ, — ოთხი ათასი რუსი და ქართველი დაუსისწორდა ოცი ათას ლეკს. ომარ-ხანმა მაინც ვერ გაბედა შეტევაზე გადმოსვლა.

ხოლო ერეკლე მაშინვე აპირებდა ბრძოლად გასვლას, მაგრამ ბურანშოვმა არ დაანება არას გზით.

შელაპარაკდნენ და შეუძმრახდნენ ერთმანეთს მეფე და პოლკოვნიკი. ერეკლემ ტოტლებენი გაიხსენა და შეფიქრიანდა: ვაი თუ ისევ მარტო შევრჩე რიცხვმრავალ მტერსო, და დაუჯერა ბურნაშოვს.

ამასობაში ომარ-ხანმა ალაზანი გადმოლაზა, „ამოვლო ქირხლის ხევს, ამოვიდა დედოფლის წყაროზედ და გარდავიდა იორზედ“. ვითომც ტფილისისკენ გაქანდნენ ლეკნი.

გამოედევნენ ქართველები და რუსები.

ზარბაზნებს ხარებით მიათრევდნენ და მღოვრედ და მყოვრედ ვიდოდნენ.

ლეკები კი გეზელ ქორებივით მიქროდნენ.

მართლა ტფილისის დალაშქვრა ვერ გაებედნა ომარ ხანს. ყარაია გადაიარა, მტკვარი გადაჭრა და ბორჩაღლში შეიჭრა.

ქართველებმა და რუსებმა აღგეთს რომ მიატანეს, იქ შეიტყვეს, რომ ერთი დღის წინათ გაესწროთ ლეკებს.

ბორჩაღლდან ახტალას აგარდნენ ლეკები. ახტალის მცირერიცხოვანმა ციხიონმა სამასი ლეკი შეიწირა. მაგრამ ომარმა მაინც თავისი გაიტანა. ლეკებმა ციხეს ლაღუმები უფეთქეს და წამოაქციეს. ვერცხლის მადნები სასტიკად გააოხრეს და გაატიალეს. მემადნე მუშები სანახევროდ გაწყვიტეს, დანარჩენები — რვაას ორმოცდახუთი კაცი — ტყვედ აიყვანეს, დიდძალი ვერცხლი, სპილენძი, ფული და ნივთები გაიტაცეს.

ახტალიდან ლორეს გადაცვივდნენ და უზუნლარს დაბანაკდნენ ლეკები. იქიდან ომარ-ხანმა ერეკლეს შემოუთვალა:



ყოველ ტყვე ქართველში ხუთი თუმანი მომეცი, წელიწადში ასი თუმანი ჯამაგირიც გამიჩინე და შენი ერთგული მოკავშირე და „დოსტი“ შევიქნებიო.

ესლა მაკლდა, ლეკი ბაცაცა ხარკსა მთხოვსო, — მწარედ გაეცინა ერეკლეს და ხმალი სიბრტყით დაირტყა ბარძაყზე.

ომარ-ხანი მიხვდა, რომ მეფესთან მოლაპარაკებით ვერაფერს იშოვიდა და უზუნლარიდან აიყარა, ტბა-ფარავანს გაუარა, ახალქალაქს გავიდა, იქიდან ახალციხეს მივიდა და სულეიმან ფაშა ჯაყელს შეესტუმრა.

ქართველები და რუსები ტფილისს დაბრუნდნენ „ულეკოდ“ და უსახელოდ.

ტფილისს მობრუნებულმა ერეკლემ პავლე პოტიომკინს წერილი გაუგზავნა. ჩემი ქვეყანა ამნაირ „განსაცდელში“ აღრე არ ჩავარდნილაო“. ასე გამოდიოდა, საქართველოს ასეთი დღე იმიტომ დასდგომია, ყველა სხვა მეზობელს რომ ზურგი ვაქციეთ და თქვენთან შეკედლება ვარჩიეთო. ამიტომ, ეს უამური აზრი რომ გაქარწყლდეს და გაქარდეს, აუცილებელია რუსმა მფარველმა „შეფარვულს“ ჯარი და ფული გამოუგზავნოსო.

ამასვე სწერდა გარსევან ჭავჭავაძე „უფრო დიდ“ პოტიომკინს, გრიგოლ ფელდმარშალს.

პოლკოვნიკი ბურნაშოვიც მოახსენებდა მის მეუფეს: „საქართველო უკიდურესად ნადგურდება, იმის გამო, რომ გზებზე მიმოსვლა საშიშია, ვაჭრობა მთლიანად შეწყდა, პურის მოყვანა შეფერხებულია, რადგან მოსახლეობას სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში იწვევენ და სოფლები დაცარიელებულია. მის უმალღესობა ერეკლე მეფეს არ შეუძლია შეგროვილი ჯარის დიდხანს შენახვა, რადგან ფული არა აქვს, მისი შემოსავალი თითქმის გაქრა“.

დიდმა პოტიომკინმა პასუხიც არ გაიმეტა, ხოლო „მცირემ“, პავლე პოტიომკინმა, ომარ-ხანს ახალციხეში ათასი ჩერგონეცი და ოქროს სათუთუნე გაუგზავნა და საქართველოს შეწუხებაზე ხელის აღება სთხოვა.

ომარ-ხანმა რუსი გენერლის საჩუქრები დიდი სიამოვნებით მიირთვა და ისევ ქართული მიწების ასაოხრებლად წამო-

ემართა. შვიდი ათასი ლეკით იმერეთს შემოიჭრა და ვახანის ციხეს შემოადგა. ციხეში შვიდასი ქართველი იდგა, სოლომონ ბირველის სიძის, ქაიხოსრო აბაშიძის მეთაურობით. ორჯერ ჩაუთხარეს ლეკებმა ვახანის ციხეს საძირკველი ლაღუმების ჩასაყრელად და ასაფეთქებლად, მაგრამ ორჯერვე დროისად გამოუბრუნენ იმერნი ფიცხელი ხმალციემით და უკუაქციეს ლეკები სისხლდადენილნი. საქმე ისე მიდიოდა, ომარ-ხანს სწორედ ვახანში უნდა გათენებოდა შავი დღე. ქუთაისიდან წამოსული იმერთა ჯარი უკვე მარელისს მომდგარიყო, ერეკლე და ბურნაშოვი კიდევ ქართველთა და რუსთა ჯარით სურამს მოსულიყვნენ. ერთი დღეც და ორივე მხრიდან მოწოლილი ქართველები აქამდე ლალად მონავარდღე ლეკთა ბელადს გასრესდნენ.

მაგრამ ისე ეტყობოდა ომარ-ხანს ბოლომდე „ბედნიერი“ ფეხით უნდა ეთარეშა ქართულ მიწაზე. მეგზურებად ვახანის ციხეზე ორი თუ სამი მოლალატე იმერელი მოჰყოლოდა ლეკთა ბელადს. ახლა სწორედ ეს მოლალატენი შეუგზავნა ომარმა ციხეში ქაიხოსრო აბაშიძეს და შეუთვალა: გამოდი, შემხვდი, მოვილაპარაკოთ და შევრიგდეთო. ქაიხოსრო, — რომელმაც ქართველთა მაშველი ჯარების მოახლოებისა არაფერი იცოდა — ლეკის სიტყვას ენდო და ციხიდან გამოვიდა.

დაეტაკნენ და ხელ-ფეხი შეუკრეს ლეკებმა ქაიხოსროს ომარის ბრძანებით, ტანსაცმელი შემოაფხრიწყეს და ციხის დამცველთა თვალსაწაიხვად გავარვარებული რკინებით შანთვა დაუწყეს.

მეციხოვნეებმა ბატონის სიცოცხლე დაინდეს და ციხის კარიბჭე გახსნეს.

შეცვივდნენ ლეკები ვახანის ციხეში, გაძარცვეს, გაატიტვლეს, და ცეცხლს მისცეს. თავადიშვილთა გარდა, ყველა მამაკაცი ამოწყვიტეს, ბავშვები და ქალები ტყვეებად წაიყვანეს.

ტყვეთა შორის იყვნენ ორი მშვენიერი ასული ქაიხოსრო აბაშიძისა. ერთი თვითონ ომარ-ხანმა შეირთო ცოლად, ახლად შერქმეული სახელით — ჯავაირ-ხანუმ, ხოლო მეორე ცოლად გაუგზავნა შუშა-ყარაბაღის ბატონს იბრეიმ-ხანს.

ერეკლემ ქვიშხეთთან ჩაასაფრა ჯარი, მაგრამ ომარმა იაზრა, მთავარ გზას გვერდი აუქცია, ჯარი მთებზე საცალფეხო



ბილიკებით გადაიყვანა და ახალციხეში ისევ უვნებლად ჩავიდა.

მომაკვდავი ქართლ-კახეთი ერეკლე მეფის ნაჯაფარ მკლავებზე ესვენა და შველას ითხოვდა.

სისხლი დაშრეტოდა, სული მოშლოდა, გული გასტეხოდა. ქართული მიწაწყალი იცლებოდა. ქართველები და სომხები მოზღოკსა და ყიზლარში სახლდებოდნენ დედაბუდიანად, ყაზახელნი და შამშადილოელნი — განჯასა და ყარაბახში.

ერეკლე ისევ ითხოვდა ჯარსა და ფულს „მფარველისაგან“. ათიათასი რუსის ჯარისკაცი მინდოდა და სამასი ათასი მანეთი ფულადი დახმარებაო.

მაგრამ წერილებზე ან პასუხი არ იყო, ან უარი მოსდიოდა ნაირნაირი „მიზეზით“ და „მიზეზიანობით“.

მაინც სწერდა მეფე ერეკლე გარსევან ჭავჭავაძეს პეტერბურგში: „ნურც ათქმევინებ ვისმე ამას, რომ დიდის ეკატერინეს ჟამსა და ხელმწიფობაში რუსეთის შეერთების მიზეზით მოუშველებლობით დაიქცა საქართველო... რა ვქნა მე ბევრის იმედი მქონდა თქვენისაგან და კიდევაც მაქვს. მაშ ვისთან მივიდეთ და ვის გამოუცხადოთ ჩვენი ტკივილი, — ოსმალებთან მივიდე, მიმიშვებენ? ყიზილბაშებთან მივიდე — შემიწყნარებენ? დალისტნელებთან მივიდე — მიმიღებენ? მაშ ვისი სასოება მქონდეს, თუ არა რუსეთის დიდებულის ხელმწიფისა... ვის უნდა მივმართო და ვის უნდა ვაწყყინო თავი?!“

შავ ღღეში ჩავარდნილიყო პეტერბურგის კარზე ქართველთა რეზიდენტი გარსევან ჭავჭავაძე. ძალიან კი მოსწონდათ ეს ახოვანი, მომხიბლავი, თავაზიანი და განათლებული ქართველი თავადი, მაგრამ მისი „აბეზარი მოთხოვნები“ თითქმის ყოველთვის უპასუხოდ რჩებოდა იმპერატორის საწოლზე.

მაინც ფელდმარშალ გრიგორი პოტიომკინის იქით სხვაგზა არ ჰქონდათ ქართველებს. იქნებ რითიმე მოეხიბლოთ, დავაინტერესოთ ეს ყოვლისშემძლე კაცი და თავი გამოვადებინოთ საქართველოს საქმიანი (ღიახ, საქმიანი) დახმარებისთვისო, — ამბობდა გარსევან ჭავჭავაძე და, ბოლოს მან ასეთა „საპოლიტიკო განაზრახვი“ წარუდგინა ერეკლე მეფეს: პოტი-

ომკინს შენი უმრწემესი ასული, ანასტასია ბატონიშვილი, ცოლად მიეცი და მზითვად მთლიანად ხევი და მთიულეთი დაულოცეო. ამნაირად, დარიალ-ანანურის ქართულ მხარეში „მცირე რუსეთი“ შექმენი, სიძის საბატონოდო.

ერეკლემ მაშინვე დაიწუნა ასეთი „პოლიტიკა“. ანასტასია ბატონიშვილს საქმრო ჰყავდა, მაგრამ, ვთქვათ, ეს არაფერი? (რამდენადაც პოლიტიკას ქალის ცრემლები და სასიძოს გაწიბილება სასაცილოდაც არ ყოფნის); და ისიც „არაფერი“, რომ მაშინ, 1876 წელს ფელდმარშალი გრიგორი პოტიომკინი 47 წლისა იყო, ხოლო ანასტასია ბატონიშვილი 12 წლის (არც უსწორო ქორწინების ჯავრი ჰქონდა პოლიტიკას). მთავარი სხვა რამ იყო: ვინ იძლეოდა იმის უტყუარ იმედს, რომ ასეთი გაუგონარი ძღვენის შემდეგ, დროისაგან განეზივრებული, დიდგულა და ამპარტავანი ფავორიტი მართლა გამოიღებდა თავს საქართველოსთვის? ერეკლესაც სცოდნია უკვე, რომ ნაწილის გამეტება მთელს მაინც ვერ გადაარჩენდა.

ასე იყო თუ ისე, ერეკლემ თავისი ელჩის მონასაზრი დაიწუნა და საქართველოს დახსნის კიდევ „ახალი გზის“ ძიებას შეუდგა.

რუსეთთან შეკავშირების მომტერენიც მიესივნენ მეფეს, მეტადრე მდივანბეგი სოლომონ ლიონიძე და სიძე-სარდალი დავით ორბელიანი. არ გვიჯერებდი და აკი მართალი აღმოჩნდა, რომ „მფარველობა რუსეთისა დაშორებულია“ და რუს ხელმწიფე ვერც გვიშველის, არც გვიშველისო. ამიტომ უნდა ვეცადოთ, იქნებ ოსმალეთთან და სპარსეთთან შერიგება მოვახერხოთო.

ერეკლე მეფეს სიკვდილამდე ერთი წუთითაც არ უფიქრია ელაღატნა 1783 წლის ტრაქტატისათვის, ზურგი ექცია ქართველთა და რუსთა სამომავლო კავშირისათვის. მაგრამ ერეკლემ ისიც კარგად იცოდა, რომ საჭირო იყო ახალი, უფრო მოქნილი და მოქმედი საპოლიტიკო ღონისძიებანი, რომელთაც ქვეყანა დაჩიხული მდგომარეობიდან უნდა გამოეყვანათ.

ამას დაარქვეს საგარეო საპოლიტიკო გეზის „გადასინჯვა“: „გადასინჯვის“ მიხედვით, უწინარესად ყოვლისა საჭირო და გადაუღებელი იყო თურქეთთან ზავის ჩამოგდება.

სტამბოლის კარსაც მაშინ ძალიან სჭირდებოდა ერეკლე მეფესთან მშვიდობიანობის აღდგენა, სჭირდებოდა, რადგან ახალ რუსეთ-თურქეთის ომი თვეში იდგა, დღე-დღეზე უნდა დაწყებულიყო და ქართველთა „მიწონვას“ ისევ შეეძლო ეშალა ბრძოლის სასწორი კავკასიის საომარ მინდორზე.

ოსმალეთი პირველი ალაპარაკდა საქართველოსთან მშვიდობიანობის თაობაზე. სულთანმა აბდულ-ჰამიდ პირველმა ფიცხელი ფირმანები გამოუგზავნა ახალციხის, არზრუმის, ვანის, ყარსისა და ბაიაზეთის ფაშებს — ერეკლე მეფესთან კეთილმეზობლურად განეწყვეთო, ნუ შეაწუხებთო, ვინათგან როცა ხარი მშვიდობიანად წევს, ვაი იმას, ვინც გააჯავრებს და აიძულებს ფეხზე წამოვარდესო...

ახალციხის ფაშამ, აქამდე დანასისხლად გადამტერებულმა სულეიმან ჯაყელმა, მაშინვე გამოუგზავნა ელჩები ერეკლეს. დღეიდან ჩვენგან, ახალციხის მხრიდან, აღარც რაიმე მტრობა ელის თქვენს მიწა-წყალს, აღარც ლეკებს შევიკედლებთ თქვენს სამტროდ; სამაგიეროდ ნულარც თქვენ აგვაწიოკებთ, რუსის ჯარსაც ნულარ შემოუშვებთ საქართველოში და, ყოველივე რომ ასე აღესრულოს, ორი თავადიშვილი მძევლად გამოგვიგზავნეო.

ერეკლემ საგარეჯოში დიდებულთა საკრებულო შეჰყარა საათათბიროდ. თათბირს პოლკოვნიკი ბურნაშოვიც ესწრებოდა. ერეკლე უმრავლესობის აზრს მიემხრო და რუსეთის დაუკითხავად თურქეთის ქვეშევრდომთან ზავის შეკვრა გადაწყვიტა. ახალციხესა და ტფილისს შორის მტრობის ადგილზე მშვიდობიანობა და კეთილმეზობლობა გამოცხადდა. ახალციხის მხარეს, ერეკლე მეფის სამბრძანებლოს სამანებთან, ოსმალური ჯარები აღარ დადგებოდნენ; სამაგიეროდ, ქართველთა მეფე საქართველოში რუსთა ახალ ჯარს აღარ შემოიყვანდა.

ავარდა და დავარდა ბურნაშოვი, მაგრამ ერეკლემ დააწყნარა — თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ, მე თვით ყოველევს ვაუწყებ პავლე პოტიომკინსო.

ხელშეკრულება 1786 წლის 12 სექტემბერს დაიდო, ხოლო მეფემ ამის შესახებ მხოლოდ სამი თვის დაგვიანებით შეატყობინა პავლე პოტიომკინს.

ამ ამბების გასწვრივ ერეკლეს ერანთანაც გაუბამს საი-

დუმლო „მი-მო-სვლა“. 1776 წლის ზაფხულში სპარსეთის ტახტის ყველაზე დიდ სავარაუდებელ მფლობელს, ალა-მაჰმადს, ისფაჰანის ახლოს „დიდის პატივით“ მიუღია ზაქარია ციციშვილი („ზაქარია-ხან-გურჯი“). რუსეთის ხელისუფლებამ ეს შეიტყო და განმარტება მოითხოვა ქართველებისაგან. გარსევეან ჭავჭავაძემ უბასუხა: ერეკლე მეფე არაფერ შუაშია, ზაქარია ციციშვილი ერანში ნათესავეების სანახავად იყო წასულიო. მაგრამ მაინც ყველამ შეიტყო სინამდვილე: ალა-მაჰმადი ერეკლეს, ციციშვილის პირით, „დიდი დოსტობისა და მეგობრობის“ სურვილებს უთვლიდა. მალე ალა-მაჰმადმა „დოსტობის“ დასადასტურებლად ერეკლეს თავისი კაციც აახლა — მეიდ-ყული-ხანი.

ერეკლე „დამოუქიდებელ პოლიტიკას“ განასრულებდა. მაგრამ რუსეთთან კავშირის გაწყვეტა ისევ ერთი წუთითაც არ უფიქრია. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის ხელისუფლებაც უნდა მიმხვდარიყო, რომ ქართველთა მეფეს, მფარველისაგან მიტოვებულს, „სხვანაირად“ აღარ შეეძლო...

როცა ერეკლე მეფე ომარ-ხანთან ბრძოლით იყო დაკავებული, მისმა „მოკავშირემ და ქვეშევრდომმა“, ყარაბაღის ბატონმა იბრეიმ-ხანმა დრო მოიხელთა, განჯიდან ქართველთა მმართველი, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი გამოაძევა და მის ნაცვლად თავისი კაცი, ჯავათ-ხანი დასვა. მაშინვე შამშადილოელ თურქმანებსაც მოუწოდა იბრეიმ-ხანმა: საქართველოში რა გინდათ, აიყარეთ და ჩემთან, განჯა-ყარაბაღში გადმოეხახლეთო. ასედაც მოხდა, ოჯახებიანად იყრებოდნენ და მიდიოდნენ ქართველი მეფის ქვეშევრდომი ელი-მომთაბარენი.

ყოველივე ამებზე იბრეიმ-ხანი ოსმალეთის ჩაგონებით აკეთებდა, — ამბობდა ერეკლე.

ახლა კი ოსმალეთთან ერეკლეს ზავი და „კეთილმეზობლობა“ ჰქონდა დამყარებული და, „დასავლური საფრთხისგან“ თავდახსნილ მეფეს უფრო იოლად შეეძლო აჯანყებულ „მოკავშირე ცხვრებთან“ ანგარიშის გასწორება.

1787 წლის ივლისის მიწურულს ერეკლემ ბურნაშოვი აიყოლია და რუსეთ-ქართველთა ჯარებით განჯისაკენ გაქუსლა. მისვლისთანავე ჯავათხანი ყარაბაღელი ციხიონით ყარაბაღს გაიქცა. განჯა ისევ ქართველებს ჩაბარდა.

განჯაში ერეკლეს სომეხი მელიქები ეწვივნენ და მოახსენ-

ნეს: ყარაბაღში აღარ დაგვედგომება და ნება მოგვეცით იქა-  
ური სომხობა ავიყაროთ და, როგორც ეს აღრეც ხდებოდა,  
საქართველოში გადმოვესახლებითო. ერეკლემ დიდის სიზა-  
რულით მიიღო ეს თხოვნა. ქართველთა ჯარიც მაშინვე გაგ-  
ზავნა ყარაბაღს თავისი ძის, იულონ ბატონიშვილის სარდლო-  
ბით, იბრეიმხანმაც შემოაგება თავისი მხედრობა, მაგრამ  
ქართველებმა სწრაფად დაამარცხეს და გააქციეს ფიცხელი  
ხმალცემით. სომხებმა დაიწყეს გადმოსახლება; ყაზახელი და  
შამშადილოელი თურქმენებიც მოჰყვებოდნენ, მაგრამ უეც-  
რად, კარგად დაწყებული კეთილი საქმე ისევ ჩაიშალა.

პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა კავკასიის ჯარების ახალი სარ-  
დლისგან, ტეკელი სგან, ბრძანება მიიღო, შენი ჯარით  
საქართველოდან გამოდიო. მაშინვე აიყარა ბურნაშოვი წა-  
სასვლელად. ეხვეწა და ეღმერთა ერეკლე, ათი დღით მაინც  
დარჩი, სანამ სომხები და ჩემი გლეხები საქართველოში ჩა-  
აღწევნო, მაგრამ ბურნაშოვმა არასგზით არ შეისმინა და  
რუსთა ჯარით დარიალისკენ გაქუსლა.

მხოლოდ სომეხთა ერთმა ნაწილმა მოასწრო საქართველოს  
სამანებში შემოღწევა.

იბრეიმ-ხანმა ომარ-ხანი მოიწვია საქართველოს დასარბე-  
ვად.

ომარ-ხანი ჭარში ჩამოდგა ჯარით.

ერეკლე სასწრაფოდ გამობრუნდა განჯიდან.

ომარი შეშინდა, ჭარიდან აიყარა და შამახისკენ გაქენდა.

იბრეიმ-ხანმა კი თავისი გაინაღდა, — ყარაბაღიც მტკიცედ  
დაინარჩუნა და განჯაც დაიბრუნა.

1787 წელს აღესრულა დიდი ქართველი საეკლესიო და  
საგანმანათლებლო მოღვაწე, ჭეშმარიტი ლუთერი ქართველ-  
თა — კათალიკოსი ანტონ პირველი.

მის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად  
ეკურთხა რუსეთიდან ახლად დაბრუნებული ძე ერეკლე მე-  
ფისა, თეიმურაზი: ეკურთხა ახალი სახელით — ანტონ მეორე  
კათალიკოსი.

იმავე წელს თურქეთმა რუსეთს ქართლ-კახეთისა და ყი-  
ზიმის დათმობა მოთხოვა. რუსეთმა უარი თქვა. და დაიწყო

კიდეც ერთი „რუსეთ-თურქეთის ომი“. გაგრძელდა ოთხი წელიწადი (1787—1791).

ერეკლე მიხვდა, რომ ეს ომი მაინც არ იყო „ომი საქართველოსთვის“; ამიტომ ვერც ერთმა მხარემ — ვერც რუსეთმა და ვერც ოსმალეთმა — ვერ მოახერხეს მისი ვერც „ჩათრევა“, ვერც „ჩაყოლიება“, ვერც მუჭარით, ვერც მუდარით.

იმ წლებში ქართველი მეფე ისევ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საქმეებით იყო დაკავებული.

ობრეიმ-ხან ყარაბაღელი თავგამოდებით ცდილობდა, ქართველი მეფის სამტროდ მუსლიმან ხანთა კავშირი შეეკრა. ომარ-ხანი ისედაც მისი მოკავშირე იყო, მაგრამ ძლიერი ფათალი-ხან დარუბანდელი არ ღალატობდა ერეკლეს.

ობრეიმ ხანი დაეინებით თურქეთსაც აქეზებდა საქართველოს სამტროდ. ეს წაქეზებაც უშედეგოდ არ დარჩა. 1788 წლის 2 ნოემბერს სულთანმა აბდულ-ჰამიდმა ერეკლეს შემოუთვალა; რუსეთთან ყოველგვარი კავშირუროთიერთობა გაწყვიტეო, განჯა-ერევანზე ხელი აიღეო და შენს ძეთაგან ორი ბატონიშვილი მძევლად გამომიგზავნეო.

ერეკლემ ფიცხლავ ცივი უარი უთხრა „ბრწინვალე პორტას“ მბრძანებელს. სულთანმა ბრაზი ჩაყლაბა და ქართველი მეფის წინაშე „მეგობრული სიყვარულით“ აღსავსე წერილით მოიბოდიშა.

ერეკლე განჯას ჩავიდა და ხელახლა დაიმორჩილა. ჯაფათ-ხანმა სიკვდილამდე ერთგულება შეჰფიცა ქართველ მეფეს.

განჯიდან წამოსული ერეკლე მეფე, შამქორზე ფათალი-ხანს შეხვდა. მოკავშირეებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს, ჯერ ყარაბაღი და სამხრეთ აზერბაიჯანი დაეპყროთ, მერე ერანის „საქმეებშიც“ ჩარეულიყვნენ. მეფეს მაშინ ნადირ შაჰის შვილიშვილი ჰყავდა, სახელად ნაზარ-ალი-ხანი, რომელიც სპარსეთის ტახტზე „თავის კაცად“ უნდა დაესვათ ერეკლეს და ფათალი-ხანს.

მართლაც რომ დიდი განზრახვები ჰქონდათ, მაგრამ იყო ქვეყანაზე კაცთაგან მარად მივიწყებული სიკვდილი, რომელმაც იმავე 1789 წლის მარტში ფათალი-ხანი წაიყვანა...

ერეკლე ისევ მარტო დარჩა, საკუთარი ძალისა და საკუთარი სიბერის ამარად.

იმერეთს რომ სოლომონ დიდი მოუკვდა, ქუთათისის ტახტისათვის ორი დავითი დაემტერა ერთმანეთს, ორივენი „საშუალონი“ ან „ქვესაშუალონი“. ერთი სოლომონის ზიძის შვილი იყო — დავით გიორგის ძე, ხოლო მეორე — სოლომონის ძმისწული, დავით არჩილის ძე. ეს უკანასკნელი დედით ერეკლე მეფის შვილიშვილი იყო (სოლომონის ძმას, არჩილს, ცოლად ჰყავდა ერეკლეს ასული — ელენე).

მაგრამ იმერეთის საზოგადოებამ და მისმა მეწინამძღვრემ „საზებურო ერმა“ მათი დიდი ხელმწიფის აღსრულების შემდგომ ისეთი დიადი სამამულიშვილო — ეროვნული გულისა და სულის წადილი გაამქლავნა, რაიც არასდროს — თუნდაც უკიდურესი დაცემისა და დაკნინების ქამსაც კი — არ დაშრეტილა არც „დიდი“ და არც „მცირე“ ქართველი კაცის გულში.

ეს იყო ისევ და ისევ — ერთიანობა, მთლიანობა, განუყოფლობა „ყოველი საქართველოსი“.

დიახ, დაღადისი საქართველოს გაერთიანებისა!

1790 წელს ტფილისს იმერთა ელჩობა ეწვია, მეფე ერეკლეს წარუდგა და აჯა აღავლინა:

„ჩვენი სურვილია, იმერეთი ქართლ-კახეთს უნდა შეუერთდეს, იგივე სურთ გურიისა და სამეგრელოს მთავრებს; უნდა აღსდგეს ოდინდელი ერთიანობა სრულიად საქართველოსა, რომელსაც უხელმწიფებს ერთი მეფე, ვითარცა იყო ერთ დროს, ერთ მეფობისა დროთა, ხოლო ასეთი მეფე ერთიანი საქართველოსი უნდა იქნეს ერეკლე, სახელოვანი ხელმწიფე. მთელი დასავლეთ ქართველობა დიდის სიქადულითა და სიხარულით მოელის საქმისა ამის დასასრულს. მცხოვრებთა გლეხთაც იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთისა, მტერთაგან ჯვარისა გაოხრებულისა“.

მაშ, ერეკლეს საქართველოს გაერთიანებას და სრულიად ქართველთა ერთხელმწიფობას სთავაზობენ. ეს არის მარადიულად ჩაუქრალი ოცნება ქართველი ხალხისა. ვინ იცის, ერეკლესაც რამდენი უოცნებია მკვდრეთით აღდგენა ასწლეულების მანძილზე დასამარებული ერთიანობა ამერ-იმერი ქართველობისა. ახლა „იმერელი ერი“ თვითონ სთავაზობს და

ეაჩება მისი სკიპტრის ქვეშ შეერთებას; ეს არის საყოველთაო სურვილი დასავლეთ ქართველთა, თავადთა და მღაბიოთა, აზნაურთა და უაზნოთა; თითქოს პატარა კახს ისლა დარჩენია, ჩაღმის მინაგვარი თავსარქმელი გადაიძროს და მის ნაცვლად ერთიანს საქართველოს გორგასლიან-დავითიან-თამარიანის ჯიფოსნი გვირგვინი დაიდგას.

მაგრამ... ქართველ ხალხს ისტორიის ავზნიან ბედისწერისგან ერთიანობის აღდგინება თითქოს სამუდამოდ ჰქონდა წართმეული.

ჩვენც უბრალოდ გავათავოთ, რაიც მაშინ სწორედ, უბრალოდ, მარტივად და „მაცილად“ გადაწყდა.

ერეკლემ დარბაზში შეჰყარა და ჰკითხა, როგორ მოვიქცეთო.

დარბაზში აღფრთოვანებით მიილა დიდი სამამულიშვილო აზრი „იმერთა ერისა“.

დარბაზიდან ერეკლე ცოლის სანთიობოში გავიდა „სათათბიროდ“.

და გამოვიდა „ნათათბირევი“: დედოფალმა დარეჯანმა არინება იმერეთის შემოერთება! იმერეთში მეფედ ჩემი შვილიშვილი დავით არჩილის ძე უნდა იქნესო! მორჩა და გათავდა! იცის ხოლმე საისტორიო ბედისწერამ ავი დაცინვა...

საქართველო „საქართველოებად“ დარჩა.

ერეკლემ, დარეჯან დედოფლის შეუვალი ნებით, ქუთათისს ჯარი ვავზავნა და იმერეთის ტახტზე „მათი შვილიშვილი“ დასვეს — დავით არჩილის ძე, ანუ — მეფე სოლომონ მეორე...“

არამცთუ სრულიად საქართველო, არამედ ცალკე ქართლ-კახეთიც აღარ წარმოადგენდა ერეკლესათვის ერთიან, სხეულმტკიცე სახელმწიფოს. თვითონ ერეკლეს ოჯახური მრავალნაყოფიერება ქვეყნის შინაგანი დაქსაქსულობის ხელშემწყობი ყოფილა. ლევან ბატონიშვილის დაღუპვის შემდგომ, მეფის შვილნი — მემკვიდრენი, თითქმის ყველანი, ერთნაირად არიან „საშუალონი“ ან „ქვესაშუალონი“. თითქოს იმათშიც ჟამ-ჟამად იელვებენ ნაპერწყალნი მამისეული სიქველისა და სივაჟაკისა, მაგრამ უმეტეს ისევ და ისევ არიან მონანი დედისეული ეგოიზმისა, გულზვიადობისა და მეშურნეობისა. ყოველი მათგანი ცალკე საუფლისწულო საბატონოს მოითხოვს,

განცალკევებისკენ, კარჩაკეტილობისკენ მიიღტვიან და ამით ისედაც ცალფეხზე მდგარ ერთიან სამამულიშვილო სულს ძირსა და ფესვს უთხრიან. მხოლოდ ტახტის უფროსი მემკვიდრის, გიორგის ძენი, დავითი და იოანე ამჟღავნებდნენ ბაბის მალალ ღირსებებს, ნიჭსა და სიმამაცეს.

ერეკლეს, ბრძოლის ველზე უბადლო გმირს, ჟამსა სიბრძნისასა, საკუთარი ოჯახის მოვლა გასჭირვებია. დიდი ქართველი ხელმწიფის კარზე საქმეთა სამამაცოთა უკვე სჯაბნიან საქმენი საღიაცონი.

ექვსი უფლისწული — გიორგი, იულონი, ვახტანგი, მირიანი, ალექსანდრე და ფარნაოზი — ყველა „თავისად“ ვარაუდობდა ქართლ-კახეთის ტახტს.

ტახტი კი ერთი იდგა ტფილისის სასახლეში.

და აი, სიბრძნით განთქმული ხელმწიფე ბოლოს და ბოლოს ისე მოიქცა, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ ბანალურ ზღაპარში: სამეფო შვილებს დაუნაწილა: კახეთი გიორგის მისცა, ქსნის ხეობა — იულონს, საარაგვო — ვახტანგს, მარტყოფი — მირიანს, სურამი — ფარნაოზს.

ასე მოხდა, ვინათგან ასე სურდა დარეჯან დედოფალს.

მალე ამის შემდეგ ცოლმა ქმარს ახალ სამეფო-სამემკვიდრეო კანონზეც მოაწერიდა ხელი. მანამდე, თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, სამეფო ტახტი მეფის სიკვდილის შემდეგ ეკუთვნოდა მის უფროს ძეს. ერეკლემ ეს კანონი შეცვალა და მეფობის რიგში ძმები ჩააყენა. მართალია, მეფობას ჯერ მიიღებდა გიორგი, დარეჯან დედოფლის „არასასურველი გერი“, მაგრამ გიორგის სიკვდილის შემდგომ ტახტზე ავიდოდნენ არა გარდაცვლილის ძმები, არამედ ძმანი — იულონი, ვახტანგი, მირიანი, ალექსანდრე, ფარნაოზი, თანამიმდევრობით. ხოლო, ძმათა წუთისოფლის გასრულების შემდგომ მეფობას განაგრძობდნენ ძმათა ძენი...

ხოლო, ამასობაში სამხრეთის ცა ერთბაშად საავდრო ღრუბლებით გაიტენა და გასივდა.

პატარა კახს ახალი მეხთა-ტეხის ხმა არც ამჯერად გამოჰბარვია, მაგრამ გარემტრისადმი მუდამ უტყუარმა ალლომ და გერშმა სწორედ ახლა, ამ უცნაური ძნელყამობის ასალაგ-

მაგად, საბედისწეროდ უმტყუნა... საბედისწეროდ-მეთქი! 1794 წელს ერანის ტახტი დაიპყრო ალა-მაჰმად-ხანმა, ტომით ყაჯარმა, ტანჭირიანმა საქურისმა, გონებით ძლიერმა, მზაკვარმა და გულგესლიანმა კაციშვილმა.

ალა-მაჰმადმა დაკოდელი ბავშვობიდანვე იცოდა, ძალიან შორს ჩრდილოეთით ძლიერი „თეთრი ხელმწიფე“ იჯდა, ხოლო მის უზარმაზარ სამფლობელოთა სამხრეთით, კავკასიონს გადმოღმა, საარაკო სიამამაცის მქონე ქრისტიანი გურჯი ხელმწიფე ზედიზედ ამარცხებდა მაჰმადიანთა და ალაჰიანთა ურდოებს.

საქურისი ფიქრობდა ერეკლეზე, ფიქრობდა მის მოკავშირე რუსეთზე...

რუსეთი და საქართველო...

ბევრს ფიქრობდა და... ჯერ კიდევ ერანის ტახტის დაუფლებაზე სთხოვა ალა-მაჰმადმა ერეკლე მეფეს „დოსტობა და სიყვარული“. ოღონდ ერთად ვიყოთ და აზერბაიჯანს სრულად მოგართმევთ, როგორც „აქამდე გიჭირავთ ერევანიო“ — სწერდა მაშინ ყაჯარი ქართველს.

ერეკლეს ჰქონდა ცნობები ერანის ტახტის ახალ მადიებელზე. იქნებ კიდევაც ერთმანეთს სადმე შეჰყროდნენ ნადირ შაჰის კარზე უმამაცესად და უნიჭიერესად აღიარებული ქართველი ბატონიშვილი და სახემკნარი ყმაწვილი საქურისი, მაგრამ სპარსთა სასახლეში ამანათ-მძევლებს ვინ მოითვლიდა. ახლა კი ერეკლე კარგად ჰხედავს, იმ უთვალავ კაცთმოძულე, გაბოროტებულ, კაცობაწართმეულ ლანდთაგან როგორი საფრთხე ამოიმართა.

მაგრამ ერეკლემ ეს საფრთხე, რუსეთის ქომავობის სრული იმედით, თავგასაყადრებელ საფრთხედ არ მიიჩნია.

საქურისის „დოსტობა და სიყვარული“ კი არა, ქართველ მეფეს უფრო დიდი განაზრახი აქვს: ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარებით დაპყრობა თვითონ ერანისა! სწერდა ერეკლე ეკატერინეს: ივერიის და სომხეთის უპირველესი მტერი, სპარსეთი, ახლა ისეა დასუსტებული და დაწიწკნილი, თუ თქვენი უმაღლესობა ინებებს და ერთ მცირე კორპუსს გამოგზავნის, მთელი სპარსეთი თქვენი ძალაუფლების ქვეშ მოექცევაო.

ამნაირი „სერიოზული ფიქრი“ ჰქონია მაშინ ქართველ ხელმწიფეს.



აღა-მაჰმად-ხანი კი უკვე ერანის ტახტზე იჯდა.

ერეკლეს არც ის გამოჰპარვია, რომ ერანის ახალმა მბრძანებელმა მაშინვე საქართველო ამოიღო მიზანში.

ერეკლემ ორჯერ აფრინა ელჩი რუსეთში და ჯარი ითხოვა, ორჯერვე უპასუხოდ დარჩა მთხოვნელი.

დრომ ერთი წლით კიდევ მოიცვალა ნაბიჯი — 1795.

აღა-მაჰმად-ხანი აღრიან გაზაფხულზე თავრიზს მოვიდა და საომარ ძალთა შეყრას შეუდგა გამალებული.

უსისხლოდ საფრთხის აცილება აღარ ეგებოდა. მაისში ერეკლემ გარსევან ამილახორი აფრინა გენერალ გუდოვიჩთან (ახლა გუდოვიჩი იყო „კავკასიის ლინიის“ მთავარსარდალი და საქართველოს „შეფი“). მეფე მხოლოდ სამი ათას მეომარს სთხოვდა რუს გენერალს. მაგრამ გუდოვიჩი ტოტლებენზე ნაკლები გონებაბრჯგუ და გულდრკუე როდი იყო. ჯერ მან დიდხანს ვერ გაიგო, რა სურდა ქართველ მეფეს; მერე, როცა ასე თუ ისე გაიგო, ჯარის მიცემაზე თვითონ გადაჭრით უარი თქვა და პასუხის მისაღებად ქართველი ელჩი პეტერბურგს გაგზავნა.

მაგრამ — რა მკაცრია გეოგრაფია! საქართველოდან პეტერბურგამდე სამი თვე ჩასვლას უნდოდა, სამი თვე ჩამოსვლას, ხოლო თავრიზიდან ტფილისამდე სამი დღის სავალიც არ იყო!...

ახლა, რუსეთ-საქართველოს ექვსთვიან დიპლომატიურ გზას სამი თვეც დაუმატე, მკითხველო, ვინათგან მაისიდან სექტემბრამდე საოცარი მოთმინებისა და თავშეკავების მქონე გარსევან ჭავჭავაძე ამოდ ურახუნებდა დიპლომატიურ კვერთხს პეტერბურგის ორივე სასახლეს — „საზამთროსაც“ და „საზაფხულოსაც“.

„სპარსეთის ახლანდელი მბრძანებელი, აღა-მაჰმად-ხანი, საქართველოზე თავდასასხმელად ემზადება. ჩემი თანამდებობისამებრ უმდაბლესად გთხოვთ, გვაუწყოთ: ინებებს თუ არა რუსეთის უმაღლესი კარი ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარებისა და მფარველობის აღმოჩენას. ვთხოვ თქვენს ბრწყინვალეებას, სწრაფად მომცეთ პასუხი. ჩვენ ახლა უკიდურესად გვჭირდება ამის ცოდნა“.

პასუხი კი არ ჩანდა.

მაგრამ ერეკლე მეფე მაინც საკვირველი დაჯერებით, დაეი-



ნებით და რწმენით (რწმენით-მეთქი) გასცქეროდა ჩრდილო-  
ეთს.

ხოლო, სამხრეთში, ამასობაში...

ამასობაში საჭურისმა თავრიზსა და არღებში სამოცდა-  
ათი ათას მეომარს მოუყარა თავი. თან ერანის ხელმწიფე  
ზერბაიჯანისა და დაღესტნის ხანებს სოკბეთ-ესაულებს უგ-  
ზავნიდა, მორჩილებასა და ამანათ-მძევლებს მოითხოვდა, ხოლო  
ურჩობისა და ყოყმანისათვის დედა-ბუდიან ამოწყვეტით იმუქ-  
რებოდა.

ყველაზე იდრე ერეკლეს უღალატა და ალა-მაჰმად-ხანს  
მიემხრო განჯის ხანი ჯავათი, ტფილისში გაზრდილი, გიორგი  
ბატონიშვილის ახლო „დოსტი და მეგობარი“. ასევე მოიქც-  
ნენ შაქის, დარუბანდისა და ბაქოს ხანები.

საჭურის-მბრძანებელს მორჩილებაზე უარი შეუთვალეს  
დაღესტნის ხანებმა, მათ შორის ომარ-ხანმა, რომელსაც გუ-  
დოვიჩისაგან ფული ჰქონდა მიღებული.

ალა-მაჰმად-ხანთან შეურიგებელი ბრძოლის გზას დაადგა  
ყარაბაღის ხანი იბრეიმი, რომელსაც დიდი იმედი ჰქონდა  
თავისი მიუვალი ციხე-ქალაქის, შუშისა.

მაგრამ ყველაზე დიდი იმედი იბრეიმ-ხან ყარაბაღელს  
მაინც ერეკლე მეფისა და მისი ქართველებისა ჰქონდა.

სომხეთის პატრიარქმა ეჩმიადინიდან ალა-მაჰმად-ხანს ოთხ-  
მოცი ათასი მანეთი და რვა გირვანქა ოქრო გაუგზავნა და  
ამით „გაითავისა“. ხოლო, ერეკლეს მორჩილი ერევნის ხანი  
მუჰამედი ციხეში ჩაიკეტა და ხალხი საომრად გაამზადა.

ალა-მაჰმად-ხანის ესაული ტფილისში მოვიდა და ერეკლეს  
ბარათი აახლა: ურჩი ყარაბაღელი ხანის დასასჯელად შუშაზე  
მივდივარ და შენი ერთ-ერთი შვილის სარდლობით დაუყოვ-  
ნებლივ ქართველთა ჯარი მომაშველო.

ეს საჭურისის უკანასკნელი დიპლომატიური მანევრი იყო.  
მან ვითომ ერეკლესგან წერილებზე უპასუხოდა მტრობად არ  
მიიჩნია, ვითომ ქართველი მეფე მაინც მისი „უმალღესი დოს-  
ტი“ იყო, და ბოლოს და ბოლოს ახლა მაინც გაირკვეოდა,  
გაბედავდა თუ არა ქართველი მეფე სპარსეთის „ბოლომდე  
მტრობას“ და ხელს აიღებდა თუ არა რუსეთისაკენ „უსაზმ-  
ნოდ“ ხელების პოტინს?

ალა-მაჰმად-ხანი ურყევი ფანატიზმით შეპყრობილი მაჰ-



მადიანი იყო და არკი იცოდა, რომ მის ფანატიზმზე უმტკიცესი ქართველი მეფის „რუსული რწმენა“ იყო (არც ავგუსტინეს ლოგოსი უნდა სცოდნოდა საქურისს — რწმენის წინაშე ჰქრებაო ყოველი მიღწევა გონებისა...).

და ერეკლე მეფემ არც აცივა, არც აცხელა — ალა-მაჰმად-ხანის ელჩი სატუსალოში ჩააგდო. მერე, ჯარი მართლაც შეჰყარა, მართლაც უსარდლა თავისი ერთ-ერთი შვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი, მაგრამ გაგზავნა არა ალა-მაჰმად-ხანის სამსახურად, არამედ მის წინააღმდეგ, ყარაბაღელთა და ერევნელთა მისაშველებლად.

მაშ, ალა-მაჰმად-ხანს ომი აქვს საქართველოსთან!

და, მოჰხედვს საქართველოს, დიდო ღმერთო და... დიდო რუსეთო!..

16 აგვისტოს ალექსანდრე ბატონიშვილისა და იბრეიმ-ხანის გაერთიანებული ლაშქარი ერთ ვიწრო ხეობაში ერანელთა რვა ათასიან მხედრობას შეება და დაამარცხა. მაგრამ ამ შეტაკებას ომის მსვლელობაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია.

ერანელთა ურდო სამ ნაკადად წამოემართა — ერთი დალესტნისკენ, მეორე ერევნისკენ, მესამე საქართველოსკენ.

ერეკლე მეფემ ერთხელ კიდევ შეახსენა სასწრაფო დახმარება სანკტ-პეტერბურგს.

ალა-მაჰმად-ხანი კი ოცდათხუთმეტი ათასი მეომრით საქართველოსკენ მოჰქროდა.

იგი ერთი დღის სავალზე იყო საქართველოდან.

ხოლო, საქართველოდან პეტერბურგამდე იყო ასი დღის გზა.

ასი დღეც პასუხის გააზრებისა და გაცემისათვის.

კიდევ ასი დღე „იმ პასუხის“ საქართველოში დაბრუნებისათვის.

(მართლაც რომ ყოვლის მომცველი, ყოვლის განმსაზღვრელი და ყოვლის შთანთქმელი არიან დრო და სივრცე!).

ერეკლეს დაგზავნილი ჰქონდა წვევა საომარი ძალებისა.

და ვაი ამისთანა წვევას!

სამი ათასი ქართლელი,

ორი ათასი იმერელი,

არცერთი კახელი!

ყველაზე მეტად კახელებისა ეშინოდა ალა-მაჰმად-ხანს.

გიორგი ბატონიშვილი კი კახეთში იჯდა და არც გარყეულა, არც ერთი კახელიც უსაშინლესი საფრთხის ქამს საომრად არ გაურყევია.

მაშ, ხუთი ათასი ქართველი უნდა შეზღვეს ოცდათხუთმეტი ათას ერანელს.

ბედისწერის ჩარხი დატრიალდა საოცარი სისწრაფით.

და დაერქვა მას ტრაგედია კრწანისისა.

1795 წელი, თვე სექტემბერი.

7 სექტემბერი — გატეხილ ხიდთან ასკაციანი ქართული გუნდი სანახევროდ შეაწყდა ერანელთა ურდოს. ორმოცდაათი ქართველისა და ორასი ყიზილბაშის გვამს გადმოველო და გადმოსრიალდა მუსლიმანური გველეშაპი.

8 სექტემბერი — იაღლუჯას მთის ფერდობზე გორჯასპი ნათალიშვილის, დავით თარაშვილის და მათთან კიდევ ათი ქართველი მზვერავის გმირობა.

9 სექტემბერი — შავნაბადას ძირში დავით ბატონიშვილის წინამძღოლობით ქართველები ამარცხებენ ერანელებს.

10 სექტემბერი — შავნაბადას თხემზე და ძირში ისევ ქართველები, დავით და იოანე ბატონიშვილების წინამძღოლობით ამარცხებენ ერანელებს. ამდღევანდელი გამარჯვების მონაწილენი იყვნენ ზურაბ წერეთელი იმერთა რაზმით, ოთარ ამილახორი და იოანე მუხრანბატონი ქართლებით. ეს დღე — დღე ორშაბათი, 10 სექტემბერი 1795 წლისა საქართველოს უამსაბრუნავში აღინიშნება, ვითარცა უკანასკნელი გამარჯვების დღე დამოუკიდებელი საქართველოსი. ალა-მაჰმად-ხანმა ირწმუნა, რომ მომდევნო დღისთვის ერეკლე მეფე ბრძოლაში ჩააბამს „მთავარ ძალებს“, ბრძოლაზე ხელს იღებს და გასაქცევად ემზადება. მაგრამ საქართველოს მოღალატეები ერეკლესგან დაჰქერილ სპარსელ ელჩს გააქცევენ, ალა-მაჰმადთან მივლენ და შეატყობინებენ, რომ ქართველ მეფეს არამცთუ „მთავარი ძალები“, საერთოდ არავითარი ძალა არ გააჩნია და რაც გააჩნდა უკვე სავსებით შემოიხარჯა...

11 სექტემბერი — ბრძოლა კრწანისის ველზე, უკანასკნელი



ბრძოლა ერეკლე მეფისა, გასაოცარი გმირობა სამასი არ-  
გველისა, იოანე და დავით ბატონიშვილებისა, დავით მაჩა-  
ბელისა, მეზარბაზნე გურამიშვილისა... . . .

კრწანისის ბრძოლა დასრულებულია.  
აბოთეთოზი ქართველთა უიღბლო გმირობისა  
ომის დემერტს ჩაეთვლიმა, სისხლით გაღეშოლს.  
დარეცილია 15 000 სპარსელ-თურქმანი.  
მათ შორის მიმოფანტული 3 000 ქართველი.  
ამათგან — სამასი არაგველი.

წევს კრწანისის მიწა გაშეთებული, — ვითარცა სატანის  
ხელით ჩახსნილ-ჩაშლილი საკინძე საქართველოს მღელვარე  
მკერდზე...

მტერმა აიღო, გაძარცვა, დაანგრია, დასწვა და ააწიოკა  
საქართველოს წმინდა სატახტო.

„ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელის  
თქმად...“.

ათი დღის ძარცვა-რბევის შემდგომ აღა-მაჰმად-ხანი ტფი-  
ლისიდან წავიდა.

ერეკლე ტფილისში დაბრუნდა, კარავი დაიდგა და დანგ-  
რეულ-დაფერფლილი ქალაქის აღდგენას შეუდგა.

და ტფილისში რუსის ჯარიც შემოვიდა!

პოლკოვნიკი სიროხნევი ათას ხუთას მეომარსა და ხუთ  
ზარბაზანს მოუძღოდა.

ერეკლემ ეს დაგვიანებული მცირე წყალობაც დიდ იმედად  
მიიჩნია: საქართველოს მტრები თვალნათლივ დაინახვენ, რომ  
დიდი რუსეთი ბოლოს და ბოლოს საქმით კისრულობს  
სისხლდადენილი ერთმორწმუნე მოკავშირის დაცვას!

ერეკლე მეფე სარევანშო ბრძოლის სამზადისს შესდგო-  
მოდა. მან მოლაღატე ყმადნაფიცების დასჯით დაიწყო. ჯერ,  
აღეჭსანდრე და დავით ბატონიშვილები სახელდახელოდ შეყ-  
რილი ლაშქრით განჯაში გაგზავნა ჭავათ-ხანის დასასჯელად,  
სამზრეთიდან იბრემ-ხან ყარაბაღელის ჯარიც წამოვიდა გან-  
ჯისკენ. ჭავათ-ხანი ციხეში ჩაიკეტა. მისი ჯარები ქართველებმა  
სასტიკად დაამარცხეს და ქალაქს ალყა შემოარტყეს. მერე  
თვითონ ერეკლემ გიორგი და იოანე ბატონიშვილები იახლა

და განჯას ახალი ჯარითა და საიერიშო მანქანებით მიადგა ქართველთა შურისგებით დაშინებულმა ჯავათ-ხანმა დაზავება ითხოვა და ქალაქის გასაღებიც გამოგზავნა. ქართველები განჯაში შევიდნენ. ერეკლემ ყელზე საბელშებმული ჯავათი პირადად არ მიიღო და ყოველწლიურ ზარკად თხუთმეტი ათასი მანეთის გადახდა დააკისრა. საქართველოდან წაყვანილი ათასამდე თანამოძმეც გამოიხსნეს და თან წამოიყვანეს გამარჯვებულებმა.

განჯასთან მოპოვებულ წარმატებას ქართველთათვის ახალი სასიხარულო ამბავი დაერთო. ამ ამბავს საერთო კავკასიური, წინააზიური და, გნებავთ, მსოფლიო მოცულობის მნიშვნელობაც ჰქონდა. 1796 წლის გაზაფხულზე რუსეთმა სპარსეთს ომი გამოუცხადა. ეკატერინე დედოფალი ომის დაწყების მიზეზად ალა-მაჰამდ-ხანისაგან საქართველოს აოხრებას აცხადებდა, ხოლო სანამდვილეში ომის მიზეზები კასპიისპირეთზე ერანელთა გაბატონებას და რუსეთის სავაჭრო-ეკონომიურ მისწრაფებათა დასუსტებას უკავშირდებოდა.

ესე იყო თუ ისე, ერანისაგან შევიწროებული ამიერკავკასიის ხალხებისათვის სანატრელი და საოცნებო დრო დადგა. რუსთა ორმოციათასიანი არმია ეკატერინეს მორიგი ფავორიტის, გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვის მთავარსარდლობით შემოვიდა კასპიისპირეთში. 10 მაისს, ერთკვირიანი ალყის შემდეგ, რუსებმა აიღეს დერბენდი, 15 მაისს უომრად შევიდნენ ყუბასა და ბაქოში.

კასპიის პირზე მომავალი რუსული მხედრობის თანადროულად, მეორე არმია, რიმსკი-კორსაკოვის სარდლობით, ტფილისიდან წამოსულ სიროხნევთან ერთად, განჯას მიადგა. ჯავათ-ხანმაც უბრძოლველად ჩააბარა ქალაქი.

შუა ნოემბერში ზუბოვის ჯარებმა მიადწიეს მტკვრისა და არაქსის წყალსაკრებელს. აქ უნდა დაარსებულყო დიდი სამხედრო და სავაჭრო კოლონია, სახელად — ეკატერინოფელი, სადაც უნდა დასახლებულიყვნენ ახალგაზრდა რუსი ჯარისკაცები, რომელთაც ცოლად უნდა შეერთოთ ქართველი და სომეხი ქალები.

მსოფლიო შეარყია რუსთა მხედრობის კავკასიურმა ლაშქრობამ.

ალა-მაჰმად-ხანი კი სასოწარკვეთას არ ეძლეოდა. ჯერ, მაშ

თურქეთში აფრინა ელჩი და „საერთო მტრის“ წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გამოსვლა მოითხოვა. მაგრამ თურქეთის ხელისუფლებისაგან უარი მიიღო. მასუკან ისევ ერეკლესთან შერიგება სცადა და წერილიც ასეთი მაამებლური გამოუგზავნა:

„უზენაესად პატივცემულო, მაღალადგილიანო, უბედნიერესო, ქართველ მეფეთა შორის გამოჩენილო, ერანის ყველა სახელოვან ხანთა შორის უპატივცემულესო, სრულიად საქართველოს მეფე ერეკლე!..“ და სხვა მრავალი ამდაგვარი, მაგრამ „უზენაესად პატივცემულმა“ ქართველმა მეფემ ქართველი ხალხის უბოროტესი მოსისხლე ბასუხის ღირსადაც არ ჩააგდო...

რიმსკი-კორსაკოვმა ერეკლე მეფეს საგანგებო თათბირზე პირადად ამცნო, რომ მომავალი წლის აღრიან გაზაფხულზე რუსთა მხედრობა შუაგულ ერანში შეიჭრებოდა. გენერალ ვალერიან ზუბოვს ერანში თან გაჰყვებოდა ქართველთა ჯარიც, დავით ბატონიშვილის სარდლობით.

მაშ, ერანისა და მისი ბნელიანი მბრძანებლის დღეები დათვლილი იყო.

და უეცრად, ისევ ყველასათვის მოულოდნელად, ისევ შეტრიალდა საისტორიო ბედისწერის უამსაბრუნავი. სწორედ 1796 წლის შუა ნოემბერს, როცა რუსთა მხედრობა მტკვარ-არაქსის გზაკვანძზე იდგა და რუსულ-ქართულ-სომხური კოლონიაც უნდა ჩასახულიყო — გარდაიცვალა რუსეთის დიდი დედოფალი, ეკატერინე მეორე. ამის გამო ერეკლემ „დასდვა გლოვა 40 დღით საუფლისწულოთა თვისთა და სამეფოსა თვისთა“. ხოლო, ეკატერინეს შეიღმა და მემკვიდრემ, ახალმა იმპერატორმა პავლე პირველმა საგარეო პოლიტიკის სრული გეზი სრულადვე შემოატრიალა, ვალერიანე ზუბოვი მთავარსარდლობიდან გადააყენა და რუსთა არმიები ამიერკავკასიიდან გაიწვია. გარსევან ჭავჭავაძე უჯიათ და გულღრძო იმპერატორთან ვერაფერს გახდა. პავლემ მის თხოვნას ყურეც არ ათხოვა.

რუსები რომ ამიერკავკასიიდან გავიდნენ, ალა-მაჰმად-ხანმა ერეკლეს შეიკრიკი გამოუგზავნა და ისევ შერიგება სთხოვა. ტფილისელებმა ის ელჩი კინაღამ დაკლეს. ერეკლემ ალა-მაჰმად-ხანს შერიგებაზე ცივი უარი შეუთვალა.

მალე ალა-მაჰმად-ხანს მისმავე მსახურებმა ყელი გამოსტრეს.

ქართველები მათი მათხარი ჯალათის მოულოდნელ სიკვდილს უგემური სიხარულით შეხედნენ: მათ ხომ ძალიან „სუროდით ბრძოლის ყოფაი აღა-მაჰმად-ხანის მიმართ“.

რა გაეწყობა, — ქართველებს კრწანისის სისხლი აუღებელი დარჩათ.

ერანში შაჰის ტახტზე დაჯდა აღა-მაჰმად-ხანის ძმისწული ბაბა-ხანი, რომელმაც პავლე პირველთან მშვიდობიანი ურთიერთობა გააბა. ამ რუსულ-სპარსულ „წიაღსვლებში“ ქართველ მეფეს ერთადერთ ნუგეშად ისღა უნდა დარჩენოდა, რომ ბაბა-ხანის ელჩმა პავლე იმპერატორს სიტყვიერად აღუთქვა, — ამიერიდან ქართლ-კახეთს ერანელები აღარ შეაწუხებენო.

ეს იყო და ეს.

განჯიდან კიდევ შავმა ჭირმა შემოუტია საქართველოს ჯვარცმულ დედაქალაქს.

თელავის სამეფო სასახლესაც სიკვდილი მიხდგომოდა.

ხოლო პატარა კახს, მისი სიცოცხლის მერვე ათწლეულის ბოლოსაც არ ეცალა ეფიქრა უკვე კარს მომდგარ ყოვლისშემძლე და ყოვლისმსახვრალ სიკვდილზე.

მსცოვანი მეფე თელავის სასახლეში ატარებდა თავის მრავალტანჯული და მრავალნაყოფიერი წუთისოფლის უკანასკნელ დღეებს.

აქედან ხელმძღვანელობდა იგი დანგრეული და აოხრებული ტფილისის აღდგენას.

აქედანვე იძლეოდა მკაცრ განკარგულებებს ქართული საზღვრებისა და მორყეული სამანების გამაგრებაზე, ხალხისა და ჯარის მზადყოფნაზე, თოფ-იარაღით, ტყვია-წამლითა და საჭმელ-სასმელით გამარაგებაზე.

თვითონაც ისევ მზად იყო პირადად წასძლოლოდა ქართულ მხედრობას, საქართველოს მტერთა შესამუსვრელად.

ხოლო, სიკვდილი მაინც მოვიდა მიწიერთაგან უმამაცი სიკაცის შესამუსრავედ, კაცთაგანისა, რომელთან ურიცხვ შეხედრაში მას — ყოვლისშემძლე სიკვდილს — მუდამ მარცხიანი „ბალანსი“ ჰქონდა.

აკი მან, სიკვდილმა, ბოლოს და ბოლოს სძლია ვახტანგ გორგასალს, სძლია დიად დავით აღმაშენებელს... და უნდა სძლიოს „დიდ პატარა კახსაც“..

და სიკვდილმა ჩაფრად წყალმანკი შეუფხავნა მეფეს სხეულში.

ერთი წელიწადი იტანჯებოდა, საშინელი ტანჯვით მოხუცი მეფე.

1798 წლის საახალწლო ღღესასწაული აგონიაში გაითენა. გიორგი ბატონიშვილი ეწვია მომაკვდავ მამას.

მოიხედა ერეკლემ. გაიხარა. ფეხზედაც წამოდგა.

უცებ მამა-შვილურ გულჩვილობას გამოეხსნა და წამსვე ტახტის მემკვიდრე ტფილისსა და ყაზახ-ბორჩალოში გაგზავნა „მანდაურ საქმეთა“ მოსაგვარებლად.

წყალმანკი — სიკვდილის ავი ჩაფარი — მაინც დაუნდობლად არღვევდა ერეკლე მეფის ჩაკირულ სხეულს.

10 იანვარს შვილიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი ეახლა მეფეს.

ისევ მოიხედა გახარებულმა სნეულმა.

შუადღისას აბანო მოინებია. თეიმურაზმა გაჰხადა და ჩასვენა აბაზანაში.

გაიკვირვა თეიმურაზმა — როგორი თეთრი, ქათქათა ტანი ჰქონიაო სახით შევგვრემან პაპა-ხელმწიფეს!...

ერეკლე ფრჩხილებს დასცქეროდა სევდის ღიმილით.

სილურჯე შეჰპარვოდა ვარდისფერ ფრჩხილებს...

სიკვდილის ფერები უკვე სჯაბნიდნენ სიცოცხლის ფერებს მეფის სხეულზე.

გათენდა 11 იანვარი 1798 წლისა.

წუხილით ხელდარეული თეიმურაზ ბატონიშვილი ხედავდა, როგორ მიცურავდა მისი დიდებული პაპა სიკვდილის საუფლოში.

შუადღისას ავადმყოფმა გრძნობა დაჰკარგა.

სამი საათის მოქცევით იღვა უძრავად და უსულთქმოდ.

მზე ჩაესვენა, ზამთრის ცივი მზე.

დალამდა.

სიკვდილი გამძლავრდა.

მეფემ იგრძნო სამარადქამო მწუხრის მხუთავი სუნთქვა.

და მან კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, — გაიბრძოლა ძლევად მისგან მრავალგზის ძლეულის სიკვდილისად.

მივარდა თეიმურაზი, წამოდგომას არ ანებებდა. მაგრამ შეუვალი იყო მომაკვდავი მეფის უკანასკნელი სურვილი.

უკანასკნელი სურვილი, უკანასკნელად ფეხზე დადგომა უკანასკნელად უნდა მოავლოს თვალი საქართველოს უკანასკნელმა დიდმა ხელმწიფემ მისი ჯვარცმული ქვეყნის მიწას და ზეცას!...

მხრებში შეუდგნენ და გარეთ გაიყვანეს.

მღუმარედ გასცქეროდა ერეკლე მეფე წყვდიადში ჩაფლულ ქვეყანას.

მთელი მისი წუთისოფელი წყვდიადს ებრძოდა და მაინც წყვდიადის უამს ეთხოვებოდა მის სალოცავ სამშობლოს.

ბნელოდა და არავის შეეძლო დაენახა უმძიმესი ცრემლები დიდებული მოხუცის თვალებზე.

მხოლოდ ის იგრძნეს — სიკვდილი უკვე საბოლოოდ იყო წვეული.

შინ შეიყვანეს და დააწვინეს.

მეფემ თვალები დახუჭა და... დაიძინა.

უკვე სიკვდილის საუფლოში ეძინა.

მაშ, იდგა 1798 წლის 11 იანვრის ღამე, როცა ერეკლე მეორე, პატარა კახად წოდებული დიდი ხელმწიფე, მიიცვალა თელავის სასახლის იმავე პალატასა და სარეცელზე, სადაც იგი დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს.

აუარებელი ხალხი მიაწყდა თელავის სასახლეს.

ქართველობას თითქოს მართლა არ სჯეროდა საყვარელი მეფის სიკვდილი.

თითქოს მხოლოდ ძილი მოჰრეოდა მთელი წუთისოფელი უძილარ, მარად მტერთან ნომარ და ნაჯაფარ მამას სამშობლოსას.

ყველას უნდოდა მისი ხილვა, მისი დატირება, მასთან გამოთხოვება.

მეფის ცხედარი თელავის სასახლის მთავარ დარბაზში ესვენა, ძოწით მოსილ ამბიონზე.

ხელმარჯვნივ მისი ხელმწიფური ინსიგნიები ელაგა, ხელმარცხნივ დედოფლის სამკაულები.

დარბაზის ერთ მხარეზე, მგლოვიარე დედოფლის უკან, თეთრსაბურველიანი სეფე ქალები იდგნენ, ხოლო მათ პირისპირ მეორე მხარეს — კარისკაცები, გადამსხვრეული კვერთხებით ხელში.

ოცი ათასი ქართველი ვაჟკაცი, საომრად ჩასილადებული, სპატიო ჯარკრებულად უდგა ხელმწიფეს.

(სად იყო ეს ოცი ათასი კრწანისის საბედისწერო ბრძოლის უამს?).

ეზოში ერეკლეს ბედაური იდგა, სამგლოვიაროდ მორთული, უკულმა აღკაზმული. იგი თავშიშველ და მიწაზე მორთხმულ მეუზანგეს ეჭირა ხელში.

უნაგირზე თოფი და უქარქაშო ხმალი ესვენა, ზედ წარწერით:

„მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“.

სასახლიდან გაბმული ტირილი, მოთქმა, ზარი და ზუნი ისმოდა. — ტიროდა ყველა — დიდი და მცირე, ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცი.

მოდითდნენ მგლოვიარე ქართველები, ერეკლეს თანამებრძოლნი, მისი გმირობისა და სიჩაუქის თანაზიარნი და თვალთ მხილველნი. მოდიოდნენ, მეფეს უკანასკნელად ეახლებოდნენ, უკანასკნელად ეთხოვებოდნენ.

ორმოცი დღე-ღამე იგლოვა საქართველომ.

ორმოცის თავზე საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფის ცხედარი თელავიდან მცხეთაში გადაასვენეს.

სვეტიცხოველში, ქართველთა ზენაარ სალოცავში, დიდი ვახტანგ გორგასალის ახლოს დაკრძალეს ერეკლე მეფის ცხელი სულის აწ გაყინული სხეულებრივი სამკვიდრებელი.

## წიგნის ბოლო

ყოველი ხალხის საისტორიო წიაღში რომელიმე დიდი სახელმწიფო საქეთმპყრობელის სიკვდილს თან მოსდევს დროცამი დაქვეითებისა, დაწვრილმანებისა და დაქვეცენულებისა. არც საქართველო აღმოჩნდა „ბედნიერი გამონაკლისი“. დიდი ერეკლე მეფის სიკვდილის შემდგომ საქართველოში ჩამოწვა

წლები უფერულნი, უსახურნი, უემურნი და უღიმღამონი — სამი წელიწადი გიორგი მეთორმეტის მეფობისა (1798—1800).

მაგრამ მაინც მოხდა სანიშანსვეტო ამბავნი ბოროტი მე-თვრამეტე ასწლეულის აღსასრულს საქართველოს წამებულ მიწაზე.

1799 წლის ნოემბერში „მაშველი პოლკი“ შემოვიდა რუსეთიდან საქართველოში, გენერალ ლაზარევის სარდლობით. მათთან მოვიდა რუსეთის წარმომადგენელი ქართველი მეფის კარზე, „მრჩეველი მინისტრი“ კოვალენსკი.

„10 000-ზე მეტი ადამიანი მიისწრაფოდა ქალაქს გარეთ, რომ რუსთა რაზმების შემოსვლა ენახა. თბილისის თითქმის ყველა სახლის სახურავი სავსე იყო ქალებით, რომლებსაც ერთფეროვანი თეთრი ტანსაცმელი ეცვათ. კრიალა და მზით გაბრწყინებული ცის ქვეშ ქალაქში განფენილი ეს ბანაკი პოეტურ სანახაობას მიაგავდა. ზარბაზნების სროლა და ზარების რეკვა ყველა ეკლესიაში ატყობინებდა ქართველ ხალხს დაწყებული ზეიმის შესახებ. ხალხის მოძრაობა, მისი აღფრთოვანებული შეძახილები ავსებდნენ ძმური მიღების ამალღვევებელ სურათს და ამჟღავნებდნენ რუსეთისადმი გულწრფელ ერთგულებას“, — სწერდა კოვალენსკი კნორინგს.

იმავე „ცითმოვლენილი დღის“ შესახებ წერდა ილია ჭავჭავაძე: „მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა“.

რუსი არის ჩემი მზსნელი, ჩემი ძმა, თანაზიარი ჩემი ლხინისა და ჩემი ჭირისა! — იყო ფიქრი და რწმენა ყოველი ქართველისა...

მაგრამ ერეკლე მეფე რომ მკვდრად დაიგულეს, ახალი მეფის უძლურება ირწმუნეს, ისევ მიწვდნენ ხმლებს საქართველოს მარადიული მოსისხარნი. საქართველოში რუსებიც შემოსულიყვნენ, მაგრამ არც ამას შეუშინდნენ საქართველოს დაპყრობის მეოცნებენი; არ შეუშინდნენ, ვინათგან რუს-ქართველთა ეგზომ ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე ჯერ არავის ენახა „ქრისტესმიერ ძმათა“ რაიმე ერთიანი „მასშტაბური გამოსვლა“ მისი „მასშტაბური შედეგით“. ჯერ მხოლოდ

ბქუხდა და ცხოველმყოფელი წვიმა მაინც არ ჩანდა გვალვი-  
საგან განაწამებ მიწაზე.

1800 წლის ოქტომბერში ამბავი მოვიდა საშფოთარი —  
ომარ-ხან ავარიელი დიდ თავდასხმას ამზადებს საქართველო-  
ზე!

ომარ-ხანი, — ერთადერთი, რომლის სისხლის ჯავრი სამა-  
რეში უნდა წაპყლოდა ერეკლე მეფეს.

თანაც — დაცინვა პატარა კახის ხსოვნისა: სწორედ მისი  
სისხლი და ხორცი მოუძლოდა ომარ-ხანის ჯარებს საქართვე-  
ლოს დასამხობად და ამოსავდებად — ალექსანდრე ბატონი-  
შვილი. საქართველოს ტახტს ეძიებდა, უფროსი ძმის გიორგის  
ჩამოგდება გულს ამოეჭრა, საშველს ხან თურქეთში ეძებდა,  
ხან სპარსეთში, ძებნა ამაოდ გაუთავდა, ბოლოს ლეკების „დიდ  
ბელადთან“ მივიდა, საქართველოში აღრეული ლაშქრობანი  
გაახსენა, საქართველოზე დამტერებული სისხლი ხელახლა გა-  
უხელა და სამშობლოს წასახალისებლად ხელში ხმალი  
ააღებინა.

კორიოლანუსი ხომ გახსოვს, ჩემო მკითხველო? ქრისტეს  
წინარე V საუკუნის რომაელი ავანტიურისტი, თანამემამულე-  
ებთან განხეთქილების გამო რომის მოსისხლე მტრებთან რომ  
გაიქცა და მათი დახმარებით მშობლიური ქვეყნის დაპყრობა  
სცადა! საქართველო არც ერთი „მსოფლიო მოვლენიდან“ არ  
გამოწყვეტილა, ყოველი „მსოფლიო მოვლენა“ თავის სისხლსა  
და გონებაში საკუთარი ეროვნული ელფერით გადუხარშავს და  
გაუტარებია, და თავისი, საკუთარი ეროვნული კორიოლანუ-  
სებიც არ დაჰკლებია „თავ-თავის ღროზე...“.

მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილი ქართველი იყო და, რო-  
გორც ქართველს სჩვეოდა, სრულად გადააჭარბა თავის წინა-  
მორბედს, კორიოლანუსობის ფუძემდებელს, თვითონ კორი-  
ოლანუსს. არავის თხოვნას და მუდარას მაშინ ანგარიში არ  
გაუწია კორიოლანუსმა და უკან არ გააბრუნა სამშობლოს  
მიწაზე მისგანვე შემოყვანილი მტრის ლაშქარი, მაგრამ დედის  
თხოვნას ვეღარ გაუძლო მანამდე გულუძვრელმა კაციშვილ-  
მა, თუმცა იცოდა მტრის ხელითვე უეჭველი სიკვდილი ელო-  
და, დედის თხოვნაზე მაინც გააგდო ხელიდან სამშობლოს და-  
სამხობად აღმართული მახვილი. ხოლო ალექსანდრე ბატონი-  
შვილმა არც დედის თხოვნა შეიწყნარა...

მთელი დაღესტანი დაძრეს და დააცურეს ომარ-ხანმა და ალექსანდრემ საქართველოს წასალეკავად.

18 000 ლეკი მოთქარუნობდა.

ყველაზე წინ ალექსანდრე ბატონიშვილი მოაგელვებდა ცხენს, 2000 ნარჩევი ლეკით.

ქართველი კოროლანუსის შემდგომ, თვითონ ომარ-ხანი მოდიოდა ავარიელთა ჯარით, შემდგომ კი — დანარჩენი ლეკი-ბელადნი თავიანთი ჯარებით...

ტფილისის სასახლეში ექვსი კაცი იჯდა თათბირად — სამი ქართველი და სამი რუსი: გიორგი მეფე და მისი ძენი, იოანე და ბაგრატი; რუსები — კოვალენსკი, ლაზარევი და გულიაკოვი.

თათბირი დასრულდა და რუსულ-ქართული მხედრობა სასწრაფოდ გამოვიდა ტფილისიდან.

ეგერთა და მუშკეტერთა პოლკები — 2000 რუსი ჯარისკაცი; სარდლები — გენერალი ლაზარევი და გენერალი გულიაკოვი.

1500 ქართლელი და 1000 კახელი მეომარი; სარდლები — იოანე და ბაგრატ ბატონიშვილნი.

სიღნაღს მივიდნენ მგლური მარშით ქართველები და რუსები. მაშინვე მტერი მოიკითხ-მოიზვერეს.

ალაზანი გადმოუღალახავთ და სიღნაღიდან თექვსმეტ ვერსზე დაუბანაკებიათ ლეკებს.

ლაზარევმა ქართველთა და რუსთა მხედრობა სიღნაღიდან ღამით გაიყვანა და მტერს ოთხ ვერსზე მიეახლა. მტრის ბანაკის სიდიდემ შეაფიქრიანა და შეაკრთო მთავარსარდალი. იქნებ, მაინც მშვიდობიანად გაეაწყოთ რამეო, იფიქრა და ტფილისიდანვე წამოღებული წერილები ამოიღო ლაზარევმა. ერთი მისგანვე იყო დაწერილი, ომარ-ხანისადმი სამშვიდობო და „სამეგობრო“ განწყობილებებით და წინადადებებით; მეორე დარეჯან დედოფლის წერილი იყო შვილისადმი, ალექსანდრე ბატონიშვილისადმი.

ნუ იზამ, შვილო, ნუ გაიმეტებ შენს ამოწყვეტილ სამშობლოსო, — სწერდა დედა შვილს — სისხლის დაქცევა არ გვაკლია, შენი პირადული სამშობლოს სისხლად და ჭირად არ უნდა გარდახდესო, მამის ძელებსა და შენი გამწარებული დედის სიცოცხლეს გაფიცებ უკანვე გააბრუნე ლეკის ჯარები და

ლაიხენი შენი თავი სირცხვილისაგან და სამშობლო შენი  
სისხლისღვრისაგანო.

ლაზარევმა ელჩი გამოჰყო, წერილები გადასცა და ომარ-  
ხანის ბანაკში გაგზავნა. მთავარსარდლის მკაცრი ბრძანებით,  
ელჩი სამ საათში უნდა მობრუნებულიყო.

ომარ-ხანმა წერილი წაიკითხა, მაგრამ არც პასუხი გასცა  
და არც ელჩი გამოუშვა მთელი ღამის განმავლობაში.

ალექსანდრე ბატონიშვილმაც წაიკითხა დედის წერილი,  
მაგრამ იგი კორიოლანუსზე უფრო სასტიკი აღმოჩნდა, გულ-  
ღრძობაში „ქართული სიჭარბით“.

სანამ რუს-ქართველთა სარდლობა რაიმეს შეიტყობდა,  
ომარ-ხანმა და ალექსანდრემ ბანაკი აპყარეს და საგარეჯო-  
სკენ წამოემართნენ.

წინ ისევ ალექსანდრე მოდიოდა, მანავისა და საგარეჯოს  
ციხეების აღებაც მას ჰქონდა გულს ამოჰრილი. საგარეჯო  
ტფილისის „შესავლად“ მიაჩნდა და მისი დაუფლებით საქარ-  
თველოს სამეფო ტახტი უკვე „ერთ ხელ-გადაწვდენაზე“ ეგუ-  
ლებოდა.

შუალამისას კახელმა გლეხებმა შეატყობინეს ლაზარევს  
მტრის აყრისა და გალაშქრების ამბავი. ლაზარევმა მზვერავთა  
რაზმი გაგზავნა, პორუჩიკ კოტლიარევსკის მეთაურობით. მიაგ-  
ნეს ლეკთა გეზს და გამოედევნენ რუსები და ქართველები.  
დღენახევარი სდიეს და ბოლოს, გზა მოუჭრეს მდინარე იორ-  
სა და სოფელ კაკაბეთს შორის, ნიახურას ციხესთან.

მაშ, ნიახურა, 1800 წელი, 7 ნოემბერი.

მარცხენა კერძით მუშეკეტერთა პოლკი დალაგდა, მარჯვენა  
კერძით — ეგერთა პოლკი. შუაზე ქართველები ჩადგნენ.

ლაზარევმა ბრძოლის ხელმძღვანელობა გენერალ-მაიორ  
გულიაკოვს მიაწოდო. ქართველმა სარდლებმა, იოანე და ბაგრატ  
ბატონიშვილებმა, რუსი გენერლის მთავარსარდლობა სცნეს,  
ოღონდ „ვიეთნიმე მოულოდნელის“ შემთხვევაში „საკუთარი  
მოქმედების“ უფლება მოითხოვეს.

შეთანხმდნენ.

ბრძოლა დაიწყო.

ლეკებმა დაიწყეს.

ალექსანდრე ბატონიშვილი გამოუშვა ომარ-ხანმა მეწინავე



მოიერიშედ. რუსთა მარჯვენა კერძს, ეგერთა პოლკს შემოუ-  
ტია ალექსანდრემ.

კარტეჩი შეაგება გულიაკოვმა. ჩაიკეცნენ მეწინავე ლეკნი.  
ტყვია შემოიხარჯეს ალექსანდრეს მომდევნო მწკრივებმა.  
ხმლები იშიშვლეს და იერიშზე წამოვიდნენ გამგელებულნი.  
ჩაიკირნენ რუსნი მიჯრილი წყობით, ხიშტის ჯაგარით ჩაჯა-  
რულნი.

იოანე ბატონიშვილმა ჩაუჭრა გზა ბიძას, გარეჯახელთა  
ათასეულით.

უკუიქცა ალექსანდრე.

წამსვე გავეშებით დაიძრა სრულის ძალებით ომარ-ხანი,  
მარცხენა კერძს თვითონ მოუძლოდა ეგერთა ასაჩეხავად,  
მარჯვენას ჰაჯი ახმეტ-ხანი მოაქანებდა მუშეცეტერთა ასაკათა-  
ვად.

ბაგრატ ბატონიშვილი გაიჭრა და დაეძგერა ხმალ და ხმალ  
ჰაჯი ახმეტს, ელვის უსწრაფეს თავი წააგდებინა.

მუშეცეტერმა ნოვიცკიმ ტყვია იტაკა ომარ-ხანის მედრო-  
შეს და დაითრია ლეკთა „სახელმწიფო დროშა“.

„ცეცხლი!“ — იბღავლა გულიაკოვმა.

ცივ-გომბორი შეაზანზარა თოფ-ზამბურაკთა მეხთატეხამ.  
ცხენი გააბრუნა და გაქუსლა ომარ-ხანმა ბრძოლის ველი-  
დან.

ლეკებიც გაჰყვნენ გაქცეულ ბელადს.

გააფურთხა და გაჭენდა ალექსანდრე ბატონიშვილიც.

ზურგიდან ტყვია დაეწია, ბეჭი ჩაუჭრა, შექანდა, მავრამ  
ისევ გაიმართა და გაფრინდა გახელებული, ჯავრის კვამლით  
გულგატენილი.

მტრის გაქცევა გამარჯვებად იკმარეს გულიაკოვმა და ლა-  
ზარევმა.

მავრამ არ დადგნენ ქართველები, ვერც რუსებმა შეიმაგ-  
რეს და გამოედევნენ გაქცეულებს იოანე და ბაგრატ ბატონი-  
შვილნი.

მიმწუხრამდე სდიეს და სჩეხეს მომტერენი ქართველებმა  
გაალმასებით. ღამემ და ივრის პირებზე სჭლად ჩაკურუმებულ-  
მა ლერწმიანებმა შეიფარეს სიკვდილს გადარჩენილი, გაქ-  
ცეული და გაფანტული ლეკები.

სამი ათასამდე ლეკი დარეცილიყო ნიახურას ველზე, ორი  
ათასამდე გზაზე აეკათათ ქართველებს ლეკნი,

მეორე დღეს კაკაბელნი და მანაველნი ბატის ჭუკებზე იჭერდნენ ივრის ჭალებში, ლერწმიან ქალტამებში ჩარჩენილ და ჩაჩუმქრულ ლეკებს...

გამარჯვებულნი დამარცხებულებზე რას არ იტყვიან და ეს ანეკდოტიც თქმულა იმჟამად, — ისეთი, ბარონ მიუნჰაუზენსაც რომ შეშურდებოდა: ნიახურას ბრძოლაში ერთმა ლეკმა ერთ რუს ეგერს ტყვია გაარტყა, მაგრამ ტყვია მაზარაში გაიპედა და წამსვე მაზარიდან ამოიძრო მტრისგან ნასროლი ტყვია ეგერმა, შტუცერში ჩაუშვა, გაისროლა და იმ გასროლით ის ლეკი გააგორაო!..

ამ მარცხის შემდგომ აღარ გაუხარია ომარ-ხანს, სამუდამოდ შერცხვენილმა და დაკნინებულმა ლოთობას მისცა თავი, ლოთობაში ჩაიძირა და ჩაჰყვა სიკვდილს.

ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ იბრეიმ-ხან ყარაბაღელთან მივიდა შუშაში, იქ დიდხანს აღარ დარჩენილა, წამოვიდა და გარეჯს მოვიდა. ერთი წელიწადი შეინახა თავი აქაურ ბერთა და მღვდელთა შორის. ჭრილობა მოიჩინა და ისევ წავიდა საქართველოს ტახტის „საძებრად!..“

ლეკებზე გამარჯვება ქართველებისთვის რა დიდი ბედენა იყო, — ეს ან ვის გააკვირვებდა, ან ვისთვის რა ხაზინას ააბრუნებდა!

ნიახურას გამარჯვების ნიშანსვეტი სულ სხვა რამ იყო: ქართველებისა და რუსების თანაბრძოლა, თანადგომა და თანაძმობა.

ნიახურას ბრძოლამ სწორედ ეს ჭეშმარიტება დაადასტურა კიდევ ერთხელ, ძირმტკიცედ და დაბეჯითებით: რუსისა და ქართველის ერთიანობა უქველი გამარჯვების საფუძველი და მომასწავებელია, ორივესთვის სასიკეთო და სამარადისოდ სარგებლიანი.

ძალიან „ეხმატკბილებოდნენ“ ერთმანეთს რუსი და ქართველი, საოცრად „ეთანასულიერებოდნენ“ ერთმანეთს, მკლავიც საოცრად „ემამაცურებოდათ“ მტრის წინააღმდეგ ერთად ბრძოლის ჟამს, ძალიან „ემშვენებოდნენ“ ერთმანეთს ქართული „უქარქაშო ხმალი“ და რუსული „ყოჩაღი ხიშტი“ (სუვოროვის ნათქვამი გახლავთ).



რუსსა და ქართველს ძალიან „უხდებოდათ“ ერთად ცხოვრება, ვინა — „გაერთიანება“.

(აქ ლაპარაკია რუს და ქართველ ხალხთა ერთიანობაზე და არა რუს-ხელმწიფეთა დამპყრობლურ ამბიციებზე)...

**„შეერთება“**

ერეკლე მეფეს დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი ეძინა. გიორგი მეფეს დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი ეღვიძა. ერეკლე მეფის ტანის სიმსუბუქე სწორედ არწივს შეეხარბებოდა.

გიორგი მეფის ტანის სიმძიმე სწორედ სპილოს შეეხარბებოდა.

ერეკლე მეფე, ბრძოლად მიმავალი, ერთ ლუკმა პურს და ერთ ჭიქა ღვინოს იკმარებდა.

გიორგი მეფე, წოლად მიმავალი, ერთ მოხარშულ ზაქს და ერთ ჩაფ ხოდაშნურს ძლივს იკმარებდა.

ასეთი იყო გიორგი მეფე.

და გარდაიცვალა იგი 1800 წლის 28 დეკემბერს.

და დადგა ახალი საუკუნე.

წელიწადი სანიშანვეტო — 1801.

საქართველო შეიერთა რუსეთის იმპერიამ.

საისტორიო ბედობაზე ამ გზით წაიყვანა და ამ ნიშანვეტთან მიიყვანა ქართველი ხალხი.

ეს ნიშნავდა სპარსულ-თურქულ „სხვადადაქცევისაგან“, ანუ ეროვნული გადაშენებისაგან თავის დახსნას.

ეს ნიშნავდა „სხვასთანყოფნის“, ანუ „თანაყოფნის“, ანუ „თანაარსებობის“, ანუ ეროვნული გადარჩენის სრულ გარანტიას.

მივმართოთ ანალოგიას:

დიდი საბერძნეთი ქრისტეს წინარე V—IV საუკუნეთა მიჯნაზე, უმძიმესი ოცდაშვიდწლიანი ომების („ბელოზონესის ომები“) შემდგომ, დანგრეული დაშლილი და დაუძღვრებელი უეჭველი მსხვერპლი უნდა გახდეს სპარსული ექსპანსიისა, ანუ „გასპარსელებისა“ ანუ ეროვნული გადაშენებისა. საბერძნეთს არ გააჩნია შინაგანი ძალები ხელახალი აღორძინებისათვის.

ნებისა და მოსისხლე მტრის უკუგდებისა, მას არა საშველით არ შეუძლია თვითონ დაიხსნას და შეინარჩუნოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული დამოუკიდებლობა. ამიტომ ბუნებრივად გაჩნდა საჭიროება ასეთი „მხსნელი“ ძალებისა და გზების ძიებისა ქვეყნის გარეთ. და მიაგნეს კიდევ ასეთ „სასურველ გარეგან ძალას“. ეს იყო ახლად აღზევებული და გამძლავრებული მაკედონია, „ახლობელი“, „ერთმორწმუნე“, „ერთსულიერი“ ქვეყანა საბერძნეთისა.

სპარსეთი საბერძნეთს უქადდა უეჭველ „სხვად-გადაქცევას“.

მაკედონია კი — „თანაყოფნას“, ანუ „თანაარსებობას“.

და საბერძნეთი შეუერთდა მაკედონიას.

იქნებ ამას ისტორიაში „დაპყრობასაც“ ეძახიან, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ საბერძნეთი მაშინ სწორედ გადაარჩა ფიზიკურ განადგურებას და ეროვნულ გადაშენებას.

ასეთივე გახლავთ საქართველოს „შეერთება-დაპყრობის“ მიმართებანი XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე.

რუსეთი ისეთივე „მხსნელი“ და „გადამრჩენელი“ უნდა ყოფილიყო საქართველოსთვის, როგორც მაკედონია იყო საბერძნეთისთვის.

(საერთოდ, ბევრი ანალოგია იძებნება საქართველოსა და საბერძნეთის ცივილიზაციათა ისტორიაში. აწ მოხსენებულის გარდა, ადრე, დავით აღმაშენებლის ეპოქის განხილვისას ვახსენეთ ანალოგია „ელინიზმისა“ და „ქართლიზმისა“...).

მაგრამ — ისევ გაისმის ჭირვეული კითხვა — აკი მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილეთა — ითქვა ეს დიდი სიტყვა დიდი პიროვნებისაგან, და ვისა აქვს ამ გასაოცრად ზუსტი, სხარტი და ტევადი განმარტების „მოხსნის“ უფლება ან საფუძველი?!

დიახ, დიახ, მაგრამ... დასდევენ კაცს მკვლევები მოსაკლავად და მოკლავენ კიდევ, მიუცილებლად მოკლავენ, მაგრამ თუ ამ კაცმა, სიკვდილისათვის უეჭველ განწირულმა, საპყრობილეთში შეასწრო, იგი გადარჩება სიკვდილს... და იქნება იგი საპყრობილეთში სხვებთან ერთად, იქნება ცოცხალი, სულდგმული, და იარსებებს (იარსებებს-მეთქი!) სხვა „რომელიმე“ დროის, „უკეთესი დროის“ მოლოდინში. და თუ დადგა ის „საოცნებო დრო-ჟამი“, ყველას ეშველება მაშინ — ამ კაცსაც

და ვინც ამ კაცს დახვდა იმ საპყრობილეში, პყრობილი ყოველი ენისა და ყოველი რჯულისა. ამიტომ საჭიროა და აუცილებელი შეასწროს სიკვდილს გადაყრილმა ადამიანმა საპყრობილეში, შეასწროს, ვინათგან ახლა გმირულ სიკვდილს „გმირული გადარჩენა“ სჯობია, ანუ — „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარვისა მამაციისაგანო“ და სხვ. მისთ... ბოლოს და ბოლოს, იმ „ცარისტულ საპყრობილეში“ იხსდნენ თვითონ რუსები, იხსდნენ და არსებობდნენ (არსებობდნენ-მეთქი!) „უკეთესი ღროის“ მოლოდინში. და ამიერიდან მათთან ერთად იქნებოდნენ და იარსებებდნენ (იარსებებდნენ-მეთქი!) ქართველებიც, ისინიც, „უკეთესი ღრო-ქამის“ მოლოდინში...

საპყრობილეში კი პყრობილთა ჯანყი მძვინვარებდა და ქართველებიც ისე იბრძოდნენ, როგორც თვითონ რუსები ებრძოდნენ თავიანთსავე ქვეყანაში წარმოშობილ ცარიზმს. ქართველთა ბრძოლაც წმინდა ანტიცარისტული ბრძოლა იყო და არა ანტირუსული.

ზედმეტ-ნაკლებად, ჟამ-ჟამად და ადგილ-ნაცვლობით, რუსეთშიც და საქართველოშიც ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ერთნაირად იყო სახალხო, საყოველთაო — იბრძოდა გლეხი, იბრძოდა აზნაური, იბრძოდა თავადი. ყველას ერთნაირად ერგებოდა და „ერგებოდა“: სახრჩობელა—ცარისტული რუსეთის ყელზე შესკვნილი ყველაზე მოდური ყელსახვევი, შლისელბურგის ციხე — სახელმწიფოში ყველაზე კვალიფიციური საფლავი და ციმბირი — აჯანყებული გონების მაგრილებელი სამოთხე.

რუსები და ქართველები ერთი სუნთქვით ითვლიდნენ უმძიმეს წამებს მსოფლიო საისტორიო ციფერბლატზე.

კახეთის გლეხთა აჯანყებანი ანალოგიური არიან რუს გლეხთა აჯანყებისა რომელიმე რუსულ გუბერნიასში; ანალოგია უხვად მოიძებნება 1825 წლის რუსეთის „დეკაბრისტულ მოძრაობასა“ და 1832 წლის საქართველოს თავადაზნაურულ „მოძრაობას“ შორის.

მაგრამ, რასაკვირველია, მაინც იყო დიდი სხვაობა — „სხვაობა“ ქართველთა საუბედუროდ.

ბედნიერი იყო რუსი ხალხი, ვინათგან მას არ სჭირდებოდა



ზრუნვა, ფიქრი, ბრძოლა და სისხლის ქცევა ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის.

ეროვნული თავისუფლება! ეროვნული დამოუკიდებლობა! არიან ბედნიერი ერები ქვეყანაზე, რომელთაც ეს „უცნაური საფიქრალი“ არ ეფიქრებათ.

ხოლო, ქართველი ხალხი... ქართველმა ხალხმა მთელი თავისი ისტორია სწორედ ეროვნული გადარჩენის, ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლაში გამოატარა.

„ვიქნები თუ არ ვიქნები ვითარცა ერი, ხვალ, ზეგ, მერმის?! გადავრჩები, თუ ვერ გადავრჩები, ვიარსებებ თუ ვერ ვიარსებებ?!“ — აი, მარადიულ შემარყეველი საფიქრალი და „საკითხავი“ მცირერიცხოვან ერებისა.

„ღმერთო დიდებულო, ვიქნები თუ არ ვიქნები?!“

„გადავრჩები, თუ ვერ გადავრჩები?!“

„ვიარსებებ, თუ ვერ ვიარსებებ?!“

მაგრამ...

დანასისხლად გადამტერებული საისტორიო ბედისწერისგან ქართველ ხალხს ერთადერთი „იღბალი“ დაჰყვა: ყოველ უმძიმეს, ეროვნული ყოფნა-არყოფნის მდგომარეობათა შექმნის უამს უეჭველად უნდა გამოჩენილიყო ვინმე „ეროვნული წინამძღოლი“, „მოძღვარი“, „ერისმთავარი“, „მესაქე“, „ბელადი“, გვირგვინიანი თუ უგვირგვინო „მეფე“, რომელიც „ზეგარდმო ნიჭით“, უტყუარი ალლოთი და გერშით, ვითარცა მოსე, უწინამძღვრებდა და გამოიყვანდა მშობლიურ ხალხს უეჭველი დაღუპვის მარგუნებელ სამყაროისგან.

თითქმის ყოველთვის, უკიდურესი ეროვნული ძნელბედობის უამს, ასე „მოსდგამდა“ საქართველოს — მოძღვარი მოსე, მხსნელი, მშველელი, პატრონი, მწყემსი და ნათლოვანი მეგზური ერისა თვისისა!..

მაგრამ XIX საუკუნეში ძალიან ძნელი იყო „ერისმთავრობა“, „ერისმოძღვრობა“, „ერისმწყემსობა“, — ძნელი იყო, ვინათგან უამრავი „იზმით“ ავსებულიყო აზროვნების ბედისწერით ატანილი ეს საუკუნე:

- კაპიტალიზმი,
- ანარქიზმი,
- იმპერიალიზმი,

კოლონიალიზმი,  
 მილიტარიზმი,  
 ნაციონალიზმი,  
 შოვინიზმი,  
 მონარქიზმი,  
 პარლამენტარიზმი,  
 ცარიზმი,  
 ანტაგონიზმი,

და კიდევ, ვინ მოთვლის — რამდენი „იზმი“?

ხოლო, ყოველი „იზმი“ თავის საკუთარ, თავის წილ სასისხლოს მოითხოვდა! დიახ, სისხლს! კაციშვილის სისხლს!

მცირერიცხოვანი ერები კი განსაკუთრებით ზარალდებიან მსოფლიო „იზმებისათვის“ სისხლის გაღებით.

მცირერიცხოვანი და აქტიური ერები...

საქართველოს კი არასოდეს, მთელი მისი ზანგარძლივი ისტორიის გასწვრივ, არ დაუთმია „მსოფლიო აქტიურობა“, არასოდეს იგი არ ყოფილა გულგრილი მეთვალყურე და „გამოწყვეტილი“ მაჩანჩალა რაიმე და რომელიმე მსოფლიო მოვლენისა, მსოფლიო მოძღვრებისა, იდეისა, ნოვატორული თურენესანსული მსოფლიო ინტელექტუალური მიღწევისა. გამოწყვეტილა კი არა, უბრალოდ, „მიმდევრობას“, თუნდაც კეთილმშობლიურ ეპიგონობასაც არ კმარისობდა და არ „კადრულობდა“ ქართველი კაცი. იგი მთელის არსებით, სულისა და ხორცის სრული შეწირვით უნდა მისცემოდა ყოველ მსოფლიო მოვლენას და, რაც მთავარია, უნდა მისცემოდა საკუთარი ეროვნული სულის განფენილობით, გამორჩეული „კაზუსის“ დონეზე აყვანილი ეროვნული „ნოვატორობით“.

ასეთი იყო ქართველი კაცი — მუდამ „მსოფლიო აქტიურობით“ და ყოველ მსოფლიო „მოძრაობაში“ უაღრესი ეროვნული „ნოვატორიზმით“. ასეთი იყო ძველ საუკუნეებში, ასეთი იყო შუა საუკუნეებში, ასეთად დარჩა ახალ საუკუნეებში.

XIX საუკუნე მსოფლიო „იზმების“ ციებ-ციხელებას მოეცვა და საქართველოც, — ვითარცა მსოფლიო-გლობალურ მოვლენათა უაღრესად აქტიური ნაწილი — იგივე ციებციხელებით იყო შეპყრობილი.

ძნელი იყო მაშინდელ საქართველოში „ერისმთავრობა“ და „შწყემსმთავრობა“, ძნელი იყო, ვინათგან ბევრი იჩემებდა

„ერისმთავრობას“, „მწყემსმთავრობას“, „ბელადობას“ და სხვათა მისთანათა. და ყოველ მათგანს ცალკეულად აეჩემებია, რომ მას ერთადერთს ეპყრა ხელში მოსეს კვერთხიც და დავითის ქნარიც.

XIX—XX საუკუნეთა განსაღრეკელზე საქართველო ჰგავდა ქრისტესდროინდელ პალესტინას, სადაც ბატონობდა „პირველი რომი“ და რომაელი იმპერატორის უღლის ქვეშ მოქცეული მცირე ქვეყანა ავსებული იყო უამრავი „წინასწარმეტყველით“, „სასწაულმოქმედით“, „მესიით“, „ღმერთით“. მაგრამ ერთადერთი „ნამდვილი ღმერთი“ მათ შორის — იეშუა ნაზარეველი.

ასევე საქართველო „მესამე რომის“, ანუ რუსი იმპერატორის უღლის ქვეშ მოქცეული მცირე ქვეყანა, ავსებული უამრავი „ლიდერით“, „ბელადით“, „მესაჭით“, მაგრამ ნამდვილი და ჭეშმარიტი მესაჭე მათ შორის — მხოლოდ ილია ჭავჭავაძე, ზენაარი შვილი კახეთისა!

ასეთი „ჭეშმარიტი ღვთაებანი“ ჭეშმარიტი იმით ღრიან, რომ ხალხს „იტაცებენ“, ვინათგან ხალხისთვის ისინი რწმენად იქცევიან, რწმენად რწმენისა...

და „ჭეშმარიტი ღმერთობა“ არ აპატიეს.

ხალხის „მიტაცება“ არ აპატიეს ქვეყნის მჩაგვრელებმა, ბნელი რეაქციის მოციქულებმა.

არც ნაზარეველს,

არც ჭავჭავაძეს.

## სიხსლი უფლისა

Nemo contra deum  
nisi deus ipse.

არავინ ღმერთის წინააღმდეგ  
თვინიერ თვითონ ღმერთისა.

ახალი წელთაღრიცხვით 1907 წელი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე 1 საათი.

თვე აგვისტო, რიცხვი 30, დღე ხუთშაბათი.

მწვანე სუფრა და შავ გულთა ძგერა წიწამურის ტყეში.

სუფრის გარშემო შავგულოვანი თორმეტი კაცი.

უკვე კიდევაც გადაწყვეტილა.

სუფრიდან ოთხ ნაბიჯზე ოთხი შავლულიანი ბერდანკა წევს, მძიმე დუმილით დატენილნი და დამძიმებულნი.

შავი, ნაკვერი ხისხლის ფერი ღვინით სავსე შავი რქა მეოთხედ ჩამოატარეს და წამოიშალნენ, სისხლ-გამმკვინვარებულნი და საფეთქელ-გახელებულნი.

დიდმა, შავმა ბუზებმა დრო იხელთეს და გაალმასებით დააცხრნენ გუდის ყველისა და ცხვრის დუმის ნამუსრევთ.

ოთხი გაქონილი, შავ-ფრჩხილებიანი მარჯვენა დასწვდა ოთხ ბერდანკას.

შავ-ბერდანკიანი ოთხეული ტყის პირას ჩანაპირდა და ჩასაფრდა.

— ნუთუ მართლა აღესრულება საკვირველი აპოთეოზი ბოროტებისა?!

— აღესრულება.

— და აღესრულება იგი არაგვისა და მტკვრის წინაშე, სვეტიცხოვლის და ჯვარის წინაშე?!

— აღესრულება.

— იქნებ აცდეს საბედისწერო ტყვია ერის მეუფეს!

— ეგ არ მოხდება, ვინათგან საბედისწერო ტყვია სწორედ იმად არის საბედისწერო, რომ უეჭველად მიზანს მოხვდება.

— მაშ, არასოდეს ასე მახინჯი არა ყოფილა ანგელოზი ბედისწერისა!

— პირიქით — არასოდეს ასე ლამაზი არა ყოფილა ანგელოზი ბედისწერისა.

— უფრო ნათლად რომ გავიაზროთ?

— მკვლელები მკვლელის სახელს და სირცხვილს დაიმშვენებენ სამარადქამოდ, ხოლო მოკლული — ერისათვის წამებული მამისა და მეუფის გვირგვინს...

— მაშ, მკვლელები მკვლელად, უფალი უფლად.

— აღბათ ზურგიდან ესვრიან, ვინათგან ზურგიდან ყველაზე ადვილად იჭრება სიკვდილი ადამიანში. ზურგი ყველაზე მძლავრი ნაკვთია ადამიანის სრული სხეულისა, მაგრამ არის ბრმა, უთვალისჩინო, მისთვის უმოქმედო და უმწეო. ამიტომ ძალზე

ადვილია ზურგის განგმირვა. მხოლოდ საწოლად არის მარჯვე და ვარგისი ზურგი — მიწაზე და მიწაში საწოლად.

— არა, ზურგიდან არ ესვრიან. შიგ სახეში თვალის ჩაწონვით, რათა საფლავში თან ჩააყოლონ უკანასკნელ, უმწარეს ხსოვნად — მე გესროლე შენ, მე, მე, მე!.. და გესროლე და მოგკალ იმიტომ, ამიტომ, ამისთვის...

დგანან და ელიან სიკვდილით დატენილი ბერდანკებით, გულუქვრელნი და გულჯაგრიანნი...

მზე საშუაღლეოზე დაეყუდა, მძვინვარე, ცხელ-დობლიანი.

ილიას მკვლელობამდე 45 წუთი.

თბილისიდან წამოსული ეტლი მცხეთას უახლოვდება.

საგურამოდან მოურავს შეუთვლია თბილისში, ბატონი სასწრაფოდ უნდა მობრძანდესო.

და მიდიან ახლა საგურამოში.

უკან ილია და ოლლა სხედან, წინ, კოფოზე — მეეტლე აფციური და ილიას მსახური იაკობი.

2000 ნაბიჯი წიწამურის ტყემდე.

40 წუთი წიწამურის თოფის გავარდნამდე.

ჯვარის მონასტრის ხილვაზე ჯვარი ისახა ოლლამ, ილიას თანამეცხედრემ.

ილია კი ღრმად ჩაჰყოლოდა ფიქრთმეტყველებას.

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებებულ ერთსულ და ერთ-ხორც მკვიდრთა... ერთსულ და ერთ-ხორც.“

ერი ჩვენი, ერი ქართველი, გონებით საკვირველი, სინდისით...

გონება, სინდისი... მეთერთმეტე საუკუნემდე ორივე ერთ ცნებაში ჰქონდა მოქცეული ქართველ კაცს და ორივეს ერთად გონება ერქვა. „გონება ამხელდა“, „გონება კარნახობდა“, „გონება ქეჯნიდა“, „გონება აწუხებდა“. დასაბამითგან იგულისხმებოდა ესეც: გონება არის ადამიანი და რაკი შექმნილხარ ადამიანად, გონება არის შენი ზნეობაც. ხოლო შემდგომ, ვინ იცის რა საზოგადოებრივმა წვა-დაგვამ გახლიჩა გონება იგი ცალკე „წმინდა გონებად“ და ცალკე კიდევ შინა-ზნეობრივ „მი-მო-ქცევად“.

1500 ნაბიჯი წიწამურის ტყემდე.

30 წუთი წიწამურის თოფის გავარდნამდე.

სვეტიცხოვლის ხილვაზე პირჯვარი ისახა და ილიას გარდასახა ოლღამ.

ილია კი ისევ ღრმად ჩაძირულიყო ილიაში.

„აგერა მცხეთა — სავანე გმირთა,  
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,  
სად პირველ ქართველის შორჭმულთა შვილთა  
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების...“

სადაც ჰყვავდა ხე ცხოვრებისა

ქართველის გულიდან აღმოცენილი...“.

„ქართველის დედაო, ძუძუ ქართველისა...“.

იმსხვრეოდნენ და იძირებოდნენ ილიას ლოგოსნი ილიას სულში.

„ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო!..“

„წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება

მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება...“.

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“.

1000 ნაბიჯი წიწამურის ტყემდე.

20 წუთი წიწამურის თოფის გავარდნამდე.

და როცა ჯვარი და სვეტიცხოველი თვალსაწიერში შეერთდნენ და ერთ მთლიან ძუძუდ აღიმართნენ, ილიას სულში უეცრად გაიხსნა ელიოზ მცხეთელის დედის გოდება, გოდებული იესოს ჯვარცმისთვის:

„მშვიდობით, მეფობაო ისრაელისაო, რამეთუ უგუნურებით მოჰკალით, უბადრუკნო და წარწყმედილნო, უფალი და მაცხოვარი ყოველთა, და იქმენით ბოროტად მკვლელნი შემოქმედისა თქვენისა. ვაი თქვენდა უბადრუკნო!..“

მოჰკალით, მოჰკალით, ღმერთი, უფალი მოჰკალით, თქვენ, უგუნურნო!..

500 ნაბიჯი წიწამურის ტყემდე.

10 წუთი წიწამურის თოფის გასროლამდე.

„ჩვენო არაგვო, რარიგ მიყვარხარ!  
ქართველის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...“.

„და წმინდა სისხლი ქართველებისა  
შენს კიდებებზე გადასხმულია...“.

„და წმინდა სისხლი ქართველისა... ქართველის ხელით და-  
თხეულია...“.

200 ნაბიჯი წიწამურის ტყემდე.

3 წუთი თოფის გავარდნამდე.

ისევ იელვა ელიოზ მცხეთელის დედის გოდებამ:

„ვაი თქვენ, უგუნურნო და უბადრუქნო, რამეთუ თქვენ  
თვითონ მოჰკალით შემოქმედი ღმერთი თქვენი, თქვენ თვი-  
თონ დაათხიეთ წმინდა სისხლი თქვენივ უფლისა!“

10 ნაბიჯი წიწამურის ტყის პირიდან.

1 წუთი...

მგეტლემ უცებ ეტლი დააყენა და დააქვავა.

უმალ ტყემ ოთხი თოფი გამოიშვირა.

ეტლიდან გადახტა იაკობი.

„კაცნო, ვინა ხართ, არ გვესრ...“ — სიტყვა ჩაუჭრა თო-  
ფის გრიალმა და თავდამხედ დაეცა მიწას.

ფეხზე წამოიჭრა ილია, ჰაბუკუურად გაფიცებულად.

„შესდექით, უბედურნო, ილია ვარ!!!“

და წამსვე სამი თოფი გავარდა ერთად.

— სწორედ იმიტომ, რომ ილია ხარ!

— სწორედ იმიტომ გესროლეთ ჩვენი

— სწორედ იმიტომ, რომ ერი წაგვართვი!..

ჯვარცმასავით ესვენა გულზე ილია ჯვარცმულ საქართვე-  
ლოს.

განრღვეული შუბლი ღვთაებისა.

მოშლილად და უქმად დაყრილი მძლე ხელები მოსე წინას-  
წარმეტყველისა.

განპებული გული და ქართულ მიწაზე მიმოქცეული სისხ-  
ლი უფლისა...

„მომეშველეთ!!! ილია მომიკლეს, იიიილიააააააა!!!“

ქალის კივილი იყო...

„...თუ კივილი საქართველოსი?!“

კმანო გარეჯელნი..

დაესხნე ყოველნი უდაბნონი შენი,  
ვითარცა სამოთხე.

ესაია, 51, 3.

ისტორიით დაღლილთათვის

...ვინაი არს მიზეზი მოშრომისა  
შენისაი, მაუწყე მე.

გიორგი მერჩულე

ხომ არ დაიღალე, ჩემო მკითხველო, — შენი წინაპრების ისტორიის კითხვით და განცდით ხომ არ დაიღალე?

დიდ სულიერ ბედნიერებას და ნეტარებას კი განაცდევინებს ადამიანს დაღლა, მის გონებას და სხეულს რომ დაეუფლება უწმინდეს ფენომენტა შეგარძნობისა და შეცნობის შემდგომ.

ისტორია, ანუ წინაპართა სიქველის ხსოვნა სწორედ წმიდათაწმიდა, საკრალური მოვლინებაა ყოველი ღირსეული ადამიანის ცხოვრებაში. ისტორია პირველქმნადი ფენომენია და დასაბამითვე თითქოს ბიოლოგიურადაც ცოცხლობს ყოველ ქართველში. ამიტომ და ამდენად ასეთი, თუნდაც ვრცელი „საისტორიო გახსენებით“ ავტორი მხოლოდ ღირსეული მკითხველისადმი სანეტარო განწყობილების მინიჭებას ვარაუდობდა.

მაგრამ მთავარი მოტივი ეგზომ ტანსრული საისტორიო წიაღსვლებისა მაინც მედეა მეზვრიშვილის რჩევა და შეგონება იყო — ჯერ ის ვიცოდეთ, რა ფესვებზე აღმოვცენდით და მერე უკეთ მივხვდებით რა ნერგებიც ვართო; დაე, ჯერ ის ვიცოდეთ დღევანდელმა გარეჯელებმა, რა მიწაზე და ვის



ძვლებზე ვდგავართო; ჯერ ჩვენი წინაპრების სულთა მატიანე მოვიხილოთო, რათა წინამორბედის სრული შეცნობით თანამორბედი უკეთ შევიცნოთო; ჯერ ის შევიტყოთ როგორ ქართველობდნენ ჩვენი წინაპრები და მასუკან, მის სისხლიერხორციელ გაგრძელებად, როგორ ვქართველობთ ჩვენ, დღევანდელი ქართული წუთისოფლის შვილებიო...

და აპყვა ავტორი ამ შეგონებებს და ერთხელ კიდევ მოგიტბროთ ზოგი რამ კახეთის ისტორიიდან. ვწერდი და ლევ ტოლსტოის გაფრთხილებაც არ მაგიწყდებოდა — მრავალსიტყვაობა მხოლოდ ქონია და არა კუნთებო, მაგრამ ამ წიგნში წარმოდგენილი „გარეჯის ქუეყნის“ ისტორია, მოცულობით როგორი ტანსრულიც არ უნდა მოგვეჩვენოს, სხეულებრივად იგი მთლიანად უმტკიცეს კუნთებზეა ასხმული, და ეს ყოველივე ავტორისაგან დამოუკიდებლად, — რადგან თვითონ კახეთის საისტორიო თავგადასავალი ფაქტობრივად არის კუნთოვანი, სალმასურად და რვალისებურად განურღვეველი. მართალია, კახეთის ისტორიის წერის დროსაც, შეუძლებელი ხდება ყოველი სიტყვა დავით აღმაშენებლის ისარივით ზუსტი და უცთომელი გამოდგეს, მაგრამ არც რაიმე ისეთი მკრეხელურად უზუსტო თქმულა, რაიც ავტორს იობის შემადრწუნებელ სიტყვას გაახსენებდა: მიწამან ჩემმან იბღავლა და ხნულთა ჩემთა იტირეს ჩემზედა.

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც ის გახლავთ, რომ „ისტორიით დაღლამ“ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ფესვთა და ნერვთა, ანუ წინაპართა და შთამომავალთა მარადიულ, ცხოველმყოფელურ ერთსხეულიანობაში. დღევანდელი კახეთის შვილები ღირსეული და განუკვეთელი მემკვიდრენი არიან მათი დიდებულნი წინაპრებისა.

კახეთიშვილობა სრულქმნილი მამულიშვილობა იყო ყოველთვის.

ასეა დღესაც:

კახეთიშვილობა, ანუ ჭეშმარიტი მამულიშვილობა.

დღევანდელ გარეჯელთა სიტყვა და საქმე დაგვარწმუნებს, რომ ეს მართლაც ასე ყოფილა.

განვლეს უდაბნო უსავენო და უვალთა  
შინა აღმართეს კარავნი.

ს ი ბ რ ძ ე ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა, 11, 2

1973 წლის იანვარში მედია მეზვრიშვილი თელავიდან საგარეჯოში გადმოიყვანეს აღმასკომის თავმჯდომარედ. რაიკომის პირველი მდივანი, ოთარ საბაშვილი, სიხარულით შეხვდა ახალ თანამშრომელს. მაგრამ ერთად მუშაობა არ დასცალდათ. საბაშვილი იმავე წელს თბილისში გადაიყვანეს სამუშაოდ. წასვლისას კი ეს სიტყვა დატოვა ოთარმა საგარეჯოში: თუ აქ პირველ მდივნად მედიკოს აირჩევენ, ეს იქნება საგარეჯოსთვის ძალიან დიდი ბედნიერებაო.

და წავიდა ოთარ საბაშვილი, მალე სამუდამოდ წავიდა...  
წუთისოფლიდან.

საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავდა, — ახალი სანიშანსვეტო სამეურნეო, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული და ზნეობრივი გეგმებითა და განზრახვებით.

დამდგარიყო ამინდი ისეთი აღამიანების სამოქმედოდ, სამუშაოდ და სამოღვაწეოდ, როგორც მედია მეზვრიშვილი იყო...

გამთენიანზე გამოიძახა მძლოლი, მანქანა მოაყვანინა, საგლე სასიარულოდ გამოწყობილი გამოვიდა, ჩაჯდა და დავითგარეჯისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

აღრე, მოწაფეობის დროს, ხშირად უვლია გარეჯის უდაბნოებში. იყო ჟამი სამამულო ომისა და სკოლის კომკავშირის მდივანს, მედიკო მეზვრიშვილს, მაშინ ფრონტზე წასული მეომრებისათვის „სისხლის სადედე“ უნდა ეგროვებინა. ერთ დღეს რომ ციკკოდაზე მიჰყავდა კომკავშირელები ასკილის საკრეფად, მეორე დღეს დავით გარეჯისკენ გაუტევედნენ კაბუეტა ბალახის მოსაგლეჯად და მოსაგროვებლად. შიოდათ, სწყუროდათ, სცხელოდათ, — მაინც ბედნიერები იყვნენ, და ბედნიერები მარტო იმიტომ კი არა რომ ახალგაზრდები იყვნენ, არამედ უფრორე იმიტომ, რომ მათ ჯანსრულ ახალგაზრ-

დობას დიდი ცხოვრებისეული აზრი და შინაარსი გააჩნდა. გარეჯული მზის მძვინვარებას ძლივს გადაურჩა მაშინ მედიკო. ერთი წელიწადი იავადმყოფა მზენაძვერალმა.

ოცდაათი წელიწადი გასულიყო მას შემდგომ...

ივრის ხილზე გადაიჭროლა მანქანამ. აქედან უკვე აღარ არის საგარეჯოს რაიონი, — გაუელვა რაიკომის მდივანს და მაშინვე თავი დაიხსნა ომისდროინდელ საფიქრალთაგან. სხვა რაიონში შეედივარო, სხვის სამფლობელოშიო, — მწარედ ეცი- ნებოდა გუნებაში. სასაცილო კი მართლაც იყო: გარეჯი საგარეჯოში აღარ შედიოდა. საგარეჯო უგარეჯოდ — სწორედ სასაცილო უნდა ყოფილიყო. გარეჯი საგარეჯოს მაშინ დაეკარგა, როცა მედიკოს ამის შესახებ არაფერი ეკითხებოდა. ეს აღრე მომხდარიყო. საგარეჯოს მაშინდელი პირველი მდივნის არყოფნის შემს მაშინდელ აღმასკომის თავმჯდომარეს მოუწერია ხელი დავითგარეჯის გაცემაზე (ვითომ მისი საუფლისწულო მამული ყოფილიყო!).

ამგვარად, გარეჯი დაკარგულად დარჩა საგარეჯოსთვის. ის ვინც გარეჯს საგარეჯოსგან ჩამოკვეთავს, საქართველოსგანაც ჩამოკვეთავსო, — ფიქრობდა მედიკო.

გარეჯი უსიკვდილოდ უნდა დაუბრუნდეს საგარეჯოსო, — უწყურებოდა მედიკო... მედიკოს — ყოვლად შეუწყურებელია ასე დარჩეს რაიონი შუა გაჩეხილი ამფითეატრივით... და კახეთისკენ დაძრულ ყოველ სტუმარს, ყოველ მტერსა და მოყვარეს, — რომელმაც კი აუცილებლად საგარეჯოს „ამფითეატრი“ უნდა გამოიაროს, ან აქვე დადგეს და მიიხედ-მოიხედოს, მხოლოდ მაშინ შეუძლია ნამდვილ გარეკანებზე, სრულქმნილ საგარეჯოს რაიონზე და ივრის „ქუეყანაზე“ ილაპარაკოს, როცა საგარეჯოს მისი დამაარსებელი და მაარსებელი დავითგარეჯი დაუბრუნდებოდა.

მძიმედ ვიდოდა მანქანა. უჭირდა უსწორმასწორო, დაბრეცილ ნაგზაურებზე სიარული. გვიანი შემოდგომის მზე ამოსვლისთანავე მაინც სიციხით ემუჭრებოდა მისგანვე უღვთოდ ამომშრალ ხეებს, ხრამებს, ბორცვებს, მწარე მარილით ჩაათვთრებულ ნატბეურებს.

კიდევ ერთი აღმართი აითავა მანქანამ, კიდევ ერთ მთას გადაადგა და უდაბნოც გამოჩნდა. მანქანა დადგა.

მედვა დაქვეითდა და დიდხანს უცქირა უდაბნოს ველს.

მძიმე ფიქრებში ჩაძირულმა. თვალთ განსაკუთრებით იმ ად-  
გის უტრიალა, სადაც ძველი დასახლება ეგულებოდა. ახლა  
იქ, უძველეს ქართულ ნასახლარზე, ნაფუძარზე და ნაეზოვარ-  
ზე, რამდენიმე წვირიანი ალაჩოყი დასკუბებულიყო.

გზა განაგრძეს. ალაჩოყებს გაუარეს. ცხვრის ფარა შემო-  
ეყარათ. ისევ დააყენებინა მძღოლს მანქანა მედიკომ.

ვინ ხართ და ვისია ცხვარიო, — ჰკითხა მწყემსებს ქართუ-  
ლად.

გარდაბნიდან ვართო, ძლივს უპასუხეს მწყემსებმა რუსუ-  
ლად.

ქართველი მწყემსები თუ შეგხვედრიათ ამ ტერიტორია-  
ზეო, — შეეკითხა მედიკო, ახლა რუსულად.

მწყემსებს ჯერ გაკვირვება აღებეჭდათ სახეზე, მერე გაე-  
ცინათ „რაღაცნაირად“.

პასუხისთვის აღარ დაუცდია მედიკოს.

დავითის ლავრას მიადგნენ.

კარი მორღვეული და დამიწებული დახვდათ.  
ტაძარი ცხვრის დენგრით იყო გატენილი.  
ჰყარდა, საშინლად, აუტანლად, წამაქცევლად.

წაბილწულიყო და მყრალ ნასკორევეში ჩაძირულიყო და-  
ვითის და ლუკიანეს საფლავეები.

სავსებით წარხოცილიყო სპარსთაგან წამებულ მოძღვართა  
სამარტვილენი.

ყველა კედელი ყოველ ეკლესიაში, სადგომში, სავანეში,  
ქვაბში თუ სიმაგრეში — უღვთოდ დაეფხიკათ, ფრესკების-  
თვის თვალები ამოეჩიჩნათ, ცხვირები წარეკვეთათ. ყოვლად  
ბილწი და ბრიყვული ნაჯღაბნებით გაეცსოთ და გაეჭედათ  
ყოველი კუთხე და კუნჭული.

გასაოცარი სიველურე, სიბოროტე და სიძულვილი გამოს-  
ჭვიოდა ყოველი უხამსი სტრიქონიდან, ნაფხეკიდან, ნაჭდევი-  
დან.

საყურიანი გველები, გველბოკერები, ჯოჯონი, ღრიანკალნი  
და დედაზარდალნი დაუფლებოდნენ ცხვრის ბოსლებად გა-  
დაქცეულ ღვთის სახლთა საუფლოებს.

ლავრიდან გამოტრიალდა მეზვრიშვილის ქალი, გაოგნე-  
ხული და გაშეთებული.

ნათლისმცემელს მიაშურა, მერე დოდოსრქას.

აქაც, ორივეგან, „ცხოვარსა უცხოსა“ დაედო ბინა.

კურთხეული საბა ორბელიანის ნაბინავარი და ნაწმინდავარი ცხერის მყრალი კელით ამოვსებულისყო და კაცის სიმაღლეზე ამოტენილისყო. იქაც უხამსი წარწერანი, ბოროტი ჟინით გადაფხეკილი და გადაქლეშილი კედლები.

„როგორ გვაძწარებს დღეს ბედი საბა ორბელიანისა, რომლის ფეხთაზე აღარ შემოგვრჩა აღარც სახლი, აღარც სალოცავი, აღარც საფლავი“, — ამოიგმინა მეზვრიშვილმა.

ბერთუბნისკენ გაეშურა.

აქამდე რაც ნახა, ეს ხომ საგარეჯოში აღარ შედიოდა და მეზობელ გარდაბნის რაიონს ეკუთვნოდა.

და ერთხელ კიდევ იხილა მედეა მეზვრიშვილმა წამება, გატიალება და გათახსირება დიდი კულტურული ძეგლისა.

მზე ჩადიოდა, სხივდამცხრალი და დაკნინებული.

მედიკო უკან ბრუნდებოდა, ბოლმის ცრემლით ატირებული.

როგორ გაგვითახსირებია, ავგიას თავლებად გვიქცევია და ლამის დაგვიმიწებია ჩვენი წინაპრების ღვთაებრივი ნაშრომ-ნაღვაწი?!

უდაბნოში რომ შემობრუნდნენ, მედეამ შეამჩნია, რომ მწყემსები გამრავლებულიყვნენ. გარდაბნელებს მულანლოელები შეერთებოდნენ და რალაცაზე ბჰობდნენ გაცხოველებით. იორმულანლო ხომ საგარეჯოსი იყო და მედეამ იცნო კიდევ „თავისი მწყემსები“, მანქანა გააჩერა და მოიკითხა, — როგორ ხართ და რასა იქთო.

კარგად ვართო, — უბასუხა მულანლოელმა „თავის რაიკომის მდივანს“.

— კარგია, კარგია, მაგრამ რაზე ბჰობთ და რასა წყვეტთ?

— არაფერს, ისე...

— ალბათ, დიდ სახელმწიფო საქმეებს წყვეტთ, არა?, — გაიცინა მედიკომ.

— დიახ, სახელმწიფო საქმეებს, — ხუმრობაში ჩაითვალა რაიკომის მდივნის ნათქვამი მწყემსმა. მაგრამ მაშინვე თითქოს გული შეუქვდა, ვაი თუ ხუმრობაც არ იყოსო და თავგამო-

დებული სერიოზულობით დაუმატა: ცხვრის გამო ვხედებით ერთმანეთს, ცხვრისთვის ვმასლაათობთ და ესეც ხომ სახელმწიფო საქმეაო!

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვის ცხვარზეა აქ ლაპარაკი? — უცებ იკითხა მეზვრიშვილმა.

მწყემსი შეცბა. ასეთი კითხვით თითქოს აქამდე არავის შეუწყუხებია იგი.

— ვისი?! — ძლივს აღმოიხდინა პირიდან.

— ჰო, ვისი, სახელმწიფოსი, კოლმეურნეობისა, თუ თქვენი, პირადი?.

მწყემსმა უმწეო თვალებით გახედა თავისიანებს.

ყველა დუმდა, დედამიწაზე კუმტად თვალმიბჯენილი.

— ისე, ყველაფერი კარგად მოგიწყვიათ, — დუმილი დაარღვია რაიკომის მდივანმა — კარგი ცხვარი, კარგი ბოსლები, კარგი სათათბირო საფიხვნოები!

დააგდო სიტყვა და პასუხს აღარ დაუცადა. მანქანა დაიძრა, უკვე დაღამებულიყო.

ხოლო, მანქანა რომ მთას გადაცდა და თვალს მიეფარა, მწყემსებმა ჯერ ერთობლივად ცხვრის ფარა მრავალმთისკენ გაირეკეს, მერე გზასაყარზე გაიყვნენ, — გარდაბნელმა მწყემსებმა ნათლიმცემლისკენ გალალეს ცხვარი საბა ორბელიანის ნაბინავარში ღამის სათევად, მულანლოელმა მწყემსებმა კი — დავითის ლავრისკენ.

მედეა მეზვრიშვილს არ შეეძლო გაეგონა, როგორ უთხრა მასზე გარდაბნელმა მულანლოელს — „ვაი თქვენ მაგის ხელშიო“ — იგი უკვე შორს იყო, ისევ უმძიმესი საფიქრალით გულდამძიმებული.

„დავითგარეჯას ნეკროზი დასწყებია, განგრენა, და შეუჩერებლად მოიწევს იგი საგარეჯოსკენ. სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს, დაუყოვნებლივ, გადაუდებლივ... და აღიკვეთოს დიდი ქართული სულის აღდგინებით, დავითგარეჯის ძეგლთა და სავანეთა გაცოცხლებით, გაახლებით, აღდგომითა და აღორძინებით. და ეს აღდგომა უნდა იყოს საყოველთაო, სახალხო, სადღესასწაულო, წინაპართა ფესვებზე აღმოცენებული ახალნერგი ქართული სულის ბრუნვით და ზარზეიმით“.

ისევ უდაბნოს დასტრიალებდა მეზვრიშვილის ქალის ფიქრები.

საბჭოთა ხელისუფლების დამდგეს უდაბნოს მიწას პირველად ცელი შეეხო, — როგორც ახლად წვერამწვანებული ქაბუკის ლოყას პირველად შეეხება სამართებელი.

და, ვისაც ხელთ ეპყრა ეს „პირველი ცელი“ და ვინც მოეკიდა პირველ ერქვანს ახალი დროის უდაბნოს მიწაზე — იყო პატარძეულიდან ოჯახიანად ჩასახლებული ქართველი გლეხი გიორგი ჭილაური.

მერე, 1927 წელს, 6<sup>ე</sup> პირველად დაუარსებიათ მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა. როგორც ეტყობა, დიდ სახეიროს არაფერს მოელოდნენ, რადგან მოსკოვიდან საგანგებო კომისია ჩამოსულა და ცხვრის ფარა თურმე ორჯერ გადაათვლევინეს სხვადასხვა, „გამოცვლილ“ მწყემსებს. ორი წელიწადი ივაგლახა და იწვალა მეურნეობამ. მას შემდეგ უდაბნოში მოვიდა პირველი „ძლიერი პიროვნება“ — კოსტალე აბაშიძე. ნუ დაგვენახება მისთვის ეს თიკუნი, — მართლა ძლიერი პიროვნება ყოფილა. მის თანამედროვე და თანამაცხოვრის აღამიანებს მარად სახსოვრად შემორჩენიათ ამ კაცის საინტერესოდ ჩამოკვეთილი პიროვნება. დღესაც მისი დროის მეცხვარეები ბურს ისე არ გასტეხენ და ღვინოსაც პირს არ დააკარებენ, კოსტალეს სული რომ არ გაიხსენონ. წარმომავლობით იყო თუში, მსახურობდა რუსეთის არმიაში, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, დაბრუნდა ოფიცრის ჩინით და წმინდა გიორგის ჯვრით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მუშაობდა თელავის რაიმილიციის უფროსად. იყო შუატანის, მკვრივად ჩაკირული ანაგებისა, უნდო სახისა, თვალი და მზერა ჰქონდა გამკოლი, მუხლის მომხსლეტი, გასაოცრად გულკეთილი და უმკაცრესად სამართლიანი. კოსტალეს ხელით მოჭრილი მკლავი არ მეტკინებო, ამბობდნენ ხშირად. იყო დაუძინებელი მტერი სიყალბისა, ფარისევლური რიოშისა, უწესრიგობისა, მუქთახორობისა, ძალმომრეობისა. გამორჩეულად არაფერი არ იტაცებდა იარაღის მეტი, იარაღს არ იშორებდა, იარაღის ხმარებაშიც ტოლი არ ჰყავდა. აი, ეს კაცი მოიყვანეს 1929 წელს უდაბნოს მეცხვარეობის მეურ-

ნეობის დირექტორად. კოსტალემ თუში მეცხვარეები ჩამო-  
იყვანა, საგარეჯოელებს შეუერთა და, დღე-ღამე-სწორებით,  
მეურნეობა სწრაფად დააწინაურა. ოთხი წლის შემდგომ, 1932  
წელს, კოსტალე აბაშიძე წითელწყაროს რაიონში გადაიყვანეს  
ელდარის მეცხვარეობის მეურნეობის დირექტორად. აქაც ერთ-  
ბაშად დააწინაურა „უდაბნოს სუნთქვით ნაწრთობმა“ თუშმა  
მანამდე ჩამორჩენილი და დავრდომილი მეურნეობა. მერე,  
იწყო გორება საქართველოს ნაწამებ გულზე სათვალისანი კვე-  
ნის ეტლმა. „ცუდას რად უნდა მტერობაო“ და კარგს „ხალხის  
მტერი“ დაარქვეს. დაარქვეს და... აღარ იყო ამ ქვეყნად კოს-  
ტალე აბაშიძე, აღარ იყო, ვითარცა სხვანი მრავალნი, ვითარ-  
ცა „მილიონ ერთ“... ახლა ისევ არის კოსტალე აბაშიძე, მარ-  
თალი და გამართლებული, ვითარცა სხვანი მრავალნი, ვითარ-  
ცა „მილიონ ერთ“...

კოსტალე აბაშიძის წასვლის შემდეგ, 1932 წლიდან 1956  
წლამდე, ათამდე დირექტორი გამოიცვალა უდაბნოს მეურნე-  
ობამ. მათ შორის იყო ფრიად ნიჭიერი და პრაქტიკულად განს-  
წავლული ირაკლი სიფროშვილიც, მაგრამ „მიზეზთა სხვათა  
და სხვათა“ მთელი ოცი წლის მანძილზე უდაბნოს ცხოვრების  
ნიშატი მაინც იყო მკრთალი, უნიათო, ანემიური... 1956 წელს  
უდაბნოს მეურნეობის ხელმძღვანელად მოვიდა სიმონ მენ-  
თეშაშვილი, ენერგიული კაცი, სოფლის მეურნეობის შესანიშ-  
ნავი მცოდნე, მაგრამ ვერც მან მოასწრო მკვეთრი აღმავლო-  
ბით აღემაღლებინა „ეს უბედური“ მეურნეობა. და ისევ დაი-  
ბადა საბედისწერო ფორმულა — „არის აზრი, რომ...“. „რომ  
ეკონომიკის სათანადო დონეზე ამალლების მიზნით...“. უდაბ-  
ნოს მეურნეობა შეუერთდეს სართიქალას... არა, სართიქალას  
კი არა, იორმულანლოს... არა, იორმულანლოს კი არა, ჯანდა-  
რას... და ასე, ეს საოცრად დისპარმონიული „კვარტეტი“ —  
უდაბნო-სართიქალა-იორმულანლო-ჯანდარა, გათავდა იმით,  
რომ ვერც საერთოდ ეკონომიკა ამალდა „სათანადო დონეზე“  
და უდაბნოს მეურნეობაც სავსებით აღიგავა პირისაგან მი-  
წისა.

ეს მოხდა 1961 წელს — შორიგი დაცემა მრავალჯნის აღზე-  
გებული და მრავალჯნისვე დაცემული გარეჯის უდაბნოსა  
და გარეჯული კულტურული სამყაროსა. იგი მოეკვეთა მის  
სისხლხორციელ საგარეჯოს და გადაეცა გარდაბანს. ერთის

შეხედვით აქ საგანგაშო არაფერია, რამდენადაც „ლუკმა გავარდა და ჯამში ჩავარდა“, მაგრამ ფაქტიურად მაინც ის მოხდა, რომ უდაბნო დაეცა, დაეცა კი არა, სულ დაიქცა. გაქრა სკოლა, გაქრა საავადმყოფო, გაქრა საბავშვო ბაღი, გაქრა კლუბი, მოითხარა ყოველი კულტურული და საზოგადოებრივი ნაგებობა და შრამელი. რაც მთავარია, 70 ქართული სრულფუძიანი ოჯახიდან სავსებით მოითხარა და გადაიხვეწა ყველა, ორი ოჯახის გარდა (ეს ორი „თავგანწირული ოჯახი“ — გიორგი მარტიაშვილისა და მიხეილ ჟონკოლაძისა). და ყოველივე ამასთან, კიდევ — ცხვრის ბოსლებად გადაქცეული დავითგარეჯის ეკლესია-სავეანეები?! კაი ჯამში კი ჩავარდნილა პირიდან გაგდებული ლუკმა!

„ცუდად არის ჭიბი მოჭრილი... ჭიბის ცუდად მოჭრას კი — სისხლისგან დაცლა მოსდევს“...

იორს უახლოვდებოდა მანქანა.

ოქროვანი ქაშირით ბრჭყვიალებდა ცივ-გომბორის გასწვრივ ელექტროშუქით გაჩირალდნებული ქართული საბინადრონი — ნინოწმინდა, საგარეჯო, გიორგიწმინდა, მარიამჯვარი, თოხლიაური, მანავი, კაკაბეთი...

რა დიდებული სახელების მაყრიონია!

„ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, მარიამჯვარი“, — საგანგებოდ ამოირჩია მედიკომი.

გაიხარა, მაგრამ ისევ შეეკუმშა გული, როცა გაახსენდა რა დღეში დატოვა დავითის ლავრა, დოდოსრქა, ნათლისმცემელი, ბერთუბანი.

დავით-გარეჯა!

ნათლისმცემელო, დიდი საბას ნაბინავარო!

დოდოსრქა!

ჩიჩხატური!..

„მაგრამ... ნუ გეშინიათ, „მოიკაზმენით გვამნი თქვენნი სიმშვიდით!“ — გაახსენდა საბას „სწავლანი“.

„ნუ გეშინიათ, მე გიხსნით თქვენ!“...

„კი მაგრამ შენ, ამხანაგო, კომუნისტი ხარ თუ საეკლესიო მოღვაწე?!“

ეს კითხვა, რომელიც ახლა მედგა მეზვრიშვილის ცნობიერებაში გახმაურდა, ორი წლის წინათ შეეფეთა პირველად, აღმასკომის თავმჯდომარედ რომ მუშაობდა, მაშინ.

თბილისიდან ერთი მაღალი თანამდებობის კაცი ჩამოვიდა საგარეჯოში, აღმასკომის თავმჯდომარეს ეწვია და პირდაპირ, ყოველგვარი დიპლომატიური მიმოქცევის გარეშე უთხრა: შენს რაიონში რომ ამდენი უხერხული და ჩვენი დროისთვის შეუფერებელი სახელებია, რატომ არ აყენებ საკითხს მათი გაუქმების თაობაზეო (რომ უნდა ეთქვა „შესახებ“, ამბობდა „თაობაზეო“, ამ უადგილო და გამეტიჩრებულ სიტყვას).

— მაინც რომელიო, — იკითხა გაოცებულმა მედემამ.

— ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, მარიამჯვარი, — წმინდა სამებასავით დააყარა „ზევიდან ჩამოსულმა“.

— ?!

— რაო, ძალიან გაგიკვირდათ?

— გამიკვირდა იმდენად, რამდენადაც თქვენგან არ მოველოდი, — მცირე ფიქრის შემდეგ უპასუხა მედემამ.

— ვითომ რატომაო?

— იმიტომ, რომ თქვენს მაღალ კულტურას ასეთი ანტი-ისტორიული გამოხდომა სწორედ არ ეკადრება, — სიცილით თქვა მედემამ.

სტუმარს შეეტყო, მასპინძლის ნათქვამი კიდევაც ეამა, კიდევაც ეწყინა.

— ანტიისტორიული რა შუაშია? და საერთოდ მე საკითხს ვაყენებ არა ისტორიულ, არამედ რელიგიურ და საეკლესიო მოვლენათა სალიკვიდაციოდ.

— რელიგიაც და ეკლესიაც ჩვენი ისტორიის ნაწილი და კუთვნილება გახლავთ, — მოუჭრა მედემამ.

— ისტორიას სიმახინჯეებიც არ აკლია და ეგ „ჯვრები“ და „წმინდები“ სწორედ მისი სიმახინჯეა, ზოლო წარსულის გადმონაშთი სიმახინჯე ძირშივე უნდა ამოიწვას და ამოითხაროს!

— მაშ, ნიკორწმინდის საქმეც წასულა ხელიდან და ეგ არის! ალბათ გალაკტიონის ლექსიც უნდა აიკრძალოს, — ძლივს იკავებდა სიცილს მედემამ.

— იმასაც... მაგასაც... მოვევლება, — დაიბნა სტუმარი.



— ეგრე „მოუარეს“ კიდევ ერთხელ და ნიკორწმინდის სახელი გამოუცვალეს, სანაცვლოდ „სინათლე“ დაარქვეს, მაგრამ საბედნიეროდ მაინც რომელიღაც ჭკვიანმა ისევ აღადგინა ისტორიული სახელი — „ნიკორწმინდა“, — სთქვა მედიკომ და იქვე დასძინა: სხვათა შორის, ამნაირ სახელთა შენახვა სრულებითაც არ უშლის ხელს კომუნიზმის ვშენებლობას.

სტუმარი აიღეწა.

— ამხანაგო, თქვენ კომუნისტი ხართ, თუ საეკლესიო მოღვაწე? — უცებ მიახალა მან მასპინძელს.

სული აუმღვრია მედეა მეზვრიშვილს სტუმრისგან ნასროლმა „ნაცადმა“ გამანადგურებელმა სიტყვამ, თანაც „ამხანაგოთი“ რომ იწყებოდა (ეს ხომ მართლაც კეთილი და სათნო სიტყვაა, აღამიანთა შორის მართლაც ჭეშმარიტი ძმობისა და ამხანაგობის გამომხატველი..)

მედიკომ როგორც იქნა, მღელვარება დაითრგუნა და წყნარად დაიწყო:

— დიახ, კომუნისტები ვართ მე და თქვენ, ხოლო საეკლესიო მოღვაწენი იყვნენ დავით გარეჯელი, გრიგოლ ხანძთელი, თორნიკე ერისთავი, პეტრე იბერიელი (კინალამ დამავიწყდა), ექვთიმე და გიორგი ათონელები, საბა ორბელიანი და, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ვაი თუ პროკოფი რატიანიც მართალი აღმოჩნდეს და შოთა რუსთველიც საეკლესიო მოღვაწედ დაგვიჩიეს, მაშინ... ჩვენ, კომუნისტებმა როგორღა დავძლიოთ საეკლესიო მოღვაწეთა სასწორი?!

ნახატურივით უძრავად იჯდა და უსმენდა სტუმარი. ბოლოს თავი გადაიქნია, თვალები მოწკურა და კბილებში გამოსცრა:

— ძალიან საეჭვო ლაპარაკი გცოდნიათ!

ისევ გაუწყრა გულს ქალი, ისევ მშვიდად და ღიმილით მიუგო სტუმარს:

— ნუ იმუქრებით, სულ ერთია, სინდისი არ დაგანებებთ ჩემთან წაჩხუბებას. ამასწინდელ სადღეგრძელოებსაც ნუ დავივიწყებთ, თქვენგან ჩემდამი წარმოთქმულ სიტყვებს. იცოდეთ, სიტყვა ჩიტია და ის ჩიტები მე მყავს გალიაში დამწყვდეული.

— ხუმრობა კარგია, მაგრამ მაინც სამივე უნდა გაუქმდეს — ნინოწმინდაც, გიორგიწმინდაც და მარიამჯვარიც! — არ დაიშალა თავისი „ზემოდან ჩამოსულმა“...

ახლა კი იფეთქა მეზვრიშვილის ქალმა:

— რაკი აგრეა, სანამ მე ცოცხალი ვარ და ამ სკამზე ვზივარ, მანამ სამივე დარჩება — ნინოწმინდაც, გიორგიწმინდაც, მარიამწვარიც!

— ?!

— დიახ, დიახ, ეს სახელები ფერეიდანშიც ცოცხლობენ დღემდე და არც ერთ ჩვენს მოსისხლე შაჰს არ უფიქრია მათი წაშლა — არც შაჰ აბასს, არც შაჰ ნადირს, არც ალა-მაჰმადს, ხოლო ჩვენ?! ჩვენ კომუნისტები ვაპირებთ ჩვენივე წინაპრების შეგინებას და მათგან ნაანდერძევი მემკვიდრეობის წაშლას, დამარხვას და დაქვესკნელებას?!!

— ეგ მე არ ვიცი, — წამოდგა სტუმარი — ახლა კახეთის დანარჩენ რაიონებში გავივლი, იქაურობას მივხედავ, ორ დღეში უკანვე გამოვივლი და ამასობაში თქვენ სათანადო წარდგინება დამახვედრეთ!

პასუხსაც აღარ დაუცადა, ისე გავარდა კაბინეტიდან, წასწრაფევი ნაბიჯით.

მღუმარედ გააყოლა თვალი მედიკომ კაბინეტიდან გაქცეულ, გაგულისებულ კაცს.

— კეთილი და პატიოსანი, თუ შენი ხმალი აღმასის არის, არც ჩვენი გახლავთ ბზისა! — მკაცრად სთქვა, თვითონაც სასწრაფოდ გამოვიდა, მანქანაში ჩაჯდა და თბილისისაკენ დაეშვა.

ბირდაპირ ნელი გურგენიძესთან მივიდა, — როგორც სჩვეოდა და ურომლისოდაც მისთვის „შზეც არ სუფევდა ცის კამარაზე“. ყველაფერი უამბო. თუ გავგიყდი და დავთანხმდი, საგარეჯოს სამი უმშვენიერესი სახელი ხელიდან ეცლებოა. ნელი სანახევროდ ხუმრობით, სანახევროდ სერიოზულად ეუბნებოდა, შენი ხასიათი რომ ვიცი, სრული იმედი მაქვს, მაგნაირ სიგიყეს განხორციელება არ უწყერიანო. ბევრი ითათბირეს და ბოლოს მაინც ძველი და ნაცადი შეგონება დაიჩემეს ყველა „დიდი“ და „მცირე“ საქმე მაინც ქართულ სუფრაზე გადაწყდებოა.

მთავარია, კაცს სუფრა უყვარდეს. „იმ კაცსაც“ უყვარდა სუფრა, — სუფთა სულის პატრონი და სუფრის მოყვარული კაცი იყო.

მორიგი თათბირი საგარეჯოს აღმასკომის შენობაში გამართა მედიკომ. „თათბირს“ ესწრებოდნენ: გუგული ერბოწონა-



შვილი, ელგუჯა დუჩიძე, ნუგზარ ჭანტურია, გიორგი როსტი-  
აშვილი, ფარნაოზ კავთუაშვილი.

სტუმარს მედიკოს ძმის, ომარ მეზვრიშვილის ოჯახში მი-  
იღებდნენ „მოთათბირენი“. დატრიალდებოდა ზეინაბი, მედი-  
კოს რძალი, გასაოცარი დიასახლისი და პედაგოგი. აბა, შენ  
იცოცხლე, ზანი, მული ვარ და გამიფრთხილდი, ნურც დაივიწყებ —  
მულის ტყავი ჩამოვარდა და ცხრა რძალი დაიტანაო, — „და-  
ემუქრებოდა“ მედეა...

მეორე დღეს მობრუნდა ის „ზემოდან ჩამოსული“, ანუ  
საეკლესიო სახელებზე გადამტერებული კაცი და, სანამ დაბა-  
რებულ „სათანადო წარდგინებას“ მოითხოვდა, „შეთქმულე-  
მა“ დაასწრეს და ომარ მეზვრიშვილის ოჯახში გააქანეს.

— მედეა არჩილევნა სად არისო, — ტკბილად იკითხა სტუ-  
მარმა, როცა უკვე მიუხსდნენ სუფრას. თბილისში გამოიძახეს  
სასწრაფოდ, მოახსენა თამადამ, გუგული ერბოწონაშვილმა,  
და სუფრა სწორედ მედიკოს სადღეგრძელოთი გახსნა.

მეორე სადღეგრძელო დავით გარეჯელისა დალიეს (მედი-  
კოს საერთოდ ჰქონდა წესად — მეორე სადღეგრძელო დავით  
გარეჯელის მოხსენიება).

მერე ერთმანეთს მიაყოლეს ნინოწმინდის, გიორგიწმინდის  
და მარიაამცვარის ნათლია-წინაპრები. ამ საოცარი სახელების  
გარეშე რანაირად უნდა წარმოიდგინოს კაცმა მშობლიური  
ქვეყანაო, — ოქროპირობდნენ ღვინომოძალებულნი.

ნუგზარ ჭანტურიამ ლექსი მიაგება სუფრას:

შენზე ფიქრები ჩქერად გადამდის,  
შენს გზებზე რაღა არ მაქვს ნანახი,  
შენი კრწანისის, შენი მარაბდის  
მე სისხლიანი ვძოვე ბალახი!

შენ ხეკობილას წყალი მარწყულე,  
მერე მომსხიპე ონტატს მარჯვენა,  
წამიყვანე და სისხლად ჩამწურე  
სურამის ციხის გადასარჩენად...

ერთი სიტყვით, მთელი სუფრა ბოლომდე საქართველოსა  
და წინაპართაგან ნაანდერძევი „ტოპონიმების ბათოსით“ ჩა-  
ათავეს.

— მართლა დაილოცოს და იკურთხოს მათი სახელები, გინც  
ბირგელად დაანათლა — „დავითგარეჯა“, „ნინოწმინდა“, „გი-

ორგიშინდა“, „ნიკორწმინდა“, „მარიამჯვარი“!—იყვია უკვე ღვინის საუფლოში დავანებულმა სტუმარმა...

ახლა აღარ იყო ის კაცი „ზემდგომი კაცი“. მედიკო მაინც დიდ პატივს სცემდა, უფრო დიდ პატივს, ვიდრე მისი „ზემდგომობის“ ჟამს. ნამინისტრალს უფრო პატივით უნდა ეგება ბებოდე, ვიდრე მინისტრსო, — ეს მედიკოს შეგონება იყო...

### სამეურნეო „სტატუს ქრო“

ის ღამე თეთრად გაათენა გარეჯიდან მობრუნებულმა მედეა მეზვრიშვილმა. ეს საქმეც ისე უნდა წარვმართო, როგორც დედა მირჩევდა და მამა გადაწყვეტდაო. გარდასულ მშობლებთან მდუმარე საუბარი და მსჯელობა უცვლელ ბუნებად დამკვიდრებულიყო ნაადრევად დაობლებული ქალის სულში გამორჩევით, საქართველოს გარეთ ყოფნისას „აღარ ტოვებდნენ“ მშობლები „მარტოხელა შვილს“. დედა მაინც განუცხადებლად დასდევდა ძილშიც და ღვიძილშიც. მალე დაბრუნდო საქართველოშიო, უცხო მიწაზე ხანგრძლივი ყოფნა საქართველოს შვილს სულს უმღვრევს და გულს უწყლულებსო, ჩქარა დაბრუნდო, ჩქარა დაბრუნდო, — ჩასჩურჩულებდა კავშირანი ლანდი დედისა და შვილსაც ცრემლი აღჩობდა, სამშობლო-მონატრებულს... ყოველი სიკეთე დედისგან მოდის, როგორც სამყაროს სიკეთე მოდის ღმერთისგანო...

და გამოვიდა დედ-მამასთან „ნათათბირევი“ ქალი საასპარეზოდ.

ხოლო ასპარეზი იყო გოლგოთა, ტვირთი მძიმე, მაგრამ მაინც — „ტვირთი ესე სუბუქ არს“, ვინათგან არის რწმენა, არის რწმენა რწმენისა...

და დაიწყო ბრძოლა განკვეთილი „გარეჯის ქუეყნის“ გამოთლიანებისათვის, ავბედითი ნეკროზისაგან გარეჯული სხეულის დახსნისათვის.

და გაგრძელდა ბრძოლა ორი წელიწადი, სუბორდინაციისა და იერარქიის ყოველი რგოლისა და საფეხურის გავლითა და ასვლით.

და ყოველივე მაინც, თითქმის ყოველთვის რჩებოდა „ხმად მღალადებლისა უღაბნოსა შინა, ენითა ცემა ჰაერისა და ამაო

ბგერა ბაგეთა“, ვიდრე ბრძოლის მთავარი გმირი, ოთარაძე  
ქერივის რკინის ჯოხითა და რკინის ქალამნით, „პირველის დო-  
ნემდე“ არ აღწევდა...

და ეწვია ელუარდ შევარდნაძე დავითგარეჯას.

შეიქმნა მთავრობის კომისია საქართველოს მინისტრთა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ზაალ გელღიაშვილის მე-  
თაურობით. კომისიას უნდა შეესწავლა საგარეჯოს რაიონის  
სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობა და შეედგინა  
მისი განვითარების სამომავლო, პერსპექტიული გეგმა.

გეგმა დგებოდა ისევ გარეჯის უღაბნოს გარეშე და მეღეა  
მეზგრიშვილი უნდა შერიგებოდა ამ ჯიუტ „სტატუს ქვოს“,  
ჯერჯერობით უნდა შერიგებოდა, ჯერჯერობით.

კომისიას წინ ედო 1970—1972 წლების საგარეჯოს რაიონის  
სოფლის მეურნეობის უმწეო სურათი: კაცდღეების რაოდენ-  
ნობა ერთ შრომისუნარიანზე — 150-მდე; კაცდღის ანაზღაურ-  
ება — 2,6—3,06; მოსავლიანობა ჰექტარზე — ხორბლისა —  
11—15 ცენტნერი, სიმინდისა — 15—20, მზესუმზირისა —  
1,4—6,6, ბოსტნეულისა — 25—55, ყურძნისა — 11—45, ხი-  
ლისა — 13, ძროხის საშუალო წველადობა — 1092 კილოგრამი,  
100 ძროხისგან — 71 ხბო, ერთი დედა ღორისგან 7,4 გოჭი,  
ერთი მოქცეულისგან 169 კვერცხი. პროდუქციის თვითღირე-  
ბულება — ერთი ცენტნერი პარკოსნისა 7,9 მანეთი, სიმინდისა  
14,2 მანეთი, მზესუმზირისა 10,2 მანეთი, ბოსტნეულისა 16,1  
მანეთი, ყურძნისა 35,8 მანეთი. გამჭრალიყო და დავიწყებას  
მისცემოდა უმთავრესი ბერკეტი ყოველგვარი კაცისმიერი  
შრომის და წარმოებისა — ნივთიერი ანაზღაურების, ანუ უკვე  
ნაცადი „მატერიალური სტიმულირების“ პრინციპი. ფასი  
და წონა დაჰკარგვოდა ადამიანის ოფლს, მოშლილი იყო შრო-  
მის ორგანიზაცია და განწესრიგება. ნაკლებად იყენებდნენ  
ტექნიკას და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს. არც ტექნი-  
კური კადრი კმაროდა. უთაურად იყენებდნენ სარწყავ მიწებს.

ერთი სიტყვით, რაიონის თითქმის ყოველი კოლმეურნეობა  
და საბჭოთა მეურნეობა წელიწადს ზარალიანობით ამთავრებ-  
და. საკმარისად მივიჩნიოთ ეს მწუხარე მაგალითი: მეზობელი  
წითელწყაროს რაიონის ერთი სოფლის, ზემომანჩხაანის კოლმე-  
ურნეობას გაცილებით მეტი მოსავალი მოჰყავდა, ვიდრე საგა-  
რეჯოს რაიონის ყველა (13 კოლმეურნეობას) ერთად. გნებავთ,

1971 წელს ზემომარჯნაანმა შემოსავლად მიიღო 4.392.978 მანეთი, საგარეჯოს რაიონის მთელმა საკოლმეურნეო სექტორმა — 1.994.000 მანეთი!

კომისია მუშაობას შეუდგა. ცხრა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეიყარა საგარეჯოს რაიონის სამეურნეო აღმავლობის სამოქმედო სამსახურში. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკნი, მეურნეობის ხელმძღვანელები, ფერმათა გამგენი, ბრიგადირნი, აგროსპეციალისტები და სამეურნეო გამოცდილების მქონე გლეხკაცნი.

და ასე, — კომისიამ შეიმუშავა საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამომავლო, ათი-თხუთმეტი წლის, სამუშაო გეგმა, რომელიც გენერალური განხილვისათვის, 1974 წლის 16 მარტს, წარედგინა რაიონის გაფართოებულ თათბირს. განხილვაში, კომისიის წევრთა გარდა, მონაწილეობდნენ მეურნეობათა დირექტორები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, პარტორგანიზაციების მდივნები, დარგობრივი სპეციალისტები, შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენელნი, უწყებათა და სამეცნიერო ინსტიტუტთა რჩეულ-წევულნი.

განხილვა იყო დიდად საქმიანი და სავსებით განწმენდილი ჩვენებურად მდგრადი და მთვლემარე ფორმალობისაგან (ეს მედგა მეზვრიშვილის კიდევ ერთი „პირადი ბუნება“ იყო).

ბოლოს, 1974 წლის 6 აგვისტოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს სხდომამ მოხსენიებული გეგმა განიხილა და დაამტკიცა, როგორც საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამომავლო სახელმძღვანელო პროგრამა.

ახალი გეგმა-პროგრამით საგარეჯოს სამეურნეო ცხოვრებაში უნდა შექმნილიყო:

სარძევე-სასაქონლო კომპლექსი 1200 სული ძროხისათვის, სოფელ ნინოწმინდაში;

ასეთივე კომპლექსი, ამდენივე ძროხისათვის, თვითონ საგარეჯოში;

ასეთივე კომპლექსი, ამდენივე ძროხისათვის, სოფელ ყანდაურაში;

ივრის მეურნეობა 20000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის;

სახბორე კომპლექსი, 2000 სულით, სოფელ კრასნოგორკაში;

მელორეობის კომპლექსი, 500 სული დედა ღორისთვის, სოფელ ბოგდანოვკაში;

მელორეობის კომპლექსი, 48000 სული ღორისათვის, სოფელ გიორგიწმინდაში;

მევენახეობის ახალი მეურნეობა სოფელ გიორგიწმინდაში დამხმარე მეურნეობაში, ადგილობრივი ნედლეულის რესურსთა გათვალისწინებით — სოფელ ყანდაურაში კერამიკული საწარმო, სოფელ ბოგდანოვკაში გაჯის ქარხანა, სოფელ გომბორში ინერტიული მასალების კარიერის გაფართოება ასი ათას კუბურ მეტრამდე წელიწადში;

ცალკე, საგანგებოდ დაევალა საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს: საგარეჯოს რაიონში ეროზიის წინააღმდეგ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა; არსებულ სარწყავ ქსელთა მოწესრიგება; საგარეჯოს სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო გაერთიანების შექმნა; მრავალწლიან კულტურათა საძოვრების მორწყვა 38000 ჰექტარზე; სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია 2000 ჰექტარზე; ახალი მიწების მორწყვა 11500 ჰექტარზე; ეროზიის საწინააღმდეგო სამაგრი სამუშაოების ჩატარება მდინარეებისა და ხრამების გასწვრივ.

რესპუბლიკურ გაერთიანებათა „საქსოფლტექნიკას“ დაევალა: რაიონის მომარაგება ავტომობილებით, ტრაქტორებით, კომბაინებით; მექანიზატორთა კადრების სისტემატური სწავლება, საამისოდ რაიონში კვალიფიკაციის ასამაღლებელი და მოსამზადებელი მუდმივი კურსების დაარსება.

პერსპექტიულ გეგმაში საგანგებო პუნქტებით აღინიშნა: საექსპორტო ღვინოების ჩამომსხმელი ქარხნის აშენება საგარეჯოში, წელიწადში სამი მილიონი ტონის წარმადობით, ხის გადამამუშავებელი ქარხნის აშენება იორზე წელიწადში 250000 კვმ სადურგლო ნაკეთობით და 20000 კვმ ფანერის წარმოებით.

მას შემდეგ საგარეჯოს რაიკომმა და აღმასკომმა მოხსენიებული გეგმის ცხოვრებაში ხორცშესხმისათვის მიიღეს საგანგებო დადგენილება, რომლის სრული პათოსი ეს იყო: თავისთავად დიდ საქმეთა მაუწყებელი აღთქმები მხოლოდ საქალაქედ აღთქმებად და ცარიელ, ხმაწართმეულ სიტყვებად არ დარჩენილიყვნენ.

დიდი ძალა დაადგა საგარეჯო-თბილისის სატელეფონო ხაზს. პირდაპირ „აიკლო“ მედია მეზერიშვილმა სამინისტროები, კომიტეტები, სამმართველოები, უწყებები.

— აღთქმა არ დაგავიწყდეთ, აღთქმა!

— არ გვავიწყდება, მაგრამ...

— მაგრამ? „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი“, თუ რა მაგრამ?

— ბევრს ითხოვთ, ძალიან ბევრს.

— ბევრი ჩაინიშნეთ, ისე როგორც გეგმაში სწერია. ახლა კი მცირეს ვიკმარებთ, ჭერჭერობით ვიკმარებთ, ჭერჭერობითმეთქი! განა, ოჯახში ყველა ბავშვს ერთ დღეს უყიდიან პალტოს?

— რანაირ ოჯახს გულისხმობ, მედიკო?

— სრულფუძიანს, არანაკლებ ხუთი შვილით, აბა „ყველა ბავშვი-თქო“, როგორ ვიტყვოდი ერთსა და ორზე! აბა, მე ისეთ ოჯახს როგორ ვიგულისხმებდი, მკვდარი ქონების სიმრავლეს რომ უფრო ამჯობინებენ, ვიდრე ბავშვთა სიმრავლეს... ეჰ, რა ვუთხრა ამ ბედშობას — ქართულ იდეალურ ერთობობას!.. მაგრამ ამაზე შემდეგ, — სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, კეკლუცო! მოიწურე გულიდან შენი განთქმული სიკეთე და გადმოაფრქვე კახეთის კარიბჭისაკენ!.. რა გაეწყობა, ჩვენი კუთხე ასეთია — შზე თავისას ითხოვს, სეტყვა თავისას და ქარიც კიდევ თავისას... სიღნაღელები და გურჯაანელები სულსა ჰხდიან საგარეჯოელებს — სასუქის დაყრას რად აგვიანებთო“.

„საიდან სადაო?“

„საიდან და, იციან, საგარეჯოს მიწებს რომ სასუქს მიმოაბნევენ, ქარი ვაიტაცებს და სიღნაღ-გურჯაანს მიაბნევს და გაასუქებს“.

— სამაგიეროდ, საგარეჯოს პროდუქცია მაინც შეუდარებლად უფრო გემრიელია, ყოველნაირი პროდუქცია.

— არა, მეზობლებს როდი ვსაყვედურობთ, არ გვენანება, ლუკმა გავარდეს და ჯამში ჩავარდეს, მაგრამ ღმერთი ჩვენ მაინც გერი-შვილივით გვეპყრობა და საგარეჯოელებს მაინც ათჯერ მეტი შრომა უხდებათ, ვიდრე კახეთის დანარჩენ შვილებს... ეს ისე, ცნობისათვის... თქვენ კი ალექსმა არ დაგავიწყდეთ!..

### ქულზე კახი!

უზრუნველობის, უიმედობის, გულგრილობის, უმაქნისობის, მუქთახორობის, სიხარბის, გაუტანლობის, ქვენაგარძნობითი ბოროტმოქმედების სნებიანი კანიდან ამოდიოდა „ქუეყანა გარეჯისა“ (ჯერჯერობით — ისევ უგარეჯოდ).

მედეა მეზვრიშვილის ზოგი თანამშრომელი მისი ბავშვობისა და სკოლის მეგობარია. ამათ, კიდევ, განსაკუთრებულ ტვირთად აწევთ რაიკომის მდივნის „მეგობრობა“. მეზვრიშვილის ქალი მათგან გამორჩეული სიმკაცრით მოითხოვს „სამეგობრო პრივილეგიით“ ოფლის ღვრას. ვინც ბავშვობისას ხასიათით რა იყო, მოწიფულობის წლებშიც იგივე ხასიათად რჩებაო, — ამბობს მედიკო — კეთილი კეთილად რჩება, ბოროტი ბოროტად, გულუხვი გულუხვად, ძუნწი ძუნწად. ვინც ბავშვობისას ამხანაგების ნამალევად ლუკმას მუჭში ამოიჭამდა, სწორედ ის შეიქმნა სიმწიფის წლებში მომხვეჭელიც და გამტაცებელიცო.

„გაუსწორებელი მეგობრის“ წამალიც იცოდა მედეამ: უსაყვარლეს მასწავლებლებს, ნინო ასათიანსა და ივანე ბეღიაშვილს წარუდგენდა და მათ წინაშე „გაასამართლებდა“!.. გასაოცარი „გამასწორებელი ძალა“ კი ჰქონდა ამნაირ „სასამართლოს“...

განსაკუთრებით ობივატელი ვერ მოეთმინა მეზვრიშვილის ქალს. ობივატელი, — ვინც საზოგადოების საკეთილდღეოდ თითს თითზე არ დააკარებს და ჩვენს გაჰირვებას მხოლოდ ცინიკური მჭვრეტელობით აღიქვამს, ჩვენი მტერია, ნებით თუ უნებლიე მტერი, და მას მანამ უნდა ვებრძოლოთ, სანამ ობივატელური მტრობის კანიდან არ გამოვადგებთ და შრომის ფერხულში არ ჩავაყენებთო, — ამბობდა მედეა.

ყოველ გასაჭირში ქუდზე კაცი უნდა გამოვიდესო, ქუდზე კაცი! — როგორც მტრის შემოსევის ქამს იარაღით ხელში გამოდიოდა ყოველი ბრძოლისუნარიანი ქართველი ვაჟკაციო.

ქონების მოხვეჭისთვის თვალსა და გულს ნუ გავირყვნითო, ანგარებას სულს ნუ დავაბეჩავენბინებთო, — მკაცრად აფრთხილებდა ყველას მედეა.

ყოველი ბოროტებისა და ცთომილების დავიწყებას გპირდებით, ოღონდ ამიერიდან განვიწმინდოთო, განწმენდის ქამი დაგვიდგა და ჩვენც ამაზე უკეთესს რაღას ვინატრებდითო.

ნუ შედრკებით და ნუ შეშინდებით, წინაპრები გავისხენოთ, მათი ჭირი და მათი ღვინი, მათი სიმტკიცე და გაუტეხლობა. ვის გაუგია გარეჯელი გუთნისდედა გუთნის კვალში დაცემულიყოს, გარეჯელი მეომარი ზურგიდან ნაძგერალი დაცემულიყოს, გარეჯელი ფილოსოფოსი პაექრობაში გაწბილებულიყოს, გარეჯელი მწერალი სიტყვა-გაბერწებულიყოს. სწყუროდათ, ჰშიოდათ, სცხლოდათ, სციოდათ — მაინც აშენებდნენ, მაინც ქმნიდნენ, მაინც იღვწოდნენ და, ჩვენ რაღა ღმერთი გაგვწყრომიო.

ორივე კანონს დავემორჩილოთ — სახელმწიფოებრივსაც და შინაგან სინდისებრივსაცო. კანონი და ზნეობა ჩვენში ყველასათვის ერთია და არა ისე, ობობას ქსელივით — ძლიერები რომ გაარღვევენ და გაუსხლტებიან, ხოლო სუსტები გაებმებიანო.

მათუსალამ ცხრაას სამოცდაცხრა წელიწადი იცოცხლო, მაგრამ სიცოცხლის ხანგრძლივობას რა ფასი აქვს, თუ მართოდროს მიათრევ აკვნიდან კუბომდე. ხარ და მაინც არა ხარ, რადგან არაფერს ქმნი, არაფერს აკეთებ, მუქთა ლუკმას ჰამ და მუქთახრობით მიწას ამძიმებო, ამ ღვთაებრივ მიწას შეურაცხყოფას აყენებო...

გამორჩეული სიმტკიცითა და შეუთრევებლობით შეება მედეა მეზვრიშვილი უსაქმურობას, მუქთახრობას, პარაზიტობას.

ამ მხრივ, რაიონის ყველაზე „ცხელ წერტილს“ დაწვა მედეა მეზვრიშვილი — პატარძელს, გიორგი ლეონიძის მშობლიურ სოფელს (გიორგი ლეონიძე სიკვდილის შემდგომაც დიდ დახმარებას უწევს რაიონსო, — ხშირად ამბობს მედიკო). ჩავიდა, სასოფლო ყრილობა შეჰყარა და... მთელს რესპუბ-

ლიკას მოედო და მოენტო პატარძელელთა საბრძოლო დევი-  
ზი: „არც ერთი უმუშევარი სოფელში“.

მოვიტანოთ ამონაწერი თვითონ მედია მეზვრიშვილის სი-  
ტყვიდან საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე: „პა-  
ტარძელელები შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულებების შეს-  
რულებას. გაიშალა სახალხო მოძრაობა სანიმუშო, საზოგადო-  
ებრივად სასარგებლო შრომისა და მაღალი კულტურისათვის.  
ამ სოფელში მინიმუმამდე იქნა დაყვანილი სამართალდარღვე-  
ვათა რიცხვი. ბრძოლა გამოუცხადეს ქურდებს, ხულიგნებს,  
მომხვეჭელებს, მუქთახორებს, საზოგადოებრივი შრომის თავის  
ამრიდებლებს, კერძომესაკუთრული ტენდენციების მქონე-  
ბელთ. ბრძოლამ დიდი, პოზიტიური შედეგები მოიტანა... მივ-  
მართოთ ციფრებს: თუ 1971 წელს პატარძელის საკოლმეურ-  
ნეო შრომაში მონაწილეობას იღებდა 574 კაცი, 1975 წელს  
მათი რიცხვი 1170 აღწევს. თუ აღრე საკოლმეურნეო შრო-  
მაში სრულიად არ მონაწილეობდა 280 კაცი, ახლა უმუშევარი  
აქ უკვე სანთლით საძებნელია. მართალია, ამ სოფელს სარწყა-  
ვი ფართობები არა აქვს, მაგრამ კარგი მოვლა-პატრონობის  
შედეგად გაიზარდა საჰექტარო მოსავლიანობა: მარცვლეული  
10,6 ცენტნერიდან 20 ცენტნერამდე, ყურძენი 7,7 ცენტნერი-  
დან 105,4 ცენტნერამდე, რძე ერთ საფურაეე ძროხაზე 1333  
ლიტრიდან 1776 ლიტრამდე; კაცდღეების ღირებულება 1,25  
მანეთიდან 3,80 მანეთამდე. თუ კოლმეურნეობამ 1971 წელი  
56.479 მანეთის ზარალით დაამთავრა, 1975 წელს მისმა მო-  
გებამ 93.000 მანეთს მიაღწია... პატარძელის თაოსნობას რა-  
იონის ყველა სოფელში გაუჩნდნენ მიმდევრები, ამიტომაც  
ყველგან იგრძნობა დიდი ძვრები“.

თბილისში გადახვეწილ საგარეჯოელებსაც მოუწოდებდა  
მედიკო, — დაბრუნდით საგარეჯოში, ნულარ შიშობთ, ტყუი-  
ლად აღარავინ გამუშავებთო; მობრუნდით, თბილისში უჩინარ,  
უსახურ ცხოვრებას, თქვენს მშობლიურ მიწაზე გამოჩინე-  
ბული, ჯანსრული სიცოცხლე გერჩიოთო; მანდ რომ შაგრენის  
ტყავივით პატარავდებით და იკუმშებით, დროზე მობრუნდით,  
თორემ, სულ ერთია, ნაყოფი ჩამოვარდნისას მაინც ხის ძირში  
უნდა დაეცეს და შორს ვერ გაგორდება. ისე ნუ იზამთ, მარტო  
სატირლად და სამარხად დაიტოვოთო საგარეჯო. მობრუნდით,  
ვისაც სინდისი კიდევ გიკვნესითო.

და მობრუნდა ბევრი საგარეჯოელი საგარეჯოს.

ზოგი ისეთიც მოვიდა, საგარეჯო მანამდე თვალით რომ არ ენახა. ერთი მათგანი საქვეყნოდ განთქმულ ქარხანაში მუშაობდა მუშად; მამა მოკვდომოდა, ქარხნის დირექტორს კი სამძიმარზე მისვლა არ უკადრებია (ეს დირექტორი თურმე იმ კაცთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, მხოლოდ მათზე ზემდგომ უფროსთა ბებიების დაკრძალვაზე რომ „გამოიჩენენ თავს“, თორემ მუშა?! ) და უთქვამს მუშას: ასეთი სინდისის მქონე კაცის ქარხანაში მუშაობას, სულ უმუშევრობა და ულუკმაპურობა სჯობიაო... და წამოსულა საგარეჯოში, მედეა მეზვრიშვილთან...

გულსრულად, სრულის რწმენით მოილტვოდნენ მედეა მეზვრიშვილთან სამუშაოდ და სამოღვაწოდ პატიოსან შრომას მოწყურებული ადამიანები... ზოგ მათგანზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ყოველი აზრი, რაგინდ ბრძნულიც არ უნდა იყოს, უსაზმნოთ დაღუპება, თუკი არ გამქლავნდება და ხალხის პრაქტიკულ სამსახურში არ ჩადგება. ამიტომ მითხარით პირდაპირ, უშიშრად და უბოდიშოდ, რას ფიქრობთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რაში გვეთანხმებით, რაში არ გვეთანხმებით, ან ჩვენ თუ ვერ დავინახეთ ვერ მივაგენით, ვერ მოვისაზრეთ, იქნებ თქვენ გვირჩიოთ, მოგვეხმაროთ და მოგვეშველოთ, — აჯანჯლარებდა და აფხიზლებდა მეზვრიშვილის ქალი ოცდაათი წლის განმავლობაში ეჭვის, უნდობლობისა, უიმედობისა და გულგრილობის ლეთარგიაში ჩაძირულ ადამიანებს.

და ერთხელ, ასეთ „შემანჯღრეველ“ თავყრილობაზე ადგა ერთი გლეხი და უთხრა მედეა მეზვრიშვილს: „მე შენგან არაფერს გამოველი, რადგან შენც ხომ რაიკომის მდივანი ხარ, მაგრამა შენ მაინც არხეინად იყავი, შვილო, — მე მაინც ვიმუშავებ, მაშ როგორ, — ვაზს ხომ ვერ ვუღალატებ, შვილო, მევენახის ხელს ვერ წავიზდენ, თავს ხომ ვერ შავირცხვენ და საქართველოსაც ხომ ვერ შავარცხვენ?!“

სიტყვისა და ფიქრის ნიშატი ჩაუქრა ამის გამგონე მედეა მეზვრიშვილს.

ქართველი გლეხის გასაოცარი დიდსულოვნება!

ქართველი გლეხის, ქართული ვაზისა და საქართველოს გულწრფელი ერთარსობა და ერთარსებობა!

რაღა დაგრჩენია გარდა იმისა, რომ გულწრფელად შეეწირო, სულით და ხორციით შეეწირო, ასეთი მამულისა და მამულიშვილის სამსახურს, მისი გატეხილი გულის გამთელებას, მისი გაუფასურებული ნაოფლარისა და ნაჭირნახულევის ღირსეულ ფასდაღებას, მისი გაწბილებული სინდისის უკუწბილებას...

ტირილი უნდოდა იმ წუთს მედია მეზვრიშვილს, ქალის მდულარე ცრემლით ტირილი. მაგრამ... არ ჰქონდა ამის „უფლება“.

არ ჰქონდა, რადგან... არ იყო მარტო.

— მედიკოს ცრემლს ვერაფერ იხილავს, მარტო დაჯდება და თავის ტკივილს მარტო მოიმტკივნებს, — მითხრა ერთმა „კაი კაცმა“.

— ათი კაცი რომ ბიუროზე ისე გამილანძღავს, იორი და აღაზანი რომ ვერ გარეცხავდა, ათივეს თვალებში მეორე ღღეს შაინც სიყვარული ამომიკითხავს, და ასეთ დროს მე ბედნიერი ვარ, ალბათ იმიტომ მპატიობენ, მათი სისხლი და ხორცი რომა ვარ — ამბობს მედიკო. — რაიონში ისეთიც მოიძებნება საქმისადმი „საკუთარი ფილოსოფია“ რომ შეუშუშავებია. დადგება ეს „ფილოსოფოსი“ და ეუბნება საკუთარ „მეს“: საქმისთვის არ იჯავრო, ჩემო თავო, საქმე ძალღია და თვითონ მიხედავს თავის თავს; შენ კი დაკალი შავი ღედალი, ამოიღე შავი ღვინო, დაუძახე შავ-შავ ბიჭებს, წამოწეკი შავ ნაბადზე და ერთმანეთს მიაყოლე სადღეგრძელოები — კამეჩის რქით — ქართველი გლეხისა, ხარის რქით — სტალინისა, ჯეირნის რქით — ქალისა, ჯიხვის რქით — ჭაბუკისა. მიდი, დალიე, ჭამე, შეირგე. საქმე კი ძალღია და თვითონ მიაგნებს იმ ბალახს, მუცლის ტკივილი რომ მოუტრინოს...

ასეთ „ფილოსოფოსებს“ კატეგორიული იმპერატივის სრული სისასტიკით ვერ შეებრძოლები, მაგრამ ისეთებიც შემხვედრიან, პირუტყვივით რომ მარტო მიწას ჩასცქერიან და ცინ ვარსკვლავთა სიმშვენიერეს მთელი სიცოცხლე ვერ დაინახავენ, საიდანაც არ უნდა უჩხვლიტო, სიცოცხლისა და აზრის ნიშაბს ვერ გამოადენ, ამ მაჯლაჯუნებს აკვნის გადარწმევაც

რომ ვეღარ მოარჯულებს. ხელი გაანძრე-მეთქი, ჭაბუნის კრამიტობას არავინ გეხვეწება, უბრალოდ გაჰყევ სამუშაოზე მიმავალს-მეთქი. არა და, თანამდებობა კი უნდათ. მე ისეთი კარიერისტიც შემხვედრია, ბავშვთა კარუსელის დირექტორობისთვის ბავშვებს რომ კალოზე გასაღეწად არ დაინდობს...

გულსრულად, სრულის რწმენით მოილტვოდნენ მედია მეზვრიშვილთან სამოღვაწეოდ ღირსებით სავსე ადამიანები.

ხოლო, ცხოვრების ახალი სტილის მოძულე კონსერვატორები, არმად მომხვეტელნი და მომპოვებელნი, აქცენტს ისევ „მოპოვებაზე“ ამახვილებდნენ:

„რაის მოპოვება სურს მედია მეზვრიშვილს?“

„ასეთები სამ რაიმეს მოიპოვებენ — დიდებას, მტრებს და სახეზე ნაოჭებს“...

### „შპართავი მდივანი“

დრო კი მიჰქროდა უსულთქმოდ და უწერტილოდ.

ცხოვრებაც მისდევდა აღმა-დაღმა სვლის ჯადოსნური და ჯადოკრული ბორბალის ბრუნვით.

მაგრამ გარეჯის „ქუეყანაში“ ისევ, მაინც, ყველაფერი უგარეჯოდ „ბრუნავდა“.

საგარეჯოს მისი მაარსებელი „დვრიტა“ და „შემდევდებელი დედა“ ისევ წართმეული ჰქონდა.

მედია მეზვრიშვილის „მეზვრიშვილობა“ კი არასგზით არ ურიგდებოდა მისი სამწყსოს ეგზომ უსამართლო განკვეთილობასა და „განწვალებას“.

მოხსენიებული სამეურნეო გეგმის დაუცხრომელი აღსრულების გასწვრივ, იგი ერთის წუთითაც არ ანელებდა საგარეჯოს „გამთლიანებისათვის“ ბრძოლას.

კვლავ მრავალჯერ დალაშქრა მედია მეზვრიშვილმა მრავალი „ინსტანცია“, სუბორდინაციული კიბის ყოველი „რგოლი“ და „საფეხური“, მაგრამ ბოლოს გორდიოსის კვანძი მაინც პირველს უნდა გადაეკვეთა...

— ახლა 1975 წელია და, რა ღირებულების პროდუქციას

აწარმოებს საგარეჯოს სოფლის მეურნეობა? — ჰკითხა პირველმა.

— ცხრა მილიონს, — მოკლედ მიუგო მედეამ.

— ვთქვათ, დაიბრუნეთ უდაბნო, მაშინ?

— მაშინ, 1980 წლისთვის ავალთ ოცდაცხრა მილიონზე, ხოლო შემდგომ წავალთ გეომეტრიული გაქანებით.

— რა მოცულობას გულისხმობს უდაბნოს სრული ფართობი?

— ორმოცდათორმეტი ათას ჰექტარს.

— მაშ, ჩვენ გვექონია ჩვენი ყამირი, საქართველოს ყამირი! — სახე აევზნო ყაზახეთის ცხელ ყამირებზე ოფლნაქცევ ქართველს.

— დიახ, ყამირი, საქართველოს ყამირი! — გაიმეორა მედეამ...

საუბარი გახანიერდა.

ეკონომიკამ იცის „მიტაცება“ დიდი ღროისა.

საუბრის შუატანმა გეზი იცვალა: გარეჯის „დაბრუნების საკითხი“ მხოლოდ ეკონომიკის საკითხი როდი იყო. ეკონომიკასთან ერთად, გარეჯის ცხელ მიწაზე ეროვნული, კულტურული, პოლიტიკური და სინდისებრივი „საკითხველნი“ ერთვოდნენ ერთურთს...

გარეჯი ეროვნული ყამირიცაა, ეროვნული სულის ყამირი! — ფიქრობდა რესპუბლიკის თავკაცი.

— ვნახოთ, გივი ზაუტაშვილსაც უნდა ვკითხოთ, დათმობს კი გარდაბნის რაიკომის მდივანი თავისი სამფლობელოთაგან ეგზომ დიდ ნაწილს?

— გივის მე უკვე ველაპარაკე, — სთქვა მედეამ.

— მერე, რა პასუხი მიიღე?

— ბევრი მეზრძოლა, მაგრამ როგორც ნამდვილ ვაქეაცს შეჭფერის, მაინც ისე მოიქცა და დამთანხმდა, პოზიციის სისწორემაც თავისი გაიტანა.

— პოზიციის ხასიათი?

— წმინდა მამულიშვილური.

— მაინც ასეთი რა უთხარი, კონკრეტულად?

— თუ არ დამეთანხმები და ეს საქმე ჩამიშალე, როცა განკითხვის ზარი დარეკავს, ქართული მიწა აღარ მიგიღებს-მეთქი.

სიცილი. თბილი იუმორი.

— სწორედ მართალს ამბობენ შენზე — მედღეა მეზვრიშვილი უმართავი მდივანი არისო.

— შეიძლება ამბობენ.

— რატომ ამბობენ?

— სუბორდინაციებს არ იცავსო.

— მერე და, რატომ არ იცავ?

— გახსოვთ იმპერატორი დიოკლეთიანე?

— ნურას უკაცრავად, შენზე ნაკლები ისტორიკოსი არ გახლავართ, მაგრამ რა შუაშია დიოკლეთიანე?

— დიოკლეთიანე რომ გადადგა და იმპერატორობას მებოტნეობა ამჯობინა, ერთი დიდი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ ახლო თანამშრომლები მასთან სიმართლის სათქმელად მოსულ „სუბორდინებს“ არ უშვებდნენ.

პაუზა.

იუმორი გაქრა.

— კარგი, ერთხელ კიდევ ჩამოვალ უდაბნოში. ყველაფერი ადგილზე ავწონ-დავწონოთ და ისე გადავწყვიტოთ, — სთქვა მძიმედ ჩაფიქრებულმა და ფეხზე წამოდგა. ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

### ბარეჯული ციხისხელების

განვლო კიდევ ერთმა კვირამ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ისევ ეახლა დავითგარეჯას. მთელი დღე იარეს ფეხით უდაბნო, ლავრა, ჩიჩხატური, ნათლისმცველი.

მთელი დღე წარბი არ გაუხსნიათ.

რა უღვთო, ველური ურჯულობით უწამებიათ ძეგლები! რა პირუტყვეული სიმდაბლით უქცევიათ პირუტყვეთა სადგომებად, ფარეხებად, თავლებად, ბაკებად, ქართებად — ეს წმინდა სამამულიშვილო სალოცავები!

— ეშველება კიდევ რაიმე?

— ეშველება, თუ ისევ ჩვენი რაიონისა იქნება, — ნასწრაფევად მიუგო მედღეა მეზვრიშვილმა.

— იქნება, — მოკლედ მოჭრა სტუმარმა და ჩიჩხატურის კოშკისკენ ამავე აღმართს შეუდგა.

კლდოვან მთას რომ გადაადგა, დიდხანს უძრავად გასცქეროდა სამხრეთ-აღმოსავლეთს, მტკვრის მარცხენა მხარეს.

- ჰხედავ?
- ვხედავ.
- რა ახლოს ყოფილა!
- დიახ...

ცა ცხელი კეცივით ჩამობრტყელებული ჩამომხოზოდა დედამიწას.

ცხელი სევდა და ბოღმა თახთახებდა „ქუეყანასა გარეჯისასა“.

უდაბნოს — ამ ქართული ყამირის „მონილვაც“ რომ დაასრულეს, ისევ მეზვრიშვილს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მაინც რით აპირებ დაწყებას — კულტურით თუ ეკონომიკით?

— კულტურით! — მტკიცედ და სწრაფად შეაგება სიტყვა მედეამ.

— მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

და ზედიზედ გამოცხადდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ორი საგანგებო დადგენილება:

- დავითგარეჯის უდაბნო უბრუნდება საგარეჯოს;
- დავითგარეჯის კულტურულ ძეგლთა საკრებულო ცხადდება მუზეუმ-ნაკრძალად.

ამიერიდან „სიტყვა და საქმე“ ეკუთვნის მედეა მეზვრიშვილს!..

და შევიდა მედეა მეზვრიშვილი მისივე ბუნების ძალსრულ სტიქიაში, ფრთაასხმული და ატაცებული.

სრულიად აიყოლია რაიონის სრული მოსახლეობა, ყოველი „ფენა“, ყოველი „შრე“, ყოველი „რგოლი“, ყოველი „უწყება“, ყოველი „ზემდგომი“ და „ქვემდგომი“.

რალაცნაირი ელდორადული ციებცხელებით მოედო საგარეჯოს „გარეჯული ციებცხელება“.

ქუღზე კაცი გარეჯისათვის  
 გარეჯის დასახსნელად!  
 გარეჯის გასაწმენდად!  
 გარეჯის აღსადგენად!  
 ყველანი და ყველაფერი გარეჯისათვის!  
 რაიონიდან დედაქალაქს მიუსია მედგა მეზვრიშვილმა „გარეჯული კრაზანები“.

— ალთქმა არ დაგავიწყდეთ, ალთქმა!

განუწყვეტელი „გარეჯული ზარი“ შეჰქონდა საგარეჯოდან დარეკილ ტელეფონის ზარს „სამინისტროებში“, „კომიტეტებში“, „სამმართველოებში“, „გაერთიანებებში“, „განყოფილებებში“, „ქვეგანყოფილებებში“, „უწყებებში“, „სექტორებში“, „ინსტანციებში“.

საკმარისია კაცს, სოციალურად ნულიც რომ იყოს, ის სიმი გაუღიზიანო, რასაც „სამშობლო“ ჰქვია და იგი მაშინვე შენ გეკუთვნის სულით და ხორციით. ასევე საკმარისი იყო დამეძახნა სიტყვა „გარეჯი“ და მაშინვე ყველა მხარში მედგა — სოფლელიც და ქალაქელიც, მწყემსიც და მინისტრიც, მეზვრეც და მეცნიერიც, მეეზოვეც და სიტყვის ოსტატიც. ყველა ჩემთან იყო, ყველა, უკლებლივ, ქუღზე კაცი! — იგონებს მედგა მეზვრიშვილი.

## პანსიონერი პიონერები

დღეს რა ადვილად ითქმის ყოველივე, რაიც იმ წელს შეძლეს და შექმნეს საგარეჯოელებმა.

„ყველა გზა საგარეჯოსკენ მიდისო“, მაგრამ აღარსად იყო გზა. ესეთა ვითარებას წარეხოცა წინაპართა ნაგზაურნი და ნაკვალევნი.

და გაიყვანეს საავტომობილო გზა, 55 კილომეტრი, საგარეჯოდან, უდაბნოს გავლით, დავით გარეჯელის ლავრამდე.

გაწმინდეს, გაასუფთავეს, გააკრიალეს მანამდე პირუტყვის დენგრით, ნაკელითა და ნაცრით ყელამდე გატენილი ტაძრები, სალოცაეები, სადგომები, ქვაბულნი, ლაკვანნი. ეს მითოლოგიური ჰერაკლეს ერთ-ერთ „თორმეტთაგან გმირობას“ ჰგავდა — წლობით დანაგვიანებული ავგიას თავლები რომ გაწმინდა გმირმა.



თბილისიდან სპეციალისტები გამოიწვია მედია მეზერიშვილ-  
მა და გარეჯულ სავანეთა კედლებიდან სულმდაბალ ნაჯღანთა  
გარდახოცვა და აჩეხილ ფრესკათა აღდგენა მიანდო...

ერთ დღეს მედეას მისი საყვარელი მასწავლებლები ეწვი-  
ნენ — ნინო ასათიანი და ივანე ბედიაშვილი. მიეახლნენ თვალ-  
ცრემლიანნი, გულში ჩაიკრეს, მიულოცეს და მადლი მიუგეს  
გარეჯის აღდგენისა და „აღდგომისათვის“. და სანამ გაზრდილი  
გამზრდევებს რაიმეს უპასუხებდა, ივანემ ფულის დასტა  
ამოიღო და დაუდო წინ, მაგიდაზე.

— ეს რა არის? — რისხვეულად შეკრა წარბები რაიკო-  
მის მდივანმა.

— ნუ დაგვიწუნებ, შვილო, აქ ხუთასი მანეთია, დანაზოგი  
ჩვენი პენსიისა მთლიანად, — კრძალული ღიმილით დაიწყო  
ნინომ.

— მერე, რა მოხდა, ჩემთან რად მოგაქვთ?! — ხმას აუწია  
მედეამ.

— გვაცალე, შვილო, — ჩაერთო ივანე — ჩვენ ეს ფული  
შემოგვაქვს ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის ფონდში.

— კი მაგრამ ასეთი ფონდი რომ არ არსებობს საქართვე-  
ლოში?

— არ არსებობს და ჩვენ დავაარსოთ, — ერთხმად შესძახეს  
მეუღლე-მასწავლებლებმა.

წუთით რაღაცნაირმა, საზეიმო მდუმარებამ დაისადგურა.

— მაშ, თქვენ იქნებით პიონერები ამ უდიდესი ეროვნუ-  
ლი თაოსნობისა! — წამოიძახა სახეანთებულმა მედიკომ.

— ჰო, პიონერები, ჩვენო საყვარელო პიონერო!

და მასწავლებლები მოწაფეს გადაეხვივნენ.

მაღე რაიონის გაზეთში, „ივრის განთიადში“, გამოქვეყნდა  
ნინოს და ივანეს მოწოდება ძეგლთა დაცვისთვის პირად დანა-  
ზოგთა შეწირვის შესახებ. მაშინვე გამოეხმაურნენ და დანა-  
ზოგიც შეიტანეს: საგარეჯოს მევენახეობის მეურნეობის დი-  
რექტორმა გუგული ერბოწონაშვილმა, მანავის მევენახეობის  
მეურნეობის დირექტორმა გიორგი როსტიაშვილმა, სოფლტექ-  
ნიკის განყოფილების პარტიუროს მდივანმა რეზო შიოშვილ-  
მა, პატარქიულელმა კოლმეურნემ თამარ გურამიშვილმა, მა-  
ნავის მეორე საშუალო სკოლის დირექტორმა ალექსანდრე  
ტულუშმა, კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზინა-



იდა ოქრომჭედლიშვილმა, მექანიზატორმა ივანე ალექსაშვილ-  
მა, გომბორის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ხარიტონ  
ციცხვიამ და, სხვათა მრავალთა...

ასე დაედო საფუძველი საქართველოში დიდ სამამულიშვი-  
ლო-საქველმოქმედო მოძრაობას — ძეგლთა დაცვის სახალხო  
შენაწირთა ფონდს.

## ახალ „ობა“ მისაფუძვლი

„ობა“ ქართულ სიტყვიერებაში, არც ისე შორეულ წარ-  
სულში, სავსებით დამოუკიდებელი სიტყვა იყო — იგივე სიტყ-  
ვა, რაიც „დღე“, მაგრამ „დღე-სასწაული“, ანუ „დღე-ზეი-  
მი“, გნებავთ „დღე-იუბილე“.

„დღეს „ობა“, — ჰო, ღმერთმანი, — და მსურს გიძღვნა  
სამახსოვროდ უცნაური ხელთათმანი“, — წერდა იოსებ გრი-  
შაშვილი.

„ჩვენი ობა, ვემზადებით ხატის კარს წასვლას“, —  
წერდა ვასილ ბარნოვი.

„წარსულ შაბათსა, კვირასა და გუშინ, ორშაბათს, თბილი-  
სი სულ დღეობებზე დადიოდა და ობების გატარებაში იყო.  
სამი ობა ერთად დაუდგათ თბილისელებს: ფეთხაინობა, სიო-  
ნობა, ანჩხატობა“, — წერდა „ივერია“.

იგივე მაგალითებით და განმარტებით, სიტყვა — „ობა“ შე-  
ტანილია ჩვენს დიდებულ ლექსიკოლოგიურ ძეგლში — „ქარ-  
თული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

ახლა ამ სიტყვას ცალკე აღარავინ ხმარობს. ბოლოს და  
ბოლოს იგი სხვა სიტყვათა სუფიქსად, ბოლოსართად იქცა,  
ისევ რაიმე „დღე-ობის“ გამოხატულებით.

წარსულ საუკუნეებში „ობა“ მაინც უპირატესად რელიგი-  
ურ-საქრალურ, ან ყოფით-რიტუალურ დღესასწაულთა გამო-  
სახატავად იხმარებოდა და იხარჯებოდა — ხატ-ობა, გიორგ-  
ობა, მარიამ-ობა, ელია-ობა, თელეთ-ობა, კალო-ობა, ბოსლ-  
ობა და სხვ. მრავალი.

ახალმა დრომ, კიდევ, ახალი შინაარსი მისცა აღნიშნულ  
სიტყვას.

გაჩნდა უამრავი ახალი დღესასწაული, ახალი დღე-„ობა“,

დაკავშირებული მრავალ ეროვნულ მიღწევასთან, კულტურულ სანიშანსვეტო აღზევებასთან, ღირსეულ მოღვაწესთან, მწერალთან, ხელოვანთან, მეცნიერთან.

უკანასკნელ ათწლეულში მაინც, საქართველოში, ძველ, უამგადასულ „ობათა“ საპირისპიროდ, პირდაპირ საყოველთაო-სახალხო მოძრაობა გაიშალა ახალ „ობათა“ დანერგვითა და სადღესასწაულო აღნიშვნებით.

და საგანგებოდ უნდა მივანიშნოთ, რომ უკანასკნელი დროის „ობათა მოძრაობის“ პრიმატიც ისევ მედღეა მეზვრიშვილის ეკუთვნის.

ეს გახლავთ — გარეჯ-„ობა“.

პირდაპირ უნდა ითქვას: შეუძლებელია გაზვიადება და „გადაფასება“ მედღეა მეზვრიშვილის მიერ დაარსებული „გარეჯობისა“. ეს არ არის მხოლოდ დღესასწაულ-„ობა“, მიძღვნილი ერთი, თუნდაც გამოჩენილი მოღვაწის მოსაგონებლად და პატივის მისაგებად. გაცილებით მეტი ასპექტები და განზომილებანი გააჩნია ამ ეროვნულ კულტურულ მოვლენას.

ჯერ ერთი, ლოკალურად, თვითონ დავითგარეჯის კულტურული მემკვიდრეობისათვის, — ეს არის ამ მემკვიდრეობათა ისტორიის ახალი ეტაპი, თანაც უაღრესად მნიშვნელოვანი, რამდენადაც აქ საქმე ეხება არა უბრალოდ „განვითარებას“, ან „რიგით ამოღებას“, „აღზევებას“, არამედ პირდაპირ მკვდრეთით აღდგომას, სამარიდან ამოყვანას, ახალი ცხოველი სულის შთაბერვას, ფენიქსისეულ აღორძინებას, გაწყვეტილი ისტორიის გამთლიანებას.

ამის შემდეგ კი საყოველთაო-ქართული მოვლენა — „მოძრაობად“ იქცა საქართველოში:

ძეგლთა დაცვისათვის შესაწირავთა ფონდის დაარსებისათვის ბრძოლა (ნინო ასათიანისა და ივანე ბეღიაშვილის მაგალითით);

ძეგლთა პრაქტიკული დაცვა (დავითგარეჯის, უჯარმის, კაწარეთის, ნინოწმინდის, პეტრე-პავლეს მაგალითებით);

ნასოფლარების (ნაქართველარების) აღდგენა (ზემო ყანდაურის მაგალითით);

ახალი სოფლების დაარსება (უდაბნოს მაგალითით);

ახალი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულები („გარეჯობის“ მაგალითით);

მშრომელი, ოფლით ნაღვაწი ადამიანების იუბილე-„ობა“  
(ივთანდილ აჩელაშვილის მაგალითით);

ახალი მეთოდები უმძიმეს ნეგატიურ მოვლენათა დაძლე-  
ვისა („კაკაბეთის ზარების“ მაგალითით);

მემორიალური პატივგება დიდ სამამულო ომში დაღუპულ-  
თა მიმართ (კაკაბელი მეომრის, ნიკოლოზ პავლიაშვილის გად-  
მოსვენებისა და პატარაქულის მემორიალის მაგალითებით);

ბრძოლა ქართველთა შორის „აკვანიზაციის“ აღორძინება-  
აყვავებისათვის, მრავალშვილიანობისათვის.

და კიდევ ბევრი სხვა ახალი, დიდი და მცირე „ობა“ მედია  
მეზვრიშვილისა, საფუძვლის ჩამყრელი ზოგად-ქართული  
„მოდრობისა“ და „მიმდევრობისა“...

### წელიწადი „მეუხილე განახლებისა“

1976 წელი, 16 მაისი, კვირა დღე.

არსებობას იწყებს გარეჯის სახალხო უნივერსიტეტი —  
მგმკვიდრე ძველსაუკუნეთა გარეჯული „სკოლებისა“.

არსებობას იწყებს საყოველთაო-სახალხო დღესასწაუ-  
ლი — „გარეჯობა“.

ზენიშანი (გნებავთ — „დევიზი“) პირველი გარეჯობისა —  
„კიდევაც დაიზრდებიან...“ ტანახოვანი ქართული ასონიშნე-  
ბით აწყობილი წარწერა, განფენილი მერაბ ბერძენიშვილის  
სახელგანთქმულ სკულპტურულ კომპოზიციაზე — ქართველის  
დედა, და მახვილის მტვირთველნი ძენი მისნი.

დედის სახეზე — ძუ მგლის მძვინვარება;

მახვილის ტანში — დაუშრეტელი ძალმოსილება ქართული  
ნებისა;

ყრმათა თვალეზში — უმძიმესი კავშიანი და უზღვრო ლტოლ-  
ვა შურისძიებისა.

(კაპიტოლიუმის ძუ მგლისა და მის ძუძუებზე ასხმულ  
ყრმათა კომპოზიციის შემდგომ, ძნელად მოიძებნება ისე შთამ-  
ბეჭდავი სკულპტურა, როგორც მერაბ ბერძენიშვილის მოხსე-  
ნიებული ქმნილება).

მოსულა ხალხი საქართველოს ყოველი კუთხიდან პირველ  
გარეჯობაზე.

მოსულან ფეხით, ცხენებით, მანქანებით.

დავითის ლავრასთან ტევა აღარ არის.

ათი-თორმეტი ათასი ადამიანი მაინც დაითვლება.

გალავნის ქონგურებზე და გოდოლებზე აბჯროსანი მეცი-  
ხოვნენი ჩარიგებულან.

ლავრის ალყაფთან ნალარების და დოლ-ბარბითების გრია-  
ლით, სტუმრებს ეგებებიან სახალხო მთქმელნი. ტაძრის ზედა  
ტერასიდან კახური „მრავალყამიერი“ არყევს მრავალნაგლო-  
ვარ გარეჯის ცისგვამს. მერე — „შენ ხარ ვენახი“, რომელიც  
რვაას ოცი წლის წინათ სწორედ აქ, დავითგარეჯში შეთხზა  
და პირველად იმღერა თვითონ ავტორმა, დემეტრე მეფემ.  
მასმერე — „ჩაკრულო“ („ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო, თელავ-  
ში თუშმა გაგფერა, მეფე ერეკლემ გაკურთხა, საომრად ჯვა-  
რი დაგწერა“!)...

იქ — ჭიდაობა,

იქ — ბერიკაობა,

იქ — „რთველი“,

იქ — „კალოობა“,

იქ — ქართულ ურმებზე ჩარიგებული ახალი წიგნები,  
ფაცხები,

ქოხები,

კერები,

აკვნები, აკვნები (ოცნება ქართველთა „აკვანიზაციისა“)...

მომღერალ-მოცეკვავეთა დასები — საგარეჯოს კულტურის  
სახლისა, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა,  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა.

სტუმართა შორის — სახელოვანი მეცნიერნი, მწერალნი,  
ხელოვანნი, სპორტსმენნი, სახელმწიფო და პოლიტიკური  
მოდგაწენი.

12 საათი. ლავრის ქვედა ტერასა.

ნალარების გრიალი საზოგადოებას ამცნობს ყველაზე საზე-  
იმო წუთების დადგომას.

ნალარა მიწყდა.

წუთით, ჩვეულ, ორასწლოვან სიჩუმესა და მღუმარებას  
დაუბრუნდა დავითგარეჯი.

სიტყვას იწყებს მედეა მეზვრიშვილი.

დასაწყისშივე ხმა აუთრთოლდა „უმართავ მდივანს“.

„არ დაგავიწყდეს ვისი გორისა ხარ. შენი წინაპარი ინდოეთს იბრძოდა, შენ კი რას სჩადი!..“ იყო უხმო ხმა „მეორე მედეასი“.

უკვე ჩვეული სიმტკიცით ლაპარაკობდა მეზვრიშვილის ქალი; ლაპარაკობდა — როგორი იყო „სიტყვა პირველი“ დავითგარეჯის გადარჩენისა და აღდგინებისა, როგორი იყო „სიტყვა მეორე“, როგორი იყო „სიტყვა უმაღლესი“, ანუ „იქმენინ საქმე“ და... „იქმნა საქმე!“...

დღეს ცხადდება და აი, ამ წუთიდან არსებობას იწყებს გარეჯის სახალხო უნივერსიტეტი, ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი მრავალსაუკუნოვანი გარეჯული ლიტერატურული, ფილოსოფიური, მეცნიერული და სახელოვნებო მემკვიდრეობისა.

დღეს ცხადდება და ამიერიდან ყოველწლიურად მაისის თვის მეორე კვირას გაიმართება სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“!..

„მომილოცნია, ძვირფასო თანამემამულენო, დიდი ქართული კულტურული კერის, დავითგარეჯის აღდგენა და აღორძინება!“

ტაში და ოვაციო!

სიტყვის შუა ტანი ჩავლილი იყო. ... „და თუ ეს ძეგლები, — განაგრძობდა მედიკო, — მოგვითხრობენ ჩვენი ერის წარსულზე, ჩვენს წინაპრებზე, სამშობლოს ისტორიაში საამაყო ფურცლებს რომ წერდნენ, დღეს ჩვენი ვალია ღირსეულად განვაგრძოთ მათი მამულიშვილური საქმენი, — რომ საქმენი ჩვენნი გამოხატავდნენ თაობათა მემკვიდრეობითობას მშობლიური ერის ისტორიის გაგრძელებაში და მოგვიწოდებდნენ სამშობლოს სასახელოდ ახლის დამკვიდრების ძლევაში სილი შრომისა და ბრძოლის დიდებისაქენს!“

და დაბოლოება იმ დღეს შედეა მეზვრიშვილის მიერ გარეჯში წარმოთქმული სიტყვისა:

- „დიდება ჩვენს სალოცავ სამშობლოს!
  - „დიდება დავით გარეჯელის უკვდავ სულს!
  - „დიდება ყველას, ვინც ეზიარა გარეჯულ სუნთქვას!
  - „დიდება ჩვენს ბრწყინვალე დღევანდელობას!“
- მისალმებითა და მილოცვებით გამოვიდნენ:

აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი,

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე,  
საქართველოს კულტურის მინისტრი, კომპოზიტორი ოთარ  
თაქთაქიშვილი,

პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტო-  
რი, პროფესორი ნათელა ვასაძე,

პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი,

პოეტი მედეა კახიძე,

პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი,

იყალთოს სახალხო აკადემიის რექტორი გიორგი შათირი-  
შვილი (სხვათა შორის იყალთოს აკადემიის დაარსების ინი-  
ციატორიც იყო მედეა მეზვრიშვილი, მისი თელავში მოღვაწე-  
ობის დროს),

პარტიის საგარეჯოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტა-  
ციის განყოფილების გამგე ალექსანდრე ელერდაშვილი.

გამოცხადდა ახლად დაარსებული გარეჯის სახალხო უნი-  
ვერსიტეტის რექტორატი. შესდგა რექტორატის პირველი,  
დამფუძნებელი სხდომა, რომელმაც უნივერსიტეტის საპატიო  
რექტორად აირჩია აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი, რექ-  
ტორად — თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

და თეიმურაზ ჯანგულაშვილმა იმ დღეს ეს ლექსი თქვა:

აი, გარეჯა! — ჩვენი ქართული  
ძეგლი, სამშობლოს გულში ჩართული  
ქალაქი, ათასოთხასწლოვანი,  
მეტყველი მოწმე ჩვენი წარსულის,  
ქარიშხლოვანის და ცეცხლოვანის.  
აქ თარეშობდნენ მომხდურთა ხმლები,  
გაავებული მტრები და წლები,  
ქარნი, ზორშაკნი, წვიმა და ზვატი.  
მიწა ოდესდაც ნაედემარი,  
გულდაფერფლილი და ნაგვემარი,  
მკერდდაფარული შამბით და ნარით,  
გველოდა დროის ნისლში მთვლემარი,  
რომ კვლავ სიცოცხლის გაგველო კარი.  
საუკუნობით იდგა, გველოდა,  
ესიზმრებოდა ბაღთა, მდებოთა,  
ვენახთა, წიგნთა, კერათა შუქი...  
დიღბანს გველოდა და ჩვენც მოველით  
მოგვევა სიცოცხლის შუქი ცხოველი,  
დღეს რომ უნთია მთელ საქართველოს;  
ეს მთა-სერები, ეს უცხო ველო

უნაყოფობამ ველარ გათელოს.  
 ჰვალეით მოძოვილ გელებს და ქედებს,  
 გაველურებულ ვაზებს და მტრედებს  
 ჩვენ დაეუბრუნებთ სინედლეს, სითბოს!  
 დიოდნენ წელთა მრავალთა რიგნი,  
 ამ სალკლდოვანი კედლების შიგნით  
 ჯულტურის დიდი კერა ღვიოდა,  
 იწერებოდა ქართული წიგნი  
 და ხალხში შექად გადადიოდა.  
 მშობელ მამულზე წვისა და ფიქრის,  
 ტყბილმშობლიური ქართული წიგნის  
 ერთგული მცველნი ვიქნებით მარად!  
 კედლებზე ჩანან როგორც წყლულები  
 ფრესკები ტყვიით დაცხრილულები,  
 ბევრჯერ ხანძრების კვამლიც ებურათ.  
 მხატვრები სახელდაკარგულები  
 უკვდავებაში დასახლებულან.  
 შთამომავლობას დღეს ჩვენ ეპირდებით, —  
 ფრესკებს აღვადგენთ, გავუფრთხილდებით  
 და, როგორც დიდ განძს, გადავცემთ ისე!  
 აქ სულხან-საბა ორბელიანი,  
 ხელმადლიანი, გულშეჭიანი,  
 ღვთისა კი არა, მამულის მონა,  
 ჩვენთვის ჰკინძავდა ჯაფარიანი  
 ქართული სიტყვის დიდებულ კონას.  
 ქართული სიტყვის, ქართული ენის —  
 უკვდავების და დიდების ჩვენის —  
 ერთგული მცველნი ვიქნებით მარად!  
 აგერ, აქვეა ქვის საწნახელი,  
 სულის შემძვრელი, გულის მდაღველი,  
 მშობელი მიწის წმინდა ალაგი,  
 ერის, ენის და რწმენის სახელით  
 დაღუბულების ძვალჩასალაგი.  
 ჩვენს დიდ დღეებთან ფიცით შეკრულნი,  
 ჩვენი ხალხის და მიწის ერთგულნი  
 მუდამ დაეცავთ ჩვენს მალალ რწმენას!  
 აქ წალკოტები იყო ზღაპრული,  
 მაგრამ მოძელის ხელი მზაკვრული  
 მისწვდა, გაკაფა ბაღი. ვენახი,  
 სიცოცხლე, სისხლის ზღვაში ჩაკლული,  
 აღმადგინეთო, დღეს ჩვენ გვეძახის.  
 მოვედით, რათა გარეჯის ველი,  
 ძველ ნავენახრებს, ქეთულს უდაბნოდ,  
 და ავაჩქეფოთ სიცოცხლის წყარო!  
 მოვედით რათა გარეჯის ველი,

გაცოცხლებული მარჯვენით ჩვენით,  
ჩვენამდე ქართა მძევლად შეთნილი,  
მღვიმე დარბაზთა ქალაქი ვრცელი.  
გადარჩენილი და აღდგენილი.  
იყოს ბაღნარი იყოს ედემი,  
კერა ცოდნის და შემოქმედების  
და აღარასდროს ვრქვას უღაბნო!

დღესასწაულს ესწრებოდნენ და მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ილია ვეკუა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ყიული შარტავა, პარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნელი გურგენიძე, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე ნოდარ გურაბანიძე.

მთელი დღე, გვიან ღამემდე გრიალებდა დავითგარეჯი, და იფანტებოდნენ ომახიანი შეძახილები, გარეჯულ სუფრებზე წარმოთქმული და გარეჯულ აპეირონში განზავებულნი:

- მაშ, გარეჯობა, ახალი „ობა“!
- პატარძელში — გოგლაობა!
- კოჭბაანში — ვაჟაობა!
- ეგ ის ქალია, კიდევ მრავალი „ობა“ ექნება ჩაფიქრებული!
- ღმერთმა აცოცხლოს!
- ჯერ სადა ხარ!
- არ იქნება და არ დაისვენებს!
- ნურც დაასვენოს!
- წარმოიდგენდი, რაიკომის მდივანი ასეთ რამეზე თავს აიტკივებდა?
- თანაც ქალი!
- მაინც რა ჯილდოს მისცემენ ამნაირი ვაჟკაცობისთვის?
- ვაჟკაცობისთვის ჯილდო თვითონ ვაჟკაცობაშია.
- მიდი, მიდი კახეთში ვართ... ღვინო და ლხინი კახისა მოსაწონია კაცისა...

ისმოდა შეძახილები გარეჯის ცის ქვეშ... გვიან, ღამის განზოგებადღე.

ცეცხლოვანი მეღუზებივით მოანათებდნენ და მოარღვევდნენ მანქანები კუნაპეტ წყვილადს.

მედუა მეზვრიშვილი და ნელი გურგენიძე ერთად ისხდნენ.

—ნუ იტანჯები, სთქვი რომ გიხარია და ბედნიერი ხარ, — უთბრა სიცილით გურგენიძის ქალმა.

— ბედნიერი ვარ, მეტი რა მეთქმის.

## გარეჯობა მეორე

წელიწადი სწრაფად წავიდა.

გარეჯის სახალხო უნივერსიტეტში იმ წელიწადს ბევრმა თვალსაჩინო მეცნიერმა, მწერალმა და ხელოვანმა განაგრცო თავისი მაღალი აზრი საგანგებო კონფერენციებით, კერძობითი ლექციებით, საუბრებით, დიალოგებით. გარეჯის ხალხმრავალმა აუდიტორიამ მოისმინა მაღალკვალიფიციური ლექციები: „დავით გარეჯის მონასტერი და მისი არქიტექტურა“, „ქართული საგალობლები“, „ოქტომბრის რევოლუცია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“, „თანამედროვეობა და ხელოვნება“, „შრომა ქართულ პოეზიაში“, „ნ. ტიხონოვი—ქართველი ხალხის მეგობარი“, „საგარეჯოს რაიონის კულტურის ძეგლები“.

საგარეჯოს რაიონის სოფლებში განფენილი ფილიალები ღირსეულად განასრულებდნენ „დედა-უნივერსიტეტის“ სამეცნიერო და სახელოვნებო ტენდენციებს, შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად.

რაკი კარგ დასაწყისს ყოველთვის სიკეთის გამრავლება მოსდევს, რაიონის ხელმძღვანელობას ვარაუდი დაუჭერია — მეორე გარეჯობაზე უფრო მეტი ხალხი გვესტუმრებო, დავითის ლავრის მისადგომები ვერ დაიტევსო და ამიტომ საზეიმო სახალხო შესაკრებლად ჩიჩხატურის უფრო განიერი მიმოსახედი შეურჩევიათ.

საერთო სამზადისიც უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გამხდარა. ყოველი საგარეჯოელისთვის „გარეჯობაში“ საკუთარი ოფლის ღვრა და წილის დაღება რაღაცნაირ,



შინაგან მიუცილებელ მოთხოვნისადაც გადაქცეულა. მედღეა მეზვრიშვილსაც, როგორც რაიკომის მდივანს, ამით „უსარგებლია“ და სასჯელთა არსენალში ახალი სასჯელიც კი შეუტანია — „გარეჯული სასჯელი“: ვინც კი სამეურნეო გეგმას დროზე ვერ შეასრულებდა, ან რაიმე სხვა არასასურველ, დიდსა თუ მცირე „ნეგატივისში“ შესცოდებდა, მას გარეჯობის დღესასწაულის სამზადისში წილობრიობის უფლება ერთმეოდა და მხოლოდ მაყურებლისა და თვალმოსერიის კატეგორიით უნდა დაკმაყოფილებულიყო და დიდი „მატიმულირებელი ძალა“ შეუქმნია „გარეჯულ სასჯელს“: ბრძოლა და შეჯიბრი, გარეჯობაში წილის დადებისათვის!..

მეორე გარეჯობის დღეც დადგა — 1977 წლის 12 მაისი, კვირა.

ზენიშანი („დევიზი“) მეორე გარეჯობისა — „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე...“ ეს უზარმაზარი წარწერა — თეთრი ქართული ასონიშანი, წამოწოლილი მწვანედ მღელვარე მინდროზე. ყოველი ასონიშნის სიმაღლე — 50 მეტრი, ყოველი ასონიშანის სიგანე — 30 მეტრი, ტექსტის საერთო სიგრძე — 550 მეტრი.

თითქოს თვითონ ვაჟა-ფშაველას დაეწეროს თავისი გოლიათური თითებით.

გზებზე გზაკვეთილებზე, გზის მაჩვენებელ დაფებზეც ეწერა ეს, საოცარი მამულიშვილური გზნებით ნასროლი სიტყვები, „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე...“

ვარაუდიც გამართლდა — სამჯერ მეტი ხალხი მოაწყდა იმ დღეს გარეჯის მრავალმთას — 30000 ადამიანი.

მედღეა მეზვრიშვილმა შესავალი სიტყვით გახსნა ზეიმი. სახელდახლოდ გამართულ სცენაზე — თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობები.

მათ შემდგომ — ბერიკაობა.

შემდგომ — დოღი. გომბორელმა ხევესურებმა ისახელეს თავი ჭირითში. ყველას აჯობა ჭარმაგმა კოსტა არაბულმა.

ეტლითა და ზარაზინთა ზრიალით მოიქრა იეთიმ გურჯი (ირაკლი უჩანეიშვილი) და „იეთიმური“ ლექსით და სიმღერით მიულოცა ხალხს სახალხო დღესასწაული.

მერე — პოეტები, სახალხო მთქმელები.

მწერალმა ლადო მრელაშვილმა ლექსით მიმართა მედია მეზვრიშვილს:

შენ, — ჩვენი სისხლის სისხლო და ხორცო,  
შენ, — ჩვენი ჯიშის ჯიშო და მოდგმაც,  
ჩვენი ქვა-ციხის ლიბოვ და ბურჯო,  
შენ, — ჩვენი მიწის დიდო საუნჯეც,  
ვინც შაშინც ფხიზლობ, სხვას სძინავს როცა,  
დუმილიც ჩემი მიითვალე ლოცვად.  
ქვეყანამ გთხოვოს და სული მისცე,  
ხალხმა დაიჭიროს — შეპბედავ გოლიათს,  
შენ ერთხელ კიდევ დაამტკიცე,  
რომ ლეკვი ლომისა სწორია.  
შოთაის შემართება და კდემა თამარის,  
ფერი ზვარ-ვენახის, ფერი ცის კამარის,  
რომ შეანიფთე, შექო შექურთა,  
იყალთოს ნათელიო, გრემის ჩუქურთმაც!  
ხოხობას იყო, თუ გარეჯობას,  
ნეტავ ვაგაკებობსთვის არ გეჯობნა!  
გოგო, შენს ტოლ-ფარდთა სანატრელო,  
გოგო, შენს ტოლ-სწორთა სადარდელო,  
მოსულა ერთობილი საქართველო,  
მადლს გიძღვნის ერთობილი საქართველო!

„ჩვენ კი მოვედით, პოეტები — თქვა, მედია კახიძემ — მაგრამ ყველაზე დიდი პოეტი მაინც დღეს აქ არის თვითონ მედია მეზვრიშვილი. აკი ამბობდა გიორგი ლეონიძე: პოეტები მხოლოდ რითმებით მოლაპარაკენი როდი არიანო, პოეტური თვალთ, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის ქვეყანაზეო. და ასე პოეტურად განსხივოსნებულთა შორის მე არავინ არ მეგულება მედია მეზვრიშვილის ტოლი და ბადალი!..“

პოეტებს მეცნიერები მიპყვენენ. პირველი გამოვიდა აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი, გარეჯის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, შემდეგ — აკადემიკოსი ავლიბ ზურაბაშვილი:

„აქედან რომ გავცქერით და ვკითხულობთ, ღმერთო სამშობლო მიცოცხლეო, ეს სიტყვები ყოველმა ქართველმა უნდა დაიბეჭდოს გულის ფიცარზე სამარადჯამოდ!“ — დაასრულა ზურაბაშვილმა.

იმდღევანდელი გარეჯობის გერმანელმა სტუმრებმა, ბერ-

ლინის სამეცნიერო აკადემიისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის მეცნიერებმა, პეტერ გიუტლერმა და კლაუს ოკერტმა ასე გამოხატეს მათთვის ეგზომ მოულოდნელი „გარეჯული განცდანი“:

„ჩვენ გვქონდა დიდი ბედნიერება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას საქართველოშიც დაგვეყო რამდენიმე დღე. თბილისის პიონერთა სასახლის ჩვენმა მასპინძლებმა დაგვპატიყეს საგარეჯოს სარაიონო ეთნოგრაფიულ სახალხო ზეიმზე დავითგარეჯაში, სადაც შესაძლებლობა მოგვეცა, გვენახა და დავმტკბარიყავით საქართველოს ამ კუთხის ბუნებისა და ხალხის სიმშვენიერით. ჩვენთვის, როგორც ისტორიკოსებისათვის, კარგად არის ცნობილი ქართველი ხალხის გმირული და დიდი ტრადიციებით აღსავსე წარსული. გარეჯობამ კი, სწორედ გავგაოცა. განსაკუთრებით მოგვეწონა ფონი, რომელზეც აღმართული კოშკი ამაყად დასცქეროდა მოზეიმე ხალხს. ეს კოშკი სიმბოლურად გამოხატავდა მრავალ ჭირვარამგამოვლილი ქართველი ერის ისტორიას. ცეკვებსა და სიმღერებში, რომლებიც დავითგარეჯში ვნახეთ და მოვისმინეთ, მკაფიოდ ჩანდა დაუცხრომელი სწრაფვა სიცოცხლისა და სიყვარულისადმი. წარმოდგენილ მელოდეკლამაციებში მძაფრად იგრძნობოდა ხალხთა დიდი სურვილი იცხოვრონ ბედნიერად და მშვიდობიანად. ვუსურვებთ ქართველ მეგობრებს საუკეთესო ჯანმრთელობას, შემოქმედებით ძალასა და წინსვლას შრომაში. გაუმარჯოს ქართველ ხალხს! გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას!“

იმ დღეს ყველასთან იყო მედია მეზვრიშვილი — მეცნიერთან და მეზვრესთან, მწერალთან და მწყემსთან, ერთან და ბერთან. საგანგებოდ მიაკითხა და მოიკითხა — ყანდაურელი მწველავი ნინო აღუაშვილი, საგარეჯოელი მეცხოველე ვალერიან თეღიაშვილი, მჭედელი დავით ქვლივიძე, კაკაბელი ზინაიდა ოქრომჭედლიშვილი, ხაშმელი მარიამ თურმანაული, მანაველი ციალა კუჭუაშვილი, საგარეჯოელი ვასილ ნარეკლიშვილი და იოსებ კურდღელაშვილი, ყანდაურელი ივანე აღუაშვილი, წითელოქტომბრელი მაყვალა გულადაშვილი.

ახლადდაქორწინებულ უდაბნოელებს აკვანი დაულოცა. აკვანი... ოცნება საქართველოს „რეაკვანიზაციისა“!

და იფრქვეოდნენ სიტყვანი გარეჯის ცისგვამში, უამსა  
მეორე გარეჯობასასა:

ერთგან —

„ღმერთო სამშობლო გვიცოცხლო... ამ ათი-თხუთმეტი  
წლის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ რაიკომის მდივანი ამნაირ  
აპოლიტიკურ მოწოდებას გამოიტანდა, ასე საქვეყნოდ, სააშ-  
კარაოდ?!“

„აპოლიტიკურიო?“

„სწორედ“.

„სწორედ, აპოლიტიკური, პირდაპირ — კრამოლა!“

„უეჭველად, სხვა უარესი გაგრძელება ექნება მაგ ლექსს  
მეზვრიშვილის ქალის გონებაში“...

მეორეგან —

„შეხედე მაგ ცალაყუა-თაგებს, ეგ ლექსი მედგა მეზვრი-  
შვილისა ჰგონებიათ!“

„ნუ გაიკვირვებ მაგათ ჰკუისგან“.

„ჰკუა უთხარი! სწორედ მაგნაირი ცალაყუები ბატონობ-  
დნენ ჩვენს მიწა-წყალზე, არც ისე შორეულ წარსულში“...

მესამეგან —

„სიტყვას გაუმარჯოს, ქართულ სიტყვას!“

„სიტყვას, როგორც სულს, როგორც ღმერთს!“

„პირველითგან რომ იყო, ღმერთისა თანა რომ იყო და თვი-  
თონ სიტყვა რომ იყო ღმერთი — იმნაირ სიტყვას გაუმარ-  
ჯოს!“

„ღმერთი რომ მეტყველებს და ქართულად მეტყველებს“.

„რუსთაველისაგან გაბედნიერებულ ქართულ სიტყვას გა-  
უმარჯოს!“

მეოთხეგან —

„გაუმარჯოს ყოველ სიტყვას, რომელიც იშვა გარეჯის ცის  
ქვეშ!“

მწუხრი დაეშვა დედამიწაზე.  
წვიმდა.



მედლა მეზვრიშვილი ისევ ბედნიერი ბრუნდებოდა დავით გარეჯიდან.

და უცებ, წინ მანქანის შუქზე, წაქცეული და ტალახში ჩაშეჭყილი საგზაური დაფა გამოჩნდა, აჩეხილი წარწერით — „ღმერთო სამშ... ცოცხ...“

გული გაეყინა ქალს.  
„ვინ გაბედა?!“

. . . . .

ის ღამე ნინო ძალუასთან გაატარა, — სჩვეოდა ნაღვლიან გულზე. ბავშვობიდანვე უზღვრო სიყვარულით უყვარდა ეს საოცრად სათნო და ლამაზი ქალი.

ნინო, მამით ანდრონიკაშვილისა და დედით ციციშვილის ქალი, სიყვარულით წააყვლია ცოლად არჩილ მეზვრიშვილის უმცროს ძმას, ალექსანდრეს. ბედნიერი იყო ზვიად თავადთა ასული ერეკლე მეფის გათარხნებულ გლეხთა ოჯახში. ორი შვილი გაუჩნდათ ნინოს და ალექსანდრეს, მრავალძეობაზეც ოცნებობდნენ, მაგრამ ომმა მათი ბედნიერებაც მოშალა და დაამხო. ალექსანდრე საომრად წავიდა. ათი წლის მედიკოს წერილი გაეგზავნა ბიძისთვის ფრონტზე. ამ წერილის შინაარსი დღეს აღარავინ იცის (თვითონ მედიკო არ ამხელს, თუ აღარც ახსოვს), მაგრამ ალექსანდრეს ფრონტიდან მოუწერია, — მედიკოს წერილი ჩვენმა პოლიტბელმა მთელი ლეგიონის წინაშე წაიკითხა და „ურას“ ძახილმა ცა და მიწა შეაზანზარაო. ეს ალექსანდრეს უკანასკნელი წერილი იყო. იგი დაეცა და დაივანა ყირიმის ცრემლიან მიწაზე, თვისტომ ვაჟკაცთა საქმო სასაფლაოზე.

ელენემ და არჩილმა ლეჩაქვაშავებული რძალი, შვილებით, თბილისიდან საგარეჯოში ჩამოიყვანეს და სახლიდან აღარ გაუშვეს. იყვნენ და ცხოვრობდნენ ერთად.

მასწავლებლობაში გაატარა ნინომ ცხოვრების უმრავლესი წლები, შვილები დაზარდა და გზაზე დააყენა; მიიღო რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ტიტული, ორდენები, მედლები... მაგრამ მისი ცხოვრების ყველაზე დიდი ჯილდო მაინც არის „მისი მედიკო“...

. . . . .

1978 წლის 14 მაისს, კვირის, მესამედ იზეიმეს „გარეჯობა“ გარეჯელებმა.

ზენიშანი მესამე გარეჯობისა — „მრავალუამიერ!“

ორმოცდაათი ათასზე მეტი აღამიანი შემოვიდა იმ დღეს დავითგარეჯის მთასა და ბარში.

12 საათზე გააღეს სიბოლური კარიბჭენი გარეჯობისა და წინ მომავალ მედეა მეზვრიშვილს შემოჰყვნენ მაღალი, საპატიო სტუმარნი — საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე, მარშალი არჩილ გელოვანი, პარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი თენგიზ მენთეშაშვილი, საქართველოს რადიო-ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე, აკადემიკოსები ავლიპ ზურაბაშვილი, ვასილ გულისაშვილი, შოთა ძიძიგური, პოეტები მედეა კახიძე და იოსებ ნონეშვილი, გენერალ-მაიორი პანტელეიმონ შიოშვილი.

პირველმა ფაცხამ მიიზიდა სტუმარნი, გამორჩევით მისმა ზედწარწერამ: „ერთი დედის კალთის ბარაქა“. მოხუცი ქალი გამოეგებათ სამასპინძლოდ, პატარძეულელი ნინო მიქელაშვილი, შვიდი შვილის გამზრდელი, მრავალი შვილიშვილის ბებია და შვილთაშვილების დიდედა. სულ 96 სული მონაგარი შემოსჯაროდა დედობის სრული ბედნიერებით დატვირთულ ქართველ ქალს.

ყველაზე „მკვრივი ხასიათის“ კაცს აუჩუყდა გული — მარშალს, არჩილ გელოვანს. ხელები დაუკოცნა ნინო მიქელაშვილს. ღვინით სავსე სასმურნი ჩამოაჩივრა ნინოს უფროსმა ძემ, ავთანდილ მიქელაშვილმა.

„მობრძანდით!.. ომი და ლხინი კახისა მოსაწონია კაცისა“. თქვენ რამდენი შვილი გყავთო, ჰკითხა გელოვანმა ავთანდილს.

რვა შვილიო, — იყო პასუხი.

„რვა შვილიო?!“ — გაკვირვებით აღმოხდა ყველას.

„ღმერთმა დაგიზარდოს!“

„გიბედნიეროთ!“

„საკვირველი კი არის სწორედ!“

„ჩვენს პირობებში“...

„რასაკვირველია, საკვირველი“...

და უცებ ჩაქრა მედგა მეზვრიშვილმა სტუმართა მიმობ-  
ხილი:

„საკვირველი ის არის, რომ საკვირველია“.

ზეიმი გახსნა გარეჯის უნივერსიტეტის საპატიო რექტორ-  
მა, აკადემიკოსმა ვასილ გულისაშვილმა.

მერე — „საკუთრივ ზეიმი“.

ცეკვა, სიმღერა, ბერიკაობა, „რთველი“, „კალოობა“, ჭი-  
ლაობა.

ერთმანეთს ენაცვლებიან: მომღერალთა გუნდები — „რუს-  
თავი“ და „გარეჯი“, სტუმრები უკრაინიდან, ქარხანა „ზოვ-  
სტალის“ თვითშემოქმედი ანსამბლი, საგარეჯოს ქორეოგრაფი-  
ული სტუდიის მოცეკვავენი, სახალხო თეატრის მსახიობნი.

ლექსების კითხვა — იოსებ ნონეშვილისა და მედგა კახი-  
ძისა.

ღვთაებრივი გალობა — ჰამლეტ გონაშვილისა.

ქსოვრელის მედუდუკენი.

ცეკვავს მარშალი არჩილ გელოვანი.

კევრზე აღის აკადემიკოსი ავლიბ ზურაბაშვილი, ხარებს  
მიერეკება და გაჰყვირის ცრემლით აღუღებული:

„ორმოცდაცამეტი წელიწადია კევრზე ფეხი აღარ დამიდ-  
გამს და დღეს... ღმერთო ჩემო... ეს არის ჩემი სიხარული და  
გოდება სიხარულისა!..“

იმსხვრეოდნენ და იფანტებოდნენ სიტყვანი გარეჯულ  
სუფრებზე:

ერთგან —

„კუალად დიდ არს ძალი სიყვარულისა, რომელი მორჩილ  
ჰყოფს გონებასა, შეკადრებად შეუკადრებელთაცა“.

„ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი  
აღმწერელისაი საუკუნოდ“.

„დიდ არს გონებაი ნაშობითურთ თვისით სიბრძნით“.

„ერნო ქართლისანო, გიხაროდენ და აღიპყრენით ხელნი!“  
მეორეგან —

„მარქსსაც ღვინო უყვარდა. ზეპირად გეტყვი, რაც მისწერა  
ფრანსუა ლაფარგს: „გულითად მადლობას გიძღვნით ღვინო-  
სათვის. მე თვითონ, მეღვინეობის მხარეში დაბადებულსა და



საკუთარი ვენახების მფლობელს, კარგად შემძლია ფასი დაედო ღვინის ღირსებებს. კიდევაც, მოხუც ლუთერთან ერთად დაეძენ, რომ კაცი, რომელსაც ღვინო არ უყვარს, მისგან რაიმე კაცურ კაცობას ნუ ელოდები“.

„მოზელის ოლქში ჰქონიათ მარქსებს ვენახი“.

„მაშ, ღვინოს გაუმარჯოს!“

„ქართულ ღვინოს!“

„კახურ ღვინოს!“

„ამ სასმურით, ამ „გარეჯობას“, ორი გარეჯელი ვადღებ-რძელოთ — დავით გარეჯელი და მედეა გარეჯელი“

მესამეგან —

„... ამ ცას და ამ მიწას...“

„მიწა და მიწა!“

„აღამიანიც ხომ მიწაა, მიწაზე მოსიარულე მიწა, მერე — სულ მიწა!“

„მე ვარ შენი მეფე, — ეუბნება კაცი მიწას“.

„შენ ხარ ჩემი მატლი, — პასუხობს მიწა კაცს“.

„თავი დაანებე მიწის მატლობას და გაზაფხულზე ილაპარაკე, ამ შშვენიერ მათსზე და გაზაფხულზე!“

„გაზაფხული სამყაროს ყმაწვილობააო, — ვინ სთქვა ეს?“

„რას გაიგებ, როცა ყველა იჩემებს!“

„საბრალო ერაზმ როტერდამელო!“

„შეხედეთ, ბალახს შეხედეთ, თვალშესამჩნევად როგორ იზრდება!“

„შენი კრწანისის, შენი მარაბდის მე სისხლიანი ვძოვე ბალახი“.

„ბიჭოს, ვისი ლექსია?“

„ნუგზარ გარეჯელისა“.

„დიდება კრწანისის, მარაბდას, მარტყოფს და დიდგორს!“

„დიდება გარეჯს, და გარეჯელებს!“

„გაუმარჯოს მედეა მეზვრიშვილს!“

„გაუმარჯოს ქართველთა მატრიარქს!“

მაგრამ ის მგლოვიარე ფრაზა მაინც დაუმსხვრევლად და დაუფანტავად დარჩა გარეჯის ცისგვამში:

„საკვირველი ის არის, რომ საკვირველია!“

1979 წლის 13 მაისი, კვირა, დღე მეოთხე გარეჯობისა.  
 ზენიშანი მეოთხე გარეჯობისა, ლექსი გიორგი ლეონიძისა:

„და მჯერა, ყველას ერთად მიგვიყვანს  
 საშობლოს ცეცხლი საკურთხეველზე“.

ორ სტრიქონად, 550 მეტრის სიგრძეზე იყო წარწერა გა-  
 წვართული.

მწვანეზე წაწოლილი თეთრი ქართული ასონიშანნი,  
 ყოველი მათგანი — სიმაღლით 30 მეტრი, სიგანით 14 მეტრი.

დაიბეჭდა და დარიგდა 1200 მოსაწვევი ბარათი, ხოლო  
 სულ მეოთხე გარეჯობაზე მოვიდა 75 ათასზე მეტი ადამიანი.

ამჯერად ნათლისმცემლის მონასტრის მისადგომებზე გაშ-  
 ლილიყო მთავარი საზეიმო წერტები, სიმბოლოები, შრამელე-  
 ბი, დროშები, ემბლემები,

ფაცხები,

კერები,

თონეები,

საოჯახო ჭურჭლეული,

შრომის იარაღები,

„რთველი“,

„კალოობა“,

ქიდაობა,

ჯირითი,

ბერიკაობა,

ურშები,

ჩარდახები,

წიგნები,

აკვნები, აკვნები, აკვნები... (ოცნება, წყურვილი ქარ-  
 თველთა „აკვანიზაციისა“)...

ჩატარდა გარეჯის სახალხო უნივერსიტეტის სამეცნიერო  
 სხდომა.

შემდეგ — ზეიმი და სახალხო სვლა ნათლისმცემლის მო-  
 ნასტრისაკენ, ანუ — „საბა ორბელიანის ნატერფალზე“.

საგანგებოდ გამართული ამფითეატრის წინ, განიერ ფი-  
 ცარნავზე იმართება საზეიმო შეჯიბრი, ფგსტივალი.

ესტრადაზე ერთმანეთს ენაცვლებიან — საქართველოს სახელმწიფო ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ლენტეხის, გორის, გურჯაანის, თელავის, კასპის სიღნაღის, საგარეჯოს მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდები. ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თვითშემოქმედება, საცირკო-საესტრადო სასწავლებლის ჯგუფი, თბილისის ძერჯინსკის სახლის მოცეკვავეთა ანსამბლი „მხედრული“. შემდგომ — ინდივიდუალური შემსრულებელნი, სახალხო მოქმედნი.

ფესტივალის პირველობა მიენიჭა ლენტეხის გუნდს...  
 იყო ზეიმი სრულიად საქართველოსი.

და იყო ფრქვევა სიტყვათა:

„მაშ, გაუმარჯოს საგარეჯოს — კახეთის კარიბჭეს!“

„საოცარი არიან გარეჯელები“.

„ყოველი გარეჯელის თვალებიდან არსენა მეკოკიშვილი იმზირება“.

„ლევან თედიაშვილიც“.

„თედიაშვილი თურმე მედეა მეზვრიშვილმა დასჯაბნა ფეხით სიარულში“.

„?!“

„პო უდაბნოს გზაზე. ისე დაღლილა ლევანი, იღბლად კუ დაუნახავს და იმას მისდგომია გვერდით. რას სჩადიო, — უკითხავს მეზვრიშვილს. უნდა გავიგო რამდენს გაივლის კუნახევარ საათშიო, უთქვამს თედიაშვილს. ერთი სიტყვით, ნახევარი საათის შესვენება უთხოვია მსოფლიოს დამწიოკებელს“.

„უმამაცესი და უერთგულესი ქართველობა იზრდება გარეჯის მიწაზე“.

„უბატონო თემი იყო და იმიტომ“.

„არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლიაო“.

„გარეჯელი ერთგულია, ჰაკი აძბასავით“.

„როგორც ქართველი რუსისათვის“.

„გარეჯელებს ყვარელი და ინდოეთი ეყოფათ გმირობის და ერთგულების მარად სახსოვრად“.

„ნიახურაც“.

„ჩოლოქიც“.

„ინდოეთი მაინც ნამეტანია“.

„ისტორიულად გვარდიელი იმზირება გარეჯელის თვალე-  
ბიდან“.

„მარტო მოქიდავე და გვარდიელი?“

„გიორგი ლეონიძეც იმზირება“.

„სოლომონ დოდაშვილიც“.

„დიმიტრი ბაქრაძეც“.

„იოსებ იმედაშვილიც“.

„ვასო ყუშიტაშვილიც“.

„არჩილ ქურდიანიც“.

„რეზო ინანიშვილიც“.

„მედეა მეზვრიშვილიც“.

„ნოდარ ღუმბაძემ თქვა, მედეა მეზვრიშვილი ჭეჯილივით  
მიწიდან არის აღმოცენებულიო“.

„მართლა სერიოზულად აპირებს მეზვრიშვილის ქალი  
უდაბნოში მტკვრის შემოყვანას?“

„ეგ ხომ სასწაულია!“

„მაგისგან ყველაფერი მოსალოდნელია“.

„დაუჯერებელია“.

„ბევრს ერქვა დაუჯერებლობა, მაგრამ მაგისთვის მაგ სიტ-  
ყვას რა ფასი აქვს!“

„შენ კი, რა ფიქრებს მისცემიხარ, მედეა მეზვრიშვილო?“

„გული მწყდება“.

„?!“

„რაც ახლა დავითგარეჯაში და უდაბნოში ხდება, რად არ  
მოესწრნენ ამას ჩემი დედა, ჩემი მამა და ოთარ საბაშვილი!“

## ბარეჯოზა მესუმე

1980 წლის 18 მაისი, კვირა, — საიუბილეო დღესასწაული  
ხუთი წლის წინათ დაარსებული გარეჯობისა.

ამ დღეს ეღუარდ შევარდნაძე ეწვია დავითგარეჯის მრავალმთას. ახლდნენ — ნელი გურგენიძე, პავლე გილაშვილი,

ჯუმბერ პატიაშვილი, გურამ ენუქიძე, ალექსი ინაური  
დაიბეჭდა და დარიგდა 1500 მოსაწვევი ბარათი, ხოლო  
სულ მეხუთე გარეჯობაზე მოვიდა 100 000 ადამიანი.

ზენიშანი მეხუთე გარეჯობისა — ისევ ლექსი გიორგი ლე-  
ონიძისა:

„და მჯერა, ყველას ერთად მიგვიყვანს  
სამშობლოს ცეცხლი საკურთხეველზე“.

ამ წელს ნათლისმცემლიდან ისევ ჩიხბატურაზე გადმოი-  
ნაცვლეს საზეიმო სიმბოლოებმა, დროშებმა, ემბლემებმა,  
შრამელებმა.

ისევ — ფაცხები, თონეები, ნაირსახოვანი ხმლებივით ამო-  
ქნილი შოთი პურები, „მოსავლის მოწვევა“, „რთველი“, „კა-  
ლობა“, ურმები, ჩარდახები, წიგნები.

აკვნები,

აკვნები,

აკვნები,

(ოცნება საქართველოს „რეაკვანიზაციისა“)...

გარეჯის სახალხო უნივერსიტეტის სამეცნიერო სხდომა.  
წუთიერი საგლოველი დუმილი პირველი რექტორის, აკადემი-  
კოს ვასილ გულისაშვილის აღსრულების გამო. ახალ რექტო-  
რად ირჩევენ ისევ გარეჯელ მკვიდრს, აკადემიკოს არჩილ  
ქურდიანს.

ისევ შეჯიბრი სიმღერაში, ცეკვაში, ჭიდაობაში, ლექსის  
თქმაში.

და ისევ მსხვრევა სიტყვათა:

„მოიტა ეგ ყანწი, წინწილი ლალადებისა, საყვირი მძინა-  
რეთა განმალვიძებელი!“

„მრავალმღელვარე არს საწუთრო ესე, დაუდგრომელ და  
წარმავალ დღენი ჩვენნი — ბრძანებს დემეტრე თავდადებუ-  
ლი“.

„საქართველოზე ილაპარაკე, საქართველოზე!“

„ძნელია, ძნელოვანი. საქართველოზე ისე უნდა ლაპარა-  
კობდე, როგორც ვეფხვი ილაპარაკებდა სიმამაცეზე“.

„სრულქმნილად ვერ იტყვი, თუნდაც სიტყვა ზეციდან ჩა-  
მოწველე“.

„თუ სათქმელი არაფერი გაქვს, შეგიძლია ლექსები წერო.  
ჩემად ნუ ჩათვლი, — გოეთეს ნათქვამია“.

„დალაი ვთქვათ, დალაი ძნელი არს ქართველობაი“.

„ძნელია, ძნელოვანი“.

„უმძიმესი ტვირთია ქართველობა“.

„ბედნიერებაა ქართველობა“.

„იქნებ, უბედურებაა“.

„დალაი ვთქვათ, დალ“...

„გაუმარჯოს საქართველოს, გაწმენდილს ყოველგვარი სა-  
ცთურისაგან!“

„და გმირს, საცთურთა მძლეველს!“

„გმირობა? არ გეშინია მაგ სიტყვისა?“

„გმირობა ხდება ანაზღაითად, მარტივად, თანაც ქვეცნო-  
ბიერად, რაღაც შეუცნობელი შინაგანი მუტაციით“.

„მოიტა ყანწი და მიწილადე სული შენი!“

„ჰა, გამომართვი, შესვი, გაამოს!“

„ამინ!“

„მე ჩემი აზრი მაქვს ამ საკითხის თაობაზე, რამეთუ“...

„ოოჰ, „თაობაზე“, „რამეთუ“, პირდაპირ სასაქმებელ ზე-  
თად იქცა ამდენი „რამეთუ“ და „თაობაზე“!“

„ექსპრომტი, ექსპრომტი ოთარ ლითანიშვილისა“:

ქვა გაღვინად აგებულის  
ერთი მათგანი ვარ,  
ცხელ შამფურზე აგებული  
თეთრი ბატკანი ვარ,  
თქმა ანდაზად გაგებულის  
მკრელი ქადაგი ვარ,  
ფიანდაზად დაგებული  
პრელი ფარდაგი ვარ,  
შენს უბეში ჩაგებული  
ვაზის ბადაგი ვარ,  
დღეს მაზანდა წაგებული  
საზის სადაგი ვარ.  
აწეული შენი ჰამქრის  
დროშის ფრიალი ვარ,  
დარწეული შენი აკვნის  
პანვის ტრფიალი ვარ,  
დანგრეული შენი ტაძრის  
ზარის წკრიალი ვარ,  
შენი დასტის საზანდარით

ტივზე სრიალი ვარ,  
 ბედუკულმა შენი ჩარხის  
 წალმით ტრიალი ვარ,  
 შენთვის საღმრთოდ მორთმეული  
 ხარის ღრიალი ვარ.  
 მიზანი ხარ ჩემი,  
 მისანი ვარ შენი,  
 მიცანი — ვარ შენი,  
 მითხარი — „ვახ შენი“...  
 გული გავიხსენი,  
 ვინცა ვარ, მიხსენი,  
 რაცა ვარ, მახსენი!  
 ვინც არა — ქინცარა!

„ვაჰ, ეს ვინ გეყოლია!“

„ვაშა, დიდება!“

„მუზაგეტი აშულურ-ჩაშულური პარნასისა!..“

„მთა და ბარი არ გასწორდება“.

„არც უნდა გასწორდეს“.

„მთა მთად უნდა დარჩეს, ბარი — ბარად“.

„მაგას თავი დავანებოთ და — „აწ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ“.

„რომელ სიტყვასა?“

„სიტყვას მოეშვი, სიმღერა სთქვი!“

„მაშ, ვიმღეროთ — „აბრიალებ შავ-შავ თვალებს, მე სიცივე მაკანკალებს“...“

„მე მაინც მიკვირს“.

„რა?“

„შვიდ-რვა წელიწადში ამდენი მიღწევა, ამდენი გამარჯვება, ამდენი ძეგლი, ამდენი ღროშა, ამდენი გვირგვინი, ამდენი მსოფლიო სახელი, ამდენი სასწაული!“

„ეს იმიტომ, რომ მან აუშვა ნიჭი“.

„?!“

„დიახ, დიახ, ნიჭი აუშვა და გაახელა, ქართული ნიჭი მხოლოდ აშეებულ, თავისუფალ ნიქს შეუძლია მოახდინოს სასწაულები!“

„თანაც-აშეებული ქართული ნიჭი!“

„მრავალნი არიან წვეულნი, გარნა მცირედნი რჩეულნი“.

„მრავალი აუშვა, მრავალი გაამხნევა, მრავალი წააქეზა, მრავალს საკუთარ თავში ის მოაძებნინა, რასაც თვითონ მათუსილას ასაკშიდაც ვერ მიაგნებდა“.

„თუნდაც მწერლობა ოდესმე ყოფილა ჩვენში ასე მოაღერსებული და განებივრებული?“

„მაგრამ ბევრმა უნიჭომ თავი ნიჭად წარმოიდგინა, ნიჭმა — ტალანტად, ტალანტმა — გენიად“.

„რა ვუყოთ, მაინც, ცუდი მწერალიც სასარგებლოაო, — უთქვამს ციცერონს“.

„ბევრი, ძალზე ბევრი ავტორიტეტი შექმნა და აღამალა“.

„ბევრმა მათგანმა ისარგებლა და ავტორიტეტი დაასაქონლა“.

„ავტორიტეტის დასაქონლება?!“

„მაგრამ მაინც, — სიკეთისა და სიბოროტის რყევად სასწორზე, ერთი ღირსეული ავტორიტეტის ჰაეროვნება თავისუფლად გადასწონის ათი „დასაქონლებულის“ სიმძოვრეს“..

„მაშ, გაუმარჯოს, ვინც ქართული ნიჭი აუშვა და გაახელა!“

„მთავარი არის სული კაცისა, ტვირთი მძიმე, კაცთა შორის ერთიან ძალით სატარებელი და საფერებელი“.

„ოლოლო, ვერც შენ გამოიცან, რადგან ეგ ჭეშმარიტებაც ასაკით ისეთივე ძველია, როგორც თვითონ კაცობრიობა“.

„საფიქრებელია, უფრო ძველიც ვიდრე საერთოდ კაცობრიობა“.

„ქართულ სიმღერას გაუმარჯოს!“

„ნუნუ დულაშვილი? მისი „ჩემო კახეთო“? ღმერთო დიდებულო, რა სასწაული სიმღერაა!“

„სამივე სასწაულია — ჭალიც, სიმღერაც, კახეთიც!“

„სამივეს გაუმარჯოს!“

## აღზოგა უდაბნოსა

გარეჯის მრავალშთის კულტურული ცხოვრების მასაზრ-  
დოებელ და მაარსებელ ნივთიერ დვრიტად გააზრებულთა სო-  
ფელი უდაბნო. ასე იყო ისტორიულადაც — უდაბნოს სამე-  
ურნეო ორგანიზაცია ასაზრდოებდა გარეჯის კულტურული  
სამყაროს შემოქმედ საზოგადოებას. ხოლო, ჩვენს თანადრო-  
ულობაში უდაბნოს ეკონომიკური პოტენციალი, გარეჯ-საგა-  
რეჯოს გარდა, გამიზნულია თბილისისა და რუსთავის მკვებავ  
ძალთა ერთ-ერთ მძლავრ ძარღვად.

მაშ, 1975 წლის ივნისიდან უდაბნო საგარეჯოს დაუბრუნ-  
და, გაპარტახებული, დაქცეული და დაშრეტილი.

ჩვიდმეტი დაკნინებული ოჯახი შემორჩენოდა იავარქმნილ  
სოფელს — ორი ქართული, ორი რუსული, ორი ქურთული  
და თერთმეტი აზერბაიჯანული.

უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა — ასეთი  
ტიტულით მოინათლა ცხოვრების სისასტიკით გათვლილი  
უძლები შვილივით შშობლიურ რაიონში დაბრუნებული სო-  
ფელი-ნასოფლარი (კაცი-ნაკაცარივით).

მეურნეობის დირექტორად, მედეა მეზერიშვილის წინადა-  
დებით, დაინიშნა ვახტანგ ხარაშვილი, ნიჭიერი ზოოტექნიკო-  
სი, დიდად გამოცდილი, დაკვირვებული მეურნე და გულმხუ-  
რვალე მამულიშვილი.

„გაბარებ მეურნეობას, იმას ნიშნავს, რომ გაბარებ მთელი  
რაიონის მიწათა ფონდის მეოთხედს“, — უთხრა მედეამ ვახ-  
ტანგს.

ასედაც იყო. უდაბნოს მეურნეობაში ერთბაშად ექცეოდა  
ორმოცი ათასი ჰექტარი მიწა.

„და ეს კიდევ არ არის ყველაფერი. შენს მეურნეობას გა-  
დმოეცემა ცხვარი მთლიანი სულადობით რაიონის ყოველი  
საბჭოთა მეურნეობიდან“, — დაასრულა მედეამ.

დიახაც დიდი პატივი იყო ეგზომ ვრცელი „სამფლობელო  
მიწებისა“ და რიცხვმრავალი „ხვასტავის“ ჩაბარება, მაგრამ...

„მადლობელი ვარ, მაგრამ მიწაც მკვდარი რომ არის და  
სოფელიც დამხობილი?“ — კრძალულად იკითხა ვახტანგ ხა-  
რაშვილმა.

„ფიქრი ნუ გაქვს, მთელი რაიონი შენთან იქნება. შენ ოღონდ ჩვენი დევიზი არ დაგავიწყდეს: ქუღზე კაცი!“

ვახტანგ ხარაშვილს სწამდა მედნა მეზერიშვილისა, სწამდა საკუთარი სიმტკიცისა, სწამდა ადამიანებისა და შეუღდა საქმეს.

თვითონ მოგვითხრობს „სარქალი“ (ასე ეძახის იგი თავის თავს): „სიცოცხლე უდაბნოში ფაქტიურად ჩამკვდარი იყო. მუშაობის წარმართვა მეტად მძიმე შეიქნა. სასწრაფოდ მივიღეთ არსებული უძრავ-მოძრავი ქონება, — რაც დატაცებასა და გაცემტვერებას გადაარჩენოდა, — მცირე ნაწილი ტრანსპორტისა, და დავიწყეთ მუშაობა. ის წელიწადი მეტად გვალვიანი გამოდგა, არ კმაროდა ტექნიკა, არ კმაროდა კადრები; გვალვა კი გვწვავდა და გვხრაკავდა. მწვავედ განვიცდიდით ბინების უქონლობას. ძლივძლივობით შევაკეთეთ კანტორა, ერთი ოთახი, რომელშიც მე და ჩემი სპეციალისტები კიდევაც ვმუშაობდით და ღამესაც იქ ვათევდით. ასეთ პირობებში მეტად სარისკო იყო ამდენი ცხვრის მიღება. მაგრამ შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო და თანაც დიდი იმედი ეღუარდ შევარდნაძისა და მედნა მეზერიშვილისა ჩვენთვის ყველაფერი იყო; ასე და ამგვარად მივიღეთ რაიონის საბჭოთა მეურნეობების ცხვრის მთლიანი სულადობა. მეურნეობის საზღვრებიც გადავმიჯნეთ. ზამთარი გვემუქრებოდა და ჩვენც ვჩქარობდით. მედნა მეზერიშვილი და მისი ბიურო არ გვშორდებოდნენ. სასწრაფოდ გავარემონტეთ ბინები. გადავზიდეთ ორი ათასი ტონა საკვები. მედნა მეზერიშვილი — თუ ბიუროზე, თუ პირადი დავალებით — უმკაცრესი კონტროლით ავალეზდა და ამოწმებდა ორგანიზაციებსა და ცალკე ხელმძღვანელებს უდაბნოსათვის კონკრეტული და ოპერატიული დახმარების საქმეში. 68 ათასი სული ცხვარი დავაბინავეთ, საკვებიც შევზიდეთ და თითქოს საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ უცებ, 1976 წლის 7 თებერვალს...“

7 თებერვალს თოვლი ჩამოყარა, სიმაღლით ნახევარი მეტრი. თოვლს საშინლად ცივი, ძვალთა მსხვრეველი ქარები მოჰყვა. ყინვამ და ნამქერმა სინათლე დაუშრიტა და კრიკა შეუქრა უდაბნოს. ყველა გზა ჩაიკეტა, ელექტროხაზები დაწყდა და დაიფანტა. სიკვდილმა შეიჭვრიტა გახელებული ტაროსისაგან ყოველი მხრით ამოქოლილ, დაბრთხებულ და დამცრობილ სოფელში.

მედეა მეზვრიშვილი საგარეჯოში არ იყო მაშინ. თათბირს ესწრებოდა ცენტრალურ კომიტეტში. ნათათბირვეს შეატყობინეს, ძალზე დიდი თოვლი მოვიდა და უდაბნოსკენ გზის გასაკვლევად ჯარი და ტანკები გამოვიძახეთო.

„ჯარი და ტანკებიო? — იკივლა მეზვრიშვილის ქალმა — ვინ გირჩიათ და ვინ გივაზირათ მაგნაირი სიბრძნე? ომი დაიწყო თუ პუგაჩოვის აჯანყება? თოვლი მოსულა და თოვლი ისეთი რა უნდა იყოს, თუ კაცმა ხელი გააქანა, არ გაიკვეთოს? ახლავე ეგ კობწია მაკასინები გაიძრეთ, ჩექმები ჩაიცივით და ისე დამხვდით, მე მოვდივარ, ნახევარ საათში რაიკომის წინ ქუდზე კაცი დამახვედრეთ! ასე არ იქნება და, ვაი ხეს და ვაი ქვას!“..

დახვდა ხალხი, „ქუდზე კაცი“, რაიკომის მდივანს. გაუძღვა და დაიძრა სამხრეთისაკენ.

„უდაბნოური ლაშქრობის“ სახელით დარჩა ეს ამბავი რაიონის ცხოვრების მატრიანეში.

თორმეტი ტრაქტორით და ასი ბულდოზერით მიარღვევდნენ თოვლს. მეწინავე ტრაქტორზე თვითონ იჯდა მედეა მეზვრიშვილი. სამი დღელამე შეუჩერებლივ ებრძოდნენ თოვლსა და ქარბუქს. აღმასკომის თავჯდომარეს, რობერტ ურჯუმელაშვილს, ყინვამ თითები აუშალა და ყველი ხელიდან გააგდებინა. აიღო გავარდნილი ლუკმა მედეა მეზვრიშვილმა და საკუთარი ხელით აჭამა გათოშილ თანამშრომელსა და თანამებრძოლს...

უდაბნოს ჩააღწიეს.

ორი კვირის მანძილზე მუხლი არავის ჩააკრეფინა მედიკომ. უდაბნოსკენ მიმავალი ყოველი გზა გაირღვა და გაიწმინდა. სურსათ-სანოვაგე უხვად შემოვიდა და გამარავდა. აღსდგა თოვლისგან ჩახლეწილი სახლები და შრამელები. დაწესდა მორიგეობა ბიუროს წევრებისა სოფლის საზრუნავთა სახელმძღვანელოდ და სამეთვალყუროდ. თქვენ ჩემი სამხედრო საბჭოს წევრები ხართ, ფრონტზე საგანგებო რწმუნებებით მივლინებულნიო, — ეხუმრებოდა მათ მედეა მეზვრიშვილი.

„მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებული იყო მორიგეობა, არ ყოფილა არც ერთი დღე, პირველი მდივანი რომ

თვითონ არ ჩამოსულიყო და თავისი თვალით არ შეემოწმებინა მდგომარეობა“, — იგონებს ისევ ვახტანგ ხარაშვილი...

1976 წლის ადრე გაზაფხულზე ისევ შემოუძღვა უდაბნოში ედუარდ შევარდნაძეს და ჯუმბერ პატიაშვილს მედია მეზერიში.

და — განსჯა „სამეულის თათბირზე“ სამი „უდაბნოური პრობლემისა“:

- დასახლება,
- განაშენიანება,
- გასარწყავება...

წინასწარ ფინური სახლები დაიდგა უდაბნოში — პირველად ცხრა, მეორედ ოცდაათობმეტი.

ყოველ ახლად დასახლებულ ოჯახს მედია მეზერიშიღმა „შეფად“, „მზრუნველად“, „პატრონად“ მიუჩინა ცალკე რომელიმე საწარმოო-სამეურნეო ორგანიზაცია. ყველაფერი ისე მოუწყვეთ და მოუთავეთ, რომ თვითონ ახალმოსახლეებს ნემსზე ძაფის აგების მეტი არაფერი დასჭირდეთო, — თხოვდა მედია მეზერიშიღი ყოველ „შეფს“.

სანამ სახლი დაიდგმებოდეს და გაიწმინდებოდეს, მანამდე მაინც თონე დადგით და გამართეთ, ოჯახის დედამ რომ თავისი ხელით პირველი პური ჩააკრას და ქვეყანას პურით და ცეცხლით ამცნოს ქართული ოჯახის დაფუძნებაო, — ესეც მედიკოს შეუვალი მოთხოვნა იყო.

პირველად ინგილოებმა შემოდგეს ფეხი უდაბნოში დასახლებულად.

უარი სთქვა რაიკომის მდივანმა: ინგილო საინგილოს უფრო სჭირდება და იქვე უნდა დარჩესო.

მაგრამ ჩვენ ისეთი ინგილოები ვართ, რომლებიც საინგილოს აღარ სჭირდება და, რადგან კიდევაც ავიყარენით, დარჩენითაც ვეღარ დავრჩებითო, — უპასუხეს მთხოვნელებმა.

მედემ ნება დართო და დასახლდნენ უდაბნოში ეს „მოდალადე პირველმოსახლენი“.

უკვე ბევრ ქართულ ოჯახს მოესურვებინა უდაბნოში გადასახლება. დადგა რიგი. დღეისათვის სამასზე მეტი ოჯახი ელოდება „უდაბნოელობას“.

უდაბნოში მიღების პირობები ყველასათვის ერთნაირია, საქართველოს ყველა კუთხიდან წამოსული მსურველისათვის,

ოლონდ სამხრეთ საქართველოდან არავის ღებულობს მედია მეზერიშვილი, — სამხრეთ საქართველოს წავართვათ კი არა, ჩვენ თვითონ უნდა ვაგზავნიდეთ და ვამრავლებდეთ იქაურ ქართველობასო.

„თქვენ თვითონ უნდა მიხედოთ იქაურ საქართველოს, რუსთაველის ძირა სამშობლოს, — ეუბნება მედია მეზერიშვილი მესხეთიდან მოსულ ქართველს — იქაურ ძმებთან, სომხებთან, უნდა დარჩეთ. ისინიც საქართველოს მოქალაქენი არიან და მარტო ნუ მიატოვებთ. ჭკვიანი ხალხია — ძალიან მრავლდებიან. ისინი მეფის გენერალმა პასკევიჩმა ჩაასახლა მესხეთში, თურქთაგან შევიწროებულნი. და ჩვენ, დღევანდელმა კომუნისტებმა, ხომ უნდა ვაჯობოთ მეფის გენერალს...“.

უდაბნოს განაშენიანების დაპროექტება ისევ იოსებ ხარატიშვილმა იტვირთა, საქართველოს სოფლის მშენებლობის მინისტრმა. ბატონი სოსო ჩვენი დებუტატია და ძალიან ფეხბედნიერად გვაქვს დაცდილი მისი დებუტატობაც, მეკვლეობაც და მეგზურობაცო, — ამბობს მედიკო. ყველაფერი, რაც ჩვენს რაიონში შენდება, სულ ხარატიშვილის წყალობითააო, პატარძეული ხომ ააყვავა და ააყვავა იოსებ ხარატიშვილმა: აუშენა კულტურის სახლი, აუგო სკაქიდაო დარბაზი, გამოუყვანა წყალი, რომელსაც პატარძეულელებმა „ხარატაანთ წყარო“ დაარქვეს. თანაც, ყველაფერი „თავის ჯიბით“ აუშენა სოფელს დებუტატმა მინისტრმა (კარგი რამ გახლავთ „საზოგადოებრივი საწყისები“!).

ახლა, კიდევ, უდაბნოს განაშენიანება იტვირთა იოსებ ხარატიშვილმა საზოგადოებრივ საწყისებზე, მისი რჩევით და მოთხოვნით, სამინისტროს საპროექტო განყოფილება, ამავე განყოფილების კომკავშირის ორგანიზაციის შეფობით, შეუდგა უდაბნოს მომავალი ხუროთმოძღვრული ჰაბიტუსის დაპროექტებას.

მალე დაიწყო და აშენდა კიდევ ნაწილი ამ პროექტით გათვალისწინებული სახლებისა. სულ 400 ორსართულიანი სახლი უნდა აშენდეს — სათავსოებით, ეზოებით, შრამელეებით. სოფლის შუაგულში, ერთ არქიტექტურულ ანსამბლავანში თავს მოიყრიან სასოფლო საბჭო, მეურნეობის კანტონა, სკოლა, ფოსტა, ბიბლიოთეკა, ამბულატორია, საბავშვო

ბალი, კულტურის სახლი. გაიმართება ცენტრალური გათბობა, საკანალიზაციო ქსელი, წყალსადენი, კულტურისა და დასვენების პარკი, სპორტული კომპლექსები.

მთავარი და გადამწყვეტი მაინც გასარწყავება იყო, ათასწლობით უწყლო, ურწყული და უნაყოფოდ გაბერწებული მიწებისა.

წარმოადგინეთ პროექტით, — ითქვა რესპუბლიკური ხელმძღვანელობის სათავეში.

პროექტის შედგენის საერთო ხელმძღვანელობა ეთხოვა „სახმშენის“ თავმჯდომარის მოადგილეს, თინათინ ქუთათელაძეს.

პირველსახე პროექტისა ითვალისწინებდა სამი ათასი ჰექტარის გასარწყავებას.

სამი ათასიო?! — გაუკვირდა პირველს.

„გაასამკვეცეთ!“ — მოკვეთა მოკლედ...

მაშ, ცხრა ათასი! — წამოვიდა თინა ქუთათელაძე გამხნეგებული და განმტკიცებული და მაშინვე ტელეფონს ეცა:

„გიხაროდეს, მედიკო მეზვრიშვილო, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერი შენი მასშტაბებით მიდის!.. ცხრა ათასი! ცხრა ათასი!.. ცხრა ათასჯერ მომილოცნია!“

„მადლობელი ვარ, მადლობელი, — იყო პასუხი, მღელვარე და ცრემლშენაზავი...“

აიწყო და დაიწყო ახალი პროექტი, „საქწყალპროექტის“ ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური ძალებით, დიდი ენთუზიაზმით, გატაცებით, პატრიოტული გზნებით.

უდაბნოს გასარწყავება ერთ განტოტებად ჩაერთო საერთო წყალგაყვანილობათა გრანდიოზულ კომპლექსში. მთავარი აქ იყო რუსთავის მაგისტრალური არხი, სიგრძით 8 კილომეტრი, სიგანით 5 მეტრი, სიმაღლით 4 მეტრი. შემდეგ — ახალი ხიდი—კაშხალი, სიგრძით 150 მეტრი, სიგანით 27 მეტრი, და ბოლოს, ამ ჰიდროკომპლექსიდან წყლის გადაქაჩვა უდაბნოსკენ 12 კილომეტრის გადასარბენით.

მტკვრიდან მთავარ, მაგისტრალურ არხში შედის 25 კუბური მეტრი წყალი აქედან 4,8 კუბური მეტრი გამოეყოფა

და გაექანება უდაბნოსაკენ, ცხრა ათასი ჰექტარი მშვიერი მიწის მოსარწყავად.

სულ, მთლიანი კომპლექსი ჯდება 49 მილიონი მანეთი.

მისი განხორციელება შესაძლებელი ხდება დაინტერესებულ სამინისტროთა და ფინანსური წილობრიობით;

წყალთა მეურნეობის სამინისტრო — 16 მლნ.

ენერგეტიკის სამინისტრო — 15 მლნ 400 ათასი.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 6 მლნ 200 ათასი.

ქიმიური მრეწველობის სამინისტრო — 4 მლნ 600 ათასი.

საქნავეთი — 4 მლნ.

კომუნალურ მშენებლობათა სამინისტრო — 2 მლნ 500 ათასი.

ყოველი პროექტული განაზრახვის ხორცშესხმის გზაზე არის კიდევ მთავარი, ორსახელიანი საფეხური — „გატანა-დამტკიცება“.

„როგორ მიდის საქმე?“ გამუდმებით რეკავდა ზარი თინათინ ქუთათელაძესთან.

ეს ჯუმბერ პატიაშვილი იყო, გასარწყავების მთავარი შეფი.

საქმე კი ყოველთვის „სათანადო სიმაღლეზე“ ვერ მიდიოდა...

სამწუხაროდ, ყველგან და ყოველთვის „ნდობის ვოტუმი“ როდი ეპყრობოდნენ მტკვრის კალაპოტში „ნოვატორულ წყლის მღვრევას“. ძალიან ცოტა ფიქრობდა იმაზე, რომ მტკვარი, ვითარცა მტკვარი, უმთავრესად მაინც საქართველოს მდინარეების ღვიძლი შვილია.

მაგრამ ბოლოს მაინც რუსმა და აზერბაიჯანელმა მოღვაწეებმა იტვირთეს ქართველი კოლეგების ჰიდრო-ნააზრევთა „გატანა-დამტკიცება“ — ალექსანდრე ბარაგოიმ (საკავშირო სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე) და ფოლად ფოლად-ზადემ (საკავშირო წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე).

მაშ, პროექტი დამტკიცდა და ძალაში შევიდა.

ეს დიდი გამარჯვება იყო.

ამ რთული ჰიდრო-ტექნიკური კომპლექსის „უდაბნოურა შტოს“ პრაქტიკული განხორციელება ასე დაიგეგმა:

მშენებლობის დაწყება — 1980 წელს,  
 პირველი რიგი, ანუ 3600 ჰექტარის მორწყვა — 1982  
 წელს,  
 მთლიანად, 9000 ჰექტარის მორწყვა — 1990 წლამდე.  
 დაიწყო!..

ქვეყნის გაჩენიდან ნამშიერევი, გაბერწებული მიწის გა-  
 სარწყავება, გაცოცხლება დაიწყო!  
 „მაშ, აღესრულა ერისა და მედგა მეზრიშვილის ოცნე-  
 ბა!“ — სთქვა ჯუმბერ პატიაშვილმა.

ამონაწერი ნუგზარ გურჯიძის ბროშურიდან — „გარეჯო-  
 ბა“ — გამოცემული 1981 წელს:

„ღღისათვის უდაბნოს მეურნეობა აწარმოებს 600 ტონა  
 ხორცს, 230 ტონა რძეს, 140 ტონა მატყლს, ფართობების  
 მორწყვის შემდეგ კი, რაც 1990 წლისათვის დამთავრდება,  
 მეურნეობა ყოველწლიურად აწარმოებს 1400 — 1500 ტონა  
 ხორცს, 350 ტონა მატყლს, 600 ტონა რძეს, 500 ჰექტარზე  
 გაშენდება ვენახი, 200 ჰექტარზე ხეხილი. ამდენივე ფარ-  
 თობს დაიკავებს ბოსტნეული და ბალჩეული კულტურები, გა-  
 იზრდება საშემოდგომო თავთავიანი და სათოხნი კულტურების  
 საჰექტარო მოსავლიანობა. 1982 წლიდან საფუძველი ჩაეყ-  
 რება მეღორეობის კომპლექსის მშენებლობას, რომელიც გა-  
 თვალისწინებულია 108 ათასი სული ღორისათვის. იგი წელი-  
 წაღში ქვეყანას მისცემს 13 ათას ტონა ხორცს. ეკონომიკის  
 გაძლიერება გამოიწვევს უდაბნოს ძირეულ გარდაქმნას.  
 განსაკუთრებით ყურადღება დაეთმობა დავითგარეჯის ისტო-  
 რიული ძეგლების მოვლა-პატრონობას“ (გვ. 34).

### კურთხევა უდაბნოსა

ისევ ვახტანგ ხარაშვილს მოვუსმინოთ:  
 „1979 წელს კვლავ გვეწვივნენ ელჟარდ შვეარდნაძე და  
 ჯუმბერ პატიაშვილი, დაინტერესდნენ ახლადჩამოსახლებულ-  
 თა მდგომარეობით, ესაუბრნენ რამდენიმე ოჯახის წევრს,  
 ჩვენც გამოგვკითხეს ჩვენი გაჭირვებანი და სათხოვარნი. მა-

შინვე დავაყენეთ საკითხი სასოფლო საბჭოს გახსნის აუცილებლობაზე....“

და მოვიდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება — უდაბნოს სასოფლო საბჭოს დაარსებისა.

1980 წლის 9 ნოემბერს გაიმართა უდაბნოს სასოფლო საბჭოს დეპუტატთა პირველი არჩევნები.

ხოლო, 16 ნოემბერი 1980 წლისა, კვირა დღე — შეიქმნა ახალშობისა, ნათელისა და კურთხევისა.

ამ დღეს სრულიად საქართველოს თვალი და ყური მიპყრობოდა სოფელ უდაბნოს.

ამ დღეს — ახლადარჩეული სასოფლო საბჭოს პირველ, ანუ დამფუძნებელ სესიაზე — დე-იურედ, კანონმდებლობით, ცხადდებოდა ახალი ქართული სოფლის „დასაწყისი“!

ახალი ქართული სოფელი, ანუ — ისევ ნეტარ ილიას განსაზღვრებით — საქართველოს ახალი „დვრიტა“, „დედა“, „შემდეგდებელი საქართველოსი“!

ამიტომ ეს დღე — დღე უდაბნოს დაარსებისა — სანიშნავსეცტო უნდა ყოფილიყო სრულიად ქართველი ერისათვის (მით უფრო, ადგილსაც რომ გააჩნია — რა ადგილას იბადება ახალი „დვრიტა“, „დედა“ ერისა!)...

უამრავი ხალხი მოაწყდა იმ დღეს საზეიმოდ აღკაზმულ სოფელ უდაბნოს — წვეულნი და არაწვეულნი. „გარეჯობის“ დღესასწაულს უტოლდებოდა რიცხვმრავლობით იმდღევანდელი „უდაბნობა“.

საქართველოს დედაქალაქიდან ჩამოვიდნენ: ელუარდ შევარდნაძე, ზურაბ პატარიძე, ჯუმბერ პატიაშვილი, გურამ ენუქიძე, ა. პავლოვი (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკი), მინისტრები — შოთა ეცადაშვილი და ვლადიმერ კობახიძე, მწერლები და პოეტები — მედეა კახიძე, თამარ პაპიაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ ინანიშვილი, გივი გეგეჭკორი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, პროფესორი კიაზო ფიცხელაური.

გაიმართა უდაბნოს სასოფლო საბჭოს პირველი სესია. როგორც წესი, სესიამ აირჩია სასოფლო საბჭოს აღმასკომი, სამანდატო კომისია, საბჭოს მუდმივი კომისიები და სახალხო კონტროლის ჯგუფი.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, მედია მეზ-  
ვრიშვილის წინადადებით, აირჩიეს ლადო მარხვაშვილი (მანამდე  
საგარეჯოს რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის  
განყოფილების გამგე).

დაიწყო საზეიმო მიტინგი, რომელიც გახსნა გურამ მჭედ-  
ლიშვილმა, საგარეჯოს რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა მედია მეზვრიშვილმა:

„ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენო პატივცემულო და საყვარელო სტუმრებო!

ნება მომეცით, პარტიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომი-  
სა და ყველა გარეჯელის სახელით გულწრფელად მოგესალ-  
მთ და დიდი მადლობა გითხრათ ჩვენი უსაზღვრო სიხარუ-  
ლის გაზიარებისათვის.

ყველას გვწამს, რომ დღევანდელი სესია, უდაბნოში საბ-  
ჭოთა ხელისუფლების დაფუძნებასთან დაკავშირებით გამარ-  
თული ზეიმი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ამ სოფლის ის-  
ტორიაში და გვჭერა, რომ უდიდეს როლსაც შეასრულებს  
მის განახლება-გარდაქმნაში. ჩვენს სიხარულს უფრო ასკე-  
ცებს ის, რომ უდაბნო, როგორც ადმინისტრაციული ერთეუ-  
ლი, ოფიციალურად სიცოცხლეს მეთერთმეტე ხუთწლეულის  
მიჯნაზე, ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა 26-ე ყრილობის წინ  
იწყებს, ყრილობისა, რომელიც დიდ აღმშენებლობით გეგმებს  
დაგვისახავს მომავალი ხუთწლეულისათვის.

მეგობრებო! სოფელი უდაბნო მეთე ხუთწლეულში იშვა  
და აყვავდა. სოფლისათვის ხუთი წელი მეტად მცირეა. მაგრამ  
ამ ხუთწლეულში თუ რამდენი რამ გაკეთდა აქ პარტიის ცენ-  
ტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის უმაღლესი  
საბჭოს პრეზიდიუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-  
ბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრა-  
ლური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ ამბრო-  
სის ძე შევარდნაძის პირადი ინიციატივითა და დახმარებით,  
რომელიც დღენიდაგ ზრუნავს უდაბნოს განახლებისა და  
აღორძინებისათვის, თქვენვე კარგად ხედავთ და მე თავს არ  
შეგაწყენთ. მარტო ის მინდა გითხრათ, რომ ამ ხუთ წელი-  
წაღში უდაბნოს მეურნეობამ 10 მილიონამდე მანეთის სოფ-  
ლის მეურნეობის პროდუქტები მიჰყიდა სახელმწიფოს. ეს  
ხომ გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებაა. თუ ურწყავ-

მა ველებმა ადამიანის ხელში მიიწვინა ნაყოფი მოგვცა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა იქნება აქ გასარწყავების შემდეგ. გასარწყავება კი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ახლა გარეჯელი კაცის საუკუნოვანი ოცნება. მალე უდაბნოს ველები მაცოცხლებელ წყალს მიიღებს და ხვალი და ბარაქა დაისადგურებს ამ ახლად აღორძინებულ სოფელში.

უდაბნოს ასეთი გარდაქმნა, სოფლის მეურნეობაში ასეთი სასიკეთო ძვრები გამოწვეულია რესპუბლიკის ახლანდელი ხელმძღვანელობის სწორი ეკონომიკური, დასაბუთებული და თანამიმდევრული აგრარული პოლიტიკით; ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია უდაბნოს აღორძინების ვრცელი პროგრამაც.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სხვადასხვა სამინისტროს, უწყებათა და ორგანიზაციათა დახმარებით მომზადებულია ნიადაგი უდაბნოს ინტენსიური ათვისებისათვის და ამ მხარეში მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების შემდგომი განვითარებისათვის.

გარეჯელებს გვახარებს ის, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არა მარტო ამ მხრის ეკონომიკის აღმავლობას აქცევს დიდ ყურადღებას, არამედ ისტორიული ძეგლების რესტავრაციასაც.

ის, რაც დღემდე გაკეთდა უდაბნოში მატერიალურ-კულტურული ძეგლების დაცვა-აღდგენისათვის, ჭეშმარიტად უდიდესი პატრიოტული საქმეა და მას არასოდეს დაივიწყებს შთამომავლობა.

დღევანდელ ჩვენს ღონისძიებაზე გვესწრებიან რესპუბლიკის ბევრი სამინისტროს, უწყებისა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ისინი, ვინც უშუალო მონაწილეობას ღებულობენ, დიდ დახმარებას გვიწევენ უდაბნოს ათვისება-აღორძინების საქმეში. რაიონის მშრომელთა სახელით მინდა გულითადად მადლობა გადაუხადო მათ და გამოეთქვა რწმენა, რომ ისინი კვლავაც ენერგიას არ დაზოგავენ უდაბნოში გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის დასაჩქარებლად. რაიონის მშრომელები, ამ სოფლის მკვიდრნი, მეურნეობის ღირეჯცია, ახლადშექმნილი სასოფლო საბჭო და მისი ხელმძღვანელობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავ-

რობისა და უმაღლესი საბჭოს ზრუნვით გარემოცულნი, კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და პასუხისმგებლობით იმუშავებენ, რათა ღირსეულად შეფასდეს ის დიდი დახმარება და ზრუნვა, რასაც პარტია იჩენს ჩვენდანი. ვიშრომებთ და ვიცხოვრებთ კომუნისტურად და წარმატებით შევხვდებით სკკპ 26-ე ყრილობას.

გაუმარჯოს მშრომელ კაცს, რომლის მტკიცე მარჯვენიდაც იქმნება სახალხო დოვლათი!

დიდება პარტიას საბჭოთა ადამიანებზე, მათ კეთილდღეობაზე დაულაღავი ზრუნვისათვის!“

სიტყვა წარმოთქვა მწერალმა რევაზ ინანიშვილმა:

„ძვირფასო მეგობრებო!

ერთხელ, ერთ კრებაზე, ჩვენმა გამოჩენილმა პოეტმა კარლო კალაძემ ასეთი რამ თქვა: — მშრომელი ხალხისთვის, მხენელ-მთესველისთვის, მშენებლისთვის და სხვ. პოეტური სიტყვა, პოეტური შეძახილები კარგია, მაგრამ ნამეტანიც არ ვარგაო. მაგალითად — თუ ცივა, კალატოზი კედელს აშენებს, ჩაუარე შენ და შეუძახე — „აგურს აგური შეაწებე, ოსტატო, მტკიცედაო“, ის ოსტატი გაგიღიმებს და მადლობასაც გეტყვის, მაგრამ მერე თუ აუარე და ისევ შეუძახე: — „აგურს აგური შეაწებე, ოსტატო, მტკიცედაო“, ჩამოუარე და ისევ — „აგურს აგური შეაწებეო“, ალალი იქნება იმ კალატოზმა ერთი აგური შენ ჩაგიშვას თავში, მით უფრო ალალი, თუ შენ მანქანით აუქროლ-ჩამოუქროლებ, შენი შეძახილების მერე კი, ან შიგა და შიგაც, წახვალ, სითბოში მოისვენებ და თანაც ნუწუას შეეჭკვიო.

გულწრფელად მეშინია იმ მაძახურა პოეტის მდგომარეობაში არ აღმოვჩნდე, ბოლო ხანებში ასე ხშირად რომ მიხდება სიტყვებით გამოსვლა, მაგრამ აქ, ამ მიწაზე, ერთი რამის იმედი მაქვს. აქ, ამ მიწაზე, ქართველმა კაცმა თუნდაც მანქანითაც რომ აიქროლ-ჩამოიქროლოს და ისე იყიყინოს — თავისთვის, ეს ყიყინაც კი იქნებ გარკვეული ძალა აღმოჩნდეს ჩვენი საქვეყნო საქმის მტრის თვალების დასათხრელად, მტრისა, რომელიც შარშან ცულით მისდგა და სწორედ ჩვენი დიდი ზეიმის გარეჯობის წინა დღეებში, ჩამოთალა, ჩამოამსხვრია ნათლისმცემლის მონასტრის ჩუქურთმები, პირწმინდად, უკანასკნელ ასომდე ჩაჩეჩქვა სტუდენტთა მიერ მიწის ქვეშ აღმო-

ჩენილი სამარხის წარწერებიანი მარმარილოს დაფა, დადღაბნილი ისედაც დადღაბნილი წმინდა კედლები. ჩვენმა ყიყინამ იქნებ ცული მაინც გაავადებინოს ხელიდან იმ მტერს.

დიდი ილიასი არ იყოს, — რა გითხრათ, რომ გაგახაროთ, დებო და ძმებო! სასიხარულო უკვე თქვენ გაქვთ თქმული, დიდი სასიხარულო, — თქვენი აქ დასახლებით, თქვენს მიერ აქ, გარეჯის უდაბნოში აკვნის დარწვევით, ბავშვების ყიყინით, გზების გაყვანით, საქონლით, სახლებით, იქიდან ასული კვამლით, გუთნით, თოხითა და ბარით. ჩემი მხრიდან მე ამას დავუმატებ მხოლოდ — კეთილი თვალი გამოგყოლოდეთ, საიდანაც თქვენ აქ მობრძანდით: კეთილი იყოს თქვენი ფეხი ამ მიწაზე, დაგელოცოთ სახლების ფუძეები, მშვიდობის ცა მოგცეთ და მიწი, ნურც მზემ გილაღატოთ და ნურც ნამმა, გაახაროს ყოველი ხე, რომელსაც თქვენ დარგავთ, წალმა აღმოცენდეს ყოველი მარცვალი, რომელსაც თქვენ ჩათესავთ, გიმრავლოთ ძეობანი, ქორწილები! გჯეროდეთ, რომ სანამ იარსებებს საქართველო, კურთხევით იქნებიან მოხსენიებულნი ადამიანები, ვინც აქ პირველად ბარი დაჰკრა, ვინც აქ წყალს გზას მისცემს მწყურვალი მიწისკენ. ეს ხომ სწორედ ის ადგილებია, საიდანაც აღმოსავლური უდაბნო უტევს ჩვენს ბალებსა და ვენახებს. ეს ხომ ერთი იმ ადგილთაგანია, რომლის დაუსახლებლობას ესწრაფოდნენ ჩვენი მტრები, რათა დაუბრკოლებელი გზა ჰქონოდათ თბილისამდე. თქვენი აქ დასახლებით გრძელდება დიდი საქმე, რაიც დაიწყო რუსთავით და სამგორით, ვარკეთილითა და ვაზიანით, სოფლებით — მშვიდობითა და გამარჯვებით. დღეს უკვე ეგრე ადვილად ვეღარ შემოაღწევს უდაბნო ჩვენს დედაქალაქამდე. დიდება მათ მარჯვენას, რომლებმაც ამ დიდ საქმეში დაიდეს წილი!

ოდესღაც, ათასხუთასამდე წლის წინათ, როცა აქ დავით გარეჯელი და მისი მოწაფე ლუკიანე მობრძანებულან, გაზაფხული ყოფილა. იკვებებოდნენ თურმე ბალახეულით, მერე ჩამომდგარა ზაფხულის გვალვა, გადაუწვავს, გადაუბუგავს ის ბალახეული. მაშინ დავითს და ლუკიანეს მხსნელად მოვლენია სამი ნუკრიანი ფურირემი, ის ფურირემები ეწველინებოდნენ მეუღბნოებს და მათი რძით გაჰქონებიათ თავი. შეიძლება პირველ ხანებში თქვენც გაგიჰირდეთ, ჩვენო ძმებო და დებო, მაგრამ გჯეროდეთ, თქვენთანაც მოვლენ თანამედროვეობის მხსნელი

ირმები — ჩვენი სახელმწიფოს ძლიერი ხელებით, ჩვენი მეცნიერები, ჩვენი ტექნიკა... დიდება ამ ხელს, დიდება მის ძალას! გვფარავდეს იგი ყოველ ჩვენგანს!“

შემდეგ ლექსი წარმოსთქვა მეღეა კახიძემ:

ბევრჯერ მტერი დაგვემუქრა  
წალეკვით და აკლებით,  
ბევრჯერ შერჩათ სახლებს უქმად  
უბავშვებო აკვნები.  
ჩვენ ვიყავით, განა ბევრნი —  
მტერს ვინც ასჯერ მივეუზღეთ,  
ის სამასი არაგველი,  
ცხრა ძმა ხერხეულიძე.  
სახლს წინ სანთლად ასვეტილი  
წლობით ნასათუთები,  
აგვიკაფეს კაცებივით  
ვაზი, ვარდი, თუთები...  
ბევრჯერ დედაბუდიანად,  
აკვნიანად ავყრილვართ,  
დედებს შვილის დამკარგავებს  
არ გვეცალა სატირლად.  
მაინც ქვა ქვას მივანარცხეთ,  
შურიც, ღვარძლიც მოვბოლეთ,  
დროშად ჩვენი სიამაყე  
ვაფრიალეთ გოდოლზე.  
ვასწორებდით წელში ყანებს  
ნაბადივით მოთელილს  
და დგებოდა ისევ მკედრეთით  
უკაცებო სოფელი.  
გტრიალებდით ციბრუტებად,  
რწმენას, იმედს ვამყნობდით,  
აკლავ მებასედ ვიბრუნებდით  
მიწას ასჯერ დაპყრობილს.  
არ გვეჭონია სისხლში ქართველთ  
ოშში უკან იხევდეს,  
გარეჯშიაც მუდამ გვმართებს  
ბრძოლის ქინი, სიმხნევე.  
თუ საშობლო შეგვიძახებს  
გულის სარჭველს შევიხსნით,  
საქართველოს მზიან გზაზე  
ვიგუგუნებთ დევის ხმით.

იმ მარჯვენამ იკურთხოს,  
ვინც სიცოცხლე შთაბერა

სოფელს ასჯერ დაქცეულს,  
მკვდრეთით აღმდგარს ამჯერად,  
ვინც ეს მიწა ტრიალი  
არ დაავდო ტიალად.

. . . . .  
ვინც ეს საქმე იტვირთა  
დიადი და უბადლო,  
ვინც სიცოცხლე შთაბერა,  
გასახედნი კვიცივით  
ყალუხე შემდგარ უდაბნოს.  
გაგიმრავლდეთ ვაზის ზვრები,  
სახლწინ ბევრი კაკლები,  
ივენანის მოძახილში  
ირწეოდეს აკვნები.  
განა სამტროდ, მხოლოდ ლხინში  
იცლებოდეს თოფები...  
სიმღერებში, ძეგობებში  
გაგიმრავლდეთ სოფელი.  
არ ჰქონოდეს დასასრული  
დღეობებს და ქორწილებს;  
ამ ზეცაში, ამ მიწაში  
არ გყოლოდეთ მოცილე.  
სამშობლოსთვის გულის სითბოს  
ვიცი მრავლად გაიღებთ,  
თქვენი სადღეგრძელო იყოს,  
თქვენი მრავალყამიერ!

სიტყვა ედუარდ შევარდნაძისა:

„ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ დღეს დიდი ისტორიული ამბის მომსწრენი ვართ. ჩვენს გარშემო, ყოველის მხრიდან საქართველოს მრავალტანჯული და მაღალ-კულტურული ისტორია იმზირება. ჩვენგან ასიოდე ნაბიჯის დაშორებით არქეოლოგებმა დიდმნიშვნელოვანი განძი აღმოაჩინეს — ჩვენი წინაპრების მაღალი ნიჭისა და ხელოვანი ხელის უძვირფასესი შენამოქმედი. ჩვენ განებივრებულიც ვართ საქართველოს ყოველ ნაბიჯზე ასეთ განძთა აღმოჩენებით. აქ ნაპოვნი კულტურული მემკვიდრეობა იმაზე მეტყველებს, რომ მრავალ საუკუნეთა წინათ ამ მიწაზე ცხოვრობდა ხალხი, ხარობდა ხე, ჰყვავდა ნერგი, იწურებოდა მტევანი, ენთო ცეცხლი. ისტორიის გარკვეულ საფეხურზე ჟამთა უცვარმა უკულმართობამ აღგავა კაცთა სიცოცხლე პირისაგან

ნიწისა და ერთბაშად გაპარტახებულ მიწას დაერქვა უდაბნო, და დღეს, როცა ამ სოფელს ახალი სიცოცხლე დაუბრუნეთ, ზევრი ვიფიქრეთ რა სახელით მოგვენათლა იგი. ბოლოს შევთანხმდით დაუტოვოთ მას სახელი „უდაბნო“, რათა მომავალში აყვავებულ ამ სოფელში მცხოვრებლებმა და მისმა მნახველებმა ამ სახელის ხსენებით არ დაივიწყოს რა უკუღმართი მემკვიდრეობა მიიღეს ამ სოფლის დღევანდელმა დამაარსებლებმა. დღეს უდაბნოს სასოფლო საბჭო დაარსდა. დიდი საისტორიო საქმე გაკეთდა. სოფელი უდაბნო დიდი ცხოვრებისათვის შლის ფრთებს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ დააკმაყოფილეს საგარეჯოს რაიკომის თხოვნა და მიღებულია დადგენილება უდაბნოს გასარწყავებაზე, განაშენიანებაზე და სამეურნეო ცხოვრებაზე. აქ ესწრებიან ამ საშვილიშვილო საქმის ინიციატორები და შემსრულებლები, რომლებზეც ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ. მომავალ წელს გასარწყავდება 700 ჰექტარი მიწა, შემდეგ 4000 შემდეგ 9000. ბოლოს უნდა გასარწყავდეს 25—26 ათასი ჰექტარი მიწა. როგორც ხედავთ, გაბედული გეგმაა, გრანდიოზული, და მისი კეთილი შედეგები მთლიანად ეძღვნება მშრომელ ხალხს.

ყველა დიდი პატივისცემის ღირსია, ვინც ამ პატრიოტული საქმის განხორციელებაში მონაწილეობს.

დღევანდელ უდაბნოში ოთხმოცი კომლი ცხოვრობს. უახლოეს წლებში მათი რიცხვი ოთხმაგად გაიზრდება. ეს პატარა ბავშვები, ყველაზე ახალგაზრდა უდაბნოელი მოქალაქენი, უბედნიერესი და უჯანსაღესი მშენებლები უნდა იქნენ ამ სოფლისა და ჩვენი ქვეყნის მომავალი ცხოვრებისა. ახლანდელი თაობის ღვაწლი კი სწორედ ფასდაუდებელია. დღევანდელ უდაბნოელთა გმირობა სამგორისა და კოლხეთის მშენებელთა გმირობას უთანაბრდება.

მინდა ყველას მოგილოცოთ ამ ისტორიულ საქმეთა წარმატებული მშენებლობა. რადგან ახალ წლამდე უდაბნოში მეტი მიტინგი აღარ გვექნება, მინდა ახლაცე მოგილოცოთ მომავალი ახალი წლის დადგომა და გისურვოთ სიკეთე, ბედნიერება და წარმატება ყოველ პიროვნულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!

მიტინგი დიდ სახალხო ზეიმად იქცა.

„მრავალყამიერი“ — რაიონის მომღერალთა გუნდის, „გარეჯისა“,

უმშვენიერესი ქართული როკვა — იამზე დოლაბერიძისა და ფრიდონ სულაბერიძისა;

მხატვრული კითხვა — გურამ საღარაძისა;

სიმღერა — თენგიზ ზაალიშვილისა...

თეთრმა ცხენებმა საქორწინოდ მორთულ-მოკაზმული ეტლი შემოაგელვეს ეზოში.

ეტლიდან ახალმეტორწინე წყვილი გადმოეშვა — უდაბნოელი ნეფე-დედოფალი, ავთანდილ ბერმაძეკელი და ნელი ბაფხოშვილი. აწყრილებულ ხმალთა ჯვარედინქვეშ გამოიარეს, სტუმრებს წარუდგნენ და მადლობა უძღვნეს საქორწინო ნადიმზე და სოფლის ზეიმზე მობრძანებისათვის.

წამოვიდა პატარძელელი ავთანდილ მიქელაშვილი, რვა შვილით გარშემორტყმული, აკვანი მიართვა, მიულოცა და მრავალქეობა უსურვა ახლად შეუღლებულებს.

მრავალქეობა!

უდაბნოში დაბადებული თვრამეტი ბავშვი შემოეჯარა აკვანს. თვრამეტივეს მედალიონი ჩამოჰკიდა ყელზე ლადო მარხვაშვილმა. ყოველ მედალიონზე ბრწყინავდა წარწერა — „დაბადებულია სოფელ უდაბნოში“.

წინ წამოდგა კიაზო ფიცხელაური და უდაბნოს მიწაში ნაპოვნი 3500 წლის წინანდელი ტომის ბელადის კვერთხი გადასცა ლადო მარხვაშვილს.

ემთხვია ისტორიულ კვერთხს „ისტორიული თავმჯდომარე“ და აღმართა საბჭოს შენობაზე სახელმწიფო დროშა დღევანდელი საქართველოსი.

ნეფე-დედოფალს მიეახლა მედეა მეზვრიშვილი, გადააკონდა და... აკვანს შეახო მთრთოლვარე ხელი.

მკრთალად, ძალიან მკრთალად იძრა და ირწა აკვანი...

დავებრდი, ცრემლი დამიბერდა,  
დავებრდი, ტირილი დამიბერდა.

ფ შ ა უ რ ი ლ ე ქ ს ი.

განადგინეს გული ერისაი,  
გარდაცვალეს გონებაი ერისაი.

ი ს უ ნ ა ვ ი ნ, 14, 8.

აკვანი!

აკვნის ბავშვი!

შვილი სააკვანე!

ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე“, — შოთასგან ნაბრძანები სიმბოლური სიტყვა ადამიანის უზემოესი სულიერი „ტკბილობისა“ და ბოლომდე შეუცნობადი, მისტიკური სიყვარულისა!

ქეშმარიტად: ჩვენი წინაპრებისთვის „აკვანი“ და „შვილი სააკვანე“ ადამიანის გრძნობიერებისა და ცნობიერების უნივერსალურ („ფენომენალურ“) ზღვრებში ვერ თავსდებოდა და მის მიღმიერ („ნოუმენალურ“) აპერიონში იკარგებოდა.

აკვანი და სააკვანე შვილი ჩვენი წინაპრებისთვის მარტო ბუნებით და ბუნებისშვილობით ნაანდერძევი „უნივერსალური“, მშობელ-შვილური სიყვარული როდი იყო. იგი ეროვნული არსებობის (არსებობის-მეთქი!) ურყევი და უცვლელი ქვაკუთხედი იყო. და მთავარიც სწორედ ეს გახლავთ (არა, გახლავთ კი არა, — გახლდათ!).

ხშირად რომ ვკითხულობთ ახლა — ამდენი საუკუნის გასწვრივ, ამდენ და ამდენ მტრებთან უთავჯამო ბრძოლებში რამ გადაგვარჩინაო — სწორედ იმან გადაგვარჩინა: სააკვანე შვილებით დატვირთული აკვნების ინტენსიურმა რწევამ.

ისევ გაქენდება ისტორია ჩვენს ცნობიერებაში და ისევ გაგვახსენდება, რომ მეცამეტე საუკუნის 30—40-იან წლებში, ბნედიანი ჯალალ ედ-დინისა და მონღოლთა უსაშინლესი სისხლმაქცევარი ლაშქრობების შემდგომაც კი, მარტო აღმოსავლეთ საქართველოში (!) ოთხი თუ ხუთი მილიონი ქართველი ცხოვრობდა!

(ისიც გავიხსენოთ — თეიმურაზ პირველი რომ მობრუნდა სპარსეთიდან, სისხლნაქცევ კახეთში, ქიზიყში, ღამის სათევად რომ ალაღბედად გლახს მიადგა და იმ გლახის სახლში ცხრა აკვანი დახვდა, ცხრა „სააკვნე შვილით“ დატვირთული).

ასე გახლდათ მაშინ — წარსულში.

ასე აღარ გახლავთ ახლა — აწმყოში.

თურმე ქართველ წინაპართა თავი და თავი საარსებო-საეროვნებო ღვაწლმოსილება (ღვაწლმოსილება-მეთქი) ჩვენ — მათ ცოდვილ შთამომავალთა — დღეს რაღაცნაირ, სულისაგან გამოცლილ და გულსაგან გამოხრულ რეტროგრადულ გზაზე გადაგვიგდია; ერის მაარსებელი დვრიტა და „შემდეგდელი დედა“ რაღაცნაირ რუდიმენტურ დანამატად აგვიკიდებია.

კიდევ ერთხელ გადავიკითხე აკადემიკოს პაატა გუგუშვილის წიგნი — „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ და კიდევ ერთხელ შევეძრწუნდი. შემზარავია ეს „ცხრილები“, ეს „ნუსხები“, ეს „ღიაგრამები“ — კატასტროფული კლება საქართველოში ქართული მოსახლეობისა, კლება განუწყვეტელი, ინტენსიური. თანაც არ დაგავიწყდეთ, ეს წიგნი ათი წლის წინათ გამოქვეყნდა... ან რა ბედენაა წიგნებში თვალისქცევა, როცა ჩვენი პრაქტიკული ცხოვრება მიწის ყოველ წერტილზე და ციფერბლატის ყოველი სეკუნდის გასწვრივ წიგნზე უფრო ნათლად იკითხება და გაიაზრება. ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების წიგნი მშვენიერი, მკაფიო, ახოვანა და ამოდ-საკითხავი შრიფტებით არის აკრეფილ-აწყობილი და ყოველივე ეგრევე დიდებულად იკითხება — დიდი სამეურნეო, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული და ზნეობრივი ძვრანი, ქმანი და გარდაქმნანი.

და ამ დიდებული, ტანსრული ასონიშნებით ასხმულ წიგნში, სადღაც, მოძულეებულ სქოლიოშიც, პეტიტით მიკუნჭულსაც ვერ უპოვნია ადგილი აკვნისა და სააკვნე შვილის პრობლემას!

არა და, ყველაზე მძლავრად, სწორედ იერიქონის საყვირთა მძვინვარებით ბლავის „აკვნის პრობლემა“ დღევანდელი საქართველოს ცისგვამში: საქართველოში ქართული აკვნის რწევა კლებულობს — კლებულობს განუწყვეტლივ, კლებულობს და იწრიტება ჰემოფილური შეუდედებლობით.

ასეა თუ ისე, მთავარი ის გახლავთ, რომ საქართველოს ქართულ მოსახლეობაში მეაკენემ იკლო, კატასტროფულად იკლო.

„სიტყვაში დაჭერას“ თავი დავანებოთ და ნურავინ შემოგვაგებებს — აკვანი მედიცინის თვალსაზრისით ბავშვის საზრდელად დაწუნებულია და თითქოს ამიტომ მეაკვნის ხელობაც ანაქრონისტული გახდაო! კეთილი და პატიოსანი, აგრემც ყოფილიყოს და თუნდაც ნურც იმას ჩავავდებთ რაიმედ, რომ მაგნაირ „მედიცინისგან დაწუნებულ“ აკვნებში გაიზარდნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, თამარ დედოფალი, ცოტნე ლაღიანი, საბა ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა და კიდევ რამდენი „სანატრელი დასაწუნარი“! — მაგრამ აკვანი და მეაკვნეობა მაინც არ უნდა მოიშალოს საქართველოში. ქართველმა კაცმა დიახაც იცის ფასი ცხოვრებისეული სიმბოლოებისა და ემბლემებისა („ზენიშანთა“) და მით უფრო საოცარია, რომ ქართული ოჯახებიდან ასე უღვთოდ იდევნება აკვანი — ქართული ოჯახური სიმშვენიერის („თუნდაც „მაღალი ტონის“) უპირველესი სიმბოლური სამკაული (ნივთომანიას აყოლილმა ფილისტრებმაც უკეთესი სიმბოლური „ნივთი“ რა უნდა შეიტანონ ოჯახში!).

მაგრამ ეს ხომ მაინც სიტყვის ბანზე ავდებთ და სხვა არაფერი.

პირდაპირ, აქ ლაპარაკია დიდი ეროვნული ტრაგედიის მოახლოებაზე. ქართველთა შობადობის, შვილიერების, ძეობის, ქორწინების, შეუღლების, „შეერთბორცების“ კატასტროფულ დაცემაზე, კლებაზე, კლებაზე, კლებაზე.

ქართველთა შორის დავიწყებას ეძლევა მარადმაფხიზლებელი მრისხანე შეგონება: ქალი ან ქმრის ქვეშ, ან ქვის ქვეშ!

დავიწყებას ეძლევა ეს შეგონებაც: ტოლმა ტოლს რით აჯობა და, შვილების სიმრავლითო.

თითქოს და ქართველს აღარ „აქუს ძალი მოზარდობისა და აღორძინებისა და მშობიარობისაი“ (სინურმა მრავალთავმა გამახსენა).

თითქოს აღარც იმისი ეშინიათ, რომ... უშვილო ოჯახი სამარეა, სამარე...

თითქოს, საქართველოს ავმა ბედისწერამ დაახშო მისი ასულის ბჭენი მუცლისა...

ამას წინათ პროფესორი ოთარ ონიანი ლაპარაკობდა ტელევიზიით: თურმე, საქართველოს მიწა მოიცავს მთელი დედამიწის ყოველი კუთხის ნიადაგთა თვისებებს; ასე, რომ საქართველო ყოფილა სარცარი, უნიკალური, ღია მუხეუმი მსოფლიო ნიადაგებისა! მთელი პლანეტის ყოველი მიწა, ასე „ინტერნაციონალური თანასწორობით“ ჰხარობს თურმე ქართულ მიწაზე!

მართლაც, უნიკალობით სწორუპოვარი ყოფილა ჩვენი რესპუბლიკა — ინტერნაციონალიზმი (სოციალური) „ინტერნაციონალიზმზე“ („მიწისმიერი“)!

და ყველა ხალხი იშვიათი აღმავლობით მრავლდება ამ ინტერნაციონალურ ქართულ მიწაზე.

ყველა — ერთის გარდა.

და ეს ერთადერთი, რომელიც ასე ინტენსიურად არ მრავლდება საქართველოში, არის თვითონ ქართველი ხალხი.

ეხეც უნიკუმი!

საქართველოში მრავლდება ყველა... ქართველის გარდა.

ზოგი თავის სამშობლოშიც არ მრავლდება ისე ხვავრივლად, როგორც საქართველოში მრავლდება.

ქართველები კი არც საქართველოში მრავლდებიან ასე და მით უფრო, არც საქართველოს გარეთ.

არსად... არსად!..

მანაველი ვასო საბაშვილი და იორმულანლოელი ბაქირ მამედოვი „ეხუმრებოდნენ“ ერთმანეთს — არა მე გაჯობებ და არა მეო:

„შენ რამდენი წლისა?“ — უცებ ჰკითხა ბაქირმა.

„ორმოცდათხუთმეტისა“, — მიუგო ვასომ.

„რამდენი შვილი გყავს?“

„სამი“, — ქადილით უთხრა ქართველმა.

„დიდი ამბოვი! მე კი, ოცდაშვიდი წლისას, შვიდი შვილი უკვე მყავს, მერვეზედაც ცოლი მზადაა, შენს წლოვანებამდე კიდევ შვიდი შვილი შეყოლება და... შენ მე როგორ უნდა მაჯობო?!“

„?!“

ცამდე მართალი იყო ბაქირი.

ახლა აქედანვე, ჩემო განაწამებო მკითხველო, ისეთი „უნი-



კალური გამონათქვამიც“ მოინიშნე და დაიმახსოვრე, რომლის გავონებაზე არ შეიძლება ქართველმა კაცმა საშინლად მწარე ტკივილი არ იგრძნოს გულში:

„რომ შეიძლებოდეს, ქართველები ნახევარ ბავშვზე მეტსაც არ გააჩენდნენ, ცოტაც მოვითმინოთ და...“.

გინდა მტრის ნათქვამად გაიგე, გინდა მოყვრისად. გინდა მთქმელი ჭინჭში გახვეული სამართებელი ყოფილიყოს. მთავარი ის არის, ნამდვილი რომ გითხრა!

ეგეც შენ, ეგეც შენ, ეგეც შენი..

. . . . .

მეოცე საუკუნემ „დეაკვანიზაციის“ დამლუპველ დაღმართზე დაქანებულ ხალხებს, მათ შორის ქართველ ხალხს, მრავალ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ და „უფლებამოსილ“ ავადმყოფობათა გარდა, „დამატებით“ კიდევ სხვა ბევრი უბედურებაც არგუნა „თავის წილად“. ამთგან სამი მანია უნდა დავასახელო, სამთავიანი ურჩხულივით საქართველოს დასამხოზად ბრჭყალამართული და ხახააშკმული:

მანქანომანია,

აბორტომანია.

წელიწადში საქართველოში ავტოავარიებით ორი ათასამდე კაცი იღუპება და ინვალიდდება.

ორი ათასი ქართველი — მკვდარი და ხეიბარი!

ხოლო, სანაცვლოდ რამდენი იბადება?!

მაგრამ ყველაზე საშინელი ბოროტება, ქართველი ხალხის სისხლის მხვრეპელი ვამპირი — ყოფილა აბორტმახერობა (ანუ, „ევეფემურად“ — გინეკოლოგობა).

კიტა ბუაჩიძეს, ცნობილ მწერალსა და დრამატურგს, წლების მანძილზე საგანგებოდ შეუსწავლია ქართველი ხალხის გამრავლება-ჩამომრავლებისა და აშენება-გადაშენების პრობლემები. უგროვებია მასალები, ურკვევია, უჩხრეკია და დაუწერია წიგნი მართალი, რომლის წაკითხვა ქართველ კაცს (ვისაც შეგნების უნარი არ დაუკარგავს) თავზარს დასცემს, სისხლს გაუშრობს და გულს გაუყინავს, ხოლო მტერს აღტაცების ღმუილს აღმოახდენს.

და მისი „სისხლის გამაშრობელი წიგნიდან“, ავტორის ნებართვით, მე ვიყენებ ზოგიერთ მასალას, სწორედ აბორტმახე-

რობას, — ქართველთა დამამხობელ ამ მედუზა-გორგონას რომ შეეხება.

კახეთის ერთ-სკოლაში, მეათე კლასში, ავტორის კითხვაზე — რა სპეციალობას ირჩევთ უმაღლეს სასწავლებელშიო — ოცდაათი გოგო-ბიჭიდან ოცდარვა მთურმე გინეკოლოგობა დაასახელა!

აბორტომახერობა! (დიახ, ნუ დაიწუნებთ ამ „კეთილხმოვან“ სიტყვას, რაკი აირჩიეთ, კიდეცა „შეიშვნეთ“ — რაღა გერმანული „აბორტომახერი“ და რაღა ბერძნულ-ლათინური „გინეკოლოგი“!).

მერე, უხერხულობაში ჩავარდნილმა მასწავლებელმა თურმე ამ „ახირებული კითხვის“ ავტორი სოფელში ჩამოატარა, დიდი, თვალში საცემი სრა-სასახლეები დაანახვა და ნიშნის მოგებით უთხრა: ყველა ეს გამორჩეული სასახლე სწორედ აბორტომახერებმა აიშენესო!..

აჰა, აბორტომახერობა ფულისმახერობის ტოლი ყოფილა! (ასე, გულახდილად თქმა ვამჯობინოთ!).

კეთილი და აგრემც იყოს, მაგრამ რის ხარჯზე კეთდება ფული, ბატონებო?

რის ხარჯზე და, — ესეც გულახდილად ვთქვათ — თურმე ქართველთა ამოწყვეტის ხარჯზე! დიახ, დიახ, ქართველთა ხოცვა-ჟლეტის ხარჯზე-მეთქი!

ქართველ აბორტომახერთა სრა-სასახლენი ქართველთა სისხლითა და ძვალხორციით ყოფილა ნაგებ-ნაშენები!

ვითომ ქართველი ნაყოფის საშოშივე გამოკვლა და გამოკეპვა ქართველის მკვლელობა არ არისო?!

ძველ ინდურ კანონთა კრებულში სწერია — თუ შენ არ შექმენ ადამიანი, შენა ხარ მკვლელიო; ყურადღება მიაქციეთ — თუ არ შექმენო... ხოლო, შენ, ქართველო აბორტომახერო (გნებავეთ, გინეკოლოგო!) უკვე შექმნილს რომ ჰკლავ, ამას მკვლელობის გარდა რაღა ჯანდაბა და დოზანა ჰქვია?!

კიდეც შემზარავი მაგალითი კიტა ბუაჩიძის მგლოვიარე წიგნიდან: ამ ოციოდე წლის წინათ, საყოველთაო უზნეობისა და თავაშეებულობის ჟამს, ყოველ შაბათ-კვირას, გაუცდენლად, „როგორც წესი“, თბილისიდან ზესტაფონში, „ძველი დროის ექიმის საკოვოიავით“, ჩადიოდა ქალბატონი, „დიბლომით ექიმი და სულით ყველაზე დაბალი ყალიბის ექიმბაში“; ჩასვლის-

თანავე იგი მიეშურებოდა საგანგებოდ დაქირავებულ ბინაში, სადაც მას უკვე ელოდა ზესტაფონიდან და სოფლებიდან მოგროვილი, ნაყოფით დატვირთული ქალების გრძელი რიგი, ნაყოფის მოსაწყვეტად უსიამო ყრუოლით ატანილნი.

და იწყებდა სწრაფად და ცქვიტად „საქმიანობას“ გინეკოლოგის დიპლომიანი გარეწარი, სერიოზულად, გატაცებით, „საქმის ცოდნით“, თითქოს „თონიდან ცხელი შოთები ამოჰქონდესო“...

და ივსებოდა თავდაჩქევილი და ტანდაკეპილი ბავშვებით (ბავშვებით-მეთქი, დახოცილი ქართველი ბავშვებით!) ყვირილა — გლოვისფერი მდინარე.

ასე გრძელდებოდა კვირაში ორი დღე — სისხლიანი შაბათ-კვირა; კვირა საღამოს კი მკვლევლობით დამაშვრალი და ფულით დატვირთული „ექიმი“ თბილისს ბრუნდებოდა, კმაყოფილი, გახარებული, გაზულუქებული, აფოფინებული. „მიუხაროდა დედაქალაქში, სადაც მას ელოდა ქმარი — ერთი პატივსაცემი დარგის დამსახურებული მოღვაწე... საქართველოსი! ამ „მოღვაწემ ჩინებულად იცოდა, რა „სამოღვაწეო ასპარეზითაც შემოჰქონდა სახლში მის ცოლს გასისხლიანებული ფულის დასტები, იცოდა მშვენივრად, რომ ეს დასტები ხელს უწყობდნენ ქართველ ხალხის ჯერ გამეჩხერიანებას და შემდეგ კი მის მთლიანად ამოგდებას, მაგრამ ეს მის ეროვნულ სინდრისს არ აწუხებდა; მართალია, ვესპასიანე არ გაეგონა, სამაგიეროდ ერთხელ გაგონილი მისი ნათქვამი არასოდეს არ ავიწყდებოდა, — ფულს სუნი არ უდისო!“

მაღე, ამ გომბეშომ (დიდი იოსებ ქორდანი ეძახდა ასე აბორტმახერებს), ქართველ ყრმათა გახელებული ხოცვა-ჟლეტის პროცესში, საქართველოს დამსახურებული ექიმის ტიტულიც მიიღო თურმე!

ბარაქალა შენს დიდსულოვნებას, შე უბედურო საქართველო!

სარწმუნოა, რომ შენ მეორე ილია ჭავჭავაძე მოჰკალ, მეორე აკაკიც, მეორე ვაჟაც, მეორე ცოტნეც, მეორე გალაკტიონიც, მეორე მუხრანიც და კიდევ რამდენი „მეორე“ — სალოცავი საქართველოსი!

მე შენ ბრალსა გდებ საქართველოს მკვლევლობაში, გომბეშო!

სამი ვინმე არ უნდა გავაკრიტიკოთ და განვაქიქოთ საჯაროდო, — დედა, მასწავლებელი და ექიმი — მეუბნება ნუგზარ ფოფხაძე.

რა დიდებული ნათქვამია, მაგრამ ნეტავ შემეძლოს დაგეთანხმო, ჩემო კეთილო მეგობარო!

მართლაც, ვინ გვყავს ჩვენ უფრო დიდი სალოცავნი და სათაყვანონი, თვინიერ დედისა, მასწავლებლისა და ექიმისა?!

მაგრამ ისევ გვაჯანჯღარებს ნეტარ ილიას მწარე ნათქვამი — დღეს კაცზე კაცი ველარ გვითქვამს, წინ თუ „კაცური“ არ დავურთეთო...

და ჩვენც ის სამი სალოცავი სახელიც დღეს ისე ველარ გვითქვამს თუ წინ, სახელნართაულად „ქეშმარიტი“ არ წავუძღვარეთ —

„ქეშმარიტი დედა“,

„ქეშმარიტი მასწავლებელი“,

„ქეშმარიტი ექიმი“.

ამიტომ ვამბობ — ვინც ამ სამთა სალოცავთაგან თავის ქეშმარიტ მოწოდებას უღალატა და საკუთარი მშობელი ერის საღალატო შმორიან გზას შეუდგა, მისი დაზოგვა, მის ავ საქმეთა წინაშე წაყრუება და თვალის თვითდაბნელება, აღარც მეტი აღარც ნაკლები, ესეც ერის წინაშე უმძიმეს დანაშაულად უნდა მიგვაჩნდეს.

მე მუხლს მოვიყრი აწ აღსრულებული დიდი ექიმებისა და მამულიშვილების — გაბრიელ ლამბარაშვილის, ალექსანდრე თიკანაძის, მორის ღოღობერიძის, ერმალოზ პაპიტაშვილის, ივანე კუჭაიძის, იოსებ ჟორდანიას, პლატონ შუშანიას, აკაკი ბაქრაძის, ალექსი უსტიაშვილის, კონსტანტინე ჩაჩავას და გოგი ლორთქიფანიძის უწმინდეს სულთა წინაშე; მე ბოდიშს ვიხდი პატიოსან გინეკოლოგთა წინაშე, რომელთა კეთილშობილური პროფესიონალიზმი და სპეტაკი ეროვნული სული შეძრწუნდებოდა ამ სტრიქონების წაკითხვის ყამს. მაგრამ დადგა დრო, როცა დუმილმა კატასტროფის (ეროვნული კატასტროფის!) უფსკრულს გადაგვამხო!

საქართველოს უქართველობოდ დაგდებას უქადიან ექიმის დიპლომიანი გომბეშოები.

და ეს უბედურება, ეროვნული უბედურება-მეთქი — ხდება ფულის კეთებისათვის!

ქართველთა ხოცვა-ჟლეტა — ფულის მოხვეჭისათვის!  
ფულისთვის!..  
ფულისთვის?!!!



გამოჩენილი ქართველი ექიმი, სახელმწიფო მოღვაწე, აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი წერდა ამ თორმეტი წლის წინათ:

„დღეს ჩემი შეკრებილი მასალებიდან ჩანს, რომ ზოგიერთ სამშობიარო სახლში წელიწადში 3 ათას აბორტს აკეთებენ... თბილისის ახლოს ერთ-ერთი რაიონის საავადმყოფოში აბორტს აკეთებს არა მხოლოდ გინეკოლოგი, არამედ ყველა ექიმი. ქუთაისის შესწავლამ გამაკვირვა: ერთ-ერთ სამშობიარო სახლში 4 ათასი აბორტი გააკეთეს ერთ წელიწადში... ამავე დროს, სოხუმში, სამშობიარო სახლის გამგედ მუშაობს რუსი ქალი და ორი წლის განმავლობაში მას მხოლოდ 3 აბორტი აქვს გაკეთებული. მე იგი გამოვიძახე და ვესაუბრე. მან მითხრა: — ქალს, რომელიც აბორტის გასაკეთებლად მოდის მაინც ეზარება აბორტის გაკეთება, რადგან დედა და ეცოდება ნაყოფის მოცილება, კოჭმანობს და თუ იმას გაესაუბრები, ეტყვი რომ არ არის საჭირო აბორტი, ჯანმრთელობისთვისაც მავნეა, სჯობს დაბადო, სიამოვნებით დაგიჩერებსო. არიან ექიმები, რომლებიც დღეში რამდენიმე აბორტს აკეთებენ და მათი მოღვაწეობა სულ აქეთკენ არის მიმართული... ახლა ქალაქი და სოფელი სავსეა აბორტმახერებით... მე არ ვიცი საკავშირო მინისტრს ს. კურაშოვს ვინ ჩასჩურჩულა ანდა თვითონაც თუ უკვე იცოდა, რომ დიდა შობადობა მხოლოდ იმ რაიონებში მოდიოდა, სადაც ქართული მოსახლეობა სულ მცირერიცხოვანი იყო, ეს კია, მითხრა: ასე თუ გაგრძელდა, იმ ზომამდე შეიძლება მიიყვანოს თეს მშვენიერი ერი, რომ გადაგვარდეს და მოისპოსო... ჩემი აზრით, არ იქნებოდა ცუდი აბორტის საწინააღმდეგო კანონის აღდგენა. დიდერში რაც უნდა მცირე შობადობა იყოს, მას მაინც არ ემუქრება გადაშენებისა და მოსპობის საფრთხე. ეს საშიშია ჩვენთვის, პატარა ერისათვის“.

ახლა კიდევ დიდებული ექიმისა და მამულიშვილის, კონსტანტინე ჩაჩავას მრისხანე სიტყვას მოვუსმინოთ:



„საზოგადოების მრისხანება უნდა დაატყდეს თავს ყველა იმ ვაი-ექიმს, აბორტმახერს, ვინც მასთან მისულ დაბნეულ ახალგაზრდა ქალს არ აუხელს თვალს მომავალ საშობრობაზე, ვინც ანგარებას, მომხვეჭელობას ანაცვალებს აღამიანის ბედს, ერის ინტერესებს. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს ამ ვაი-ექიმთა რიცხვი მომრავლდა. დაბალი ინტელექტისა და კულტურის იატაკქვეშა აბორტმახერები განუზომლად დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს ხალხს. მე მათ ერის მოღალატეებს ვუწოდებ და სრულიადაც არ მეშინია ამ სიტყვის დაწერა“.

ზუსტი განსაზღვრებაა!

გომბეშო-მკვლელები საშოშივე ჰკლავენ საქართველოს.

მათი წყალობაა, რომ საქართველოს ლამის სიბერის კუზი ამოუვიდეს და ცალი ფეხიც სამარეში ჩაუცდეს — მასში ახალგაზრდობა 20 პროცენტსაც აღარ აღწევს (მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში ახალგაზრდობა მოსახლეობის 45—50 პროცენტს შეადგენს. ღმერთმა ყველა ამრავლოს, მაგრამ ჩვენ? ჩვენ რაღა ბრალი მივიძღვის ამ ცოდვა-მადლით დამძიმებულ დედამიწაზე?).

. . . . .

საოცარია პირდაპირ — არავინ ზღუდავს, არავინ სძრახავს, არავინ ებრძვის, არავინ სდევნის, საყვედურიც არავინ საყვედურებს ამ ერის მკვლელებს — არც სახელმწიფო, არც საზოგადოება, არც ღმერთი და არც სატანა.

სად არის შურისმგებლური მახვილი ნემზიდისა?!

ერთი პოეტი „ეხუმრება“ თურმე მეორე პოეტს: რომ აგიჩემებია ერისთვის ვარ თავდადებულიო, მარტო სიტყვა რა ბედენაა,—თუ ვაქცავი ხარ, შენი მეზობლის სახლში რომ აბორტმახერი ყოველ დღე-ღამე ქართველ ბავშვებს ჩანასახშივე სჩეხავს და ჩეჩქვავს, იმას მიუხტი, ბავშვთა ქლეტა აღუკვეთე და მაშინ დაგიჯერებ, რომ მამულისათვის თავდადებული გმირი ყოფილხარო.

. . . . .

რასაკვირველია, აბორტმახერებიც არ არიან ისეთი მკვლე-

ლები, დაორსულებულ ქალებს რომ შინ და გარეთ თავს ესხ-  
მოდნენ და ძალისძალად მუცელზე ფატრავდნენ.

ჩვენ ბრალს ვდებთ ყოველ ჩვენებურ ქალს, რომელიც თავის ცხოველუნარიან ფერტილურ ასაკს დედობისთვის უაღრესად ძუნწად იმეტებს.

ჩვენ ბრალს ვდებთ ყოველ ჩვენებურ მამაკაცს, რომელიც ქორწინებას გაურბის, ან აგვიანებს დაოჯახებას. ბრალს ვდებთ ამ ცალფად მორაცრაცე „მარადიულ სასიძოებს“, უნაყოფო ბერბიჭობის რეალურ რეზერვს.

ჩვენ ბრალს ვდებთ ყოველ ჩვენებურ ქალსაც და კაცსაც, რომლებიც ოჯახში მრავალშვილიანობას მრავალნივთიანობას, ან ძალღიან-კატინობას ამჯობინებენ.

ყველაფერი მაინც იქიდან იწყება, საიდანაც რატომღაც მიჩნეული იქნა, თითქოს, მრავალშვილიანობა საზოგადოებრივ დევაწლმოსილებად და „ცხოვრების მაღალ ტონად“ აღარ ითვლებოდეს.

თითქოს ქალის საზოგადოებრივი ფუნქცია მხოლოდ ჩვეულებრივი სამსახური იყოს — „ოჯახიდან თავდახსნილი“, „ხალხში, საზოგადოებაში გასული“ სამსახური, ანუ, რაც მთავარია, „მამაკაცის თანაბარი“ სამსახური.

და დავიწყებას მიეცა ქალის ყველაზე დიდი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი მოწოდება — მამულისათვის შვილების გაზრდა („უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“).

ნახევარი საუკუნის წინათ გაგვაფრთხილა ეროვნული აღლოიანობისა და გერშიანობის მფლობელმა, დიდებულმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა:

„...ოჯახიდან ქალის გასვლა ორპირი მახვილია. მე მეორე უკიდურესობა მაშინებს. ზოგმა სამუდამოდ აიღო ხელი ქალობაზე, ჯიშის გამრავლებაზე და თავისი თავი სანიმუშო მოქალაქე ჰგონია. შემცდარია ზომიერება ბუნების უდიდესი საჩუქარია და ვინც მას უღალატებს, ის აუცილებლად დაისჯება... დღევანდელმა ქალმა შრომა ისწავლა, დიდებულია! მაგრამ მან მუცლის მოშლაც ისწავლა, ეს საზარელია. ამის გამო მომავალი თაობანი ავად მოგვიხსენიებენ. ეს ჭირი ძირიან-ფესვიანად უნდა ამოვფხვრათ“.

ქართველი ქალის „სანიმუშო მოქალაქეობა“ ათასეული წლების მანძილზე სწორედ „ჯიშის გამრავლება“ იყო და აგერ, ჩვენს დროში, „ჯიშთანმა ქართველმა ქალმა“, მუცლის წახდენით გაცნობიერებულმა და „განვითარებულმა“, სანაქებო სამამულო დვაწლმოსილებაზე ხელი აიღო და „მამაკაცის თანაბარი“ საზოგადოებრივი სამსახურით შემოიხილუდა.

იყო კანონი, იყო რწმენა, იყო პატიოსნება და ყველაფერი ეს იყო არა მოჩვენებითი, არა ყალბი და ფარისევლური, არამედ ნამდვილი, რეალური, შინა-სინდისისმიერი, შინა-რწმენის-მიერი.

და როცა აღესრულა „ის დიდი კაცი“ (ამბობს მედეა მეზერიშვილი) და დაემკვიდრა სუბიექტივიზმი, დამკვიდრდა ვოლუნტარიზმი — რწმენას სძლია ურწმუნობამ, კანონს უკანონობამ, პატიოსნებას უპატიოსნობამ, სინდისს უსინდისობამ და ერთბაშად, როგორც ასეთ დროქამს სჩვევია, ადამიანის სულში აყვავდა ახალი ღმერთი — სიყვარული და სიხარბე ფულისა, ქონებისა, ნივთისადმი.

არქონება არ ვარგა და ავადქონება უარესიაო, ბრძანებს საბა. ქონებას, თქმა არ უნდა, გააჩნია თავისი პოზიტიური მხარე და ეს „პოზიტივიზმი“ გახლავთ, როცა იგი რაიმე სიკეთისათვის იხარჯება. (ხაზი აქ და შემდგომ მედეა მეზერიშვილს ეკუთვნის).

ხოლო, რა უნდა იყოს უფრო მეტი სიკეთე, ვიდრე შვილები?

განა, რა სახელი უნდა მოიძებნოს იმათ მოსანათლად, ვინც ბავშვთა აღსაზრდელი სახსრები ბავშვთა სიცოცხლის მისანიჭებლად და მათ აღსაზრდელად კი არ გაიმეტა, არამედ მოუხმარებელ განძად აქცია და მასთან ერთად (კიდევ — კატასთან, ან ძალღთან ერთად) უბავშვო, უსიხარულო და უსიცოცხლო სახლში გამოიკეტა?

როგორც ყველაფერში, აქაც მთავარი გმირი ქალია, ქალი. ვოლუნტარიზმის ძნელბედობის უამს ქალებმა დაიწყეს მამაკაცებზე ბატონობა. ქალები ბრძანებდნენ და წყვეტდნენ სამსახურის, თანამდებობის, „გადაადგილ-გადმოადგილების“, „აღებ-მიცემობის“ საქმეებს. და ყველაფერი ეს ბოლოს და ბოლოს კრისტალდებოდა ამ დროის ისეთ მამონად, რასაც ჰქვია ფული, ანუ განივთებული ფული, ანუ ქონება.



და მთელი უბედურებაც ის გახლავთ, რომ ქონების დაკრძობა და მრავალშვილიანობა ერთმანეთს ვერ უთავსდებოდა. ან ქონება შეიღებოდ უნდა „კრისტალდებოდეს“, ან ქონება ქონებად დარჩება და ბავშვებიც აღარ დაიბადებიან...

(ამას რომ ჰყვებოდა მედია მეზვრიშვილი, მე ქრისტეს წინარე მეორე საუკუნის რომელი პოლიტიკოსი გამახსენდა — მარკუს პორციუს კატონი. რომაელები მსოფლიოზე მბრძანებლობენ, მაგრამ ამ მსოფლიო მბრძანებლებზე ქალები მბრძანებლობენო, — აღშფოთებით გაჰყვიროდა იგი კაპიტოლიუმზე. ქონებისა და ძვირფასი სამკაულების ამკრძალავი კანონპროექტი გაიტანა კატონმა რომაელთა სახალხო კრებაზე, მაგრამ წინასწარ ქალებს „თავთავისი მამაკაცი“ ისე მაგრად „დაემუშავებინათ“ რომ არც ერთმა მათგანმა ხმა არ მისცა კატონის კანონ-პროექტს... და ბოლოს და ბოლოს ფუფუნებამ და „დეაკვანიზაციამ“ დაპლუბა კიდევ რომი).

ქალია ყველაფერი, ქალი!

ქალია ერის ამშენებელიც და დამაქცევარიც!

\* \* \* \* \*

საგარეჯოში მოსვლისთანავე, მედია მეზვრიშვილმა რაიონის მთავარი ექიმი გამოიძახა და ბავშვთა დაბადების დინამიკა მოსთხოვა. მთავარი ექიმი, თვითონ გინეკოლოგი, აიწურდაიწურა, მაგრამ რას გააწყობდა, — ვაი ხეს და ვაი ქვას, მეზვრიშვილის მოტყუებას ან მის მოთხოვნაზე ყურის წაყრუებას თუ ვინმე შეეცდებოდა!

და გამოირკვა, რომ საგარეჯოში ყოველ წელიწადს 2000 აბორტს აკეთებენ!

„მამასადამე, წელიწადში შენ საქართველოს უკლავ ორი ათას შვილს!“ — რისხვეულად უთხრა მედიკომ ექიმს.

„?!“

„ძალიან გაიკვირვე, არა? კიდევ გიმეორებ — შენა ხარ მკვლელი წლიურად ორი ათასი ქართველისა“, — გაუმეორა მედემ.

„მაგრამ ეს... აბორტებია... და ორი ათასი, ეს საშუალო ციფრია მთელს საქართველოში“, — სთქვა ექიმმა დაფანტულად.

„გამოდის, საქართველოში ყოველ წელიწადს გინეკოლოგის“

შანთებით იქლიტება 150 ათასი ბავშვი!“ — დაიგმინა ქალმა.

ექიმს ხმა არ ამოუღია.

მედემ მღელვარება ძლივს დაითრგუნა და უთხრა:

„ახლა წადი და მკვლელობაზე თუ ხელი არ აგიღია, გერჩიოს, შენის ნებით დასტოვო სამსახური!“

ისიც წავიდა, მაგრამ არ აიღო ხელი.

მედეა მეზვრიშვილმა „დაპირების ფასი“ დიახაც იცის და, მოხსნა სამსახურიდან „მკვლელი ექიმი“.

აბორტმა უმოკლეს დროში ათას ხუთასი ერთეულით დაიკლო.

მოხსნილი ექიმი კი აგერ ოთხი-ხუთი წელიწადია ჩივის და ეძებს „სამართალს“ — მეზვრიშვილი მოხსენით და მე დამაბრუნეთო.

ქვეტექსტი:

დამაბრუნეთ, რათა ბავშვების ხოცვა-ჟლეტა განვაახლოო!..

. . . . .

აბორტმახერობა უდიდესი და უბოროტესი ცოდვის ტრიალია ქართველი ერის თავზე, — ამბობს მედეა — და ერის დამახობელი ცოდვა მართო სულმოკლე ოჯახებიდან კი არა, ჩვენი სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატიდანაც მოდის. თვითონ განსაჯეთ, ასეთ უზნეო, ფულზე გახელებულ და ფულისთვის ერის მკვლელ ექიმებს აკი ეგ ინსტიტუტი აძლევს ე. წ. „დიპლომს“, ანუ საგზურს ერის ამოსაწყვეტად და ამოსაგდებად. რატომ არ ზრუნავს ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, უკვე საკმაოდ ნაძრახ თავის კედლებში, რომ მომავალ ექიმში, განსაკუთრებით გინეკოლოგში, სამედიცინო ცოდნასთან ერთად, ჯერ კაცთმოყვარე და პატრიოტი ადამიანი გაზარდოს და მხოლოდ ამის შემდეგ გაიმეტოს მისთვის ექიმის დიპლომი — ჩვენში ასე გაიაფებული და გალანძღული. მართო „ჰიპოკრატეს ფიცის“ დიაკვნური წაკითხვა და ფორმალურად პირში გამოვლება როდი კმარა ჰემმარტი, წრფელად ჰუმანისტი და რწმენით პატრიოტი ექიმის გასაზრდელად. ყველა უმაღლესი სასწავლებელი უნდა აგებდეს პასუხს მისი პროდუქციის ხარისხისათვის და მათ შორის სამედიცინო ინსტიტუტს გამორჩეული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს.

. . . . .

მოდით, ერთხელ კიდევ გავიმეოროთ ძველთაგანვე გავრცე-

ლებული შეგონება (რომლის გახსენებას უკვე გაუბრბიან ჩვენს ში და ჩვენს დროში):

ერთი შვილი — არაშვილი,  
ორი შვილი — ვითომც შვილი,  
სამი შვილი — ცოტა შვილი,  
ოთხი შვილი — მართლა შვილი.

სხვანაირად რომ ვთქვათ, — ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ მწარე სინამდვილე მაინც გაფიქრებინებს: ერთშვილიანობა ოჯახისთვის ყოფნა-არყოფნის სასწორზე ჯდომია, ხოლო ერისთვის დაღუპვის მომასწავებელი უბედურებაა.

ორშვილიანობით კიდევ — ოჯახი თითქოს ცალი ფეხით ჩამოდის ყოფნა-არყოფნის სასწორიდან, მაგრამ ერის არსებობისთვის იგი მაინც უძრავ წრეწირში სულის დაფვაა და სხვა არაფერი.

სამშვილიანობა ოჯახისათვის თითქოს რეალური გადარჩენაა, მაგრამ ერისთვის მცირეოდენი სულის მოთქმაა და სხვა არაფერი.

ოთხშვილიანობა უკვე ზრდა არის ოჯახისთვისაც და ერისთვისაც, მაგრამ მაინც არასაკმარისი, არა იდეალური, რადგან სხვა მეზობელ და თანამცხოვრებ ხალხთა შორის ქართველობა მოსახლეობის აღწარმოების საქმეში ბოლო ადგილს მაინც ვერ შორდება.

ამიტომ დღეს, ქართველთა შორის იდეალურ ოჯახად უნდა ჩაითვალოს ოჯახი, რომელსაც ჰყავს არა ნაკლებ ხუთი შვილისა. ხუთი შვილიდან იწყება ტრადიციული „სრულფუძიანობა“ ქართული ოჯახისა.

ხუთი შვილი!

მე მოვითხოვ ხუთ შვილს ყოველი ქართული ოჯახისაგან! — მრისხანებს მედია მეზვრიშვილი — მოვითხოვ საგარეჯოდან, საქართველოს ცარსკოე სელოდან, — დასძენს სიცილით.

ჯერ არ დაბადებულა და არც დაიბადებო ეკონომისტი, რომელიც შეძლებს დაიანგარიშოს და ფულში, ოქროში გამოხატოს სიმდიდრე და სიკეთე მრავალშვილიანობისა.

ყოველი საშუალო ბედის მქონე ოჯახი შეძლებს ხუთი შვილის გაზრდას.

გახსოვდეს, ქალო, ვისაც სიბერწის უბედურება არა გწვე-



ვია და, მამაკაცო, ვისაც მამაკაცობა დედაკაცობად არ დაგმართ-  
 თნია:

ბევრი შვილის პატრონსაო ღმერთი უღეწს კალოსაო;  
 ერთის შემხედვარეო წყალში ჩამხედვარეო.  
 ყოველმა ახლადშეუღლებულმა ქალმა და ვაჟმა საქორწი-  
 ნო ბეჭდების გაცვლისთანავე უნდა დაიფიცონ:  
 ისინი სიცოცხლეს მიანიჭებენ ხუთ ქართველს!

საშინლად დაბერდა და გახანიერდა ღამე.

ძლივს ჩაეძინა გამთენიაზე.

და უცებ გასაოცარი ხმა შემოიჭრა მის სულში, სიმღერა,  
 თქმული ჰამლეტ გონაშვილისა:

„...მა-ღალ-მა ღმერთ-მა გი-კურ-თხოს

მაგ აკ-ვან-ში მწო-ლიარ-ეეეეე!...“

ქვითინი აუვარდა ქალს...

„საქართველოს არგადაშენების ფიქრი იწყება აჭარიდან“, —  
 ამბობს მედია მეზვრიშვილი.

აჭარაში კულტია მრავალშვილიანობისა და მასთან — მრავალშვილიანობის მარჩენალი ძროხისა.

ხშირად გაიგონებთ აჭარის ცისგვამში:

„ნენე, თქვენს სახლში ახალი ბავშვი მობრძანდა?“

„ნენე, შენი ძროხა საძოვრიდან მობრძანდა?“

„ამნაირ ბრილიანტივით ქალს ორი ბალნისთვის აცდენენ?“

„ჯანმრთელ ქალს ქალობა რავე უნდა გაუშროს ჯანმრთელ-  
 მა კაცმა!“

„ამბობენ, უზბეკისტანს 25 000 მრავალშვილიანი ოჯახი  
 ჰყოლია, თითოეულს არანაკლები ათი შვილისა. ღმერთმა ყვე-  
 ლა ამრავლოს, მაგრამ ჩვენ?“

„ლაგოდების რაიონში ყოფილა სოფელი კაბალი. დღესაც  
 ახსოვთ ლაგოდხელებს, შვიდი აზერბაიჯანელი მწყემსი რომ  
 მოსულა და დასახლებულა, შვიდად შვიდი! და ამ შვიდმა  
 ოჯახმა ისე იხარა, იბარტყა და იყარა, რომ კაბალი ახლა ლა-  
 გოდების რაიონში ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლება ყო-  
 ფილა... ღმერთმა ყველა ამრავლოს, მაგრამ ქართველებმა და  
 რუსებმა რა დააშავეს, რომ არ მრავლდებიან — გული გაუციე-  
 დათ, თუ თესლი გაუცვდათ?!“

„ამბობენ, ქართველობაში დღეს სამასი ათასი წყვილი ქალი და კაცი ყოფილა დასაქორწინებელი. ღმერთმა რომ გვიშველოს და ყველა წყვილი დაქორწინდეს, იგივე ღმერთი რომ გაწყარეს და სამი წყვილიდან ორის მეტიც რომ არ დაიბადოს, ორასი ათასი ზომ მაინც დაიბადება და ქართული მოსახლეობა ექვსი პროცენტით ზომ მაინც გაიზრდება!“

„შენ რამდენი შვილი გყავს, მურად?“

მორცხვი პასუხი:

„შვიდი, ჭერხნობით“.

„რა ვუყოთ მერე, ჭერ ახალგაზრდა ხარ, ერთი მაგდენს კიდევ მოასწრებ“.

„ხიხაძირის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, არჩილს, მეთერთმეტე ბავშვი შესძენია“.

„ღმერთმა თერთმეტივე უცოცხლოს და უბედნიეროს!“

„ჩვენ მდიდრები ვართ ჩვენი შვილებით, უფრო მდიდრები, ვიდრე ნივთით მდიდრები. ჩვენ უფრო ლაღად ვმღერვიართ, ნივთით მდიდარს კი ეშინია ლაღი სიმღერის...“

„მე თორმეტი შვილი მყავს. საბავშვო ბაღი მაქვს სახლში“.

„მეც თორმეტი მყავს და ოცამდე ვაპირებ ასვლას, იმოდენა თამბაქოს გეგმა რომ არ მქონდეს შემოწერილი“...

თამბაქოს გეგმაო?!

ერთი გუჯარი გამახსენდა, 1703 წლისა: მრავალშვილიან ოჯახს „არაფერი გამოსაღები არა ეთხოვბოდეს რა, არა ლაღა, არა კულუხი, არა კოდის პური, არა სამასპინძლო, არა სამოსელი, არა ულაცი... მზისა და წვიმის მეტი კარს არა მოგადგებოდეს რა...“.

მრავალშვილიანთა შეღავათებისა და უპირატესობათა ზრდაზე განეფინება ლოგოსი.

შეუვალად უნდა დაკანონდეს ბინის გაცემა მრავალშვილიანობის შესაბამისად.

სამსახურში მიღებაც და დაწინაურებაც შვილთა სიმრავლეზე იყოს განრიგებული.

სრულფუძიან ოჯახთა შვილები უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ უნდა ირიცხებოდნენ (ისედაც რამდენი უღირსი „ეწყობა“ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში!).

მრავალშვილიან დედათა სამსახურებრივი საათებიც უნდა შეიკვეცოს მნიშვნელოვანწილად.

ყოველი კულტურული და ნივთიერი სიკეთე უნდა განაწილდეს და გაიცეს ისევ და ისევე მრავალშვილიანობის პრინციპზე.

„მრავალშვილიანმა სავარცხელი რომ ახსენოს, ტყეც მაშინვე უნდა გაჩნდეს“, — ამბობს მედეა მეზვრიშვილი.

უსასტიკესი სჯულისდებით უნდა მოიკვეთონ და მოითხარონ აბორტმახერნი, მკვლელნი საქართველოსი. ჰიპოკრატეს სასტიკი განსჯით უნდა დაისაჯონ მისივე ფიცის („ჰიპოკრატეს ფიცი“) გამტეხნი — *Qui medicamenta non sanant, ferum sanat, qui ferum non sanat, ignis sanat* (რასაც წამალნი ვერ განკურნავენ, რკინა განკურნავს, რასაც რკინა ვერ განკურნავს, ცეცხლი განკურნავს!).

„აღამიანი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ერის შვილია“, — მარტივად, ლაკონურად, მართლად და მრავლისმეტყველად თქვა ერთხელ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა დიდი საძმო სახელმწიფოს ხელმძღვანელისადმი მისასალმებელ სიტყვაში.

და იქვე, დიდებულად, სუფთად, უკიმიროდ:

„მამულიშვილი — პიროვნებაა“.

და უნდა ახსოვდეს ყოველ ჰემმარიტ მამულიშვილს, ყოველ ჰემმარიტ პიროვნებას, ყოველ ჰემმარიტ „თავისი ერის შვილს“, — რომ დღეს მისი მამულისა და ერის გადამწყვეტ პრობლემა არის პრობლემა მრავალშვილიანობისა.

უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავად ხუთასწლოვანი ამოწყვეტა-ამოყლეტისა, XIX საუკუნის 80-იან წლებამდე, მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობის ნახევარზე მეტი მაინც ქართველობა იყო.

ხოლო, მერე?..

ხოლო, ახლა?..

ყველა მრავლდება, უკლებლივ ყველა... რუსისა და ქართველის გარდა.

ერთხელ კიდევ წაიკითხე და გულს დაიბეჭდე ეს — უაღრესი თავშეკავებით აღმოხდენილი მღელვარე სიტყვა:

„მარტო საქართველოში 300 ათასამდე ვაჟაკი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. 300 ათასი ვაჟაკი... 300 ათასი მამა...“

ომმა მძიმე კვალი დატოვა. ამის გამოცაა, რომ შობადო-

ბის პრობლემა საქართველოში ისევ მწვავედ დგას, როგორც იმ რესპუბლიკებში, რომელთა ტერიტორიაზეც ომის ქარცეცხლმა გადაიარა. წინა თაობამ უზარმაზარი მსხვერპლის ფასად თავისუფლება შეუნარჩუნა ახალ თაობებს. თქვენი ვალია დაეხმართთ სამშობლოს ჭრილობების მოშუშებაში, დანაკლისის ანაზღაურებაში.

ვინც საქართველოს ისტორია იცის, დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ხალხი ფიზიკურ და სულიერ განადგურებას დედამ გადაარჩინა, ქართველის დედამ, რომელიც მამულს უზრდიდა შვილსა. მრავალშვილიანობა არანაკლებ საჭიროა დღეს, ვიდრე წარსულში. მე ერთხელ უკვე ვთქვი კომკავშირელებთან შეხვედრისას და ახლაც გავიმეორებ: მრავალი შვილი მუშათა კლასის მრავლობაა, მრავალი შვილი ბევრი მიწის მუშაა, მრავალი ინჟინერი და აგრონომია, მრავალი მეცნიერი და შემოქმედია, მრავალი ჯარისკაცი და გენერალია. მრავალი შვილი ჩვენი ხალხების ურღვევი კავშირის ძლიერებაა, მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა.

მინდა გისურვოთ, მეგობრებო, ნამუსიანად მოგეხადოთ ვალი სამშობლოს წინაშე, ჩვილთა ჭყლოპინი, ყრმათა ტიტინი — ეს საოცარი სიმფონია ხალხის დღეგრძელობისა, მარადისობისა, კიდევ უფრო მრავალ ხმაზე ჟღერდეს მრავალ ოჯახში...

შეეჯიბრეთ ერთმანეთს აკვანთა სიმრავლეში, ღირსეულ მამულიშვილთა აღზრდაში!

ბევრი ქვეტიქსტი აქვს რესპუბლიკის ხელმძღვანელის ამ სიტყვას — უთქმელად მრავლად ნათქვამი.

და ამ საჭირისუფლო სიტყვის „მთავარი მოტივისა“ და „სხვა წიაღსვლათა“ გარკვევა და გააზრება არ გაუჭირდება არც ერთ ქართველს, რომელსაც კი ჭეშმარიტი „მამულიშვილობა“ და ჭეშმარიტი „თავისი ერის შვილობა“ მხოლოდღა წვეულებაზე გასაბრწყინებელ, საეჭვო ღირებულების მქონე სამკაულად არ დაუნარჩუნებია.

ჯერჯერობით კი არის მხოლოდ სიტყვა — „სიტყვა იგი ღმრთისა თანა“.

ხოლო, საქმე... საქმე სდუმს... სდუმს ერის დამანგრეველი დუმილით.

რაიკომის მდივნები, „ხელმძღვანელნი ადგილებიდან“;

სდუმან და ელიან „მითითებას ზემოდან“. არადა, მრავალჯერ გაუფრთხილებია ისინი რესპუბლიკის ხელმძღვანელს: ნუ ელოდებით ყველაფერს „ზემოდან“, მზამზარეულს, გადაღეჭილს და გადამღერებულს; ნუ იქნებით სხვისი ხელის შემყურე; თქვენ იმიტომ ხართ თქვენი რაიონების ხელმძღვანელები, რომ თქვენ თვითონ, უჩვენოდ, „უზემოთ“, უნდა მიაგნოთ, უნდა იგრძნოთ, უნდა მიხვდეთ თქვენი კუთხე-კუნძულის ყოველ სატკივარს; თქვენ უნდა მიაგნოთ, თქვენ უნდა უმეკურნალოთ და თუ თქვენი ძალა ადგილზე საკმარისი არ აღმოჩნდება, მაშინ ამოიტანეთ საკითხი „ზემოთ“ განსახილველად; საკუთარი ინიციატივა, საკუთარი წამოწყება, საკუთარი მიგნება, მიკვლევა, საკუთარი ხელითა და გონებით ბოროტების დათრგუნვა და სიკეთის გამრავლება! რა უნდა იყოს ამაზე დიდი სიამოვნების, სიხარულისა და სიამაყის წყარო ხელმძღვანელისთვის?!

და ესეც, ჯერჯერობით, არის მხოლოდ სიტყვა — „სიტყვა იგი ღმრთისა თანა“.

ხოლო, საქმით...

ისევ დადის ნირშეუცვლელად საქართველოში ეს „რეალიზმის ამსახველი“ მყავე ხუმრობა: ყოველი რაიკომის მდივანმა ზუსტად იცის დღიურად რამდენი გოჭი იბადება, რამდენი ხბო, რამდენი ცხვარი, ხოლო წარმოდგენაც არა აქვს რამდენი ბავშვი იბადება მის რაიონშიო...

„პოი, დედანო, მარად ნეტარნო,  
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!  
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ  
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!  
ვინდა ჰყავს გულის შემატკივარი  
მამულს ასული აბლა თქვენგვარი?“

ნუ იწყენ, დღევანდელი ქართველო ქალო, თუ შენს ყურადღებას ისევ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაღვლიანი ლექსით მივაპყრობ შენი დიდებული წინაპრისადმი — ქართველის დედისადმი — რომელიც „უწინ მამულსა უზრდიდა შეილსა“, განუმტკიცებდა ძირსა, განუმრავლებდა ჯიშსა.

დღეს მრავალგვარია გმირობა, ღირსება, ღვაწლი და „ქალური ქალობა“ ქალისა, მაგრამ —



არ არსებობს უფრო დიდი გ მ ი რ ო ბ ა ქართველი ქალი-  
სა, ვიდრე მრავალშვილიანობა!

არ არსებობს უფრო დიდი ღ ი რ ს ე ბ ა ქართველი ქალი-  
სა, ვიდრე მრავალშვილიანობა!

არ არსებობს უფრო დიდი საზოგადოებრივი ღ ვ ა წ ლ ი  
ქართველი ქალისა, ვიდრე მრავალშვილიანობა!

არ არსებობს უფრო დიდი ქ ა ლ ო ბ ა ქართველი ქალისა,  
ვიდრე მრავალშვილიანობა!

კიდევ შეგახსენებ ქალსაც და კაცსაც: თუ შენ არ შექმენ  
ადამიანი, შენა ხარ მკვლელი. მრავალთმრავალ მილიონიან  
ინდოეთში ითქვა ეს შეგონება და მით უფრო თქვენ, რიცხვით  
უმცირესი ქართველობის ნაშობნო შვილნო! ნუ იქნებით  
მკვლელნი ადამიანისა!

ნუ იქნებით მკვლელნი ქართველისა!

ნუ იქნებით მკვლელნი თქვენი საოცარი, ღვთაებრივი ჯიშისა!

ნუ იქნებით მკვლელები თქვენი ღვიძლი შვილებისა!

ნუ იქნებით მკვლელები საქართველოსი!

ნუ დაივიწყებთ, რა შემოგბედათ მტერმა, ჰინკში გახვე-  
ულმა სამართებელმა: ქართველებს არ შეუძლიათ, თორემ ნა-  
ხევარ შვილზე მეტსაც არ გააჩენდნენო...

განძლიერდით, განმრავლდით და გააცუდეთ ეს შხამის  
დორბლით გატენილი გამონათქვამი!

ქართველო ქალო, ნურცერთ შვილს ნუ მოაკვლევინებ ნე-  
ბადართულ გომბეშო-მკვლელებს!

ქორწინების პირველი დღიდანვე სამუდამოდ გულს და-  
იბეკდენ შოთა ნიშნიანიძის უმძიმესი კაეშნით სავსე ეს სტრი-  
ქონები: ჩანასახშივე ძალისძალად უღვთოდ მოკლული შვი-  
ლის ნამტირალევი:

რა გალელუს და ფერწასულს გხედავ,  
ჩემო ბაწია, ცოდვილო დედა,  
ვაიმე, როცა საშოში მჭრიდნენ,  
რაიმე ხომ არ გატყინე ნეტა!

• • • • •  
როგორ მინდოდა, მეც მოგსწრებოდი,  
მეც გამეხარა ამ სამზეოთი,  
მეც დამეძახა შენთვის „დედიკო“  
და მამას ყელზე შემოვხვეოდი.

ჩაწული ვიყავ მომავლის ფიქრთან,  
როგორც პეპელა ყვავილში რგული,

დაბადებამდე რამდენი მაკლდა,  
 ითვლიდა ჩემი პაწია გული.  
 ალბათ, გგონივარ დაღლილი სხივი,  
 ალბათ, გგონივარ სუნთქვა სიოთა,  
 შენ ზომ უძლებდი საკუთარ ტკივილს,  
 მე კი, ძვირფასო, შენიც მტკიოდა.  
 თურმე ტყუილად მომიხაროდა,  
 შეხვედრა შენთან, ძმებთან და დებთან...  
 ახლა მოგტირით სხვა სამყაროდან  
 არარაობის ჩრდილი და სევდა.

რად გააწბილე ღვთის იმედები,  
 რატომ შეშალე და გაამრუდე,  
 ანგელოსების და პლანეტების  
 კეთილი გათვლა და ვარაუდი?  
 ჰოი, დედებო, რა პასუხს აძლევთ,  
 რას ეუბნებით წარსულს და ხვალეს,  
 ვინ მოუაროს ვაზივით გამძლე  
 დიდების მსურველ პატარა მხარეს!

— კიდევ სად არის სხვა საქართველო?  
 ჰყივის ლექსი და ციხის ქონგური.  
 — მიწაში, დედაე... და ვინ დათვალოს  
 შეილი და ძირი ჩემებრ მოკლული.  
 თუ სვეტიცხოველს ვერ ავაგებდით,  
 „ვეფხისტყაოსანს“ თუ ვერ დაეწერდით,  
 მაინც ზედმეტი და მოსაკვეთი  
 არ ვიქნებოდით შენთვის არცერთი.

ერთის წუთითაც არ დაგავიწყდეს — შენ ბუნებამ ქალად  
 შეგქმნა ქალობისათვის, ქალური სიყვარულისა და ნაყოფიერე-  
 ბისათვის. სიყვარული და ნაყოფიერება ერთი მთლიანი სხე-  
 ულია შენი ქალობისა. და ნაყოფიერებაც შენი, ხანგრძლივო-  
 ბით, უნდა უტოლდებოდეს სიყვარულს შენსას.

მაშ, იყავ მრავალნაყოფიერი,  
 მრავალშვილიანი,  
 მრავალძეობით ვალმოხდილი და დამშვენებული,  
 „ვითარცა ხე ფურცლითა და ნაყოფითა“!  
 ქართველო ქალო, შენ, ღვთისგან კურთხეულო!  
 გაბოვ,  
 მუხლმორთხმით გემუდარები,  
 მოგიწოდებ და ვიბრძანებ:  
 დაეხსენ ეშმაკს,

იტვირთე,

შობე,

აღზარდე —

არა ნაკლებ ხუთი შვილი, ხუთი ქართველი!

## თანამშრომელნი მეზვრიშვილისა

საგარეჯოს რაიკომის ბიურო მედია მეზვრიშვილის ჭეშმარიტ თანამებრძოლთა და თანამდგომთა საკრებულოა. თორმეტი კაცი ქმნის მტკიცე პოლიტიკურ სათათბიროს.

ნუგზარ გურჯიძე, რაიკომის მეორე მდივანი, ნიჭიერი და მოკრძალებული პარტიული მუშაკი, წარმატებით მიუძღვის რაიონის იდეოლოგიურ და კულტურულ ცხოვრებას. რაიკომის შენობის ტყვე ვარო, — ხუმრობს ხოლმე ნუგზარი — როცა მედიკო ადგილზეა, ფეხსაც ვერ გავადგამო და როცა არ არის, მაშინ კიდევ ფეხსაც ვერ მოვიცვლიო.

რაიკომის მესამე მდივანი აქამდე თამაზ ქევხიშვილი იყო, რაიონის სამეურნეო ცხოვრების მეთვალყურე და ზედამდგომელი, მანაველი პატიოსანი და შრომისმოყვარე დედ-მამის გაზრდილი ახალგაზრდა კაცი. იგი ახლა თბილისში დააწინაურეს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. თამაზ ქევხიშვილის ადგილზე, რაიკომის მესამე მდივნად ლადო მარხვაშვილი გამოიყვანა მედემ, უდაბნოს სასოფლო საბჭოს „ისტორიული თავმჯდომარე“. ლადო პატარძეულელია, ლეონიძის თანასოფლელი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ავტომობილებისა და ტრაქტორების სპეციალობით. მუშაობდა ყაზახეთის მშენებლობებზე, საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხანაში, მას შემდეგ კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად, მერე პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად, რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ, უდაბნოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ და იქიდან — რაიკომის მესამე მდივნად.

ბიუროს წევრთაგან მედია მეზვრიშვილის დიდ პატივისცემასა და ყურადღებას მიითვლის აღმასკომის თავმჯდომარე, გურამ მჭედლიშვილი. იგი მანამდე წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა. წამოვიდა და დიდი სიყვარული

დატოვა წითელწყაროელთა შორის. საგარეჯოში მოვიდა და აქაც სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა ამ კეთილმა კაცა-ბელმა კაცმა.

მეზვრიშვილთან თანამშრომლობს სამი ქალი — ზაირა ივანიშვილი, თინა ჩერქეზიშვილი და მაყვალა გულაღაშვილი. ზაირა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეა, თინა — კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, მაყვალა — კაბეტის „წითელი ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობის მევენახე. მედეას განსაკუთრებული ყურადღება აქვს ამ ქალთა მიმართ. ამათ გარდა, „ბიუროს გარეთ“ — მედეა მეზვრიშვილი დიდად აფასებს მერი ლეჩავას (ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე), მარიკა ბაბუნძიძის (შესანიშნავი მკურნალი, საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე), ცილა კუჭუაშვილის (მანავის მევენახეობის მეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი) სამსახურებრივ, საზოგადოებრივ და სამეურნეო ღვაწლმოსილებას.

რაიკომის ბიუროს წევრები არიან ვასილ კველიშვილი და ალექსანდრე ელერდაშვილი. ვასილი სახალხო კონტროლის თავმჯდომარეა, ნიჭიერი, სამართლიანი და კაცთმოყვარე ადამიანი. ალექსანდრე ადრე რაიკომში მუშაობდა აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ, ამჟამად რაიონული გაზეთის, „ივრის განთიადის“ მთავარი რედაქტორია. იგი ფართო განათლების, მეცნიერული დიაპაზონის მქონე ადამიანია.

კიდევ ორი წევრი რაიკომის ბიუროსი — გიორგი როსტიაშვილი და ფარნაოზ კავთუაშვილი, ორივე სამეურნეო მოღვაწე. გიორგი მანავის მევენახეობის მეურნეობის დირექტორია, ფარნაოზი — რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ორივე დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელია, ორივე საუკეთესო მოქალაქე და მამულიშვილი.

ბიუროს წევრთაგან საგანგებო ყურადღებას იპყრობს ივანე ალექსაშვილი. სოციალისტური შრომის გმირი, საგარეჯოს მევენახეობის მეურნეობის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი. ხალხი საალერსო ეპითეტებს არ აკლებს ჭეშმარიტ გმირს, ხან ყანების ფალავანს ეძახიან, ხან ჰოპოპუნას — შრომის უძველესი ქართული სიმღერის მომღერალს. ამ სიმღერით მიუძღვის კომბაინზე ამხედრებული ალექსაშვილი თავის ბრიგადას.

ამ კაცმა მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში გეგმით გათვლილსწინებული 705 ჰექტარის ნაცვლად 1789 ჰექტარი მომკა, დაზოგა 3485 კილოგრამი საწვავი, გამოზარდა 12 კომბაინერი და ტრაქტორისტი, პრაქტიკულ მეურნეობაში დანერგა 35-მდე რაციონალიზატორული წინადადება. 1980 წელს ივანე ალექსაშვილი სათავეში ჩაუდგა ახლად შექმნილ მექანიზებულ კომპლექსურ ბრიგადას, თავს უყრის 5 რგოლს, 24 ტრაქტორს და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობას. ბრიგადა უვლის 720 ჰექტარ მიწა-წყალს, აქედან — 251 ჰექტარ ვენახს, 86 ჰექტარ ბაღს, 367 ჰექტარ მარცვლეულ ნათესებს და 16 ჰექტარ თუთის პლანტაციას...

ივანე ალექსაშვილი რიგით მეორე ვაჟკაცია, გმირობა რომ მიიღო საგარეჯოს რაიონში. პირველი იყო კაკაბეთელი გიორგი ექვთიმიშვილი, ამჟამად ოთხმოც წელს გადაცილებული პენსიონერი. დედ-მამა არ ახსოვს ყრმობითვე დაობლებულს. ბიძას გაუზრდია თოხლიაურში. საშუალო და უმაღლესი განათლება არ მიუღია. შრომა და შრომაში მუღმევი ოფლის ღვრა ყოფილა მისი საწუთისოფლო „პროფესია“. სამამულო ომიც პატიოსანი ვაჟკაცობით გადაუხდია. ომიდან დაბრუნების შემდეგ ისევ შეერთო მის სისხლხორცეულ საქმიანობას — მევენახეობას. მთელი წუთისოფელი ვაზს ახარებდა და ვაზმაც გაახარა სამაგიეროდ. ჯერ, 1947 წელს გეგმიურ 50 ცენტნერის ნაცვლად 80 ცენტნერი ყურძენი ჩააბარა სახელმწიფოს. ამისთვის ჯილდოდ მიიღო მედალი „შრომითი მამაცობისათვის“, მომდევნო წელს კი — 70 ცენტნერის ნაცვლად ჩააბარა 124 ცენტნერი ყურძენი, სწორედ ასეთი ნაოფლარისათვის გიორგი ექვთიმიშვილს 1949 წელს სახელმწიფოსგან მიერთვ ორდენი, ოქროს ვარსკვლავი და წოდება სოციალისტური შრომის გმირისა.

შეუძლებელია, უსტრიქონოდ გავუშვათ საგარეჯოს რაიონის სამეურნეო ცხოვრების კიდევ რამდენიმე თანამშრომელი, რომელთა შრომა და ღვაწლი დიდადაა დაფასებული.

**იოსებ კავთუაშვილი.** წარმომავლობით თვითონ საგარეჯოელია. საშუალო სკოლაც აქვე დაამთავრა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ერთ ხანს საგარეჯოში მუშაობდა, მაგრამ მალე თბილისში „გაიქცა“ და „ვათბილისელდა“. რვა

წელიწადი ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომში კეთილმოწყობის რიგით ინჟინრად იმუშავა, ერთი წელიწადი მთავარ ინჟინრად, ერთი — განყოფილების გამგედ. შემდეგ, საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში გადაიყვანეს, ექსპლოატაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ და მთავარ ინჟინრად. ბოლოს, იოსებ კავთუაშვილმა სასიკეთოდ ირწმუნა მედეა მეზვრიშვილის მოწოდება — „საგარეჯონო, სანამ გვიან არ არის, მოუბრუნდით საგარეჯოს!“ ისიც მობრუნდა ოჯახით და საგარეჯოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად დაინიშნა. 1980 წელს იოსებ კავთუაშვილის სამმართველომ დიდი ჯილდო მიიღო — საბჭოთა კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა. 1982 წლის 12 თებერვალს იოსებ კავთუაშვილი კვლავ დააწინაურეს და საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარედ გადაიყვანეს.

— რა ბედნიერი ვარ, ფერეიდნელი ქართველების სახლების მშენებლობაში რომ წილი დამადებინეთ, — უთხრა იოსებ კავთუაშვილმა მედეა მეზვრიშვილს...

**ავთანდილ აჩელაშვილი.** დაბადებით ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიდან. მოასწრო ახალქალაქის ინტერნაციონალური სკოლის დამთავრება და ომბაც მოუსწრო. გაიწვიეს. ვაჟკაცურად იბრძოდა. სტალინგრადის „სისხლის წვიმებიც“ არ დაჰკლებია, რამდენიმე ორდენისა და მედლის კავალური შეიქნა, სტალინისგან თერთმეტი პირადი მადლობა მიიღო. ომიდან დაბრუნების შემდგომ ერთი წელიწადი კოთელიის სკოლის სამხედრო მასწავლებლად იმუშავა, მერე თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში შევიდა და დამთავრების შემდგომ ახალქალაქის რაიონში ვეტექიმად იმსახურა ექვსი წელიწადი. 1957 წელს იგი გადაიყვანეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს ვეტექიმ-ეპიზოოტოლოგად. ერთი წლის შემდეგ საგარეჯოში გადმოიყვანეს, რაიონის მთავარ ვეტექიმად. 1963 წელს საგარეჯოს სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად დააწინაურეს. მერე, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნე-

ობის დირექტორად იმუშავა, მერე კიდევ — საგარეჯოს მევენახეობის მეურნეობის დირექტორად.

1976 წელს ავთანდილ აჩელაშვილი მედია მეზვრიშვილმა გამოიძახა და უთხრა: ბიურომ გადაწყვიტა, გიორგიწმინდის მელორეობის კომპლექსის დირექტორად უნდა გაგიშვათო.

— რას მერჩით, მედია არჩილის ასულა? — გაიკვირვა აჩელაშვილმა.

— გერჩით კი არა, ძალიან პატივს რომ ვცემთ თქვენს შრომას, ცოდნასა და პატიოსნებას, იმიტომ გაწინაურებთ.

— მადლობელი გახლავართ, მაგრამ... — სიტყვა გაიწყვიტა ისედაც სიტყვაძუნწმა აჩელაშვილმა.

— რა მაგრამ? — ჰკითხა მდივანმა.

— მაგრამ, ძველად მელორეს ქალს ცოლად არ გაატანდნენ.

— მერე, ეგ ძველად იყო და თანაც — შენ ცოლიც გყავს და შვილებიც. ანდა ხომ არ გინდა ახლაც შენს ცოლს დაუურეკო, რომ შენი ქმარი მეორე ცოლის შერთვას აპირებს-თქო...

— არა, არა, მაგას მიჯობს მელორეობას დავთანხმდე...

სიცილი სიცილად ჩათავდა. მერე, სერიოზული, საქმიანი საუბარი გაიშალა... ავთანდილ აჩელაშვილი გიორგიწმინდის მელორეობის მეურნეობის დირექტორად დაინიშნა. და აჲ, ავთანდილ აჩელაშვილის ხელმძღვანელობით, გიორგიწმინდის ღორის კოლთა ამ დიდმა საზრდელმა და საწარმომ ორჯერ ზედიზედ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო დიპლომი. ამის შემდგომ კიდევ ავთანდილ აჩელაშვილის მელორეობის კომპლექსმა მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, პროფკავშირებისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ავთანდილ აჩელაშვილს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. რაიონის თეატრში მელორეობის კომპლექსის დირექტორის იუბილე გადაუხადეს. იყო სიმღერები, ცეკვები, ლექსები, მისალმებანი, მილოცვები. მედია მეზვრიშვილმა ედუარდ შევარდნაძის მისასალმებელი დეპეშა წაიკითხა:

„პატივცემულო ავთანდილ გიორგის ძე! მხურვალედ მოგესალმებით სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილ მუშაკს, დი-

დი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანს და გილოცავთ დაბადების სამოცი წლისთავს. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის სამრეწველო მეცხოველეობის ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა კომპლექსმა მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია, რისთვისაც ორჯერ ზედიზედ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სახელი მოიპოვა. გულითადად გილოცავთ რა ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დიდ ბედნიერებას, ახალ-ახალ გამარჯვებებს თქვენს რთულ და კეთილშობილურ საქმეში“.

საოცარი იყო, მანამ გაუგონარი, მანამ უწინამორბედო: იუბილე იყო და იუბილარი არ იყო — არც მწერალი, არც მეცნიერი, არც ხელოვანი. არამედ იყო მიწის კაცი, მეურნე კაცი, საზოგადოების მარჩენალი, მზრდელი და მკმეველი.

ესეც მედეა მეზვრიშვილის ახალი „სიახლე“, მხოლოდ მისგან საფუძველჩაყრილი ახალი „ობა“...

**ელგუჯა დუჩიძე.** მანავაში დაიბადა, უაღრესად პატიოსანი და მშრომელი ადამიანების ოჯახში. თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი დაამთავრა, შემდეგ კიდევ — მოსკოვის საკავშირო კვების მრეწველობის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი. ზოოტექნიკოსად იმუშავა გომბორში, საგარეჯოში, მანავში, ბაღიაურში: ორი წელიწადი რაიკომის ინსტრუქტორად იყო საორგანიზაციო განყოფილებაში. შემდეგ და შემდეგ — საგარეჯოს დამზადების კანტორის დირექტორი, გიორგიწმინდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მანავის მევენახეობის მეურნეობის დირექტორი, საგარეჯოს საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.

1977 წელს ელგუჯა დუჩიძე საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორად გადაიყვანეს. ესეც ავგიას თავლების გაწმინდის დონეზე აყვანილი გმირობა იყო. მეფრინველეობის ფაბრიკა წლობით ნაგროვებ ნაკელსა და მწიკვლში დაძირულიყო. შენი ვაჟკაცობის იმედი მაქვსო, — უთხრა მედეა მეზვრიშვილმა და ივაჟკაცა ელგუჯა დუჩიძემ. „ავგიას თავლები“ გაიწმინდა. ფაბრიკა ხელახლა აშენდა, ერთი სამად გაიზარდა, ახალი დანადგარებით გარდაიქმნა და გარდაისახა.

1981 წლისათვის ფაბრიკამ ფრინველის საერთო სულადო-

ბის გეგმა 133 პროცენტით შეასრულა, კვერცხის წარმოების გეგმა — 115 პროცენტით, ხორცის ჩაბარების გეგმა — 102 პროცენტით, ფაბრიკის საერთო ეკონომია — 65 ათასი მანეთი.

**გუგული ეროვნონაშვილი.** დაიბადა საგარეჯოში, მუშის ოჯახში. დაამთავრა ჯერ ცეკავშირის თბილისის კოოპერატიული ტექნიკუმი, შემდეგ — მოსკოვის კოოპერატიული ინსტიტუტი, ეკონომისტის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა: საგარეჯოს რაიკოოპკავშირის ინსტრუქტორ-რევიზორად, საგარეჯოსა და სართიქალის კოოპერატივთა მთავარ ბუხჰალტრად, საგარეჯოს ყველ-კარაქის ქარხნის მთავარ ბუხჰალტრად, მანავის მევენახეობის მეურნეობის მთავარ ბუხჰალტრად, საგარეჯოს რაიკოოპკავშირის თავმჯდომარედ, საგარეჯოს საკონსერვო ქარხნის დირექტორად, საგარეჯოს „საქნილობის“ დამზადების კანტორის დირექტორად, ნინოწმინდის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ხოლო ამჟამად გუგული ეროვნონაშვილი სათავეში უდგას საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას. დიდი გავლენა და პატივისცემა აქვს ამ ენერგიული კაცის სიტყვას რაიონის მშრომელ საზოგადოებრიობაში.

**თენგიზ ბაბუნიძე.** საგარეჯოში დაიბადა, მოსამსახურის ოჯახში, საშუალო სკოლაც საგარეჯოში დაასრულა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა. დაასრულა სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. სამუშაოდ თბილისში დარჩა. მუშაობდა მთავართბილმშენის სამშენებლო სამმართველოში, შემდეგ — სასოფლო მშენებლობის სამინისტროში, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში, მშენებლობის სამინისტროში. დაასრულა კუიბიშევის სახელობის მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინტიტუტის ასპირანტურა. აპრობაციისათვის გადაცემული აქვს დისერტაცია მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის შრომები. არის გამოგონებათა ავტორი.

ბოლოს, თენგიზ ბაბუნიძემაც ირწმუნა „უკეთესობა“ საგარეჯოში საგარეჯოელების დაბრუნებისა და თვითონაც დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ახლა იგი წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეთერთმეტე ტრესტის მექანიზებულ კოლონას.



**თენგიზ ალადაშვილი.** დაიბადა თბილისში, დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. შრომითი საქმიანობა საგარეჯოს რაიონში დაიწყო, ადგილმრეწველობის კომბინატის მთავარ მექანიკოსად. მაგრამ ერთ წელიწადში ისევ თბილისი „ამჟობინა“ და იქვე გადავიდა — ჯერ, საკონსტრუქტორო ბიუროში, შემდეგ საქსოფლტექნიკის სისტემაში. ერთ ხანს თეორიწყაროს რაიონშიც იმუშავა თენგიზ ალადაშვილმა. მედეა მეზვრიშვილმა ისევ მოიყვანა იგი საგარეჯოში — ავტოშემკეთებელი ქარხნის დირექტორად.

**თამაზ საგინაშვილი.** საგარეჯოში დაიბადა, მოსამსახურის ოჯახში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მექანიზაციის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კრწანისის მებოსტნეობის გარეის გამგედ დაიწყო მუშაობა, იქედან ისევ საგარეჯოს მოვიდა მექანიზებულ რაზმის უფროსად. ისევ წავიდა საგარეჯოდან. მუშაობდა -- „საქსოფლტექნიკის“ სარემონტო სამმართველოს ინჟინრად, „წყალმშენის“ მექანიკოსად, მეხუთე სამშენებლო სამმართველოს მთავარ მექანიკოსად, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის მეურნეობის მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად, სართიქალის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების მთავარ ინჟინრად. 1979 წლიდან, თამაზ საგინაშვილი, მედეა მეზვრიშვილის რჩევით, ისევ დაბრუნდა საგარეჯოში და მას შემდეგ წარმატებით იღვწის „საქსოფლტექნიკის“ საგარეჯოს საწარმოო გაერთიანების მთავარ ინჟინრად.

**გივი ბილანიშვილი.** დაბადებით და აღზრდით თბილისელი, წარმატებით დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო „საქნავთში“, ჯერ ინჟინერ-ინსტრუქტორად, შემდეგ კი საპროექტო ბიუროს უფროსად. სხვადასხვა დროს მუშაობდა „საქმშენის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსად, სამხატვრო კავშირის სამხატვრო ფონდების მთავარ ინჟინრად, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს უფროსად, ფიზიკური კულტურის კომიტეტის სამშენებლო სამმართველოს თბილისის კანტორის მთავარ ინჟინრად. ბოლოს გივი ბილანიშვილიც დაბრუნდა საგარეჯოში და ახლა იგი წარმატებით მიუძღვის საშენ მასალათა ქარხანას.

**ვალერიან ფეიქრიშვილი.** ნინოწმინდაში დაიბადა, საგარეჯოს საშუალო სკოლა დაამთავრა, შემდეგ — საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი. მუშაობდა სართიქალის საშუალო სკოლის ფიზ-აღმზრდელ მასწავლებლად, იქვე მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად, იქვე მეცხოველეობის ფერმის მმართველად. ისევ სწავლას დაუბრუნდა და დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი. მას მერე მუშაობდა ხაშმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსად, შემდეგ — სართიქალის მეცხოველეობის კომპლექსური მეურნეობის განყოფილების მმართველად. ბოლოს, 1977 წელს, ვალერიან ფეიქრიშვილი მედია მეზღვრიშვილმა გამოიძახა და უთხრა: „ვალეკო, შენ უნდა მობრუნდე შენს მშობლიურ ნინოწმინდაში, სადაც სუფევს პალატები მეფეთა...“ და მას შემდეგ ფეიქრიშვილი წარმატებით „სუფევს“ და განაგებს ნინოწმინდის კოლმეურნეობას.

**გიორგი გუჯეჯიანი.** დაიბადა მესტიაში („ღმერთების ძირში“), ოქროს მედლით დაამთავრა მესტიის საშუალო სკოლა, წარჩინებულის დიპლომით — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. შრომითი საქმიანობა ხირსის ღვინის ქარხანაში დაიწყო, ინჟინერ-ტექნოლოგად. შემდეგ თორმეტი წელიწადი წინანდლის საწარმოო გაერთიანების მთავარ მეღვინედ იმუშავა. დიდი სახელი გაითქვა. მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდება, დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის ორდენით“ და მედლებით. დაიცვა დისერტაცია, მოიპოვა მეცნიერების კანდიდატის ხარისხი, გამოქვეყნებული აქვს 22 სამეცნიერო შრომა, არის ავტორი სამი მნიშვნელოვანი გამოგონებისა. ამჟამად საგარეჯოში მუშაობს, მანავის ღვინის კომბინატის დირექტორად.

**თენგიზ ელერდაშვილი.** დაიბადა პატარძელში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაასრულა ეკონომიკის ფაკულტეტი. მისდევდა სახელგანთქმულ გარეჯულ ფალავნობას. ჭაბუკობისას საკავშირო სტიპენდიას ღებულობდა ჭიდაობაში. იყო საკავშირო ნაკრების წევრი. სამგზის საკავშირო ჩემპიონობა მოიპოვა ჭიდაობა „სამბოში“, მრავალგზის კიდევ — პრიზიორობა. საკუ-

თარ ძმას, მურთაზ ელერდაშვილს ხშირად ეპაექრებოდა საკავშირო პირველ-მეორე ადგილისათვის...

შრომითი საქმიანობა თენგიზ ელერდაშვილმა ორხევის გაჯის ქარხნის დირექტორობით დაიწყო, მერე კოჯრის კურორტ-გაქრობის მმართველად იმუშავა, შემდეგ — თბილმომარაგების ზაზის დირექტორად. ერთ ხანს საგარეჯოში მობრუნდა რაიკავშირის თავმჯდომარედ იმსახურა. ერთ წელიწადში ისევ „გაიქცა“ და ბოლნისის რაიკავშირის ხელმძღვანელად დაიწყო სამსახური. 1977 წელს მედია მეზვრიშვილმა მოაბრუნა მშობლიურ რაიონში, თევზის მეურნეობის დირექტორად. სამი წლის მანძილზე საქართველოსა და შავი ზღვის მეთევზეთა გაერთიანებაში მუდმივ პირველი ადგილი ეჭირა თენგიზ ელერდაშვილს. ორი წელიწადი კიდევ აგურის ქარხანას ხელმძღვანელობდა დიდი წარმატებით. 1980 წლიდან საგარეჯოს საკონსერვო ქარხნის დირექტორად დაიწყო მუშაობა. არც ერთი თვე, არც კვარტალი, არც წელი, არავის ახსოვს თენგიზ ელერდაშვილს რომ გეგმა წარმატებით არ განესრულებიოს.

**თამაზ კველიშვილი.** დაიბადა გიორგიწმინდაში, აქვე დაამთავრა რვაწლიანი სკოლა, მერე საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა. ამის შემდეგ შევიდა და დაასრულა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლა. „გარეჯულ ფალავნობას“ არც თამაზ კველიშვილი დალატობდა. ორივე სახეობაში დიდად გაიწაფა — თავისუფალ ჭიდაობაში და „სამბოში“. ორივეში საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მოიხვეჭა. ბევრჯერ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში. იყო ჩემპიონი საზოგადოება „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოსი, საზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო პრიზიორი და სტუდენტთა საკავშირო ჩემპიონატის „მესამე ჩემპიონი“.

1962 წელს სწავლა განაახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა საგარეჯოში, სხვადასხვა ადგილებზე. წელიწადნახევარი რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორად იმუშავა. აქედან მედია მეზვრიშვილმა თამაზ კველიშვილი საგარეჯოს რაიკოთპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ გადაიყვანა. ამჯერადაც სრულად გაამართლა რაიკომის მდივნის არჩევანმა. მას შემდეგ ყოველ

წელიწადს შემოდის რესპუბლიკური და საკავშირო კატეგორიის ჯილდოები საგარეჯოს რაიკავშირის სისტემაში: „სანიმუშო სავაჭრო მომსახურების წოდება“ — მიენიჭა რაიონის ათამდე მალაზიას, ორდენებით, მედლებით, დიპლომებით და ჯილდოებულია ასამდე მუშაკი, ხოლო, ორგზის საგარეჯოს რაიკოოპკავშირმა მიიღო უმაღლესი ჯილდო — საკავშირო „ცენტროსოიუზის“ გამგეობისა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ჯერ საპატიო სიგელები, შემდეგ საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდოები. თამაზ კველიშვილის აქტიური მონაწილეობით აშენდა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები კოკბაანში, კაკაბეთში, გომბორში, წყაროსთავში, ჩაილურში, გიორგიწმინდაში, საგარეჯოში.

**ვალერიან თათრიშვილი.** დაიბადა პატარძელში, იქვე ისწავლა საშუალო სკოლაში. დაასრულა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, შემდეგ კიდევ — ზოოვეტერინარული ინსტიტუტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო თბილისში, ოლქის (მაშინ „ოლქობა“ იყო) სოფლის მეურნეობის სამმართველოს ინსტრუქტორად. ოლქის ლიკვიდაციის შემდეგ, გადაიყვანეს სიღნაღის თუშური ცხვრის ჯიშისაშენის უფროს ზოოტექნიკოსად. აქედან პირადი განცხადებით წამოვიდა და მშობლიურ პატარძელში დაბრუნდა უფროს ზოოტექნიკოსად. მერე, ათი წელიწადი პატარძელის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იმუშავა, მას უკან—საგარეჯოს რაიკომის ინსტრუქტორად, მეფრინველეობის ფაბრიკის მთავარ ზოოტექნიკოსად, ამავე ფაბრიკის დირექტორად... ამის შემდეგ 1974 წლიდან, ვალერიან თათრიშვილი ისევ თბილისში გადავიდა სამუშაოდ, სხვადასხვა ადგილას, უფროს ზოოტექნიკოსად. 1979 წელს ისევ დაუბრუნდა „საგარეჯოელი საგარეჯოს“ და, ვალერიან თათრიშვილი დაინიშნა ჯერ გარეჯის მეცხოველეობის კომპლექსის უფროსად, შემდეგ და ამჟამად — შიბლიანის მეზოცვრეობის მეურნეობის დირექტორად.

**გურამ ბაბუნიაძე.** დაბადებით და აღზრდით საგარეჯოელი, საშუალო განათლებაც აქვე მიიღო. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ცხოვრების საგზური მიიღო საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონსტრუქტორო ბიუროში, ჯერ რიგით ინჟინრად, შემდეგ უფროს ინჟინრად და ჯგუფის ხელმძღვანელად. აქედან თბილისის სპეცავტოცენტრში

მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. 1977 წელს იგი დაბრუნდა საგარეჯოში და, მედია მეზერიშვილის წარდგინებით, გურამ ბაბუნიაძე მუშაობს, ჯერ — საგარეჯოს ავტოტექნომსახურების დირექტორად, შემდეგ და დღემდე — საგარეჯოს საბურავების შემკეთებელი ქარხნის დირექტორად.

**რევა ბუზარიაშვილი.** საგარეჯოში დაიბადა, აქვე აღიზარდა, საშუალო განათლებაც აქვე მიიღო. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტი. განაწილებით გაიგზავნა მინსკში, საავტომობილო ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობით. ხუთი წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო თბილისში, ინსტიტუტ „პტნიიმეში“, ჯერ ინჟინერ-კონსტრუქტორად, შემდეგ სექტორის უფროსად. აქედან „თბილხელსაწყოში“ იმუშავა, ინჟინერ-კონსტრუქტორად და საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსად. ამის შემდეგ საგარეჯოში დაბრუნება ამჯობინა და ოთხი წელი დიდი აღმავლობით იმუშავა კიდევ, ჯერ — საგარეჯოს ავტოშემკეთებელი ქარხნის მთავარ ინჟინრად, შემდეგ — ამავე ქარხნის დირექტორად მას უკან ისევ „მოინატრა“ თბილისი რევა ბუზარიაშვილმა და „საქსახკომსოფლტექნიკის“ საპროექტო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში გადავიდა, მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. კიდევ განვლო სამმა წელიწადმა და რევა ბუზარიაშვილს ისევ გამოუწია გულმა საგარეჯოსკენ. მან მუშაობა დაიწყო საგარეჯოს ადგილმრეწველობის კომბინატის დირექტორის მოადგილედ.

**სოსო ბუზარიაშვილი.** ესეც დაბადებით და აღზრდით საგარეჯოელი. დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მეტყვევობის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო თბილისში, სატყეო კომიტეტში, ჯერ — ბიოტექნიკოსად, შემდეგ დაცვის ინჟინრად. მასუკან, საგარეჯოში დაბრუნდა, სატყეო მეურნეობის ინჟინრად და მთავარ მეტყვევედ. მერე სართიქალის სატყეო სანერგის დირექტორად იმუშავა, შემდეგ ისევ თბილისში, სატყეო კომიტეტში, თბილისიდან — ლაგოდეხში, იქაური სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყვევედ. ბოლოს მაინც „მიიტაცა“ მშობლიურმა კუთხემ სოსო ბუზარიაშვილი და დაბრუნდა საგარეჯოს, ჯერ ცენტრალური საბაზისო სანერგე მეურნეობის დირექტორად, შემდეგ და დღემდე — საგარეჯოს საგზაო გამწვანების მეურნეობის დირექტორად.

თამაზ ბუზარიაშვილი. სოსო ბუზარიაშვილის უმცროსი ძმა. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი. უმაღლესი სკოლის დამთავრების-თანავე საგარეჯოს მობრუნდა და აქვე შეუდგა მუშაობას. დაიწყო „სოფლტექნიკის“ საგარეჯოს განყოფილების სარემონტო-სახელოსნოს ინჟინერ-კონტროლიორობით, შემდეგ დაინიშნა ბადიურის მანქანა-მეცხოველეობის სადგურის მთავარ ინჟინრად. 1974 წელს გადავიდა საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის პირველი სამმართველოს მთავარ ინჟინრად. 1978 წელს თამაზ ბუზარიაშვილმა დაიწყო და დღემდე წარმატებით მუშაობს „საქსახკომსოფლტექნიკის“ საგარეჯოს რაიონულ საწარმოო გაერთიანების მმართველად.

**ომარ მეზვრიშვილი.** საგარეჯოელი, დაბადებით და აღზრდილობით, საშუალო განათლებაც საგარეჯოში მიიღო. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი პირველი ხარისხის დიპლომით. იგი უკანასკნელი სტალინური სტიპენდიანტი იყო ამ უმაღლესი სკოლისა. სთხოვეს, კათედრაზე დარჩენილიყო მეცნიერული მუშაობის გასაგრძელებლად. მაგრამ მეზვრიშვილმა საგარეჯოში სამეურნეო ცხოვრება ამჯობინა. მუშაობა დაიწყო საგარეჯოს მტს-ში ინჟინერ-მომმარაგებლის თანამდებობაზე, შემდეგ სამანქანო-სატრაქტორო პარკის ზედამხედველად, მასუკან — რაიონის მერქვევობა-მებოცვრეობის მთავარ ინჟინრად, ავტოსატრანსპორტო კანტორის მთავარ ინჟინრად. 1971 წელს ოთარ საბაშვილმა იგი დანიშნა საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორად. მას შემდეგ, ომარ მეზვრიშვილის საწარმომ, მაღალი შრომითი მიღწევებისათვის, მრავალი დიდმნიშვნელოვანი ჯილდო მოიპოვა: 1973 წელს — საკავშირო ალკც ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს წითელი დიპლომი, 1975 წელს — საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია, 1976 წელს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და ალკც ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია, 1977—1981 წლებში, ყოველ კვარტალში — საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამი-

ნისტროს „საუკეთესო საწარმოს“ საპატიო სახელი და გარდა-  
შავალი წითელი ვიშნელი, 1978 წელს — საქართველოს საავ-  
ტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გარდამავალი წითე-  
ლი დროშა, ყოველ წელიწადს 1978 წლიდან — ავტოსატრანს-  
პორტო გაერთიანების გარდამავალი წითელი დროშა.

ომარ მეზვრიშვილი ფანატიკური მესაქონლეა. ვერ წარმო-  
მიდგენია ისეთი ფეთხუმი კაცი, საქონელი რომ არ უყვარდე-  
სო, — ამბობს ხოლმე, და თავს დასტრიალებს „საოჯახო  
ჯოგს“ — სამოცამდე ცხვარს, ათამდე ღორსა და შვიდ სულ  
ხარ-ძროხასა და ფურ-კამეჩს.

ჯემალ გავაშელიშვილი. ზემო რაქაში დაიბადა, ონის რაიო-  
ნი, სოფელ გლოლაში. დაამთავრა ონის საშუალო სკოლა.  
უმალღესი განათლება მიიღო საქართველოს პოლიტექნიკურ  
ინსტიტუტში, სადაც წარმატებით დაასრულა სატრანსპორტო  
ფაკულტეტი. ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ამიერკავკა-  
სიის რკინიგზის თბილისის განყოფილებაში, სხვადასხვა თანა-  
მდებობაზე, შემდეგ კიდევ — საქართველოს სასოფლო მშე-  
ნებლობის სამინისტროს სისტემაში. ამჟამად იგი მუშაობს  
ტრესტ „საქსოფლმშენინდუსტრიის“ იორის რკინა-ბეტონის  
წაკეთობათა ქარხნის დირექტორად. დიდი შრომითი წარმატე-  
ბებისათვის, ჯემალ გავაშელიშვილი დაჯილდოებულია შრომის  
წითელი დროშის ორდენით.

## შური საღრმითი

— ჯემალ გავაშელიშვილი კიდევ ჭადრაკის სახლს გვიშე-  
ნებს საგარეჯოში, — დასძინა ჩემს „კატალოგურ ფიქრებს“  
მედეა მეზვრიშვილმა.

— რა სახსრებით?

— უსახსროდ, — გაეცინა მედიკოს.

— ?!

— საზოგადოებრივ საწყისებზე — დაურთო დინჯად.

— სწორედ დიდებული რამ არის ეს „საზოგადოებრივი  
საწყისები“.

— ეგვეც დიდებული ადამიანებისგან წარმოსდგება, — გა-  
ნაგრძო მედიკომ — ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც ისე,



უგროშოდ, უკაპეიკოდ შემოგთავაზებენ სამსახურს, მთელს სულითა და გულით შემოგთავაზებენ, ოღონდ კი გაკეთდესო, ოღონდ კი საზოგადოებას გამოვადგეთო, ოღონდ კი ერმა გაიხაროსო.

და ერთხელ კიდევ ალაპარაკდა მედია მეზვრიშვილი იოსებ ხარატიშვილზე, ჯემალ გავაშელიშვილზე, ლერი პაქსაშვილზე, სოლომონ რევიშვილზე.

ლერი პაქსაშვილი, ამჟამად თბილისის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი, თავიდანვე სახალხო დღესასწაულ გარეჯობის უცვლელი დამდგმელი რეჟისორია. ყოველი გარეჯობის სანახაობრივი მრავალსახოვნება და სიმშვენიერე სწორედ ლერი პაქსაშვილის ნიჭის, გზნებისა და შრომის უანგარო გამჟღავნება გახლავთ.

სოლომონ რევიშვილი, ქართული სახვითი ხელოვნების შესანიშნავი წარმომადგენელი, იშვიათი სათნოებით და მამულიშვილური გულმხურვალებით აღსავსე კაცი — სრულიად უსასყიდლოდ ჩადგა თავისი მშობლიური რაიონის (იგი წარმოშობით პატარძელელია) სამსახურში.

აი, კახეთში შემავალ გზაზე, პატარძელის „გმირთა სავანე“, შინმოუსვლელ მეომართა კენოტაფები — უცხედარო საფლავები, გლოვით მოსილ ქართულ გვარ-სახელთა ნუსხები, დაუქმებული ქვევრები, დაობლებული შრომის იარაღნი, დაღწილი საომარი საჭურველნი, გლოვისფერი პერანგით მოსილი წყარო. ყოველივე — ხუროთმოძღვრული გააზრებაც, ქვით-ხუროთბაც და ქვათამტვირთველობაც — ეკუთვნის სწორედ სოლომონ რევიშვილს. აქ „კორექტივი“ მედიკო მეზვრიშვილისა არის მხოლოდ გლოვბს ზარებით დატვირთული ხმელი მუხები — სიმბოლონი უმძიმესი ეროვნული ცრემლისა და წუხილისა.

შემდეგ, — სტალინის დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად გორისადმი რაიმე მარად სახსოვარი უნდა მიეძღვნა მედია მეზვრიშვილს, და აი, ისევ სოლომონ რევიშვილის აზრისა და მარჯვენის კეთილშობილი ნაყოფი — სახსოვარი კედელი თბილისიდან გორში შემავალ გზაზე, გამორჩეული სიმკვიდრით, წყობითი სინატიფით და ზომიერებით (იმ ღამით გორში, საგარეჯოელთა სუფრის წინაშე მუხლი მოიყარეს გორელმა პატრიოტებმა).

აი კიდევ — „კახური მარანი“, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეზოში, საგარეჯოელთა საჩუქარი ინსტიტუტის დაარსებიდან ორმოცდაათი წლის თავზე. ისევ ნაყოფი სოლომონ რევიშვილის მაღალი გონებისა, გამრჯე და კეთილი მარჯვენისა.

კიდევ — საგარეჯოს მთავარი ქუჩების ჩასწვრივ, ნაირფერი ქვებით ნაშენი, დეკორატიული კედელ-ღობენი — ესეც სოლომონ რევიშვილის ნახელავი გახლავთ.

— საოცარია, სწორედ, — ამბობდა მედღეა მეზვრიშვილი — რამდენია ისეთი კაციშვილი, რომელსაც სამსახურებრივადაც ევალება, ჯამაგირსაც მისთვის ღებულობს, დამატებით ფულსაც აძლევ, მაგრამ მაინც არ გაათენებს და არ გააკეთებს, სიტყვას მოგცემს და არ შეასრულებს. ეჩხუბები, ეხვეწები, ბიუროზეც მილეს-მოლესაც, მაგრამ შენც არ მომიკვდე, მაინც არაფერსაც არ გაგიკეთებს... ხოლო, ესენი რა დედებმა შობეს ასეთი კეთილშობილნი, რომ ჩვენგან ღიმილის მეტს ვერაფერს წაიღებენ და მაინც ამდენად გვეწირავენ თავს, სრული შეწირვით, სისხლით და ხორციით, აზრით და ოფლით?

მცირე მღუმარებამ დაისადგურა და ისევ იკითხა მედღეა მეზვრიშვილმა:

- მაინც რა ამოძრავებს ასეთ უანგარო კეთილშობილებას?
- შური.
- შურიო?!
- დიახ, შური.
- როგორ, იოსებ ხარატიშვილი, სოლომონ რევიშვილი, ლერი პაქსაშვილი, ჯემალ გავაშელიშვილი, ვახტანგ ხარაშვილი, ნუგზარ ჭანტურია — შურიანები არიან?!
- სწორედ, სწორედ — შურიანები!
- ?!

— მე სხვა შურზე მოგახსენებთ, მედიკო, და არა იმაზე, საბა რომ ბრძანებს — „შური არს წუხილი სხვისა კეთილსა ზედაო“. მე აქ იმ შურს ვიხსენებ, გიორგი მერჩულე რომ განაფენს ლოგოსს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. გახსოვს, გრიგოლს რომ გაეპარნენ მისი მოწაფენი, თევდორე და ქრისტეფორე, აფხაზეთში მონასტრის ასაშენებლად, — სწორედ იქ სწერია — „თევდორეს და ქრისტეფორეს აქვნდათ გულსა მათ-

სა საღმრთო შური მონასტრისა შენებისაი“. ღიახ, საღმრთო შური სულ სხვა შურია და არა ისეთი, სხვის სიკეთეზე რომ კაცს გულს გაუხეთქავს. საღმრთო შური მარად დაუოკებელი და დაუშრეტელი წყურვილია შენებისა, ქმნადობისა, საქმიანობისა, შემოქმედებისა. დაუსვენარია იმ კაცთაგანის ცხოვრება, ვის გულშიც ღმერთი ამნაირ „შურს“ ჩაასახლებს; საღმრთო შურით შეპყრობილი ადამიანი მუდმივი ქმნადობისკენ და აღ-შენებისკენ „ე-შურ-ება“ და „მი-ე-შურ-ება“, დაუსვენრად, დაუმშვიდებლად და „და-უ-შურ-ვე-ლად“. სწორედ ასეთი „შურნიანები“ ქმნიან ყველაფერს, რასაც კაცობრიული შემოქმედება ჰქვია ამ ქვეყნად. ქმნიან ისე, რომ სიკეთის ქმნისთვის არავითარ უკუგებით საზღაურს არც მოელიან, არც ისურვებენ, არც გაიხსენებენ. ასეთია მათი ბუნება. ასეთ „შურნიანებს“ ვგულისხმობ მე და მათ შორის... ვგულისხმობ თვითონ მედნა მეზვრიშვილსაც...

### „შვილია ესრელეს შვიდ-შვიდი...“

გივი ჯაფოშვილის სუფრასთან ვიჯექით და შოთა ეცადა-შვილმა ხუთი წლის წინანდელი ამბავი გაიხსენა. მაშინ იგი გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი იყო და სწორედ გურჯაანში თავი მოეყარათ კახეთის რაიკომის მდივნებს.

„უცხო“ არავინ ერიათ. რვა კახელი უჭდა საქმიან მაგიდას— ერთი ქალი და შვიდი მამაკაცი.

კახური სიღინჯით, უშფოთველობით, გულარხეინი ტაბიკის მტვრევით ტორტმანებდა თათბირი.

იმსხვრეოდა და ილუწებოდა კახური სიტყვა:

„ვენახი“,

„ზვარი“,

„გაზი“,

„ცის გახსნა“,

„სამამულე რქა“,

„ღვინო“,

„ქვევრი“,

„მარანი“,

„თალარი“,

„სეტყვა“,  
„გვალვა“,  
„გეგმა“,  
„ხარისხი“,  
„მორწყვა“.

„რაოდენობას რა ვუთხრა, თორემ კახურ ღვინოში წყლის წვეთი მიწიდანაც არ უნდა შეერიოს...“.

თათბირს რომ მორჩნენ, ჭერემის ახალ გზას შეუყენა მას-ბინძელმა სტუმრები.

ჭერემიც მოიხილეს.

ვახტანგ გორგასალიც გაიხსენეს.

საისტორიო ნაღველი გულიდან ერთხელ კიდევ ჩამოიწურეს და მას უკან ჭერემის ტყეში მწვანე სუფრას შემოუსხდნენ.

სუფრა იყო „სუფთად კახური“—პურ-ღვინო უხვი, ნაირფერი, დოვლათიანი, სადღეგრძელოთი და საწესო სიტყვიერებით გულახდილი, წრფელი და ჯავარიანი.

შეღვინიანდნენ და შემსუბუქდნენ კახელი „ერისმთავარი“. წამოდგა შოთა ეცადაშვილი, მანქანასთან მივიდა, კარი გამოაღო და მუქლურჯად მოელვარე ბერდანა გადმოიღო.

?!

ნიშანში ვესროლოთ — მარტო ყურძნის მოყვანა და ჩაბარება კი არა — სროლაშიც გავეჯიბროთ ერთმანეთსო, ვაეკაცობა აქაც ვცადოთ, — შესძახა ეცადაშვილმა.

წამოიშალნენ ვაეკაცები.

შვიდთა ვესროლოთ შვიდ-შვიდიო, და ჩამოირიგეს შვიდ-შვიდი ტყვია.

მარტო მედვა მეზვრიშვილი არ დაძრულა ადგილიდან.

— ემანდ ერთმანეთი არ დახოცოთ, საწუთრომოწყენილებო, — მხოლოდ ეს წაილაპარაკა ღიმილით.

ოცდახუთ ნაბიჯზე, წამოქცეულ ბებერ ხის ტოტზე, ასანთის შვიდი ზარდახშა ჩაამწყრივეს და შვიდეული რიგში ჩადგა, თვალისა და ძარღვის სასინჯად.

ორმოცდაცხრაჯერ შეარყია ჭერემის ტყის სიმშვიდე ბერდანის მჭახე ხმამ. ორმოცდაცხრავე ტყვიამ უსაზმნოდ გაიზუზუნა. შვიდივე ზარდახშა შეურხველად იდგა ადგილზე.

— შვიდთა ესროლეს შვიდ-შვიდი, არცერთი არ მოეკიდა! — შესძახა მედვა მეზვრიშვილმა შვიდ გაწბილებულ ვაეკაცს.

— ახლა შენ სცადე, მედიკო!



— ქალი იყო ჩვენი დამხსნელი ყოველი ჩვენი გაჭირვების  
 ჟამს და ახლაც შენ გვიხსენ სირცხვილისაგან!

წამოდგა და აიღო ხელში ბერდანა მედეა მეზვრიშვილმა,  
 კარგა ხანს ატრიალა ხელით, უტრიალა თვალით და თქვა ბო-  
 ლოს ყრუ ხმით:

— სწორედ ამ ჯიშის თოფით მოჰკლეს ილია...

უმძიმესი სიჩუმე ჩამოწვა ჰერმის ტყეში.

მხოლოდ რომელიღაც ფრინველი წიოდა გულის გამაწვრი-  
 ლებელი წივილით.

— და მას შემდგომ როგორ გაუმჯობესებულა ეს ცოდვია-  
 ნი თოფი! — ისევ სთქვა ქალმა და მტკიცე თითებით ტყვიები  
 ზედიზედ ჩაალაგა მჭიდში.

ისევ შეიღჯერ ზედიზედ იგრიალა თოფმა, რომლის წინა-  
 ბარმა სამოცდაათი წლის წინათ, წიწამურის ტყესთან, გულის  
 ფიცარი შეუნგრია საქართველოს ღმერთს.

შედივე ზარდახშა ტყვიით განწონილი გაფრინდა და გაუ-  
 ჩინარდა სამიზნოდან.

— ეს როგორ მოხდა?!

— სულ უბრალოდ — ყოველ მიზანში ილიას მკვლელი გა-  
 ვიგულისხმე!

— მაგრამ ილიას ხომ მხოლოდ სამი ტყვია მოარტყეს?

— მეც სამი ტყვიით ვუპასუხე წიწამურელებს, ხოლო  
 ოთხი იმათ გულში გავიგულისხმე, ვინც დღეიდან კვლავ შეეც-  
 დება ილიას მოკვლას საქართველოში!

თქვა და მწვანეზე მიაგდო ლულაგაცხელებული თოფი  
 მეზვრიშვილის ქალმა.

### ჟამსა მემკვსე გარეჯობისასა

1981 წლის დამდეგი, ახალი წელიწადი, მედეა მეზვრიშვილის  
 კარლო კალაძემ ლექსით მოულოცა — „მინდა ჩამთვალათ მეც  
 მევენახედ“:

ქეის, ათას ცხრაას ოთხმოცდაერთის  
 წყობას შევაბათ კარი!

ძველი გარეჯის გაალულ ქვიტკირს  
 თოვლს აყრის მზე და ქარი.

სწორედ აქ უნდა შემოგვეგებოს  
 წელს მეზვრიშვილის ქალი.

დადუღებულან უკვე ქვევრები,  
 შინ შემოსულა რთველი.  
 გალაღებულებს მხრებზე მზე გვიზის  
 კიატა — განა მწველი,  
 მარნიდან მარანს თავს დასტრიალებს  
 ჩაფი, ყელამდე სველი

კახური ქუდის ტარება ქვეყნად  
 განა უველოდ ქრება —  
 უყვარს მუხებქვეშ ვენახის მამას  
 დაჯდომა, დანაყრება.  
 აქვს ჩარკინული წელი სატვერით —  
 რომც იყოს ყურძნის კრება...

აი, თუ გინდათ ქვათა დაღადი:  
 სისხლის ფასი აქვს სიტყვას.  
 და ახალგაზრდებს ეტყვის შედეცი:  
 — ითქვას, რაც უნდა ითქვას,  
 დავით-გარეჯის ფერხთით რომ იდგა,  
 სიტყვა ეძლევა იმ ქვასი..

სიმკაცრე ძველი ვის დავაბრალოთ:  
 რომელ ურჯულო ხანჯალს, —  
 ვინ ამოკაწრა ლურჯი თვალები  
 და ფრესკებს — ახლაც არ ჩანს,  
 ვინ დაუბნელა, ვინ, ჩვენი მტრობით,  
 დიდი დღე იმ დიდ გარჯას!

და აი, როცა ეყო ძალ-ღონე  
 აქ ახალშენთა ნერგვას,  
 კვლავ საახალწლო წუთიც დაუდგა  
 საძირკვლად ჩაყრილ ძველ ქვას —  
 დაე, იცოცხლოს ჩვენი სიცოცხლით,  
 სახელიც ჩვენი ერქვას!

მოვიდა დრო და მოვიდა წყალი —  
 აჰა, შეკრული პეშვი,  
 გულო, სიცოცხლე თუ შენც გწყურია —  
 დაიხარე და შესვი!  
 ცვარი ესხუროს ამ ხმელ ბალახსაც —  
 ქვიტკირში უდგას ფესვი!

მღვიმეთა წარსულს იგუნთოთ კერა,  
 ცეცხლოვანს, განა მკედარ სულს!

ჩვენ როგორც ამ წლის რთველს და მოსაველს  
 მომავლად ვითვლით წარსულს,  
 გარეჯის არცერთ მეუღაბნოეს  
 წლებს იქით იყოს — არ სურს!

ჩვენს სწრაფვას, დიახ, თავს უღგას ქალი,  
 მხნედ გამოსული მთა-მთა,  
 და საახალწლოდ გათენებული  
 ერთი იმ ათას წამთა,  
 რომელსაც ყველა საუკუნეთა  
 მხოლოდ სიცოცხლე სწამდა.

სხვა რა ინატროს დღეთა სიმართლით  
 გახარებულმა ქალმა,  
 გააგო ივრის გაღმა-გამოდმა  
 ველი ვენახის წყალმა.  
 და გაგვინათა ახალგაზრდობა  
 მზისა და კერის აღმა.

ჰე, ვენახებო, ეს გამარჯვება  
 გვჭეროდეს, რასაც გვეტყვის, —  
 მინდა ჩამთვალთ მეც მევენახედ,  
 უცხო არა ვარ თქვენთვის —  
 ზვრებში ვიყავი იმ დროსაც, როცა  
 თავს გადგათ რისხვა სეტყვის!..

ახლაც აქა ვარ, ბრწყინავს იორზე  
 შუქი მზისა და მთვარის —  
 და საახალწლო მოლოცვისათვის  
 თვალწინ თუ ვინმე არის —  
 ბირველთაგანი არის მდღეა  
 მეზერიშვილიანთ გვარის.

ეს ლექსი ახალი მიღებული ჰქონდა მედღეა მეზერიშვილს,  
 რომ ლადო მარხვაშვილი ეწვია და ინგილო სოსო ყიყიშვილის  
 დანაბარები შეატყობინა: გოგო შემეძინა, სახელად მედღეა უნდა  
 დავარქვა, ვინძლო ნუ მიწყენთ თქვენი სახელის დარქმევას და  
 ნება დამრთეთო.

— ყიყიშვილს მიულოცეთ, მაღლობაც მოახსენეთ, ერთი  
 ძროხაც აჩუქეთ და ცოტა შეიცადოს, — რომაელები მეცხრე  
 დღემდე ბავშვს სახელს არ არქმევდნენ, იქნებ ყიყიშვილმაც  
 გადაიფიქროს, ხოლო თუ მეცხრე დღესაც მაგ გადაწყვეტილ-

ბაზე დარჩება, დაე იყოს ამ ქვეყანაზე მედიკო ყიყიშვილიც, — სიცილით სთქვა მედიკო მეზერიშვილმა.

შემდეგ ფერეიდნელი ქართველები მოიკითხა მედეამ.

მე აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ჩემი ექვსი შვილით ქართულ მიწაში უნდა დავიმარხოო, — უთხრა ერთმა.

— ჩონი პატრონი შენ ხარ, — უთხრა მეორემ — და ნება უნდა მომცე შვილები ქრისტეს სჯულზე მოვნათლოო...

ერთმა ფერეიდნელმა გოგონამ კიდევ ეს ლექსი შემოაგება „პატრონს“.

მიმქრალი სანთლებით  
 დამენათვეი ვარ,  
 მკვდრეთით აღვდგენილვარ,  
 კი არ გავთელილვარ,  
 რისი პატრონი ვარ?  
 რითაც მართალი ვარ,  
 მით ვარ მდიდარი, რომ  
 მე ქართველი ვარ!

მეექვსე გარეჯობა 1982 წლის მაისის მესამე კვირისათვის  
 იყო დანიშნული, 24 მაისისთვის,

ზენიშანი მეექვსე გარეჯობისა — ლექსი აკაკი წერეთლისა:  
 ჩემი ხატია სამშობლო,  
 სახატე — მთელი ქვეყანა.

(შეიძლება, კიდევ მოიძებნოს მსოფლიო მხატვრულ სიტყვიერებაში ეგზომ სხარტი, ტევადი და მომხიბლავი გამოხატულება პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გააზრებისა და შერწყმისა?!).

ისევ აღიძრა წვიმა.

დავითგარეჯის მრავალმთას გამორჩეული გულუხვობით დაუშინა კოკისპირული.

მაინც უძვრელად, თეთრად კამკამებდა აკაკის ლექსი — ზენიშანი მეექვსე გარეჯობისა.

მაინც უამრავი ხალხი მიაწყდა იმ დღეს დავითგარეჯას.

მაინც იყო საზეიმო სვლა, პურობა, სმა, ზმა, სიტყვათა მსხვრევა:

„ეს რა იყო, რა სასწაული, აღამიანო?“

„მართლაც იყო იშვიათი სანახაობა!“

„აშვებულმა, ბორკილახსნილმა, თავისუფალმა ნიჭმა იცის



ემნაირი სასწაულები. თუმცა, შენ ჩემგან რა გესწავლება? <sup>4</sup>

„აშვებულ და გახელებულ ნიქს გაუმარჯოს!“

„ეგ ჩვენი საუკუნეები გახლავთ, ბატონებო, საუკუნეების მანძილზე ნაზარდი შინაგანი კულტურის წამიერი გაელვება“.

• • • • •

„მაშ, შენ ამტკიცებ, რომ ყველაფერი წინასწარ იცი?“

„დიახაც ვიცი“.

„აბა, წინასწარ ისიც გეცოდინება, როდის ჩაძაღღდები?“

„რაიო?“

„რაიო და აიო!“

„ჰაი, დედასა!“

„ჰაი დედასა მტრისასა,  
ჩემო ძმაკაცო ქიტესა,  
ეგ შენი ნაღდი მარჯვენა  
ახლა ყანას უნდ მკიდესა,  
ვაი ამ სოფლის, ამ ქვეყნის,  
ამ ხალხის გადამკიდესა!“

„არ აჯობებდა, ხუმრობისთვის უფრო ტკბილხმოვანი რამ შეგერჩია?“

„რა ვქნა, ასეთი დავიბადე, — განა მარტო ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნად ცაშა?“

„თუ მე თვითონ ვერ შევძელი და ეგ სიტყვა ვერ შეგანანე, ვინმე დიდ კაცს მეც გამოვნახავ და დაბადების დღეს გაწყევლინებ!“

„მერე, იშოვნი დიდ კაცს, პროტექტორს, მფარველს და პატრონს?“

„ჰა, ჰა, ჰა, ჰა... მაგდენი და მაგის მეტი რა არის ჩვენში?“

„მართლაც, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ ორი დიდი კაცი მოდის“.

„ასეა — საქართველო დიდი კაცების ქვეყანაა“.

„მარტო ერთი რუსთაველი რად ჰლირის!“

„რუსთაველი — ქართული სიტყვა რომ გააბედნიერა“.

„ჰო, მართლა — სანამ უნდა ეხუროს თავზე რუსთაველს ეგ უცნაური ქუდი?“...

„...ვიღაც ვიწროშუბლიანმა პრიმიტივმა რომ დაახურა!“

„განა, შეიძლებაოდა, მაგნაირი ქული ჰხურებოდა „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორს?!“

„თანაც — ზის სახლში, წერს და თავზე აძევს მთელი ცხვარი!“

„აკი თვითონვე ამბობს რუსთაველი თავის თავსარქმელი-სასა — ვეფხის ტყავისა ქულივე ჰქონდა სარქმელი თავისაო“...

„ღიახ, ღიახ,—ვეფხის ტყავისაო, განა ცხვარის ტყავისაო“...

„ბოლოს და ბოლოს, გვეყოლება თუ არა რუსთაველი უქუ-დო, ან ქართული ქულით, — სინამდვილეში როგორიც უნდა ყოფილიყო?“...

„აქ შევწყვიტოთ და ყორულს წავიდეთ. იქ გივი ჯაფოშვი-ლის სუფრა და ნუგზარ ჰანტურისა ლექსი გველოდება“.

ნუგზარ ჰანტურისა ლექსი, ნათქვამი ყორულს, ჟამსა მეექვსე გარეჯობისასა:

ბუხარში ფიცხად ტაკუნობს ცეცხლი,  
ოთახში სითბო კაცივით დადის,  
ზეცის საცერში იცრება ვერცხლი  
და გარეთ ისევ ბარდნის და ბარდნის.

წამომეწია გზაზე ზამთარი,  
სულში სიცივის ქრიან ქარები  
და წუთისოფლის ეტლიც მზად არის,  
მეც თავდაღმართზე მივეჩქარები...  
შორს მეწამული მოჩანს დაისი,  
მესმის მეეტლის მწველი მგზავრული,  
მკერდში გაყრილი მიმაქვს კრწანისის  
სამასი ხმალი გადაბზარული.  
მხრებზე მეხვევა კავკასიონის  
ლეგად მოჭრილი ღრუბლის ფარები,  
სულში რეკავენ ჯვრის და სიონის  
ძველ სამრეკლოთა დიდი ზარები.  
მიესვენება მზე სხივმთოველი,  
წინ ისევ გზები უნაპირონი,  
ალავერდის და სვეტიცხოველის  
ნაზიარები მიმაქვს მირონი.  
მიმაქვს წიწამურს ნასროლ ტყვიათა  
ჩამოსისხლული შუბლის ფიცარი,  
გზად მიჭრის სუნთქვა ვაჟას ფილტვისა,  
ყველა ქართველის დასაფიცარი.  
ვეღარ დავლიე წყალი ალგეთის,

და დაშორული დამრჩა ბაგენი,  
 თუმცა მგლის ბუნავს კი მივაგენი,  
 არ ვუწყ, მგლის ლეკვი დამრჩა რამდენი?!

. . . . .

„არ ვუწყ, მგლის ლეკვი დამრჩა რამდენი?!“ — მოსთქვამდა ლოგოსი ესე, წვიმიან ღამეში, ეამსა მეექვსე გარეჯობისასა...

ანაზღაითმა გრიალმა შეარყია სულ ირგვლივეთი.

„რა იყო ეს — მეხი თუ ქვემეხი?“

„მეხი გავარდა — სულ ერთია, ზემეხ თუ ქვემეხ — ეღვამჯვარი გამოსახა გარეჯის თავზე“...

### ახალი სამრეკლოდან

1981 წლის 1 სექტემბერს ახალი სასწაული ეწვია უდაბნოს: ახალი ეროვნული სამრეკლო, საშუალო სკოლის საზეიმო გახსნა!

წარმოუდგენელია, ჩვეულებრივმა სიტყვამ თუნდაც მიახლოებით გამოხატოს ამ მოვლენის მნიშვნელობრივი შეფასება.

სკოლა ეროვნული დამკვიდრებისა და ერის მარადიული არსებობის ღვთაებრივი ემანაციაა.

ცნობილი სიტყვა, მარად დაუძინარად სახსოვარი ლოგოსი — „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ — შეიძლება ასედაც გახმიანდეს ჭეშმარიტი ქართველის მშფოთვარე სულში — „რა სკოლა წახდეს, ერიც დაეცეს!“...

და, შემოვიდა იმ დღეს გარეჯის უდაბნოს მიწაზე ერის დამკვიდრებელი და მარად მაარსებელი დვრიტა და ნიშანსვეტი — ქართულად მოაზროვნე, ქართულად მეტყველი და ქართულად მზრდელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა.

ისევ მოეჯარა ხალხი უდაბნოს საქართველოს ყოველ კუთხიდან.

სტუმართა შორის — სახელმწიფო და პარტიული მოღვაწენი, მეცნიერები, მწერლები, ხელოვანნი.

საზეიმო სხდომას ხსნის „ისტორიული თავმჯდომარე“ — ლადო მარხვაშვილი.

პირველ სიტყვას ამბობს არჩილ ქურდიანი:

„ვერ გამოვთქვამ იმ მღელვარებას, რასაც განვიცდი ამჟამად. უდაბნოში ქართველთა სიცოცხლე ვიხილე, ტრიალ და ტრიალ მინდორზე ქართული დაბა აღმოცენდა, ქართული ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა, მე ვადიდებ ამ საოცარ საქმეთა მეთაურებს, საძიკველის ჩამყრელთ. საშუალო სკოლა გაიხსნა, დიდი ეროვნული თესლი დაითესა, უდიდეს ეროვნულ მოსაველს უნდა ველოდეთ“...

„უდაბნოს უძველესი მიწა დღეს კიდევ ერთ ზეიმს იხდის, — ამბობს ვახტანგ ხარაშვილი, უდაბნოს მეურნეობის დირექტორი — ასეთი ზეიმი არ მოსწრებია ამ მიტოვებულ ქართულ მხარეს. მე, როგორც მეურნეობის დირექტორი, დიდად განვიცდი ამ დღეს. უდაბნოში დასახლების მსურველი ძალიან ბევრია, მაგრამ დღემდე მხოლოდ იმიტომ ყოყმანობდნენ, რომ არ გვექონდა საშუალო სკოლა. მე დიდად ბედნიერი ვარ, რომ დღეს დარეკილი სკოლის ზარი მაუწყებელი იქნება დიდი სიცოცხლისა და ცხოვრების აღორძინებისა. დიდი მადლობა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, პირადად ედუარდ შევარდნაძეს და მის თანამემწეთაგან — ჩვენს მეთაურსა და ხელმძღვანელს მედეა მეზვრიშვილს...“.

უდაბნოელებს და უდაბნოელთა სტუმრებს საშუალო სკოლის დაარსება მიულოცა საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ, ზურაბ ლომიძემ:

„...მართალია, დღევანდელი სასკოლო შენობა ფრიალ მოკრძალებულია, მაგრამ სულ მალე აშენდება და გადმოგეცემათ ახალი ბრწყინვალე სასკოლო შენობა. გაივლის კიდევ მცირე ნაკვეთი ჟამთა სვლისა და უდაბნოს ეყოლება თავისი საკუთარი, უდაბნოელი აბიტურიენტები, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ღირსეულ ცვლად და შევსებად“...

სიტყვას ამბობს მწერალი გიორგი ნატროშვილი:

„დღევანდელი დღე ჩვენი ერის ისტორიული წუთებია, წუთები განახლებისა და აღორძინებისა. კუთხეში, რომელიც დღევანდლამდე დადუმებული იყო, ახალი სიცოცხლე დაიწყო, კუთხე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მტრის სათარეშოს წარმოადგენდა, და, რომლის თვითეული მტკაველი მიწა გაქლენთილია ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით, მძლავრ ყლორტებს იხეთქავს. დაე, დღევანდელ უდაბნოელებს გაგე-



გრძელდებინოთ ის დიდი ტრადიციები, რაც ჩვენს წინაპრებს  
ჰქონდათ“...

„თავისი სიტყვა“ თქვა და ახლად გახსნილ სკოლას „უქარ-  
ქაშო ხმლების“ ოთხივე ტომი მიუძღვნა ამ სტრიქონთა ავ-  
ტორმა...

მას შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მწერალმა რევან ინანიშვილ-  
მა:

„დიდი დღეა დღეს. ვიდრე აქ წამოვიდოდი, ვიჯექი წუხელ  
და დიდხანს ვფიქრობდი: აჰა, ახლა ოცნება ქართველი კაცისა—  
სკოლა გაიხსნა, სახალხო საშუალო სკოლა წმინდა ადგილზე,  
სკოლა გაიხსნა იმ ქვეყნის შვილებისათვის, რომელთა დიდი  
წინაპარი, დიდი განმანათლებელი და მოაზროვნე სულხან-საბა  
ორბელიანი ასე მოსთქვამდა 283 წლის წინათ: „აჰა, განვლო  
დღემან და ღამემან! აჰა, წარხდა მზგეფსი ერთი, თვე და წე-  
ლიწადი, აჰა, მოაწია სიკვდილი“... ეს ის დროა, როცა ჩვენი  
მემატრიანეები ქვეთინით წერდნენ: „ასწყვიტეს ქვეყანა... და  
ჩვენ, რომელნიც დავრჩომილვართ ერთს უალს და უღალოს და  
უპოვარს მთაში შემწყვდეულნი ვართ შეწუხებულნი შიმში-  
ლითა, წყურვილითა და სიშიშვლითა...“. „წალკოტნი აღარა  
ჰყვავიან, აგარაკნი და საყანურნი ნაშრომთაგან ცარიელი იქმ-  
ნებიან, მშრომელნი ბუქითა მიერ სასტიკითა განიბნევიან. თუ  
ვინმე სიკვდილისა და საფლავის ღირსი ქნებიან, ივინიც მხეც-  
თა მიერ ბოროტთაგან შეიქმებიან“. და მიუხედავად ყოველი-  
ვე ამისა დიდმა კაცმა საბამ სწორედ იმ დროს, სწორედ აქ,  
უდაბნოს მიწაზე შექმნა წიგნი, რომელსაც „სწავლანი“ ჰქვია  
და, რომელიც არის დარიგება ყრმათათვის, რა უნდა აკეთონ  
და როგორ, ე. ი. თავისებური უნივერსალური სასწავლო წიგ-  
ნი. „ამოდულდი მარგალიტო, ნაგუბარში ჩადექ წყალო“, —  
მღეროდა ჩვენი ხალხი, და ახლა კიდევ ერთი მისი ოცნება, ნა-  
გუბარში წყალი ჩადგა, სუფთა წყალი, საშუალო სკოლა იხსნე-  
ბა იქ, სადაც თავისი ხალხის განათლების მოწოდების სურვილი  
ფერფლიდა დიდ საბას... ბედნიერი იყოს ამ სკოლის კარის გა-  
ღება. ბედნიერად წარიმართოს ამ სკოლაში შემოსული ყველ-  
მოსწავლის ცხოვრების გზა. იყოს ყოველი მათგანი მცო-  
ბევერისა და ბევრისა, და რაც მთავარია, სპეტაკი და პატიოს-  
ანი როგორსაც ნატრობდა დიდი საბა. მადლობა ყველას, ვინც  
საშუალება მოგვცა დღევანდელი დღის ასე დაყენებისა“.

მღელვარე იყო სიტყვა უდაბნოს ახალი სკოლის დირექტორის („ისტორიული დირექტორის“), გიორგი ჯღუთაშვილისა:

„ჩემ თავს ნებას ვერ მივცემ, რაიმე თავმოსაწონი ვთქვა ახლად დაბადებულ სკოლაზე, რამეთუ, ვაითუ შევაწუხო დიდი სულნი დავით გარეჯელისა და საბა ორბელიანისა... ერთი რამ კი დაბეჯითებით უნდა ითქვას, ვითარცა მოვალეობა ჩვენი, ჩვენი პედაგოგიური კოლექტივისა, — რომ არ დავზოგოთ ჩვენი სულიერი და სხეულბერივი შესაძლებლობანი, რათა უდაბნოს ახალშობილი სკოლა უმოკლეს დროში ღირსეული და სამაგალითო შვილი ყოფილიყოს სრულიად ეროვნულ-ქართული სასკოლო და საგანმანათლებლო ცხოვრებისა!“...

სიტყვა აკადემიკოს ანდრია აფაქიძისა:

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მე სასიამოვნო მოვალეობა დამაკისრა აქ მოვლინებით, ამ ისტორიულ ზეიმზე. დღეს ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა ქართული უდაბნოს აღორძინებისა. მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ამ ბოლო წლებში უდაბნოში აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მონაცემებმა ახლებურად დააყენა საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მონაკვეთის ბუნდოვანებით მოცული საკითხი... მე დიდ მოვლენად მიმაჩნია, რომ უდაბნოში ბავშვები ქართულ ენაზე ისწავლიან საქართველოს გასაოცარ ისტორიას, ქართულ ენაზე შეისწავლიან მეცნიერებათა საფუძვლებს, ქართულ ენაზე შეიმეცნებენ სამყაროს საკვირველებებს, დიდ მადლობას ვუძღვნით ყველას, ვინც საფუძველი ჩაუყარა უდაბნოს აღორძინებას, განსაკუთრებით მედია მეზვრიშვილს, გასაოცარ მოღვაწესა და მამულიშვილს!“

სიტყვის დასასრულს ანდრია აფაქიძემ სკოლას საჩუქრად გადასცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უკანასკნელ გამოკვლევათა გამოცემები და ქართველ მოქადრაკე ქალთა სურათი.

სტუმარ-მასპინძელთა საკრებულო დიდის ოვაციით შეხვდა უმჯობესობის პედაგოგის, ქართული ძეგლების დაცვის შემსწორავთა „ბიონერის“, ნინო ასათიანის გამოსვლას:

„მასწავლებლებო, მოსწავლეებო, მეგობრებო, ძვირფასო სტუმრებო, — ჩემთვის, ეგზომ ხანდაზმული პედაგოგისთვის,

უნათლესი დღე გათენდა, ახდა მრავალსაუკუნოვანი ოცნება; უდაბნოს ზარებმა უნდა დაარღვიონ უკაცრიელი ტრამალების მღუმარება და ქვეყანას ამცნონ ამ მხარის ეროვნული აღორძინების ახალი ერა. უდაბნოს სასკოლო ზარმა უნდა მოუწოდოს დღევანდელ და მომავალ თაობებს ისწავლონ ისე როგორც არასდროს, შეიყვარონ წიგნი და შრომა ისე, ვითარცა ეკადრება ჩვენს საყვარელ სამშობლო-საქართველოს!“...

უდაბნოელი მასწავლებლების სახელით სიტყვა წარმოთქვა ფიზიკა-მათემატიკის ახალგაზრდა მასწავლებელმა ლილი როსტიაშვილმა, რომელმაც ამ წელსვე, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, ისურვა თავისი წარჩინებული დიპლომი მიეძღვნა ახალშობილი უდაბნოს სკოლისათვის.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეთერთმეტე ტრესტის მმართველმა ჯ. ჭოქუამ, რომელმაც საზეიმო საკრებულოს აღუთქვა მომავალი წლისთვის ახალი სასკოლო შენობის დასრულება.

სიტყვები წარმოთქვეს და სკოლას ძვირფასი საჩუქრები უძღვნეს — მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორმა ელგუჯა დუჩიძემ და საგარეჯოს მევენახეობის მეურნეობის დირექტორმა გუგული ერბოწონაშვილმა.

საზეიმო სხდომის შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა მედეა მეზვრიშვილმა. მაინც მღელვარედ იძვროდა ქართული სიტყვა გულუძვრელი, „უმართავი მდივნისა...“.

.....

დამდგარიყო წუთი ახალი უდაბნოს ზარის შემოკვრისა.

ზარისა — ახალი ქართული სამრეკლოდან...

ხელი მოავლო მედეა ჭეზვრიშვილმა არჩილ ქურდიანის მაჯას.

სკოლის კიბეზე ავიდნენ.

ზარის საბელი ჩამოსწია ქალმა და ჩაუღო მარჯვენა ხელში დვაწლმოსილ და ასაკმოსილ მამულიშვილს.

ნაჯათარი ხელი დაიქნია ქურდიანმა.

დაიგრიალა ზარმა.

და ისევ, ასეულ წელთა ეამსათვალავზე, დაერისხა დავით-გარეჯის ნაწამებ მიწას:

„სა-ქარ-თვე-ლო-ო-ო-ო-ო“...

„სა-ქარ-თვე-ლო-ო-ო-ო-ო“...

„სა-ქარ-თვე-ლო-ო-ო-ო-ო“...

მოსკოვში საკავშირო სემინარი მიდიოდა, იდეოლოგიის დარგში მომუშავე პარტიული მოღვაწეებისა.

საქართველოდან ნელი გურგენიძე ესწრებოდა, პარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი.

სემინარის შემდგომ „მრგვალ მაგიდას“ შემოუსხდნენ, უფრო შინაურულ-ახლობლური, გულახდილი საუბრისათვის.

შეხვედრას დემიჩევი და ტიაყელნიკოვი ხელმძღვანელობდნენ.

დემიჩევი, საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრი, ახალი დაბრუნებული იყო საქართველოდან. იგი ესწრებოდა თბილისში გამართულ საკავშირო მუსიკალურ ფესტივალს, მონაწილეობდა სახალხო დღესასწაულ „თბილისობაში“, სტუმრად იყო საგარეჯოში... და მოუთხოვდა დემიჩევი „მრგვალ მაგიდელებს“, წრფელი სიხარულით და აღფრთოვანებით, საქართველოში გატარებულ დღეებს. ყველაფერი, რაც ახლა საქართველოში ხდება და კეთდება, ყველაზე დიდი, ქმედითი და ცხოველმყოფელი იდეოლოგიაა ყოველ პროგრესულ იდეოლოგიათა შორისო.

მერე, რიგრიგობით სიტყვა ათქმევინეს ყველას — ექსპრომტი და არა „დადგმული“ სიტყვა — იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელოვანი ამბები მოხდა „მათდამი რწმუნებულ“ ადგილობრივ რესპუბლიკასა თუ მხარეში ამ უკანასკნელი ერთი თვის, ოქტომბრის, განმავლობაში. ზოგმა რა თქვა და ზოგმა კიდევ რა. ხოლო, როცა ჯერი საქართველოს წარმომადგენელზე მიდგა, ნელი გურგენიძემ ხუთ წუთში ხუთი ისეთი „რჩეული მიღწევა“ დაასახელა, რომელიც საქართველოში თურმე, ერთ თვეში კი არა, რაღაც ათიოდ დღეში განსრულებულა:

გრანდიოზული მუსიკალური ფესტივალი თბილისში, სადაც თავს იყრიან რჩეული ხელოვანნი საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხიდან და, მათ შორის — ოთარ თაქთაქიშვილი, ანდრია ბალანჩივაძე და ჯანსუღ კახიძე;

- დღესასწაული „თბილისობა“;
- რუსთაველის თეატრის ასი წლისთავის იუბილე;
- ფინალური ტური ჭადრაკში მსოფლიო დედოფლობისათვის და — ორივე სადედოფლო არის ქართველი ქალი;



ფეხბურთი ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა შორის — ოთხი ქართველის მონაწილეობით და ოთხი გატანილი ბურთიდან ორი ეკუთვნის ქართველს...

„და კიდევ, ამ გასაოცარ ათღლიურში, წარმატებებთან ერთად, — დასძინა ტიაჟელნიკოვმა — უნდა მოვიხსენიოთ დატირება დიდი ქართველი კომპოზიტორის, რევაზ ლალიძისა. ეს იყო საოცარი სახალხო, ეროვნული გლოვა. ქეშმარიტად, ყველაფერს უნდა ვსწავლობდეთ ქართველებისგან — ლხინსაც და ჭირსაც...“.

### FIAT AQUAI

1981 წელი, ნოემბრის 8, კვირა დღე.

დღე ზესასწაულისა — უდაბნოში წყალი მოვიდა!

წყალი მოვიდა უწყალო და უწყლო მიწაზე!

მტკვარი მოვიდა!

საქართველოს ისტორიულმა მდინარემ მარცხნივ მკლავი გამოიმკლავა, დავითგარეჯისაკენ განიმკლავა და გააღმასებით წარემართა მარად ურწყულის დასარწყულებლად, მარად უნაყოფოს გასანაყოფიერებლად, მარად ბერწისა და უზვის საზვევად.

აუარებელი ხალხი მიაწყდა „პირველი წყალის“ სახილველს — უდაბნოელნი და უდაბნოელთა სტუმარნი. ყველა მოსულიყო, ვისაც კი ყური მოეკრა. ყველას უნდოდა თავისი თვალით ენახა, ხელითაც შეხებოდა და დარწმუნებულიყო, რომ ეს მართლა წყალი იყო — უწყლო და უწყალო მიწაზე მოსული წყალი.

მოვიდნენ — ეღუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, გიორგი ანდრონიკაშვილი, სოლიკო ხაბეიშვილი.

მღუმარე აღტაცებითა და გაოცებით დაუხვდა ხალხის საკრებულო მაღალ სტუმრებს. სტუმრებმაც აღტაცებული მღუმარებით დაუკრეს თავი დამხვდურებს.

მხოლოდ — ამ მხარეში აქამდე გაუგონარი ხმა არღვევდა ტრამალურ მყუდროებას — წყლის ხმა!

— გჯერათ, რომ მართლა მოვიდა?!

— გვჯერა, გვჯერა! — იგრილა ხალხმა — მადლობელი ვართ, მადლობელი!

— მადლობელი მე ვარ, რომ დაიჯერეთ და იწამეთ...

კიდევ, თითქოს, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ სიტყვა გაწყვიტა და მედალიონებით მკერდამშვენებულ ყრმათა ჯგუფს მიეახლა, ერთი მათგანი, მეწინავე, ხელში აიყვანა, მედალიონი გაუსინჯა, „დაბადებულია სოფელ უდაბნოში“ — ამოიკითხა და ისევ ხალხს მიუბრუნდა:

— აი, ყველაზე მტკიცედ ვინ დაიხსომებს, ვინ იწამებს და ვინ დააფასებს ამდღევანდელი სასწაულის მადლს ოცი წლის შემდეგ!..

სიტყვას ამბობდა მედღეა მეზერიშვილი:

— ასრულდა გარეკახელი გლეხკაცის ოცნება, დაუსაბამო და უსასრულო. სიცოცხლის მაპკურებელი და მაკმეველი წყალი მოვიდა უდაბნოს გადამწვარი და გადარუჯული ველების სულის ჩასადგმელად. ოცნება სინამდვილედ იქცაო, — აღვილად ითქმის... პარტიისა და ხალხის ერთიანობამ ადამიანებს ერთხელ კიდევ შეაძლებინა შეუძლებელი—საქართველოში ყველაზე ურთულესი საინჟინრო ნაგებობის არტახებში მოქცეული დედა-მდინარის სიკეთემ ჩვენი წინაპრების სისხლითა და ცრემლით გაპოხიერებულ მიწასაც მოაღწია. ამიერიდან მტკვრის წყალი გარდასახავს აქაურ ბუნებას და უდაბნოში ბიბლიურ ედემის ბაღად გადაიქცევა, აშრილდება ბალ-ვენახები, მადლიანი, გარდაქმნილი და გაჯანსაღებული მიწა უხვი კალთით ასაზრდოებს მის მკვიდრ ახალ მეუდაბნოელებს... გარეჯელები არასოდეს დაივიწყებენ საქართველოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა და სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა უდიდეს ზრუნვასა და სიკეთეს, რამაც შესაძლებელი გახადა ამდღევანდელი, გარეჯული სასწაული. გარეჯელებმა კარგად იციან ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ლიდერის ღვაწლი უდაბნოს გაცოცხლების, აღორძინების, განაშენიანებისა და გასარწყავების საქმეში. მადლობა მას დღევანდელი დღისთვის, ყოველი სიკეთისთვის, რასაც იგი უშურველად სთესავს მის სათაყვანო სამშობლოში!..

ერთი ადგილი ხელმძღვანელის იმდღევანდელი სიტყვიდან:

„ქართველი ხალხის მრავალი თაობა ოცნებობდა უდაბნოს გასარწყავებას, მაგრამ ეს ოცნება მხოლოდ ოცნებად რჩებოდა. ახლა ეს ოცნება სინამდვილედ იქცა. გაივლის სულ რაღაც 15—



20 წელიწადი და ამ მხარეს სულ შეეცვლება იერსახე, რიელ ტრიალ მინდორზე გაშენდება ვენახი, ხეხილი, ბოსტანი და ამ მხარის ბატონ-პატრონი უშუალოდ ახლანდელი თაობა, აი, ეს პატარები — ასე რომ ხარობენ დღევანდელი ზეიმით, უშუალოდ თვითონ გახდებიან უდაბნოს შემდგომი აღორძინების შემოქმედნი... ამ დიდ საშვილიშვილო საქმის განხორციელებას წინ დიდი შრომა, მრავალი დაბრკოლების გადალახვა უძღოდა წინ, რასაც დიდი ენერჯია მოახმარა მედია მეზვრიშვილმა. ჩვენ, მეგობრებო, ძალიან ბევრი საქმე გვაქვს და, თუ არა მედია მეზვრიშვილის დაქინებითი და სისტემატური მოთხოვნა, ეს დიდი საქმე არ გაკეთდებოდა... ვინც უდაბნოს აღორძინებას საფუძველი ჩაუყარა, ისინი ნამდვილი გმირები არიან, რომელთაც ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს. მადლობა ყველას, ვინც უდაბნოს აღორძინებას დიდი შრომა შეაღია, ვინც მედია მეზვრიშვილს გვერდში ედგა ამ მამულიშვილური საქმის განხორციელებაში... დიდი ბრძოლისა და შრომის გარეშე ეს საშვილიშვილო საქმე არ გაკეთდებოდა ასე მოკლე დროში. ყველა იბრძოდა უდაბნოს საკეთილდღეოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი, მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოველი წარმომადგენელი. ყველა მათგანს სურდა დღეს აქ ყოფილიყო და მონაწილეობა მიეღო ამ დიდ ზეიმში, მაგრამ მათგან მე ეს სამი ამოვარჩიე თქვენთან შესახვედრად... დიდი მადლობა უნდა გადაეუხადო არხის დამპროექტებლებს, მის მშენებლებს, „წყალმშენის“ მთელ კოლექტივს, განსაკუთრებით ჩვენს საყვარელ შალვა გიორგაძეს. მადლობას ვუძღვნი საქართველოს სასოფლო მშენებლობის მინისტრს, იოსებ ხარატიშვილს... გაივლის წლები და დღევანდელი ამბავი ჩვენი დიდი ისტორიის კიდევ ერთ სახელოვან ფურცლად გადაიქცევა... კიდევ ერთხელ გილოცავთ, მეგობრებო, მტკვრის შემოსვლას უდაბნოს მზით გადახრუკულ მიწაზე და მადლობას გიხდით დიდი შემმართებლური შრომისათვის, ქეშმარიტი გმირობისა და მამულიშვილობისათვის“...

• • • • •  
 მოჰქროდა წყალი უწყლო და უწყალო მიწის სარწყულებლად, საძღებლად, სანაყოფიეროდ, საზვევად.

ერთ, მძლავრ ნაერთად მოჰქროდნენ წყალნი ქართული

მდინარეებისა — ფარავანისა, ურაველისა, ქვაბლიანისა, გუჯარეთისა, ფრონისა, ლიახვისა, მეჭუდისა, ლეხურისა, თეძამისა, ქსანისა, არაგვისა, — ყველას ერთად რომ ერქვა — მტკვარი, საქართველოს ისტორიული მდინარე.

იდგა 1981 წელი.

უდაბნოში წყალი მოვიდა!..

## გარეჯობა მეზვიდა

ახალი, 1982 წლის შემოსვლა მიულოცა მედეა მეზვირ-შვილმა თავის სამრევლოს. ეს საახალწლო მილოცვა გასული წლის სამეურნეო მიღწევების შეჯამებაც არის და სამომავლო განაზრახთა და ამოცანათა გამოცხადებაც. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მისი მოტანა მკითხველისათვის:

„ჩემო ძვირფასო თანამემამულენო! დადგა სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ახალი, 1982 წელი. კიდევ ერთი ფურცელი გადაიშლება ჩვენი მღელვარებით, მიღწევებით აღსავსე ცხოვრებისა. გუშინდელი დღე უკვე ისტორიის საკუთრება გახდა და ხვალინდელი დღის საძირკვლად და საფეხურად იქცა.

მართლაც მღელვარებითა და სიხარულით აღსავსე იყო ჩვენთვის 1981 წელი. ამ წელს ჩატარდა თანამედროვეობის უდიდესი მოვლენა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე და საქართველოს კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობები. 1981 წელს იზეიმა ქართველმა ხალხმა თავისი დიდი ეროვნული დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავი.

როდესაც თვალს ვავლებთ გასული წლის შედეგებს, გული სიამაყით გვევსება, — რამდენ წარმატებებს მიაღწიეს ჩვენი რაიონის გულმართალმა და მკლავმოუღლელმა მშრომელებმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საამაყო მაჩვენებლებს მიაღწიეს ჩვენი რაიონის მრეწველობის მუშაკებმა. 18 სამრეწველო საწარმოდან 15 იძლევა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის მატებას. სულ მატე-

ბამ 1980 წელთან შედარებით შეადგინა 127,7 პროცენტი, ხოლო პროდუქციის გამოშვებაში — 132,5 პროცენტი.

სულ 1981 წელს რაიონში წარმოებულმა პროდუქციამ შეადგინა 62 მილიონ 94 ათასი მანეთი, რაც გეგმიურის 102,6 პროცენტს შეადგენს, ხოლო თუ რაიონის მრეწველობის 1981 წლის დონეს მეცხრე ხუთწლედის ბოლო წელთან შევადარებთ, დავინახავთ, რომ იგი 3—4-ჯერ სჭარბობს 1975 წლისას. ხედავთ, რა გიგანტური ნაბიჯით გვივლია წინ!

მნიშვნელოვანი წარმატებები მოვიპოვეთ მშენებლობის ხაზითაც. წელს რაიონის მშრომელთა სამსახურში ჩადგა საგარეჯოს სავაჭრო ცენტრი, გიორგიწმინდის საჰიდრო დარბაზი, კრასნოგორკის მაღაზია, მეცხვარეობის კომპლექსი პატარძელში 800 სულ ცხვარზე, ხაშმის კულტურის სახლი, 12-ბინიანი სახლი მანავში, კაკაბეთის საშუალო სკოლის კორპუსი 400 მოსწავლისათვის და მრავალი სხვა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებს.

გასულ წელს ტიტანური შრომა გასწიეს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. ყველამ კარგად იცის, თუ რა მძიმე კლიმატურ პირობებში უხდებოდათ შრომა, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათმა შემართებამ, ნებისყოფამ აჯობა სტიქიას და არცთუ ცუდი მაჩვენებლებით დავამთავრეთ 1981 წელი.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა ავანგარდში დგანან ჩვენი სახელოვანი მევენახეები, რომელთაც ღირსეულად მოიხადეს მამულიშვილური ვალი და გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის ნაკისრი გეგმა.

ჩვენი რაიონის მშრომელებმა თავისი წვლილი შეიტანეს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებულ სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულების საქმეში. თუ ბოლო ათი წლის შედეგებს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთელ რიგ სახეობებში — ხორცის, კვერცხის, მატყლის წარმოება სამჯერ გაიზარდა, ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების წარმოებაც.

სასურსათო პროგრამის განხორციელებაში თავისი სიტყვა თქვეს ჩვენმა სასახელო მეცხოველეებმა, სადაც დიდი ხვედრითი წონა გიორგი წმინდის მემორეობის კომპლექსს მიეკუთვნება.

აქ, გასული 1981 წლის პირველი დეკემბრისათვის გადაჭარბებით ჰქონდათ შესრულებული ღორების სულადობის, ნამატი-სა და სადღღელამისო წონამატის მიღების გეგმები, მნიშვნელოვნად გააიფხვეს ყოველი ცენტნერი ხორცის თვითღირებულება, რისთვისაც კომპლექსი ზედიზედ ორჯერ გამოვიდა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული და ორჯერვე საპატიო სიგელები დაიმსახურა.

როდესაც წარმატებებზე ვლაპარაკობთ და ვაჯამებთ წარსულში ჩვენი შრომით მოპოვებულ შედეგებს, არ შეიძლება ჩვენს მომავალ პერსპექტივებზე არ ვილაპარაკოთ.

რაიონის მშრომელებს დიდი პერსპექტივები დაუსახეს პარტიამ და მთავრობამ, როგორც 1982 წელს, ისე მთლიანად მე-11 ხუთწლედში. ქვეყნად სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით, კიდევ უფრო გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. დიდი მასშტაბებია დასახული რაიონის სამრეწველო საწარმოთა წინაშეც. მაგალითად, 1985 წლის ბოლოსათვის მარცვლეული კულტურების წარმოებამ რაიონში 29.715 ტონას უნდა მიაღწიოს. რაც 1980 წლის მოსავალს 1,8-ჯერ სჭარბობს, იმავე წელთან შედარებით 2,6-ჯერ უნდა გაიზარდოს მზესუმზირას, 3-ჯერ — ბალჩეულის, 2,5-ჯერ ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა. ხუთწლედის ბოლოსათვის რაიონში წარმოებული იქნება 45 ათასი ტონა ყურძენი, 5000 ტონა ხორცი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

მომავალში ბევრი რამ გაკეთდება რაიონის მსუბუქი და კვების მრეწველობის ობიექტების საწარმოო სიმძლავრეთა გასადიდებლად. მაგალითად. მანავის ღვინის კომბინატში ხუთწლედის მანძილზე პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზრდება 1,6-ჯერ, ხოლო სარეალიზაციო პროდუქციის გამოშვებისა — 1,4-ჯერ, სულ ქარხანა ხუთწლედში გამოუშვებს 185 მილიონ 398 ათასი მანეთის პროდუქციას. გადიდდება რაიონის მეორე უდიდესი ღვინის ქარხნის — საგარეჯოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების ჩამომსხმელი ქარხნის წარმადობაც; სულ ხუთწლედის მანძილზე აქ აწარმოებენ 127 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქციას. აქედან მარტო 1982 წელს — 18 მილიონ 470 ათასისას.



ჩვენთვის მაინც ყველაზე დიდი პერსპექტივებია დასახული ქართულ ყამირ-უდაბნოს ათვისების საქმეში. როგორც თქვენთვის ცნობილია, 1981 წლის 8 ნოემბერი ახალი ნიშანსვეტი იყო არა მარტო ჩვენი რაიონისათვის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვისაც. უდაბნოს საუკუნოვანმა, მზით გადახრუკულმა ველებმა პირველად ქართველი ხალხის ისტორიაში მიიღო მდინარე მტკვრის მაცოცხლებელი წყალი. მწყობრში ჩადგა უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობა — უდაბნოს სარწყავი ქსელის პირველი რიგი. შენდება და მშენდება დაბა უდაბნო.

ამრიგად, ძვირფასო ამხანაგებო და თანამემამულეებო, 1982 წელი და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლელი განვითარებისა და კეთილდღეობის ახალ პერსპექტივებს გვპირდება, რასაც ჩვენი მშრომელები ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ხვდებიან.

წარმატებები ბევრი გვექონდა და კვლავ მრავალი წარმატებით გავახარებთ სამშობლოს, იმიტომ, რომ თვითველ ჩვენს შრომით შემართებას ასხივოსნებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა.

მაშ, გილოცავთ, ამხანაგებო, ბედნიერ ახალ, 1982 წელს და გისურვებთ, რომ ეს წელი თითოეული თქვენთაგანისთვის ყოფილიყოს მშვიდობის და კეთილდღეობის, წინსვლისა და ბედნიერების წელი“.

თვითონ მედიკომ ბევრი საახალწლო მილოცვა მიიღო, მაგრამ გამორჩეულად ნიკო მამაიაშვილის — საქართველოს გუთნისდელის — დეპეშამ გაახარა:

„დიდად გამახარა თქვენმა თავდადებულმა შრომამ. ეს მარტო საგარეჯოელების გამარჯვება არაა. დიდ მადლობას გიძღვნი მთელი კახეთის დაფასებისათვის. გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას, ჩვენი კახელების საიმედოდ და სასიქადულოდ“...

. . . . .

დადგა დღე მეშვიდე გარეჯობისა — 16 მაისი 1982 წლისა. ზენიშანი მეშვიდე გარეჯობისა — ლექსი გიორგი ლეონიძისა:

მარადისობის ნათელით ბრწყინავს  
გარეჯა ბეწვის ხიდზე გასული...

ზეიმი იწყებოდა „სიცოცხლის სვეტიდან“.

ასე დაარქვა მედია მეზვრიშვილმა ქვის ჩუქურთმოვან სვეტს, რომელიც მან მოქანდაკე ვახტანგ დავითაიას დაადგმევინა სწორედ იმ ადგილას, სადაც პირველი წყალი შემოვიდა უდაბნოს დასარწყულბლად.

გათენებიდანვე ავტომანქანათა კოლონებით გადაიტვირთა გარეჯისაკენ მიმავალი გზები.

ხალხით გატენილიყო სოფელი უდაბნო. ელოდნენ და მოვიდნენ სტუმრები — ელუარდ შევარდნაძე, პავლე გილაშვილი, ზურაბ პატარიძე, ჯუმბერ პატიაშვილი, სოლიკო ხაბეიშვილი, თენგიზ მენთეშაშვილი, ნელი გურგენიძე.

მსცოვან გლუხაკათა დასი შემოეგებათ — პურით, მარილით, ღვინით. დაწინაურდა ოთხმოცდაოთხი წლის ლუარსაბ ყანდარელი, სავსე ფიალები ჩამოურიგა მაღალ სტუმრებს, თვითონ თავისი ფიალა იპყრა ხელში და აღუტევა ეს სადღეგრძელო:

„თქვენ გადღეგრძელებთ, ჩვენო ძვირფასო ბატონო ელუარდ! გადღეგრძელებთ იმ სიკეთისთვის, რასაც თქვენ აგრე უხვად სთესავთ ჩვენს სალოცავ საქართველოში. ჩვენ რომ ახლა აქ, უდაბნოში ვდგევართ და გოცებული შევცქერით ამ, ერთ დროს გადამწვარ მართლაც უდაბნოს და ახლა ამნაირად აყვავებულს — ესეც ზომ თქვენი სიკეთის წყალობაა და ამისთვისაც გადღეგრძელებთ, ღვთის მადლით და ლოცვა-კურთხევით აქვე მინდა დავასახელო ერთი საოცარი ქალი, რომელმაც ჯადოქარივით გამოქექა სასიცოცხლო ცეცხლის მუგუზალი, თქვენკენაც გადმოისროლა, მთავრობასაც ცეცხლი გაგიჩინათ და ეს მკვდარი მიწა სიცოცხლის ხანძრით გაგაცოცხლებინათ. ეს ქალი ჩვენი მედიკო მეზვრიშვილია და ღმერთმა მაგნაირი თანამებრძოლებიც გიმრავლოთ და გიცოცხლოთ! ამინ!“

სამადლობელით უბასუხა ელუარდ შევარდნაძემ, მედიკო მეზვრიშვილზეც იხუმრეს, ვითარცა „ცეცხლის წამკიდებელზე...“.

„მრავალყამიერის“ გრიალის ქვეშ გაიარეს სოფელი.

ახალმოსახლე „მეუდაბნონი“ მშვენიერად ნაგები სახლის ივენებიდან აკვნების რწევით ეგებებოდნენ და აცილებდნენ სტუმრებს.



ხალხის ტევა აღარ იყო „სიცოცხლის სვეტთან“, საუდაბნოე წყლის „დაბადების“ მისადგომებთან.

მიტინგი მედუა მეზერიშვილმა გახსნა:

„პატივცემულო ამხანაგებო, ძვირფასო სტუმრებო! შვიდი წლის წინათ დაიწყო შეტევა ქართული ყამირის ათვისებისათვის და მაშინ ძნელი იყო დაგვეჯერებინა, რომ ამ ხანმოკლე დროში აქ ასეთი გარდაქმნები მოხდებოდა. ჯერ, უკაცრიელ ტრამალებში უდაბნოს მეცხვარეობის მეურნეობის დაარსებამ განაცვიფრა მტერი და მოყვარე, შემდეგ ასკომლიანი სოფლის დასახლებაც არავის მიაჩნდა სარწმუნოდ და დასაჯერებლად; მერე უდაბნოში სასოფლო საბჭოს დაარსებაც ვიზეიმეთ, ხოლო, როცა გასული წლის პირველ სექტემბერს ამ სოფელში საშუალო სკოლის ზარიც შემოვკარით და ისტორიული დავითგარეჯის კულტურული შემოგარენი შევარყიეთ — მაშინ კი ურწმუნო თომებმაც იწამეს ამ ქართული მიწის მომავალი... მაგრამ ყველა სასწაულთაგან უფრო დიდი სასწაული ამ უწყლო და გადამწვარ-გადახრუკული მხარისათვის მაინც სარწყავი სისტემის მშენებლობის დაწყება იყო. და მოხდა სწორედ დაუჯერებელი: ვადაზე აღრე დამთავრდა ურთულესი სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობა და მაცოცხლებელი წყალი მიიღო საუკუნეებით წყალმოწყურებულმა მხარემ. უდაბნოს გადარუჯულმა მიწამ ფართოდ გაუხსნა მკერდი დედამიწის ჩქერებს და დაიწყო უდაბნოს ნამდვილი აღორძინება. ახლა უკვე ვერაფერი ვეღარ შეაჩერებს ჩვენი წინაპრების სისხლითა და ძვლებით გაპოხიერებულ მიწაზე სიცოცხლის განახლებას. როგორც ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, პოეზიის ბერმუხა გოგლა ლეონიძე ამბობდა:

მიწამ გაუძლო ცეცხლსა და ყინვას,  
წვიმამ წალეკა გესლი აესულის,  
მარადისობის ნათელით ბრწყინავს  
გარეჯა, ბეწვის ხიღზე გასული.

ღიანაც, ბეწვის ხიღზე გაიყვანა და დალუპვას გადაარჩინა ეს მხარე ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ... ამხანაგებო! ნება მიბოძეთ ყველა უდაბნოელის, ყველა გარეჯელისა და ყველა პატრიოტი კაცის სახელით მაღლობა მოვახსენო ამ მხარის აღორძინების ინსტიტორსა და ორგანიზატორს, დიდ მამულიშვილს, ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს კომპარტიის

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყველა წევრს, უდაბნოს შეფს ჯუმბერ პატიაშვილს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობას, თბილისის პარტიულ ორგანიზაციას, ყველა იმ უწყებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებსა და შრომით კოლექტივებს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს უდაბნოს აღორძინების ეროვნულ და საშვილიშვილო საქმეში. ეს მადლობა პირველ რიგში ეკუთვნის „სახმშენის“ თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ქალბატონ თინა ქუთათელაძეს, სასოფლო მშენებლობის მინისტრს იოსებ ხარატიშვილს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყველა მუშაკს, „საქმთავარწყალმშენის“ უფროსს ანზორ მუსერიძეს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს გივი გაღელიას, „საქნავთის“ გენერალურ დირექტორს რეზო თევზაძეს, საბინაო და კომუნალური მეურნეობის მინისტრს ნოდარ ვაშაძეს, „წყალმშენის“ მმართველს შალვა გიორგაძეს, ამავე ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს უფროსს თამაზ იაკობიშვილს და მის შრომით კოლექტივს, მებეტონეებსა და მექანიზატორებს, ხუროებსა და მემონტაჟეებს, ყველას ვინც რთულ პირობებში თავდაუზოგავად იშრომა და ვადაზე აღრე შეასრულა დასახული პროგრამა... დღეს ჩვენ მოწმენი გავხდებით კიდევ ერთი დაუვიწყარი მოვლენისა — გაიხსნება მემორიალური ქვა-სვეტი, რომელსაც „სიცოცხლის სვეტი“ ვუწოდებთ. ეს ქვა-სვეტი შთამომავლობებს დარჩება როგორც მარადიული სიმბოლო ქართველი კაცის საოცარი შრომისმოყვარეობისა და მამულიშვილობისა. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა „სიცოცხლის სვეტის“ პროექტის ავტორს, ხელმადლიან არქიტექტორს, კომკავშირის პრემიის ლაურეატს, ვახტანგ დავითაიას; მადლობა თბილისის ქანდაკების კომბინატის ქვის მხატვრული კვეთის ოსტატებს — გივი ყოჩაშვილს, ბადრი ნოზაძეს, გიგლა ბარამიძეს, ქვის მთელელებს — ნიკოლოზ ჩეპკინსა და ანატოლი პოჩკარიოვს, რომლებმაც ქარსა და წვიმაში, დღედაღამ შრომით, დასახულ ვადაში შეძლეს მისი დასრულება... ამხანაგებო! ჩვენ ყველას გვახსოვს 1976 წლის მაისში გამართული პირველი „გარეჯობა“, რომელმაც ფაქტიურად სათავე დაუდო უდაბნოს განახლებას, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში მისი ჩაყენების საქმეს. „გარეჯობამ“ მთელი საქართველო ჩვენკენ მოახედა და მისი განახლებისათვის ბრძოლაში



ჩვენთან ერთად ჩააბა რესპუბლიკის მშრომელნი. განსაკუთრებულ-  
 ბით მხარი დაგვიჭირა ინტელიგენციამ, მწერლებმა, მეცნიერებ-  
 მა, ჟურნალისტებმა, ტელევიზიისა და რადიომთაყფებლობის  
 სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობამ. სწორედ მათი  
 დახმარებით გახდა შესაძლებელი გვეზეიმა დღევანდელი დღე-  
 გარეჯლებს პარტიისა და მთაერობის ზრუნვა, რესპუბლიკის  
 მშრომელების მხარდაჭერა, მეტად ბევრს გვაეალებს — ვიშ-  
 რომოთ და ვიბრძოლოთ თავდაუზოგავად... დღევანდელი დღე  
 ხვალ უკვე ისტორიის კუთვნილება იქნება და მისი სახით ახა-  
 ლი სასახლო ფურცელი შეემატება ჩვენი წინაპრების წმინდა  
 სისხლითა და ოფლით დაწერილ მატთანეს. კარგად უთქვამს  
 ქართველ კაცს — „კიდევაც დაიზრდებიანო...“. დაე, ჩვენს სა-  
 ყვარელ მიწა-წყალს ნურასოდეს მოჰკლებოდეს ჭეშმარიტი მა-  
 მულიშვილები... მადლობა აქ დამსწრე ყველა მამულიშვილს  
 ჩვენთან მობრძანებისათვის, ჩვენი სიხარულის გაზიარებისათ-  
 ვის, იმ თანადგომისათვის, რომელმაც შეუძლებელიც შეგვაძ-  
 ლებინა.

ნება მიბოძეთ, თქვენი სახელით ვთხოვო საქართველოს  
 კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ამხა-  
 ნაგ ედუარდ შევარდნაძეს, სოციალისტურ შრომის გმირთან,  
 ვალერიან ალექსიშვილთან ერთად, გახსნას „სიცოცხლის  
 სვეტი“...

ორი მარჯვენა მიწვდა თოკს.

საბურველი ჩამოეშალა სვეტს და წარსდგა იგი კაცთა წი-  
 ნაშე, სიკეთის მარად მათუწყებელ ძეგლად და სიმბოლოდ.

შვეულ-მფრენმა უამრავი ქალაქის ფურცელი ჩამოეშვა,  
 ბლუჯა-ბლუჯად, დედამიწაზე, „მამულიშვილური სიყვარული  
 ბატოსანი გრძნობაა, რომელიც დედაა, მშობელია გარჯისა და  
 მხნეობისა“, — ეწერა ყოველ მათგანზე ნეტარი ილია ჭავჭა-  
 ვაძის სამამულიშვილო სიტყვა...

სიტყვას ამბობს ჯუმბერ პატიაშვილი:

„ძვირფასო მეგობრებო! ყოველ სახალხო დღესასწაულს  
 ჩვენი ხალხი დიდი მღელვარებითა და სიხარულით აღნიშნავს,  
 რადგან ეს დღესასწაულები ერთი მხრივ წარმოადგენენ მამუ-  
 ლიშვილურ სამადლობელს ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ  
 შექმნილი და დანატოვარი, დროისა და ავბედობის ქარცეცხლ-  
 ში გამოვლილი ეროვნული საუნჯისათვის, მეორე მხრივ კი ეს

დღესასწაულები წარმოადგენენ ნათელ დემონსტრაციას იმისას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაულალავმა ზრუნვამ, საბჭოთა ხალხების მტკიცე ძმობამ და მეგობრობამ ქართველ ხალხს დაუმკვიდრა ისეთი ცხოვრება, რომ მას საშუალება აქვს საკადრისი პატივი მიაგოს წინაპართა ნაღვაწს, აღადგინოს, მოუაროს და თაობათა პატრიოტული, მაღალზნეობრივი აღზრდის სამსახურში ჩააყენოს იგი.

ამ დიდ მიხიას წარმატებით ასრულებს „გარეჯობის“ სახალხო დღესასწაული, რომელიც ფრიად პოპულარული გახდა მთელ ჩვენს რესპუბლიკაში. დღევანდელ „გარეჯობას“ კი განსაკუთრებული ელფერი დაჰკრავს და განსაკუთრებულად ამალეღვებელია დღეს, საუკუნეთა მანძილზე წყალს მოწყურებულ მიწაზე, უდაბნოში სარწყავი წყალი მოვიდა და ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად „სიცოცხლის სვეტი“ აღიმართა.

ეს არის ჩვენი წინაპრების მრავალი თაობის ოცნების ახდენა და საქართველოს, მისი ხალხის ცხოვრების უკანასკნელი სახელოვანი ათწლეულის კიდევ ერთი კეთილი ნაყოფი.

წელს შესრულდა ათი წელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების მიღებიდან, რომელმაც სათავე დაუდო ჩვენი რესპუბლიკის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპს, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გარდატეხის მოხდენა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება.

ამ კარგ, საქვეყნო და საშვილიშვილო წამოწყებათა რიცხვს ეკუთვნის უდაბნოს მიწის გაცოცხლებაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, პირადად ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის ინიციატივითა და დიდი მეცადინეობით, ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ უდაბნოს მიწები ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო. საძირკველი ჩაეყარა სოფელ უდაბნოს, შეიქმნა საბჭოთა მეურნეობა და, რაც მთავარია, დაიწყო უნიკალური სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომლისთვისაც ათეულობით მილიონი მანეთი გამოიყო.

მშენებლობის პროექტის მიხედვით დაგეგმილია 4200 ჰექტარიდან პირველ 500 ჰექტარს სარწყავი წყალი 1983 წელს უნდა მიეღოს, მაგრამ „მთავარწყალმშენისა“ და საპროექტო კოლექტივების თავდადებულმა შრომამ ერთი წლით ადრე მწყობრში ჩააყენა სარწყავი სისტემის პირველი რიგი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის სახელით, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უნიკალური ნაგებობის დამპროექტებლებს, მშენებლებს, ყველა იმათ, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ საშვილიშვილო საქმეში.

უდაბნოს სარწყავი სისტემის მშენებლობაზე ასობით აღამიანმა იშრომა თავდადებით. ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს „სახმშენის“ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თინათინ ქუთათელაძემ, ვეტერანმა მელიორატორმა მშენებელმა, ტრესტ „წყალმშენის“ უფროსმა შალვა გიორგაძემ, ამავე ტრესტის მესამე სამმართველოს უფროსმა, ახალგაზრდა ინჟინერ-მშენებელმა თამაზ იაკობაშვილმა, პროექტის ავტორმა ევგენი ხაჯიევმა, სამუშაოთა მწარმოებლებმა არჩილ სახლთხუციშვილმა და ტელმახ ცამბეკოვმა, დურგალმა ზაქრო ზაქარიაძემ, მეამწემ ანატოლი სამოილოვმა, მილჩამწყობმა ჯემალ ხაჩატუროვმა, მებეტონე შოთა რეხვიაშვილმა და მრავალმა სხვამ.

ამ ადგილიდან, სადაც „სიცოცხლის სვეტია“ აღმართული, მოჩანს ახალი სოფელი უდაბნო. მკვიდრ, კაპიტალურ, თანამედროვე კომფორტით აღჭურვილ სახლ-კარში ბინა დაიდეს მშრომელმა აღამიანებმა. ჭერჭერობით 36 სახლია აშენებული, სოფელში ასეთი 600 სახლი აშენდება, მათ მიემატება კულტურულ და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა ფართო ქსელი. ფუძემდებრი სოფელი დამკვიდრდა უდაბნოში. ვუსურვოთ მათ ხვალი და ბარაქა, და, რაც მთავარია, — აყენების სიმრავლე.

ამხანაგებო! უდაბნოს ათვისება, აქ სიცოცხლის დამკვიდრება მართო ჩვენი პატრიოტული გრძნობების ზეიმი როდია. ეს არის დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტა. თანდათან იზრდება ჩვენი რესპუბლიკის როლი და ავტორიტეტი შრომის საკავშირო დანაწილებაში. საქართველომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საკავშირო სასურსათო პროგრამის განხორციე-

ლებაში. ამისათვის საჭიროა ახალი რეზერვების ამოქმედება, თვითეული მტკაველი მიწის ყაირათიანად გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია.

საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მცირემიწიანი რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში, ამიტომ ახლადათვისებული ყოველი ჰექტარი უაღრესად ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ. ეს ეხება უდაბნოს სავარგულეებსაც, რომლის გასარწყავებაზეც სახელმწიფომ დიდი ხარჯები გასწია, რაშიც ათასობით ადამიანის თავდადებული შრომა და ოფლია ჩაღვრილი.

ჩვენი საპატიო და პატრიოტული მოვალეობაა ნამდვილ წალკოტად ვაქციოთ უდაბნო, რაციონალურად გამოვიყენოთ სარწყავი წყალი, თითოეულ ჰექტარზე მივიღოთ მოსავლის მაქსიმუმი. უდაბნო განსაკუთრებული და გამორჩეულია თავისი გმირული, სახელოვანი წარსულით და შესანიშნავი აწმყოთი. იგი განსაკუთრებული და გამორჩეული უნდა გახდეს თავისი სარწყავი მიწათმოქმედების, თავისი მეცხოველეობის კულტურით. საუკუნეთა მანძილზე უნაყოფოდ მიგდებულმა მიწამ ზვავითა და ბარაქით უნდა გაახაროს ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მომავალ წლებში „გარეჯობაზე“ ჩამოსული ათასობით ადამიანი აღტაცებული დარჩეს არა მარტო დავით გარეჯის ისტორიული ძეგლებით, კარგად მოწყობილი სახალხო ზეიმით, არამედ უდაბნოს მიწაზე დამკვიდრებული სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურითაც.

ამხანაგებო! ჩვენმა ხალხმა იცის შრომაც და გამარჯვებული შრომის ღირსეულად აღნიშვნაც.

რესპუბლიკისადმი, მშრომელი ხალხისადმი ზრუნვისა და ყურადღების, გარჯის შეფასების შესანიშნავი მაგალითია ქალაქ თბილისის ლენინის ორდენით დაჯილდოება.

ეს მაღალი შეფასება, რომელმაც თითოეულ ჩვენთაგანში განუზომელი სიხარული და აღმაფრენა გამოიწვია, არ არის მიღწეული გამარჯვებებით ტკბობა, თვითდამშვიდება, პირიქით, ეს საბრძოლოდ გამზადებული ლაშქრის თავშეყრაა, ლაშქრისა, რომელმაც დაუღალავი შრომითა და ბრძოლით ახალი სიმამლეები უნდა დალაშქროს ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

უდაბნოში სიცოცხლის დამკვიდრებამ კი დასაბამი მისცა ახალ, ამაღლელებელ შემოქმედებით ყოფას, ცხოვრებას. დასა-

ბამი მისცა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მძლავრი მეურნეობის შექმნას, რომლის ხვალისდელი დღე რესპუბლიკაში სასურსათო პროგრამის განხორციელებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება.

დიდება იმ კაცის გონებას, მარჯვენას, ვინც მოიფიქრა, გადაწყვიტა და ააშენა ეს დიდებული ძეგლი, ძეგლი ჩვენი თანამედროვეობისა, ძეგლი სიბრძნისა, შემოქმედებითი შრომისა და ხალხთა მეგობრობისა“

უდაბნოს „შეფის“ შემდგომ სიტყვებით გამოვიდნენ — უდაბნოს მეურნეობის დირექტორი ვახტანგ ხარაშვილი, დუზაგრაშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ალი ალიევი, სოციალისტური შრომის გმირი ვალერიან ალექსაშვილი, მოსწავლე მედეა მთვარაძე.

თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვაჟა ოკუჯავამ მედეა მეზვრიშვილს გადასცა ივანე ჯავახიშვილის მედალი.

ამ სტრიქონების ავტორმაც თქვა „თავისი წილი“ სიტყვა იმ დღეს:

„გარეჯის მრავალმთა და უდაბნო ქართველ მამულიშვილთა სულისა და სხეულის საწვრთნელი სავანე იყო.

გარეჯის მიწაზე ნატვირთი ქართული ისტორია არ შექმნილა ჩრდილით მაგრილებელ, სანეტარო მწვანე სუფრასთან, საამური სადღეგრძელოების ფრქვევითა და დაცლილი ყანების ხვნეშით. გარეჯის თავგადასავალი უმძიმესი გოლგოთა იყო — მძვინვარე მზით, უწყლო მიწით, სახსრისმომშლელი ყინვითა და ველური მტრების სისხლმაქცევარი შემოსევებით.

იბრძოდნენ და იღვწოდნენ გარეჯელი მამულიშვილნი, მამანი სამშობლოსა, რამეთუ ჰქონდათ უტყუარი სალოცავი და საფიცარი, ჰქონდათ რწმენა და ჰქონდათ რწმენა რწმენისა (ანუ — სწამდათ და სწამდათ, რომ სწამდათ!)...

მზე, უწყლოდ — მღუღარე დორბლით გატენილი შხამია დედამიწისა;

წყალი, უმზეოდ — სნების მომგვრელი ჩირქი და ბალღამია დედამიწისა;

მხოლოდ მზისა და წყლის ერთიანი, ტოლფარდი და სწორფერი ჰარმონია ქმნის დედამიწის ცხოველმყოფელ არსს, არსობასა და არსებობას.

ოცნებობდნენ, იბრძოდნენ და სწამდათ გარეჯელ მამული-  
შვილებს, რომ დადგებოდა დღე იგი ჰარმონიისა, მზისა და  
წყლის ცხოველყოფელი მთლიანობისა, უდაბნოს მიწაზე.

და აი, ეს დღეც — ნაშობი ჩვენი თანამედროვეობისა.

აღესრულა ბიბლიური ლოგოსი, თქმული ესაიასი — „და-  
ვსხნე ყოველნი უდაბნონი შენნი, ვითარცა სამოთხე“.

და ეკლესიასტეს მტირალა სიტყვაც — „ამაოება ამაოებათა,  
ყოველივე ამაო არს“ — გარეჯულმა გმირობამ წარბოცა ახალი  
შეგონებით: „გმირობა გმირობათა, ყოველივე გმირობა არს“.

იქმენინ წყალი! — ითქვა, და იქმნა წყალი.

მზემან და წყალმან „ურთიერთას პირსა იკოცნნეს“.

ისტორიამ და დღევანდელობამ, აგრეთვე, „ურთიერთას  
პირსა იკოცნნეს“.

და ამ ღვთაებრივმა ერთიანობამ მე შთამაგონა წიგნი ესე —  
„რწმენა რწმენისა, ანუ საგალობელი კახეთისა“...

დიდება და კურთხევა ძველსა და ახალ გარეჯის მიწას!

დიდება ძველსა და ახალ გარეჯელ ქართველობას!...“

სიტყვებს თეატრალიზებული სანახაობა, „ელიაობა“ მოჰ-  
ყვა — უძველესი ქართული სარიტუალო სვლა, მძვინვარე  
გვალვის „დამთრგუნგელი“ და მაცოცხლებელი წვიმის „დამ-  
ბადებელი“.

უდაბნოელი ყმაწვილები არხში გადაეშენენ, თვითონაც  
„გაინათლნენ“ და ხალხსაც უხვად აპკურეს წყალი — „ნათლო-  
ბის აიაზმა“.

„წყლის ზეიმი“ დამთავრდა.

ხალხი ჩიხხატურისკენ წარემართა.

„სიცოცხლის სვეტი“ დარჩა, ზედ მოკიანთე ხალხური ლექ-

სით:

ასე ჰგონია დუშმანსა  
არცა ზენენ, არცა თესენო,  
არცა უშიათ გუთანი,  
არცა კალოსა ლეწენო.

გრძელდება „გარეჯობა მეშვიდე“.

ნაირფერადი ავტომანქანების უწყვეტი აღნაგით გადასარ-  
კულა ჩიხხატურის ველ-მინდვრები.

ასი ათასი მოზეიმე შესევია გარეჯის მრავალმთას.

სახელდახელო სახლები,  
 ფაცხები,  
 შრამელები,  
 დროშები,  
 ემბლემები,  
 სიმბოლოები,  
 კერები,  
 თონეები,  
 თონეულები,  
 საოჯახო ჭურჭლეული,  
 შრომის იარაღები,  
 შინაური ხელნაქმარნი,  
 ურმები,  
 ჩარდახები,  
 წიგნები,  
 „რთველი“,  
 კალოობა,  
 ბერიკაობა,  
 ჯირითი,  
 ჭიდაობა,

აკვნები, ისევ აკვნები... წყურვილი ქართველთა „რეაკციანი-ზაციისა“.

სიმღერა, ცეკვა, თეატრონი, სახიობანჭ.  
 იყო ზეიმი სრულიად საქართველოსი!

და იყო მსხვერველა სიტყვათა, ჟამსა მეშვიდე გარეჯობისასა:  
 „აბა, აბა, სტუმრების მიტაცება არ იყოს!“  
 „ჩვენ მასპინძლობა შევიძლოთ და სტუმარი ყველას გვე-  
 ყოფა. აჰა, გახედე, ხალხის ტევა აღარ არის“.  
 „შენ მაინც ძალზე დახარბებულხარ რაოდენობას“.  
 „აჰა, შეგეხარბოს და შეგშურდეს!“  
 „თუმცა რაოდენობაზე ყოველთვის როდი მოდის უპირატე-  
 სობა“...

„ჰო, საქმე წონაა, თორემ რაოდენობა ჭინჭლას რომ აქვს,  
 ისეთი უნდა“.

„მაინც უნდა მიწილადო შენი სტუმრები, გინდა მასესხე!  
 გინდა მათხოვე!“

„წონით, თუ რაოდენობით?“

„ავტორიტეტის კვალობაზე“.

„გინდა გავახარო და დასაქონლებული ავტორიტეტი განტუმრო?“

„თუ ძმა ხარ, მიშველე!“

„ჩამოასხი, ერთიც უნდა დავლიო“...

„ფრთხილად იყავ, კახურია, ნუ ეხუმრები!“

„კახურო ღვინო, შენ გენაცვალე!“

„იქნებ ადამიანთა დღევანდელი მოდგმა არც კი არის კახური ღვინის სასმელად საკადრისად მომზადებული და განვითარებული“.

„?!“

„კახური ღვინო უფრო განვითარებული და სრულყოფილი კაცთა მოდგმის შესაფერისი და საკადრისი მგონია-მეთქი მე!“

„იუბერმენშების, ზეადამიანების შესაფერისი?“

„სწორედ, სწორედ!“

„შენ მოგიკვდა ნიცშე!“

„მიდი, დაასხი, იუბერმენშების მოფრენამდე ეგ წარაფი არ დამიძმარდეს“.

„თამადა, სიმონიკა სხირტლაძის სულს გაფიცებ, სიტყვა გვითხარ და ისევ გვაგვამე სურნელება შენი სიბრძნისა!“

„მაშ, მოიხილე, ცაო, და ვიტყოდი, და ისმენდინ ქუეყანაი სიტყუათა პირისა ჩემისათა!“

„მიდი, მიდი!“

„მოელოდნეს ვითარცა წვიმასა სიტყუასა ჩემსა და გარდამოვიდნენ ვითარცა ცუარნი ჩემნი“.

„ჰო, ჰო, ჰო, გვაპკურე, გვაპკურე სიტყვანი შენნი, ვითარცა ცუარნი ცისანი!“

„შენ გენაცვალე, რაჭველო!“

„რალა რაჭველი და რალა კახელი!“

„რაჭასავით ლამაზო!“

„რაჭის სილამაზე მისი სილარიბის ნუგეშია“.

„ერთი რაჭული მრავალყამიერი!“

„მრა-ვალ-ყა-მი-ერ, მრა-ვალ-ყა-მი-ერ, შე ო-ჯახ ა-შე-ნე-ბუ-ლო-ო-ო-ო-ო-ო-ო-ო...“

„მაგრამ... რაჭიდან რაჭის გაქცევას რა შეაკავებს, შე ო-  
ბ-შე-ნე-ბუ-ლო-ო-ო-ო-ო-ო-ო...“

„?!“

.....

„შენ პოლიტიკისა არაფერი გაგეგება და იმიტომ მეკამათე-  
ბი და გავიწყდება, რომ ჩემთან კამათი ჭეშმარიტებასთან კა-  
მათს უღრის“.

„მე რო გლეხი ვარ და შენ კიდენა პოლიტიკოსი, ეგრემც  
იყოს, მაგრამა ეგ როგორაა, კაცო — შენ რაც იცი, იმაში რომ  
მატყუებ, მატყუებ, მაგრამა შე რო ვიცი და შენ არ იცი, იმა-  
შიაც როგორ მატყუებ, ჰა?“

„კარგი, ქიტეს, შენ ისა სთქვი, ძველ დროშია, პაპაშენი რომ  
კაკაბეთიდან ველისციხეში გადასულა ღვინისთვისა“.

„ჰო და, გადასულა პაპაჩემი მოკლე გზებითა კაკაბეთიდან  
ველისციხესა, გამოუხშია სახლიდანა ერთი ველისციხელი და  
უთხოვნია ღვინო. კი მაგრამა, ღვინო შენ თვითონ რად არ გა-  
ქვსო, — უკითხამს ველისციხელსა. ღვინო იმად არა მაქვს, რო  
ვაზი არა მაქვსო, — უპასუხნია პაპაჩემსა. კარგი და, ვაზი რა-  
ლად არა გაქვსო, — ისევ უკითხავს ველისციხელსა. ვაზი იმად  
არა მაქვს, რომა არ გაიხარაო, — უპასუხნია პაპაჩემსა. რას  
ამბობ, ვერან, — იყვირა თურმე ველისციხელმა — ვაზმა კა-  
ხურ მიწაში არ გაიხარაო? მიწაში კი არა, ახლა რო ვაზის რქა  
შენ თვითონ ილლიაში დაირჭო, კაკაბეთში ჩასვლამდინა მტევ-  
ნებ გამიისხამსო... და წამოსულა პაპაჩემი, წამოსულა და ვაზის  
რქა ილლიაში არ ჩაურჭვია, მაგრამა მიწაში კი ჩაურჭვია, კაკა-  
ბურ მიწაშია, და სასწაულად გაუხარია ვაზსა, მაშა!“

.....

„და აიტანა რისხვამ მძლავრი ბოროტი და ბრძანა წამება  
დავითისა და კონსტანტინესი“.

„მძლავრი ბოროტი — ეს მურვან ყრუა“.

„ბედნიერებაა, როცა ერსა ჰყავს „მძლავრი“ და მძლავრი  
იგი არის კეთილი“.

„და ვაი ერსა, თუ მას ეშვა „მძლავრი“ და მძლავრი იგი  
არის ბოროტი“.

.....

„ბიჭიკო, შენ დედა რუსი გყავს?“

„კი“.

„მამა?“

„ქართველი“.

„მერე?“

„მამამ დედას უყიდა „დედა-ენა“, გადაუშალა „გერიტი“ და გერიტი დედას ასწავლის ქართულს“.

„დიდებულაია!“

„პატივი ეცი ენასა ქვეყნისასა, რომელმან განგაძღოს და გარჩინოს შენ ლუკმითა თვისითა!“

„ცნება მეთერთმეტე?“

„არა — ცნება პირველი!“

„სტალინის დროს ძალიან ბევრი არაქართველი ეტანებოდა ქართულ ენას“.

„მერე?“

„თვითონ სტალინს მისი ქართველობა და ქართული მხოლოდ მისსავე რუსულ მეტყველებას შეერწყა და შერჩა სიკვდილამდე განუშორებლად“...

„მარშალი მოსკალენკო, უზბეკეთში რომ მსახურობდა, უზბეკური უსწავლია შესანიშნავად. მერე, ამ ოთხი წლის წინ, საქართველოში ყოფილა მოსკალენკო, კახეთში უმოგზაურია, საქართველოში მცხოვრები ერთი გენერლის თანხლებით. და სხვათა შორის უკითხავს, ამ მოგზაურობისას, მოსკალენკოს მისთვის, ქართული ხომ კარგად ისწავლეო. არაო, — უპასუხნია მოულოდნელი კითხვით გაოგნებულს. როგორ თუ არაო! და სასტიკი რისხვა დაატეხა თურმე თავს მარშალმა ქართულის უცოდინარობით დაარხენებულ გენერალს; შვიდი წელიწადი საქართველოში ცხოვრობ და შვიდი ქართული სიტყვა ვერ გისწავლია, ქართულად რომ ვინმემ შეგაგინოს, რალა შენ და რალა ბაიყუშიო“...

• • • • •

„გაგიმარჯოთ, სომხებო!“

„ცავატანემ, ქართველებო!“

„ორივე ხალხს, დასაბამითგან მოაქემამდე, ღვთაებრივი წარმომავლობის კოშმარი სტანჯავს“.

„ორივეს ერთი მამალის ყვილი აღვიძებს და უთენებს დილას“.

„ორივეს ერთი ეტლისმწაფელი მიაქანებს ამ — ღვთისგან ნაკურთხ და სატანისგან დაწყევლილ ცხოვრების გზებზე“.



„რაცა ვართ, ეგა ვართ. თუ დარჩენა გვიწერია, ერთად ვრჩებით, წასვლა იქნება — ერთად მივდივართ!“

„ხუთიათასი წელიწადი ასე ვიყავით — ერთი სულით, ერთი ძვალ-ხორციით — მომავალშიც, სიცოცხლითა და სიკვდილითა, ერთად ვიქნებით!“

„ამინ, დავლიოთ!“

„დავლიოთ სისხლითა კახურ ყურძნისათა!“

„ახლა ისმინეთ სადღეგრძელო გარეჯის შვიდთა მაშენებელთა!“

„?“

„დავით გარეჯელისა“,

„ილარიონ ქართველისა“,

„ანტონი გლონისთავისძისა“,

„ონოფრე მაჭუტაძისა“,

„საბა ორბელიანისა“,

„ანტონ კათალიკოსისა“,

„მედეა მეზვრიშვილისა“.

### რუმენა მედეა მეზვრიშვილისა

და ვაი ერთისა მის რაემს დაეცეს, და არა იყოს მეორისა აღმადგინებელ მისა.

ველესიასტე, IV, 10.

გარეჯის „მაშენებელი“ კი მარტო იყო.

იგი ყველგან და ყველასთან იყო — ყველას სულსა და გულში ჩაზიარებული და ჩაკირული — მაგრამ მაინც მარტო იყო.

და არავის ახსოვდა და არავის აფიქრებდა მისი მარტოებლობა ამ ქვეყანაზე.

წამიერად, თითქოს, მედეა კახიძემ შენიშნა მის სახეზე რაღაც შინაგანი, მტანჯველი მღელვარების ნიშანი და უთხრა მხურვალე გრძნობიერებით:

„ეგრე, დედოფალო, ეგრე, ცოტაც და იწყება ზეცა“.

ეს სტრიქონები პოეტ ქალს ქეთევან კახთა დედოფლის უკანასკნელ წამებულ წამებზე ჰქონდა ნათქვამი და იგივეს უმეორებდა ახლა მედია მეზვრიშვილს.

გაეღიმა მეზვრიშვილის ქალს, ღვრემანარევი ღიმილით.

„ქართული ზეციური პანთეონი მჭიდროდაა დასახლებული, მე ქართული მიწაც მეყოფა“.

თქვა და მიწაზე დაჯდა.

„აი, ეს მიწა!“

ბალახს დაუწყო ხელით ფერება. ისე ვარცხნიდა თითებით ბალახს, როგორც პირველშობილების სურნელს მოწყურებული შვილი დედის თმებს.

მიწაც თბილი იყო, დედის ხელით შეკერილი საბანივით თბილი.

ახლა, თითქოს, აღარ იყო იგი მარტო, — ვითარცა დედას ჩახუტებულ შვილს მოეხსნება მარტოობის ტვირთი გულიდან.

„უკანასკნელი სიტყვადი მიმოქცევისათვის მოველ მე შენთან, მედიკო მეზვრიშვილო“.

„უკანასკნელი?! რა გააზრებით?“

„წიგნის უკანასკნელ სტრიქონთა გააზრებით“.

„პოოო, წიგნი... იქნებ, არც სჯობდა მისი დაწერა?“

„?!“

„ბევრ მტერს გაგვიჩენს, შენც და მეც, ეგ წიგნი“.

„მტერს?“

„ღიახ, მტერს — აშკარასაც და ჭინჭში გახვეულ სამართებელსაც“.

„მერე, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია! ვერასოდეს, ვერც ტოტალური რეალიზმი, ვერც ტოტალური ჰიმნოგრაფია ვერ გადარჩენია შურის დორბლით გატენილი ნიჰილიზმისაგან განქიქებას“.

„გეთანხმები და მეც „მტრობა“ სხვათა შორის ვახსენე მხოლოდ. განა, არ ვიცი, რომ ჩვენში ასე იოლად არ მოკვდება ეს. წიწამურის ტყვიასავით ნასროლი სიტყვა — „უჩემოდ ვინ იმღერეთა?“

„ბირუთვნელ და მიუკერძებელ მემატიანეს ნება არა აქვს ანგარიში გაუწიოს მაგ გამონათქვამს. და მეც დღეს, იგივე მრწამსით ვწერ, რაითაც ორიათას ხუთასი წლის წინ გაიძახდა „მამა“

ისტორიისა“: მე ისტორიას ვწერ იმისათვის, რომ დროთა მსვლელობაში დავიწყებას არ მიეცეს ადამიანთა საქებარი საქმეებიო. არ შეიძლება დავივიწყოთ ჰეროდოტე ჰალიკარნასელის ეს უკეთილშობილესი „მეთოდოლოგიური განაზრახი“.

„ყველაფერს მოვევლება, ოღონდ არცრა დროში და არც „ვისმეს დროში“ საქართველო მის ცოდვის შეილებს ბეჩავად არა ჰყოლოდეთ“.

„ამინ, არასდროს დასჭირვებოდეს ოდესმე კიდევ იერემიადის სიმწარით ეთქვას ქართლოსის მოდგმას: უფალმან აღმოფხვრნა ქვითა კბილნი ჩემნი, და მაჰამა მე ნაცარი, და განაყენა მშვიდობისაგან სული ჩემი, დამავიწყა მე კეთილი... განმადლო მე სიმწარითა, დამათრო მე ნალველითა“...

„დროის და სივრცის ბედისწერამ ისტორიის უხანგრძლივეს და უმძიმეს გზაზე საქართველოს საქართველო სრულქმნილობით არ შეარჩინა. ზოლო, დღეისათვის რაც შეარჩინა, ის შეარჩინოს!“

„ღმერთო, ქართველს დაავიწყე ყოველი წყენა ქართველისაგან, დაავიწყე და ერთსულოვან ჰქმენ ქართლოსის მოდგმა საქართველოს სამერმისო საკეთილდღეოდ!“

„ამინ!“...

„მაინც რა არის შენი ბედნიერება, მედეა მეზვრიშვილო?“

„ჩემი ბედნიერება არის ჩემი ახალი დავით-გარეჯი, ახალი უდაბნო, ახალი საქართველო;

ჩემი ბედნიერება არის ამდენი სახელოვანი თანამემამულე და თანამედროვე;

ჩემი ბედნიერება არის „საღვთო შური“ განუწყვეტელი შენებისა და განახლებისა;

ჩემი ბედნიერება არის სრულქმნილი უანგარობა სამშობლოს წინაშე გაწეული ყოველი მცირე სამსახურისთვის;

ჩემი ბედნიერება არის ჩემი კახეთიშვილობა, ანუ სრული ქართველიშვილობა;

ჩემი ბედნიერება არის რწმენა ქართველი კაცის სიკეთისა, სიქველისა და საქართველოს უკვდავებისა. ეს არის რწმენითი რწმენა, ანუ რწმენა რწმენისა, ანუ — მწამს, რომ მწამს!“

„ზოლო, სიყვარული?“

„სიყვარულიო?“

„ჰო, სიყვარული“.

„მე ვინც მიყვარს და ვისაც სიცოცხლეს ვწირავ, ნება არა მაქვს მისგან საპასუხო სიყვარული გამოვითხოვო“.

სთქვა და ფიქრებში ჩაიძირა ფიქრისა და ზრუნვის „მაგისტრი“.

მიეხვდი — ისევ საქართველოს გულისხმობდა.

და ამ გულისხმამ უცებ ნუგზარ ქანტურიას ახალი ლექსი გამახსენა, მედიკო მეზერიშვილისადმი იმ დღეს მიძღვნილი:

ქონდაქრებივით ვითუთქავდნენ ფიქრები სხელს  
და ფეხისგულეებს ვიშაშრავდა უღაბნოს ზეატი,  
მოასვენებდი მხრებშეზღუდვით გარეჯას სნელს  
და ტკივილებში მალღდებოდა სამშობლო-ზატი.  
შორს ბერმუხები არისხებენ მიმწუხრის ზარებს,  
ქანგი დაედვა მომხდურ სპათა ფარ-აბჯრის ზეიერის,  
ისმენს დუმილში გარინდული უღაბნოს მხარე,  
გარეჯით მოსულ ლომ-ბოკვრების ბუხუნს და ყვირის...  
აჰა, აყვავდა, აჭეჭილდა ხორშაკზე მტკვარი,  
წყალნისვამ ველზე დაბანაკობს ზეასტაგი უშტი,  
მამალი ყვიის,  
ბუხრებიდან ცად ადის კვამლი,  
ზეცა განიხენა, ზეცა — ავი და ზეცა — კუშტი;  
„შენ ხარ ვენახი“ — ზე ასკდება მეწამულ ცარგვალს,  
გალობს სარქალი, გუთონისდედა, მეჭოგე, მეზერე...  
გასცქერ ირგვლივეთს, სამომავლო ფიქრებით ქარგავ  
და ნინოსავით მიაბიჯებ გარეჯის ველზე.

ლექსი რომ დასრულდა, თითქოს რალაცის თქმა დააპირა მედია მეზერიშვილმა, მაგრამ ისევ დადუმდა.

დადუმდა და კვლავ შეერია ფიქრის საუფლოს.

შეერია ისე, ვითარცა — „მოსე შევიდა ნისლსა, სადა იყო ღმერთი“...

### ბ ო ლ ო ბ ჟ ე

მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ, არამედ სინდისის ბრძანებას ვასრულებ.

ი ლ ი ა შ ა ვ შ ა ვ ა ძ ე

იდგა ღამე, ბერბეცი, ძილის საუფლო, ყამი ოდეს შვილ-მკვდარ დედასაც ჩაეთვლიმება, განუზომელი მწუხარებით ძუ-ძულამწვარს და საძილემოშლილს.

და იყო სუფევა სიზმრისა:

შემოსულიყო სული ყმაწვილისა — საარაკო სიმშვენებით და სახიერებით.

ემოსა ისევ ის პერანგი, პირველშობილი თოვლის ფერი და დაწინწკლული წვეთითა მეწამულითა, ხოლო კალთა პერანგისა — ქართული ასონიშნებით პირთამდე სავსე.

ყმაწვილი ესე — განუყრელი ქერუბიმი ჩემი სულისა;

პერანგი ესე — სვეტიცხოვლის საძირკველში დაკრძალული კვართი უფლისა;

წვეთები ესე — მამულისათვის დათხეული სისხლი წამებულ მამულიშვილთა;

ანბანი ესე — მარადიული არსობა და არსებობა საქართველოსი.

მომეახლა და მომესხეულა.

კალთა გაშალა, ამოკრიფა ასონიშანნი და ერთხელ კიდევ განაფინა ჩემს საწერანთან სახელი ამა წიგნისა —

„რ წ მ ე ნ ა რ წ მ ე ნ ი ს ა“.

კახეთიდან ვბრუნდები, კახეთიშვილობით აღორძინებული და განახლებული.

მოვდივარ თბილისს, საქართველოს წმინდა სატახტოს.

მოვდივარ და ისევ ჩამესმის მეზვრიშვილის ქალის ნათქვამი:

„მე ვინც მიყვარს და ვისაც სიცოცხლეს ვწირავ, ნება არა მაქვს მისგან საპასუხო სიყვარული გამოვითხოვო“.

ქეშმარიტად — ისევ შენ ხარ, საქართველოვ, ამ უმაღლესად უანგარო ტრფობისა და შეწირვის საგანი!

სწორედ შენა ხარ ღმერთი იგი, რომლისადმი უზემოესი უანგარო სიყვარულით ადამიანი ღებულობს უზენაეს ნეტარებას!...

ქეშმარიტად, — ესე არს აბოთეოზი უანგარო სიყვარულისა: „Qui deum amat, conari non potest, ut deus ipsum contra amat“.

„ვისაც ღმერთი უყვარს, არ შეიძლება ღმერთისგან სამაჯიერო სიყვარულს მოითხოვდეს“...

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი პირველი — ძმანო კახელნი . . . . .	3
ბედი ქართლისა გადაჭრეს კახთა . . . . .	3
მედეა . . . . .	22
ნასოფლარი... ნაქართველარი . . . . .	44
ქვრივი თონე . . . . .	47
ქვრივი გუთანი . . . . .	51
ნაწილი მეორე — ძმანო კუხელნი . . . . .	60
მადლი არქეოლოგიისა . . . . .	60
რწმენა ვახტანგ გორგასალისა . . . . .	63
„მწყურისი“ . . . . .	67
რწმენა დავით გარეჯელისა . . . . .	74
რწმენა ილარიონ ქართველისა . . . . .	92
რწმენა დავით აღმაშენებლისა . . . . .	94
„შენ ხარ ვენახი“ . . . . .	111
რწმენა ანტონი გლონისთავისძისა . . . . .	112
ყაენი კედება დავით-გარეჯას . . . . .	116
ცივი მთის ცხელი სუფრები . . . . .	120
ხიმშიას ხეობაშია . . . . .	132
რწმენა ონოფრე გარეჯელისა . . . . .	138
რწმენა საბა ორბელიან-გარეჯელისა . . . . .	143
ქორწინება მანავში . . . . .	147
გარეჯელნი — ინდოეთს მოლაშქრენი . . . . .	148
გეორგიევსკის წინ . . . . .	154
გეორგიევსკი . . . . .	160
გეორგიევსკის შემდგომ . . . . .	163
რწმენა პატარა კახისა . . . . .	178
დატირება . . . . .	189
ნიაბურა . . . . .	192
„შეერთება“ . . . . .	199
სისხლი უფლისა . . . . .	204
ნაწილი მესამე — ძმანო გარეჯელნი . . . . .	209
ისტორიით დაღლილთათვის . . . . .	209
უდაბნო... უსავეანო . . . . .	211

„ვიტარცა მილიონ ერთი...“	. . . . .	216
„ტობონიმელის ბაჰასით“	. . . . .	219
სამეურნეო „სტატუს ქვო“	. . . . .	223
„ალთქმა არ ღაგივიწყდეთ!“	. . . . .	227
ქულზე კაცი	. . . . .	228
„უმართავი მდივანი“	. . . . .	233
გარეჯული ციებცხელებით	. . . . .	235
პენსიონერი ბიონერები	. . . . .	237
ახალ „ობათა“ მესაფუძველე	. . . . .	239
წელიწადი „მეშვიდე განახლებისა“	. . . . .	241
გარეჯობა მეორე	. . . . .	247
გარეჯობა მესამე	. . . . .	253
გარეჯობა მეოთხე	. . . . .	256
გარეჯობა მეხუთე	. . . . .	258
იღდგომა უდაბნოისა	. . . . .	263
კურთხევა უდაბნოისა	. . . . .	270
მე შენ ზრალსა გდებ მკვლელობაში	. . . . .	280
თანამშრომელნი მეზვრიშვილისა	. . . . .	302
შური საღმრთოი	. . . . .	315
„შვიდთა ესროლეს შვიდ-შვიდი“...	. . . . .	318
ტამსა მეგქვესე გარეჯობისასა	. . . . .	320
ახალი სამრეკლოდან	. . . . .	326
სალხინო და საჭირთ საღამურები	. . . . .	331
Fiat aqua	. . . . .	332
გარეჯობა მეშვიდე	. . . . .	335
რწმენა მედეა მეზვრიშვილისა	. . . . .	352
ზოლობქე	. . . . .	355

გამომცემლობის რედაქტორი ნ. გონაშვილი  
მხატვარი თ. შარიფაშვილი  
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე  
კორექტორი მ. რაშიშვილი  
გამომშვები მ. წივწივაძე

გადაეცა წარმოებას 16.08.83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად  
10.10.83 წ. საბეჭდო ქაღალდი № 1, 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>, გარნიტურა  
ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 18,9, პირ.  
საღ. გატ. 18,9. სააღრ.-საგამომც. თაბახი 17,21,  
უე 00451. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 2095.  
ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგ-  
ნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის  
ო. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7.  
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Го-  
сударственного комитета Грузинской ССР по делам  
издательств, полиграфии и книжной торговли, пр.  
Дружбы № 7.

Леван Давидович Саникидзе

ВЕРНОСТЬ ВЕРЕ  
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, Марджанишвили, 5  
1983

